

ან გამსვენებული ენათმეცნიერი და რუსთველოლოგი გურამ კარტოზია 1974 წლიდან სისტემატურად წერდა მთავარი რედაქციის სამუშაო სხდომების ოქმებს და შემდეგ აქვეყნებდა მეცნიერებათა აკადემიის ურნალ „მაცნეში“ (დაბეჭდილია №№ 163-1409 სტროფების განხილვის ამსახველი მასალა).

სიცოცხლის ბოლო წლებში ბ-ნ გ. კარტოზიას გადაწყვეტილი ჰქონდა ამ ოქმების ნიგნად გამოცემა. ამ მიზნით დაიწყო მან სტილისტურად განსხვავებული დედნის მომზადება, მაგრამ მხოლოდ 163-335 სტროფების მასალის ჩასწორება და კომპიუტერული უზრუნველყოფა მოასწრო.

მასალა აიკრიფა გამომცემლობა „ნეკერიში“ (ხელმძღვანელი პროფ. პარმენ მარგველაშვილი), კორექტურა და დაკაბადონება კი აკად. გ. წერეთლის სახელობის „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური გამოცემისა და ქართული ენის „თესაურუსის“ კომიტეტში გაკეთდა.

მთავარი რედაქციის სხდომების ზოგიერთი ოქმი არ აღმოჩნდა „კომიტეტის“ არქივში. ამიტომ ვაქვეყნებთ მხოლოდ მთავარი რედაქციის მიერ დადგენილი სტროფების ტექსტსა და მათ „შინაარსს“ თანამედროვე სალიტერატურო ქართულით.

არა გვაქვს აგრეთვე ოქმები 1968-1973 წლების სამუშაო სხდომებისა. მაშინ აკად. გ. წერეთლის ხელმძღვანელობით განხილული და დადგენილ იქნა 162 ძირითადი და 96 ჩანართი სტროფი. ეს სტროფები, სათანადო „შინაარსებისა“ და შენიშვნების დართვით, დაიბეჭდება ოქმების მეორე ნიგნში.

რედაქტორი – აკად. თამაზ გამყრელიძე

პასუხისმგებელი მდივანი – გიორგი არაბული

ტექნიკური რედაქცია – გია შერვაშიძე  
ირმა ალასანია

იბეჭდება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის  
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს გადაწყვეტილებით

ISBN № 978-9941-0-3870-9

ISBN № 978-9941-0-3871-6

## წინასიტყვაობა

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის 1962 წლის 27 სექტემბრის დადგენილებით აკადემიის პრეზიდიუმთან ჩამოყალიბდა „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისია შემდეგი შემადგენლობით: ირაკლი აბაშიძე (თავმჯდომარე), ილია აბულაძე, შალვა ამირანაშვილი, გიორგი ახვლედიანი, ალექსანდრე ბარამიძე, ეუკოლ ბერიძე, ნიკო ბერძენიშვილი, ივანე გიგინეიშვილი, ისიდორე დოლიძე, მამია ებრალიძე (სწავლული მდივანი), ვარლამ თოფურია, პავლე ინგოროყვა, გიორგი ლეონიძე, შალვა ნუცუბიძე, სიმონ ყაუხჩიშვილი, აკაკი შანიძე, გიორგი ჩიტაია, არნოლდ ჩიქობავა, გიორგი ჩუბინაშვილი, გიორგი წერეთელი.

პოემის მეცნიერულ-კრიტიკული ტექსტის გამოსაცემად მომზადებისათვის შეიქმნა მთავარი რედაქცია: გიორგი წერეთელი (მთავარი რედაქტორი), ირაკლი აბაშიძე, ილია აბულაძე, ალექსანდრე ბარამიძე, ივანე გიგინეიშვილი, მამია ებრალიძე, აკაკი შანიძე.

შეიქმნა კომისიის აპარატი: გამოიყო მეცნიერ თანამშრომელთა რამდენიმე საშტატო ერთეული. ამასთან, აკადემიის სხვადასხვა ინსტიტუტადან კომისიაში სამუშაოდ გადმოიყვანეს რამდენიმე თანამშრომელი.

კომისიამ თავის ერთ-ერთ პირველ სხდომაზე განიხილა და დაამტკიცა პოემის აკადემიური გამოცემის მომზადების ძირითადი პრინციპები.

1963-ის აგვისტოდან მამია ებრალიძე გათავისუფლდა კომისიის სწავლული მდივნისა და მთავარი რედაქციის წევრის მოვალეობისაგან, კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ და მთავარი რედაქციის სწავლულ მდივნად დაინიშნა სარგის ცაიშვილი, კომისიის სწავლულ მდივნად – რობერტ თაგაური. 1966-ის მარტიდან კომისიის სწავლულ მდივნად დაინიშნა გურამ კარტოზია.

კომისიაში თავიდანვე ფართო მოსამზადებელი მუშაობა დაიწყო, რათა განხორციელებულიყო პოემის აკადემიური გამოცემა იმ გეგმით, რაც წარმოდგენილია აკად. გიორგი წერეთლის წერილში „ვეფხისტყაოსნის ტექსტის მეცნიერული გამოცემისათვის“ (ურნ. „მნათობი“, №2, 1962).

მოსამზადებელი სამუშაოები სხვადასხვა მიმართულებით წარიმართა. პირველი რიგის ამოცანად იქნა დასახული სალექსიკონო მასალის ამოწერა ქართული მწერლობის ძეგლებიდან. კომისიის თანამშრომლებისა და ხელშეკრულებით მოწვეული სპეციალისტების მიერ დამუშავდა ძველი ქართული მწერლობის ყველა გამოქვეყნებული ტექსტი, მთელი რიგი ხელნაწერი კრებულები, დიალექტოლოგიური ტექსტების დიდი ნაწილი. ლექსიკური ერთეულები ამოწერილია ცალკე ბარათებზე ვრცელი კონტექსტით.

კომისიის სალექსიკონო ფონდის შექმნის სამუშაოებს სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ: მამია ებრალიძე, შალვა ლლონტი, გურამ კარტოზია, თინათინ ცქიტიშვილი. რედაქციულად შესწავლილ იქნა „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი მემკვიდრეობა. მუშაობის შედეგები ასახულია სარგის ცაიშვილის მონოგრაფიაში „ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია“, ტ. I (1970) და II (1971). გამოიყო ხელნაწერთა რედაქციული ჯგუფები. ოთხ (A, B, C და D) რედაქციად დაიყო ის ხელნაწერები, თავიდან ბოლომდე ვახტანგის გამოცემისაგან დამოუკიდებელ (შედგენილობით უფრო ვრცელ) ტექსტს რომ შეიცავენ; ე. წ. კომპილაციური ხელნაწერები კი, ე. ი. ისინი, რომლებიც

ძირითად ნაწილში – დასაწყისიდან „ინდო-ხატაელთა ამბამდე“ – ვახტანგის გამოცემის ტექსტს იმეორებენ, ბოლოში კი – „ინდო-ხატაელთა ამბიდან“ – ვრცელი რედაქციების ტექსტს შეიცავენ (ან ისინი, რომლებიც მხოლოდ ამ ბოლო კომპონენტს წარმოგვიდგენენ), დამატებით ორ (E და F) რედაქციად დაეჯუფდა. აკად. გიორგი წერეთლის წინდადებით, ახალი ლიტერები მიეკუთვნა ტექსტის დადგენისათვის მნიშვნელოვან ხელნაწერებს; ახალი ლიტერები (ქრონოლოგიური თანმიმდევრობის გათვალისწინებით) მიეცა პოემის ძირითად გამოცემებსაც.

„ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებში „ინდო-ხატაელთა ამბავსა“ და ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის ინდოეთში დაბრუნებისა და ქორწილის აღწერას მოსდევს „ხვარაზმელთა ამბავი“ და გმირთა გარდაცვალებისა და ანდერძების შემცველი თავები. „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური გამოცემის პირველადი გეგმა „ხვარაზმელთა ამბისა“ და მომდევნო თავების ტექსტის დადგენასაც ითვალისწინებდა. მუშაობის პროცესში მთავარმა რედაქციამ გადაწყვიტა: რადგან ტექსტის ეს ნაწილი რუსთველს არ ეკუთვნის (და ამში ეჭვი არავის ეპარება), იგი ცალკე უნდა გამოიცეს, როგორც „ვეფხისტყაოსნის“ გაგრძელება. მომზადდა რუსთველოლოგიური ლიტერატურის ანოტირებული ბიბლიოგრაფია. პოემის საკომენტარო მასლის ამონერისა და განყოფილებაების საბუთებში მონაწილეობდნენ: გიორგი არაბული, მერი გუგუშვილი, ციალა კარგელაშვილი, ვოლა მიქაძე, რიმა ფორცხალაშვილი, გალაქტიონ ლლონტი, მზია ჩაჩავა, ნანი წაქაძე. ხელნაწერთა ვარიანტების სრული, ამომწურავი ნუსხის შესადგენად „ვეფხისტყაოსნის“ ყველა ძირითადი ხელნაწერი სტროფობრივ გადაინერა ცალკე ბარათებზე. როგორც ანოტირებული ბიბლიოგრაფიის შედგენაში, ისე ხელნაწერთა გადაწერასა და ენობრივ შესწავლაში კომისიის თანამშრომლებთან ერთად მონაწილეობდნენ ხელშეკრულებით მონეული პირები. 1968 წელს, მას შემდეგ, რაც წინასწარი სამუშაოების დიდი ნაწილი შესრულდა, კომისია შეუდგა უშუალოდ ტექსტის დადგენას. კომისიის აპარატის თანამშრომლები (სარგის ცაიშვილი, გურამ კარტოზია, ცოტნე კიკვიძე, ნანა ავალიშვილი, მანუჩარ ანთაძე, გიორგი არაბული, ელისო ბილანიშვილი, ეფემია გვრიტიშვილი, ლუცინა გუგუშვილი, ლეილა თუმბალიშვილი, ლია კიკნაძე, ნანა კოტეტიშვილი, ბაბო მასხარაშვილი, ეკატერინე ტურაბელიძე, გალაქტიონ ლლონტი, შალვა ლლონტი, თინათინ ცქიტიშვილი, ნათელა ცქიტიშვილი, ნანი წაქაძე) აკად. გიორგი წერეთლის ხელმძღვანელობით ადგენდნენ ძირითადი და ჩანართი სტროფების ტექსტს, ურთავდნენ მათ კრიტიკულ აპარატს: ვარიანტების ნუსხას, ტექსტოლოგიურ შენიშვნებს, საილუსტრაციო მასალას – პარალელურ ძველი ქართული მწერლობის სხვა ძეგლებიდან. დადგენილი ტექსტის პროექტი წარედგინებოდა მთავარ რედაქციას, რომელიც თავის სხდომებზე განიხილავდა და ამტკიცებდა მას.

იმის გამო, რომ კომისიას გამოაკლდნენ მთელი რიგი წევრები, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა 1969 წლის 13 ნოემბრის დადგენილებით დაამტკიცა კომისიის ახალი შემადგენლობა: ირაკლი აბაშიძე (თავმჯდომარე), სარგის ცაიშვილი (თავმჯდომარის მოადგილე), შალვა ამირანაშვილი, გიორგი ასვლედიანი, ალექსანდრე ბარამიძე, ალექსანდრე გვახარია, ივანე გიგინეიშვილი, მაგალი თოდუა, გაიოზ იმედაშვილი, ივანე იმნაიშვილი, პავლე ინგოროყვა, გურამ კარტოზია (სწავლული მდივანი), ნიკო კეცხოველი, ცოტნე კიკვიძე, დავით კობიძე, იოსებ მეგრელიძე, შოთა მესხია, ელენე მეტრეველი, სიმონ ყაუხჩიშვილი, აკაკი შანიძე, გიორგი ჩიტაია, არნოლდ ჩიქობავა, გიორგი ჩუბინაშვილი, შოთა ძიძიგური, გიორგი წერეთელი.

დამტკიცდა მთავარი რედაქციის ახალი შემადგენლობაც: გიორგი წერეთელი (მთავარი რედაქტორი), ირაკლი აბაშიძე, ალექსანდრე ბარამიძე, ივანე გიგინეიშვილი, გურამ კარტოზია, ელენე მეტრეველი, სარგის ცაიშვილი (სწავლული მდივანი), შოთა ძიძიგური.

1968–1973 წლებში კომისიამ მოაწვავდა „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური გამოცემის პირველი ტომი. იგი შეიცავდა პოემის 258 სტროფის (162 ძირითადისა და 96 ჩანართის) კრიტიკულად დადგენილ, დასაბუთებულ ტექსტს, რომელსაც ახლდა „ვეფხისტყაოსნის“ 53 ძირითადი ხელნაწერისა და 22 ძირითადი გამოცემის ვარიანტები. ვარიანტული ნაკითხვები სრულად არის მოცემული და სათანადოდ კვალიფიცირებული. ტექსტის ცალკეულ ნაკითხვებს (როგორც მიღებულს, ისე უარყოფილს) დართული აქვს ვრცელი ტექსტოლოგიური შენიშვნები, ფართოდ არის გამოყენებული საილუსტრაციო მასალა – პარალელები ძველი ქართული მწერლობის სხვა ძეგლებიდან. ტექსტს უძღვის პოემის ძირითად ხელნაწერთა დახასიათება, ბიბლიოგრაფია ძველი ქართული მწერლობის იმ ძეგლებისა და დიალექტოლოგიური ტექსტებისა, საიდანაც კომისიის თანამშრომლებმა და მოწვეულმა პირებმა ამონერეს სალექსიკონო მასალა, ტექსტის დასადგენად კომისიის მნიშვნელოვანი დასაყრდენი.

„ვეფხისტყაოსნის“ დადგენილ ტექსტში რუსთველისდროინდელი ქართული ენის ფონეტიკურ-გრამატიკული ნორმებია დაცული: ნახმარია უკანაველარული ხმული თანხმოვნის შესატყვისი გრაფემა ჯ და წყილ-ბაგისმიერი სპირანტის გამომხატველი უ, ოლონდ ამ უკანასკნელს (უმარცვლო უ-ს), მარცვლოვანი უ ხმოვნისაგან გასარჩევად, გიორგი წერეთლის წინადადებით, თავზე დიაკრიტიკული ნიშანი (ე. წ. ბრჯგუბის მაჩვენებელი) აქვს დასმული ( უ ) ; ა, რომელიც რუსთველისდროინდელ ქართულში აღარ იხმარებოდა ძველი ქართულისათვის დამახასიათებელ პოზიციებში (სახელობით, ნათესაობით, მოქმედებით ბრუნვათა და უფროობითი ხარისხის ფორმებში), მხოლოდ შორისდებულებშია ნახმარი (ვაჲ, ჰაჲჰაჲ). სუბიექტური პირველი პირის ნიშანი ვ არ იხმარება უ ხმოვნის წინ. რთული სიტყვების (კომპოზიტების) დაწერილობა თანამედროვე ნორმებს შეესაბამება. 1969 წელს, როგორც ნიმუში, დაიბეჭდა პოემის პირველი 15 სტროფის კრიტიკულად დადგენილი ტექსტი ვარიანტებითა და ტექსტოლოგიური შენიშვნებით.

აკად. გიორგი წერეთლის გარდაცვალების (1973. 9. IX) შემდეგ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა 1973 წლის 11 ოქტომბრის დადგენილებით დაამტკიცა მთავარი რედაქციის შემდეგი შემადგენლობა: ალექსანდრე ბარამიძე (მთავარი რედაქტორი), ირაკლი აბაშიძე, ივანე გიგინეიშვილი, გურამ კარტოზია (მთ. რედაქციის სწავლული მდივანი), ცოტნე კიკვიძე, ელენე მეტრეველი, სარგის ცაიშვილი (მთ. რედაქტორის მოადგილე), შოთა ძიძიგური.

მთავარმა რედაქციამ 1973. 7 XII-ის სხდომაზე იმსჯელა მომავალი მუშაობის შესახებ. ხაზგასმით აღინიშნა, რომ მუშაობა გაგრძელდება იმ პრინციპების მიხედვით, რაც კომისიას იმთავითვე ჰქონდა შემუშავებული და რაც გიორგი წერეთლის ცნობილ წერილშია გადმოცემული.

ამასთან, გადაწყდა, რომ უფრო სიტემატური ხასიათი მისცემოდა მთავარი რედაქციის მუშაობას: სხდომები გამართულიყო ორ კვირაში ერთხელ; მთავარი რედაქციისათვის განსახილველი და დასამტკიცებელი ტექსტის პროექტის შედგენა დაევალებათ გურამ კარტოზიას, ცოტნე კიკვიძეს და სარგის ცაიშვილს კომისიის აპარატის

თანამშრომლებთან ერთად. მთავარმა რედაქციამ დაადგინა: შედგეს ყოველი სხდომის მოკლე ანგარიში ოქმის სახით, რომელსაც მომდევნო სხდომებზე დაამტკიცებს მთავარი რედაქცია. ეს ოქმები დაიბეჭდება ჟურნალ „მაცნეში“ (ენისა და ლიტერატურის სერია). ოქმების შედგენა დაევალა გურამ კარტოზიას.

მუშაობის ტემპის დაჩქარების მიზნით 1974-ის თებერვლიდან კომისიის აპარატში ჩამოყალიბდა თანამშრომელთა 3 ჯგუფი: I. სარგის ცაიშვილი (ხელ.), მანუჩარ ანთაძე, გიორგი არაბული, ნანა კოტეტიშვილი, თინათინ ცქიტიშვილი; II. გურამ კარტოზია (ხელ.), ელისო ბილანიშვილი, ლია კიკნაძე, ბაბო მასხარაშვილი, ეკატერინე ტურაბელიძე; III. ცოტნე კიკვიძე (ხელ.), ნანა ავალიშვილი, ეფემია გვრიტიშვილი, ლუცინა გუგუშვილი, ნათელა ცქიტიშვილი. ჯგუფები დამოუკიდებლად ამზადებდნენ მთავარი რედაქციისათვის ოქმის ცალკე მონაკვეთთა დადგენილი ტექსტის პროექტს.

1976-ის მარტიდან მუშაობდა ორი ჯგუფი: I. გ. კარტოზია (ხელ.), გ. არაბული, ე. ბილანიშვილი, ე. გვრიტიშვილი, ლ. კიკნაძე, ბ. მასხარაშვილი, ე. ტურაბელიძე; II. ც. კიკვიძე (ხელ.), ნ. ავალიშვილი, ე. გვრიტიშვილი, ლ. გუგუშვილი, ლ. თუშმალიშვილი, ნ. კოტეტიშვილი, ნ. ცქიტიშვილი.

1985 წლის თებერვლიდან კომისია შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის შემადგენლობაში იქნა შეყვანილი, კომისიის ხელმძღვანელობა დაევალა საქ. მეცნ. აკად. ნეერ-კორ. სარგის ცაიშვილს.

1984-ში მთავარმა რედაქციამ ტექსტის დადგენა დაასრულა, მაგრამ ამით მთავარ რედაქციას და კომისიის აპარატს საქმიანობა არ დაუმთავრებიათ: კომენტარსა და სიმფონია-ლექსიკონზე მუშაობა გაგრძელდა.

მთავარმა რედაქციამ ერთხელ კიდევ გადახედა ადრე დადგენილ ტექსტს (სტროფები 1-163) და მასში შეიტანა ზოგიერთი ცვლილება. ცვლილება შეეხო ზოგიერთი ადგილის განსხვავებული სახით გამართვას. ამასთან, სტროფი 113,1 („თუ ყოფილა იგი მოყმე...“), რომელიც მთავარ რედაქციას ჩანართად ჰქონდა ჩათვლილი, ძირითადად იქნა მიჩნეული. ამით აიხსნება ის, რომ ამ წიგნში სტროფთა ნუმერაცია, „მაცნეში“ დაბეჭდილთან შედარებით, ერთით არის გაზრდილი (ამის შესახებ იხ. კარტოზია 2004, 190). მთავარი რედაქციის სხდომათა ოქმების ბეჭდვა „მაცნეში“ (ენისა და ლიტერატურის სერია) 1974 წელს დაიწყო და 1988 წლამდე მეტ-ნაკლები პერიოდულობით გრძელდებოდა (იხ. სიხარულიძე 1996, 255).

მკითხველ საზოგადოებას შესაძლებლობა ჰქონდა, წლების განმავლობაში თვალყური ედევნებინა „უტ“-ის აკადემიური ტექსტის დამდგენ კომისიაში მიმდინარე მუშაობისათვის. ოქმებში სრულად არის მითითებული, თუ რა ცვლილებები იქნა შეტანილი ოქმის ტექსტში, მოკლედ, შეკუმშულად ფიქსირებულია ცალკეულ ტექსტოლოგიურ საკითხებზე გამართული მსჯელობა. სტროფების შინაარსი (1984-~~უ-სტროფიდან~~ მოუიღებულები) გადმოცემულია თანამედროვე ქართულ ენაზე.

სარგის ცაიშვილის გარდაცვალების (1992. 20. V) შემდეგ, 1992-1994 წლებში, კომისიას ხელმძღვანელობდა მთავარი რედაქტორი აკად. ალექსანდრე ბარამიძე (გარდ. 1994. ). 1992 წლიდან მთავარი რედაქციის ნეერად დამტკიცდა საქ. მეცნ. აკად. ნეერ-კორ. ალექსანდრე გვახარია.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის დადგენილებით 1997. 9. XII-დან კომისიის ხელმძღვანელად და მთავარ რედაქტორად დაინიშნა აკად. თამაზ გამყრელიძე.

2006. 3. I-დან კომისია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის უშუალო დაქვემდებარებაშია; მას მიენიჭა აკად. გიორგი წერეთლის სახელი. განახლებულმა მთავარმა რედაქციამ [თამაზ გამყრელიძე (მთ. რედაქტორი), გიორგი არაბული, ბაჩანა ბრეგვაძე, ალექსანდრე გეახარია (გარდ. 2002), გურამ კარტოზია (მთ. რედაქციის სწავლული მდივანი), ცოტნე კიკვიძე (გარდ. 2001), ზურაბ სარჯველაძე (გარდ. 2005), თინათინ ცუციტიშვილი] 1988 წლის გამოცემის საფუძველზე გამოსაცემად მოამზადა და მოკლე ლექსიკონით 2006-ში დაბეჭდა „ვეფხისტყაოსნის“ მინიატურული გამოცემა. მასში შეიცვალა ცალკეული ნაკითხვები, ცვლილება მოხდა სტროფულ შედგენილობაშიც. დღეისათვის კომისია იწოდება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკად. გიორგი წერეთლის სახელობის „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური გამოცემისა და ქართული ენის თესაურუსის კომიტეტად (შემოკლებით: „ვეფხისტყაოსნის კომიტეტი“).

ჯერ კიდევ 1989 წელს „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენ კომისიაში გადანაცვდა ოქმების ცალკე ტომად გამოცემა. გამომცემლობა „მეცნიერებას“ გადაეცა გამოსაცემი ნიგნის დედანი, მაგრამ 90-იანი წლებიდან ქვეყანაში შექმნილი სირთულეებისა და სიძნელეების გამო მისი დაბეჭდვა არ მოხერხდა. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახელობის „ვეფხისტყაოსნის კომიტეტი“ იწყებს „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის ოცი წლის წინანდელი გადანაცვეტილების შესრულებას.

**გურამ კარტოზია**  
[ 2010, მარტი ]

# „ვეფხისტყაოსნის“ ძირითად ხელნაწერთა და გამოცემათა ლიტერები

## ა) ხელნაწერები\*

- A<sup>1</sup> [α] – ახალციხური ფრაგმენტი (XVII ს-ის დასაწყისი).  
A<sup>2</sup> [E] – მამუკა თავაქარაშვილისეული – H 599 (1646 წ.).  
A<sup>3</sup> [R] – გურგენასეული – Q 930 (XVII ს.).  
A<sup>4</sup> [Z] – თარხანშორაგვისეული – W 27 (XVII ს.) – დაცულია ოქსფორდში, ბოდლის ბიბლიოთეკაში, მიკროფილმი – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში.  
A<sup>5</sup> [N] – S 3077 (XVII ს.).  
A<sup>6</sup> [S] – H3249 (XVIII ს.).  
A<sup>7</sup> [P] – S1418 (XVII ს-ის II ნახევარი).  
A<sup>8</sup> [A] – ნ. ბერძენიშვილის სახ. ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერი № 383 (XVII ს-ის მიწურული).  
A<sup>9</sup> [F] – S 2829 (1688 წ.).  
A<sup>10</sup> [I] – Q 261 (XVII ს-ის მიწურული).  
A<sup>11</sup> [Y] – H 740 (XVII–XVIII სს.).  
A<sup>12</sup> [R'] – გ. ლეონიძის სახ. საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერი № 12904 (1802 წ.).  
A<sup>13</sup> – Q1075 (XIX ს.).  
B<sup>1</sup> [D] – ზაზასეული – Q 1082 (1660-იანი წწ.).  
B<sup>2</sup> [L] – A 363 (XVII ს-ის II ნახევარი).  
B<sup>3</sup> [Q] – ნ. ბერძენიშვილის სახ. ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერი № 215 (XVII ს.).  
B<sup>4</sup> [C'] – S 1675<sup>2</sup> (XVII ს-ის II ნახევარი).  
B<sup>5</sup> [H] – H 2610 (XVII ს-ის მიწურული).  
B<sup>6</sup> [G] – S 4988 (XVII ს-ის მიწურული).  
B<sup>7</sup> [V] – H 3061 (XVII ს.).  
B<sup>8</sup> [U] – S 5006 (XVIII ს.).  
B<sup>9</sup> [O'] – Q 799 (XVIII ს.).  
B<sup>10</sup> [F'] – S 4527 (1805 წ.).  
B<sup>11</sup> [Q'] – გიორგი ლეონიძის სახ. საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერი № 10768 (XIX ს-ის I ნახევარი).

\* კვლავი ღრმობით მინერლია შრუსთაველის სახ. ლიტერატურის ინსტიტუტის ლიტერები. ხელნაწერები, რომელთა ნომერს A, H, Q ან S გრაფიკა უძღვის, დაცულია კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში.

B<sup>12</sup> [I'] – H 412 (XIX ს-ის დასაწყისი).

B<sup>13</sup> [L'] – ვ. ასლანიშვილისეული – საქ. მეცნ. აკად. ბიბლიოთეკისა ა2K 25299 (1860 წ.).

C<sup>1</sup> [C] – H 2074 (XVII ს – ის I ნახევარი).

C<sup>2</sup> [M] – Q 779 (XVII ს.).

C<sup>3</sup> [A] – H 757 (1671 წ.).

C<sup>4</sup> [B] – ბეგთაბეგისეული – H 54 (1680 წ.).

C<sup>5</sup> [X] – პარიზული – P 10 (1702 წ.) – დაცულია პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში, მიკროფილმი – საქ. მეცნ. აკად. ბიბლიოთეკაში.

C<sup>6</sup> [D'] – H 1839 (1832 წ.).

C<sup>7</sup> – Q 1335 (XIX ს-ის I ნახევარი).

C<sup>8</sup> [E'] – Q 483 (1856 წ.).

D<sup>1</sup> [J] – H 461 (XVII–XVIII სს.).

D<sup>2</sup> [T] – მზებათუნისეული – W 17 (XVII ს-ის ბოლო) – დაცულია ოქსფორდში, ბოდლის ბიბლიოთეკაში, მიკროფილმი – საქ. მეცნ. აკად. ბიბლიოთეკაში.

D<sup>3</sup> [K] – S 4499 (XVII ს-ის II ნახევარი).

D<sup>4</sup> [O] – ნ. ბერძენიშვილის სახ. ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერი № 205 (XVII ს-ის მიწურული).

D<sup>5</sup> [G'] – Q 796 (XIX ს.).



## ბ) გამოცემები

- a – ვეფხის ტყაოსანი. ან ახალი დაბეჭდული ქართულს ენასა ზედა ეამსა ამაღლებულისა საქართველოს მპყრობელისა უფლისა უფლისა ვახტანგისა. შრომითა და წარსაგებელითა მისვე მპყრობელისათა. გაიმართა ჳელითა ჳელმწიფის კარის დეკანოზის შვილის მიქელისათა, ქალაქსა ტფილისისასა ქრისტეს აქეთ ათას შვიდას და თორმეტსა, დასაბამითგან ვიდრე აქამომდე შეიდიათას ორას ოცსა.
- b – ვეფხის-ტყაოსანი, რუსულად Вѣрхняя книга, პოემა დაწერილი შოთა რუსთაველის მიერ. ახლად დაბეჭდული შეერთებულთა ღვანლითა უფალთა ბროსეტ, ზაქარია ფალავანდიშვილისა და დავით ჩუბინოვისათა, სპბ., 1841.
- c – ვეფხის-ტყაოსანი, თქმული შოთა რუსთაველისა-გან თამარ მეფის დროს. ახლად დაბეჭდული დავით ჩუბინოვისა-გან განმარტებითურთ, სპბ., 1860.
- d – ვეფხის-ტყაოსანი შოთა რუსთაველისა, გამოცემული გ. დ. ქართველიშვილის მიერ, თბ., 1888.
- e – შოთა რუსთაველი, ვეფხის-ტყაოსანი. მეცხრამეტე გამოცემა, დ. კარიჭაშვილის წინასიტყვაობით, შენიშვნებით და ვრცელის ლექსიკონით, თბ., 1903.
- f – ვეფხის ტყაოსანი, სარგის კაკაბაძის რედაქტორობით, თბ., [1913].
- g – შ. რუსთველი, ვეფხის-ტყაოსანი. ი. აბულაძის რედაქტორობით, მე-22-ე გამოცემა, თბ., 1914.
- h – შოთა რუსთველი, ვეფხისტყაოსანი. შინაარსის და ვრცელის ლექსიკონის დართვით, დ. კარიჭაშვილის რედაქტორობით, თბ., 1920.
- i – შოთა რუსთველი, ვეფხის-ტყაოსანი. მე-26-ე გამოცემა ოუსტინე აბულაძის რედაქტორობით. ტექსტი ახლად შეიმუშავა, ვრცელი წინასიტყვაობა ვარიანტებით და ლექსიკონი საძიებლებით დაურთო და მეორედ გამოსცა ოუსტინე აბულაძემ, თბ., 1926.
- j – ვეფხის-ტყაოსანი, სარგის კაკაბაძის რედაქტორობით, გამოცემა მეორე, გამოკვლევა, ტექსტი, ლექსიკონი, [თბ., 1927].
- k – შოთა რუსთაველი, ვეფხის-ტყაოსანი. კონსტანტინე ჭიჭინაძის რედაქციით, გამოკვლევით და შენიშვნებით, [თბ., 1934].
- l – შოთა რუსთაველი, ვეფხის ტყაოსანი. სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1937.
- m – შოთა რუსთველი, ვეფხის-ტყაოსანი. ტექსტი აღდგენილი მიხეილ წერეთლის მიერ, ბერლინი, 1938 (ხელნაწერი. ინახება შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში).
- n – შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი. სარედაქციო კოლეგია: ალ. ბარამიძე, კ. კეკელიძე, ა. შანიძე, თბ., 1951.
- o – შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი. პავლე ინგოროყვას რედაქციითა და შენიშვნებით, თბ., 1953.
- p – შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი. სარედაქციო კოლეგია: ალ. ბარამიძე, კ. კეკელიძე, ა. შანიძე – თბ., 1957.
- q – შ. რუსთველი (XII ს.), ვეფხის-ტყაოსანი. ნაწილი პირველი: ტექსტი და ჩანართნი, აღდგენილი მიხეილ წერეთლის მიერ, მკნხენი, 1950, პარიზი, 1961.

- რ - შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი. პავლე ინგოროსყვას რედაქციითა და შენიშვნებით, 1965 (ხელნაწერი. ფოტოპირი ინახება „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენ კომისიაში).
- ს - შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი. ტექსტი ძირითადი ვარიანტებით, კომენტარებითა და ლექსიკონითურთ ორ ტომად, ა. შანიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით, 1, ტექსტი და ვარიანტები, თბ., 1966.
- ტ - შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს გიორგი წერეთელმა, სარგის ცაიშვილმა, გურამ კარტოზიამ. რედაქტორები: გ. წერეთელი, ი. აბაშიძე, თბ., 1966.
- უ - შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი. სარედაქციო კოლეგია: ირაკლი აბაშიძე, ალექსანდრე ბარამიძე, პავლე ინგოროსყვა, აკაკი შანიძე, გიორგი წერეთელი, თბ., 1966.
- ჟ - ვეფხისტყაოსანი ჩანართი და დანართი ტექსტებით. ტექსტი გამოსაცემად დაამზადა, წინასიტყვაობა და საძიებლები დაურთო სოლ. ყუბანიშვილმა, თბ., 1956.
- ყ - შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი. ტექსტი პავლე ინგოროსყვას რედაქციით, ისტორიულ-ლიტერატურული და ტექსტოლოგიური გამოკვლევების დართვით, ორ წიგნად, წიგნი პირველი, თბ., 1970.
- ზ - შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, სასკოლო გამოცემა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, განმარტებანი და კომენტარი დაურთო ნ. ნათაძემ, თბ., 1974.
- ა<sup>1</sup> - შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი. მთავარი რედაქცია: ალექსანდრე ბარამიძე (მთავარი რედაქტორი), ჭიორგი წერეთელი (მთავარი რედაქტორი), სარგის ცაიშვილი (მთავარი რედაქტორის მოადგილე), გურამ კარტოზია (მთავარი რედაქციის სწავლული მდივანი), ირაკლი აბაშიძე, ჭილია აბულაძე, ჭივანე გიგინეიშვილი, ცოტნე კიკვიძე, ელენე მეტრეველი, შოთა ძიძიგური, თბ., 1988.
- ა<sup>2</sup> - შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი. მთავარი რედაქცია: თამაზ გამყრელიძე (მთავარი რედაქტორი), გიორგი არაბული, ბაჩანა ბრეგვაძე, ჭალექსანდრე გვახარია, გურამ კარტოზია (მთავარი რედაქციის სწავლული მდივანი). ჭოტნე კიკვიძე, ჭზურაბ სარჯველაძე, თინათინ ცქიტიშვილი. თბ., 2006.

## ბიბლიოგრაფია

- აბულაძე 1973 – ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბ.
- გიგინეიშვილი 1975 – ივანე გიგინეიშვილი, გამოკვლევები „ვეფხისტყაოსნის“ ენის და ტექსტის კრიტიკოს საკითხების შესახებ, I, თბ.
- გურ. – დავით გურამიშვილი, დავითიანი, თბ., 1955.
- კარბელაშვილი 1969 – მარიამ კარბელაშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ პარიზული ხელნაწერი: შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის XXIX სამუცნ. სესია (თეზისები), თბ.
- კარტოზია 2004 – გურამ კარტოზია, ტექსტოლოგიური გამოკვლევები, თბ.
- ლოლაშვილი 1963 – ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტები, ნაკვეთი მეოთხე, გამოსაცემად მოამზადა ივანე ლოლაშვილმა, თბ.
- სიხარულიძე 1996 – ლილა სიხარულიძე, ჟურნალ „მაცნეს“ ენისა და ლიტერატურის სერიაში 1971–1995 წლებში გამოქვეყნებულ ნაშრომთა ბიბლიოგრაფია: „მაცნე“ (ელს), 1–4.
- ყუბანიშვილი 1959 – სოლომონ ყუბანიშვილი, ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა სტროფული შედგენილობა, თბ.
- ცაიშვილი 1963 – სარგის ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ძველი რედაქციები, თბ.
- ცაიშვილი 1970 – სარგის ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, ტ. I, თბ.
- ცაიშვილი 1971 – სარგის ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, ტ. II, თბ.

## შემოკლებანი

- ა – პირველი ტაეპი.  
ბ – მეორე ტაეპი.  
გ – მესამე ტაეპი.  
დ – მეოთხე ტაეპი.  
გარდ. – გარდაიცვალა.  
ელს – ენისა და ლიტერატურის სერია.  
„უბ“ – „ვეფხისტყაოსანი“.  
კომენტ. – კომენტარი.  
მთ. – მთავარი.  
ს. შ.: – სტროფის შინაარსი:  
სტრ. – სტროფი (ან: სტროფები).  
შდრ. – შედარე.  
ხელ. – ხელმძღვანელი.

- I გვთუი – 1976. II-მდე: ს. ცაიშვილი (ხელ.), მ. ანთაძე (1974. XII-მდე), გ. არაბული, ნ. კოტეტიშვილი, თ. ცქტიშვილი, ნ. ნაქაძე (1974. XI-დან).
- II გვთუი – გ. კარტოზია (ხელ.), გ. არაბული (1976. II-დან), ე. ბილანიშვილი (1975. X-მდე), ე. გვრიტიშვილი (1975. XI-დან), ლ. კიკნაძე, ბ. მასხარაშვილი, ე. ტურაბულიძე.
- III გვთუი – ც. კიკვიძე (ხელ.), ნ. ავალიშვილი, ე. გვრიტიშვილი (1974. XI-მდე), ლ. გუგუშვილი, ლ. თუმბალიშვილი (1974. XI-დან), ნ. კოტეტიშვილი (1977. XI-დან), ნ. ცქტიშვილი.

## მთავარი რედაქციის სხდომათა ოქმები

1973. 21. XII

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს სტრ. 164—166 (პროექტი მოამზადეს ც. კიკვიძემ და ს. ცაიშვილმა კომისიის აპარატის თანამშრომლებთან ერთად).

164 დაწერა, თუ: „ჩემო ყმანო, გამზრდელნო და ზოგნო ზრდილნო, ერთგულნო და მისანდონო, ამა ზედა გამოცდილნო, თქვენ, ჩემისა სანადლისა მიდგომლნო, ვითა ჩრდილნო, და წიგნი ჩემი მოისმინეთ, ყოვლნო ერთგან შემოსდილნო!

პ-სთან (სტრ.163) შედარებით, პროექტში ცვლილება არ არის.

პროექტი მიღებულ იქნა უცვლელად, ოღონდ ვარიანტებიდან ამოღებულ იქნა ზედან ფორმის, როგორც ვულგარულის, კვალიფიკაცია.

ს. შ.: დაწერა: „ჩემო ყმებო, გამზრდელეხო და გამზრდილხო (=ჩემო ყმებო, რომელთაგან ზოგი გამზრდელი ხართ და ზოგი — გამზრდილი), ერთგულებო და მისანდობლებო, ამაში [ჩემ მიერ] გამოცდილებო, თქვენ, ჩრდილებივით ჩემი ნადილის თანამდევნო, ყველამ, ერთად მოხმობილმა, ჩემი ნერილი მოისმინეთ!

165 მინაცა თქვენი აეთანდილ, ისმინეთ, გინერ მე რასა: თუთ ვიქ ჴელითა ჩემითა ამა წიგნისა წერასა, ცოტასა ხანსა ვარჩიე გაჭრა სმასა და მღერასა, და პურად და საქმლად მივენდეე ჩემსა მშვილდსა და ცერასა.

პ-სთან (სტრ.164) შედარებით პროექტში ცვლილებაა: ბ ვიქ (< ვიქმ).

პროექტი დამტკიცდა.

ს. შ.: მოისმინეთ, თუ რას გნერთ თქვენი [ფეხთა] მტვერი აეთანდილი: ამ ნერილს თუთი [მე] ჩემი ხელით ვნერ, სმასა და გართობას ცოტა ხანს [ველად] გაჭრა ვამჯობინე, პურისა და ჭამისათვის მივენდეე ჩემს მშვილდსა და ისარს.

166 საქმე რამე მიც თაეისა ზე სადმე გარდასაბუნელი. დაყო მარტო და ღარიბად ესე წლეული მე წელი, გემუდარები ამისთუის, ვარ თქვენი შემომბუნენელი, და მე დამახუნდროთ სამეფო მტერთაგან დაულენელი

პ-სთან(სტრ.165) შედარებით, პროექტში ცვლილებაა: ა-ს ბოლოს მძიმის ნაცვლად ნერტილია დასმული. რედაქციამ ა-ს ბოლოს აღადგინა მძიმე, ბ-ს ბოლოს კი მძიმე შეცვალა ნერტილი-მძიმით. პროექტი ამ ცვლილებით დამტკიცდა.

ს. შ.: რაღაც საქმე მაქვს, რომლის გამოც სადაღაც უნდა გადავიხვეწო, მარტო და ღარიბი (უცხო ქვეყნებში მოგზაური) დაყოფ ნლევიანდელ წელს; ამიტომ გემუდარებით, თქვენი მახვენარი ვარ, რომ დამახვენდროთ სამეფო მტრებისაგან დაულენავი.

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს სტრ. 167-170 (პროექტი მოამზადეს ც. კიკვიძემ და ს. ცაიშვილმა კომისიის აპარატის თანამშრომლებთან ერთად).

- 167 მე შერმადინ დამიგდია, ჩემად კრძად პატრონობდეს, სიკუდილსა და სიცოცხლესა სადამდისცა ჩემსა სცნობდეს, ყოვლთა მზეებრ მოგეფინოს, ვარდს არ ზრვიდეს, არ აჭნობდეს, და შემცოდესა ყუელაკასა ვითა ცუილსა დაადნობდეს.

ა-სთან (სტრ.166) შედარებით, პროექტში ცვლილება არ არის.

მთ. რედაქციამ ზის ბოლოს მძიმის ნაცვლად დასვა ნერტილ-მძიმე. მსჯელობის საგანი გახდა გ-ის ნაკითხვა.

ი. გიგინეიშვილი: ნაკითხვა – „ვარდს არ ზრვიდეს, არ აზრობდეს“ – იუსტ. აბულაძის კონიექტურაა. ხელნაწერებში გვაქვს „ვარდსა ზრვიდეს, არ აჭნობდეს“, რაც უნდა აღდგეს კიდევ პოემის ტექსტში. ჩვენ სრულად არ გვაქვს გათვალისწინებული დაზრვა ზმნის ყველა მნიშვნელობა.

შ. ძიძიგური: დაზრვა და ჭნობა აქ, შესაძლოა, სინონიმური მნიშვნელობით არ იხმარებოდეს. შეიძლება ასეთი აზრია გადმოცემული: „ვარდს ზრვიდეს, მაგრამ არ აჭნობდეს“

დაადგინეს: პროექტის ნაკითხვა დარჩეს უცვლელად.

ს. შ.: მე შერმადინი დამიტოვებია, ჩემს ნაცვლად იყო პატრონად, ვიდრე ჩემი სიკუდილსა და სიცოცხლის ამბავს გაიგებს; ყველას მზესავით [თანაბრად] მოგეფინოთ იგი, ვარდს არ აზრობდეს, არ აჭნობდეს, ყველა შემცოდეს ცვილივით ადნობდეს.

- 168 თქუნცა იცით, გამიზრდია ვითა ძმა და ვითა შვილი; ამას ასრე მორჩილობსით, არის ვითამც აეთანდილი, ბუკსა იყრას, აწვეინეთ ყოელი საქმე, ჩემგან ქმნილი; და მე თუ დრომდის არ მოვიდე, გლოვა გამართებს, არ სიცილი“.

ა-სთან (სტრ.167) შედარებით, პროექტში ცვლილებაა: ა-ს ბოლოს ნერტილის ნაცვლად ნერტილ-მძიმეა. პროექტი დამტკიცდა.

ს. შ.: თქვენც იცით, გამიზრდია როგორც ძმა და როგორც შვილი; მას (შერმადინს) ისე დაემორჩილეთ, თითქოს აეთანდილი იყოს, თუ ბუკი დაუკრას (=თუ შესაკრებად მოგინოდოთ); გააკეთებინეთ ყველაფერი, რაც მე გამიკეთებია; მე თუ დროზე არ მოვიდე, გლოვა და მწუხარება გამართებთ“.

- 169 ესე წიგნი გაასრულა წყლიანმან და სიტყუანაზმა, წელთა ოქრო შემოირტყა, საღარიბოდ შეეკანაზმა, ბრძანა: „მინდორს შევედებო“, ლაშქარიცა დაერაზმა; და მასვე ნაშა ნამოვიდა, შინა ზანი არა დაზმა.

ა-სთან (სტრ.168) შედარებით, პროექტში ცვლილება არ არის.

ი. გიგინეიშვილს საჭიროდ მიაჩნია, რომ ერთცნებიანი კომპოზიტივი „ვეფხისტყაოსანში“ ერთად დაინეროს. ამ ნინადადებას შხარი დაუჭირეს შ. ძიძიგურმა, ე. მეტრეველმა, ა. ბარამიძემ, ც. კიკვიძემ.

დაადგინეს: ა-ს ბოლოს კომპოზიტივი ერთად (უდეფისოდ) დაინეროს: სიტყუანაზმა. შემდგომ უდეფისოდ დაინეროს ერთცნებიანი კომპოზიტივი.

მთ. რედაქციამ არ გაიზიარა ი. გიგინეიშვილისა და ე. მეტრეველის ნინადადება, რომ ა-ში ნყლიანმან იკითხებოდეს ნყლიანმა-დ.

ს. შ.: ეს ნერილი დაასრულა ენანყლიანმა და ტკბილმოუბარმა, ნელზე ოქრო შემოირტყა (ქამარში ოქროები ჩაიწყო), სამოგზაუროდ მოიკაზმა, თქვა: „მინდოროში ავმხედრდებიო“, ლაშქარიც დაირაზმა; იმნამსე ნამოვიდა, შინ ხანი არ დაყო.

170 ბრძანა: „ნადით ყუელაკაი, აქა მომწრედ არეინ შინა“.

მონებიცა მოიშორვა, თავი გაითაფისინა,

მარტო გარე შემობრუნდა, შამში შიგან გაირბინა,

და მინყიე მისად საგონებლად მისი მკლველი თინათინა.

პ-სთან (სტრ.169) შედარებით, პროექტში ცვლილება არ არის. მთ. რედაქციამ დაამტკიცა ნარმოდგენილი პროექტი, ოლონდ გ-ის ბოლოს მძიმე შეცვალა ნერთილით.

რედაქციას საჭიროდ მიაჩნია შემდგომ საეციალურად იქნეს განხილული თინათინა-ა და მისი მსგავსი შედგენილი შემასმენლების დანერილობის საკითხი.

ი. გიგინეიშვილი თელის, რომ ა-ში მომწრედ-ის ნაცვლად უნდა იკითხებოდეს მეშწრედ.

დაადგინეს: ჯერჯერობით დარჩეს მომწრედ; როცა ი. გიგინეიშვილი ნარმოდგენს სათანადო საილუსტრაციო მასალას, დაუბრუბდეთ მომწრედ || მეშწრედ ფორმათა საკითხს.

რედაქციის ნეერებმა აზრი გამოთქვეს ვარიანტული ნაკითხვების კვლიფიკაციის შესახებ.

ი. გიგინეიშვილი: მე ნინაალმდეგი ვარ, რომ ვარიანტულ ნაკითხვებს მივცეთ კვლიფიკაციები (ვულგარული, გვიანდელი, არქაიზებული და ა.შ.). XII-XIII საუკუნეთა ქართულის ენობრივი ნორმების გადანყვეტა ძნელი საქმეა. შესაძლებელია შეცდომა დაუშუათ ამა თუ იმ ფორმის დაფასებისას. ნეიტრალურობის დაცვა ჯობს ვარიანტების ჩვენებისას.

ე. მეტრეველი: კვლიფიკაციები საჭირო არ არის. თვით მკითხველს მივცეთ საშუალევა ვარიანტებში გარკვევისა.

ც. კიკვიძე: კვლიფიკაციების მინერით ჩვენ მკითხველებს უნდა მივანოლოთ ჩვენი თვალსაზრისი ამა თუ იმ ენობრივი ფორმის შესახებ, რაც ასახავს ჩვენი ცოდნისა და ინფორმაციის დღევანდელ დონეს.

გ. კარტოზია: კვლიფიკაციების მოშლა უბრალო ტექნიკური ოპერაცია კი არ არის, არამედ ძირფესვიანად შეცვლის გამოცემის ხასიათს და ენინაალმდეგება „ვეფხისტყაოსნის“ აკადემორი გამოცემის იმ პრინციპებს, რაც რედაქციას მიღებული აქვს და რის მიხედვითაც მომზადდა პირველი ტომი.

ს. ცაიშვილი: აკადემორ გამოცემაში კვლიფიკაციები აუცილებელია. ეს თავის დროზე გადანყვიტა რედაქციამ.

ა. ბარამიძე: დადგენილი პრინციპები არ უნდა შეიცვალოს. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ვიმსჯელოთ, მისაღებია თუ არა ესა თუ ის კვლიფიკაცია. ხოლო, საერთოდ, მივცეთ თუ არა კვლიფიკაციები, ამაზე ნუ ვიდავებთ.

რედაქციამ განხილულ სტროფთა ვარიანტებიდან ამოიღო კვალიფიკაციები: sic! და დაუმატა: ვულგარული (ყუალაკასა 1674, საგონებლათ 1704), გვიანდელი (ასე 1682), ანმეტი (ძამა 1681), უმართებულო-ს ნაცვლად გვიანდელი მიენერა ფორმებს: მოგეფინოსთ 1673, გმართებთ, გმართებსთ 1684.

ს. შ.: ბრძანა: „ყველანი ნადით, აქ დამხმარედ არაჲს მინდა“. მონებიც მოიშორა, განმარტოვდა, მარტო გამობრუნდა შამბნარი გაირბინა. მუდამ მისი საფიქრალი მისი მკვლელი თინათინია.

## 1974. 25. I

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განხილეს სტრ. 171–173 (პროექტი მოამზადეს გ. კარტოზიამ, ც. კიკვიძემ და ს. ცაიშვილმა კომისიის აპარატის თანამშრომლებთან ერთად).

171 იგი ველი გაირბინა, ლაშქართაგან გაეკიდა;  
ვინმცა ნახა სულიერმან, ანუ ვინმცა ნაეკიდა?

ვის მახუილი ვერას აენებს, მისი მკლველი გაეკიდა.

და მისგან ტუორთი კაეშნისა ტუორთად, ბარგად აეკიდა.

ა-სთან (სტრ.170) შედარებით, პროექტში ცვლილებაა: ნერტილ-შიძიმა დას-მული ა-ს ბოლოს (ნერტილის ნაცვლა) და გ-ს ბოლოს (შიძიმის ნაცვლად).

გ. კარტოზიამ განმარტა, რომ პროექტში მიღებულია სტროფის იმგვარი ნაკითხვა და გაგება, რაც I-ში (და აქედან – II-ში) არის მოცემული. სტროფის შინაარსია: „ის ველი გაირბინა, ლაშქარს მოშორდა. ვინ სულიერი ნახავს ან ვინ ნაეჭუბება? მას (= ავთანდილს), რომელ-საც მახვილი ვერას აენებს, თავისი მკვლელი (= თინათინი) გაჰყავა. მისგან (= თინათინისგან) აკედებული შქონდა კაეშნის შიძიმე ტუორთი“.

ა. ბარამიძემ აღნიშნა, რომ მას I-ს ნაკითხვა უფრო მისაღებად მიაჩნია, ვიდრე სხვა გამოცემებისა. დ-ში მისგან აუცილებლად თინათინს გულისხმობს, ამიტომ ეს ნყობა უფრო სწორია.

შ. ძიძიგური: ბ-ში ნაკიდების, ნაჩუბების აღმნიშვნელი ზმნა საესეებით გასაგები არ არის. იქნებ ნაკიდება აქ ნიშნავს შეხვედრას. შდრ. „რა ნაეკიდა“ = რა შეგემთხვა, რა შეგხვდა“.

ი. გიგინეიშვილი: მე მგონია, აჯობებს, რომ ადგილი შეეუნაცვლოთ სარიტომო სიტყვებს და ბ და გ ასე ნაკითხვით: „ვინმცა ნახა სულიერმან, ანუ ვინმცა გაეკიდა? ვის მახუილი ვერას აენებს, მისი მკლველი ნაეკიდა“. ნაეკიდა გავიგოთ, როგორც გაეკიდა (= გაჰყავა). ცნობილია, რომ ნა პრევერბი ქართულში ხშირად იხმარება გა-ს მნიშვნელობით..

ს. ცაიშვილი: ნაკიდება „გაკიდების, გაყოლის“ მნიშვნელობით „ვეფხისტყაოსანში“ არ გვხვდება.

გ. კარტოზია: შემოთავაზებულ ნაკითხვას – მისი მკლველი ნაეკიდა – ხელნაწერები მზარს არ უჭერენ, კონიექტურაა. ყველა ხელნაწერში მისი მკლველი (ან დამახინჯებული ვარიანტი – მისი მკლავი) დაკავშირებულია გაეკიდა ზმნასთან.

დაადგინეს: პროექტი დამტკიცდეს უცვლელად.

ს. შ.: ის ველი გაირბინა, ლაშქარს გაშორდა; ვინ სულიერი ნახავს, ან ვინ შეჰხვდავს ნაკიდებას? (–ავთანდილს), ვისაც მახვილი ვერას აენებს, მისი მკვლელი (–თინათინი)

გაჰყვა; მისგან (=თინათინისგან) კაენის ტვირთი მძიმე ტვირთად ქონდა აკიდებული (—თინათინის გამო სევდა მძიმე ტვირთად აწვა).

172 რა ლაშქართა ინადირეს და პატრონი მოითუალეს,  
იგი პირმზე ველარ პოვეს, პირი მათი იფერმკრთალეს,  
მათსა დიდსა სისარულსა სიმძიმოლი ანაცვალეს,  
და ყოვლგან რბოდეს საძებარად, ვინცა იყო უცხენმალეს.  
ა-სთან (სტრ. 171) შედარებით, პროექტში ცვლილება არ არის.  
პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: როდესაც მოლაშქრებმა ინადირეს და პატრონი მოიკითხეს, ის პირმზე (—ეთანდლი) ველარ ნახეს [და] გაფითრდნენ, თავიანთი დიდი სისარული მწუხარებით შეცვალეს, ყველგან დარბოდნენ საძებნელად, ვისაც უფრო სწრაფი ცხენი ჰყავდა.

172,1 „ღმერთი, ლომო, შენად ნაცვლად სხუასა ვისცა დანერგუიდეს!“  
დარბოდეს და სხუაგნით სხუათა შაამბეთა მოასხმიდეს;  
ველარა ცნეს მისი საქმე, გაიარა აქათ კიდეს,  
და მისნი სპანი გულმოკლულნი ცხელსა ცრემლსა გარდმოჰყრიდეს.

ა-სთან (სტრ. 172) შედარებით, პროექტში ცვლილებაა: გ-ის ბოლოს ნერტილ-მძიმეა დასმული (მძიმის ნაცვლად). ა-ში სტროფი ძირითადად არის მიჩნეული, აქ კი ჩანართად არის ჩათვლილი შემდეგი მოსაზრებების გამო:

1) სტროფი არ არის A და D რედაქციის ხელნაწერებში, გარდა A<sup>8</sup> A<sup>10</sup> A<sup>12</sup> D<sup>4</sup> D<sup>5</sup>-ისა აქედან A<sup>1</sup> ში აღდგენილია, A<sup>10</sup>-ში შემდეგაა მიწერილი სხვა ხელით ქვემო არშიაზე და, როგორც ჩანს, მომდინარეობს a-დან; ამ გამოცემიდანვე უნდა იყოს შესული A<sup>12</sup>-შიც, რომელიც, საერთოდ, ვახტანგისეული გამოცემის გავლენას განიცდის (ცაიშვილი 1970, 208–209; 1971, 70); D<sup>4</sup>-ში სტროფი აღდგენილია; D<sup>5</sup> კი, როგორც გარკვეულია, მომდინარეობს D<sup>4</sup>-დან (ცაიშვილი 1963, 88–89; შდრ. s, გვ. 019).

2) სტროფი არ არის C<sup>5</sup>-შიც, რომელიც სტროფული შედგენილობით გარკვეულ ნაწილში A რედაქციის ხელნაწერთა გავლენას განიცდის (ცაიშვილი 1970, 205. შდრ. კარბელაშვილი 1969).

3) სტროფი ენობრივად გაუმართავია: ა) ვისმცა დანერგვიდეს – აქ მცა ნაწილაკი ზმნის კავშირებითის ფორმასთან უადგილოა; მის ნაცვლად ცა-ს ნაკითხვაც (როგორც p r-შია) შინაარსობრივად მოუღებელია. ბ) გაიარა აქათ კიდეს ენობრივად გაუმართავი ფრაზაა.

4) სტროფი ნაწილობრივ წინა სტროფების პარაფრაზირებაა (შდრ. ყოვლგან რბოდეს საძებარად, 171a – დარბოდეს და სხუაგნით სხუათა...; ლაშქართაგან გაეკიდა, 170i – გაიარა აქათ კიდეს) და მისი ამოლება თხრობაში შინაარსობრივ ხარვეზს არ ქმნის.

ა. ბარამიძე: სტროფი, უდავოდ, საეჭვოა. ჩვენს გამოცემაში (S) მხოლოდ პირობით გვაქვს დატოვებული პოემის ძირითად ტექსტში. მე ვეზრობი კ. ჭიჭინაძის განცხადებას, რომ უფრო დიდი დანაშაულია პოემას დავაკლოთ ერთი ნამდვილი სტროფი, ვიდრე დაწვებათო ათეული საეჭვო. თუ ოდნავ ეჭვი მაინც გვაქვს, ჯობს, რომ დავტოვოთ, კომენტარში კი მივუთითოთ ამის შესახებ. ი. გიგინეიშვილი: ეჭვს არ ინვესს პროექტში წარმოდგენილი საბუთები, რომლებიც ამტკიცებენ სტროფის ჩანართობას, ოღონდ უნდა ამოვიღოთ ბოლო არგუმენტი, სტროფი წინა სტროფების პარაფრაზს წარმოადგენსო. მაგრამ, საერთოდ, სტროფების ამოლება საძნელო საქმეა, საზოგადოებრივი



თვალსაზრისით ყველაზე მტიკინული ოპერაციაა ტექსტის დადგენისას. ამიტომ სტროფი ჯერჯერობით დარჩეს ძირითად ტექსტში და შემდეგ კვლავ დაფუძრუნდეთ მისი ჩანართობის საკითხს. ამასთან, მართებულად მიმაჩნია სტროფში სტრიქონთა რიგის შეცვლა, ისე როგორც ა. შანიძისა და ა. ბარამიძის გამოცემაშია (ა გადავიტანოთ ბოლოში).

ს. ცაიშვილი: სტროფის ჩანართობას ამტკიცებს ის ფაქტი, რომ იგი არ არის ორ უძველეს (A და D) რედაქციაში და C<sup>5</sup> ხელნაწერში, რომელიც ამ რედაქციების ხელნაწერთა პროტოგრაფიდან უნდა იყოს გადართული. სტროფი ჯერჯერობით ჩავთვალოთ ჩანართად, შემდეგ კი კვლავ დაფუძრუნდეთ ამ საკითხს. რაც შეეხება ტაეპების თანმიმდევრობის შეცვლას, ასეთი რამ ხელნაწერთა ჩვენების სანინააღმდეგო მოქმედება იქნება.

გ. კარტოზია: ტაეპების ამგვარი წყობა პირვანდელი წაკითხვის დამახინჯების შედეგი კი არ არის, არამედ სტროფის ჩანართობის ერთ-ერთი დამატებითი საბუთია. ტაეპის გადასმით და სტროფის გამართვით კი ჩვენ ხელს შეუწყობთ ჩანართი სტროფის ძირითად ტექსტში დამკვიდრებას. ამიტომ ტაეპის გადასმა არ არის მიზანშეწონილი.

დაადგინეს: სტროფი დროებით გადატანილ იქნეს ჩანართებში. შემდგომ კვლავ დაფუძრუნდეთ მისი ნამდვილობის საკითხს. ტაეპების რიგი დარჩეს ისე, როგორც წარმოდგენილ პროექტშია.

ს. შ.: „ლომო, ღმერთი შენს ნაცვლად სხვას ვის გააჩენს!“ დარბოდნენ და სხვა მხრიდან სხვა მოამბე მოჰყავდათ; ველარ გაიგეს მისი (=ათვანდილის) ამბავი, (წავიდა აქედან); მისი გულმოკლული მეომრები ცხელ ცრემლებს აფეკვედნენ.

- 173 შერმადინ ერთგან შეყარნა ხასნი და დიდებულები,  
ურჯენა იგი უსტარი, ამბავი მისი თქმულები;  
რა მოისმინეს, ყუელი დარჩა გულდანაწყულები;  
და თავსა იცემდეს, არ იყო გული უცრემლო, ულები.

ს-სთან (სტრ. 173) შედარებით, პროექტში ცვლილებაა: ნერტილ-მძიმეა დასმული: ბ-ის ბოლოს (ნერტილის ნაცვლად) და გ-ის ბოლოს (მძიმის ნაცვლად).

ბ-ის ბოლოს აღდგენილ იქნა ნერტილი. პროექტი დამტკიცდა.

განხილულ სტროფთა ვარიანტიებიდან რედაქციამ ამოიღო კვალიფიკაციები: sic!, აგრეთვე: გვიანდელი (მოასხემდეს (173,1<sub>2</sub>), შეცდომით (დიდებულები 173<sub>1</sub>; იცემდებს 173<sub>4</sub>; ულევი 173<sub>4</sub>), უმართებულო (დიდებულობი 173<sub>1</sub>).

ს. შ.: შერმადინმა ერთად შეკრიბა წარჩინებულები, ურჯენა ის წერილი, უამბო მისი (ათვანდილის) ნათქვამი. რომ მოისმინეს, ყველა გულმოკლული დარჩა; თავში ხელს იცემდნენ, არაიენ იყო აუტირებელი და შუენუხებელი.

## 1974. 8. II

სდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განხილეს სტრ. 173,1–178(პროექტი მოამზადეს გ. კარტოზიამ, ც. კიკვიძემ და ს. ცაიშვილმა კომისიის აპარატის თანამშრომლებთან ერთად).

173,1 შერმადინ უთხრა: „მართალ ხართ, თუ ცრემლსა თუალთათ დამილდეთ,

მაგრამ გუჯობს, რომ მისა ბრძანებასა დავემორჩილდეთ, არა გავრყუნათ სამსახური, მის წინაშე არ დავნბილდეთ, და ცხადად გუჯონდეს სიხარული, სიმძიმისა გარდაცვილდეთ“.

X-თან (სტრ. 247) შედარებით, პროექტში ცვლილებაა: ა დამილდეთ (< დაპილდეთ), გ გავრყუნათ (< გავრყნათ), დავნბილდეთ (< დავსნბილდეთ); ა და ბ-ის ბოლოს ნერტილ-მძიმის ნაცვლად მძიმეა დასმული.

სტროფი ჩათვლილია ჩანართად, რადგან: ა) მას არ იცნობს A რედაქციის ზოგიერთი ხელნაწერი და C<sup>5</sup> (შდრ. 171,1-ის კომენტ.); ბ) დარღვეულია რიტმი: არეულია მაღალი და დაბალი შაირით დანერილი სტრიქონები. ზოგიერთ ხელნაწერში (A<sup>4</sup> A<sup>9</sup> D<sup>1</sup> D<sup>2</sup>) არის ცდა ამ დარღვევის გასწორებისა.

ი. გივინიშვილი: სტროფში ა დაბალი შაირით არის ნაწერი, დანარჩენი სამი ტაეპი – მაღლით. საჭიროა ა გასწორდეს D<sup>1</sup> D<sup>2</sup>-ის მიხედვით (მერმე უთხრა: „უმართლე ხართ, თუცა ცრემლსა თვალთა მილდეთ), მთელი სტროფი მაღალი შაირით გაემართოთ.

ა. ბარამიძე, გ. კარტოზია, ც. კიციძე შენიშნეს, რომ აღნიშნული ხელნაწერები, საერთოდ, ნარედაქციევი წუსხებია და ისინი ალბათ არც ამ ტაეპში იცავენ ძველ ნაკითხვას. ასევე ნასწორები წუსხებია A<sup>4</sup> A<sup>9</sup>. ამიტომ ამ ხელნაწერების მიხედვით სტროფის გამართვა არ იქნება მართებული.

დაადგინეს: დარჩეს ა-ს პროექტისეული ნაკითხვა.

ს. შ.: შერმადინმა უთხრა: „მართალი იქნებით, თუ თვალებიდან ცრემლს დაღვრით, მაგრამ გუჯობს, რომ მის ბრძანებას დავემორჩილოთ, (მის) სამსახურს წუ შევბილნავთ, მის წინაშე არ გავნბილდეთ, სიხარული ამკარად გვემწნეოდეს, მწუხარებას დავცილდეთ“.

174 ყოვლთა ჰკადრეს: „თუცა ყოფა ჩვენ უმისოდ გუვარმისცა, უშენოსა საჯდომი და ტახტი მისი ვისმცა მისცა? განალამცა გმორჩილობდით, თუ გუიბრძანო რაცა ეისცა!“  
და იგი მონა პატრონეს, ყუელაკამან თაყუნასცა.

ა-სთან (სტრ. 174) შედარებით, პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ყველამ ჰკადრა: „თუმცა ჩვენ უმისოდ ყოფნა კიდევაც გვეარმება (არმადაც მიგვარნია), შენ გარდა თავის ტახტს ვის მისცემდა? დიახაც დავემორჩილებით, ვისაც რას გვიბრძანებთ!“ ის მონა (შერმადინი) პატრონად დასკეს, ყველამ თაყვანი სცა.

175 ამ საქმესა მემონებების დიონოსი ბრძენი, ეზროს: საბრალთა, ოდეს ვარდი დაეთრთუილოს, და-ცა-უზროს, ვის ბალახში არა ჰგვანდეს და ლურნამი ტანად ეზროს, და იგი სადმე გალარიბდეს, საყოფთაგან იაბეზროს.

ა-სთან (სტრ. 175) შედარებით, პროექტში ცვლილება არ არის.

ა. ბარამიძე: ა-ში მძიმე უნდა გადაისვას: „დიონოსი, ბრძენი ეზროს“. ასე აჯობებს ლექსთწყობის თვალსაზრისით. ვარიანტებში უნდა აისახოს, თუ როგორ სვამენ სასვენ ნიშანს გამოძეკვლები („დიონოსი, ბრძენი ეზროს“ თუ „დიონოსი ბრძენი, ეზროს“?). რაც შეეხება ტაეპის შინაარსს, ამაყრად წუ ვიმსჯელებთ მასზე, შემდეგ სპეციალურად დავუბრუნდეთ ამ საკითხს.

გ. კარტოზია: პროექტში წარმოდგენილი ნაკითხვა ტაეპისა, ე. ი. ბრძენ სიტყვის მიჩნევა დიონოსის მსაზღვრელად უფრო მართებული ჩანს. შდრ. პოემის სხვა ადგილი,

სადაც დიონოსი (დიენოს) ისევ ამ ეპითეტით არის მოხსენებული: „ამ საქმესა დაფარულსა ბრძენი დიენოს გააცხადებს“ (1478;).

დაადგინეს: გადაისვას მძიმე: „დიონოსი, ბრძენი ეზროს“.

ს. შ.: ამას შემონიშნა ბრძენი დიონოსი და ეზროსი: შესაბრაღისია, როდესაც ვარდი დაითრთვილება [და დაზრება. ვისი მსგავსი ლალიც არ არის და ვისაც ლერწამივით ტანი აქვს, უცხოეთში გაემგ ზავრება, თავის სამკვიდრებელს მოშორდება.

176 აუთანდილ იგი მინდორი ოთხახმით გარდაიარა,  
დაადგო ზღვარი არაბთა, სხუათ ზღვართა არე იარა,  
მაგრამ მის შზისა გაყრამან სიცოცხლე გაუზიარა;

და თქვა: „თუ მე მასმცა ვეახელ, ან ცხელსა ცრემლსა ვლური არა“.

პ-სთან (სტრ. 176) შედარებით, პროექტში ცვლილება არ არის.

პროექტი მიღებულ იქნა. რედაქციის ნევერებმა გადაწყვიტეს შემდგომში კვლავ დაუბრუნდნენ დ-ის ნაკითხვისა და გაგების საკითხს.

ა. ბარამიძესა და ე. მეტრეველს მიანიათ, რომ მას (მასმცა ვეახელ) გულისხმობს ტარიელს, სხვების აზრით, აქ თინათინი იგულისხმება.

ს. შ.: აუთანდილმა ის მინდორი დაოთხებით (ჭენებით) გადაიარა, დატოვა არაბთა საზღვარი, სხვა ქვეყნების არე (მიდამო) თავის არედ აქცია. მაგრამ იმ შზის (=თინათინის) გაყრამ (დამორება) სიცოცხლე გაუნახევრა; თქვა „მე რომ მასთან (=თინათინთან) ვიყო, ახლა ცხელ ცრემლს არ დავლერიდი“.

177 ახალმან ფიქმან დათოვა, ვარდი დათრთვილა, დანასა;  
მოუნდის გულსა დაცემა, ზოგჯერ მიმართის დანასა;  
თქვის: „ჭირი ჩემი სოფელმან ოთხმოცდაათი ანასა,

და მოეშორდი ლხინსა ყუელასა, ჩანგსა, ბარბითსა და ნასა!“

პ-სთან (სტრ. 176) შედარებით, პროექტში ცვლილება არ არის.

შ. ძიძიგური: გ-ის სარითმო ანასა-ში გაურკვეველია ნ თანხმოვნის არსებობა. პრევერებთან ამ ნ-ის ხმარება დ. გურამიშვილის ენაში ინდივიდუალური მოვლენა ჩანს. არც ძველ ქართულში, არც თანამედროვე დიალექტებში ასეთი ფორმები არ გვხვდება.

ი. გიგინეიშვილი: პრევერების შემდეგ ნ-ის დართვა მხოლოდ დ. გურამიშვილს არ ახასიათებს. ეს მოვლენა სხვა ავტორებთანაც დასტურდება.

დაადგინეს: დარჩეს ნაკითხვა ანასა (= ა-ნ-ასა).

ა. ბარამიძეს მიანიათ, რომ დ-ში ყუელასა-ს შემდეგ, მძიმის ნაცვლად, უნდა დაინეროს ორნერტილი ან ტირე.

ი. გიგინეიშვილი მომხრეა ტირეს დაწერისა.

შ. ძიძიგურს, ს. ცაიშვილს, ც. კიკვიძეს მიანიათ, რომ ყუელასა აქ განმაზოგადებელი სიტყვა არ არის. ყუელა, ჩანგი, ბარბითი და ნა ერთგვაროვანი ნევერებია. ამიტომ ყუელა-ს შემდეგ მძიმე უნდა დარჩეს.

დაადგინეს: დარჩეს მძიმე.

ს. შ.: ახალმა ფიქმან (ცრემლებმა) დათოვა, დათრთვილა, დააუშოვა ვარდი (პირისახე); ზოგჯერ გულში (დანის) დაცემა მოუნდებოდა ხოლმე, დანას იღებდა; ამბობდა: ჩემი გაჭირება ნუთისოფელმა გაამრავლა (ოთხმოცდაათი ასად აქცია), მოეშორდი ყოველგვარ მზიარულებას, ჩანგს, ბარბითს და სალაბურს!“

178 ვარდი მის შვისა გაყრილი უფრო და უფრო ჭნებოდა,  
გულსა უთხრის, თუ: „დათმო“, ამაღ არ ღია ბნდებოდა.  
უცხო უცხოთა ადგილთა საძებრად იარებოდა,  
და მგზავრთა ჰკითხვიდის ამბავთა, მათ თანამოყურებოდა.

ა-სთან (სტრ. 178) შედარებით, პროექტში ცვლილება არ არის.

გ. კარტოზია: ა-ში მის შვისა გაყრილი განკერძოებული განსაზღვრებაა და ამიტომ მძიმებით უნდა გამოიყოს.

შ. ძიძიგური: მართლწერის წესების მიხედვით, მძიმეები აქ თუმცა საჭიროა, მაგრამ ლექსში არ ხმარობენ და წურვ აქ დაწვრილ.

დაადგინეს: ტაეპის ნაკითხვა დარჩეს უცვლელად.

განხილულ სტროფთა ვარიანტებიდან რედაქციამ ამოიღო კვალიფიკაციები: დამახინჯებული (შერამდინ 173,1; გუეარ მისცა [= გუეარმისცა] 173; ოთხთა წმით [= ოთხახმით], უმართებულო (თვალთად 173,1; დაუმორჩილდეთ 173,12), შეცდომით (თავკანი სცა 1734); ოთხზე ახმე, ოთხ ამოწმიე 176).

ს. შ.: იმ მზესთან (=თინათინთან) გაყრილი ვარდი (=ავთანდილი) უფრო და უფრო ჭნებოდა, გულს ეუბნებოდა: „მოითმინეო“, ამიტომ ძალიან არ იბნიდებოდა. უცხოელი უცხო ადგილებში საძებნელად დადოდა, მგზავრს ეკითხებოდა ამბავს, მათ უმეგობრდებოდა.

## 1974. 22. II

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს სტრ. 175,1; 175,2; 177,1; 177,2; 178,1; 179–184 (პროექტი მოამზადეს გ. კარტოზიამ, ც. კიკვიძემ და ს. ცაიშვილმა კომისიის აპარატის თანამშრომლებთან ერთად).

175,1 ტარიას ძებნად ავთანდილ მივა თეთრისა ცხენითა;  
მას რომ შეკაზმა უხდების, ვინძი თქუათ ქება ენითა;  
ხელს ეძებს თუთოცა ხელქნილი მარტო ცრემლისა დენითა,  
და გულსა სჭრის შავი ნაშაპნი იგ ზედა-ზედა ძგვრითა.

x-თან (სტრ. 250) შედარებით, პროექტში ცვლილებაა: ა და ბ-ის ბოლოს ნერტილ-მძიმის ნაცვლად მძიმე და ტირეა დასმული.

პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ტარიელის საძებნელად ავთანდილი თეთრი ცხენით მიდის, - მას რომ შეკაზმვა უხდება, ენით ვინ იტყვის ქებასა, - ცრემლის დენით მარტომმარტო ეძებს შმაგს თვითონაც გამმაგებული, გულს უჭრის (თინათინის) შავი ნაშაპები ზედიზედ ძგვრებით.

175,2 მივიდოდა, მოუბნობდა, პირსა მზესა ანათებდა;  
თინათინის გონება ჰკლავს, სხუათა შუქა დაავსებდა;  
მიტარის და ღმერთსა მადლობს, შემზედველთა ადლებდა,  
და იტყვის: „ნახეთ ეს სოფელი“, ბედსა მისსა უწუენებდა.

x-თან (სტრ. 251) შედარებით, პროექტში ცვლილებაა: ა მოუბნობდა (< მოუბნოდა), პირსა მზესა (< პირსა, მზესა), გ მადლობს (< ჰმადლობს), ა და ბ-ის ბოლოს მძიმეა

ნერტილ-მძიმის ნაცვლად. ს. ცაიშვილმა აღნიშნა, რომ განსახილველი ჩანართი სტროფები, რომელთა ჩანართობა ეჭვს არ იწვევს, არ არის სწორედ იმ ხელნაწერებში, სადაც არ არის „ღმერთი, ღოგო, შენად ნაცვლად...“. ესეც მოწმობს ამ უკანასკნელი სტროფის ჩანართობას.

პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მიდიოდა, მილაპარაკობდა, მზესავით პირისახეს ანათებდა, თინათინზე ფიქრი კლავს, სხეების შუქს აბნელებდა, ტირილით მიდის და ღმერთს მადლობს, შემზედველთ ატირებდა, ამბობს: „ნახეთ ეს წუთისოფელი“, თავის ბედზე უთითებდა.

177,1 მოგონის მისი მკულელი, შეყვარის ჯორცთა თრთოლა,  
დახუდის მუცი, ფიცხლა მოკლის, არ შეზარდის მისგან ყოლა, –  
„შენგან კიდე, მზეო, ჩემი შეუძლია ვისმცა ბრძოლა?“

და მოგძულდი და გამომავდე, ოხრად დამრჩეს საათა ყოლა“.

x-თან (სტრ. 254) შედარებით, პროექტში ცვლილებაა: ბ ფიცხლა (< ფიცხლად), დამრჩეს (< დამრჩა); ა-ს ბოლოს მძიმეა (ნერტილ-მძიმის ნაცვლად), ბ-ის ბოლოს კი – მძიმე და ტირე (ნაცვლად ორნერტილისა); გ-ის ბოლოს მოშლილია ტირე და კითხვითი ნიშანია დატოვებული.

ს. შ.: მოაგონებოდა თავისი მკულელი, დაეწყებოდა სხულის კანკალი, - მხეცი რომ შეხედებოდა, სასწრაფოდ მოკლავდა, მისი სრულად არ შეეშინებოდა, - „მზეო (იგულისხმება თინათინი), შენ გარდა ვის შეუძლია ჩემთან ბრძოლა? მოგძულდი და გამომავდე, ოხრად დამრჩა ლაშქარი“.

პროექტი მიღებულ იქნა, ოღონდ ა-ს ბოლოს მძიმეს მიენერა ტირე, ამით ბ გამოიყო, გ და დ კი დაუკავშირდა ა-ს.

177,2 საყვარელი მოგონის, გაუახლდის ცეცხლი ალთა, –  
„ჰე, სოფელო, შეგებრალდე, ნუ სჯი ბედსა შესანყალთა,  
შემოქმედო, მიმბარუნე, რომელი სცნობ იდუმალთა“, –

და ეს თქვა და სისხლის ცრემლი გარდმოსეტყუა მელნის თუალთა.

x-თან (სტრ. 255) შედარებით, პროექტში ცვლილებაა: ბ „ჰე, (< ჰე), დ გარდმოსეტყუა (< გამოსეტყუა); ა-ს ბოლოს მძიმეა და ტირე (ნერტილ-მძიმის ნაცვლად) და ბ-ის ბოლოს კი – მძიმე (ნერტილ-მძიმის ნაცვლად). რედაქციამ ა-ს ბოლოს ორნერტილი დასვა (მძიმისა და ტირეს ნაცვლად) და გ-ის ბოლოს მოშალა ტირე. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: საყვარელი რომ მოაგონებოდა, ცეცხლი გაუახლდებოდა: „ჰე, წუთისოფელო, შეგეცოდო, შესაბრალბელთა ბედს ნუ განსჯი შემოქმედო (ღმერთო), რომელმაც იცი იდუმალი, დამბარუნე!“ – ეს თქვა და მელნისფერი თვალებიდან სისხლიანი ცრემლი გადმოყარა.

178,1 იგი პირად მსგავსი მზისა, ერთობ მოკლის სრულად ხმელთა,  
ქვეყანათა უნახეთა, ოხერთა და კაცრიელთა,

არ დაავდებს უნახავად წყალთა, კლდეთა, ტყეთა, ველთა,

და მღარიბს კითხავს მაშრიველთა, რომს, ჩინელთა, მაჩინელთა.

x-თან (სტრ. 257) შედარებით, პროექტში ცვლილებაა: მსგავსი მზისა (< მზისა მგზავსი), დ რომს, ჩინელთა (< პრომს – ჩინელთა), ბ-ის ბოლოს მძიმეა (ნერტილ-მძიმის ნაცვლად), გ-ის ბოლოს კი – ნერტილ-მძიმე (მძიმის ნაცვლად).

რედაქციამ დ-ში „მალრიბს შკითხავს მაშრიყელთა“-ს ნაცვლად მიიღო „მალრიბს შკითხავს, მაშრიყელთა“ (მძიმე დაისვა). პროექტი ამ ცვლილებით დამტკიცდა.

ს. შ.: ის, სახით მზისა მსგავსი, ერთიანად მოივლის მთელ ხმელეთს, უნახავ, დაუსახლებელ და დასახლებულ ქვეყნებს, უნახავად არ ტოვებს მდინარეებს, კლდეებს, ტყეებს, ველებს; ეკითხება მალრიბელებს, მაშრიყელებს, რომაელებს, ჩინელებს, მაჩინელებს.

**179** მუნ ეძებს, ცრემლი მტირალსა სდის, ზღვათა შესართავისად;  
უჩნდის ქუეყანა ტახტად და მკლავი სადებლად თავისად;  
თქუის: „საყურალო, მოგშორდი, გული შენ დაგრა, ვთქვა ვისად?  
და შენთვის სიკვდილი მეყოფის ღმინად ჩემისა თავისად“.

ა-სთან (სტრ. 179) შედარებით, პროექტში ცვლილებაა: ა-სა და ბ-ის ბოლოს ნერტილ-მძიმეა (ნერტილის ნაცვლად). პროექტი მიღებულ იქნა.

რედაქციის ნევრებმა იმსჯელეს ა-ს შინაარსის შესახებ.

შ. ძიძიგურმა და გ. კარტოზიამ აღნიშნეს, რომ „ზღვათა შესართავისად“ ნიშნავს: „ზღვათა შესართავის მსგავსად“.

ს. ცაიშვილი: აქ გვაქვს პოეტური ლიცენცია. ნანათესაობითარი ვი-თარებითი ნახმარია სახელობითის ნაცვლად („ზღვათა შესართავი-სად“ = „ზღვათა შესართავი“). შდრ. „მომეც მიყნურთა სურვილი სიქუ-დიდმდე გასატანისა“ (2ვ), სადაც „გასატანისა“ = „გასატანი“.

ი. გიგინეიშვილი: შეუძლებელია აქ ლიცენცია გეკონდეს. ჯერ ერთი, „შესართავისად“ ა-შია და სტროფში რითმა მის მიხედვით არის გამართული. შემდეგ: „სდის ზღვათა შესართავისად“ სხვაგანაც გვხვდება პოემაში (1241<sub>1</sub>). ეს რუსთველისთვის ბუნებრივი გამოთქმაა. პოეტი ლიცენციას არ გაიმეორებდა. ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ ეს ფრაზა შორდება პოემის სხვა ადგილებში ადადასტურებულ შესიტყვებას: „ატირდა ცრემლითა ზღვათაცა შესართავითა“ (218<sub>2</sub>; 834<sub>2</sub>), სადაც „ზღვათა შესართავი“ სხვა სიტყვის („ცრელითა“-ს) მსაზღვრელია. 179 (და 1241-ში კი „ზღვათა შესართავს“ მსაზღვრელად ვერ ჩავთვლით).

გ. კარტოზია: „ზღვათა შესართავი“ 178, 1241-შიც მსაზღვრელია, ოღონდ მასთან საზღვრული სახელი გამოტოვებულია, იგულისხმება. ტაეპის აზრია: „სდის ცრემლი ზღვათა შესართავი ცრემლის მსგავსად“.

ს. შ.: იქ ეძებს, მტირალს ზღვათა შესართავის მსგავსად სდის ცრემლი; მინა ტახტად პქონდა და მკლავი თავის სადებლად; ამბობდა: „საყურალო, მოგშორდი, ჩემი გული შენ დაგრა, ვისად ჩავთვალო? შენთვის სიკვდილი მეყოფა ჩემი თავის სალხენად“.

**180** ყოელი პირი ქუეყანისა მოვლო, სრულად მოიარა,  
ასრე რომე ცასა ქუეშე არ დაურჩა, არ იარა,  
მაგრა იგი მის ამბისა მსმენელსაცა ვერ მიშუდარა.  
და ამას შიგან წელიწადი სამი სამ თუდ მიიყარა.

ა-სთან (სტრ. 180) შედარებით, პროექტში ცვლილება არ არის.

შ. ძიძიგური: ბ-ში სარიტმო სიტყვა II თურმეობითში უნდა იყოს და არა წყვეტილში, ე. ი. „არ იარა“-ს ნაცვლად უნდა ნაეკითხოთ: „არ ეარა“, როგორც გვაქვს ზოგიერთ ხელნაწერში.

გ. კარტოზია: აქ ეა კომპლექსი, მართლაც, უფრო ძველი უნდა იყოს. ეა > ია უფრო საგულეებელია, ვიდრე პირიქით, მაგრამ ეს შესწორება საკმარისი არ არის ტაეპის გამართვისათვის. სტროფში მაინც რჩება ტავტოლოგიური რითმა (ა მოიარა, ბ ეარა). ბ-ის

ბოლო ორი სიტყვა სხვაგვარად უნდა დავყოთ: არე არა, მათ წინ კი მძიმე ამოცილოთ, როგორც  $o \quad q \quad r \quad y$  გამოცემებში გვაქვს: „ასრე რომე ცასა ქვეშ არ დაურჩა არე არა“. ეს ნიშნავს: „ცის ქვეშ არ დაურჩა არავითარი ადგილი“.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს ნაკითხვა: „არ დაურჩა არე არა“.

ს. შ.: მთელი ქვეყანა სულ დავლო და მოიარა, ასე რომ ცის ქვეშ ერთი ადგილიც არ დარჩა მას [მოუღვლეო], მაგრამ იგი იმ ამბის მსმენელსაც არ შეხვედრია. ამასობაში სამი წელიწადი სამ თვემდე მიიწურა.

- 181 მიხუდა რასმე ქვეყანასა, უდაბურსა, მეტად მქისსა;  
თუ ერთ კაცსა ვერ ნახოდა, ვერას შვილსა ადამისსა, —  
იგი ჭირი არ უნახავს არ რამინს და არცა ვისსა, —  
და დღე და ღამე იგონებდის საყურელსა მასვე მისსა.

პ-სთან (სტრ. 181) შედარებით, პროექტში ცვლილებაა: ბ-ის და გ-ის ბოლოს მძიმის შემდეგ დასმულია ტირე. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მოხვდა ერთ უგემურ (უფერულ), ერთობ მწირ ქვეყანაში, ისე გავა თვე, კაცსაც არ შეხვდება, ვერა ძეხორციელს, — ის გაჭირდება არ უნახავს არც რამინს და არც ვისს, — დღედაღამ თავისავე სატრფოზე ფიქრობდა.

- 182 მას მიხუდა წვერი სადგურად მალისა მთისა დიდისა,  
გამოჩნდა მუნით მინდორი, სავალი დღისა შვიდისა.  
მის მთისა ძირსა წყალი დის, არად სანდომი წიდისა,  
და ორგნითვე ტყესა შეეკრა ნაპირი წყლის კიდისა.

პ-სთან (სტრ. 182) შედარებით, პროექტში ცვლილება არ არის.  
პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: დიდი მალალი მთის წვერზე გაჩერდა (დიდი მალალი მთის წვერი ერგო სადგომად), იქიდან გამოჩნდა შვიდი დღის სავალი მინდორი. იმ მთის ძირას მდინარე მოედინება [იმდენად პატარა, რომ] ხიდი არ უნდა, მდინარის ნაპირი ორივე მხრიდან ტყით იყო შეკრული (მდინარის ნაპირებს ტყე მოუყვებოდა).

- 183 ზედ ნაადგა, შეექცევის, დროთა, დღეთა ანგარიშობს;  
თუნი ესხნეს ორანილა, ამაღ სულთქუამს, არა იშობს;  
„ვაჲ თუ საქვე გამიმგლანდეს! — კულა ამისთვის გულმომიშობს, —  
და აესა კარგად ვერინ შესცვლის, თავსა ახლად ვერინ იშობს“.

პ-სთან (სტრ. 183) შედარებით, პროექტში ცვლილებაა: გ ვაჲ (< ვა).

ი. გიგინეიშვილი: ბ-ში ნაკითხვა „არა იშობს“ მოუღებელია. „იშობს“ მწუხარების გამოხატველი ზმნაა, ამიტომ უპირატესობა უნდა მიეცეთ ხელნაწერებში დადასტურებულ ვარიანტს: „ამად იშობს“.

გ. კარტოზია: „იშობს“ ზმნა ნაწარმოებია „იშ“ შორისდებულისგან, რომელიც პოემის ძირითად ტექსტში ორგან გვხვდება და ორგანვე აღტაცების, სიხარულის გამოხატველია („იშ, თავი ვისხენ მე რულად“, 11944; „ერთგულთა შექმნეს ვაება, მტერთა — ხსენება იშისა“, 3274), ამიტომ უცვლელად უნდა დარჩეს ტაეპში ნაკითხვა: „ამად სულთქუამს, არა იშობს“.

ი. გიგინეიშვილი: ფატმანის ნათქვამში (11944) იმ აუცილებლად აღტაცებას, სიხარულს არ გამოხატავს. 3274-ში კი მას ასეთი მნიშვნელობა, მართლაც, აქვს. იმ შორისდებული პოემაში, როგორც ჩანს, ორივე მნიშვნელობით იხმარება: გამოხატავს სიხარულსაც და მწუხარებასაც. 1832-ში მწუხარების გამოხატველი უნდა იყოს.

გ. კარტოზია: ეჭვი არ არის, რომ იმ ფაქტმანის ნათქვამშიც მხოლოდ სიხარულს გამოხატავს. ჭაშნაგირის მოკვლა ფაქტმანისათვის სასიხარულო ამბავია. იმ „ვტ“-ში მხოლოდ სიხარულის გამოხატულება.

დაადგინეს: დარჩეს ნაკითხვა: „ამად სულთქუამს, არა იშობს“.

ს. შ.: ზედ გადაადგა [მთას], ერთობა [ჭერეტი], დროს, დღეებს ითვლის, ორი თველა ჰქონდა დარჩენილი, ამიტომ ოხრავს, არ იღებენს; „ვაი თუ ჩემი ამბავი გამტლავნდეს! – ისევე ამის გამო შიშობს, – ცუდს კარგით ვერაფერ შეცვლის, თავს ხელახლა ვერაფერ იშობს“.

184 საგონებელი შეექმნა, დადგა საქმისა მრჩეველად,  
თქვა: „თუ დაებრუნდე, ეზომი ხანი რად დაეყავ მე ველად?  
ჩემსა რა ეჰკადრო მნათობსა, ვიყავ რად დღეთა მღვეველად,  
და მისი ვერა ვცნა ჭორადცა, ვარ ვისთა გზათა მკულეველად?“

ს-სთან (სტრ. 184) შედარებით, პროექტში ცვლილება არ არის

ც. კიკვიძე: დ-ში კითხვითი წინადადების ნაცვლად უფრო თხრობითი მოსალოდნელი (მდრ. გ). ამიტომ II კავშირებითის ნაცვლად ზმნა წყვეტილი უნდა დავაყენოთ: „ეცან“, ტაეპის ბოლოს კი კითხვითი ნიშნის ნაცვლად დავსვათ ნერტილი.

გ. კარტოზია: ასეთი სწორება საჭირო არ არის. დ-ში კითხვითი წინადადება საცხებით გასაგებია. ოღონდ იმისათვის, რომ გ და დ ერთ წინადადებად არ იქნეს გაგებული, გ-ის ბოლოს მძიმის ნაცვლად ნერტილ-მძიმე დავსვათ.

დაადგინეს: დ-ის ნაკითხვა დარჩეს უცვლელად, გ-ის ბოლოს მძიმის ნაცვლად დაისვას ნერტილ-მძიმე.

რედაქციამ იმსჯელა ტექსტის დადგენისათვის მოსაშზადებელი სამუშაოების წარმოების წესზე. იმისათვის, რომ დაქარდეს მუშაობის ტემპი და გაიზარდოს მთავარი რედაქციისათვის მომზადებული სტროფების რიცხვი, რედაქციამ მოინონა ს. ცაიშვილის წინადადება, რომ ჩამოყალიბდეს კომისიის აპარატის თანამშრომელთა სამი ფგუფი გ. კარტოზიას, ც. კიკვიძის, ს. ცაიშვილის ხელმძღვანელობით. ფგუფები დამოუკიდებლად მოამზადებენ ცალკეულ მონაკვეთთა დადგენილი ტექსტის პროექტს.

ს. შ.: საგონებელში ჩაეარდა, დაიწყო საქმის აწონ-დაწონვა, თქვა: „რომ დაებრუნდე, ამდენი ხანი რატომ ვიყავი ველად გაჭრილი? ჩემს მნათობს რა მოვახსენო, ამდენი დღე რატომ დავკარგე; ჭორადც ვერ გავიგო მისი ამბავი, ვის გზა-კვალსაც ვეძებ?“

## 1974. 7. III

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, მეტრეველი, ს. ცაიშვილი.

განიხილეს სტრ.: 185–190 (პროექტი მოამზადა III ფგუფმა), 191–192 (პროექტი მოამზადა I ფგუფმა).

185 თუ არ დაებრუნდე, სატებრად დაეყენე სხუანიცა ხანანი,  
რომელსა ვეძებ, ვერა ვცნე ამბავი მე მისთანანი,  
დრო გარდაუწყდეს შერმადინს, მიხუდეს ლაწუნისა ბანანი,  
და მივიდეს, ჰკადრნეს მეფესა საქმენი დასაგვანანი.



ა-სთან (სტრ. 185) შედარებით, პროექტში ცვლილება არ არის.

ი. გიგინეიშვილი: სტროფის ბოლოს წერტილის ნაცვლად მძიმე უნდა დაისვას, რადგან არ შეიძლება ამ სტროფისაგან მომდევნო სტრო-ფის ტაქების გამოყენება.

დაადგინეს: სტროფის ბოლოს დაისვას მძიმე.

ს. შ.: რომ არ დაგვრუნდე, საძებნელად კიდევ დაეყო დრო, ვისაც ვეძებ, ვერ გავიგო მისი ამბავი, შერმადინისათვის დათქმული დრო ამოიწუროს, დაიწყოს ტირილი (ღანგებების ბანა), მივიდეს და მოახსენოს მეფეს [ამ მდგომარეობის] შესაფერისი ამბავი.

186 უამბოს ჩემი სიკუდილი, თუთი ჩემგან დავედრებულო,  
მათ შექმნან გლოვა-ტირილი, ქმნან საქმე გამწარებულო,  
მერმე მივიდე ცოცხალი მე, სხუაგან სადმე რებულო!"  
და ამას იგონებს ტირილით გონებაშეიწრებულო.

ა-სთან (სტრ. 186) შედარებით, პროექტში ცვლილება არ არის.

პროექტი მიღებულ იქნა

ს. შ.: უამბოს ჩემი სიკუდილი, როგორც მე დაუბარე, მათ შექმნან გლოვა-ტირილი, გამწარდნენ, მერმე ცოცხალი მივიდე, სადღაც სხუაგან ნავალი" ამაზე ფიქრობს ტირილით გაოგნებული.

187 იტყუის: „ღმერთო, სამართალი შენნი ჩემთვის რად ამრუდენ?  
მე უზომნი სიარულნი კიდე რად, გლახ, გამიცუდენ?  
გული ჩემით სიხარული აჟღებურენ, ჭირნი დააბუდენ;

და დღეთა ჩემთა ცრემლნი ჩემნი ვერაოდეს დავიყუდენ".

ა-სთან (სტრ. 187) შედარებით, პროექტში ცვლილებაა: ბ-ის ბოლოს კითხვის ნიშნისა (მძიმის ნაცვლად), გ-ის ბოლოს კი წერტილი-მძიმეა (კითხვის ნიშნის ნაცვლად).

ი. გიგინეიშვილი: ძალიან დამაფიქრებელია, რომ გ-ში მიღებული ნაკითხვა „ჭირნი დააბუდენ“ მხოლოდ ერთ ხელნაწერშია (D<sup>1</sup>), უმრავლესობაში გვაქვს „ჭირთა დაუბუდენ“. დაადგინეს: სტროფის კომენტარი მოამზადოს ი. გიგინეიშვილმა.

ს. შ.: ამბობს: „ღმერთო, შენი სამართალი ჩემთვის რატომ გაამრუდე? მე ადენი სიარული კიდე რატომ გამიცუდე? ჩემი გულიდან აღმოფხვერი სიხარული, დააბუდე მწუხარება; ჩემს სიცოცხლეში ცრემლები ვერასდროს შევიჩრეე“.

188 კულა ცა იტყუის: „დათობა სჯობს“, და თავსავე ეუბნების:

„დღეთა მეტად ნუ მოჰკუდები, გული ჩემი ნუ დადნების,  
ულმართოდ ვერას ვერ მოუანე, ცრემლი ცუდად შედინების,

და განგებასა ვერეინ შესცვლის, არსაქმნული არ იქმნების.

ა-სთან (სტრ. 188) შედარებით, პროექტში ცვლილება არ არის.

პროექტი მიღებულ იქნა, ოღონდ ა-ში ორწერტილი შეიცვალა მძიმით: „იტყუის“.

ს. შ.: ისევ ამბობს, „მოთმენა სჯობს“, და თავის თავსავე ეუბნება: „დროზე ადრე ნუ მოკედები, ჩემი გული ნუ დადნება, ღვთის გარეშე ვერაფერს ვერ ვიზამ, ცრემლი ამოვ დმის, [ღვთის] განგებას ვერეინ შესცვლის, არმოსახდენი არ მოხდება“.

188,1 თავს უთხრა: „მოკუე, გჯობსო სიცოცხლეს აუგინასა,  
მიხრულ, დაგხრდების თინათინ, – ანათებს დღესა შინანსა, –  
გკითხოს მის შინსა ამბავი, რა გმართებს ვაგლახიანსა?“

და იგონებს ნამ-ნამ, მიჰყეუბის ტყის პირსა შამწარ-წყლიანსა.

x-თან (სტრ. 268) შედარებით, პროექტში ცვლილებაა: თავს (< თავსა), მოკვე, გიჯობსო სიცოცხლეს (< მოკვე, გიჯობს სიცოცხლე); ა-ს ბოლოს მძიმეა (ნერტილ-მძიმის ნაცვლად). ს. ცაიშვილი: სტროფი არ არის A და D რედაქციის ნუსხებში; შინაარსობრივ შეუსაბამობას შეიკავს: „მიპყვება ტყის პირსა შამბნარწყლიანსა. შდრ. „მთით ჩამოვიდა ავთანდილ, გავლნა წყალნი და ტყენია“ (190); უხერხულია გამოთქმა „ანათებს დღესა მზიანსა“. ყველაფერი ეს მონიშნავს, რომ სტროფი ჩანართია.

ე. მეტრეველი: ძველ რედაქციებში (A და D) ამ სტროფების არარსებობა, მართლაც, მის ჩანართობას უნდა ამტკიცებდეს.

დაადგინეს: სტროფი დროებით გადატანილ იქნეს ჩანართებში. შემდგომ კვლავ დაუბრუნდეთ მისი ჩანართობის საკითხს.

ს. შ.: თავის თავს უთხრა: „მოკვდი, აუციან სიცოცხლეს გირჩენიაო, მიხვალ, დაგხვდება თინათინი, – ანათებს მზიან დღეს, – გკითხოს იმ მოყმის ამბავი, რა უნდა ქნა უბედურმა?“ ნამდუწუმ ფიქრობს, მიპყვება შამბნარწყლიან ტყის ნაპირს.

189 „ყოვლი არსნი ცათ ქუეშეთნი ერთობ სრულად მომივლიან,  
მაგრამ საქმე მის კაცისა ვერასადა შემვიგნან;  
ულონიოდ მართალ იყენეს, რომელთაცა ქაჯად თქვიან,  
და ან ტირილი არას მარგებს, ცუდად ცრემლნი რასა მდიან?“

ს-სთან (სტრ. 189) შედარებით, პროექტში ცვლილება არ არის.

გ. კარტოზია: ბ-ის „საქმე... შემვიგნან“-ში რიცხვში შეთანხმების ნუსი დარღვეულია, რაც შენიშვნებში უნდა აღინიშნოს.

დაადგინეს: შენიშვნებში მიეთითოს, რომ რითმის გამო ბ-ში დარღვეულია სახელისა და ზმნის რიცხვში შეთანხმება.

ს. შ.: „ცის ქვეშ არსებული ყოველივე სულ ერთიანად მომივლია, მაგრამ იმ კაცის ამბავი ვერსად გამოვიდა; უთუოდ მართალი იყო, ვინც ქაჯად (ეშმაკად) თვლიდა. ახლა ტირილი არას მარგებს, ტყუილად რატომ მდის ცრემლი?“

190 მთით ჩამოვიდა ავთანდილ, გავლნა წყალნი და ტყენია,  
მინდორს აცორებს ტაიჭსა, შეელრენით მონაწყენია.  
გასცუდებოდეს მკლავნი და მისნი სიამაყენია.  
და ბროლისა ველსა სტურფომდეს გიშრისა მუნ საყენია.

ს-სთან (სტრ. 190) შედარებით, პროექტში ცვლილება არ არის.

ი. გიგინეიშვილი: ბ-ში ფრაზის აგებულება ეწინააღმდეგება იმას, რომ „შელრენით“ უბრალო დამატებად გავიგოთ. უფრო მართებული იქნება მისი ჩათვლა ვითარების გარემოებად. როგორ და არა რით! მაგრამ კონკრეტულად თუ რას ნიშნავს ეს სიტყვა („შელრენით“), ამის გასარკვევად მასალები არა გვაქვს. ს. ცაიშვილს მიაჩნია, რომ სტროფი ჩანართია. რედაქციის სხვა ნევრებს არ ექვევებათ სტროფის ნამდვილობა.

პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ავთანდილი მთიდან ჩამოვიდა, გაიარა მდინარე და ტყე, მინდორში მიაკურებს (მიაგომანებს) ცხენს, [ადრე] წვლრენით შეწუხებული. გასცუდებოდა (უსარგებლოდ გახდომოდა) მკლავები და თავისი სილაღე, ბროლის ველს (პირისახეს ამშვენებდა გიშრის სარები (ნაშნამები)).

**191** მობრუნება დააპირა, სულთქნა, მერმე ივაგლახა, მას მინდორსა დაემართა, გზა თუალითა გამოსახა; თუესა ერთსა სულიერი კაცი არსად არ ენახა.

და მწვენი იყენეს საშინელნი, მაგრა არა შეუხახა.

ს-თან (სტრ. 191) შედარებით, პროექტში ცვლილება არ არის.

პროექტი მიღებულ იქნა. დ-ში „შეუხახა“, ი. გიგინევილისა და ს. ცაიშვილის აზრით, იგივეა, რაც „შეებრძოლა, შეუტია“; ა.ბარამიძეს მიაჩნია, რომ „შეუხახება“ ნიშნავს „შეძახებას, საბრძოლო ნიშნის მიცემას“.

ს. შ.: მობრუნება დააპირა, ამოიხრა, მერმე ივაგლახა, იმ მინდორს მიმართა, გზა თვალთ გაზომა; ერთ თვეს სულიერი კაცი არსად არ ენახა, საშინელი მხეცები იყენენ, მაგრამ არ შეუტია (არ შეუძახა).

**191,1** ავთანდილ უკვირბინა გვერდი მყაფარი, კლდიანი, გამსულტომს ირეშა ფერდასა ჰკრა ისარი ორბისფრთიანი, – მას რომ გარდაჰდა პატიენი, ან კაცი უნდა მენიანი, –

და მინდურისა პირსა სადილად ჩამოჭდა გულსევედიანი.

x-თან (სტრ. 271<sup>1</sup>) შედარებით, პროექტში ცვლილებაა: ბ ორბისფრთიანი (< ორბის ფრთიანი); ზ-ის მოლოს მიძიე და ტირეა (ნერტილ-მიძის ნაცელად), გ-ის ბოლოს მიძიეს მინერილი აქვს ტირე. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ავთანდილმა ჩამოიხრინა ციცაბო, კლდიანი გვერდი, გამსულტომ ირეშს ფერდში ჰკრა ორბისფრთიანი ისარი, - მას რომ ტანჯევა გადახდა, ახლა მხენე კაცი უნდა, გულსევედიანი საქმელად ჩამოხდა მინდურის პირას.

**191,2** მათ მინდორთა შუაშიგან ამოსული ქედი არი; გაფიცხდა და ზედ წაგდა, მოიმარჯუა საომარი; „ჩემი ბრძოლა ეისმცა ედლოს, შეეკრა ერთგან მთა და ბარი, და დაეპოლდე და ჩამოეყარნე, ნაეყვანო პატიმარი“.

x-თან (სტრ. 272) შედარებით, პროექტში ცვლილებაა: ა შუაშიგან (< შუაშიგა). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: იმ მინდურებს შუა ქედია ამოზიდული; გაფიცხდა და ზედ მიადგა, მოიმარჯვა საომარი (იარალი); „ჩემთან ბრძოლას ვინ შეძლებს, ერთად შევეკრავ მთასა და ბარს, დაეჭრი და ჩამოეყრი, ნაეყვან პატიმრად“.

**192** თუცა მწვეცმნილი ავთანდილ გულამოსკნით და კუნესით ა, ვერეცა ჭამა მოუნდის ადამის ტომთა წესითა, ისრითა მოკლის ნადირი, როსტომის მკლაფეგრძესითა, და შამბისა პირსა გარდაჭდა, ცეცხლი დააგზო კუნესითა.

ს-თან (სტრ. 192) შედარებით, პროექტში ცვლილება არ არის.

ს.ცაიშვილი: გ-ის აზრი შეიძლება გაეიგოთ ან ტრადიციულად („ავთანდილი ნადირს კლავდა როსტომის მკლაფეზე უფრო გრძელი ისრით“), ან, როგორც აკად. გ. ნერეთელი ფიქრობდა, დაუშვათ, რომ საქმე გვაქვს პერმუტაცივთან („ავთანდილი ნადირს კლავდა ისრით და როსტომის უგრძესი მკლაფით“).

ი. გიგინევილი: გ-ში ზმნა ხოლმეობითის ფორმით არის („მოკლის“), საქიროა კი წყვეტილი („მოკლა“). შდრ. დ-ში წყვეტილის ფორმები: „გარდაჭდა“, „დააგზო“. როგორც

ჩანს, მოკლა > მოკლის ბ-ის „მოუნდის“ ზმნის გავლენით. ამასთან, ბ-ის ბოლოს მძიმის ნაცვლად ნურტილი უნდა დაისვას. ამით ა და ზ შინაარსობრივ გამოიყოფა გ და დ-ისაგან.

გ. კარტოზიას აზრით, მოუხედავად იმისა, რომ „მოკლა“ კონიექტურაა, ამ შემთხვევაში მისი მიღება აუცილებელია.

ს. ცაიშვილი წინააღმდეგია, რომ ტექსტში შეტანილ იქნეს კონიექტურა.

დაადგინეს: სტროფის ნაკითვა დარჩეს უცვლელად.

ს. შ.: თუმცა გაშმაგებული ავთანდილი გულამოსკენილი და მკენესარეა, მაინც ჭამა მოუნდა, ადამიანთა წესისამებრ; მოკლა ნადირი როსტომის მკლავზე უგრძესი ისრით, შამშის პირას ჩამოხდა [ცხენიდან], კვსით დაანთო ცეცხლი.

### 1974. 21. III

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი.

განიხილეს სტრ.: 193–193,3 (პროექტი მოამზადა I ვგუფმა), 194–199 (პროექტი მოამზადა II ვგუფმა).

**193** ცხენსა მისცა საძოვარი, ვირე წუადი შეინოდეს;  
ექუსი რამე ცხენოსანნი, ნახა, მისკენ მოვიდოდეს;  
თქვა, თუ: „პგვანან მეკობრეთა, თუარა კარგი რამც იცოდეს!  
და აქა კაცი ჭორციელი კულა ყოფილა არაოდეს“.

პ-სთან (სტრ. 193) შედარებით, პროექტში ცვლილება არ არის.

ა. ბარამიძე: ა-ში გატარებულია უნიფიკაცია კერძ, კენ, კე თანდებულის დაწერილობის მხრივ (ყველგან კე არის დაბეჭდილი). აქაც ხომ ასე არ მოვქცეულიყავით და ბ-ში მისკენ გადაგვეკეთებინა მისკედ?

გ. კარტოზია: ბ-ში უნიფიკაცია არ გატარებულა. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დატოვებულია ის ნაკითხვა, რომელსაც მხარს უჭერს ხელნაწერთა უმრავლესობა. მართებული იქნება, თუ ამ პრინციპს დაეიცავთ ამ გამოცემაშიც.

ი. გიგინეიშვილი და ე. მეტრეველიც იმ აზრისა არიან, რომ ანგარიში უნდა გაენიოს ხელნაწერთა ჩვენებას.

დაადგინეს: დარჩეს ბ-ში „მისკენ“.

რედაქციის წევრებს განსხვავებულად ესმით გ-ის აზრი. ა. ბარამიძეს მიაჩნია, რომ ტაეპი ასე უნდა გავიგოთ: „მეკობრეებს პგვანან, მაგრამ კარგი რამე ეცოდინებათ“, ს. ცაიშვილს, გ. კარტოზიას, ც. კიკვიძეს: „მეკობრეებს პგვანან, თორემ კარგი რა ეცოდინებათ!“

ს. შ.: ცხენი საძოვარზე მოუშვა, ვიდრე მწვადი შეინებოდა; დაინახა, ვილაც ექუსი ცხენოსანი მისკენ მოდიოდა; თქვა: „მეკობრეებს პგვანან, თორემ კარგი რა ეცოდინებათ! აქ ძეხორციელი სხვა დროს არასოდეს ყოფილა“.

**193,1** მკუდარი მოაქუთ ხატაელთა, საკაცუზედ მათრაჰევედა;  
შეპყრობისა მონანდომთა ტარიულ დამათრაჰევედა;  
ულახუროდ და უმახვილოდ, – ეს მიკუირს, – თუ მათ რა ჰევედა,  
და ნაცვლად შაეზედ შეჯდომასა საკაცუზედ მათრაჰევედა.

x-თან (სტრ. 275) შედარებით პროექტში ცვლილება: ბ მონადროთა (< მონადროთა), დ საკაცებუდ (< საკაცებუ), გ-ში დასმულია ტირეები. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ხატაელებს მოაქეთ მკედარი, საკაცებუ მათრახივით გართხმული; მისი შეპყრობის მსურველები ტარიელმა გაამათრახა; ეს მიკვირს, თუ ულახვროდ და უმახვილოდ ისინი რამ დახია, შავზე (=ცხენზე) შევდომის ნაცვლად საკაცებუ იყო მათრახივით გართხმული.

193,2 აქ ხატაეულთა ძმა მოჰყავს საკაცებუდა მდებარე;  
ავთანდილს შეხედეს მტირალნი ტარიელისა მქებარე;  
„მისა შეპყრობის მდომელთა ცეცხლი მოგუიდეა მგზებარე,  
და მათრახით მოკლა, მივაო, აგურ შავსა ზის მრებარე!“

x-თან (სტრ. 276) შედარებით პროექტში ცვლილება: ბ შეხედეს (< შეხ[ვ]ედეს), დ მრებარე (< მ[ხ]ებარე), ბ-ის ბოლოს ორწერტილია (წერტილ-მიძიმის ნაცვლად), ბრჭყალები გახსნილია გ-ის დასაწყისში. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: აქ ხატაელებს საკაცებუ მდებარე ძმა მოჰყავთ; ავთანდილს შეხედნენ მტირალნი, ტარიელის მქებარნი: „მისი შეპყრობის მსურველებს ძლიერი ცეცხლი მოგუიკდა, მათრახით მოკლა, მიდის, აგურ შავზე (=ცხენზე) ზის მიმავალიო!“

193,3 „ჩვენ ასრე მყოფნი არ ვარგვართ, რა გუნახვენ, ვემაჯანებთ“;  
შეორტყა წელთა აბჯარი, შეჯდა ტანითა ჯანებით,  
მზად აქუს მშოლდი და ისარი, ჯრმალი მოიმარჯა ნებით;  
და მისმან მებრძოლმან ყულმან გაყრამცა იაჯა ნებით.

x-თან (სტრ. 277) შედარებით, პროექტში ცვლილება: ა ჩასმულია ბრჭყალებში. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ჩვენ ასე მყოფნი არ ვარგივართ, რომ გენახვენ, ძაბუნად ჩავეთვლიან“; წელზე იარაღი შიება, შეჯდა ჯანიანი ტანით, მშოლდი და ისარი მზად აქვს, ხმალი ხელით მოიმარჯვა; ყველა მასთან მებრძოლი ნებით მოითხოვს გაცლას.

194 ჯელთა ჰქონდა ისარ-მშოლდი, მათკენ მივა მზიარული,  
ორთა კაცთა წვეროსანთა ყმა მოჰყვანდა უწურული,  
თავსა იყო დაკოდლი, შეებნიდა სისხლსა გული,  
და ტიროდეს და იჭიროდეს, ცოტა ედგა მას, გლახ, სული.

u-სთან (სტრ. 194) შედარებით, პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ხელში მშვილდ-ისარი ჰქონდა, მათკენ მიდის მზიარული. ორ წვეროსან კაცს უწვეროლი მოყმე მოჰყავდა, თავში იყო დაჭრილი, სისხლის დენისაგან გული შეღონებოდა, ტიროდნენ და ნუხდნენ, მას (დაჭრილს) ძლივსლა ედგა სული.

195 უყიელა, თუ: „ძმანო, ვინ ხართ? მეკობრეთა დაგამსხავსენი“  
მათ მოუგეს: „დაგუიწყნარდი, გუიშუელე რა, ცეცხლინი ავსენ,  
ვერა გუარგო, მოგუიმატენ, ჭირნი ჭირთა მოგუისხავსენ,  
და სატიროლნი მოგუიტირენ, ღანუნი შენცა დაიმხავსენ“.

u-სთან (სტრ. 195) შედარებით, პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: შესძახა: „ძმებო, ვინა ხართ? მეკობრეებს მიგამსგავსეთ!“ მათ მოუგეს: „დანყარდი, რამე გვიპველე, [ჩვენი] სატირელი იტირე, ღანეები შენც ხავსისფერი გახადე“.

196 აეთანდილ მიდგა, ეუბნა მათ კაცთა გულმდულარეთა;  
მათ უთხრეს მათი ამბავი, ტირილით მოუბარეთა:  
„ჩუენ ვართო ძმანი სამნივე, – მით ვიდენთ ცრემლთა მწარეთა, –  
და ღია გუაქუს ციხე-ქალაქი ხატაეთს არეშარეთა.

პ-სთან (სტრ. 196) შედარებით, პროექტში ცვლილებაა: გ-ში ტირეებია დასმული. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: აეთანდილი მიუახლოვდა, დაელაპარაკა იმ გულმდულარე ხალხს; მათ, ტირილით მოსაუბრეებმა, უთხრეს თავიანთი ამბავი: „ჩვენ სამნივე ძმები ვართ, – ამიტომ ვიდენთ მწარე ცრემლს, – ბევრი ციხე-ქალაქი გვაქვს ხატაეთში.

197 „კარგი გუესმა სანადირო, ნადირობას ნამოვედით,  
გუყვეს ლაშქარნი უთულავენი, წყლისა პირსა გარდაევედით,  
სანადირო მოგუენონა, თუესა ერთსა არ ნავედით,  
და ვჯოცდით მჯეცსა უზომოსა მინდორით და მთით და ქედით.

პ-სთან (სტრ. 197) შედარებით, პროექტში ცვლილება არ არის.

ი. გიგინეიშვილი: სტროფში ყველა ზმნა წყვეტილის ფორმითაა მოცემული (გუესმა, ნამოვედით, გუყვეს, გარდაევედით, მოგუენონა, არ ნავედით) და მხოლოდ დ-ში გვაქვს უწყვეტელი (ვჯოცდით). საჭიროა ეს ზმნაც წყვეტილში გადავიყვანოთ (ვჯოცეთ) და ამის შესაბამისად შეეცვალოთ ნახევარტაეპი: „ვჯოცეთ მჯეცი უსაზომო“, როგორც ეს რიგ ხელნაწერშია დადასტურებული. „ვჯოცეთ“, როგორც ჩანს, გაგებულ იქნა მომენტობრივი ასპექტის ფორმად და გადამწერებმა ამიტომ შეცვალეს უწყვეტლად. მაგრამ ასეთი გასწორება საჭირო არ არის, რადგან „ვჯოცეთ“ ზმნას განგრძობითობის გაგება თავისთავად აქვს.

ს. ცაიშვილი: არ არის აუცილებელი, რომ სტროფში ყველა ზმნა ერთი მწკრივის ფორმით იყოს წარმოდგენილი. „ვჯოცდით“ ფორმას ყველა რედაქციის ხელნაწერები უჭერენ მხარს, რასაც ვერ ვიტყვით „ვჯოცეთ“-ზე. ამიტომ ტაეპის ნაკითხვა არ უნდა გადაკეთდეს.

დაადგინეს: დარჩეს პროექტის ნაკითხვა – „ვჯოცდით მჯეცსა უსაზომსა“. პროექტი დამტკიცდა.

რედაქციამ დაადგინა: როცა პერსონაჟის მეტყველება რამდენიმე სტროფში გრძელდება, ბრჭყალებს ნუ დაწერთ ყოველი მომდევნო სტროფის დასაწყისში.

ს. შ.: შეეიტყვეთ, რომ კარგი სანადირო ადგილია, სანადიროლ ნამოვედით, უთვალავი ლაშქარი გვყავდა, მდინარის პირას დავიბანაკეთ, სანადირო [ადგილი] მოგვენონა, ერთ თევს არ ნავედით [იქიდან], ვხოცავდით უამრავ მხეცს მინდვრად, მთასა და ქედზე.

198 ჩუენ სამთა ძმთა ჩუენთანა შესროლნი დავანობილენით,  
მით ერთმანერთსა სამნივე ჩუენ კიდე დავეცილენით:  
«მე უკეთ მოუქლავე, მე გჯობო», სიტყუნანი ვავაქილენით,  
და ვერ გავაჩინეთ მართალი, ვისარჩლეთ, ვითაკილენით.

პ-სთან (სტრ. 198) შედარებით, პროექტში ცვლილებაა: გ მოუქლავე (< მოვკალ).

ს. ცაიშვილი: გ-ში საჭიროა აღვადგინოთ „მოვკალ“.

გ. კარტოზია: „მოვკლავ“ აქ მყოფადი არ არის, ანმყოფა, უფრო სწორად, უფრო ფორმად. როცა ამ ფორმას მივეცით უპირატესობა, მხედველობაში გვექონდა შემდეგი: გადამწერებმა „მოვკლავ“ (უფრო ფორმა), ალბათ, გაიგეს როგორც მყოფადი და ამიტომ შეცვალეს წყვეტილით. ამგვარ ცვლილებას ხელს შეუწყობდა ისიც, რომ ძმებს ნადირობის შემდეგ მოუფიქრათ ცილობა.

ი. გიგინეიშვილი: „მოვკალ“ ამ ტაეში შეუძლებელი ფორმაა. ზმნა წყვეტილში რომ ყოფილიყო, გვექნებოდა: მე უკეთ „დავკოცე“ და არა „მოვკალ“. ამიტომ ვარიანტებსა და შენიშვნებში ისიც არ უნდა ეწეროს „მოვკალ“ ფორმა დასაშვებიაო.

დაადგინეს: დარჩეს გ-ში „მოვკლავ“. სტროფის ვარიანტიდან ამოღებულ იქნეს შენიშვნა: „ორივე ფორმა (მოვკლავ და მოვკალ) დასაშვებია“.

ი. გიგინეიშვილი: დ-ში ბოლო ორი ზმნა ვნებითის ფორმით არის წარმოდგენილი. ამთავან პირველში (ვისარჩლეთ) დარღვეულია ვნებითის წარმოების ძველი წესი. მოსალოდნელი იყო გვექნოდა „ვისარჩლენით“.

გ. კარტოზია: აღნიშნული ზმნები ვნებითი გვარისა არ არის. ი- პრეფიქსი აქ სათავითო ქვეყის ნიშანია. „ვისარჩლეთ“-ში მრავლობითობის -ენ სუფიქსი მოსალოდნელი არც იყო. ვითაკილენით-ში -ენ სუფიქსი პირდაპირი ობიექტის რიცხვის გამომხატველია: ვითაკილენით ჩვენ იგინი.

პროექტი დამტკიცდა.

ს. შ.: ჩვენ, სამმა ძმამ, ჩვენთან მყოფი მოსარნი გვანზილეთ, ამიტომ ჩვენ, სამივე, ერთმანეთს შევეცილეთ: „მე უკეთ ვკლავ, მე გვჯობივარო“, - ვიკამათეთ, ვერ დავადგინეთ სიმართლე, ვიდავეთ, ვითაკილეთ უარესობა.

199 დღეს ავყარენით ლამქარნი, საესენი ირმის ტყავითა, ვოქქეთ: „გაეაჩინოთ მართალი, ვინ ესჯობთ თავისა მკლავითა, თავსა ვეახლნეთ მარტონი, დაედგეთ მართ ოდენ თავითა, და თუთი დანახულსა მოვკლავიდეთ, ნუ ვისრით დამნახავითა“.

პ-სთან (სტრ. 199) შედარებით, პროექტში ცვლილებაა: ა ავყარენით (< ავყარენით), დ ვისრით (< ვესრვით).

ი. გიგინეიშვილის წინადადებით, თუთი დანახულსა დაინერა ერთად: თუთიდანახულსა. კამათი გამოიწვია ვისრით ფორმამ.

ი. გიგინეიშვილი: ვისრით უნდა შეიცვალოს ვესრვით ფორმით. სუფიქსისეული ვ აუცილებელია. შდრ. ძველი ქართულის ესრევს.

გ. კარტოზია: ძველ ქართულში სარ-სარ- ძირიდან ზმნური ფუძეები ორგვარი სუფიქსაციით იწარმოება: გვექნდა -ევ-სუფიქსიანი ესრევს და -ი-სუფიქსიანი ესრის/ისრის. კონტამინირებული ისრვის/ესრვის ფორმები ძველ ქართულში არ გვხვდება, არც რუსთაველისდროინდელ ძეგლებში დასტურდება და მხოლოდ გვიანდელ ძეგლებში იჩენს თავს, ასე რომ ოდენ -ი-სუფიქსიანი ფორმის არსებობა ტექსტში ვჭვს არ იწვევს. სადავო შეიძლება იყოს პრეფიქსების საკითხი: ვისრით თუ ვესრით? ჩვენ ვისრით ფორმას მივეცით უპირატესობა, რადგან რედაქციულად განსხვავებული ხელნაწერები უჭერენ მხარს.

დაადგინეს: დარჩეს ნაკითხვა ვისრით. პროექტი დამტკიცდა.

ს. შ.: დღეს ავყარეთ მოლაქარნი, ირმის ტყავით საესენი, ვოქქეთ: „დავადგინოთ სიმართლე, რომელი ვჯობივართ მკლავით; მარტო ვიყოთ, მხოლოდ ჩვენ დავჭრეთ, რაც ჩვენ თვითონ დავინახოთ, ის მოვკლათ, ნუ ვესვრით სხვისი ჩვენებით!“

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი.

განიხილეს სტრ.: 200-203,1 (პროექტი მოამზადა III ჯგუფმა), 204-207,1 (პროექტი მოამზადა I ჯგუფმა), 208-211 (პროექტი მოამზადა II ჯგუფმა).

**200** ჩუენ ვიახლენით სამთავე სამნივე მეაბჯრენია, ლაშქართა ნასლეა უბრძანეთ, მით არას მოაზრენია, მოვინადირეთ მინდორი, ისი ტყენი და ღრენია, და დაეჯოცეთ მვეცი, მფრინველი, რაცა ზე გარდაგუფრენია.

ა-სთან (სტრ. 200) შედარებით, პროექტში ცვლილება არ არის.

ი. გიგინეიშვილი: ბ-ში ნაცვლად არქაული ნასლეა ფორმისა უნდა ნავიკითხოთ ნასვლა. ორთოგრაფიის საკითხი ჩვენ დეტალურად უნდა დავამუშაოთ. „ვტ“-ში ხშირია შემთხვევები, როცა ძველ ფორმებზე უარი უნდა ვთქვათ და ახალი ქართულისათვის დამახასიათებელი ნაკითხვები უნდა მივიღოთ. ამავე ტაეპში მით ფორმის ნაცვლად უნდა მივიღოთ მართ (ასეა  $A^2 r y$ -ში). რედაქციის ნეურებმა არ გაიზიარეს ეს შესწორებები.

ი. გიგინეიშვილი: დ-ის პროექტისეული ნაკითხვით, ზე გარდაფრენა მიენერება მხეცსაც. სტრიქონი უნდა შესწორდეს რიგი ხელნაწერისა და გამოცემის მიხედვით: „დაეჯოცეთ მვეცი, მფრინველი არცა ზე გარდაგუფრენია“.

გ. კარტოზია: ამ კონტექსტში ზმნის თურმობითის ფორმასთან („გარდაგუფრენია“) უარყოფითი არცა ნაწილაკი უფრო შესაფერიც არის.

დადგინეს: მიღებულ იქნეს ნაკითხვა „დაეჯოცეთ მვეცი, მფრინველი არცა ზე გარდაგუფრენია“ (მომხრენი: ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი; წინააღმდეგნი: ა. ბარამიძე, ც. კიკვიძე). პროექტი ამ ცვლილებით მიღებულ იქნა.

ს. შ.: საშივემ თან ვიახლეთ თითო მეაბჯრე, მოლაშქრეებს ეუბრძანეთ ნასულიყენენ, ამიტომ მათ არაფერი იციან, მოვინადირეთ ის მინდორი, ტყე და ღრე, მხეცი დაფხოცეთ, არც ფრინველს გადაუფრენია ზემოდან (ფრინველი ცოცხალი არ დარჩენილა).

**201** ანაზდა მოყმე გამოჩნდა კუმტი, პირგამქეშაჲია, ზედა ჯდა შაესა ტაიქსა, – მერანი რამე შაჲია, – თაესა და ტანსა ემოსა გარეთმა ვეფხის ტაჲია, და ჯერთ მისი მსგაჲსი შუენება კაცთაგან უნახაჲია.

ა-სთან (სტრ. 201) შედარებით, პროექტში ცვლილებაა: ა ანაზდა (< ანაზდად).

რედაქციის ნეურებმა ეჭვი გამოთქკეს, თუ რამდენად საფუძვლიანია ტრადიციული „ანაზდად“ ფორმის შეცვლა „ანაზდა“-თი, რომელიც მხოლოდ ერთ ხელნაწერში ( $A^9$ ) დადასტურებული.

ც. კიკვიძემ განმარტა, რომ, თუმცა „ვტ“-ის ნუსხებში უმთავრესად „ანაზდად“ და „ანაზდათ“ იკითხება, პროექტის მომზადებელმა ჯგუფმა უპირატესობა მაინც ერთადერთ ხელნაწერში დადასტურებულ „ანაზდა“ ფორმას მისცა, რადგან ძველ ქართულ ტექსტებში „ანაზდად“ არსად გვხვდება. ძველ ტექსტებში გვაქვს მხოლოდ „ანაზდა“ და „ანაზდათ“.



გ. კარტოზია: უფრო ბუნებრივი იქნებოდა მიგველო ანაზღაო (< ანაზღაოთ) ფორმა. იგი „ვტ“-ის წესხათა უმრავლესობაში გვაქვს და ძველი ქართულის ჩვენებითაჲ შემავარებულია.

ა. ბარამიძე და ი. გიგინეიშვილი: ანაზღაო (< ანაზღაოთ) შეიძლება აირიოს ვითარებითის ეულგარულ ფომაში (ანაზღაო > ანაზღაო). ამიტომ ტექსტში უნდა აღდგეს ტრადიციული ანაზღაო.

დაადგინეს: აღდგეს ნაკითხვა ანაზღაო. პროექტი ამ ცვლილებით მიღებულ იქნა.

ს. შ.: უეცრად გამოჩნდა კუმტი, პირქუში მოყმე, იჯდა შავ ტიაჭზე, შავ მერანზე, თაზე ეხურა და ტანზე ეცვა გარეთბუნჯიანი ვეფხის ტყავი, მისი მსგავსი მშენება ადამიანებისაგან ჯერ უნახავია.

201,1 რა მათ კაცთა ესე სიტყვა თქუეს, ავთანდილ ეაგლას ვება, მოეგონა მისი მზე და მეფესთანა მისი შეება:

„ჰე, მოგმორდი, ჩემო მზეო, მომბუდეს შენი თუ შოვება, და იყოს ჩემთა ჭირთა ნაცულად ნეტარ მე და იშოვება“.

X-თან (სტრ. 286) შედარებით, პროექტში ცვლილებაა: დ იშო-ვება (< იშო ვება), ა-ს ბოლოს მძიმება (ორნერტილის ნაცულად).

გ. კარტოზია: პროექტის მიხედვით, დ-ში იშო და ვება სინონიმური მნიშვნელობის სიტყვებად არის მიჩნეული. ნამდვილად კი იშო აქ (ისევე, როგორც იმ პოემის ძირითად ტექსტში) სიხარულის გამოძახებელი შორისდებულია. ამიტომ იშო-სა და ვება-ს შორის დეფისის ნაცულად ტირე უნდა დავესათ. აზრი ასეთია: „თუ შენ გიშოვი, ჩემთა ჭირთა ნაცული იქნება ნეტავი, ვება-ს (= ვაების) ნაცული კი – იშო“.

დაადგინეს: აღნიშნულ ადგილას დეფისის ნაცულად დაინეროს ტირე. პროექტი ამ ცვლილებით მიღებულ იქნა.

ს. შ.: ეს სიტყვა რომ თქვეს იმ კაცებმა, ავთანდილმა ვაგლახი და ვაება დაინყო, მოაგონდა თავისი მზე (თინათინი) და მეფესთან განცხრომა; „ჰე, მოგმორდი, ჩემო მზეო, თუ ნილად მხვდება შენთან შყრა, ჩემი ჭირის სანაცვლოდ მექნება ნეტარება და ვაების სანაცვლოდ – ღბინი“.

202 უჭურითეთ, მისთა ელვათა შუქნი ძლივ გაეცადენით, ვთქუით, თუ: „მზეაო ქუეყანად, ნუ ეუბნებით ცად ენით!“

და ასრე სულთქმით და ვაებით მით ვართ, ცრემლოსაცა დენით.

X-სთან (სტრ. 202) შედარებით, პროექტში ცვლილება არ არის.

ს. ცაიშვილი: დ-ის მეორე ნახევარში რითმის გამო დარღვეულია დაბალი შაირის რიტმი. შენიშვნებში უნდა ითქვას ამის შესახებ.

დაადგინეს: პროექტი დამტკიცდეს. შენიშვნებში მიეთითოს, რომ დ-ში რითმის გამო რიტმი დარღვეულია.

ს. შ.: ვუყურეთ, მისი ელვის შუქს ძლივს გაუფსნორეთ თვალი, ვთქვით: „მზე მიწაზეა, ნუ ვამბობთ, რომ ცაზეა!“ მისი შეპყრობა მოგვიჩნდა, შევებდეთ და შევეცადეთ, ასე ოხერით, ვაებით და ცრემლის დენით ამიტომ ვართ.

203 მე უხუცესმან უმცროსთა კაცი დაესთხოვე ქნებით; ჩემმან შედეგმან ტაოჭი მისი მით აჭო წსენებით; ამან მართ ოდენ მორეენა გუთიხრა, უაღლეთ რუენ ნებით. და მივმართეთ, იგი აგრევე წყნარად მივა და შუენებით.

ს-სთან (სტრ. 203) შედარებით, პროექტში ცვლილება არ არის.

ა. ბარამიძე: ბ-ში მით გაუგებარია, უნდა თვით, როგორც ეს რიგ ხელნაწერსა და გამოცემაშია.

ც. კიკვიძე: მით აქ შეიძლება გავიგოთ როგორც ნანევარი. „მით აქო ჳსენებით“ = „აქო მით ჳსენებით (იმ ხსენებით)“. ამასთან, აუხსნელია თვით ნაცვალსახელის გადაკეთება მით-ად.

ს. ცაიშვილი: მით (= ამიტომ) ტექსტში გასაგებია, რადგან ზემოთ აღნიშნულია ტარიელის ცხენის სიკეთე.

დაადგინეს: დარჩეს ნაკითხვა მით.

ი. გვიგინიშვილი: გ-ში, ნაცვლად უაღრესად ფორმისა, ძირითადად უნდა მივიღოთ უაღრესად, რომელიც უაღრესად ფორმიდან არის მიღებული. უცხო ენებიდან ნასესხებ სიტყვებში ორი ერთნაირი თანხმოვანი ვერ ძლებს: ერთ-ერთი თანხმოვანი ან იკარგება, ან განემსგავსება მეორეს. ამ უკანასკნელი პროცესის მაგალითია უაღრესად > უაღრესად.

ც. კიკვიძე: „ვტ“-ის წესებში უმთავრესად უაღრესად და მისი დამახინჯებული ვარიანტები (უვალეთ, ულაღეთ, ვაალეთ...) დასტურდება. XVII–XVIII საუკუნეების ქართულში უაღრესად ბუნებრივი და ჩვეულებრივი ფორმაა. გაუგებარია, რატომ შეცვლიდნენ გადამწერები მათთვის საესებით გასაგებ უაღრესად ფორმას გაუგებარი უაღრესად ფორმით.

ა. ბარამიძე: უაღრესად > უაღრესად უფრო გასაგებია, ვიდრე პირველი პროცესი. უაღრესად გაუგებარი გახდა შემდგომი ხანის გადამწერისთვის და ამიტომ მივიღეთ მისი მრავალრიცხოვანი ვარიანტი, მათ შორის უაღრესად ფორმაც.

ი. გვიგინიშვილი: უაღრესად > უაღრესად პროცესი წარმოუდგენელი არ არის. შესაძლებელია დაეუფათ ასეთი ვარაუდი: თავდაპირველად ტექსტში გვექონდა უაღრესად; შემდეგ ერთმა გადამწერმა (რომელმაც იცოდა ამ სიტყვის კავშირი ალალ სიტყვასთან) შეცვალა იგი უაღრესად ფორმით და ასე გაერცვლა ეს ნაკითხვა ხელნაწერებში.

დაადგინეს: დარჩეს ნაკითხვა უაღრესად.  
ს. შ.: მე, უფროსმა, უმცროსებს [ის] კაცი გამოეთხოვე ხვეწით; ამიტომ ჩემმა მომდევნომ მისი ტაიჭი აქო; მხოლოდ ამან (დაჭრილმა) გეთხრა, მოვერევიო (=დავამარცხებო), ჩვენც ჩვენვე ნებით დავეთანხმეთ, მისკენ გავემართეთ, იგი ასევე წყარად და მოხდენილად მიდიოდა.

203,1 ჩვენ მისითა მიზეზითა ან ვართ, ლომო, შეჭირვებით;  
ცაცა მისად არა ჰკურან, მივიღოდა თავის ნებით;  
შესაპყრობლად ჯელი ეჰადრეთ, მაგრამ მეტად შეზარებით.

და ასრე მწარედ მათრავითა ჩამოგუფრინა არ ჯრმალ ხლებით.

x-თან (სტრ. 289) შედარებით, პროექტში ცვლილებაა: დ ჩამოგუფრინა (< ჩამოგუფრინა). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ლომო, ჩვენ მისი მიზეზით ვართ ახლა შეწუხებული; ცაც არ უკვირთ მისთვის, თავის, თავის ნებაზე მიდიოდა; შესაპყრობად ხელის მოკიდება შეეკადრეთ, მაგრამ დიდი შიშით, ხმაზე ხელის უხლებლად მათრახით ასე მწარედ დაგუფრინა.

204 ბროლმან, ლალსა გარეულმან, ვარდნი თხელნი ანატიფნა.  
იგი ტპილინი გონებანი ჩვენთუის მეტად გააყფნა:  
არ აბუზუნა, არცა დაგუსხნა, ყოლა არად ამოგუჯრიფნა.  
და მისნი შკუახედ მოუბარნი მათრავითა შეგუაშნაფნა!

ა-სთან (სტრ. 204) შედარებით, პროექტში ცვლილება: ბ გააყიფნა (< გაამყიფნა).

ს. ცაიშვილი: ტექსტში მიღებულია გააყიფნა, რომელიც ყიფი (= ამაყი) სახელსაგანაა ნაწარმოები, კონტექსტს კარგად ეთანხმება. ტაეპის აზრია: „მისი ტკბილი აზრები ჩვენთვის გააამაყა. მყიფე და მისგან ნაწარმოები გამყიფება ძველ ქართულ ტექსტებში ვერ დავადასტურეთ (შდრ. საბას ლექსიკონი: მყიფე – ადვილგასატყებელი მზლის ძირი).

რედაქციის ნევრებს ა-ს აზრი ასე ესმით: „ერთმანეთში გარეუულმა წითელმა და თეთრმა ფერმა თხელი ლანები გააფერმკრთალა“. ა.ბარამიძე: როგორც ეუკ.ბერიძე მოუთითებდა, დ-ში შემნიფება ნიშნავს „დაბეჯავს“. როგორც მკვახე ხილს ბეჯევენ დასაწიფებლად, ისე დაბეჯა ტარიელმა მკვახედ მოლაპარაკე ხატაელები.

ს. ცაიშვილი: „მკვახე ხილის დაბეჯვა“ ჩვეულებრივი გამოთქმაა დ. გურამიშვილთან. შდრ. „თუ ვერა ვსჭამ ხილს სიმკვახით, დავარბილებ, დავებუე ქვა-ხით“ (გურ. 62, 250ა), მკვახეს ხილსაეით ქვა-ხითა დაბეჯვა დაიქადესო“ (იქვე, 63, 260ა).

ი.გიგინეიშვილი: „მათრაწითა შეგვაწიფნა“ აქ ამას უნდა ნიშნავდეს: „მათრახით მოგვენდა“. ზმნა ნაწარმოებია ნიფ-ფუძიდან, წელმწიფე-ში რომ გვაქვს და ეტიმოლოგურად „მინვენას, მინვდომას“ უკავშირდება.

გ.კარტოზია: ამგვარ გაგებას გარკვეული დაბრკოლება ახლავს:

შეგვაწიფნა პირდაპირ ობიექტს შეინყოფს, „მინვდომის“ შინაარსის მქონე ზმნა კი – ირიბს. მოსალოდნელი იყო გვექონოდა შეგვეწიფნა (ის ჩვენ) ან რალაც ამგვარი ფორმა.

ს. შ.: ლალში გარეულმა ბროლმა თხელი ვარდები გაანატიფა (=წითელმა და თეთრმა ფერმა ლანები გაანატიფა), ის ტკბილი ოცნება დაგვიმსხვრია: არც აგვიყვანა, არც დაგვსხა (ყურადღება არ მოგვაქცია), სრულიად არაფრად ჩავეთვალა, მასთან მკვახედ მოსაუბრენი მათრახით დავებეჯა!

205 უმცროსსა ძმასა მივეცით, უფროსნი დავეზიდენით;

წელი მოქიდა, „დადეგო“, ესეცა პკადრა კიდ ენით;

მან წრამალსა წელი არ მოჰყო, ჩუნენ ამაღ დავერიდენით.

და თესვა გარდაჰკრა მათრაწი, ენახეთ სისხლისა კი დენით.

ა-სთან (სტრ. 205) შედარებით, პროექტში ცვლილება: ბ „დადეგო“, (< „დადეგო“). პროექტი მიღებულ იქნა.

205,1 ჩუნენ ძმა, გლახ, დაკოდლი მასეუ ნამსა ჩამოვარდა;

მისმან შიმმან დაგუანწარნა, იგი ყოლა არ აჩქარდა;

მასმცა მიღმა რალა ექადრეთ, ვისგან ყოფა გაგუიმწარდა;

და ვთქუთ: „თუ უწმლოდ მოგუერია, წმლითა გაგუერის ფარდა-ფარდა“.

ა-სთან (სტრ. 292) შედარებით, პროექტში ცვლილება: დ ვთქუთ: „თუ უწმლოდ (< ვთქუთ თუ უწმლოდ), წმლითა გაგუერის ფარდა-ფარდა“ (< ხრმლითა გაგუერის ფარდა-ფარდა, და“).

ა. ბარამიძე: დ-ის „წმლითა გაგუერის ფარდა-ფარდა“ ანალოგიას პოეებს სპარსულ გამოთქმასთან „ფარე-ფარე“ (= ნაჭერ-ნაჭერ).

გ. კარტოზია: თუ ასეა, იქნებ ჯობდეს, „გაგუერის“ ზმნის ნაცვლად, მივიღოთ რიგ ნუსხაში დადასტურებული „დაგუჭრის“ და ნახევარტაეპი ასე ნაეიკითხოთ: „წმლითა დაგუჭრის ფარდაფარ, და“. ბოლო და- „დაგუჭრის“ ზმნაში ნარმოდგენილი პრევერბის გამოერება იქნება, „ფარდაფარ“ კი – სპარსული „ფარე-ფარე“-ს შესატყვისი.

ი. გიგინეიშვილი ემზრობა ამ წინადადებას.

ა. ბარამიძემ და ს. ცაიშვილმა უპირატესობა მისცეს პროექტის ნაკითხვას.

დაადგინეს: დარჩეს ნაკითხვა: „წრმლითა გაგუყრის ფარდა-ფარდა“.

ს. შ.: ვაგლახ, ჩვენი ძმა დაჭრილი იმნამსევე ჩამოვარდა (ცხენიდან); მისი (ჟუცხო მოყმის) შიშით დაენყნარდით (=გაუჭრდით), ის სრულიად არ აჩქარებულა; იქით რაღას ვკადრებდით მას, ვისგანაც ყოფა გაგვიმწარდა; ვთქვით: «თუ უხმლოდ მოგვერია, ხმლით ნაჭერ-ნაჭერ დაგვეჭრის».

206 მით ერთითა მათრანითა თავი ასრე გარდაჟერინა,  
ვითა მკუდარი უსულო ქმნა, ვითა მიწა დაამინა,  
მისი რასმე მკადრებელი მოამდაბლა, მოანიწა,  
და თუალთა წინა ნაგუივიდა ლალი, კუმტი, ამაყი, ნა-.

ა-სთან (სტრ. 206) შედარებით, პროექტში ცვლილებაა: გ მოანიწა (< მოამინა).

ს. ცაიშვილმა აღნიშნა, რომ „მოანიწა“, რომელიც B<sup>5</sup> B<sup>6</sup> ხელნაწერებს დაუცავთ, უფრო შეეფერება კონტექსტს, ამასთან, თავიდან გეაცვილებს ტავტოლოგიურ რითმას. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მათრახის ერთი გადაკერით თავი ისე გადაუფხრინა, (რომ) მკედარივით უსულო გახდა, მიწასთან გაასწორა, მისთვის რამის შემბედავი დაამდაბლა, შეაშინა, თვალწინ ნაგუივიდა ლალი, კუმტი, ამაყი!

207 აღარ დაბრუნდა, ნაუდა წყნარად და აუჩქარებლად,  
აგერა მივა, ნახეო, იგი მზეებრ და შიუარებლად.  
შორს უჩვენებდეს აეთანდილს მტირალნი გაუხარებლად.  
და ოდენ ჩნდა შავი ტაიჭი, მისი მის მზისა მარებლად.

ა-სთან (სტრ. 207) შედარებით, პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: აღარ დაბრუნდა, წყნარად და აუჩქარებლად წაიდა, ნახე, აგერ მიდის მზისა და მთვარის მსგავსიო. გაუხარებლად მტირალნი შორს უჩვენებდნენ აეთანდილს, მოსჩანდა მხოლოდ შავი ტაიჭი, რომელსაც ის მზე მიჰყავდა.

207,1 ეუფხისა ტყავი ენიშნა, ფიცხლავ გარდაჯდა ცხენითა,  
ღმერთსა მადლობდა ცრემლითა, მინდორთა გასარცხენითა;  
ეტყოდა: „თქვენგან გამოველ ყოვლითა სიმარცხენითა,  
და კეთილის მქნელად გამოსჩნდით, ჩვენ მტერად შეგრააცხენითა“.

ა-სთან (სტრ. 294<sup>1</sup>) შედარებით, პროექტში ცვლილებაა: ბ გასარცხენითა (< გასარცხელითა), გ გამოველ (< გამოვა), ყოვლითა (< ყოველითა), დ გამოსჩნდით (< გამოჩნდით), შეგრააცხენითა (< მიგრააცხენითა).

რედაქციის ნევრებმა ყურადღება მიაქციეს იმას, რომ დ-ის ბოლოს შეგრააცხენითა კონიექტურაა. ხელნაწერებში ნახევარტაევი ასე იკითხება: „ჩვენ მტერად მაგრა ცხენითა“ (D<sup>1</sup>), „ჩვენ შეგურა მტერად ცხენითა“ (D<sup>3</sup>).

გ. კარტოზია: კონიექტურის მიღება აქ აუცილებელია. D<sup>1</sup>-ის ნაკითხვა მიღებული ჩანს ამ ხელნაწერის დედნისეული ვულგარული შაგრააცხენითა ფორმიდან, რომელიც, თავის მხრივ, შეგრააცხენითა-ს გულისხმობს ამოსავლად, რის კვალიც D<sup>1</sup>-შია შემორჩენილი. D<sup>3</sup>-ის (ან იქნებ მისი დედნის) გადამწერს შეგრააცხენითა ორ სიტყვად გაუგია (შეგურა ცხენითა), მტერად სიტყვისთვის კი ადგილი შეუცვლია და მათ შუა მოუთავსებია. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ვეფხის ტყავი ენიშნა, ცხენიდან ფიცხლად ჩამოხდა; ღმერთს მადლობდა იმდენი ცრემლით, რომ მიწდორს გარეცხავდა; უბნებოდა (ხატაულებს): „თქვენი ნყალობით თავი დავალწიე ყველა მარცხს, სიკეთის შეწელი აღმოჩნდით, მე (კი) მტრად შეგრაცხეთ“.

208 აპა, მიხუდა ავთანდილსა ლანუთა ცრემლთა არდათოვნა, რათგან ცულად არ ნაუწდა მას ეგზომი გარეთ ყოვნა. კაცსა მიხუდეს სანადელი, რას ეძებდეს, მისი პოვნა, და მაშინ მისგან აღარა წაშს გარდასრულთა ჭირთა წყოვნა.

ს-სთან (სტრ. 208) შედარებით, პროექტში ცვლილებაა: ბ ეგზომი (< ეზომი). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: აპა, ავთანდილს ნილად ხედა ღანეების შეშრობა (ცრემლებით არდასველება), რადგან ამოდ არ ჩაუარა გარეთ (უცხოეთში) ამდენი ხნის დაყოვნებამ. კაცი რომ სანადელს მიაღწევს და რასაც ეძებს, იმას იპოვის, მაშინ მას აღარ მართებს გადატანლი ჭირის გახსენება.

209 უთხრა, თუ: „ძმანო, ვარ ვინმე ღარიბი უადგილოსა. მე იმა ყმისა საძებრად მოეშორდი საგაზრდილოსა, ან თქვენგან მიეხუდი საქმესა ყოლა არსაადვილოსა.

და ღმერთმცა ნურას ნულარ იქს თქვენსა დასალრევეილოსა! ს-სთან (სტრ. 209) შედარებით, პროექტში ცვლილებაა: დ იქს (< იქმს). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: უთხრა: „ძმებო, ვარ ვინმე უცხო ამ უცხო ადგილას, მე იმ მოყმის საძებნელად მოეშორდი ჩემს სამშობლო ქვეყანას, ახლა თქვენი მეოხებით ვენიე მეტად ძნელ საქმეს. ღმერთმა ნულარ ქნას თქვენი შესანუხებელი რამე!“

210 ვითა მე მიეხუდი ნადილსა, ჩემის გულისა ნებასა, აგრემცა ღმერთი ნურას იქს ძმისა თქვენისა ვნებასა!“

უწუნა მისი სადგომი: „მიდიოთ ნება-ნებასა, და ჩრდილსა გარდასუთი მაშურალი, მიეციოთ მოსუნუნებასა“.

ს-სთან (სტრ. 210) შედარებით, პროექტში ცვლილებაა: ბ იქს (< იქმს). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: როგორც მე ვენიე ჩემს ნადილს, გულის ნებას, ისე ღმერთი ნურაფერს აენებს თქვენს ძმას!“ უწუნა თავისი სადგომი: „ნება-ნება მიდიოთ, ჩრდილში გადასვით ქანცვანყეტილი, მოასვენეთ!“

211 ესე უთხრა და ნაიდა, ცხენი გაქუსლა დეზითა, ვითა გავაზი გაფრინდა, არგაშუებული ხეზითა, ან მოუარე, შოისა შემყრელი, მზე სინათლითა ზეზითა.

და დაივსო ცეცხლი შემწველი მისითა მან მიზეზითა. ს-სთან (სტრ. 211) შედარებით, პროექტში ცვლილება არ არის.

ი. გიგინეიშვილი: ბ-ში არგაშუებული ხეზითა-ს ნაცვლად უნდა მივიღოთ მართ გაშუებული ხეზითა.

გ. კარტიოზამ და ს. ცაიშვილმა აღნიშნეს, რომ მართ გაშუებული კონიექტურაა, რის საჭიროებაც ტაეში აუცილებლობას არ ნარმოადგენს. ტექსტი ისედაც გასაგებია: გაფრინდა როგორც გავაზი, რომელიც მანამდე ზეზით იყო დაბმული.

ი. გიგინეიშვილს მიაჩნია, რომ გ-ში ზეზი შინაარსობრივად შეუსაბამოა, უნდა ზესითა (ასეა რიგ ხელნაწერში).

ს. ცაიშვილმა და გ. კარტოზიამ შენიშნეს, რომ ამგვარი სწორება არღვევს სტროფის იდენტურ რითმას (ეზოთა) „ზეზი“, რომელიც, ჩვეულებრივ, „პორფირისა“ და „ბისონის“ გვერდით იხმარება ძველ ტექსტებში, სასებით შესაძლებელია მზის სინათლის ეპითეტად ყოფილიყო გამოყენებული (მდრ. მ. უორდროპი).

დაადგინეს: დარჩეს პროექტის ნაკითხვები: „არგამუშებულ“ და „ზეზითა“. პროექტი მიღებულ იქნა.

რედაქციამ მოიწონა მთავარი რედაქტორის მოადგილის ს. ცაიშვილის წინადადება, რომ ჟურნალ „მაცნეში“ პერიოდულად დაიბეჭდოს მთავარი რედაქციის სხდომათა ანგარიში პოემის ტექსტში შეტანილი ყოველგვარი ცვლილების დაწვრილებითი აღწერებით.

ს. შ.: ეს უთხრა და წავიდა, დეზით გაქუსლა ცხენი, გაფრინდა გავაზივით, რომელიც (მანამდე) ხეზით (სახალით) იყო დაბმული, ან როგორც მთვარე, რომელიც მზეს უნდა შეეყაროს, და როგორც მზე ბრწყინვალე შუქით. ამით (ავთანდილმა) ჩაიქრო თავისი დამწველი ცეცხლი.

## 1974. 16. IV

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

შ. ძიძიგურმა აზრი გამოთქვა ბრჭყალების ხმარების ნესზე, რაც რედაქციამ ადრინდელ სხდომაზე მიიღო. როცა პერსონაჟის მეტყველება სტროფიდან სტროფში გადადის, სტროფების დასაწყისში ბრჭყალების მოშლა მკითხველს გაუძნელებს ტექსტის გაგებას. ეს იწება ოპტიკური გართულება მკითხველისათვის. სტროფთა დასაწყისში შეიძლება მოემალოთ იმ შემთხვევაში, როცა მთელი თავი პერსონაჟის მეტყველებას წარმოადგენს (მაგ., ტარიელის ნაამბობი).

განიხილეს სტრ.: 212–221 (პროექტი მოამზადა II უჯუფმა).

212 მიწურა, იგონებდა, ახლოს შეყრა ვითა აგოს:

„საუბარმან უმეტარმან შმაგი უფრო გააშმაგოს!

ჭაშს, თუ კაცმან გონიერმან ძნელი საქმე გამოაგოს,

და არსინყნარე გონებისა მოიძულოს, მოიძაგოს.

ს-სთან (სტრ. 212) შედარებით, პროექტში ცვლილება არ არის.

პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მიუახლოვდა, ფიქრობდა, ახლოს როგორ შეჰყროდა: „უმეტარული საუბარი შმაგს უფრო გააშმაგებს! გონიერმა კაცმა ძნელი საქმე უნდა მოაგვაროს, ნაჩქარევი გადანყვეტილება შეიძულოს, შეიჯავროს.

213 რათგან ისი არის სადმე უცნობოდ და ისრე რეტად,  
რომე კაცსა არ მოუშუებს საუბრად და მისად ჭურეტად,

მივეწევი, შევიყრებით ერთმანერთის ცემა-ფელტად,

და ანუ მოეკლავ, ანუ მომკლავს, დაიმაღვის მეტისმეტად“.

u-სთან (სტრ. 213) შედარებით, პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ც. კიკვიძე: ყურადსაღებია ზოგიერთი გამოცემის ნაკითხვა დ-ისა: ანუ მოვკლავ, ანუ მომკლავს". და იმაღლის მეტისმეტად (ე. ი. ავთანდილი იმალება). ტაეპის მეორე ნახევარი ავტორის ტექსტადაა მიჩნეული.

ა. ბარამიძე: ასეთ ნაკითხვას საფუძველი არა აქვს. ავთანდილი არ იმალება. ნახევარტაეპის აზრია: ის საქმე, ის საიდუმლო (რომელიც უნდა გაიგოს ავთანდილმა) დაიმალება. დაადგინეს: დ-ის ნაკითხვა დარჩეს უცვლელად.

ს. შ.: რადგან ის (=უცხო მოყმე) ასე უგონო და რეტდასხმულია, რომ აღმამის საცქერლად და სასაუბროდ არ მიუშვებს, [თუ] დავენიე, ერთმანეთის მოსაკლავად შევიყრებით, ან მოვკლავ, ან მომკლავს, უფრო მეტად დაიმალება (იმ მოყმის საიდუმლოება კიდევ უფრო დაიმალება).

213,1 აპოვა ავთანდილ ტარიელ ნინუკან მინადენია;  
თითს უშვერს, თქვა, თუ; „ის არის!“ უხარის, არ თუ სწყნია.  
მაგრამ ტარიელს ახოვნად შეენიან სინაზენია,  
და მოურწყავს გიშრის ღარიოთა, ვარდი ყვითელი ტენია.

x-თან (სტრ. 300<sup>1</sup>) შედარებით, პროექტში ცვლილებაა: ბ „ის არის!“ (< „ის არის“), დ-ში დასმულია მძიმე. პროექტი მიღებულ იქნა.

ა.ბარამიძე: საჭიროა დ-ში მძიმე გადაისვას: „მოურწყავს გიშრის ღარიოთა ვარდი, ყვითელი ტენია“ ამით პირდაპირი ობიექტი (ვარდი) დაუკავშირდება შემასმენელს (მოურწყავს). გ.კარტოზია: აქ არის „ვტ“-ისთვის ჩვეულებრივი ნყოფა რთული თანწყობილი ნინადადებისა, სადაც ერთი ნვერი საერთოა ორივე შემადგენელი ნინადადებისათვის. ვარდი, რომელიც პირდაპირი ობიექტია პირველ ნინადადებაში, ქვემდებარეა მეორეში (ვარდი ყვითელი სტენია [= დასველება] მას). ლიტერატურაში სწორად მოუთითებენ, რომ ასეთ შემთხვევაში მძიმე საერთო ნვერის წინ უნდა დაინეროს (მდრ. „მათათა ცოლთა მოიძულნეს, ქმარნი დარჩეს გაბასრულად. 1063ა), ასე რომ მძიმე აქ არ უნდა გადაისვას.

დაადგინეს: გადაისვას მძიმე: „მოურწყავს გიშრის ღარიოთა ვარდი, ყვითელი ტენია“.

ს. შ.: ავთანდილმა იპოვა ტარიელი (ერთიმეორის) ნინ-უკან მიდიან; თითს უშვერს, თქვა: „ის არის!“ უხარია, კი არ ეწყინა. მაგრამ ტარიელს ვაჟკაცურად შეენის სინაზე, ყვითელი ვარდი (=ფერმკრთალი პირისახე) მოურწყავს გიშრის ღარიოთა (=წამამებით), დასველება.

213,2 ავთანდილ მისდევს უკანა, ტარიელ მივა ნინარე;  
მას შეეცვალა სალხინოდ იგ ჭირი მოუთმინარე;  
იგ ვითა მნათი ხელქმნილი მოყმე მათ თანა ვინ არე!  
და შესთხზვია ვარდას ბროლი და ძონი გიშრიოურთ, მინარე.

x-თან (სტრ. 300<sup>2</sup>) შედარებით, პროექტში ცვლილებაა: გ-ის ბოლოს კითხვის ნიშნისა და ტირეს ნაცვლად დასმულია ძახილის ნიშანი; დ-ში დასმულია მძიმე.

ე. მეტრეველი: გ-ში ორი ნინადადებაა და ისინი მძიმით უნდა გამოიყოს: „იგ ვითა მნათი ხელქმნილი, მოყმე მათ თანა ვინ არე!“ დ-ში შესთხზვია ერთ პირზე მოუთითებს, ამიტომ გ-ში მათ თანა-ს ნაცვლად უნდა ნაკითხვით: მის თანა.

ა. ბარამიძე: მის თანა კონიექტურაა. ამასთან, მისი მოშველიება საჭირო არ არის, რადგან დ-ში ვარდი შეიძლება გულისხმობდეს როგორც ერთ-ერთი გმირის (ტარიელის ან ავთანდილის) სახეს, ისე ორივესას.

დაადგინეს: გ-ში დაისვას მძიმე. მათ თანა დარჩეს უცვლელად.

ს. შ.: ავთანდილი უკან მისდევს, ტარიელი წინ მიდის; მას (ავთანდილს) ლხინად შეეცვალა ის მოუთმენელი ჭირი; ის როგორც გამშაგებული მნათობი, მათი მსგავსი მოყმე ვინ არის! ვარდს ჩასწვნია ბროლი და ძონი გიშრიტურთ და მინა.

213,3 „მე იმა ყმისა საკრავად ჳრმაღსამცა ვით მივყაყე ნები  
არ მოუკლავე, არცა მოუკუდები, არ ვაენებ, არცა ვეენები,  
შორით თუალოთა მიესწურავე, უკანა დავედევნები“.

და იარეს, გავლეს მრავალი მინდორი, შამბნარ-ვეენები.

x-თან (სტრ. 301) შედარებით, პროექტში ცვლილებაა: ა მე (< ან), მივყაყე (< მიჰყვე), ბ მოუკუდები (< მოუჰკუდები); ბ-ის ბოლოს ნერტილის ნაცვლად მძიმეა დასმული.

პროექტი მიღებულ იქნა,

ს. შ.: „მე იმ მოყმის დასაკრავად ხმაღს ხელს როგორ მოეკიდები არ მოეკლავე, არც მოვეკუდები, არ ვაენებ, არც ვნებას მოვაყენებინებ, შორიდან ვუთვალთვალე, უკან დავედევნები“. იარეს, გავლეს მრავალი მინდორი და შამბნარ-ხევი.

213,4 გარდაჯდა და თაყუანის-სცა, აჯუნა ლმრთისა სახენი:  
შენ გმონებს ყოელი ქუეყანა, ყოველი მონასახენი,  
შენგან მიხუდების ნადილსა ულონო-მოვაგლახენი.

და ავთანდილ გეძებ, სიცოცხლე შენთვის ლახუართა ვახენი“.

x-თან (სტრ. 302) შედარებით, პროექტში ცვლილებაა: ბ მონასახენი (< მონა, სახენი), გ ულონო-მოვაგლახენი (ულონო, მოვაგლახენი); ბ-ის ბოლოს ნერტილ-მძიმის ნაცვლად დასმულია მძიმე, გ-ის ბოლოს – ორ-ნერტილის ნაცვლად, ნერტილი.

პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ჩამოხდა და თაყვანი სცა ლმერთს, ახსენა მისი სახელი: „შენ გემონება მთელი ქუეყანა, ყველა სახიერი, შენი წყალობით აისრულებენ ნადილს ულონონი და მტიორალნი. ავთანდილი გეძებ, შენ გამო! სიცოცხლე ლახეარს შევახე“.

214 ავთანდილ იტყუის: „ეზომნი ჭირნიმცა რად ვაცუდენი?  
რაცაღა არის, არ არის, თუმცა არ ედგნეს ბუდენი;  
სადაცა მივა, მივიდეს, რამცა მოულოდეს ზლუდენი,  
და მუნალა ეძებნენ ლონენი ჩეგნი არდასამრუდენი“.

u-სთან (სტრ. 214) შედარებით, პროექტში ცვლილება არ არის.

პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ავთანდილი ამბობს: „ამდენი გაჭირება რატომ გაეცუდო? ვინც უნდა იყოს ეს უცხო მოყმე, არ იქნება, რომ ბინა (სადგომი) არ ჰქონდეს, სადაც მიდის, მივიდეს, რა ზლუდეც უნდა ჰქონდეს შემოვლებული, იქ ვილონებ რამეს სწორად (მართებულად) იქ მოვძებნი სწორ, მართებულ საშუალებას“.

215 ნინა-უკანა იარნეს ორნი დღენი და ლამენი, –  
დღისით და ლამით მაშურალნი, არ საჭამადთა მჭამენი, –  
არსადა ხანი არ დაყვეს, ერთნი თუალისა წამენი.



და მათ თვალთა ცრემლნი სდიოდეს მინდორთა მოსალამენი.

ა-სთან (სტრ. 215) შედარებით, პროექტში ცვლილებაა: ბ ტირებით არის გამოყოფილი სხვა ტაეებისაგან. პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის სანყისი სიტყვა რედაქციის ნევრებს სხვადასხვაგვარად ესმით. ა. ბარამიძისა და გ. კარტოზიას აზრით, წინა-უკანა ნიშნავს: „წინ და უკან“, „იქით-აქეთ“; ს. ცაიშვილის აზრით – „ერთი წინ, მეორე უკან“.

ს. შ.: წინ და უკან იარეს ორი დღე-ღამე, – დღე და ღამე დამაშურალნი, უჭმელნი, – არსად ხანი არ დაუყვიათ, თვალის ერთი დახამხამების ოდენი. მათ თვალებიდან მინდვრების დამლაშავი (მომრწყელი) ცრემლი სდიოდათ.

216 დღისით ელეს და სალამოვამ გამოჴნდეს დიდნი კლდენი, კლდეთა შიგან ქუაბნი იყენეს, ძირსა წყალი ჩანადენი, წყლისა პირსა, არ ითქმოდა, შამბი იყო თუ რასდენი,

და ხე დიდრონი, თვალუნდომი, მალლა კლდემდის ანაყრდენი.

ა-სთან (სტრ. 216) შედარებით, პროექტში ცვლილება არ არის.

პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: დღისით იარეს და სალამოვამ გამოჴნდა დიდი კლდეები, კლდეებში გამოქვაბულები იყო, ძირში მდინარე მიედინებოდა, არ ითქმის, თუ მდინარის პირას რამდენი შამბი იყო, დიდრონი ხეები, თვალმოუნდომელი, მალლა კლდეებამდის ანვდილი.

216,1 დადგა, უჭურეს, ალვის შტოსა ანძრეეს, გარე ჰქოდა ყელსა. აეთანდილს ჰქურის: „ეგრე ვითა გაანათებს მზეებრ ჴელსა! პირად მზესა, გულად ლომსა, ტანად შეჴაგავს სარო მზრდელსა“.

და მოიგონებს გულამოსკუნით მასვე მისსა საგონელსა.

ა-სთან (სტრ. 306) შედარებით, პროექტში ცვლილებაა: ბ ჰქურის: „ეგრე (< ჰქურის, ეგრე), ჴელსა (< ველსა;), გ მზრდელსა“. (< მზრდელსა;).

პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: გაჩერდა, უჭურეტს. ალვის შტოს (=ტანს) არხეეს, ყელის გარშემო ქარი უქოდა. აეთანდილს უქურის: „ეგრე როგორ მზესავით ანათებს ხმელეთს! სახით მზეს, გულით ლომს, ტანით ჩამოჴგავს მოზარდ საროს“. გულამოსკენილი იგონებს თავისსავე საგონებელს.

217 მან ყმამან ქუაბსა მიმართა, გავლნა წყალნი და ტყენია; აეთანდილ ცხენსა გარდაჴდა, მონახნა დიდნი ხენია, მას ზედა ჴურეტად გავიდა, ძირსა დააბა ცხენია,

და მუნით უჭურეტდა, იგი ყმა მივა ცრემლმინადენია.

ა-სთან (სტრ. 217) შედარებით, პროექტში ცვლილებაა: ა ტყენია (< კლდენია).

გ. კარტოზია: მიუხედავად იმისა, რომ ხელნაწერთა დიდ უმრავლესობაში ა-ს სარითმო სიტყვად კლდენია გვაქვს, პროექტის მომზადებელმა ჯგუფმა მაინც  $A^3 A^4 A^9$ -ის ნაკითხვას – ტყენია-ს მისცა უპირატესობა (ასეა დაბეჭდილი f j k r y-შიც), რადგან მხედველობაში ჰქონდა მომდევნო სტროფის ჩვენება: „რა ტყენი გავლნა მან ყმამან“. შ. ძიძიგური: გ-ში თითქოს მოქმედების თანმიმდევრობა დარღვეულია: ეგრე ხეზე გავიდა და მერე დააბა ცხენი! სინამდვილეში ასეთ დარღვევას აქ ადგილი არა აქვს. ტაეპი წარმოადგენს რთულ ქვენწყობილ (და არა შერწყმულ) წინადადებას, რომლის აზრი ასეთია: „ამ ხეზე გავიდა, რომლის ძირშიც დააბა ცხენი“.

ა. ბარამიძე: ამასთან დაკავშირებით მიზანშეწონილი იქნება, თუ ბ-ის ბოლოს მძიმის ნაცვლად ნერტილ-მძიმეს დავსვამთ.

გ. კარტოზია: ბ და გ ერთ შერწყმულ წინადადებას წარმოადგენს, ამიტომ შუაში ნერტილ-მძიმის დასმა მართებული არ არის. გ-ში დადასტურებული დარღვევა მოქმედების თანმიმდევრობისა „ვტ“-ისთვის უჩვეულო რამ არ არის. პოემაში სხვაგანაც გვხვდება წინადადების ამგვარი ინვერსიული წყობა.

დაადგინეს: ბ-ის ბოლოს მძიმის ნაცვლად დაისვას ნერტილ-მძიმე.

ს. შ.: ის მოყმე გამოქვაბულისაკენ გაემართა, გაიარა მდინარე და ტყე; ავთანდილი ცხენიდან ჩამოვიდა, მოძებნა დიდი ხე, მასზე ავიდა და საჭკრეტად, ძირს დააბა ცხენი, იქიდან უყურებდა, ის უცხო მოყმე მიდის აცრემლებული.

**218** რა ტყენი გაელნა მან ყმაჲან, მოსილჲან ვეფხის ტყავითა,  
ქუბასია კარსა გამოდგა ქალი ჯუბითა შავითა,  
ატირდა მალლად ცრემლითა, ზღუათაცა შესართავითა,  
და იგი ყმა ცხენსა გარდაჯდა, ყელსა მოუჭლო მკლავითა.

ა-სთან (სტრ. 218) შედარებით, პროექტში ცვლილება არ არის.

პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: იმ მოყმემ, ვეფხის ტყავით შემოსილმა, ტყე რომ გაიარა, გამოქვაბულის კართან გამოვიდა შავი ჯუბით შემოსილი ქალი, იგი ხმამალა ატირდა ზღვათა შესართავი ცრემლით, ის მოყმე ცხენიდან ჩამოვიდა, ყელზე მკლავი შემოაჭლო.

**219** ყმაჲან უთხრა: „დაო ასმათ, ჳიდნი ზღუასა ჩაგუიცივიდეს;  
ველარ მიხუბდით ჟამიერად, ჩუენ ვისნიცა ცეცხლნი გუწუოდეს“.  
ესე თქუა და მკერდსა ჳელნი იკრნა, ცრემლნი გარდმოსწუიმდეს.  
და ქალი შებნდა, მოეხუთა, ერთმანერთსა სისხლი სწომდეს.

ა-სგან (სტრ. 219) განსხვავებით, პროექტში სტროფი ჩანართადაა მიჩნეული.

გ. კარტოზია: სტროფი ჩათვლილია ჩანართად შემდეგი მოსაზრებების გამო: ა) არ არის A და D რედაქციის ნუსხებში, აგრეთვე C<sup>5</sup>-ში, ე. ი. სწორედ იმ ხელნაწერებში, რომლებსაც არ ახასიათებთ ადრე ჩანართად ჩათვლილი სტროფებიც; ბ) სტროფში რითმა დარღვეულია. ოთხივე ტაქტი სხვადასხვა რითმითაა წარმოდგენილი: ივეს, ივეს, იმდეს, მიდეს; გ) როგორც ადრევეა აღნიშნული ლიტერატურაში, უხერხულია გამოთქმა: „ჳიდნი ზღუასა ჩაგუიცივიდეს“ (ზღვაზე ხიდი!).

ა. ბარამიძე: სტროფი არ შეიძლება ამოვიღოთ ძირითადი ტექსტიდან. მასში სახელითაა მოხსენებული ასმათი. უამისოდ კი გაუგებარი იქნება 2234-ში ასმათის ხსენება: „ასმათ აგრე დაღრეჯილი კულა უფრორე დაიღრეჯდა. „ზღვაზე ხიდის ჩაცვენა“ სულაც არ არის უხერხული გამოთქმა. „ზღვა“ აქ „დიდ წყალს, დიდ მდინარეს“ ნიშნავს (მდრ. სპარსული დარია, რაც მდინარესაც ნიშნავს და ზღვასაც). რაც შეეხება რითმის დარღვევას, ეს, მართლაც, დამაფიქრებელია.

გ. კარტოზია: 2234-ში ასმათის მოხსენიება შეიძლება გადაამწერე-ბის გვიანდელი ჩანამატი იყოს.

ც. კიკვიძე: საინტერესოა, რომ r y-ში 2234-ის ასმათის მაგივრად დაბეჭდილია ქალი: „ქალი აგრე დაღრეჯილი“.

შ. ძიძიგური: შეიძლება დავუშვათ, რომ ეს ადგილი (219-ე სტროფი) ტექსტში დაზიანებული იყო და შემდეგ აღადგინეს გვიანდელი ხანის ავტორებმა. იქნებ ამით

აბსენოდეს სტროფის გაუმართაობა რითმის თვალსაზრისით. დაადგინეს: სტროფი ერთგვარი ეჭვით შეტანილ იქნეს ძირითად ტექსტში.

ს. შ.: მოყმემ უთხრა: „დაო ასმათ, ხიდი ზღვაში ჩაგვივარდა; დროზე ვერ ვნახეთ ის, ვისი ცეცხლზე გწნავს“. ეს თქვა და მკერდზე ხელები დაიშინა, ცრემლები წვიმასავით წამოუვიდა. ქალი დაბნდა, მოეხვია, ერთმანეთს სისხლი მოსწმინდეს.

220 იგი ტვერი გაეწორა დანაგლეჯსა მათსა თმასა,  
ერთმანეთსა ეხუოდეს: ყმა ქალსა და ქალი ყმასა;  
იზახლიან, მოსთქმიდიან, მოსცემდიან კლდენი წმასა.  
და აეთანდლო სჭურეტს გაკუორებით მათსა ეგრე ქცევა-ზმასა.

ა-სთან (სტრ. 220) შედარებით, პროექტში ცვლილება არ არის.  
პროექტი მიიღეს, ოღონდ ბ-ში ორნერტილი შეიცვალა ტირეთი.

ს. შ.: ის ხშირი ტყე კიდევ უფრო გაეხშირებინა მათს დანაგლეჯ თმას, ერთმანეთს ეხვეოდნენ – მოყმე ქალს და ქალი მოყმეს; ძლიერ ხშიანობდნენ, მოთქვამდნენ, კლდეები ემზურებოდნენ. აეთანდლილი გაკუორებით უყურებს მათს ასეთ ქცევა-მოქმედებას.

221 სული დაილო მან ქალმან, დასთმო გულისა წყლულობა,  
ქნაბს შეიყვანა ტაიჭი, მოქადა აკაზბულობა,  
მას ყმასა შექსნა, შეილო აბჯრისა წელმორტყმულობა;  
და შინა შევიდეს, მას დღესა გარდაჯდა გამოსრულობა.

ა-სთან (სტრ. 221) შედარებით, პროექტში ცვლილებაა: ა დასთმო (< დათმო), ბ მოქადა (< მოხადა), გ შექსნა (< შესხნა).

პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: დადუმდა ის ქალი, დაითმინა გულის ტკივილი, გამოქვამულში შეიყვანა ტაიჭი, მოხადა აკაზბულობა, იმ მოყმეს შესხნა ნულზე შემორტყმული იარაღი და გამოქვამულში შეიტანა; შინ შევიდნენ, იმ დღეს აღარ გამოსულან.

## 1974. 5. V

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კვიციანი, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს სტრ.: 222–231 (პროექტი მოამზადა III ჯგუფმა), 232–235 (პროექტი მოამზადა I ჯგუფმა).

222 აეთანდლის უკუირს: „ამბავი ისი თუ ეცნაო მე რითა?!“  
გათენდა, ქალი გამოდგა, მოსილი მითვე ფერიოთა,  
შავსა აუღდა ლაგამო, სწმედდა რიდისა წუერიოთა,  
და შეკაზმა, მოაქნს აბჯარი წყნარად, არ რამე ჩხერიოთა.

ა-სთან (სტრ. 222) შედარებით, პროექტში ცვლილება არ არის.  
პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: აეთანდლის უკუირს: „ის ამბავი როგორ გავიგოო?! გათენდა, ქალი გამოვიდა, იმავე ფერის ტანსაცმლით შემოსილი, შავს (=ცხენს) ლაგამი ამოსდო, რიდის

(თასაბურავის) ბოლოთი წმენდდა, შეკაზმა, აბჯარი წყნარად, უხმუროდ ჩხარუნის გარეშე მოაქვს.

**223** მის მოყმისა წესი იყო, მეტსა თურე არას ეჯდა.  
ქალი ტირს და მკერდსა იცემს, თმისა ტევრსა გაიგლეჯდა;  
ერთმანეთსა მოეხუენეს, აკოცა და ცხენსა შეეჯდა;

და ასმათ, აგრე დაღრევილო, კულა უფრორე დაიღრეჯდა.

ა-სთან (სტრ. 223) შედარებით, პროექტში ცვლილება არ არის.

ა. ბარამიძე: გაუგებარია ა-ში თურე (= თურმე) ნანილაკი. ავტორის მეტყველებაში იგი მოულოდნელია.

ბ. ცაიშვილი: თურე-ს არსებობა აქ იმით არის გამართლებული, რომ ტაეპში პერსონაჟის (ავთანდილის) თვალსაზრისია გადმოცემული.

ე. მეტრეველი: თუ ეჯდა-ს განვიხილავთ ეჯ-ისაგან ნაწარმოებ ზმნად, გაუგებარია არას. მოსალოდნელი იყო გექონოდა არა ეჯდა.

ი. გიგინეიშვილი: უარყოფითი ნაცვალსახელის მიცემითი (არას) ამ ტაეპში, მართლაც აუხსნელია. რაც შეეხება მეტსა ფორმას, შეიძლება დაფუძვთ, რომ ის აქ ზმნიზედური მნიშვნელობით არის ნახმარი, და ამდენად მისი არსებობა ამ კონტექსტში გამართლებული ჩანს. მეტსა თურე არა ეჯდა საჭეებით მისაღები ფრაზა იქნებოდა, სადმე რომ იყოს დადასტურებული ხელნაწერებში.

შ. ძიძიგური: ეჯდა იგივე უნდა იყოს, რაც უჯდა (არას ეჯდა = არაფერს უჯდა). შეიძლება ადრინდელ ქართულ სალიტერატურო ძეგლებში ამ ზმნის ი- და ე- პრეფიქსიანი ფორმები (ოჯდა, ეჯდა) არ დასტურდებოდეს, მაგრამ ამან არ უნდა დაგვაბრკოლოს. ამ უკანასკნელ დროს სამეცნიერო ლიტერატურაში გამოვლინდა მრავალი შემთხვევა ძველი ქართული ენის ძეგლებში გვიანდელად მიჩნეული ფორმების ხმაურებისა. უნდა ვიფიქროთ, რომ ეჯდა რეალური წარმოება იყო რუსთველისდროინდელ ხალხურ მეტყველებაში და პოეტმა ამოატიფტივა იგი, როცა რითმისთვის დასჭირდა ასეთი ფორმა.

გ. კარტოზია: საეჭვოა, რომ ეჯდა იყოს ჯდა ზმნის რელატორი ფორმა. იჯდა, ეჯდა ფორმები ქართულში გვიანდელი გაჩენილია. შეიძლება დაფუძვთ, რომ ტექსტში ამოსავალი ნაკითხვა იყო არა ეჯდა (სადაც ეჯდა ეჯ-ისაგან ნაწარმოები ნასახელარი ზმნაა). გვიანდელი ხანის გადამწერებმა ეჯდა ალბათ გაიგეს ჯდა ზმნის რელატორ ფორმად და ამის შესაბამისად „გამართეს“ ტექსტი: უარყოფითი არა ნანილაკი მიცემითში დასმულ ნაცვალსახელად გადააკეთეს.

დაადგინეს: დარჩეს ნაკითხვა: მეტსა თურე არას ეჯდა. ნახევარტაეპის აზრი ასე უნდა გავიკოთ: „თურმე მეტს არაფერს უჯდა“ (მომხრენი: ა. ბარამიძე, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ბ. ცაიშვილი, შ. ძიძიგური; წინააღმდეგი – გ. კარტოზია; ი. გიგინეიშვილმა თავი შეიკავა).

ბ. შ.: იმ მოყმის ჩვეულება იყო, თურმე მეტს არაფერს უჯდა. ქალი ტირის და მკერდზე ხელს იცემს, ხშირ თმას იგლეჯდა; ერთმანეთს მოეხუენენ, მოყმემ აკოცა და ცხენზე შეეჯდა; ასმათი, ისე დამწუხრებული, კიდეც უფრო დამწუხრდა.

**224** ავთანდილ ახლოს კულა ნახს სახე მისივე, კაცისა,  
ულვაშაშლილო, წურეგამო, „ნუთუ შხაო, თქუა, ცისა?“  
ეყროს სული ალვისა, ქართაგან მონატაცისა;

და ასრე უჩნს მოკლეა ლომისა, მართ ვითა ლომსა – ეაცისა.

ა-სთან (სტრ. 224) შედარებით, პროექტში ცვლილებაა: დ უჩნს (< უჩს).

მ. ძიძიგურის წინადადებით, ზ-ში თქვა ტირიებით გამოიყო, ტაეპის ბოლოს დაისვა ძახილის ნიშანი: „ნუთუ მზეაო, თქვა, –ცისა“

ს. შ.: აეთანდილმა ახლოს კიდევ ნახა მისივე, კაცისავე, სახე ახალუღვაშაშლილი, ნერგამომავალი, „ნუთუ ცის მზეაო!“ – თქვა. იყნოსა ქარის მონატაცი ალვის სუნი; ლომის მოკვლა ისე (ადვილად) მიაჩნია, როგორც ლომს – ვაცისა.

225 მასვე გზასა წამოვიდა, რომე გუშინ შეეარა,  
შამში გაელო, გაეშორა, თაჲ მინდორს გააგარა;  
ათანდილ სჭურეტს გაკურთხებით, მალეით ხესა მოუფარა,  
და თქვა, თუ: „ღმერთმან ესე საქმე შეტად კარგად მომიგუარა.  
ა-სთან (სტრ. 225) შედარებით, პროექტში ცვლილება არ არის.

ბ-ის ბოლოს ნერტილ-მძიმის ნაცვლად დაისვა ნერტილი. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: იმავე გზაზე წამოვიდა, გუშინ რომ გაეელო, შამში გააიარა, გაეშურა, მინდორში გავიდა. აეთანდილი გაკვირვებით უყურებს, მალულად ხეს ამოიფარა თქვა: „ღმერთმა ეს საქმე ძალიან კარგად მომიგუარა.“

225,1 აეთანდილ თქვა: „უამად ეპოვე, ვრობდი ვისთვის სურვილითა,  
მისგან კიდე მომსახურე, ვნახო, პყვანდეს ნუთუ ვითა,  
ნუთუ რასაც მოველოდე, მითხრას ამან მე ამბებითა,  
და თუარა მე ვარ იგი ლომი, რომე შეცვთა მოვსრავ წრმლითა.

ა-სთან (სტრ. 316) შედარებით, პროექტში ცვლილებაა: გ მოველოდე (მოველოდე), დ თუარა (< არა); მძიმეა დასმული ა-ს ბოლოს (ნერტილ-მძიმის ნაცვლად) და ბ-ის ბოლოს (ორნერტილის ნაცვლად). დ-ის ბოლოს ნერტილი დაისვა (კითხვის ნიშნის ნაცვლად).

პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: აეთანდილმა თქვა: „დროზე ვიპოვე, ვისთვისაც მონდომებით დავრბოდი, ვნახო, მის (=ასმათის) გარდა მსახური ნუთუ ეყოლება; რასაც მოველი, იქნებ ამან მიაშბოს, თორემ მე ვარ ის ლომი, რომელიც მხეცებს ხმლით ვხოცავე“.

226 ან ამას ჩემთვის ღმრთისაგან სხვა საქმე რა ვაჯობინო?  
ქალო შევიპყრა, მის ყმისა ამბავი ვაამბობინო,  
ჩემიცა უთხრა ყუელაი, მართალი გავაბრჭობინო,  
და მას ყმასა წრმალი არა ეპყრა, არც მისი დავისობინო“.

ა-სთან (სტრ. 226) შედარებით, პროექტში ცვლილება არ არის.

ა. ბარამიძემ, ი. გიგინეიშვილმა, ე. მეტრეველმა დ-ში უპირატესობა მისცე ხელნაერთა დიდ ნაწილში დადასტურებულ ნაკითხვას: „არცა მას დავასობინო“.

ე. მეტრეველმა, კერძოდ, აღნიშნა, რომ დავასობინო უკეთესია რითმის თვალსაზრისითაც. შდრ. დანარჩენი ტაეპების სარითმო სიტყვები: რა ვაჯობინო, ვაამბობინო, გავაბრჭობინო. ც.კიკვიძეს, ს.ცაიშვილს, გ.კარტოზიას მიაჩნიათ, რომ ტექსტში უნდა

დაარჩეს დავისობინო – კუზატყვის სათავესო ქცევის იშვიათი ფორმა.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს „არცა მას დავასობინო“.

ს. შ.: ახლა ამას სხვა რა ლევისმიერი საქმე ვამჯობინო? ქალს შევიპყრობ, იმ მოყმის ამბავს ვაამბობინებ, ჩემსაც ყველაფერს ვეტყვი, სიმართლეს განვასჯევეინებ, იმ მოყმეს ხმალს არ დავკრავ, არც მას დავასობინებ ჩემზე“.

227 ჩამოვიდა ცხენი აწნა, მისგან ხესა გამომბული,

ზედა შეედა, გაემართა, ქვაბი დახუნდა კარგახმული,  
მუნით ქალი გამოიჭრა გულმდულარე, ცრემლდასხმული,  
და ეგონა, თუ: დაბრუნდაო პირი ვარდი, ბროლბაკმული.

პ-სთან (სტრ. 227) შედარებით, პროექტში ცვლილებაა: ბ კარგახმული (< კარ-  
განხმული). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ხიდან ჩამოვიდა, ახსნა ცხენი, მის მიერ ხეზე გამობმული, ზედ შეედა,  
გაემართა, გამოქვაბული კარლია დახვდა. იქიდან ქალი გამოიჭრა, გულმდულარე,  
აცრემლებული, ეგონა, ვარდის სახიანი, ბროლის ბაკმიანი – ბროლის შარავანდიანი უცხხო  
მოყმე დაბრუნდაო.

228 ვერ იცნა, – სახე არ ჰგავნდა მისი მის ყმისა სახესა, –  
ფიცხლა გაიქცა, მიმართა ზახილით კლდესა და ხესა;  
ყმა გარდაიჭრა, დააბა, ვითა კაკაბი მახესა;

და წმას სცემდეს კლდენი ქალისა ზახილსა მუნ ერთსახესა.

პ-სთან (სტრ. 228) შედარებით, პროექტში ცვლილება არ არის.

ი. გიგინეიშვილი: ხელნაწერებში დადასტურებულ ნაკითხვას ფიცხლავ ვარიანტს  
უნდა მოეშალოს კვალიფიკაცია გვიანდ. (= გვიანდელი), რადგან -ავ ამ სიტყვაში  
უძველესი სუფიქსია. ც. კიკვიძე: ფიცხლავ ფორმის კვალიფიკაცია, როგორც გვიანდელი-  
სა, მართებულია, რადგან კომისიის სალექსიკონო მასალა მოწმობს, რომ ფიცხლავ  
ადრინდელ ძეგლებში არ დასტურდება.

გ. კარტოზია: ფიცხლავ-ში -ავ სუფიქსის გამოყოფა არ შეიძლება უდავოდ იქნეს  
მჩნეული: შეიძლება ვ აქ -ვე ნაწილაკის ნაშთი იყოს. რადგან საკითხი სადავოა, აჯობებს,  
ვარიანტებში ფიცხლავ ფორმასთან მოიშალოს კვალიფიკაცია (გვიანდელი), მაგრამ  
შენიშვნებში ითქვას, რომ რუსთველისდროინელ ძეგლებში გავრცელებულია ამ სიტყვის  
ორი ფორმა: ფიცხლა და ფიცხლად, ფიცხლავ კი გვიანდელ ტექსტებშია  
დადასტურებული.

რედაქციამ მიიღო ეს წინადადება.

ს. შ.: ვერ იცნო, –მისი სახე არ ჰგავდა იმ მოყმის სახეს, – სწრაფად გაიქცა,  
ყვირილით გაემართა კლდისა და ტყისაკენ, მოყმე (ავთანდილი) ცხენიდან ჩამოიჭრა,  
შეიპყრო ქალი, როგორც კაკაბი მახეში; კლდეები ეხმურებოდნენ ქალის გაბმულ  
ყვირილს.

229 მას ყმასა თაეი არ მისცა, ჭურჭტადცა ებილნებოდა,  
ვითა კაკაბი არწიესა ქეზეუ მი და მო კრთებოდა,  
ტარიელს ვისმე უზახხდა მწედ, თუცა არ ემნებოდა,  
და ავთანდილ მუქლთა უყრიდა, თითთა ეხუნებოდა.

პ-სთან (სტრ. 229) შედარებით, პროექტში ცვლილებაა: ბ კრთებოდა (< ძრნებოდა).

შ. ძიძიგური: ბ-ში კრთებოდა-ს ნაცვლად უნდა აღდგეს ძრნებოდა. როგორც  
ვერსიფიკატორულად, ისე სემასიოლოგურადაც ძრნებოდა-ს უნდა მიეცეს უპირატესობა:  
რითმა უფრო ღრმა არის და მეტი ექსპრესიაა გამოსახული.

ც. კიკვიძე: როცა კრთებოდა-ს მიანიჭა უპირატესობა, პროექტის მომზადებელი  
ჯგუფი იმ ვარაუდით ხელმძღვანელობდა, რომ უფრო საფიქრებელია დაუშვავთ  
კრთებოდა > ძრნებოდა (რითმის გამდიდრების მიზნით!), ვიდრე პირიქით.

შ. ძიძიგური: ძრნებოდა > კრთებოდა იმის შედეგი უნდა იყოს, რომ ძრნოლა უფრო  
იშვიათად იხმარება ენაში, ვიდრე კრთომა.

ს. ცაიშვილი: ტაეპში ძრნებოდა უკეთესია ალიტერაციის თვალსაზრისითაც. შდრ. არწიესა ქუქუე ... ძრნებოდა.

დაადგინეს: ბ-ში აღდგეს ძრნებოდა.

ს. შ.: იმ მოყმეს ქალი არ დაემორჩილა, დასანახადაც ეზიზღებოდა, როგორც კაკაბი არწივის ქვეშ აქეთ-ოქით აწყდებოდა, ვილაც ტარიელს უძახდა დამხმარედ, თუმცა ვერ ეხმარებოდა, ავთანდილი მუხლს უყრიდა, თითით ეხვეწებოდა.

229,1 ქალი კიოდა, ტირილით წმასა მოსცემდა მთა ვითა,

უზახის: „ლომო ტარიელ!“ არ იყო ამად ზავითა.

ავთანდილი ეტყვის: „ნუ შმაგობ, ნუ ხარ ცნობითა ავითა,

და ღარიბი უადგილოსა მოვალ მართ ოდენ თავითა“.

X-თან (სტრ. 321) შედარებით, პროექტში ცვლილებაა: ა კიოდა, ტირილით წმასა მოსცემდა (< კიოდა ტირილით, ხმასა მოსცემდეს), „ლომო ტარიელ!“ (< „ლომო, ტარიელ“), მოვალ. (< მოველ); წერტილ-მძიმის ნაცვლად ა-ს ბოლოს მძიმეა დასმული, ბ-ის ბოლოს – წერტილი.

ი. გივინეიშვილი: ბ-ში შესაცვლელია პუნქტუაცია: უზახის, „ლომო ტარიელ“, არ იყო ამად ზავითა.

გ. კარტოზია: დ-ში უნდა აღდგეს მოველ, რასაც მხარს უჭერს კონტექსტი და პოემის რედაქციათა უმრავლესობა.

რედაქციამ მიიღო ეს წინადადებები.

ს. შ.: ქალი ტირილით კიოდა, მთა ხმას აძლევდა, უძახის, „ლომო ტარიელ“, ამიტომ არ ურიგდებოდა. ავთანდილი ეუბნება: „ნუ შმაგობ, ნუ ხარ გახელებული, უცხო მგზავრი მართო მოვედი უცნობ ადგილას“.

230 ეტყოდა: „სულე! რამც გიყავ? კაცი ვარ, ადამიანი,

უფეროქმნილი მინახვან ვარდნი და ისი იანი,

მისი რა მოთხარ, ვინ არის ტანსარო, პირბაკიანი?

და სხუად არას გიზამ, ნუ გეზის, ნუ მყივი აგრე წმანი“.

u-სთან (სტრ. 230) შედარებით, პროექტში ცვლილება არ არის.

ი. გივინეიშვილი: გ-ში ვინ მიმართებითი ნაცვალსახელია და არა კითხვითი. ამიტომ ტაეპის ბოლოს კითხვის ნიშნის ნაცვლად წერტილი უნდა დაისვას.

რედაქციამ მიიღო ეს წინადადება, ამასთან, ა-ს ბოლოს მძიმე შეცვალა ძახილის ნიშნით.

ს. შ.: ეუბნებოდა: „სუ გაჟუმდი რას გიზამ? კაცი ვარ, ადამიანი! ფერდაკარგული ვნახე ის ვარდი და ია (=უცხო მოყმე), მის შესახებ რამე მოთხარი, თუ ვინ არის საროსტანა, სახეშარავანდელიანი, სხეფრივ არაფერს გაენებ, ნუ გეშინია, ნუ კივი ასე ხმამალა“.

231 ქალი ეტყოდა ტირილით, სარჩელი უგავს ბრჭობასა:

„თუ არ შმაგი ხარ, დამეჭუნე, შმაგი ხარ, მოდი ცნობასა!

ან მეტად ძნელსა საქმესა მნუკვე ადვილად თხრობასა;

და ცუდად ნუ სცთობი, ნუ ელი მაგა ამბისა მშობასა!“

u-სთან (სტრ. 231) შედარებით, პროექტში ცვლილება არ არის.

შ. ძიძიგური: ბ-ის მეორე ნახევარი უკავშირო რთული ქვეყნობილი წინადადებას, სადაც გამოტოვებული თუ კავშირის მაგივრობას სწევს ინტონაცია. ეს ნახეჭდ ტექსტშიც უნდა აისახოს – დაქვემდებარებული წინადადების შემდეგ დაისვას კითხვის ნიშანი: „შმაგი ხარ? მოდი ცნობასა!“

ი. გიგინეიშვილი: რთული ქვენყობილი წინადადების გაკვეთა კითხვის ნიშნით გაუმართლებელია.

დაადგინეს: ტაეპის პუნქტუაცია უცვლელად დარჩეს.

ა. ბარამიძე: დ-ში ამბისა მბობასა-ს ნაცვლად, უნდა მივიღოთ მთელ რიგ ხელნაწერში დამონებული ამბისა ცნობასა. ამბის ცნობა ჩვეულებრივ თქმაა პოემაში. ამბის მბობის საწინააღმდეგოდ ის მეტყველებს, რომ წინა ტაეპშიც თხრობაზეა ლაპარაკი.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს ნაკითხვა ამბისა ცნობასა.

ს. შ.: ქალი ტირილით ეუბნებოდა, მისი ჩივილი ბჭობას პგავს: „თუ შმაგი არა ხარ, დამეხსენი; თუ შმაგი ხარ, გონზე მოდი! ახლა მეტად ძნელი საქმის ადვილად თხრობას მეხევენები; ამაოდ წუ ცდები, წუ ელი მაგ ამბის შეტყობას!“.

232 კულა ეტყვის: „ყმაო, რა გინდა, ანუ მეწუყე მე რასა?

მაგა საქმესა ვერა იქს ვერცა კალამი წერასა.

შენ ერთხელ იტყვი, «მითხარო», მე ასჯერ გითხრობ «ვერასა»,

და ვითა სიცილი ტირილსა, მიჯობს ვაგლახი მღერასა“.

ა-სთან (სტრ. 232) შედარებით, პროექტში ცვლილებაა: ბ იქს (< იქს), მიჯობს ვაგლახი (< ვაგლახი მიჯობს).

ი. გიგინეიშვილი: ბ-ში საქმესა ფორმის ნაცვლად მოსალოდნელი იყო გვექონოდა საქმისა ან საქმისას.

ს.ცაიშვილი: ტაეპის ნაკითხვა ადრეც გამხდარა დავის საგანი. ზოგიერთ გამოცემაში კონიექტურაც (საქმისა) მიიღეს, მაგრამ ამგვარი სწორება საჭირო არ არის, ტაეპში გვაქვს ძველი სინტაქსური კონსტრუქცია.

გ.კარტოზია: ამგვარი ძველი კონსტრუქცია (სახელზმნის მიერ სახელის მიცემითში მართვა) პოემაში სხვაგანაც დასტურდება. მღრ., მაგ., „წყლულსა, მისგან დაკოდილსა, მასვე ძალ-უც განკურნება“ (1440<sub>4</sub>): „წყლულსა განკურნება“ და არა „წყლულსა განკურნება“.

დაადგინეს: დარჩეს ნაკითხვა საქმესა.

ი. გიგინეიშვილი: დ-ში პირველი ნახევარი შინაარსობრივად ეწინააღმდეგება მეორეს. საჭიროა გასწორდეს ზოგიერთი ხელნაწერისა და გამოცემის მიხედვით: „ვითა ტირილი სიცილსა“.

რედაქციამ მიიღო ეს წინადადება.

ს. შ.: ისე ეუბნება: „მოყმე, რა გინდა, ან რას მეხევენები? მაგ ამბავს კალამიც ვერ აღწერს, შენ ერთხელ იტყვი, «მითხარო», მე ასჯერ გეტყვი, «ვერა-შეთქი“, როგორც ტირილი (მირჩენია) სიცილს, ისე მირჩენია გლოვა სიმღერას“.

232,1 ყმა ეტყვის: „ხედავ, სისხლისა თუალთა მდის ცრემლთა წყალეში,

დრო გამიგრძელდა, მიმჭირდა, მარნია მით აწყა ლეში.

ვიცი, არ მომკლავ, ღარიბი ღარიბსა შეგენყალეში;

და მაგა ამბითა დამოხე ცეცხლისა მე აწყა ალები“.

ა-სთან (სტრ. 325) შედარებით, პროექტში ცვლილებაა: დ ამბითა (< ამბითა). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მოყმე ეუბნება: „ხედავ, რომ თვალებიდან სისხლიანი ცრემლები მდის, (უცხოობაში ყოფნის) დრო გამიგრძელდა, შეეწუხდი, ახლა ამიტომ ვარ დაღურჯებული. ვიცი, რომ არ მომკლავ, უცხო უცხოს შეგებრალეში; მაგ ამბის თხრობით ახლალა ჩამიქრე ცეცხლის ალი“.



233 „ქალო, არ იცი, სით მოვალ, რა ჭირნი მომითმენიან,  
ოდითგან ვეძებ ამბავთა, ესე არვისგან მსმენიან;  
შენ მიპოვნისარ, სიტყუანი ჩემნი რაზომცა გწყენიან,  
და ვერ დაგვკსნები, მიაძბე, ჩემგან ნულარა გრცხუნენიან!“  
პ-სთან (სტრ. 233) შედარებით, პროექტში ცვლილება არ არის.  
პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: „ქალო, არ იცი, საიდან მოვდივარ, რა გაჭირვება მომითმენია, დიდი ხნიდან  
ვეძებ მის ამბავს და არავისგან გამიგონია; შენ მიპოვნისარ, ამიტომ ჩემი სიტყუები  
რამდენადაც უნდა გწყენოდა, ვერ დაგეხსნები, მიაძბე, ჩემი ნულარ გრცხვენია!“

234 ქალმან უთხრა: „რას შეგესნარ, მე ვინ ვარ და ანუ შენო?  
მზე არ მახლავს, შეგეტყუების, თრთუილო, ასრე მით მანყნო!  
გრძელი სიტყუა სანყნოა, ასრე მოკლედ მოგაწყენო:  
და ვერასათუის ვერ გიამბობ, რაცა გინდა, იგი ქენო!“  
პ-სთან (სტრ. 234) შედარებით, პროექტში ცვლილება არ არის.  
პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ქალმა უთხრა: „ვის გადაგეყარე, მე ვინ ვარ ან შენ ვინო? მზე (=უცხო მოყმე)  
ჩემთან არ არის, თრთუილო, გეტყობა, ასე ამიტომ მანუხებო! გრძელი სიტყუა მოსანყენია,  
მოკლედ ასე მოგახსენებ: ვერაფრის გულისთვის ვერ გიამბობ, რაც გინდა, ის ქენიო!“

235 კულაცა კადრა ზენარობით, მოუყარა მუქლნი ნინა,  
მაგრა ვერა ვერ დაჰყარა, მუდარობა მოეწყინა,  
პირსა ზედა გაგულისდა, თულთა სისხლი მოედინა,  
და ადგა, თმათა ნამოზიდა, ყელსა დანა დააბრჯინა.  
პ-სთან (სტრ. 235) შედარებით, პროექტში ცვლილება არ არის.  
პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: კიდევ ფიცით ჰკითხა, ნინ მუხლი მოუყარა, მაგრამ ვერაფერი  
დააცდენინა, ხვენას მოსწყინდა, სახე მრისხანე გაუხდა, ადგა, თმით მოიზიდა და ყელს  
დანა მიაბრჯინა.

## 1974. 17. V

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე,  
ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.  
განიხილეს სტრ.: 235,1–240 (პროექტი მოამზადა I ჯგუფმა), 241–249,  
239,1, 248,1, 248,2 (პროექტი მოამზადა II ჯგუფმა).

235,1 ყმასა შეჰყარა ასმათი, ყელსა აბჯინებს დანასა.  
რას ერზი, ვარდი დაზრვიან, იგ კიდევ უფრო დანასა.  
„მოთხარ, ვინ არის იგი ყმა?“ – ჰკითხვედა ამისთანასა.  
და „არას ვიტყვიო“, იგ ვინმე პატიჯი [ათი ანასა].  
პ-სთან (სტრ. 328) შედარებით, პროექტში ცვლილებაა: ბ რას ერზი, (< რას ერზი? –).  
პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მოყმეს შეხედრია ასმათი, ყელზე დანას აბჯენს. რას ერჩი, ვარდი დაზრობია (=პირისახე გაპფერმერთალებია), ის (პირისახე) კიდევ უფრო დააუშნოვა, „მითხარი, ვინ არის ის მოყმე?“ – ამას ეკითხებოდა. „არაფერს ვიტყვი“, ის ტანჯვა გაათეკვა (ათი ასად აქცია).

236 ეგრე უთხრა: „მე ეზომი ჯავრი ვითა შეგარჩინო, რაგუარა თუ ამატირო, ცრემლი ცუდად დამადინო? გიჯობს, მითხრა, ამის მეტი მართ აღარა არ განყინო, და თუარა ღმერთმა მტერი ჩემი მოკლას, ვითა მოგაკუნდინო!“

ა-სთან (სტრ. 236) შედარებით, პროექტში ცვლილებაა: ა-ს ბოლოს მიძივა (კითხვის ნიშნის ნაცვლად). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ასე უთხრა: „მე ამდენ ჯავრს როგორ შეგარჩენ, როგორ თუ შენ ამატირო, ცრემლი ამაოდ დამადინო? გიჯობს, მითხრა, ამის მეტს სწორედ აღარაფერს განყენ, თორემ ღმერთმა ჩემი მტერი მოკლას, ისე, როგორც შენ მოგკლავ!“

237 ქალმან უთხრა: „ეგე ღონე მოიგონე მეტად ავი: თუ არ მომკლავ, არ მოკუნები, მრთელი ვარ და მოუკლავი; რად რა გითხრა, სადამდისცა ვიყო ჭირთა უნახავი? და კულა თუ მომკლავ, სასაუბროდ აღარ მედგას ზედა თავი.“

ა-სთან (სტრ. 237) შედარებით, პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ქალმა უთხრა: „ეგ მეტად ცუდი ხერხი მოიფიქრე: თუ არ მომკლავ, არ მოკვდეები, ჯანმრთელი ვარ და ცოცხალი. რატომ გეტყვი რაიმეს, ვიდრე არ გამჭირვებია? თუკი მომკლავ, სასაუბროდ თავი აღარ მექნება (მებმება)“.

237,1 უთხრა, თუ: „ლომო აეთანდილ, შეიქენ ელვაკროთომითა; თუ მომკლავ, დამქსნი სოფელსა, ეგ მიჯობს ბერის ზომითა; არ ვიცი, ფიქუ, მით მანყენ, მიპოვე შზე ნაჯდომითა; და შენებრი კაცი ჩემს მეტსა ვერვის უდარებს ომითა“.

ა-სთან (სტრ. 331) შედარებით, პროექტში ცვლილებაა: ა უთხრა, თუ: „ლომო აეთანდილ (< უთხრა თუ: „ლომო, აეთანდილ), დ ჩემს მეტსა (< ჩემგ მეტსა).

გ.კარტოზია: გ-ში მზედ ტარიელი იგულისხმება. შუენაჯდომითა ამიტომ ერთ სიტყვად (კომპოზიტად) უნდა გავიგოთ.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს ნაკითხვა შუენაჯდომითა.

ს.შ.: [ასმათმა] უთხრა: „ლომო აეთანდილ. შეიქენ ელვის გამომკროთომელი (=მრისხანე); თუ მომკლავ, მომპორებ წუთისოფელს, ეგ ბევრად მირჩვენია; არ ვიცი, ფიქუ, იმითომ მერჩი, მზემომორებული (აუტარიელი) მიპოვე? შენნარი კაცი ჩემს მეტს ვერავინ შეებრძობება“.

238 კულა ეტყვის: „ყმაო, რად მპოვე, ვინ მეუბნები მე, ვინო? ეგე ამავეი ცოცხალსა ენითა ვერ მათქვეინო! მე თავი ჩემი ნებითა ჩემითა მოგაკლვევინო, და ვითა უსტარი ბედითი ადეილად დაგახევირო.“

ა-სთან (სტრ. 238) შედარებით, პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: კვლავ უნებნა: „მოყმე, რად მიგანნივარ, ვინ მუუნბები, ვინ (=ვინა ხარ)? მაგ ამაგვს ცოცხალს ენით ვერ მათქმევირებ! მე ჩემს თავს ჩემი ნებით მოგაკვლევირებ, უსარგებლო ნერილივით ადვილად დაგახევირებ.“

239 ჩემი სიკუდილი შენ ჩემად პატივად ნურად გგონია, მით რომე დამწინი ტირილსა, შემშრების ცრემლთა ფონია; ჩალად მიჩნს ყოელი სოფელი, მისთუნივე შემიწონია.

და ვერ გიცნობ, ვინ ხარ, ვის გითხრნე სიტყუანი მისანდონია?“

ს-სთან (სტრ. 239) შედარებით, პროექტში ცვლილება: გ მიჩნს (<მიჩნს).

პროექტი მიღებულ იქნა, ოღონდ გ-ის ბოლოს დაისვა ნურტილ-მძივე.

ს. შ.: ჩემი სიკუდილი შენ ჩემთვის რაიმე ტანჯვად ნუ მიგანჩნია, იმიტომ რომ ტირილისგან მიხსნი, შემამრება ცრემლთა ნაკადი; ჩალად მიმანჩნია მთელი ქვეყანა, მის – ჩალის ბადად ჩამითვლია, არ გიცნობ, ვინ ხარ, ვის გითხრა გულახდილი (მისანდობელი) სიტყუები?

240 ყმაშან თქუა, თუ: „არ ეგების ან ამისი ასრე თქმევა, სხუასა რასმე მოგონება სჯობს, საქმისა გამორჩევა“.

გაუშუა და ცალკე დაჯდა, ტირის, დაიწყო ცრემლთა ფრქვევა,

და ქალსა უთხრა: „გაგარისხე, ან არ ვიცი, ვით დავრჩე, ვა!“

ს-სთან (სტრ. 239) შედარებით, პროექტში ცვლილება არ არის.

რედაქციის ნეერებმა იმსჯელეს გ-ში დაიწყო ზმნის ვარიანტულ ნაკითხვებზე. ი. გიგინეიშვილმა, კერძოდ, აღნიშნა, რომ საყურადღებოა ხელნაწერებში დაცული ნაკითხვა დაუწყო, რომელიც შეიძლება გავიგოთ არა სამპირიან ზმნად (დაუწყო აეთანდილმა ცრემლებს ფრქვევა), არამედ ორპირიანად (დაუწყო აეთანდილს ცრემლების ფრქვევა).

დაადგინეს: ჯერჯერობით დარჩეს დაიწყო ფორმა. შემდგომში კვლავ დაუბრუნდეთ დაიწყო/დაუწყო ზმნათა ხმარების საკითხს აქ და სხვა სტროფებშიც.

ი. გიგინეიშვილი: დ-ში არ ვიცი-ს ნაცვლად უნდა მივიღოთ რიგ ხელ-ნაწერში არსებული ნაკითხვა ესე თქუი. ესე თქუი უფრო გადასწორდებოდა არ ვიცი-დ, ვიდრე პირიქით.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს ნაკითხვა: „ან ესე თქუი, ვით დავრჩე, ვა!“ ი. გიგინეიშვილი: ამავე ტაეპის ბოლოს ვა-ს ნაცვლად უნდა დაიწეროს ვაჰ. რედაქციის ნეერები არ დაეთანხმნენ ამ წინადადებას, რადგან შორისდებულისათვის იოტის მიწერა დაარღვევს რითმას (ევა).

დაადგინეს: დარჩეს ვა. შენიშვნებში აღინიშნოს, რომ სხვა შემთხვევებში მიღებული გვაქვს ვაჰ, მაგრამ აქ რითმის გამო ვწერთ ვა-ს.

ს. შ.: მოყმემ თქვა „არ შეიძლება ახლა ამისი ასე თქმევირება. სხვა რაიმეს მოფიქრება და საქმის გამორჩევა სჯობს“. გაუშუა და ცალკე დაჯდა, ტირის, ცრემლების ფრქვევა დაიწყო, ქალს უთხრა: „ვაიმე, გაგაბრაზე, ახლა ეს თქვი, როგორ ვიცოცხლო!“

241 ქალი დაუჯდა კუმტგუარად, ქუშობს, ჯერო არ დამტკბარია;

ათანდილ ქუე ზის ტირილად, აღარას მოუბარია;

ვარდისა ბალსა მოგუზბე ცრემლისა საგუბარია.

და კულა იქით ქალი ატირდა, მისთუნი გულნალმოზარია.

ს-სთან (სტრ. 241) შედარებით, პროექტში ცვლილება არ არის.

ი. გიგინეიშვილი: ა-ში საჭიროა სიტყუები გადასვით: ჯერ ქუშობს, არ დამტკბარია. ამით რიტმი გაიმართება: გრამატიკული პაუზა დაემთხვევა რიტმულს.

მ. ძიძიგური: სიტყვათა გადასმა დაარღვევს ტაეპის აზრს. აქ ლაპარაკია იმაზე, რომ ასმათი ქუშობს, ჯერ არ არის დამტკებარი.

ა. ბარამიძემ და ს. ცაიშვილმა შენიშნეს, რომ პოემაში ბევრია იმის მაგალითი, როცა გრამატიკული პაუზა არ ემთხვევა რიტმულს.

დაადგინეს: ტაეპის ნაკითხვა უცვლელად დარჩეს.

ს. შ.: ქალი კუშტად დაუდა, პირქუშობს, ჯერ არ არის დამტკებარი; ავთანდილი ტირის, აღარაფერს ამბობს; ვარდის ბაღში (=ავთანდილის სახეზე) მოგუბდა ცრემლების გუბე. იქით კი ქალი ატირდა, მისთვის გულმომბალი.

242 ყმა მტირალი შეებრაღა, ამად ცრემლნი ცხელნი ღუარნა,  
მაგრა უუდა უცხოს უცხო, არ ბაგენი აუბარნა;  
ყმამან ცნა, თუ: „გონებანი ჩქარნი ჩემთვის დაანყარნა“.

და ცრემლდენილი შეეხუნენა, ადგა, მუჯლნი მოუყარნა.

ა-სთან (სტრ. 242) შედარებით, პროექტში ცვლილება არ არის.

პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მტირალი მოყმე შეებრაღა, ამიტომ ცხელი ცრემლები დაღვარა, მაგრამ იუდა უცხოსთან უცხო, ბაგეები არ ამეტყველა (=კრინტი არ დაძრა); მოყმე მიხვდა: ქალმა აფორიაქებული ფიქრი დაანყარა (=აღლევებული ქალი დანყარდა). აცრემლებული შეეხუნენა, ადგა, მუხლი მოუყარა.

243 უთხრა: „ვიცი, აღარ ვარგზარ შენ ან ჩემად დასადობლად,  
გაგარისხე, დარჩომილვარ ღარიბად და ამად ობლად;  
ან ვგრეცა თავი ჩემი დამიც შენთვის დასანდობლად,  
და ამად რომე შეცოდება შეიდგხის თქმულა შესანდობლად.

ა-სთან (სტრ. 243) შედარებით, პროექტში ცვლილება არ არის.

პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: უთხრა: „ვიცი, ახლა შენ ველარ გამინევ დობას, გაგაბრაზე, ამიტომ ყარიბად გადმოხევილად და ობლად დაგრჩენილვარ; ახლა მაინც ჩემი თავი შენთვის მომინდვია, იმიტომ რომ თქმულა, შეცოდება შეიდგერ უნდა შეენდოს კაცს.

244 თავი ჩემი სამსახურად თუცა ავად მოგანონე,  
მოჯნურისა შებრალება ჯამს, ესეცა გაიგონე!  
სხუანგით ყოულგნით უღონო ვარ, არვინ არის ჩემი ღონე;  
და სულთა მოგცემ გულისათვის, სხუა მეტიმცა რა გაქნე!“

ა-სთან (სტრ. 244) შედარებით, პროექტში ცვლილებაა: შ-ის ბოლოს ძახილის ნიშანია (წერტილ-მძიმის ნაცვლად). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: თუმცა ჩემი თავი სამსახურისათვის ვერ მოგანონე, მაგრამ მოჯნურს შებრალება უნდა, ესეც გაიგე! სხვაფრივ ყოველმხრივ უსაშველო ვარ, არავინ არის ჩემი შემნე; სულს მოგცემ გულის სანაცვლოდ, სხვა მეტი რა მოგცე!“

245 რა ქალსა მიხუდა ყმისაგან მოჯნურობისა სმინება,  
გულამოხუნიწვით დაიწყო ასკუცთა ცრემლთა დინება,  
კულა გაამალლა ზახილით ტირილი, არგაცინება.

და ავთანდილს ღმერთმან ნადილი მისცა, გულისა ღმინება.

ა-სთან (სტრ. 245) შედარებით, პროექტში ცვლილებაა: ბ ასკუცთა (< ასკუცად).

ა. ბარამიძე: გ-ში გაამალლა უნდა შეიცვალოს ყველა რედაქციის ხელნაწერებში დადასტურებული გაამრავლა ზმნით.

ც. კიკიძე: გაამრავლა აქ უფრო შესაფერია, რადგან გაამალლა ... არგაციანება უხერხული თქმაა.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს ნაკითხვა გაამრავლა.

ს. შ.: როდესაც ქალმა მოყმისაგან გაიგო მისი მიჯნურობის ამბავი, გულამოსკენით დაიწყო უხვი (ასკეცი) ცრემლის დენა, კვლავ გააძლიერა ხმაამალლა ტირილი, წუხილი. აუთანდილს ღმერთმა ნადილი შეუსრულა, გული გაუხარა.

246 იტყუნს, თუ: „ამა სიტყუითა მას ფერი შეეცვალეზის, ვისთვისმე ხელი უცილოდ, მას ცრემლი ემალმალეზის“.

ქლა უთხრა: „დაო, მიჯნური მტერთაცა შეებრალეზის;

და ესეცა იცი, სიკუდილსა თვით ეტებს, არ ეკრძალეზის.

ა-სთან (სტრ. 246) შედარებით, პროექტში ცვლილება არ არის.

ი. გიგინეიშვილი: ბ-ის ტექსტი სწორად არის წარმოდგენილი პროექტში. ვისთვისმე ხელი უცილოდ ნომინატორი წინადადებაა, ამიტომ არ არის საჭირო ხელი სიტყვის გადაკეთება ცხელი-დ, რასაც ეხედებით ზოგიერთ გამოცემაში. ოღონდ ა-ს ბოლოს მძიმის ნაცვლად ნერტილი უნდა დაისვას.

ე. მტრეველი: ა-სა და ბ-ის გათიშვა არ შეიძლება: ისინი ერთმანეთთან არიან დაკავშირებული. დაადგინეს: ტაეპის ნაკითხვა დარჩეს უცვლელად.

ს. შ.: ამბობს: „ამ სიტყვებზე მას (=ქალს) ფერი უცვლება, უცილოდ ვილაცის სიყვარულით გახელეზულია, ამიტომ ცრემლი განუწყვეტლად სდის“. უთხრა აუთანდილმა: „დაო, მიჯნური მტერსაც შეებრალეზა. ესეც იცი, რომ სიკუდილს თვითონ ეტებს, არ კრიდება.“

247 ვარ მიჯნური ხელი ვინმე, გაუძლებლად სულთა დგმისად;

ჩემმან შუმან გამომგზავნა საძებარად იმა ყმისად;

ღრუბელიცა ვერ მიხუდების, მე მისრულვარ სადა, მო, სადა!

და გული თქვენი მიპოვნია, მისი შენად, შენი მისად.

ა-სთან (სტრ. 247) შედარებით, პროექტში ცვლილება არ არის.

პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ვარ ვინმე მიჯნური, გახელეზული, სიცოცხლის გაუძლებლად; ჩემმა შუმე (=მიჯნურმა) გამომგზავნა იმ მოყმის საძებნელად; ღრუბელიც ვერ მიადნევის იქ, სადაც მე მივსულვარ! თქვენი (შენი და უცხო მოყმის) გულები მიპოვია: მისი გული შენი გულია, შენი (გული) მისი გულია.

248 მისი სახე გულსა ჩემსა ხატად ასრე გამოუხატე,

მისთვის ხელმან, გამოჭრილმან ლხინი ჩემი ვალქატე.

ორისაგან ერთი მიყავ: ტყუმქმენ ანუ მაზატე,

და ან მაცოცხლე, ანუ მომკალ, ჭირი ჭირსა მომიმატე“.

ა-სთან (სტრ. 248) შედარებით, პროექტში ცვლილებაა: ბ ხელმან, გამოჭრილმან ლხინი (< ხელმან, გამოჭრილმან, ლხინი). პროექტი მიღებულ იქნა.

მთ. რედაქციის წევრები შეთანხმდნენ, რომ შემდგომ საპეციალურად იმსჯელებენ ტყუმქმენ-ის და მსგავსი რთული ზმნების დანერვილობაზე.

ს. შ.: მისი (=მოყვურის) სახე ჩემს გულში ასე ჩაეხატე, მასზე გამიჯნურებულმა, ველად გაჭრილმა, ლხინი მოვიკეთე. ორიდან ერთი მიყავი: ან დამატყვევე, ან გამათავისუფლე, ან მაცოცხლე, ან მომკალი, ჭირი ჭირზე დამიმატე!”

**249** ქალმან უთხრა ყმასა სიტყვა პირველისა უამესი:  
„ვევ სიტყვა მოგონე და რამე უკეთესი.  
ნელან საქმე მტერობისა გულსა ჩემსა ჩამოსთესი.  
და ან მოყვარე გიპოვნივარ, დისაგანცა უფრო დესი.

ს-სთან (სტრ. 249) შედარებით, პროექტში ცვლილებაა: გ ჩამოსთესი (< შთამოსთესი).

გ. კარტოზიამ აღნიშნა. რომ შთამო პრევერბი მხოლოდ ამ ადგილას გვხვდება პოემის ტექსტში. სხვაგან ყველგან ჩამო და ჩა პრევერბები გვაქვს.. ამასთან, ამ სტროფშიც რედაქციითა უმრავლესობა ჩამოს- უჭერს შხარს. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ქმალმა მოყმეს უწინდელზე უფრო სასიამოვნო სიტყვა უთხრა: „გ ძალიან კარგი რამ სიტყვა მოიფიქრე. ნელან ჩემს გულში მტრობა დათესე, ახლა მოყვარე გიპოვნივარ, დაზე უფრო (მოყვარული) და.

შემდეგ რედაქციამ განიხილა სამი ჩანართი სტროფი, რომლებიც პროექტში 248,1 – 248,3 ნომრით მოპყვება განხილულ ტექსტს.

ა. ბარამიძემ შენიშნა, რომ ეს სტროფები უადგილო ადგილასაა ჩართული. აქ ისინი არღვევენ თხრობის თანმიმდევრობას. მათი ადგილი უფრო წინ არის: პირველი სტროფისა – ასმათის მოლმობიერების აღწერამდე, დანარჩენებისა კი – მანამ, სანამ „პირველისა უამეს სიტყვას“ ეტყვის.

დაადგინეს: სტროფები გადაადგილდეს და მიეკუთვნოს ნომრები: 239,1; 248,1; 248,2.

**239,1** „ რაცალა ხარ, ვერ მაცოუნებ, გარდიქცევი ვშელთა ჭველად;  
დაკარგულნი ვინმე სადით ვიარებით მარტო ველად;  
მე ვისთნისმე ნაცვლად ღმერთმან მიმცა ცეცხლთა დასანველად;  
და მალედ მომკალ, დამჭსენ წუასა, მიმეც მჭეტთა შესაჭმელად!“

x-თან (სტრ. 344) შედარებით, პროექტში ცვლილებაა: გ-ის ბოლოს ნერტილ-მძიმეა (მძიმის ნაცვლად), დ-ის ბოლოს ძახილის ნიშანი და ბრჭყალებია (ნერტილის ნაცვლად).

პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: „ვილაცა ხარ, ვერ შემაცდენ, ხმელეთის ყველაზე მამაც მოყმედაც რომ იქცე; საიდანლაც ვილაც გადმოკარგულნი მარტონი დავდივართ ველად; მე ვილაცის სანაცვლოდ ღმერთმა ცეცხლით დასანველად მიმცა; სწრაფად მომკალი, მომამორე წვას, მზეცებს მიეცი ჩემი თავი შესაჭმელად.

**248,1** „ჩემსა თავსა მიჯნურობა მართალია, არ ნაჭორად;  
ჩემი ვერა ვერ მოგკიდე, მეუბნები მრუდსა სწორად;  
ვინცა აქა გამოგზავნა, არაუინ მიჩნს მისად სწორად,  
და მისგან კიდე სხუა მნათობი შეეაწონე ერთ-დრამ-ორად.

x-თან (სტრ. 345) შედარებით, პროექტში ცვლილებაა: გ მიჩნს (< მიჩს), დ ერთ-დრამ-ორად (< ერთ დრამ ორად).

პროექტი მიღებულ იქნა, ოღონდ, ა. ბარამიძის წინადადებით, ა-ში მიღებულ იქნა არნაჭორად.

ს. შ.: „მე რომ მივყურდი ვარ, მართალია, არაა ჭორი; ჩემი ვერაფერი ვერ მოგაკარებინე გულთან, ტყუილს მართლად მუებნები; ვინც აქ გამომგზავნა, მის ბადალად არავინ მიმანია, მის გარდა სხვა მნათობი ერთ-ორ დრამად მივიჩნია.“

248,2 გამოჭრილვარ, ვიარები, დამწუაეს ცეცხლთა საჭმილია,  
ამა ყმისა მიზეზითა სრულ წმელეთი მომივლია,  
ჭირთა ნაცვლად შენ გიპოვე, თუ არ მეტყუი, ცრემლს მილია.  
და თქვენად ძებნად მოვიტულე სახლი, კარი, ზღუდე ვლია.

X-თან (სტრ. 346) შედარებით, პროექტში ცვლილებაა: მძიმეა ა-ს ბოლოს (ორნერტილის ნაცვლად) და ბ-ის ბოლოს (ნერტილ-მძიმის ნაცვლად). პროექტი მიღებულ იქნა.

რედაქციის წევრებს განსხვავებულად ესმით გ-ისა და დ-ის ბოლო ნაწილების მნიშვნელობა.

ი.გიგინიძის აზრით, ცრემლს მილია = „ცრემლზე მილი არის“; ზღუდე ვლია = „ზღუდე ველია“ (ა პროსოდული ხმოვანია).

გ.კარტოზიას აზრით, ცრემლს მილია = „ცრემლს შმილია“ (ზმნურ ფორმას + პროსოდული ხმოვანი); ზღუდე ვლია = „ზღუდე ავლია“.

ს. შ.: გამოვჭრილვარ, დავედივარ, ცეცხლის ალი მწავეს, ამ მოყმის გამო მთელი ხმელეთი მომივლია, ჭირის სანაცვლოდ შენ გიპოვე, თუ არ მეტყუი, ბევრ ცრემლს დაღვრი, თქვენს საძებრად მოვიტულე შემოზღუდული სახლი და კარი.

## 1974. 31. V

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი.

განიხილეს სტრ.: 248,3; 250–257 (პროექტი მოამზადა III ჯგუფმა), 258; 259 (პროექტი მოამზადა II ჯგუფმა).

248,3 თუ შენ ვნადდეს ჩემი შეყრა, იგი გეტყუის არას არა,  
მაგრა ჩემი ყოფა ღმერთთან, ვიცი, ბოლოდ დამაშწარა;  
შენგან კიდე არეინ მივის, თავი ჩემი მოგაბარა;  
და იტყუის: «მიეზუდი ჩემსა ლხინსა, მე არ ღირს ვარ, მინა, არა».

X-თან (სტრ. 247) შედარებით, პროექტში ცვლილებაა: ა-ს ბოლოს მძიმეა (ნერტილ-მძიმის ნაცვლად), გ-ის ბოლოს კი – ნერტილ-მძიმე (მძიმის ნაცვლად). რედაქციის წევრებმა დაადასტურეს, რომ ეს სტროფი, წინა სხდომაზე განხილულ ბოლო სამ სტროფთან ერთად, უადგილო ადგილას არის შეტანილი ხელნაწერებში და ამიტომ მართებულია ამ სტროფის წინ გადასმა. პროექტი მიღებულ იქნა შემდეგი ცვლილებებით: გ-ის ბოლოს დაიხურა ბრჭყალები, დ-ში კი კუთხოვანი ფრჩხილები შეიცვალა ჩვეულებრივით, იმის ნიშნად, რომ დ-ში ავთანდილის სიტყვები გრძელდება.

ს. შ.: შენ თუ მოინდომებ ჩემს მასთან შეხვედრას, ის უარს არ გეტყვის, მაგრამ ჩემი ცხოვრება, ვიცი, ღმერთმა საბოლოოდ ჩამაშწარა“. შენ გარდა არავინ მყავს, ღმერთმა ჩემი თავი მოგაბარა“. (ავთანდილი) ამბობს: „ვეღირსე ჩემს სიხარულს, მე, მინა, არა ვარ ღირსი, არა“.

**250** მაშა რათგან მიჯნურობა შენად ლონედ მოიგონე,  
არ ეგების, ამას იქით, თუმცა თავი არ გამოხე,  
არ შენ მოგეც თავი ჩემი, დაგაბნიე, დაგალონე;

და შენთვის მოვკუდე, ამისები მეშეცა საქმე რა ვილონე!

პ-სთან (სტრ. 250) შედარებით, პროექტში ცვლილება არ არის.

პროექტი მიღებულ იქნა, ოლონდ მაშა-ს შემდეგ დაისვა მძიმე.

ს. შ.: მაშ, რადგან მიჯნურობა შენს საშუალებად მოიფიქრე, არ ეგების (არ იქნება), რომ ამის შემდეგ თავი არ დაგამონო, არ დაგემორჩილო, დაგაბნიო, დაგალონო; შენთვის მოვკედეები, ამგვარი სხვა საქმე რა ვილონო!

**250,1** მე მისითა მიზეზითა არ მინახავს დღე ნათელი;

მუნით ვზივარ დევთა ქებასა, ვდულ და მომდის ცრემლი ცხელი;

მინას ვლაჭავ, თუ ზე ვფრინავ, არა ვიცი მე მართალი;

და ღმერთმან მომკლას ან მილხინოს, დიდ არს მისი სამართალი!

x-თან (სტრ. 349) შედარებით, პროექტში ცვლილებაა: ბ ცრემლი ცხელი (< ცხელი ცრემლი), დ-ის ბოლოს ძახილის ნიშნითა (ნერტილის ნაცვლად). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მე (ტარიელის) მის გამო მინათელი დღე არ მინახავს; იმ დროიდან დევების გამოქვაბულში ვზივარ, ვდულვარ და ცხელი ცრემლი მომდის; მინაზნე დავდივარ თუ მალლა ვფრინავ, მართალი არ ვიცი; ღმერთმა მომკლას ან შეება მომცეს, დედა მისი სამართალი!

**250,2**

„თქვენი მძებნელი მოვსრულვარ, ქარვად შემქმნია ლალები,  
თუ არ მიამბობ, უთ[უ]ოდ სიკუდილსა [არ ვეკრ]ძალები“.

და უთხრა: „შეგყრიო მას ყმასა, ნულარ გდის თვალთა წყალები“.

სტროფი მხოლოდ B<sup>2</sup>-შია (არშიზეა მინერილი. ა ჩამოჭრილია). დაბეჭდილია ნიგნში: ყუბანეიშვილი 1959, 327. დაბეჭდილ ტექსტთან შედარებით, პროექტში ცვლილებაა: ბ მოვსრულვარ (< მივსულვარ), ლალები (< ლალები), დ გდის (< მდის); დასმულია ბრჭყალები და სხვა სასვენი ნიშნები. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: „... თქვენი მძებარი მოვსულვარ, ლალი ქარვად გადამქცევია, თუ არ მიამბობ თქვენს ამბავს, უთუოდ სიკედილს არ მოვერიდები“. ქალმა უთხრა: „იმ მოყმეს შეგახვედრებ, თვალბზე ცრემლი ნულარ გდისო“.

**251** ან რაცა გითხრა, თუ ამა სიტყუასა დამმორჩილდები,

რასაცა ეძებ, მიხუდები უცილოდ, არ ასცილდები;

თუ არ მომისმენ, ვერ პოვებ, რაზომცა ცრემლსა მილდები,

და მოგხუდების მღურვა სოფლისა, მოპკუდები, გა-ცასნვილდები“.

პ-სთან (სტრ. 250) შედარებით, პროექტში ცვლილება არ არის.

პროექტი მიღებულ იქნა, ოლონდ ბ-ში, ა. ბარამიძის წინადადებით, მძიმე გადაისვა: „რასაცა ეძებ, მიხუდები, უცილოდ არ ასცილდები“.

ს. შ.: ახლა რასაც გეტყვი, თუ ამაზე (ამ საქმეზე) დამეთანხმები, რასაც ეძებ, უცილოდ მიალნე, არ ასცდები; თუ არ მომისმენ, ვერ იპოვნი, რამდენი ცრემლიც უნდა ღვარო, წუთისოფელს დაემდურები, მოკედები და განვილდები“.

**252** ყმამან უთხრა: „ევე საქმე ამას ჰგავსო, არა სხუნასა:

ორნი კაცნი მოდიოდეს სადაურნი სადმე გზასა,



უკანამან წინა ნახა ჩაეარდნილი შიგან ქასა,

და ზედ მოადგა, ჩაჰყოდა, ტირის, იზახის ვაგლახ-უასა.

ა-სთან (სტრ. 252) შედარებით, პროექტში ცვლილება არ არის.

პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მოყმემ უთხრა: „ეგ საქმე ამას პგავს და არა სხვას: ვილაც ორი კაცი სადღაც გზაზე მდიოდა, უკანამ წინა დაინახა ჭაში ჩაეარდნილი, ზედ მოადგა, ჩაჰყვიროდა, ტიროდა, ხმამალა ეკებდა.“

253 ეგრე უთხრა: „ამხანაგო, იყავ მანდა, მომიცდიდე, ნავალ თოკთა მოსახმელად, მნადსო, თუმცა ამოგ ზიდე“; მას ქუეშეთსა გაეცინნეს, გაუკურდა მეტად კოდე,

და შემოჰყვილა: არ გელოდე, სად გაგექცე, სად ნავიდე?

ა-სთან (სტრ. 253) შედარებით, პროექტში ცვლილება არ არის.

პროექტი მიღებულ იქნა, ოღონდ ბ-ის ბოლოს დაისვა ნერტილი (ნერტილ-მძიმის ნაცვლად).

ს. შ.: ასე უთხრა: „ამხანაგო, მანდ იყავი, მომიცადე, ნავალ თოკის მოსატანად, მურს, რომ ამოგიყვანო. ქვემოთ მყოფს გაეცინა, ძალიან გაუკვირდა, შემოსძახა: „(რომ) არ გელოდო, სად გაგექცე, სად ნავიდე?“

254 ან, დაო, შენთა ჳელთაა ჩემი საბელი ყელისა, რასაცა მიზამ, შენ იცი, შენ ხარ ნამალი ხელისა, სხუად უღონოა უშენოდ ჩემი აჰყოდა ჳელისა,

და თუარა ვისც ექმნა გუარლითა შუკრვა თავისა მრთელისა!“

ა-სთან (სტრ. 254) შედარებით, პროექტში ცვლილებაა: ადგილშენა-ცვლებულია ბ და გ. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ახლა, დაო, შენს ხელთაა ჩემი ყელის საბელი – შენს ხელში ვარ, რასაც მიზამ, შენ იცი, შენ ხარ შმაგის ნამალი, სხვა მხრივ შენ გარეშე შეუძლებელია ჩემი დახმარება, თორემ ჟანსალ თავს გეარლით (დოლბანდით) ვინ შეიკრავს!“

255 ქალმან უთხრა: „მომენონა, ყმაო, შენი ნაუბარი, ხარ უცოლოდ კარგი ვინმე, მოყმე, ბრძენთა საქებარი; ხარ ვინათგან აქანამდის მაგა ჭირთა დამომობარი,

და რაცა გითხრა, მომისმინე, გიპოვნია საძებარი.

ა-სთან (სტრ. 255) შედარებით, პროექტში ცვლილება არ არის.

პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ქალმა უთხრა: „მოყმე, შენი ნათქვამი მომენონა. უთუოდ კარგი ვინმე ხარ, ბრძენთა საქები მოყმე; რადგან აქამდე მაგ გაჭირვებისათვის გაგიძლია, რასაც გეტყვი, გამიგონე, გიპოვნია საძებნელი.“

256 იმა მოყმისა ამბავი არსადა არ იპოვნების; თუთი თუ არ გითხრობს, არ ითქმის, არვისგან დაიწყოვნების; მოილოდინე, მოვიდეს, რაზომცა დაეყოვნების,

და დადუმდი, ვარდასა ნუ აზრობ, ცრემლითა ნუ ითოვნების.

ა-სთან (სტრ. 256) შედარებით, პროექტში ცვლილებაა: ა იპოვნების (< იპოვნების), ბ დაიწყოვნების (<დაიჯერების), გ დაეყოვნების (<დაგუყოვნების).

რედაქციამ აღადგინა დაგეყოვნების, რომელიც ხელნაერთა (და რედაქციათა უმრავლესობაშია დაცული. ტაეპის აზრია: ტარიელის მოსვლამდე დაიცადე, რაც უნდა დაყოვნდე (დაგვიანდე).

ც. კიკვიძეს მიაჩნია, რომ აქ უმჯობესია დაეყოვნების, ტაეპის აზრი კი ასე ვაშის: „დაიცადე, რაც უნდა დააგვიანდეს ტარიელს“. შდრ. „ანვე მოვა, არა ვიცი, თუ დაპყონის დიდსა ხანსა“ 258<sub>4</sub>.

ს. შ.: იმ მოყმის ამბავი არსად არ მოიძიება; თვითონ თუ არ გეტყვის, არ ითქმის, ვერაინ დაიხსომება; დაელოდე, მოვა, რაც უნდა დაგაგვიანდეს, გაწუმდი, ვარდს (=სახეს) წუ აზრობ, ცრემლით წუ ითოვება!

**256,1** ყმაძან უთხრა: „ვარდო, დაჭნი, დრო მოვიდა შენის ზრვისა“.  
ერთმანერთსა მოუხუენეს, ცრემლით კოცნენ სახე-პირსა;  
ასმათ ტირის სისხლის ცრემლსა, ტვერი შექნა ნათხზის თმისა.

და იგი ტირან სოფლისათვის და სოფელი მათთვის ტირსა.

X-თან (სტრ. 356) შედარებით, პროექტში ცვლილება არ არის.

პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მოყმე უთხრა: „ვარდო დაჭნი, მოვიდა შენი დაზრობის დრო“. ერთმანეთს მოუხვიენენ, ცრემლით კოცნიან სახესა და პირზე; ასმათი სისხლიანი ცრემლით ტირის, დანწული თმის ტვერი შექნა. ისინი წუთისოფლის გამო ტირიან და წუთისოფელი მათ გამო ტირის.

**257** ვითხრა, თუ ცოდნა გნადიან ჩუენისა შენ სახელისა:  
ტარიელ არის სახელი იმა მოყმისა ხელისა;  
მე ასმათ მქუიან, რომელსა წუა მაქუს ცეცხლისა ცხელისა,  
და სულთქმა სულთქმისა ბუერისა, მაშა თუ არ ერთხელისა.

ა-სთან (სტრ. 257) შედარებით, პროექტში ცვლილება არ არის.

ა. ბარამიძე: ა-ში უპირატესობა უნდა მიენიჭოს რიგ ხელნაერთში დადასტურებულ მისისა ფორმას. მისისა > ჩვენისა აიხსნება იმით, რომ ასმათი შემდეგ თავის სახელსაც ეუბნება ავთანდილს.

ს. ცაიშვილი: ტექსტში უნდა დარჩეს ჩვენისა, რომელიც რედაქციათა უმრავლესობაშია (მისისა მხოლოდ C რედაქციის ნუსხებში და B<sup>2</sup>-ში გვაქვს). რადგან მომდევნო ტაეპში ტარიელზეა ლაპარაკი, გადამწერებმა, ალბათ, ამიტომ გადააკეთეს „ჩუენისა“ „მისისა“-დ.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს მისისა.

ს. შ.: გეტყვი, თუ მისი სახელის ცოდნა გსურს: ტარიელია იმ შმაგი მოყმის სახელი; მე ასმათი მქეია, ვისაც ცხელი ცეცხლი მწეავს, ვინც ხშირად ვიხრავ და არა ერთხელ.

**258** ამის მეტსა ვერას ვითხრობ მე სიტყუასა ამისთანსა:  
ისი მინდორს არონინებს ტანსა მტერთა მემაჯანსა,  
ვჭამ, გლახ, მარტო ნადირისა მისგან ჭორცსა მონატანსა.

და ანვე მოვა, არა ვიცი, თუ დაპყონის დიდსა ხანსა.

ა-სთან (სტრ. 258) შედარებით, პროექტში ცვლილებაა: ბ ტანსა მტერთა მემაჯანსა (< ტანსა მჭეერსა, მემაჯანსა).

გ. კარტოზია: ტექსტში უნდა აღდგეს „ტანსა მჭეერსა, მემაჯანსა“. ტარიელის გარეგნობა არა მარტო მტერთა, არამედ, საერთოდ, ყველას დამძაბუნებელი იყო (შდრ. მსგავსი გამოთქმა: „ფრიდონ დადგა, ყმა (ავთანდილი) ნავიდა, შემხედველთა მკლველი

ტანი", 10124). ამ კონტექსტში, სადაც დაძაბუნებაზე ლაპარაკი, მჭევრსა > მტერთა უფრო სავარაუდოა, ვიდრე მტერთა > მჭევრსა.

ე. მეტრეველმა, ა. ბარამიძემ, ს. ციციშვილმა შენიშნეს, რომ მტერთა შემავჯან-ს მზარს უჭერს ხელნაწერთა (რედაქციათა) უმრავლესობა. ამა-სთან, საყურადღებოა, რომ „შანაშემი“, რომელიც XV–XVI საუკუნეთა ძეგლია, გვაქვს გამოთქმა „მტერთა შემავჯანი“, რაც „ვტ“-ის გავლენაზე მოუთითებს და იმას მოწმობს, რომ ეს ნაკითხვა პოემაში ძველია.

დაადგინეს: დარჩეს „მტერთა შემავჯანსა“.

ს. შ.: ამის მეტს მის შესახებ ვერაფერს გეტყვი: ის მინდორში დადის მტერთა დაძაბუნებელი ტანით, ვაგლახ, მხოლოდ ნადირის ხორცს ეჭამ, მის მიერ მოტანაილს, არ ვიცი, ახლავე მოვა თუ დიდ ხანს დაყოფს.

259 ამას გვედრებ, მოიცადო, თავი სხვაგან არსად არო;  
რა მოვიდეს, შეეხებუნო, ნუთუ ვით რა მოვაგუარო,  
ერთმანერთსა შეგამეცნენ, თავი შენი შეეაყუარო,  
და თუთი გაამბოს საქმე მისი, საყურელსა გაახარო“.

ს-სთან (სტრ. 259) შედარებით, პროექტში ცვლილებაა: შ-ის ბოლოს მძიმეა (ნერტილ-მძიმის ნაცვლად). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ამას გვედრები, მოუცადო, სხვაგან არსად ნახვიდე; როცა მოვა, შეეხებენები, იქნებ როგორმე რამე მოვაგუარო, ერთმანეთს გაგაცნობთ, შენი თავი შეეაყუარო, თვითონ გაამბოს თავის ამბავი, სატრფო გაახარო“.

შემდეგ განხილულ იქნა სამი ჩანართი სტროფი (x-ით 360; 361; 362), რომლებიც 258,1–258,3 ნომრებით იყო წარმოდგენილი პროექტში. რედაქციის წევრებმა ყურადღება მიაქციეს იმას, რომ აქ ტარიელის ტირილი და ასმათთან საუბარია გადმოცემული. ამდენად ეს სტროფებზე (ადრე განხილული 239,1; 248,1–248,3 სტროფების მსგავსად) თავის ადგილას არ არის ხელნაწერებში. მთ. რედაქციამ, ა. ბარამიძის წინადადებით, დაადგინა: სტროფები გადატანილ იქნეს ტარიელისა და ასმათის საუბრის სცენაში.

## 1974. 31. V

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე.

ე. მეტრეველი, ს. ციციშვილი, შ. ძიძიგური.

განხილეს სტრ.: 260–266 (პროექტი მოამზადა I ჯგუფმა), 267–274

(პროექტი მოამზადა II ჯგუფმა).

260 ქალსა ყმაჲან მოუსმინა, დამორჩილდა, დართო ნება.

ამას ზედა მოიხედნეს, წვეთი ესმა ჩხაპუნება;

მოუარე წაალსა გამოსრული ნახეს, შუქთა მოვანება,

და უკურიდნეს, აღარა ქმნეს მუნ ხანისა დაყოვნება.

ს-სთან (სტრ. 260) შედარებით, პროექტში ცვლილება არ არის.

პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მოყმემ ქალს გაუგონა, დასთანხმდა, ნება დართო. ამ დროს მოიხედეს, ხევიდან [წყლის] ჩხაპუნი მოესმათ; დაინახეს მდინარეზე გამოსული მთვარე (=უცხო მოყმე), მისი შუქის მოვანება, გაეცალნენ, იქ ხანი აღარ დააყოვნეს.

261 ქალმან უთხრა: „ყმაო, ღმერთმან მოგცა ვამად, რაცა გინა, მაგრა თავი უჩინო ქმენ, დამალული იყავ შინა; იმა ყმისა მუნებულე ჴორციელი არაეინა;

და ნუთუ ვით რა მოვაგუარო, შენი ნახვა არ ეწყინა“.

უ-სთან (სტრ. 261) შედარებით, პროექტში ცვლილება არ არის.

გ. კარტოზია: ბ-ში უჩინო ქმენ რთულ ზმნად უნდა გაეიგოთ და არა შესიტყვებად (მდრ. ტყემქემენ 247ვ), ამიტომ ერთ სიტყვად უნდა დაინეროს. დაადგინეს: უჩინოქმენ, როგორც რთული ზმნა, დაინეროს ერთ სიტყვად, ვერჯერობით შერწყმულად (დეფისის გარეშე). შემდგომში სპეციალურად დაეუბრუნდეთ რთულ ზმნათა დანეროების საკითხს (იხ. 1974. 17. V-ის ოქმი).

რედაქციამ ასევე დროებით, სპეციალურ განხილვამდე, უცვლელად დატოვა არაეინა-ა (მდრ. თინათინა 1704. იხ. 1974. 11. I-ის ოქმი).

ყურადღება მიექცა იმას, რომ დ-ში ზმნის თხრობითი კილოს ფორმა

გამოყენებულია კავშირებითის ფუნქციით: „არ ეწყინა“ = „არ ეწყინოს“.

ს. შ.: ქალმა უთხრა: „მოყმე, ღმერთმა დროულად მოგცა, რაც გინდა, მაგრამ ნუ გამოჩნდები, შინ იყავი დამალული; იმ მოყმის უჩიო არაეინ. არის ხორციელი; იქნებ როგორმე მოვაგვარო რამე, შენი ნახვა არ ეწყინოს“.

262 აეთანდილ ქუაბსა დამალა ქალმან მალეთა მალითა.

იგი ყმა ცხენსა გარდაჯდა, შუენოდა კაპარჭჴრმალთა;

ატირდეს მალად ცრემლითა, ზღუათაცა შესამალითა.

და აეთანდილ სარკმლით უჭურეტდა ჴურეტითა იღუმალითა.

ა-სთან (სტრ. 262) შედარებით, პროექტში ცვლილება არ არის.

ი. გიგინეიშვილი: ბ-ში ზოგიერთი ხელნაწერი კაპარჭის ნაცვლად ქარქაშს კითხულობს (ქარქაშ-ჯრმალთა). შენიშვნებში უნდა ითქვას, რომ ქარქაში შინაარსობრივად კაპარჭის ტოლფასი სიტყვაა და შემთხვევითი არ არის მისი გამოვლენა ზოგ წუსხაში.

დაადგინეს: შენიშვნებში აისახოს აღნიშნული მოსაზრება.

ს. შ.: ქალმა აეთანდილი გამოქეაბულში დამალა, ის მოყმე ცხენიდან ჩამოხდა, მშვენიერი იყო ისრის ბუდითა და ხმლით. ხმამალლა ატირდენ ზღუათა შესართავი ცრემლით. აეთანდილი სარკმლიდან უჭურეტდა.

263 ამარტის ფერად შეცვალა ბროლი ცრემლისა ბანამან,

დიდხან იტირეს ყმა მან და მან ქალმან შოოსანმან;

შეკჴსნა, შვილო აბჯარი, ცხენიცა შეიყვანა მან;

და დადუმდეს, ცრემლი მოკჴეთნა შემან გიშრისა დანამან.

ა-სთან (სტრ. 263) შედარებით, პროექტში ცვლილებაა: გ შეკჴსნა (< შეხსნა).

პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ამარტისფრად (=ყვითლად) შეცვალა ბროლი – პირისახე ცრემლით ბანამ. დიდხანს იტირეს მოყმემ და იმ შოოსანმა ქალმა; შეხსნა [ქალმა მოყმეს] იარალი და შეიტანა გამოქეაბულში, ცხენიც შეიყვანა; დადუმდენ, შვი გიშრის დანამ (=ნამანამებმა) ცრემლები მოკვეთა (=ტირილი შეწყვიტეს).

264 აეთანდილ სარკმლით უჭურეტდა, ტყუე, საწით ნაზატები.

მან ქალმან ქუეშე დაუგო ვეფხის ტყაყისა ნატები;

მას ზედა დაჯდა იგი ყმა, სულთქუამს ჴირმონამატები,

და სისხლისა ცრემლსა გაენნა შუა გიშრისა სატები.

ს-სთან (სტრ. 264) შედარებით, პროექტში ცვლილება არ არის.

ი. გიგინეიშვილი: არ არის სწორი ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, თითქოს სატები = სალტები. შდრ. საბას მართებული განმარტება: „სატები – საჩრდილობელი“.

ა. ბარამიძე: „სატებ“-ში უნდა გვეკონდეს სპარსული სატა „კარვის მალალი ბოძი“.

რედაქციის ნევრა აზრით, დ-ში გაენნა შეიძლება გავიგოთ ან მოქმედებითი გვარის ზმნის II თურმუბითად (სისხლიან ცრემლს შეენნა, შეენებებინა, შეეერთებებინა ნაშნამები), ან ვნებითი გვარის ზმნის ნევეტილად (სისხლიან ცრემლში შეინნა, შეინება, შეერთდა ნაშნამები).

ს. შ.: ავთანდილი, საკნიდან გათავისუფლებული ტყვე, სარკმლიდან უჭერეტდა. იმ ქალმა ქვემ დაუგო ვეფხის ტყავის ნატები (საფენები), მათზე დაუჯდა ის მოყმე, ოხრავს ძლიერ დამწუხრებული, სისხლის ცრემლებს შეენნა (შეენებებინა) გიშრის საჩრდილობლები (=ნაშნამები).

**265** მან ქალმან ჯღუყო უნესითა გზება ცეცხლისა ნელისა,  
ეგონა ჭამა ჟორცისა შემურისა, შუენელისა;  
მოუყრა, ერთი აჯლია, ქენაა საქმისა ძნელისა,

და ძალი არ ჰქონდა, დაუნყო გამოყრა უცოხნელისა.

ს-სთან (სტრ. 265) შედარებით, პროექტში ცვლილება არ არის.

რედაქციის ნევრებს სხვადასხვაგვარად ესმით ბ-ში შუენელის მნიშვნელობა.

ა. ბარამიძისა და ს. ცაიშვილის აზრით, იგი „აუტელს, დაუჭრელს“ ნიშნავს; ი. გიგინეიშვილის, გ. კარტოზიას, ც. კიკვიძის, ე. მეტრეველის აზრით – „შუეუაზმავს, მოუმზადებელს“.

ა. ბარამიძის წინადადებით, გ-ში „ქენაა საქმისა ძნელისა“, როგორც ჩართული წინადადება, გამოიყო ტირეებით.

ს. შ.: იმ ქალმა დაიწყო კვეთით ნელი ცეცხლის დანთება, ეგონა, რომ მოყმე შეჭამდა შემწვარ, აუტელ ხორცს; მიანოდა, [მოყმემ] ერთი აახლია, – [მისთვის] ძნელი საქმე იყო, – [ჭამის] ძალა არა ჰქონდა, დაუღეტყვის გამოყრა დაიწყო.

**266** ცოტად მიწვა, მიძინა, თუცა ყოლა ვერა მეტი;  
შეერთა, დიდნი დაიხანა, ნამოვარდა ვითა რეტი,  
იხანდის და ნამ-ნამ იკრის გულსა ლოდი, თაქსა კეტი.  
და ცალ-კერძ ზის და პირსა იხოკს ქალი მისი შენაჭურეტი.

ს-სთან (სტრ. 265) შედარებით, პროექტში ცვლილებაა: ბ ნამოვარდა (< ნამოიჭრა).

ს. ცაიშვილი: მოუხედავად იმისა, რომ ხელნაწერთა უმრავლესობაში სტროფის ბოლო სიტყვად შენაჭურეტი გვაქვს, ჩვენ მაინც უმანო ფორმას (შენაჭურეტი) მივეყვით უპიტატესობა, როგორც გრამატიკულად უფრო სწორს.

შ. ძიძიგური: მ პრეფიქსის არსებობა ამ სიტყვაში გამართლებულია: მოქმედებითი გვარის გაგებას ანიჭებს ვნებითი გვარის ნა-პრეფიქსიან მიმღობას.

გ. კარტოზია: მოქმედებითი გვარის მ- მანარმობელი ამ სიტყვაში უადგილოა. შენაჭურეტი ვნებითი გვარის მიმღობაა, რომელსაც მოქმედებითი გვარის მიმღობის გაგება აქვს. შდრ. ჩახედული („საქმეში ჩა-ხედული კაცი“), გაგებული და სხვა ფორმები. „ვტ“-ში უდასტურებთ ნა- პრეფიქსიანი მიმღობის ამგვარი მნიშვნელობით ხმარების სხვა

მაგალითსაც: „ომგარდაჯილი შენოდა შენატეები ცხენისა“, სადაც შენატეები = „შემტეები, ვინც შეუტია“.

ი. გიგინიშვილი: გრამატიკულად მ-ს ახსნა, მართლაც, გაჭირდება. შეიძლება დაეუშვათ, რომ შენამჭურეტი-ის სახით გვაქვს პოეტური ლიცენცია, ნა- და მ- პრეფიქსიანი მიმღობების კონტამინაციით შექმნილი ხელოვნური ფორმა.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს შენამჭურეტი, რომელიც პოემის ხელნაწერთა რედაქციების უმრავლესობაშია დაცული და ქართული მწერლობის სხვა ძეგლებში („შაჰნამე“, „ბარამგულიჯანიანი“) არის ნახმარი.

ს. შ.: ცოტა ხნით მიწვა, მიიძნა, თუმცა სრულებით მეტი ვერა; შეკრთა, ხმაბლდა დაიყვირა, რეტიანივით ნამოიჭრა, ყვიროდა და ნამდაუნემ ირტყამდა გულზე ლოდს, თავში კეტს. მეორე მხარეს ზის და პირს იხიკს მისი შემეყურე ქალი.

267 „რად დაპრუნდი? – მოაჯენა, – მითხარ, რაცა ნაგეიდა!“  
მან უბრძანა: „მონადირე მეფე ვინმე გარდემყოდა,  
ჰყვეს ლაშქარი უთქალაენი, ბარგი მძიმედ აეკოდა,  
და იგი მინდორს ნადირობდა, დაეფანა მარეკო, და-  
პ-სთან (სტრ. 267) შედარებით, პროექტში ცვლილება არ არის.  
პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: „რატომ დაპრუნდი? – უთხრა (ქალმა), – მითხარი, რაც გადაგხდა!“ მან (მოყმემ) უთხრა: „ერთი მონადირე მეფე გადამეყარა, უთვალავი ლაშქარი ჰყავდა, ბარგი ბლომად ჰქონდა, ის მინდორში ნადირობდა, მარეკები დაეფანტა (დაეგზავნა).“

268 სვედად მეცა კაცთა ნახვა, ცეცხლი უფრო გაივალე,  
არ მივეო ახლოს შეყრად, თავი ჩემი შეიწყალე,  
მათგან მკრთალი შემოვბრუნდი, ტყესა შიგან დავიმალე“.  
და თქვა: „ნუთუმცა უკუმრიდა, რა გათენდეს, ნავალ ხვალე“.  
პ-სთან (სტრ. 268) შედარებით, პროექტში ცვლილება არ არის.

ი. გიგინიშვილი: ბ-ში გაუგებარია სხვათა სიტყვის -ო ნანილაკის ადგილი. ამიტომ უპირატესობა უნდა მიეცეს რიგ ხელნაწერში დადასტურებულ მიუფე ფორმას.

გ.კარტოზია: სხვათა სიტყვის -ო ნანილაკის ასე უჩვეულო ადგილას ხმარება რუსთველის ენისათვის დამახასიათებელია. ზოგ ხელნაწერში დადასტურებული სასხვისო ქცევის ფორმა მიუფე გვიანდელი წარმოშობისაა. სასხვისო ქცევს უ მარცვალთა რაოდენობისათვისაა დამატებული ნანილაკოკეცილ ზმნაზე. შდრ. მსგავსი ადგილი პოემის ტექსტში: „მეხუნებოდა, ლამოდა ჩემგან რასამე სმენასა; ნუ ყოსო ღმერთმან, გაძლება მემცა ვით მივეც ენასა!“ ხაზგასმული ზმნა, რომელშიც ასევე „უადგილოდ“ არის ნახმარი -ო ნანილაკი, რიგ ხელნაწერში, აქედან კი გამოცემებშიც, სასხვისო ქცევს ფორმით არის შეცვლილი: ნუ უყოს.

შ. ძიძიგური: მაინც, რადგანაც -ო-ნანილაკიანი ზმნა უჩვეულო ადგილას ზის, ამ ზმნის შემცველი წინადადება („არ მივეო ახლოს შეყრად“) გამოიყოს ტირიებით.

დაადგინეს: დარჩეს არ მივეო, მისი შემცველი წინადადება („არ მივეო ახლოს შეყრად“) გამოიყოს ტირიებით (გ. კარტოზია წინააღმდეგია ტირიებით გამოყოფისა).

ს. შ.: ადამიანების დანახვამ დამსჯედიანა, ცეცხლი უფრო გამძლიერდა, ახლოს შესახვედრად არ მივედი, ჩემი თავი შევიბრალე, მათგან შემკრთალი შემოვბრუნდი, ტყეში დავიმალე“. თქვა: „ეგებ გამეცალოს, რომ გათენდება, ხვალ ნავალ“.

269 ქალსა ცრემლი გარდმოსცვივდა ასნა ჟეცი, ბევრისბევრად;  
მოაწენა: „მჯეტთა თანა იარები მარტო ტევრად,  
არას კაცსა არ იახლებ საუბრად და შემაქცევრად;  
და მას მაგითა ვერას არგებ, დღეთა შენთა ცუდად ლევ რად?  
ა-სთან (სტრ. 269) შედარებით, პროექტში ცვლილება არ არის.  
პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ქალს უხვი, ბევრზე ბევრი ცრემლი გადმოსცვივდა; უთხრა: „ტევრში მარტო  
დაიარები მხეცებთან ერთად, კაცს არ იყარებ სასაუბროდ და შემაქცევრად; იმას მაგით  
ვერალერს არგებ, შენი ცხოვრების დღეებს ამოდ რატომ ლევ?

270 ყოელი პირი ქუეყანისა ერთობ სრულად მოგივლია,  
ერთი კაცი შემაქცევრად შენად ვითა დაგელია?  
გეახლოს და არ გამშაგდე, თუცა ჭირი არ გაკლია;  
და შენ მოქუდე და იგი ნაწდეს, ესე შენთუის რა მადლია?“  
ა-სთან (სტრ. 270) შედარებით, პროექტში ცვლილება არ არის.

ი. გვიგინიშვილი: ბ და გ ერთმანეთთან დაკავშირებულია: მათ შორის რომ კავშირი  
იგულისხმება: „ერთი კაცი ვითა დაგელია, რომ გეახლოს“. ამიტომ შიის ბოლოს მიძიმე უნდა  
დასიყვას, გ-ის ბოლოს კი – ნერტილი. რედაქციამ მიიღო ეს ნიშნადადება.

ს. შ.: მთელი ქვეყანა სულ მთლიანად მოგივლია, ერთი კაცი შენს შემაქცევრად  
როგორ დაგელია, რომ შენთან ერთად იყოს და არ გამშაგდე, თუმცა ჭირი არ გაკლია. შენ  
რომ მოკვდე და ის დაიკარგოს, ეს შენთუის რა მადლია?“

271 უბრძანა: „დაო, ვგვა მსგავსი შენისა გულისა,  
მაგრა არ არის ქუეყანად ნამალი ამა წყლულისა!  
ვის ძალუც პოენა კაცისა, თუთ სოფლად არმოსრულისა?  
და ჩემი ლხინია სიკუდილი, გაყრა ჯორცთა და სულისა.  
ა-სთან (სტრ. 271) შედარებით, პროექტში ცვლილება არ არის.  
პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: უთხრა: „დაო, ეგ (ნათქვამი) შენი გულის (სიკეთის) შესაფერია, მაგრამ  
ამქვეყნად არ არსებობს ამ წყლულის (ჭრილობის) ნამალი! ვის შუუძლია იპოვნოს ის კაცი,  
რომელიც არც დაბადებულა? ჩემი ლხინია სიკვდილი, ხორცისა და სულის განშორება.

272 ღმერთმან სხუამცა ეტლსა ჩემსა რაცა კაცი რად დაბადა,  
სიახლე და საუბარი თუმცა მისი მე მენადა!  
ვინმცა გასძლნა ჭირი ჩემნი ანუ ვინმცა შეეცადა?  
და შენგან კოდე ჯორციელი, დაო, მივის არასადა“.  
ა-სთან (სტრ. 272) შედარებით, პროექტში ცვლილება არ არის.  
პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ღმერთი ჩემი ბედის კაცს სხვას რად გააჩენს, მისი სიახლე და საუბარი  
კოდეც რომ მნადდეს, ვინ გაუძღვებს ჩემს ჭირს, ან ვინ შეეცდება? დაო, შენ გარდა  
ხორციელი არსადა მყავს (= არაეინ მყავს)“.

273 ქალმან ჰკადრა: „არ გამინყრე, ვიშიშვი და უაჯ დია;  
რათგან ღმერთსა ვაზირობა შენი ჩემზე მოუგადია,  
ვერ დაემაღლე, უკეთესი რაცა საქმე გამოცდია.  
და არა ვარგა უსაზომო, თაეი ზომსა გარდგიჯდია“.

პ-სთან (სტრ. 273) შედარებით, პროექტში ცვლილება არ არის.

პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ქალმა უთხრა: „არ გამინყრე, ეშიშობ და ძალიან გთხოვ; რადგან ღმერთს შენი მრჩეველობა ჩემზე მოუგდია, ვერ დავმალავ, რაც უკეთესად მიმაჩნია. უზომო არაფერი ვარგა, ზომას გადასულხარ“.

273,1 მისი მძებნელი იყომცა ჭკუითა მეტისმეტითა;  
შენ კაცთა ნაცვლად ნადირთა ახლავ ცნობითა რეტიითა;  
სჯობს ერთი კაცი იახლო, იღხენდე მისით ჭურჭეთით,  
და ვით იადონი არ მოჰკუდე ბუღბუღოს თესლთა კუნტითთა.

X-თან (სტრ. 377) შედარებით, პროექტში ცვლილებაა: ა ჭკუითა (< ჭკუეთითა), მეტისმეტითა (< მეტის მეტითა), ბ ცნობითა (< გულითა), დ ბუღბუღოს (< ბუღბუღოსის). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მისი მძებნელი უნდა იყოს მეტისმეტად გონიერი; შენ ადამიანების ნაცვლად ნადირებთან ხარ, გარეტებული; სჯობს, ერთი კაცი თან იახლო, მისი ჭურჭით გაიხარო. იადონივით არ მოკვდე ბუღბუღოს თესლის კენჭით.

274 ყმამან უთხრა: „რას მენუკე, არა ვიცი, გამიქცადე.  
კაცი ჩემად სამსახურად უღმრთოდ მემცა ვით დავბადე!  
ღმერთსა ჩემი უბედობა უნდა, მემცა რას ვეცადე!  
და განალამცა გაენადირდი, თავი ასრე გაეჩადე“.

პ-სთან (სტრ. 274) შედარებით, პროექტში ცვლილება არ არის.

პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მოყმემ უთხრა: „რას მეზვენები, არ ვიცი, გამიზილიე! ჩემი სამსახურისათვის კაცი ღვთის გარეშე მე როგორ გაეაჩინო! ღმერთს ჩემი უბედურება უნდა, მე რას ვეცადო! სწორედ რომ გაენადირდი, თავი ასე გავიხადე“.

## 1974. 28. VI

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გვიგინიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს სტრ.: 275–275,2 (პროექტი მოამზადა II უჯრუფმა), 276–287 (პროექტი მოამზადა II უჯრუფმა).

275 ქალმან კულა ჰკადრა: „გაგსაჯე მეტითა შეგონებითა,  
მაგრა თუ კაცი მოგგუარო, მოგყვეს თავისა ნებითა,  
იგი გაახლოს, იღხენდე მისითა შემეცნებითა,  
და ფიცე, არ მოჰკლა, არ იყო, არ, სავენებლისა ვნებითა“.

პ-სთან (სტრ. 275) შედარებით, პროექტში ცვლილებაა: დ არ იყო, არ, სავენებლისა (< არ იყო არ-სავენებლისა).

გ. კარტოზია: პროექტში აღდგენილია p-ის ნაკითხვა. სავენებლისა ვნება გაგებულა როგორც „ვტ“-ის ენისთვის დამახასიათებელი პარონომაზოული გამოთქმა. „არ იყო, არ, სავენებლისა ვნებითა“ = „არ იყო ვნებისა ვნებითა“ = „არ იყო ვნებითა“, ე. ი. „არ აენო“.



ი. გიგინეიშვილი: სავენებლისა ვნება საესებით მისაღები გამოთქმა, ოლონდ გაუგებარია ამ კონტექსტში იყო ზნა. ობიექტი (ვისაც არ უნდა უყონ ვნება) არ ჩანს. ამიტომ უფრო მართებული იქნება მივიღოთ არ უყო, არ, სავენებელი ვნებითა.

ც. კიკვიძე: ასეთი ნაკითხვა მხოლოდ ერთ ხელნაწერში ( $A^4$ ) არის დადასტურებული, რაც გარკვეულ ეჭვს აღძრავს მის მიმართ.

ა. ბარამიძე: ლიტერატურაში სწორად არის მითითებული, რომ ტაეპში იგულისხმება აუთანდილი. ამიტომ უნდა აღდგეს არ იყო არსავენებლისა ვნებითა (=არ ანგო არსავენებელს).

ე. მეტრეველი: სავენებელ სიტყვის სახელობითში დასმა და იყო-ს გადაკეთება უყო-დ და ამით ირიბ ობიექტზე (ავთანდილზე) მითითება მართებულად მიმაჩნია, მაგრამ არ ნაწილაკის ცალკე გამოყოფა არ არის საჭირო. ვფიქრობ, ტაეპი ასე უნდა ნაწილობით: ფიცე, არ მოჰკლა, არ უყო არსავენებელი ვნებითა.

გ. კარტოზია: არ უყო არსავენებელი შინაარსობრივად შეუსაბამოა. არ ნაწილაკის გამოყოფა ამ შემთხვევაში აუცილებელია. უარყოფითი ნაწილაკის ამგვარი განმეორების შემთხვევები პოემაში სხვაგანაც დასტურდება. მაგ., „არ იქმნების, არ, იგია“ (436გ).

დაადგინეს: მიღებულ იქნეს „ფიცე, არ მოჰკლა, არ იყო არსავენებლისა ვნებითა“ (მომზრენი: ა. ბარამიძე, ც. კიკვიძე, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური).

275,1 უთხრა. თუ: „დაო, არა ვარ სულ ცნობადაკარგულია, მიჯნურობისა შმაგობით ჯელთა არა მაქუს გულია, მაგრამ ცოტაცა კულაე ვიცი, რაცა რამ საკარგულია; და ვინ ღირსა, კაცი გამოჩნდეს, ჩემებრ თავდაკარგულია“.

X-თან (სტრ. 379<sup>1</sup>) შედარებით, პროექტში ცვლილებაა: გ-ის ბოლოს ნერტილი-მძიმეა (მძიმის ნაცვლად). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: უთხრა: „დაო, არ ვარ მთლად გონებადაკარგული, მიჯნურობის შმაგობით გული არ მემორჩილება, მაგრამ ცოტა რამ კიდევ ვიცი, რაც რამ სასიკეთოა; ვინ არის იმის ღირსი, რომ კაცი გამოჩნდეს, ჩემსავით თავდაკარგული“.

275,2 მოახსენა: „ეპოვე ვინმე მიჯნურობით გამოჭრილი, შენად ძებნად ნამოსრული, დიდთა ჭირთა გარდაჯლილი; დაუდგია მისი მთვარე, ამაღ ჯილა ფერმი ჯილი; და ნახო, ანცა ეკადრების მზისა შექთა მისგან ცილი“.

X-თან (სტრ. 379<sup>2</sup>) შედარებით, პროექტში ცვლილებაა: მ-ის ბოლოს ნერტილი-მძიმეა (მძიმის ნაცვლად). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მოახსენა: „ეპოვე მიჯნურობის გამო გამოჭრილი კაცი, შენს საძებრად ნამოსული, დიდი გაჭირვებაგამოვლილი; დაუტოვებია თავისი მთვარე (=მიჯნური), ამიტომ დაუკარგავს ფერი; რომ ნახო, ახლაც კი მზის შუქისათვის არ იქნება უკადრისი მისგან ცილობა“.

276 ყმაძან უთხრა: „თუ მოჩენებ, ენახავ, დიდად გავიხარებ, სიყვარულმან მისმან, ვისთვის ხელი მინდორს თავსა ვარებ, არას უხამ უგემურსა, არაოდეს გაეაზნარებ; და რაცა ჩემგან ვაზების, ვაამებ და შევიყვარებ“.

X-სთან (სტრ. 276) შედარებით, პროექტში ცვლილება არ არის.

ა. ბარამიძე: სტროფის დასაწყისში ყმაძან უთხრა უნდა შეიცვალოს მან უბრძანა-თი, რომელსაც მხარს უჭერს პოემის რედაქციათა უმრავლესობა (B და C რედაქციის

ყველა ხელნაწერი, აგრეთვე A<sup>12</sup>). ეს უფრო სწორად გადმოსცემს ეტიკეტს. ტარიელი უბრძანებს, ასმითი კი ჰკადრებს. შდრ. „ქალმან კულა ჰკადრა“ (275).

ც. კიკვიძე: რასაკვირველია, პოემაში საუბრის აღწერისას უმთავრესად ასეა გამოხატული უფროს-უმცროსობის წესი. მაგრამ პატრონისა და ყმის საუბრისას არც ნეიტრალური უთხრა ზმნა გამოიჩინება. მაგ., 274<sub>1</sub>-ის ყმამან უთხრა-ს ხელნაწერებში ვარიანტი არა აქვს.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს მან უბრძანა.

გ. კარტოზია: გ-ში არაოდეს გაეაზნარებ-ის ნაცვლად უნდა მივიღოთ არათ ოდეს გაეაზნარებ (ე.ი. არაფრით გაეაზნარებ როდისმე). ამას მხარს უჭერს რედაქციითა უმრავლესობა, თანაც არათ ოდეს > არაოდეს უფრო გასაგებია, ვიდრე პირიქით.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს არათ ოდეს.

რედაქციას არ განუხილავს მომდევნო თავის სათაურის („შეყრა ტარიელისა და აეთანდილისა“) ვარიანტები. დაადგინეს, რომ ყველა სათაური ცალკე უნდა იქნეს განხილული.

ს. შ.: მან უთხრა: „თუ მიჩვენებ, ენახე, ძალიან გავიხარებ, ვფიცავ იმის სიყვარულს, ვისთვისაც მინდვრად გახელებული დავდივარ, არაფერს ვუზამ უგემურს, არასდროს არაფრით გაეაზნარებ; რაც ჩემგან ეამება, ვაამებ და შევიყვარებ“.

277 ქალი ადგა და ნაიდა მის ყმისა მოსაყვანებლად;  
„არ ეწყინაო“, უამბობს, არს მისად მაგულუანებლად,  
წელი მოჰკიდა, მოჰყვანდა, ვით მთუარე მოსაყვანებლად;  
და იგი რა ნახა ტარიელ, თქვა მზისა დასაგვანებლად.

ს-სთან (სტრ. 277) შედარებით, პროექტში ცვლილება არ არის.

პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ქალი ადგა და ნაიდა იმ მოყმის (აეთანდილის) მოსაყვანად; „არ ეწყინაო“, უბნება, აგულიანებს, ხელი მოჰკიდა, მოჰყავდა როგორც მთვარე მოსაყვანებლად; ის რომ დაინახა ტარიელმა, თქვა, მზეს ჰგავსო.

278 გამოეგება ტარიელ, მართებს ორთავე მზე დარად,  
ანუ ცით მთუარე უღრუბლო შუქთა მოჰფენდეს ქვე დარად,  
რომე მათთანა ალვისა ხეცა ვარგაყო ხედ არად,

და ჰგვანდეს შუიდათვე მნათობთა, სხუადმცა რისად ვთქუი მე და რად!

ს-სთან (სტრ. 278) შედარებით, პროექტში ცვლილებაა: ზ ქვე დარად (< ქვე ბარად).

ც. კიკვიძე: ბ-ის ბოლოს ყველა ხელნაწერში დაცული ქვე ბარად არღვევს რითმას. ჩვენ რითმა გავმართე პ. ინგოროყვას (ყ) კონიექტურის მიხედვით: ქვე დარად.

ი. გიგინეიშვილი: რითმა კი იმართება, მაგრამ აზრი იღუნება. რას ნიშნავს „უღრუბლო ციდან შუქთა დარად მოფენა“?

გ. კარტოზია: მე მგონია, სულაც არ არის უხერხული გამოთქმა. შდრ. „დიდხან შუქნი არ ადარნა“ (305<sub>2</sub>).

შ. ძიძიგური: „შუქს მოჰფენდა დარად“ მშვენიერი პოეტური სახეა!

ს. ცაიშვილი: რუსთველი რომ რითმას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს, ამას დ მონიშნავს: „სხუადმცა რისად ვთქუი მე და რად!“

დაადგინეს: დარჩეს პროექტის ნაკითხვა: ქვე დარად.

ს. შ.: გამოვეგება ტარიელი, ორივეს მზე შეშენის სადარად, ან ციდან მთვარე უღრუბლოდ შუეს მოაფენდეს სადაროდ, მათთან შედარებით ალვის (კვიპაროზის) ხეც ხედ არ ვარგოდა, შეიდასავე მნათობს ჰგავდნენ, სხვა რისად და რად მივიჩნიო!

279 მათ აკოცეს ერთმანეთისა, უცხოობით არ დარიდეს, ვარდსა ჯღერდეს, ბაგეთაგან კბილი თეთრნი გამოსჭვირდეს, ყელი ყელსა გარდააჭედეს, ერთმანეთსა აუტირდეს, და ქარვად შექმნეს იაგუნდნი მათნი, თუცა ლალად ღირდეს.

პ-სთან (სტრ. 279) შედარებით, პროექტში ცვლილება არ არის.

ი. გიგინეიშვილის წინადადებით, გ-ში გარდააჭედეს შეიცვალა გარდააჭედეს ფორმით.

პროექტი ამ ცვლილებით მიღებულ იქნა.

ს. შ.: მათ ერთმანეთს აკოცეს, უცხოობის გამო არ მოერიდნენ (ერთმანეთს), ვარდს (= ბაგებს) აპობდნენ, ბაგებიდან თეთრი კბილები გამოჭვივოდა, ყელი ყელს გადააჭედეს, ერთმანეთს შესტირეს, თაყიანთი იაგუნდები (= პირისახეები) ქარვად (= ყვითლად) აქციეს, თუმცა ლალის ღირსება არ დაუკარგავთ.

280 მობრუნდეს, ყმაძან აეთანდილს ჯელი შეუპყრა ჯელითა, ერთგან დასხდეს და იტირეს დიდხან ცრემლითა ცხელითა, ასმათი სულსა უღებდა სიტყვითა საჭვირველითა:

და „თაქსა ნუ დაპკოცთ, ნუ ბნელით მზესა თქვენითა ბნელითა“.

პ-სთან (სტრ. 279) შედარებით, პროექტში ცვლილებაა: დ დაპკოცთ (< დახოცთ), ბნელით (< ბნელი-ქმთ). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მობრუნდნენ, მოყმემ (ტარიელმა) აეთანდილს ხელი დაუჭირა, ერთად დასხდნენ და დიდხანს იტირეს ცხელი ცრემლით. ასმათი ამშვიდებდა (მათ) საოცარი სიტყვებით: „თაქვებს ნუ დახოცავთ, თქვენი მწუხარებით მზეს ნუ აბნელებთ“.

281 ტარიელის ვარდი იყო დათრთვილული, არდაზრული; ყმაძა უთხრა: „მესწრაფების, მოთხარ შენი დაფარული, ვინ ხარ, ანუ სით მოსრულხარ, სადაური, სად მოსრული?“

და მე სიკუდილსა აღარ ვაქსოვ, ვარ მისგანცა განწირული“.

პ-სთან (სტრ. 281) შედარებით, პროექტში ცვლილებაა: ა არდაზრული (არ დაზრული).

გ. კარტოზია: ა-ში უნდა აღდგეს არ დაზრული. ტაეპის აზრია: „ტარიელის ვარდი იყო დათრთვილული, მაგრამ არა დაზრული“.

ი. გიგინეიშვილი: მართალია. არ ნაწილაკი აქ საჭიროა დაპირისპირებისათვის. დათრთვილული და არდაზრული აქ სინონიმები არ არის.

დაადგინეს: აღდგეს ნაკითხვად არ დაზრული.

ი. გიგინეიშვილი და შ. ძიძიგურამ აღნიშნეს, რომ გ-ში ანუ კავშირის წინ მძიმე არ არის საჭირო.

ს. ცაიშვილისა და ც. კიკვიძის აზრით, რადგან ანუ აქ ზმნებს აკავშირებს, მძიმე საჭიროა.

დაადგინეს: ჯერჯერობით მძიმე დარჩეს. ანუ კავშირის წინ მძიმის ხმარების საკითხი ცალკე იქნეს შესწავლილი. ა. ბარამიძე: გ-ის სად ზმნიზედის ნაცვლად ხელნაწერებში თითქმის უკლებლად ყველგან სით წერია: „სადაური, სით მოსრული“. სად მხოლოდ  $A^2$ -ში გვაქვს. უნდა მივიღოთ სით.

გ. კარტოზია: სით უფრო გასაგებია, მაგრამ ტავტოლოგია გამოდის: „სით მოსრულხარ“ და „სით მოსრული“. საყურადღებოა A<sup>12</sup>-ის ნაკითხვა რად: „სადაური, რად მოსრული“.

შ. ძიძიგური: სად აქ უფრო გამართლებულია: „სადაური ხარ და სად მოხვედიო!“

ს. ცაიშვილი: სით ჯობია, მაგრამ ტავტოლოგიაა. ი. გიგინეიშვილი: მაინც სით ჯობია.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს ტაეპის ნაკითხვად „ვინ ხარ, ანუ სით მოსრულხარ, სადაური, სით მოსრული?“

ს. შ.: ტარიელის ვარდი (= პირისახე) დათრთვილული იყო და არა დაზრული; მოყმეს უთხრა: „ვესწრაფვი, მითხარი შენი საიდუმლო, ვინ ხარ, ან საიდან მოსულხარ, სადაური (ხარ), საიდან მოსული? მე სიკვილის აღარ ვახსოვარ, მისგანაც განირული (მიტოვებული) ვარ“.

282 ავთანდილ გასცა პასუხი, სიტყვები ლამაზებია:  
„ლომო და გმირო ტარიელ, ვის თავი გინაზებია,  
მე ვარ არაბი, არაბეთს არს ჩემი დარბაზებია,  
და მოჯნურობითა დამწუარეარ, ცეცხლი უშრეტი მგზებია.

ა-სთან (სტრ. 282) შედარებით, პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ავთანდილმა პასუხი გასცა, მოხდენილი სიტყვები უთხრა: „ლომო და გმირო ტარიელ, ვინც განაზებულხარ, მე ვარ არაბი, არაბეთშია ჩემი დარბაზები, მოჯნურობით დაემწუარეარ, მომდებია გაუნელელებელი ცეცხლი.“

283 მე პატრონისა ჩემისა ასული შემწუარებია;  
თუთი მეფედ მათად მას ხედვენ მონები მკლავმაგრებია.  
თუცა არ მიცნობ, გინახავ, თუ ვითა გაიზრებია,  
და გაჯსოვსცა, ოდეს დაჯოცე მონები არსაპყრებია?

ა-სთან (სტრ. 283) შედარებით, პროექტში ცვლილებაა: დ დაჯოცე (დახოცე).

გ. კარტოზია: გ-ში ზმნის თურმეობითის ფორმა გაიზრებია კონტექსტით გაუგებარია. მე მგონია, უნდა გექონდეს გეაზრებია (როგორც ამას D<sup>1</sup> კითხულობს). ე. ი. ზმნის ანმყოს ფორმა გეაზრები, რომელსაც პროსოდოული ა ხმოვანი ერთის. ტაეპის აზრია: „თუმცა არ მიცნობ, გინახავარ, თუ როგორმე გაგონდები“. ეა კომპლექსის ცვლა ია-დ ფართოდ გავრცელებული პროცესია; ასევე ჩვეულებრივია „ვტ“-ში პროსოდოული ა-ს დართვა ზმნაზე (შდრ. „თუცა ვერას ვერ გეტყუია“, 129; „ცოცხალ ხარ-ლა? სიტყუა თქუია“, 343).

დაადგინეს: მიღებულ იქნეს ნაკითხვა: გეაზრებია.

პროექტი ამ ცვლილებით მიღებულ იქნა.

ს. შ.: მე ჩემი პატრონის ასული შემყვარებია; თუთი მკლავმაგარი ქვეშევრდომები თავიანთ მეფედ მას მიიჩნევენ. თუმცა არ მიცნობ, გინახავარ, თუ როგორმე გაგონდები. გახსოვს, როდესაც დახოცე ძლიერი მოყმეები?

284 შენ მინდორს გნახეთ გაჭრილი, ჩვენ ზედა გარდგაკიდნით,  
პატრონი ჩემი გაგინყრა, ჩუნ ჯაფად ნაგვიდენით,  
გიჭმეთ, არ მოხუე, ლაშქარნი უკანა გამოგვიდენით,  
და შენ ელნი ნითლად შეღებენ სრულად სისხლისა კი დენით.

ა-სთან (სტრ. 284) შედარებით, პროექტში ცვლილება არ არის.

გ. კარტოზიას და ი. გიგინეიშვილს მიანიჭათ, რომ ამბის თანმიმდევრობა მოითხოვს ბ-ისა და გ-ის გადასმას (ასეა  $A^9 A^{12} D^1 D^2$ -ში). ჯერ გადმოცემული უნდა იყოს მეფის მიერ ტარიელის ხმობა და არმოსვლა, შემდეგ კი – მეფის განცრობა.

ა. ბარამიძის აზრით, ტაეპების გადასმა საჭირო არ არის. ჯერ სწორედ მეფის განცრობა უნდა იყოს აღწერილი, შემდეგ კი – ლაშქართა გამოკიდება.

დაადგინეს: ტაეპების რიგი უცვლელად დარჩეს. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: შენ მინდვრად გაჭრილი განახეთ, ჩვენ გადაგანყდით, ჩემი პატრონი გაგინყრა, ჩვენ მდგარად ნაგეკიდეთ (ნაგეზუბეთ), მოგხმეთ, არ მოხვედი, ლაშქარი უკან გამოგადევნეთ, შენ ველები სრულად შელებე ნითლად (მათი) სისხლით (სისხლის დენით).

**285** ყწელაკასა მათრაჯითა თავი უწრმლოდ გარდაკუთეთ.

მეფე შეგდა, დაგუპარგე, კუალი შენი ვერ მოკურუთეთ,  
ეთა ქაჯი დაგუმალე, მონებიცა დაუფეთეთ,

და ამან უფრო დაგუამგანა, თავი სრულად გაეაშეთეთ.

პ-სთან (სტრ. 285) შედარებით, პროექტში ცვლილება არ არის.

პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ყელას მათრახით თავი უხმლოდ მოკუეთეთ. მეფე ამხედრდა, დაგვეპარგე, შენს კვალს ვერ მივაგებით, ქაჯივით დაგვემალე, მონებიც (მოლაშქრებიც) დაუაფეთეთ, ამან უფრო გაგაშმაგა, უფრო გაცუოდით.

**286** ჭმუნვა შეეძნა, თქუნც იცით, ჯელმნიფე ნებირია.

მოგნახეს, გძებნეს ყოველგან, მათ რუკა დაუნერია,

ვერ ნახეს შენი მნახავი ვერცა ყმა, ვერცა ბერია;

და ან გამომგზავნა, რომელსა ვერ შზე შგავს, ვერ ეთერია.

პ-სთან (სტრ. 286) შედარებით, პროექტში ცვლილება არ არის

ა. ბარამიძე: გ-ში ხელნაწერები მნახავ-ის ნაცვლად უმთავრესად ნახულ-ს კითხულობენ. ხომ არ შევცვალათ ტაეპის ნაკითხვა?

ი. გიგინეიშვილი: ნახული ფობია, სუბორდინაცია იქნება დაცული.

გ. კარტოზია: ნახული თუმცა ენებითი გვარის მიმღეობაა, მაგრამ ამ კონტექსტში გაგება მოქმედებითი გვარისა აქვს. ნახული = მნახველი, ისევე როგორც ჩახედული (საქმეში ჩახედული კაცი) ნიშნავს იმას, ვინც ჩახედა. შდრ. ენებითი გვარის სხვა მიმღეობები „ვტ“-ში: შენაჭყრეტი, შენატყეები, რომელთაც მოქმედებითი გვარის მიმღეობის შინაარსი აქვთ.

ი. გიგინეიშვილი: ნახულ-ს უნდა მიეცეს უპირატესობა, რადგან: 1) ხელნაწერების უპირატესობა მას უჭერს შარს; 2) ნახული > მნახველი უფრო გასაგები პროცესია, ვიდრე პირიქით; 3) ნახული ნიშნავს იმას, ვინც ნახეს, მაგრამ შესაძლებელია ლექსში გამოყენებული ყოფილიყო მნახველი-ს მნიშვნელობით.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს ნაკითხვად ნახული. პროექტი ამ ცვლილებით მიღებულ იქნა.

ს. შ.: დანაღვლიანდა, თქვენც იცით, ხელმნიფე ნებირია (თავისნება).

ყველგან გეძებეს, მათ წერილი მიუნერიათ (სადაც ვერ მივიდნენ), ვერ ნახეს შენი მნახველი ვერც ახალგაზრდა, ვერც მოხუცი, ახლა გამომგზავნა (მან), ვისაც ვერც შზე შეედრება და ვერც ეთერი.

**287** მიბრძანა: «მიცან ამბავი მის ყმისა ნაწლომილისა,

მაშინ ვარ მქმნელი საქმისა მის შენგან მონდომილისა».

სამ წლამდის მოხრა დადენა უმისოდ ცრემლთა მილისა.

და არ გიკუირს, გაეძელ ვერჭურება მისისა მე ღიმილისა?!

პ-სთან (სტრ. 287) შედარებით, პროექტში ცვლილება არ არის.

ი. გიგინიშვილი: ჩემი აზრით, დ უნდა იკითხებოდეს ისე, როგორც მხოლოდ ერთადერთ ( $A^3$ ) ხელნაწერშია წარმოდგენილი: „არ გიკუირს, გაეძელ ვერჭურება მისისა გაღიმილისა?“ 1) ასე სჯობს ლექსის თვალსაზრისით; 2) მე ნაცვალსახელის ჩამატება გადაკეთებისას ჩვეულებრივ ხდება; 3) გაღიმილისა ტიპის წარმოება ჩვეულებრივია ლიტერატურის ძეგლებში და აგრეთვე თანამედროვე ქართულის კილოებში. შდრ. ა) „რუსუდანიანის“ შემოკვივლი და მისთ., ბ) თანამედროვე ფშაურ-ხევსურულის: გასივილი (= გასივება), გაჭყვილი, დასიცილი, გაყვირილი. დამახასიათებელია, რომ ა. შანიძეს „სიმფონიაში“ სწორედ ამნაირი „მასდარები“ აქვს აღდგენილი: გამოჭვირილი (გამოსჭვირდეს-ფორმისათვის); გაჭვირილი (გასჭვირს-ფორმისათვის).

ა. ბარამიძე: გაღიმილი გაუგებარი ფორმა არ არის. საკითხავია, რატომ მოხდა, რომ ხელნაწერთა აბსოლუტურ უმრავლესობაში სავეებით გასაგები სიტყვა შეიცვალა და გადაკეთდა. უფრო საფიქრებელია, რომ გაღიმილისა  $A^3$ -ის სიახლეს წარმოადგენს.

გ. კარტოზია: გაუმართლებელია ტრადიციული ნაკითხვის (მე ღიმილისა) უარყოფა იმ მიზეზით, თითქოს მე ნაცვალსახელი ტაეპში უადგილო ადგილას არის ჩართული და ნაცვალსახელებისა და ზმნისართების ამგვარ ჩამატებას თითქოს ჩვეულებრივ მარცვალთა რაოდენობის შესავსებად მიმართავდნენ გადაშერლები. მე ნაცვალსახელის „ზედმეტად“, ასე „უადგილოდ“ გამოყენება „ტ“-ის ენისათვის ნიშანდობლივი თავისებურებაა. შდრ. „შენ დამიფარე, ძლევა მეც დათრგუნვად მე სატანისა“ (23); „ანუ მომცეს განკურნება, ანუ მინა მე სამარი“ (84); „დავეყო მარტოდ და ღარიბად ესე ნლეული მე ნელი“ (1652); „უცილოდ ღმერთსა მოვსტული აქამდის მე შიარული“ (1104); „ერთგან განახენ ნადირობას შენ და შენი მე გამზრდელი“ (2893); „ასამთამან დამსვა შორსგვარად გულსა მე ლახვარხებული“ (5153); „საეაჭროთა შევეკაზმე, ვიქმ საქმესა მე მუხთალსა“ (13853); „ავთანდილ იტყვის: „მომკლაო სოფლისა მე სამსალამა“ (15784) და ა. შ. შდრ. შენ ნაცვალსახელის ასეთივე გამოყენების მაგალითები: „გითხრა, თუ ცოდნა გნადიან ჩვენისა შენ სახელისა“ (2571); „კელაცა მითხრა: «რას გუებნა მტყუნასა და შენ მუხთალსა?...»“ (5173), ასე რომ ეჭვი არ არ არის, მე ღიმილისა 2874-ში დედნისეული ნაკითხვაა. გაღიმილისა რომ მხოლოდ  $A^3$ -ის სიახლეა, შემდეგი ფაქტიც მონიშნავს: როგორც სტროფული შედგენილობით, ისე ნაკითხვებითაც  $A^3$  მეტად ახლოა  $A^4$   $A^9$   $A^{10}$  ხელნაწერებთან და მათთან ერთად ხშირად უპირისპირდება სხვა წესებს. ამ შემთხვევაში კი  $A^3$ -ის ნაკითხვა სხვაობს არა მარტო სხვა რედაქციებისა და ჯგუფების, არამედ თავისი ბუდის ხელნაწერთა ნაკითხვისგანაც. ცხადია, საქმე გვაქვს  $A^3$ -ის ინდივიდუალურ სწორებასთან.

ც. კიკვიძე: აღსანიშნავია, რომ გაღიმილი არსად დასტურდება ძველი ქართული მწერლობის სხვა ძეგლთა ენაში.

შ. ძიძიგური: გაღიმილი ბუნებრივი ფორმა იქნებოდა რუსთაველის ენისათვის, მაგრამ ხელნაწერთა ჩვენება მას მხარს არ უჭერს. ამასთან, არც მე ღიმილისა არის უხერხული გამოთქმა. ამიტომ ძველი ნაკითხვა უნდა დარჩეს.

დაადგინეს: ტაეპის ნაკითხვა დარჩეს უცვლელად. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მიზრძანა: „გამიგე იმ დაკარგული მოყმის ამბავი, მაშინ აგისრულებ, რაც გინდა“. სამ წლამდე უმისოდ ცრემლის ნაკადის ღერა გადამწყვეტა (= სამი წლის ვადა მომცა). არ გიკუირს, რომ მისი ღიმილის უნახაობა მოეთიშინე?!

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე,  
ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.  
განიხილეს სტრ.: 288–293 (პროექტი მოამზადა | ჯგუფმა).

**288** აქანაშის მნახაიცი კაცი შენი არ მენახა;  
თურქი ენახენ, რომე თქუნთოთის სიტყუა რამე გაემკუხა;  
მათარაჯითა ჩამოგეგდო ერთი, მკუდართა დაგესახა;  
და მათ მასნაელეს, ძმა რომელთა სულმობრძაჲი სამე, გლახ, ა“.  
ა-სთან (სტრ. 288) შედარებით, პროექტში ცვლილება არ არის.

ს. ცაიშვილი: ბ-ში თურქნი ჩ-ის კონიექტურაა. ყველა ხელნაწერში ქურდნი იკითხება. ჩვენ უპირატესობა მაინც ამ კონიექტურას მივეცი. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში (ე.ბერტელსი) გარკვეულია, რუსთველის ეპოქაში ეთნიკური სახელები თურქი და ხატაელი სინონიმებს წარმოადგენდნენ. შდრ. 292ა, სადაც ხელნაწერთა უმრავლესობაში თურქნი გვაქვს: „მათ თურქთა მიღმა გამეგო მე არას არ შენამება“.

დაადგინეს: დარჩეს ნაკითხვა თურქნი. გ-ში მძიმე გადაისვა: „მათარაჯითა ჩამოგეგდო, ერთი მკუდართა დაგესახა“. პროექტი ამ ცვლილებით მიღებულ იქნა.

ს. შ.: აქამდის შენი მზილველი კაციც არ მენახა; თურქები ენახე, შენთვის რომ მკვახე სიტყვები ეკადრებინათ; ერთი მათრახით ჩამოგეგდო, მკვდრებისათვის დაგემსგავსებინა; მათ მიმასნაელეს, რომელთა ძმა სადღაცაა სულთმობრძაჲი“.

**289** ტარიელსა აეცსენა ომი მათი მაშინდელი,  
იტყვის: „შაჰსოვს ეგე საქმე, თუცა არის ადრინდელი;  
ერთგან გნახენ ნადირობას შენ და შენი მე გამზრდელი;  
და მით ვტიროდი, მომეგონა მე, გლახ, ჩემი წარმწყმედელი.“

ა-სთან (სტრ. 289) შედარებით, პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა, ოღონდ დ-ში წარმწყმედელი-ს ნაცვლად, რომელიც მხოლოდ C<sup>7</sup>-ში დასტურდება, მიღებულ იქნა წარმწყმედელი. პროექტი ამ ცვლილებით მიღებულ იქნა.

ს. შ.: ტარიელსაც გაახსენდა მათი მაშინდელი ბრძოლა, ამბობს: „მასსოვს ეგ ამბავი, თუმცა კი ადრინდელია; ერთად გნახეთ, შენ და შენი გამზრდელი რომ ნადირობდით; იმიტომ ვტიროდი, რომ მომეგონდა ჩემი დამლუპველი.“

**290** რას მაქნევდით, რა გინდოდა, ერთმანერთსა რითა ეპკევანდით?  
თქუნე მორჭმულნი სთამაშობდით, ჩუნე მტირალნი ლანთუთა ებანდით.  
რა მონანი შესაჰყობლად მოშინეთ, გააგულევანდით.  
და ან ვეჭუ, რომე ჩემად ნაცვლად თანა მკუდართა ნაიტანდით.

ა-სთან (სტრ. 290) შედარებით, პროექტში ცვლილებაა: დ ნაიტანდით (მიიტანდით). ი. გიგინეიშვილი: ა-ში რა გინდოდა-ს ნაცვლად უფრო მართებული იქნება მივილოთ რად გინდოდი, რომელიც წინა ფრაზის (რას მაქნევდით) გამეორებას წარმოადგენს.

გ. კარტოზია: არ არის აუცილებელი, რომ ორივე წინადადებაში იდენტური აზრი იყოს გამოთქმული.

ც. კიკვიძე: ორივე ნაკითხვა (რა გინდოდა და რად გინდოდი) აზრობრივად თანაბარი ღირებულებისაა, ხელნაწერთა ჩვენება კი განსხვავებულია: რა გინდოდა-ს უფრო მეტი მომხრე ჰყავს. რატომ უნდა მივანიჭოთ ნაკლებად ხმარებულს უპირატესობა?

ე. მეტრეველი: ასეთ შემთხვევაში ხელნაწერთა ჩვენებას ეუნვეთ ანგარიშს.

დაადგინეს: დარჩეს რა გინდოდა.

ი. გიგინეიშვილი: დ-ში უნდა აღდგეს მიიტანდით. ნახევარტაეპის აზრია: „თან მიიტანდით მკედრებს მეფესთან“.

რედაქციის წევრები არ დაეთანხმნენ ამ მოსაზრებას, რადგან მეფე თვით იყო მღევართა შორის. ნახევარტაეპის აზრია: „მკედრებს თან წაიღებდით (თქვენ ყველანი, მათ შორის მეფეც)“. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: რას გარგებდით, რა გინდოდათ, ერთმანეთს რით ვგავდით? თქვენ ბედნიერი ერთობლივად, მე მტირალი ლანგებს (ცრემლით) ვიბანდი. როდესაც მონები შესაპყრობად დამადვენეთ, (მამინ) გული მოგვცათ, (მაგრამ) ახლა ვფიქრობ, რომ ჩემ ნაცვლად თან მკედრებს წაიღებდით.

**291** მოვიხედენ, მომენია, რა პატრონი შენი ვნახე,  
ჯელმწიფობით შემებრალნეს, აჰად ჯელი არ შეეახე,  
თულათა წინა გამოუექცე, მეტი არა შეუზრახე.

და ჩემი ცხენი უჩინოსა პგავხ და სხუასმცა რას ვასახე!

პ-სთან (სტრ. 291) შედარებით, პროექტში ცვლილებაა: ა-ში მძიმე ადგილგადანაცვლებულია: „მომენია, რა პატრონი შენი ვნახე“ („მომენია რა პატრონი შენი, ვნახე“).

ე. მეტრეველის წინადადებით, ეს მძიმე შეიცვალა ნერტილ-მძიმით.

ი. გიგინეიშვილის წინადადებით, გ-ში შეუზრახე-ს ნაცვლად მიღებულ იქნა შეუზახე (= შეუუტიე).

ს. შ.: მოვიხედე, მომენია; შენი პატრონი რომ დავინახე, ხელმწიფობის გამო შემებრალა, ამიტომ ხელი არ შეეახე, თვალწინ გამოუექცი, მეტი არ შეუუტიე. ჩემი ცხენი უჩინარს პგავს და სხვას რას შევადარო!

**292** კაცმან ვერ ასწრას თულასა დაფახვა, დანამზამება,  
მას გავექცევი, ვისგანცა ჩემი არა ვცნა ამება;  
მათ თურქთა მიღმა გამეგო მე არას არ შენამება.

და ავად შეწნოდა მორეენა და ჩემი დათამამება.

პ-სთან (სტრ. 292) შედარებით, პროექტში ცვლილება არ არის.

პროექტი მიღებულ იქნა, ოღონდ ბ-ის ბოლოს ნერტილ-მძიმის ნაცვლად დაისვა ნერტილი.

ს. შ.: კაცი ვერ მოასწრებს თვალის დაფახულებას, დახამზამებას, იმას გავექცევი, ვისაც შევატყობ, რომ არ მაამებს. იმ თურქებს იმით არაფერს ვერჩოდი (იმ თურქებისათვის არაფრის ქმნა არ მქონდა განზრახული). (მათ) არ შეეფერებოდათ (ჩემი) მორეენა და ჩემზე გათამამება.

**293** ან ვაჰად მოხუე, მეამა ნახუა შენისა პირისა!  
ტანად სარო და პირად მზე, მამაცად მსგავსი გმორისა,  
მაგრა გარჯილხარ, არა ხარ გარდაუჭდელი ჭირისა:

და ძნელა პოვნა კაცისა ღმრთოე ზეცით განანწირისა!

პ-სთან (სტრ. 293) შედარებით, პროექტში ცვლილება არ არის.



ი. გიგინეიშვილი: გ-ში სანყის სიტყვათა რიგი უნდა შეიცვალოს: „გარჯილხარ, მაგრა არა ხარ გარდაუქვდელი ჭირისა“. პროექტში წარმოდგენილი წაკითხვა, რაც ზოგ ხელნაწერში დასტურდება, მეორეულია და იმით აიხსნება, რომ სწორად არ იყო გაგებული გარდაუქვდელ-ის მნიშვნელობა. ჭირის გარდახდა ნიშნავს ჭირის ანაზღაურებას, სანაცვლოს მიგებას. ამასთან ერთად, სტროფში შესაცვლელია პუნქტუაცია: ბ-ის ბოლოს მიძიმის ნაცვლად წერტილი უნდა დაისვას.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს „გარჯილხარ, მაგრა არა ხარ გარდაუქვდელი ჭირისა“; ბ-ის ბოლოს დაისვას წერტილი.

გ. კარტოზია მ აღნიშნა, რომ ამგვარი შესწორების შემდეგ გ-ის ბოლოს ორწერტილის დატოვება გაუმართლებელია, რადგან დ-ს გ-ის ახსნად, განმარტებად ვერ ჩაეთვლით. გ-ის ბოლოს წერტილი უნდა დაისვას.

რედაქციის წევრები არ დაეთანხმნენ ამ წინადადებას. გ-ის ბოლოს დარჩა ორწერტილი.

ს. შ.: ახლა ბედნიერად მოხვედით, ტანად სარო (=კვიპაროზი) და სახით მზე, მამაცობით გმირის მსგავსი, გამიხარდა შენი (სახის) ნახვა! გარჯილხარ, მაგრამ (გამოვლილი) გაჭირების სანაცვლო გარდაეგება: ძნელა ზეციდან ღეთისაგან განაწირი კაცის პოვნა!

## 1974. 18. X

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი.

განიხილეს სტრ.: 294–298 (პროექტი მოამზადა I ვერსიამ), 298–302 (პროექტი მოამზადა II ვერსიამ).

294 ავთანდილ უთხრა: „ეთი საქებ საქები ბრძენთა ენისა?

მაგისად ნაცვლად რამც გიყავ ღირსი ქების თქუენისა!

სახე ხარ მზისა ერთისა, ზეცით მნათისა ზენისა,

და რათგან ვერ შეგცვლის პატივი ეგ ზომთა ცრემლთა დენისა.

ა-სთან (სტრ. 294) შედარებით, პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ავთანდილმა უთხრა: „როგორ საქებ (თავად) ბრძენთა ენით საქები? მაგის ნაცვლად რა გაგიკეთო შენი ქების ღირსი! მსგავსი ხარ ერთი (ერთადერთი) მზისა, ზეციდან მანათობელი ზენისა, რადგან ვერ გცვლის ამდენი ცრემლის დენით გამოწვეული ტანჯვა.“

294,1 მოსრულვარ, შენად შეყრამდის ვიყავ ამბისა მძებნელი;

რა განახე, შენმან საწმილმან ბნელსა მიმატა მე ბნელი;

ევე მეც ვიყო, მეცა ვარ მაგა ლახუართა მგებნელი;

და ბოლოდ იცოდი, სიკუდილი ჩემგან გაყრის ა მცებნელი.

x-თან (სტრ. 399) შედარებით, პროექტში ცვლილებაა: ა შეყრამდის (შეყრამდინ), ამბისა (ამბისა); გ-ის ბოლოს წერტილ-მიძიმე (მიძიმის ნაცვლად). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მოვსლევარ, შენთან შეხვედრამდის შენი ამბის გაგება მენდა; რომ გნახე, შენმა ცეცხლმა ბნელს ბნელი დამომატა; ეგ მეც ვოცი, მეც ეგ ლახვარი მასვია; საბოლოოდ იცოდე, სიკვდილი არის ჩემგან გაყრის მაცნე.

**295** ამა დღემან დამავინყა, გული ჩემი ვინ დაბინდა;  
დამოგდია სამსახური მისი, იქმნას, რაცა გინდა;  
იაგუნდი ეგრეთა სჯობს, ათასჯურმცა მინა მინდა;  
და შენ გეახლო სიკუდილამდის, ამის მეტი არა მინდა!”

ს-სთან (სტრ. 295) შედარებით, პროექტში ცვლილებაა: გ-ის ბოლოს ნერტილ-მძიმეა (მძიმის ნაცვლად). პროექტი მიღებულ იქნა.

ი. გიგინეიშვილმა აღნიშნა, რომ სტროფში გაუგებარია იაგუნდისა და მინის, ე. ი. ტარიელისა და თინათინის, დაპირისპირების ფაქტი.

ა. ბარამიძე: ნატურალიტურად თუ გაიგებთ, რასაკვირველია, აბსურდია, მაგრამ ჰუმანისტური პოზიციიდან ამოსვლით სავსებით გასაგებია (მეგობრობისა და სიყვარულის იდეის დაპირისპირება).

ს. შ.: ამ დღემ დამავინყა (ის), ვინც ჩემი გული დაბინდა; მისი (= თინათინის) სამსახური დამოტოვებია, რაც უნდა, ის მოხდეს; იაგუნდი მაინც სჯობს, მინა რომ ათასჯურ მინობდეს (მინა ათასჯურ უკეთესი რომ იყოს იმაზე, რაც არის); შენთან ვიყო სიკვდილამდის, ამის მეტი არაფერი მინდა!”

**296** ტარიელ უთხრა: „მე შენი გული ან შემჭურვალების;  
მიკურის, თუ ნაცვლად მაგისად შენ ჩემი რა გეულებსი  
მაგრა წესია, მიჯნური მიჯნურსა შეებრალების.

და შენ საყვარელსა გაგყარო, ესე რათ გენაცვალების!

ს-სთან (სტრ. 296) შედარებით, პროექტში ცვლილება არ არის.

პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ტარიელმა უთხრა: „მე ვხედავ შენს გულმჭურვალებას; მიკვირს, მაგის სანაცვლოდ შენ ჩემი რა ვალი გაქვს! მაგრამ წესია, (რომ) მიჯნური მიჯნურს ებრალება. შენ სატრფოს (რომ) გაგყარო, ეს რით აგინაზღაურდება?

**297** ნამოსრულხარ ჩემად ძებნად, პატრონისა სამსახურად;  
ღმერთმან ქნა და გიპოვნეივარ, შენცა ცდილხარ მამაცურად.

მაგრა ჩემსა რა გაიმბობს, გამოჭრილვარ ასრე თუ რად!

და მე თუ ვიტყუო, დამწუავს ცეცხლი ცხელი, შემოქმს ალად, მურად“.

ს-სთან (სტრ. 297) შედარებით, პროექტში ცვლილება არ არის.

პროექტი მიღებულ იქნა, ოღონდ დ-ში შემოქმს შეიცვალა შემოქმს-ად.

ს. შ.: ნამოსულხარ ჩემ საძებრად, პატრონს რომ ემსახურო; ღმერთმა ქნა და გიპოვნეივარ, შენც ვაუკაცურად გიცდია (გარეჯილხარ). მაგრამ ჩემს ამბავს რა გაიმბობს, თუ ასე რატომ გამოიჭრილვარ! მე თუ ვიტყვი, ცხელი ცეცხლი დამწაავს, ალად, აღმურად გადამაქცევს“.

**298** ასმათ უთხრა: „ლომო, ცრემლით მაგა ცეცხლსა რა ერგების!

მე ვითა ვიქნა წუვეა თქმისა, რათგან ეგრე არ ეგების!

ვხედავ, ესე ხელი ვინმე მოყმე შენთვის ნაეგების,

და ცნას მიზეზი შენთა წყლულთა, ქმნას, რა ღონე აეგების.

ს-სთან (სტრ. 298) შედარებით, პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ასმათა უთხრა: „ლომო, მაგ ცეცხლს ცრემლით რა უშველება! მე როგორ გამოგინეო სათქმელად, რადგან ეგრე არ იქნება (არ შეიძლება)! ჭედავ, რომ ეს ვილაყ გახელებული მოყმე შენთვის თავს წირავს, გაიგოს შენი ჭრილობების მიზეზი, გააკეთოს, რასაც მოახერხებს.“

299 შეზუწუბოდა, ლამოდა ჩემგან რასამე სმენასა;  
ნუ ყოსო ღმერთმან, გაძლება შემცა ვით მივეც უნასა!  
თუ რას სცნობს, ვეჭო ამისგან თქუენსა რასამე ლხენასა.  
და არს უკეთესი, რაცალა სნადს განგებასა ზენასა“.

ს-სთან (სტრ. 299) შედარებით, პროექტში ცვლილებაა: ზ ნუ ყოსო (< ნუ უყოს), გ ვეჭო (< ვეჭობ).

გ. კარტოზია: ცვლილება შეეხო ტაეებს, სადაც სხვათა სიტყვის -ო ნაწილაკი უჩვეულო ადგილას ზის. ხელნაწერთა გადაწერებს უცდათ მათთვის სახამუშო ფორმათა „გასწორება“ ამ ნაწილაკის მოშორებით. ერთ შემთხვევაში ტაეში მარცვალთა რაოდენობა შეწარწუნებულია ზმნაზე სასხვისო ქცევის უ-ნიშნის დართვით: ნუ ყოსო > ნუ უყოს (შდრ. ზოგ ხელნაწერში დადასტურებული ცვლილება: არ მივეო > არ მოუვე, 268გ), მეორე შემთხვევაში უთემისნიშნო ვეჭუ (ვეჭუ = ვეჭუ + -ო; როგორც ცნობილია, ძველად ო-ს წინ უ - წყვილბაგისმიერი თანზოვანი - არ გამოითქმოდა და არც იწერებოდა) გადაკეთებულია -ო-თემისნიშნიან ზმნად (ვეჭობ). მაგრამ ეს ფორმა, რომელსაც ტრადიციულად იმეორებენ გამოცემები, გვიანდელია. რუსთველის დროისთვის მხოლოდ უთემისნიშნო ვეჭუ ზმნაა გავრცელებული.

ა. ბარამიძე: მართალია. ვეჭო > ვეჭობ უფრო გასაგებია, ვიდრე ვეჭობ > ვეჭო.

ი. გიგინეიშვილი: ვეჭო-ს სასარგებლოდ ის მოუთითებს, რომ ვეჭობ ახალი ფორმაა. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მეხეწებოდა, ლამობდა ჩემგან რაიმეს გაგებას; ღმერთმა ნუ ქნას, როგორ მივეც ჩემს უნას (ამის თქმის) ძალა! თუ რაიმეს შეიტყობს, ვფიქრობ, ეს (= ავთანდილი) რამეს გიძველით. ყველაზე კარგია (ის), რაც ზეციურ განგებას სნადია“.

300 ამას დაყმუნდა ტარიელ, დამწუარო, დაველებული;  
ასმათს უბრძანა: „მას აქათ შენ ხარ ჩემთანა ხლებული;  
რად არა იცი, უნამლო არს ესე ლეზი ლებული  
და კულა ესე ყმა მწუაეს მტირალი, ცრემლითა დავალებული.“

ს-სთან (სტრ. 300) შედარებით, პროექტში ცვლილება არ არის.

ი. გიგინეიშვილი: სტროფი ისე იწყება, თითქოს გულისხმობს ტარიელის ადრე ნალაპარაკებს. შდრ. „ამას დაყმუნდა ტარიელ“; შდრ. აგრ. „მას აქათ შენ ხარ ჩემთანა ხლებული“.

ც. კიკვიძე: მას აქათ ტარიელის გაჭრას გულისხმობს. ამაზე კი ტარიელს უკვე აქვს ნათქვამი ზევით: „მაგრა ჩემსა რა ვიამბობს, გამოჭრილ-ვარ ასრე თუ რად“ (295გ).

მთ. რედაქციის წყურებმა იმსჯელეს დ-ის სარიითმო სიტყვის მნიშვნელობის შესახებ.

ა. ბარამიძეს მიაჩნია, რომ დავალებული ნაწარმოებია ვალ (= სესხი) სიტყვიდან. ტარიელია მიზეზი ავთანდილის უბედურებისა, მისგან არის დავალებული.

ი. გიგინეიშვილი: ხომ არ გვაქვს აქ დავალლებული (= დავალალებული)? შდრ. უაღლესო. არც დავალ სიტყვის არსებობაა გამოსარციხი.

გ. კარტოზია: ვალ ფუძიდან ნანარმოები მსგავსი მნიშვნელობის სიტყვა სხვაც დასტურდება პოემაში: „ენა დამურების, მოსმენით ყურნიცა დავალდებთან“ (212). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: დამწერი, დაფერვლილი ტარიელი ამაზე საგონებელს მიეცა, ასმათს უთხრა: „მას შემდეგ შენ მე მახლავხარ (და) როგორ (რატომ) არ იცი, რომ ეს სატიკივარი უკურნებელია ამასთან, ეს მტირალი, ცრემლით შეწუხებული მოყმე მწევას (= მეცოდება).“

**301** კაცმან ვით პოვოს, ღმრთისაგან რაცა არდანაბადია  
მით გული ჩემი საწმილმან ან ასრე დანაბა დია;  
კულა გზასა მიკრავს, მიჭირავს, მითქს ბადე დანაბადია;  
და ან ჭელთა, ნაცვლად ლხინისა, ჩალა მაქვს და ნაბადია.

ს-საგან განსხვავებით, პროექტში სტროფი ძირითადად არის მიჩნეული. X-თან (სტრ. 406) შედარებით, პროექტში ცვლილებაა: ა არდანაბადია (< არ დანაბადია), საწმილმან (< სევდამან); ბ-ის ბოლოს ნერტილ-მძიმეა (მძიმის ნაცვლად).

ი. გიგინეიშვილი: ა თინათინისა და როსტევეანის დიალოგის რემი-ნისცენციაა. სტროფი ჩანართი უნდა იყოს. ჩანართობას მონშობს მისი მაჯამები.

ა. ბარამიძე: ბ-ში სტროფის ძირითადობას და მის აუცილებლობას მონშობს მომდევნო, ამკარად ნამდვილი, რუსთველური სტროფი („მაგრა ღმერთმან მონყალემან...“). რაც შეეხება მაჯამურ რითმას, იგი არ შეიძლება ჩაითვალოს სტროფის ჩანართობის საბუთად.

გ.კარტოზია: გაუგებარია ა-ს აზრი: ვინ იგულისხმება არდანაბადში?

ი. გიგინეიშვილი: შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აქ ლამარაკია არა პიროვნებაზე, არამედ საქმეზე. ტაეპის აზრი შეიძლება ასე გავიგოთ: „კაცი როგორ მიაღწევს იმას, რაც ღვთისგან არ არის განგებული!“ რაც შეეხება დანაბა ფორმას, იგი აქ დააბა-ს ნიშნავს. ნ თანხმონის ჩართვა პრევერბების შემდეგ მხოლოდ დ. გურამიშვილის ენის თავისებურება არ არის.

ა. ბარამიძე: დანაბა რომ მართლაც დააბა-ს, შეკრა-ს ნიშნავს, ამას მო-მდევნო ტაეპი მონშობს: „კულა გზასა მიკრავს, მიჭირავს, მითქს ბადე დანაბადია“.

დაადგინეს: სტროფი შეტანილ იქნეს ძირითად ტექსტში; პროექტი დამტკიცდეს.

ს. შ.: კაცი როგორ მიაღწევს იმას, რაც ღვთისაგან არ არის დანაბადი (= განგებული)! ამიტომ ჩემი გული ცეცხლმა ახლა ასე დააბა (შეკრა); ისე გზას მიკრავს, მიჭირავს, დაგებული მაქვს დაქსელილი ბადე; ლხინის ნაცვლად ახლა ხელთა მაქვს ჩალა და ნაბადი.

**302** მაგრა ღმერთმან მონყალემან მით ცნობითა ერთით მზითა  
ორი მისი მონყალემა დღესცა მომცა ამა გზითა:

პირველ, შეჰყრის მოყურაულთა ჩემით რათმე მიზეზითა,  
და კულა, ნუთუმცა სრულად დამწუა ცეცხლთა ცხელთა ანაგზითა“.

ს-საგან განსხვავებით, პროექტში სტროფი ძირითადად არის მიჩნეული. X-თან (სტრ. 407) შედარებით, პროექტში ცვლილებაა: ა ერთით (ერთი).

მთ. რედაქციის ნევრებს არ ექვებება სტროფის ნამდვილობა. მსჯელობის საგანი გახდა ა-ს ნაკითხვისა და ვაგების საკითხი.

გ. კარტოზია: ცნობა აქ გაცნობას უნდა ნიშნავდეს. ცნობითა ერთით მზითა = „ერთი მზის გაცნობით“. მოსალოდელი იყო გვექონოდა: ცნობითა ერთისა მზისათა ან

ცნობითა ერთისა შვისა, მაგრამ, როგორც ჩანს, საქმე გვაქვს პოეტურ ლიცენციასთან. შდრ. ვიქ საქმესა ამაღარი, სადაც ამაღარი = ამაღარსა.

ა. ბარამიძე: ტაეპის ამგვარი ახსნა დამაჯერებელია. ცნობა აქ, მართლაც, გაცნობას უნდა ნიშნავდეს და არა გონებას.

ი. გიგინიშვილი: სხვანაირად ტაეპის გაგება, მართლაც, არ შეიძლება. მაგრამ ძალიან დამაფიქრებელია შვითა ფორმა. შემდეგ: რატომ ვნერთ ერთით შვითას, როცა ხელნაწერებში ყველგან ერთი შვითა გვაქვს?

გ. კარტოზია: ერთადერთი გამართლება ერთით ფორმის მიღებისა ის არის, რომ „კტ“-ის ენისათვის არ არის დამახასიათებელი ატრიბუტული მსაზღვრელის საზღვრულთან შეუთანხმებლობა.

დაადგინეს: ტაეპის წარმოდგენილი ნაკითხვა დარჩეს უცვლელად.

ს. შ.: მაგრამ მოწყალე ღმერთმა ერთი შვის (=ავთანდილის) გაცნობით დღეს ამ გზით თავისი ორი ნყალობა მიბოძა: ჯერ ერთი, ჩემი მიზნებით (გამოსობით) ერთმანეთს შეკურსი შეყვარებულებს (=ავთანდილსა და თინათინს), მეორეც, იქნებ სრულიად დამნვას ცხელი ცეცხლის შემონთებით“.

302,1 მას დღესა ლომი ტარიელ შუებითა აიხსებოდა;  
ჯელითა ჯელსა მიზიდენ, ერთმანერთს უბნებოდა;  
მათთა შემედთა მათთანა ლალიცა უმტურდებოდა;  
და აგავს, თუ მამრიცი შუქსა აფენს, შზე მათთვის გაიხსებოდა.

X-თან (სტრ. 408) შედარებით, პროექტში ცვლილებაა: გ-ის ბოლოს წერტილ-მძიმეა (მძიმის ნაცვლად). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: იმ დღეს ლომი ტარიელი ღებნით აღსავსე იყო; ერთმანეთს ხელით ხელზე ეწუოდნენ და ეუბნებოდნენ; მათ შემედველებს მათთან შედარებით ლალიც მტკრად მაჩნდათ; თითქოს მამრიცი შუქს აფენს, შზე მათთვის (ტარიელისა და ავთანდილისთვის) ბრწყინავდა.

303 ყმასა უთხრა: „ეინცა კაცმან იძმოს ანუ და-ცა-იდოს,  
ჯამსო მისთუნს სიკუდილსა და ჭირსა თავი არ დარიდოს;  
ღმერთმან ერთი რათ აცხოვნოს, თუ მეორე არ ნაწყმიდოს!  
და შენ ისმენდი, შე გაიმბობ, რაცა გინდა ნაშეკიდოს“.

ა-სთან (სტრ.301) შედარებით, პროექტში ცვლილებაა: ა იძმოს ანუ და-ცა-იდოს (< ძმა იძმოს თუ დაცა იდოს), შ ჯამსო (ჯამს, თუ), გ რათ (<ვით).

გ. კარტოზია: ა-სა და ბ-ის აზრი, წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, ასეთია: კაცი ვისაც იძმობს ან იდობს, მისთვის თავი უნდა განიროს. ა-ში გვაქვს ზმნის ტმესიანი ფორმა (და-ცა-იდოს), რომელიც მომდევნო ხანის გადამწერებს ორ სიტყვად გაუგიათ (დაცა იდოს), რასაც გამოუწვევია ტმესტის სხვადასხვაგვარი სწორება (ძმა ანუ თუ დაცა იდოს; ძმა იძმოს თუ დაცა იდოს...). ამოსავალი ნაკითხვა დაკული აქვს ერთადერთ B<sup>5</sup> წესსას.

ს. ცაიშვილი: ტაეპის წარმოდგენილ ნაკითხვას უპირატესობა აქვს ადრინდელ ნაკითხვებთან შედარებით. ძმა ანუ თუ დაცა იდოს, ცხადია, არ ვარგა [ძმა ... იდოს (?)], მაგრამ არც ძმა იძმოს თუ დაცა იდოს არის გამართული. რასაკვირველია, აქ მხოლოდ ძმის ძმობაზე ან დის დობაზე არ შეიძლება იყოს ლაპარაკი.

ა. ბარამიძე: წარმოდგენილი შესწორების სასარგებლოდ ისიც მეტყველებს, რომ იძმოს ანუ და-ცა-იდოს რეალურად არსებული ნაკითხვაა და არა სხვადასხვა ხელნაწერთა სხვადასხვა ნაკითხვის კომბინაციით მიღებული ფრაზა.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს ნაკითხვა: იძმოს ანუ და-ცა-იდოს.

ა. ბარამიძე: დ-ში რაცა-ს ხელნაწერებში ვარიანტად აქვს რაცლა და რალა. ფიქრობ, ამოსავალი ფორმა უნდა ყოფილიყო რაცლა, საიდანაც მივიღეთ როგორც რაცა, ისე რალა. სანინალმდეგო პროცესი – რაცა-დან რალა-ს მიღება – გაუგებარია.

ბ. კარტოზია: რაცა, რაცლა, რალა ფორმათა ურთიერთმიმართება შეიძლება სხვაგვარადაც წარმოვიდგინოთ, ვთქვათ, ასე: ძირითადი რაცა ფორმის ვარიანტად ზოგ ნუსხაში გაჩნდა რალა; შემდეგ კი ამ ფორმათა კონტამინაციით მივიღეთ რაცლა.

ი. გიგინეიშვილი: ამ კონტექსტში რაცა უფრო გამართლებულია, ვიდრე რაცლა. რაცა-ს შეწყობა კავშირებითის ფორმასთან ბუნებრივია (რაცა გინდა ნამეკიდოს), მაშინ როცა რაცლა გინდა შეუძლებელი გამოთქმაა.

დაადგინეს: დარჩეს რაცა.

ს. შ.: მოყმეს უთხრა: „ვისაც კაცი იძმოს ან იდოს (დად გაიხდის), მისთვის სიკვდილსა და ჭირს თავი არ უნდა მოარიდოს; ღმერთმა ერთი რით აცოცხლოს, თუ მეორეს არ დალუპავს! შენ ისმინე, მე გაამბობ, რაც უნდა მომივიდეს.

## 1974. 1. XI

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, ბ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს სტრ.: 303–308 (პროექტი მოამზადა II ჯგუფმა), 309–312 (პროექტი მოამზადა III ჯგუფმა).

304 ასმათს უთხრა: „მოდო, მოუჯე, თანა წყალი მოიტანე, დაბნედილსა მაკურებდი, გული მითა გარდამბანე; მკუდარი მნახო, დამიტირე, სულთქმა გაათანისთანე, და მე სამარე გამოთხარე, აქა მინა მოაკუნე“.

პ-სთან (სტრ. 302) შედარებით, პროექტში ცვლილება არ არის.

პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ასმათს უთხრა: „მოდო, მომიჯეკი, წყალი მოიტანე, გულმემოყრილს მაკურე, გულზე გადამასხი; მკუდარს თუ მნახავ, დამიტირე, ოხერა გაახშირე (მუხწყვეტლივ იკვნესე), მე სამარე გამოთხარე, აქ მინა აკვნად გამოხადე (=დამმარხე)!“

305 ლილჩაქსნილი საამბობლად დაჯდა, მჭარნი ამოყარნა; ვითა მზე ჯდა მოღრუბლებით, დიდხან შუქნი არ ადარნა; ვერ გაახუნა სასაუბროდ, მან ბაგენი გაამყარნა, და მერმე სულთქნა, დაიხანხანა, ცრემლნი ცხელნი გარდმოყარნა.

პ-სთან (სტრ. 303) შედარებით, პროექტში ცვლილებაა: ბ სასაუბროდ, მან ბაგენი გაამყარნა (სასაუბროდ მან ბაგენი, გაამყარნა). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ლილჩაქსნილი საამბობლად დაჯდა, მხრები ამოყარა; იჯდა როგორც ღრუბელში მზე, შუქი დიდხანს არ გამოასხივა (=დიდხანს იყო ნალვლიანად); სასაუბროდ ბაგეები ვერ გახსნა, გააქევა, მერმე ამოიხრა, დაიყვირა, ცხელი ცრემლები გადმოყარა.

306 მოსთქაშა: „ჰაჰ-ჰაჰ, საყურელო, ჩემო, ჩემოწის დაკარგულო, იმედო და სიცოცხლეო, გონებაო, სულო, გულო,

ონ მოგკუთა, არა ვიცი, ხეო, ედემს დანერგულო!

და ცეცხლმან ცხელმან ვით ვერ დაგნუა, გულო, ასჯერ დადაგულო?!"

ს-სთან (სტრ. 304) შედარებით, პროექტში ცვლილებაა: შაჰ-შაჰ (< შაი).

პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მოთქვამს: „შაი, შაი საყვარელო, ჩემო, ჩემთვის დაკარგულო, იმედო და სიცოცხლე, ფიქრო, სული, გულო, არ ვიცი, ვინ მოგჭრა, ედემში დარგულო ხეე! ცხელმა ცეცხლმა როგორ ვერ დაგნეა, ასჯერ დადაგულო გულო?!"

307 „ისმენდი, მიეც გონება ჩემთა ამბავთა სმენასა,  
საუბართა და საქმეთა ვითა ძლიე ვათქმევე ენასა!  
იგი, ვინ ხელმქმნა, მოველი მისგან აროდეს ლხენასა,  
და ვისგან შეუცავე სევდასა, სისხლისა ღუართა დენასა.

ს-სთან (სტრ. 305) შედარებით, პროექტში ცვლილებაა: დ სევდასა (სევდათა).

პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ისმინე, გონება (გულისყური) მიაპყარი ჩემს ამბავს (ჩემი ამბის სმენას), სათქმელსა და ამბებს (საქმეებს), როგორ ძლივს ვათქმევინებ ენას! ვინც გამაშშავა, ვისგანაც შეუეყრივარ სევდას, ვისგანაც სისხლის ღვარი (სისხლიანი ცრემლი) მდის, მისგან არასოდეს მოველი შევბას.

308 ინდოეთს შუიღთა მეფეთა ყოელი კაცი ხართ მცნობელი:  
ექუსი სამეფო ფარსადანს ჰქონდა, თუთი იყო მყრობელი,  
უხუი, მდიდარი, უკადრი, მეფეთა ზედა მულობელი,  
და ტანად ლომი და პირად მზე, ომად მძლე, რაზმთა მწყობელი.

ს-სთან (სტრ. 306) შედარებით, პროექტში ცვლილება არ არის.

პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ინდოეთის შვიდ მეფეს ყველა იცნობთ; ექუსი სამეფო ფარსადანს ჰქონდა, თვითონ იყო მყრობელი, უხუი, მდიდარი, ამაყი, მეფეებზე გაბატონებული, ტანად ლომი, სახით მზე, ომში (მუდამ) გამარჯვებული, ლაშქრის მრავლავი.

309 მამაჩემი ჯდა მუშუიდედ, მეფე მებრძოლთა მზარავი, –  
სარიდან ერქვა სახელად, – მტერთა სრვად დაუფარავი;  
ვერვინ ჰკადრებდის წყნასა, ვერ ცხადი, ვერცა მპარავი;  
და ნადირობდის და იშუებდის სანუთროგაუმზარავი.

ს-სთან (სტრ. 307) შედარებით, პროექტში ცვლილებაა: ა მუშუიდედ (მუშვიდედ); სარიდან ერქვა სახელად გამოყოფილია ტირიებით. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მუშვიდე მამაჩემი იყო, მტერთა (მონინააღმდეგეთა) ზარის დამცემი მეფე, მტრების მუსერით ცნობილი, სარიდანი ერქვა სახელად; ვერავინ უბედავდა ვნებას, ვერც აშკარად, ვერც მიპარვით მიმსვლოელი; ნადირობდა და ილხენდა ბედნიერი (ნუთისოფელგაუმზარებელი).

310 ხალეა მოსტულდა, შეექმნა გულს კეჰანთა ჯარები.  
თქვა: «ნამილია მტერთაგან ძლევით ნაპირთა არები,  
ყოულგნით გამოსხმან, მორჭმით ეზი, მაქუს ზეოში და ზარები»;  
და ბრძანა: «ნაეალ და მეფესა ფარსადანს შეეწყნარები».

ს-სთან (სტრ. 308) შედარებით, პროექტში ცვლილება არ არის.

ი. გიგინიშვილი: ხელნაწერებში ყველგან, C<sup>7</sup>-ის გარდა, შეექნა იკითხება. რატომ ვიღებთ შექმნა ფორმას?

ც.კიკვიძე: მანან ფორმას რომ მივეცი უპირატესობა, გავითვალისწინეთ ძველი ენობრივი ნორმა. ასე ვიტყვოდით ადრეც, ისეთ შემთხვევებშიც კი, როცა არც ერთ ხელნაწერს არა აქვს დაცული ძველი, ამოსავალი ფორმა. დაადგინეს: დარჩეს შექმნა.

ს. შ.: მარტოობა მოსაძულდა, გულს კაემანი შემოეჯარა. თქვა: «მტრებისთვის ძღვევით ნამირთმევია სანაპირო (მოსაზღვრე) ადგილები, ყოველი მხრიდან გამიდევნია, ბედნიერი ვარ, ზარზუიმი მაქვს»; თქვა: «ნავალ და მეფე ფარსადანის მფარველობაში შევალ».

**311** ფარსადანს ნინა დაასკუნა გაგ ზაენა მოციქულისა,  
შესთჳლა: «შენ გაქუს მეფობა ინდოეთისა სრულისა;  
ან მე მნადს თუქუნსა ნინაშე მეცა ვცნა ძალი გულისა,  
და სახელი დარჩეს ჩემისა ერთგულად ნამსახურისა».

პ-სთან (სტრ. 309) შედარებით, პროექტში ცვლილება არ არის.  
პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ფარსადანთან მოციქულის გაგზავნა გადანყვიტა, შეუთვალა: «შენ მეფობ მთელ ინდოეთზე; ახლა მინდა, (რომ) თქვენ ნინაშე გამოვჩინო (ჩემი) გულის ძალა (სიყვარული) (და) დარჩეს ჩემი ერთგული ნამსახურობის სახელი».

**312** ფარსადან შექმნა ზეიმი ამა ამბისა მცნობელმან.  
შესთჳლა: «ღმერთსა მადლობა შეესწორე ვწლობთა მფლობელმან,  
რათგან ეგე შექმენ მეფემან, ჩემებრ ინდოეთს მპყრობელმან.

და ან მოდი, ასრე პატიე გცე, ეითა ძმამან და მშობელმან»;  
პ-სთან (სტრ. 310) შედარებით, პროექტში ცვლილება არ არის.

ე. მეტრეველი: გ-ის ბოლოს ნურტილის ნაცვლად მიძიმე უნდა დაისვას. ამით დ დაუკავშირდება გ-ს.

ი. გიგინიშვილი და ც. კიკვიძე შენიშნეს, რომ დ ცალკე დგას ბ და გ-ისაგან. ბ და გ წარმოადგენს რთულ ქვეწყობილ ნინადადებას, სადაც მთავარს მოსდევს მიზეზის გარემოებითი დამოკიდებული ნინადადება.

დაადგინეს: გ-ის ბოლოს დარჩეს ნურტილი.

ც. კიკვიძე: გ-ში გარკვეულ ეჭვს იწვევს შესიტყვება – ინდოეთს მპყრობელმან. მოსალოდნლი იყო გეგონოდა ინდოთა მპყრობელმან. როგორც ჩანს, ზოგიერთ გადამწერსა და გამომცემელსაც ეუხერხულებოდა იგი და ამიტომ გვაქვს ასეთი ვარიანტიც: ინდოეთს მჯდომელმან. მაგრამ მჯდომელმან არ ვარგა, რადგან იდენტური რითმა ირლევა.

გ. კარტოზია: ინდოეთს მპყრობელმან ერთ-ერთი მაგალითია ძველი სინტაქსური კონსტრუქციისა (სახელზმნა მიცემითი მართავს უბრალო დამატებას). „ვტ“-ში სხვაგანაც დასტურდება ამგვარი კონსტრუქციის ნიმუშები. შდრ. „მაგა საქმესა ვერა იქს ვერცა კალამი წერასა“ (2312).

ს. შ.: ამ ამბის შემტყობმა ფარსადანმა ზეიმი შექმნა. შეუთვალა: „ხმელეთის მფლობელმა ღმერთს მადლობა შეენირე, რადგან მეფემ, ჩემსავით ინდოეთში (ჭახტის) მპყრობელმა, ეგ გააკეთე, ახლა მოდი, ისე გცემ პატივს, როგორც ძმა და მშობელი».

**312,1** «კმარის ღმრთისაგან ჩემზედა წყალობა ან ამღენანი,



შეგუწევი დიდი ჯელმნიფე, დასცხრეს მოციქულთ დენანი;  
ავისა მქნელსა რას არგებს ანყა აქ ან მანდ დენანი!

და მშვილდმან ისვენა, ჩაეგნეს ჯმალნი სისხლისა მდენანი».

x-თან (სტრ. 418<sup>1</sup>) შედარებით, პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: „ახლა საკმარისია ჩემზე ამდენი ღვთის წყალობა, დიდი ხელმნიფე კარგად შეგეწევი. დამთარდა მოციქულთა სიარული; ახლა ავის მქმნელს რას არგებს აქეთ-იქით სიარული! მშვილდმა დაისვენა, სისხლის მდენი ხმლები ჩაეგო ქარქაშში“.

312,2 მოვიდა კაცი მეფისა, იგი დღელამე იაროს;  
სარიდანს ჰკადრა მეფემან: „დაეუდრე, ნამოიაროს;  
თუ ვინმე ჰყვანდეს მოსარჩლე, ვარგულად გაეზიაროს,  
და სხუად კიდე ნუ დაყოენის, ფიცხლად, უდგომლად იაროს“.

x-თან (სტრ. 419) შედარებით, პროექტში ცვლილებაა: დ ფიცხლად, უდგომლად (ფიცხლად უდგომლად). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მეფის კაცი მოვიდა, მთელი დღელამე ეარა; სარიდანს (მონინებით) შემოუთვალა მეფემ (ფარსადანმა); „სთხოვე, ნამოვიდე; თუ ვინმე თანამდგომი ჰყავდეს, კარგ მოზიარედ გაუხდეს, სხვა მხრივ ნუ დაყოენდება, სწრაფად, გაუჭერებლად იაროს“.

313 ერთი სამეფო საკარგავად, უბოძა ამილბარობა.  
თუთი ამილბარსა ინდოეთს აქუს ამირსპასალარობა.  
მეფედ რა დაჯდა, არა სჭირს ჯელოსა მოუმწუდარობა;  
და სხუად პატრონია, მართ ოდენ არა აქუს კეისარობა.

u-სთან (სტრ. 311) შედარებით, პროექტში ცვლილებაა: ა ამილბარობა (ამირბარობა), ბ ამილბარსა (ამირბარსა).

ც. კიკიძე: ამირბარობა და ამირბარსა ჩვენ შევეცვალეთ ნაკითხვებით: ამილბარობა, ამილბარსა, რადგან რ-თანხმოენიანი ფორმები ძველ ტექსტებში ვერ დავადასტურეთ. ვახტანგიც კი, რომელიც თვით იყო ამირბარი, ამილბარს ხმარობს.

ი. გიგინეიშვილი: ერთსა და იმავე ტაეპში ამილბარი და ამირსპასალარობა უზერხულია, ეს ფაქტი ძალუენებურად ეტიმოლოგოური ნაკითხვისკენ (ამირბარი) გვიბიძგებს.

ე. მებრეველი: ვარიანტიბიდან ამოსალებაა შენიშვნა: ამირბარი და ამილბარი ორივე შესაძლებელი ფორმააო.

ს. ცაიშვილი: შესაძლოა, ტერმინი ამირბარი რუსთველის მიერ იყოს შემოტანილი, საფიქრებელია, იმ სახით, როგორადაც გამოითქმოდა სპარსულში.

დაადგინეს: აღდგენილ იქნეს ამირბარობა და ამირბარსა.

ს. შ.: ამირბარობა (და) ერთი სამეფო საკარგავად (საგამებლოდ) უბოძა, თვით ამირბარს ინდოეთში აქუს ამირსპასალარობა. მეფედ რომ დაჯდა, (ყველგან) მოუნედებოდა ხელი, სხვაფრივ პატრონია (ხელისუფალია), ოღონდ კეისრობა (თვითმპყობელობა) არა აქეს.

1974. 15. XI

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი.

განიხილეს სტრ.: 314–314,5 (პროექტი მოამზადა III ჯგუფმა); 314,6–318 (პროექტი მოამზადა I ჯგუფმა).

**314** თუთი მეფემან მამაჩემი დაიჭირა სწორად თავსა.  
თქვა: «ჩემებრი ამირბარი, ნაძლევი ვარ, ვისმცა ჰყავსა!»  
ლაშქრობდის და ნადირობდის, აძლევიდან მტერნი ზავსა.

და მას არა ეგავა ასრე, ვითა მე სხუა კაცი არა მგავსა.

ა-სთან (სტრ. 312) შედარებით, პროექტში ცვლილება არ არის.  
პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: თვითონ მეფემ მამაჩემი თავის სწორად მიიჩნია. თქვა: „ ჩემი ამირბარისთანა, სანაძლეოს ვდებ, (თუ) ვინმეს ჰყავდეს!“ ლაშქრობდა და ნადირობდა, მტრები ზავს უდებდნენ. მას ისე არა ეგავარ, როგორც მე სხუა კაცი არა მგავს.

**314,1** მეფემან უძღუნა მრავალი ოქრო და საჭურჭლენია,  
კულა სხუაგნით ნიბათ-ნობათი, თეთრი ქორი და ცხენია.  
«რად მწყალობ, ლომო ფარსადან? რაცა მაქუ, ყველა შენია;  
და შენ გემორჩილობენ მნათობნი, მათ ვარდი კრიფონ, შენ – ია.

x-თან (სტრ. 422) შედარებით, პროექტში ცვლილებაა: გ ფარსადან? რაცა (ფარსადან? – რაცა), დ შენ – ია (შენ ია); ბ-ის ბოლოს ნერტილია (ნერტილ-მძიმის ნაცვლად), გ-ის ბოლოს ნერტილ-მძიმეა (ნერტილის ნაცვლად). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მეფემ მრავალი ოქრო და განძი უძღვნა, კიდევ სხვადასხვაგვარი ძღვენი, თეთრი ქორი და ცხენი. „რატომ მწყალობ, ლომო ფარსადან? რაც მაქვს ყველაფერი შენია; შენ გემორჩილებიან მნათობები, მათ ვარდი კრიფონ, შენ კი ია.

**314,2** ვინადიროთ მზიარულთა, მშვილდ-ისრითა მოვსრათ ველი;  
ტახტი დადგით მალრიბული, ჩემად მოსულად ნურას მელი;  
ჩარყაფების ორხათთა გააკეთეთ ზოგან ჴელი,  
და ედემისა მსგავსად კაჯუმეთ, გაახარეთ ჩუენი მზრდელიო.

x-თან (სტრ. 423) შედარებით, პროექტში ცვლილებაა: ა-ს ბოლოს ნერტილ-მძიმეა (მძიმის ნაცვლად), გ-ის ბოლოს მძიმეა (ნერტილის ნაცვლად). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მზიარულებმა ვინადიროთ, მშვილდ-ისრით დაეხოცოთ ველის ნადირი; მალრიბული (სამეფო) ტახტი დადგით, ჩემს მოსულას ნუ დაელოდები; ქარგების ორხათი გააკეთეთ ზოგან სახლი (კარავი[?]), ედემის მსგავსად მოკაზმეთ, ჩვენი გამზრდელი გაახარეთ.

**314,3** მუნ მეფესა მოეკაზმეს სახლი ამო სიტურფითა;  
თუალ-გუარით მოაფრქვიეს, მუშქსა აფენენ სუმბულითა;  
ასრე ტურფად მოუკაზმეს, ჴელმნიფესა მართებს ვითა;  
და მისი ფერი სურნელუბა ჴამს აღიძრას სამოთხითა.

x-თან (სტრ. 424) შედარებით, პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: იქ მეფეს მოეკაზმა სილამაზით საამო სახლი; თვითლ-მარგალიტი მოაფრქვიეს, მუშქსა და სუმბულს აფენენ; ისე ლამაზად მოუკაზმეს, როგორც ხელმნიფესა შეეფერება; იმგვარი სურნელუბა სამოთხიდან უნდა მოდიოდეს.

314,4 თუ რა სადა საწლმწიფო შესაქცევი პოვეს სათა,  
შესხდეს, თანა ნაიტანეს, ზოგნი ქებნად არნეს სხვათა;  
მას დლე სროლა მათი იყო, შეყრილობა ჯართა სპათა,  
და მისინ მჭერეტნი გაეკურინეს მისთა ეგ ზომ ქვევა-ზმათა.

X-თან (სტრ. 425) შედარებით, პროექტში ცვლილებაა: მძიმეა ა-ს ბოლოს (ნერტილ-მძიმის ნაცვლად) და გ-ის ბოლოს (ნერტილის ნაცვლად). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: რაც კი რაიმე ხელმწიფის შესაფერისი გასართობი იპოვეს სადმე, შესხდნენ და თან ნაილეს; ზოგიერთები სხვათა საძებრად გაგზავნეს; იმ დღეს სროლაში მათ იმარჯვეც, ლაშქარი შეიყარა, მისი მჭერეტელი გაეკირვებინა მის ამგვარ ყოფაქცევას.

314,5 დღესა ერთსა ავაზითა შეექცეს და ამონყვიდეს,  
მეორესა შავარდნითა და ქორითა ინადირეს,  
შესამესა დღესა შესხდეს, ავაზებსა მოასხმიდეს;  
და ვინცა ნახეს, ქება პკადრეს, არ აივდეს, არ იკილთეს.

X-თან (სტრ. 426) შედარებით, პროექტში ცვლილებაა: გ-ის ბოლოს ნერტილ-მძიმეა (მძიმის ნაცვლად). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ერთ დღეს ავაზით ინადირეს და ამონყვიტეს (ნადირი), მეორე დღეს შავარდნით და ქორით ინადირეს, მესამე დღეს (ცხენებზე) შესხდნენ, ავაზები მოჰყავდათ; ვინც ნახა, ქება შეასხა, არ აივდეს, არ იკილთეს (არ გაკილეს[?]).

314,6 კურას ერთსა ინადირეს, რაცა პოვეს, ჯარი პკოცდეს,  
სტუმარი და ჯელმწიფენი ისრიან და ამოდ პმწოცდეს;  
ლალობითა ნადირობდეს, მწვეცთა ჯოცდეს, ორმოცოცდეს,  
და ნადლეუთა აეს ისპასა იმათშიგან ამოპკოცდეს.

X-თან (სტრ. 427) შედარებით, პროექტში ცვლილებაა: დ აეს ისპასა იმათშიგან (ავსა სპასა, იმათშიგან); ბ-ის ბოლოს ნერტილ-მძიმეა (მძიმის ნაცვლად).

ს. ცაიშვილი: დ-ში გაუგებარი ავის სპასა გასწორდა საესებით გასაგები სიტყვებით: აეს ისპასა. ისპა სხვაგანაც გვხვდება ჩანართ სტროფში: „ისპად მოსომახოს მსგავსი, არ დავაცდენ, ვინცა მინა“ (28, 1ა).

მთ. რედაქციის წევრებმა ყურადღება მიაქციეს ბ-ში სარიტმოდ ნახმარ პმწოცდეს სიტყვას. მათი აზრით, ესაა მწოცი მიმღეობიდან ნანარმოები ზმნა: პმწოცდეს = „მხოცავობდნენ“. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ერთ კურას ინადირეს, რაც იპოვეს, ჯარი ხოცავდა, სტუმრები და ხელმწიფეები ისარს ისროდნენ და საამოდ ხოცავდნენ; გაღალბულნი ნადირობდნენ, ორმოცოც მტეც ხოცავდნენ, მათ შორის ცუდ მოისარს ნიძლავით ამოკვეთდნენ(?).

314,7 რა გათავდა ნადირობა, ნამოვიდეს მზიარული,  
ჩამოპკედეს და ჭამად დასხდეს, მეფეს მაჩს ტახტი სრული;  
კაცის თულამან რამცა ნახა სხუა მისებრი მოკაზმული!  
და აპა, ძმაო, მაშინდითგან მე მაქუს ჩემი გული წელული.

X-თან (სტრ. 428) შედარებით, პროექტში ცვლილებაა: ა-ს ბოლოს მძიმეა (ნერტილ-მძიმის ნაცვლად), ბ-ის ბოლოს ნერტილ-მძიმეა (ორნერტილის ნაცვლად).

პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ნადირობა რომ გათავდა, მხიარულები ნამოვიდნენ, ჩამოსხდნენ და საქმელად დასხდნენ, მეფეს ტახტი მიანნა სრულყოფილად, კაცის თვალი რას ნახავს სხვას მასავით მოკაზმულს! აჰა, ძმაო, იმ დროიდან მაქვს გული დანყლულებული.

**314,8** გარდიწადეს ნადირობა, ვით გასმია ჯელმწიფისა;  
ილხენდეს და თამაშობდეს შესაფერად ქვეა-ზნისა;  
ლალი მრთელი, ია გუნდი, ფანტვა იყო გუორგუინისა.  
და მე სად ღირს ვარ მისთა თქმათა, მძებნელი ვარ იმა გ ზისა.

X-თან (სტრ. 429) შედარებით, პროექტში ცვლილებაა: დ ღირს ვარ (ღირსვარ), თქმათა (თქმათა).

პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: გადიახადეს ნადიმი, როგორც გსმენიათ ხელმწიფეზე; (თავიანთი) ქვეა-ჩვეულების შესაფერისად ილხენდენ და ერთობოდნენ; მთლიან ლალს, ია გუნდს აყრიდნენ გვირგვინზე (?). მე როგორ ვარ იმისი აღწერის ღირსი, იმ გ ზის მძებნელი ვარ.

**314,9** მეფემ უძღუნა მამაჩემსა უსაზომო საბოძურითა,  
დიდროანი ტაბაკები საესე თუალთა გუარითა;  
უბრძანებდა: «სარდან, შვილო!» მით ამოთა საუბრითა.  
და თავსა ზურვენ უცხოს რასმე მუშკითა და აშპარითა.

X-თან (სტრ. 430) შედარებით, პროექტში ცვლილებაა: ა მამაჩემსა (მამა ჩემსა), ბ დიდროანი (< დიდრუანი), თუალთა გუარითა (თვალთა-გუარითა), დ რასმე (რასმეს). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მეფემ მამაჩემს უბოძა უზომო საჩუქარი, თვალ-მარგალიტით საესე დიდრონი ტაბაკები; საამო სიტყვას უბრძანებდა: „სარდან, შვილო!“ თავზე ახურავენ მუშკამბრიან უცხო რამეს.

**314,10** ღვინობდეს და თამაშობდეს, გამოვიდეს ღამე-ღღენი;  
ღმრთისა იყო ბრძანებანი, სანუთროსა კარის მღენი;  
დაორსულდა დედაჩემი, მოდგეს სრასა ძღუნის მომღენი.  
და ღონე მქონდეს, არ მინდოდა თქმმა აშპათა ვგრე შენი.

X-თან (სტრ. 431) შედარებით, პროექტში ცვლილებაა: დ თქმმა (თქმა). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ილხენდენ და ერთობოდნენ, გავიდა ბევრი დღე და ღამე; ღმერთმა მოილო წყალობა, წუთისოფლის კარის გაღებები (=ამქვეყნური ბედნიერება); დედაჩემი დაორსულდა, სასახლეს მოადგნენ ძღვენის მომტანნი. კიდევ რომ შემძლოს, მაინც არ მინდოდა შენთვის მეთქვა (ეს) ამბავი.

**314,11** კრულმც არს ჩემი დაბადება, ჯელმწიფესა აცნობესა:  
«ვაჟი მიხბდა ამილბარსა», – დედოფალსა შუკადრესა.  
«ღვინი მოგუცა: შემოქმედმან, ნუ მოვიწყნო!» – ვგრე თქმესა;  
და ილხენდეს და თამაშობდეს, შეჭირება დაპკარგესა.

X-თან (სტრ. 432) შედარებით, პროექტში ცვლილებაა: ბ «ვაჟი მიხბდა ამილბარსა», – დედოფალსა (ვაჟი მიხვდა ამილბარსა, დედოფალსა). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: წყელი იყოს ჩემი დაბადება, ხელმწიფეს აცნობეს (ეს ამბავი); „ვაჟი შეეძინა ამირბარს“, – დედოფალს მოახსენეს. „ღმერთმა ღვინი მოგუცა, ნუ მოვიწყნო!“ – ასე თქვეს; ილხენდენ და ერთობოდნენ, წუხილს თავი ანებეს.

314,12 ამის მეტს ვეღარ უძლებ, ასმათ გაადროს, რაცა ექნა“.  
ადგა ასმათ, დაუნყარდა, ყველა წურილად მოახსენა;  
„მე სოფელსა აღარ უნდი, მით საქმითა შევიგინა.“

და ესე თქვა და ყმამან სულთქნა, კულა დაუნყო ცრემლმან დენა.

X-თან (სრ. 433) შედარებით, პროექტში ცვლილებბაა: დ სულთქნა (< სულთქნა), ბ-ის ბოლოს დაისვა ნერტილი, გ-ის ბოლოს – მიმე და ტირე. პროექტი მიღებულ იქნა..

ს. შ.: ამის მეტს ვეღარ შეეძლებ, ასმათმა გითხრას, რაც გავაკეთე“, ადგა ასმათი, ყველაფერი მშვიდად და დანერვილებით მოახსენა. „მე წუთისოფელს აღარ ვუნდივარ, ამ საქმით შევიტყვე“, – ეს თქვა მოყმემ და ამოიოხრა, ისევე დაუნყო ცრემლმა დენა.

315 ძე არ ესუა მეფესა და დედოფალსა მზისა დარსა.  
ჭმუნვა პქონდა, ჯამი იყო, მით აეხუნეს სპანი ზარსა.  
ეაჲ, კრულია დღემცა იგი, მე მივეცი ამირბარსა!

და მეფემან თქვა: „შვილად გავზრდი, თუთი ჩემივე გუარი არსა“.

ს-სთან (სტრ. 313) შედარებით, პროექტში ცვლილებბაა: გ ვაჲ (ვა). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მეფეს და მზისადარ დედოფალს მეშვიდრე (შვილი) არ ჰყავდათ, შენუხებული იყვნენ, დრო კი იყო, (რომ შვილი ჰყოლოდათ), ამიტომ ლაშქარი (შიშის) ზარს აეტანა. ვაი, წყუელი იყოს ის დღე, მე რომ შეევიძინე ამირბარს! მეფემ თქვა: „შვილად გავზრდი, (რადგან) ჩემივე გუარისაა“.

316 მეფემან და დედოფალმან მიმიყვანეს შვილად მათად,  
საპატრონოდ მზრდიდეს სრულთა ლაშქართა და ქვეყანათად,  
ბრძენთა მიმცეს სასწავლელად ჯღმნიფეთა ქცევაჲქმნათად;  
და მოიწიფე, დაეშსგავსე მზესა თუალად, ლომსა – ნაკუთად.

ს-სთან (სტრ. 314) შედარებით, პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მეფემ და დედოფალმა თავიანთ შვილად მიმიყვანეს, მზრდიდნენ მთელი ქვეყნისა და ლაშქრის პატრონად (მეფედ), ბრძენთ მიმაბარეს სასწავლებლად, მეფური ქცევისა და საქმიანობის შესასწავლად. (როცა) მოიწიფე, შესახედავად მზეს (და) აღნაგობით ლომს დაეშსგავსე.

317 ასმათ, მითხრობდი, რაცა სცნა ჩემგან ამბობა ცილისა.  
ხუთისა წლისა შევიქმენ მსგავსი ვარდისა შილისა;  
ჭირად არ მიჩნდის ლომისა მოკლეა, მართ ვითა სილისა;  
და არა ჰგაოდის ფარსადანს მისი არასმა შილისა.

X-თან (სტრ. 436) შედარებით, პროექტში ცვლილებბაა: გ სილისა (< სირისა). დ არა ჰგაოდის (< არ ჰგავიდოდის). პროექტში (ისევე, როგორც ს-ში) სტროფი ჩანართად არის ჩათვლილი.

სტროფის განხილვა გადაიდო შემდგომი სხდომისათვის, როცა მთავარი რედაქცია შეიკრიბება სრული შემადგენლობით“.

\* მთავარმა რედაქციამ სტროფი განიხილა 1975. 17. I-ის სხდომაზე და ძირითადი ტექსტის კუთვნილებად ჩათვალა.

ს. შ.: ასმათ, მითხარი ხოლმე, რასაც გაიგებ ჩემგან სიცრუეს (საცილობელს). ხუთი წლისა გაშლილი ვარდის მსგავსი გაეხდი; არ მიძნელებოდა (არ მიჭირდა) ლომის მოკვლა, ისე როგორც ხელიკისა; არაფრად მიაჩნდა (არ ენალეულებოდა) ფარსადანს შვილის უყობობა.

**317,1** ნადიმსა შიგან მოყმენი სიცილით მოშეგებნიან;  
მოასპარეზე-მესროლთა ღონე ჩემგანვე ძებნიან;  
შებრძოლთა შიგან შებრძოლნი ვერაივინ ვერ შეგებნიან;  
და თუთი შუბოსანი ჩემებრი არაივინ არ ეგებნიან.

X-თან (სტრ. 437) შედარებით, პროექტში ცვლილება არ არის.  
პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ნადიმზე მოყმენები სიცილით მეგებებოდნენ; მოასპარეზენი და მოისარნი ჩემგანვე მოელოდნენ დახმარებას; მონინაალმდეგეთა შორის მებრძოლი ვერაივინ შეგებბოდა; ჩემნაირი შუბოსანიც არაივინ იყო.

**318** ასმათ, შენცა ხარ მონამე ჩემისა ფერმოჯდლისა.  
მზესა მე ესჯობდი შუენებით, ვით ბინდსა ჟამი დილისა;  
იტყოდეს ჩემნი მნახაენი: „მსგავსია ედემს ზრდილისა“  
და ან მაშინდლისა ჩემისა სახე ვარ ოდენ ჩრდილისა.

U-სთან (სტრ. 315) შედარებით, პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ასმათ, შენცა ხარ ჩემი ფერმიხდილობის მონმე. მშენებით მზეს ვჯობდი, როგორც დილა (სჯობს) საღამოს; ჩემი მნახელები ამბობდნენ: „ედემში გაზრდილის (ალვის ხის) მსგავსია“. ახლა მხოლოდ მაშინდელი ჩემი ჩრდილის მსგავსი ვარ.

## 1974. 29. X

სხდომას დაეწინა: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, შ. ძიძიგური.

განიხილეს სტრ.: 319–329 (პროექტი მოამზადა II ჯგუფმა).

**319** მე ხუთისა წლისა ვიყავე, დაორსულდა დედოფალი".  
ესე რა თქვა, ყმამან სულთქუნა, ცრემლთ ბრძანა: „შობა ქალი".  
დაბუნდასა მიეწურა, ასმათ ასხა გულსა წყალი;

და თქვა: „მაშინვე მზესა ჰგავანდა, ან მედეგის ვისგან ალი!  
U-სთან (სტრ. 316) შედარებით, პროექტში ცვლილება არ არის.

პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მე ხუთი წლისა ვიყავი, (როცა) დედოფალი დაორსულდა". ეს რომ თქვა, მოყმემ (ტარიელმა) ამოიოხრა (და) ტირილით თქვა: „შობა ქალი". ლამის გული შუელონდა, ასმათმა გულზე წყალი დაასხა; (ტარიელმა) თქვა: „მაშინვე მზეს ჰგავდა (ის), ვის გამოც ახლა ალი მედებდა!

**320** წიგნი წიგნსა უცემოდა, დედოფალი ოდეს შობდა,

მოციქული – მოციქულსა, ინდოეთი სრულად სცნობდა;  
მზე და მთუარე განსცხრებოდეს, სიხარულით ცა ნათობდა;  
და ყოელი არსად შემოსრული მზიარული თამაშობდა.

ს-სგან განსხვავებით, პროექტში სტროფი ძირითადად არის მიჩნეული. X-თან (სტრ. 439) შედარებით, პროექტში ცვლილებაა: ბ ინდოეთი (ჰინდოეთი), გ განსცხრებოდეს (განსცხრებოდა).

ა. ბარამიძე: უცილებლად საჭირო სტროფია. მასში გადმოცემულია ძეობის აღწერა, მემკვიდრის დაბადებით გამოწვეული სიხარული და ზეიმი. ამ სტროფის ამოღებით დაიკარგება მეტად საინტერესო საყოფაცხოვრებო დეტალი. საერთოდ, წარმოუდგენელია, რომ მემკვიდრის დაბადება, რასაც ასე მოუთმენლად ელოდა მთელი ქვეყანა, მხოლოდ ორი სიტყვით („შობა ქალი“) გადმოგვცა რუსთველმა. ამასთან, საყურადღებოა, რომ ხელნაწერები თითქმის უგამონაკლისოდ წარმოგვიდგენენ ამ სტროფს (არ არის მხოლოდ B<sup>3</sup>-ში და ვახტანგის გამოცემაში).

ი. გიგინეიშვილი: სტროფის ნამდვილობას მონშობს, აგრეთვე, ერთი მომდევნო სტროფი: „საშობელი გაიყარა, ზრდა დაგვიწყეს მე და ქალსა“. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: წერილი წერილს მისდევდა (და) მოციქული მოციქულს, როდესაც დედოფალი მშობიარობდა, მთელი ინდოეთი იგებდა (ამბავს); მზე და მთუარე განსცხრებოდა იყენენ, ცა სიხარულით იყო განათებული; ყოელი არსება მზიარული ერთობოდა.

321 ქება არ ითქმის ენითა, ან ჩემგან ნაუბარითა.  
ფარსადან დაჯდა ხარებად ზეიმითა და ზარითა;  
ყოელგნით მოვიდეს მეფენი ნოჭითა მრავალგუარითა.  
და საჭურჭლე გასცეს, აივსნეს ლაშქარი საბოძქარითა.

ს-სთან (სტრ. 317) შედარებით, პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

გ. კარტოზია: ანგარიშგასანეცია მთელი რიგი ხელნაწერის ჩვენება, რომლებიც ამის წინ ათავსებენ სტროფს. სადაც ტარიელის გარეგნობა აღწერილი („ასამთ, შენცა ხარ მონამე ჩემისა ფერმივდილისა“). ამ შემთხვევაში სიტყვები – „ქება არ ითქმის ენითა, ან ჩემგან ნაუბარითა“ – ეხება ტარიელს.

ი. გიგინეიშვილი: შესაძლოა ქება აქ „ხოტბას“ კი არ ნიშნავს, არამედ „თხრობას, გადმოცემას, აღწერას“. ტაების აზრი მაშინ ასე გაიგება: ნესტანის დაბადებით გამოწვეული სიხარულის აღწერა, გადმოცემა შეუძლებელიაო. ამდენად აღნიშნული სტროფის გადმოსმა საჭირო არ არის.

ა. ბარამიძე: ქება თუნდაც „ხოტბას“ ნიშნავდეს, სტროფის გადასმა მაინც არ არის აუცილებელი. აქ ლაპარაკია იმაზე, რომ შეუძლებელია ძეობით გამოწვეული სიხარულის ქება.

დაადგინეს: სტროფების თანმიმდევრობა უცვლელად დარჩეს.

ს. შ.: (ამ სიხარულის) ქება არ ითქმის ახლა ჩემ მიერ ნაუბარი (ამეტყველებული) ენით. ფარსადანმა ზარ-ზეიმით დაიწყო მზიარულება; ყოელი მზრიდან მოვიდნენ მეფეები მრავალგუარი ძღვენით. განძი გასცეს, ლაშქარი საჩუქრებით აივსო.

322 საშობელი გაიყარა, ზრდა დაგვიწყეს მე და ქალსა.  
მართ მაშინვე აგვანდა იგი მზისა შუქთა ნასამალსა.  
უფუარდით და სწორად უწინდით მეფესა და დედოფალსა.  
და ან ვაწესნებ, ვისგან ჩემი დაუდაგავს გული ალსა“.

პ-სთან (სტრ. 318) შედარებით, პროექტში ცვლილებაა: დ-ის ბოლოს ნერტილია (ძახილის ნიშნის ნაცვლად). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ძეობა დასრულდა, ზრდა დაგვიწყეს მე და ქალს. ის მაშინვე მართლაც მზის შუქის მესამედს (?) ჰგავდა. მეფესა და დედოფალს უწყყარდით და თანასწორად მივაჩნდით. ახლა ვახსენებ (იმას), ვის გამოც ჩემი გული აღს დაუდაგავს“.

**323** ყმა დაბნდა, რა სახელისა წყნებასა მიწურა;  
ათიანდისცა ატირა, მისმან ცეცხლმან გულსა მურა;  
ქალმან სულად მოაქცია, მკერდსა წყალი დააპურა.

და თქვა: „ისმენდი, მაგრამ ჩემი სიკუდილისა დღე დასტურა.“

პ-სთან (სტრ. 319) შედარებით, პროექტში ცვლილებაა: დ-ის ბოლოს ნერტილია (ძახილის ნიშნის ნაცვლად).

პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მოყმეს (ტარიელს) გული შეუღონდა, როდესაც (ქალის) სახელი უნდა ეხსენებინა (როდესაც სახელის ხსენებას მიადგა); ათიანდისაც ტირილი მოერია, მისმა (=ტარიელის) ცეცხლმა გული დაუნვა; ქალმა (=ამათმა) მოასულიერა, მკერდზე წყალი დააპურა. (ტარიელმა) თქვა: „ისმინე, მაგრამ (დღეს) ნამდვილად ჩემი სიკუდილის დღეა.“

**324** მას ქალსა ნესტან-დარეჯან იყო სახელად წმობილი.  
შუიდისა წლისა შვიქმნა ქალი წყნარი და ცნობილი,  
მთუარისა მსგავსი, მზისაგან შუენებით ვერშეფრობილი;

და მისსა ვით გასძლებს გაყრასა გული აღმასი, წდობილი!

პ-სთან (სტრ. 320) შედარებით, პროექტში ცვლილებაა: გ მზისაგან შუენებით (შუენებით მზისაგან), დ წდობილი (წთობილი).

ი. გიგინეიშვილი: სწორია პროექტში ნარმოდგენილი ნაკითხვა: ვერშეფრობილი (და არა ვერშეფლობილი). ასევე შეფრობა ზმნიდან ნანარმოები მიძლეობა გვაქვს 38-ე სტროფშიც: „სჯობს და მას მიეც მეფობა, ვისგან მზე შენაფრობა“. რედაქციას აქ შენაფლობა აქვს მიღებული.

გ. კარტოზია: ქართული მწერლობის ძეგლებში დასტურდება როგორც შეფრობა, ისე შეფლობა. პოემის ტექსტში ორივე ზმნაა მიღებული ხელნაწერების ჩვენების შესაბამისად (38-ე სტროფში ყველა ხელნაწერი შენაფლობა-ს კითხულობს).

ი. გიგინეიშვილი: დ-ში უნდა აღდგეს წთობილი ფორმა.

გ. კარტოზია: ძველ ტექსტებში ეს სიტყვა წდობილი-ს სახით გვხვდება. დ-იანი ფორმა დასტურდება გვიანდელ ტექსტებშიც. შემდგომში ამ ფორმას ენაცვლება წრთობილი. ტექსტებში წთობილი ვერ დავადასტურეთ.

დაადგინეს: დარჩეს წდობილი ფორმა.

ს. შ.: იმ ქალს ნესტან-დარეჯანი ერქვა სახელად. შუიდი წლისა გახდა წყნარი და გონიერი ქალი, მთუარის მსგავსი, მზის მიერ მშვენიერებით ვერნაჯობნი; მისგან განშორებას როგორ უძლებს აღმასი, ნანრთობი გული!

**325** იგი ასრე მოიწიფა, მე შემძლო შესლვა ოშასა;  
მეფე ქალსა ვით ხედედა მეფობისა ქმნისა მწთოშასა,  
მამასავე ჯელთა მიმცეს, რა შევიქმენ ამა ზოშს;

და ვბურთობდი და ენადირობდი, ვით კატასა ეწოცდი ლოშასა.

პ-სთან (სტრ. 321) შედარებით, პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.



ს. შ.: ის (ნესტანი) ასე გაიზარდა, მე შემდეგლო ომში შესვლა (ომში მონაწილეობის მიღება); რაკი მეფე ხედავდა, რომ ქალს მეფობა შეეძლო, მამასვე მიმცეს, ახელა რომ შევიქნე; ეზურთაობდი და ენადირობდი, კატასაეთ ვხოცავდი ლომებს.

**326** მეფემან კოშკი ააგო, შიგან საყოფი ქალისა:  
ქეად ფაზარი სხდა, კუბო დგა იაგუნდისა, ლალისა,  
პირსა ბაღა და საბანად სარაჯი ვარდის წყალისა;  
და იგი მუნ იყვის, მედების ვისგან საწმილი აღისა.

ა-სთან (სტრ. 322) შედარებით, პროექტში ცვლილებაა: დ-ის ბოლოს ნერტილია (დახილის ნიშნის ნაცვლად).

ა. ბარამიძე: ა-ში კოშკი უნდა შეიცვალოს სახლი-თ, როგორც ეს ხელნაწერთა ერთ ნაწილშია. სარაჯები არ შეიძლება კოშკში ყოფილიყო. სასახლეში იქნებოდა.

ი. გიგინეიშვილი: მეც მგონია, რომ სახლი უნდა. კოშკი ამ სახლის ნაწილია.

შ. ძიხიგური: ჩემთვის პოეტურად კოშკი უფრო მისაღებია. ტაეპის აზრი შეიძლება ასე გაეიგოთ: მეფემ კოშკი ააგო, კოშკში კი ქალის სამყოფი იყო.

გ. კარტოზია: მომდევნო სტროფში კოშკის ხსენება („ზოგჯერ კოშკს ჯდის, ზოგჯერ ბაღას ჩამოვიდის, რა დგის ჩრდილი“) გაუგებარია, თუ წინ არ იქნება ნახსენები. თორემ გამოდის, რომ ყველა სახლს პქონდა კოშკი. პოემაში კი კოშკი მხოლოდ ნესტანის სამყოფს ეწოდება. რაც შეეხება სარაჯებს, ისინი ბაღასთან ერთად არის ნახსენები და მათი ადგილი კოშკს გარეთ ივარაუდება.

ც. კიკვიძე: ამ კონტექსტში კოშკი აუცილებელია, რადგან იგი ნესტანისთვის იყო ამენებული.

ა. ბარამიძე: სხვა ძეგლებში უფლისწულებისათვის (იოდასაფი, ჯუმბერი) სახლს ამენებენ.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს ნაკითხვად „მეფემან სახლი ააგო“.

ს. შ.: მეფემ სახლი ააგო, ქალის (=ნესტანის) სამყოფელი; ქეად ფაზარი იყო, იაგუნდისა და ლალის ტახტრევეანი იდგა, (სახლის) პირას ბაღა (იყო) და საბანად ვარდის წყლის აუზი; იქ იყო ხოლმე ის, ვის გამოც ცეცხლის ალი მედება.

**327** დღე და ღამე მუჯამრითა ექმოდის ალვა თლილი,  
ზოგჯერ კოშკს ჯდის, ზოგჯერ ბაღას ჩამოვიდის, რა დგის ჩრდილი.

დაეარ იყო და მეფისა, ქერივი, ქაჯეთს გათხოვილი,  
და მას სიბრძნისა სასწავლელად თუთი მეფემან მისცა შვილი.

ა-სთან (სტრ. 323) შედარებით, პროექტში ცვლილება არ არის.

პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: დღე და ღამე საცეცხლურით (სასაკმეველით) თლილი ალვა (=სურნელოვანი ნივთიერება) იქმოდა; ზოგჯერ კოშკში იჯდა, ზოგჯერ ბაღაში ჩამოდიოდა, ჩრდილი რომ მოადგებოდა. დაეარი იყო მეფის და, ქერივი, ქაჯეთში განათხოვი, სიბრძნის სასწავლელად მას თუთონ მეფემ მისცა შვილი.

**328** სრა ეღვა მოფარდაგული ოქსინოთა და შარდითა;  
ჯურენ ეხედიდით, შეიქნა პირითა მინა-ვარდითა;  
ასმათ და ორნი მონანი პყვიან, იმღერდის ნარდითა;  
და მუნ იზრდებოდის ტანითა, გაბაონს განაზარდითა.

ა-სთან (სტრ. 324) შედარებით, პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: სასახლე ედგა ოქსინოთი (=ძვირფასი ხავერდით) და შარდით (=ძვირფასი ტილოთი) მოფარდაგებული; ვერაინ ეხედავდით, სახით მინანქრისა და ვარდის მსგავსი გახდა; ასმათი და ორი მონა ჰყავდა, ნარდს თამაშობდნენ; იქ იზრდებოდა გაბაონში გაზრდილი ნაძვის მსგავსი ტანის მქონე.

**329** თხუთმეტისა წლისა ვიყავ, მეფე მზრდიდა ვითა შვილსა; დღისით ვიყვი მას წინაშე, გამიშუებდის არცა ძილსა; ძალად ლომსა, თულად მზესა, ტანად ეპგვანდი ედგმს ზრდილსა, და სროლასა და ასპარეზსა აქებდიან ჩემგან ქმნილსა.

პ-სთან (სტრ. 325) შედარებით, პროექტში ცვლილება არ არის.

პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: თხუთმეტი წლისა ვიყავი, მეფე შვილივით მზრდიდა; დღისით მასთან ვიყავი ხოლმე, არც დასაძინებლად მიშუებდა (შინ); ძალ-ლონით ლომს, თულად მზეს, ტანად ედგმში გაზრდილს (=ალეას) ვგავდი, ჩემ სროლას (მშვილდოსნობას) და ასპარეზობას აქებდნენ ხოლმე.

## 1974. 13. XII

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი.

განიხილეს სტრ.: 330 (პროექტი მოაშზადა II ვჯგუფმა), 331-335 (პროექტი მოაშზადა III ვჯგუფმა).

**330** რა მინდორს შეეჯდი ზარითა, ჯმა იყვის ბუკთა ცემისა; თანა მყვის სპისა სიმრავლე, მსგავსი ფუტკრისა რემისა; ჭურეტად ქალ-ყმები დაჯრილი დგის თემისა და თემისა; და ვინც მნახის, იყვის ერთ წლამდის კუეხა ნახვისა ჩემისა.

პ-საგან განსხვავებით, პროექტში სტროფი ძირითადად არის ჩათვლილი, X-თან (სტრ. 450) შედარებით, პროექტში ცვლილება: ბ სიმრავლე, მსგავსი (სიმრავლე მსგავსი), გ დაჯრილი დგის (დაჯრილა, დგას), დ ვინც (< ვინ).

გ. კარტოზიამ აღნიშნა, რომ სტროფი არის ყველა (არანაკლებ) ხელნაწერში. მას არ იცნობს მხოლოდ მ და ზოგი მომდევნო გამოცემა. ენობრივად და მხატვრული თვალსაზრით გამართულია. ამდენად არ არის საფუძველი, რომ სტროფი ჩანართად მივიჩნიოთ.

ა. ბარამიძემ და ი. გიგინეიშვილმა აღნიშნეს, რომ სტროფის ძირითად ტექსტში შეტანა მართებულია. სპეციფიკური რუსთველური გამოთქმაა მინდორს შეეჯდომა. საინტერესო მხატვრული სახეა ფუტკრის რემა. ი. გიგინეიშვილმა, ამასთანავე, შენიშნა, რომ საჭიროა ტექსტში აღდგეს „ჭურეტად ქალ-ყმები დაჯრილა, დგას თემისა და თემისა“. დაჯრილა ამ კონტექსტში სტილისტურად უფრო გამართულია. დაჯრილა > დაჯრილი გასაგები პროცესია; პირიქით კი არ შეიძლება ვივარაუდოთ. დგას > დგის პროცესიც გასაგებია: სხვა ზმნათა პერმანსიის ფორმების ანალოგიით აქაც პერმანსიით შეუცვლიათ ანმყო.

ც. კიკვიძე: ის ფაქტი, რომ როგორც წინა, ისე მომდევნო სტროფში ყველა ზმნა პურმანსივში დგას, სწორედ დგის ფორმას უჭერს მხარს. ამ კონტექსტში სტილისტიკურად გამართლებული სწორედ ეს ფორმაა. დგას აქ შეუფერებელია, დროულ აღრევას იწვევს.

გ. კარტოზია: ნაკითხვას დაჯრილი დგის რედაქციათა უმრავლესობა უჭერს მხარს. იგი სამ რედაქციაში გვაქვს. დაჯრილა, დგას მხოლოდ C რედაქციის ნუსხებში და B<sup>2</sup>-ში გვაქვს (როგორც ცნობილია, B<sup>2</sup> ნაკითხვებით C რედაქციის ნუსხებს ემხრობა).

დაადგინეს: მიღებულ იქნეს ნაკითხვა – „ჭურტლად ქალ-ყმები დაჯრილა, დგას თემისა და თემისა“.

ს. შ.: მინდორში რომ ავშებდრდებოდი, ბუკთა ცემის ხმა ზარით (ზათქით) გაისმოდა; თან მყავდა მრავალი სპა, ფუტკრის გუნდის მსგავსი; საჭურტლად ქალ-ყენი შუჯგუფულიყვენ, თემ-თემად დგანან; ვინც მნახავდა, ერთ ნლამდის ჰყოფნიდა ჩემი ნახვის (გამო) კვებნა.

- 331 მოსრნის მქეცი და ნადირნი ისარმან ჩემგან სრულმან;  
მერმე ვიბურთი მოედანს, მინდორით შემოქცულმან;  
შევიდი, შევექმი ნადიმი, ნიადგ ლხინსა ჩუელმან;  
და ან საწუთროსა გამყარა პირმან ბროლბალახშულმან

პ-სთან (სტრ. 326) შედარებით, პროექტში ცვლილებაა: ა ჩემგან (ჩემმან).

ი. გიგინეიშვილის წინადადებით, აღდგენილ იქნა ჩემმან. პროექტი ამ ცვლილებით მიღებულ იქნა.

ს. შ.: ჩემი ნასროლი ისარი ხოცავდა მხეცებსა და ნადირებს; მერმე ვბურთაობდი მოედანზე, მინდვირდან დაბრუნებული; შევიდოდი (მინ), გავმართავდი ხოლმე ნადიმს, ნიადგ ლხინს შერეული; ახლა ნუთისოფელს გამყარა ბროლ-ბალახშის სახის მქონემ (=ნესტანმა).

- 332 მამა მომიკუდა, მოვიდა დღე სიკუდილისა, ვიშისა;  
ქმნა გაუცუდდა ფარსადანს ნიშატისა და ნიშისა;  
მათ გაუხარნეს, ვის ზარი დაღეჯდის მისგან შიშისა;  
და ერთგულთა შექმნეს ვაება, მტერთა – ჴენება იშისა.

პ-სთან (სტრ. 327) შედარებით, პროექტში ცვლილება არ არის.

ა. ბარამიძე: ა-ს სარითმო სიტყვად ყველა ხელნაწერში იკითხება მისისა. ვიშისა კონიექტურაა. რითმის თვალსაზრისით, მისისა ყოველმხრივ გამართული ფორმაა, ს და შ მსგავსი ბგერებია.

ი. გიგინეიშვილი: მართლაც, არავითარი საფუძველი არ არსებობს კონიექტურის მოხმობისა.

ც. კიკვიძე: ერთადერთი საფუძველი კონიექტურისათვის აქ რითმის გამართვის საჭიროებაა. ისისა/იშისა არაიდენტური რითმაა.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს ნაკითხვა: „დღე სიკუდილისა მისისა“.

ს. შ.: მამა მომიკუდა, მოვიდა მისი აღსასრულის დღე; ფარსადანს ლხინი და მზიარულეა გაუცუდდა; მათ გაუხარდათ, ვისაც მისი (=სარიდანის) შიში ლევდა; ერთგულემა გლოვა შექმნეს, მტრებმა – სიხარული .

- 332,1 აქ გლოვა ტარიელისგან, სიკუდილი სარიდანისა;  
იგ სრულ შავითა შემოსა მის ლომნაკეთის ტანისა;  
იგ გლოვით გამოსასულელად პატივი ფარსადანისა;  
და ან დაბადება ქალისა მთვარულემ მონავენისა.

x-თან (სტრ. 452<sup>1</sup>) შედარებით, პროექტში ცვლილებაა: ა ტარიელისგან, სიკუდილი (ტარიელისა სიკვდილი). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ახლა ტარიელის გლოვა, სარიდანის სიკვდილი, ლომნაკეთიანი ტანის სრულად შავით შემოსვა; ფარსადანის მიერ გლოვის დამთავრების შეთავაზება; ახლა სავსე მთავარსავეთ ქალის დაბადება.

**333** მე წელიწადმდის ბნელსა ვევე საწუთროგაცუდებული; დღისით და ღამით ვაებდი, ვერვისგან სულდაღებული; გაყვანად ხასნი მოვიდეს, მითხრეს მეფისა მცნებული, და ებრძანა: „შვილო ტარიელ, ნუ ხარ შავითა ღებულნი.

პ-სთან (სტრ. 328) შედარებით, პროექტში ცვლილებაა: ბ ვაებდი (ვეაებდი).

ი. გიგინეიშვილი: საჭიროა აღვადგინოთ ვეაებდი. S1 ვ-საჭიროა პირთა აღრევის ასაცილებლად. მართალია, ძველ ქართულში S1 ვ- უ-სა და ვ-ის წინ, ჩვეულებრივ, არ იხმარებოდა, მაგრამ ფუძისეული ვ-ის წინ S1 ვ- უფრო იყო შემონახული, ვიდრე უ-ს წინ.

ც. კიციძე: პირთა აღრევის საშიშროება მაშინაც არის, როცა ზმნის ფუძე უ-თი იწყება, მაგრამ, ძველი ნორმების თანახმად, ჩვენ ამ შემთხვევაში S1-ს არ ვწერთ. ასევე უნდა მოვიქცეთ ვ-ით დაწყებულ ფუძეებთანაც.

დაადგინეს: შემონმდეს ძველ ძეგლებში S1 ვ-ის ხმარების სიხშირე ფუძისეული ვ თანხმოვნის წინ და ამის შედეგად გადაწყვიტოთ მისი ხმარების საკითხი „ვტ“-ში; დ-ის ბოლოს დაისვას ძახილის ნიშანი (ნერტილის ნაცვლად).

ს. შ.: მე ერთ წლამდე ბნელში ვიჯექი წუთისოფელგამხარებული, დღე და ღამე ვგლოვობდი, ვერავის მიერ დანყარებული; (ჩემს) გასაყვანად წარჩინებულნი მოვიდნენ, მითხრეს მეფის დანაბარები; ებრძანებინა: „შვილო ტარიელ, ნუ ხარ შავის შემოსილი!

**334** ჩუნენ უფრო გუტკივის იგი, ვინ დაგუაკლდა სწორად თავისაა.

ასი ებოძა საჭურჭლე, ებრძანა აჯდა შავისა,

ბოძება მისეულისა სრულისა საკარგავისა:

და „შენ გქონდეს ამირბარობა, ქნა მისვე საურავისა“.

უ-სთან (სტრ. 329) შედარებით, პროექტში ცვლილება არ არის.

პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ჩვენ უფრო გვანუხებს ჩვენი ტოლის (თანასწორის) დაკარგვა. ასი საგანძურნი ებოძებინა, ებრძანებინა შავის ვახდა, ებოძებინა მისეული (სარიდანისეული) სრული საკარგავი (=საგამგებლო): „შენ გქონდეს ამირბარობა, იმავე სამსახურის (მოვალეობის) შესრულება“

**335** ავენთი, დამწუხეს მამისა საწმილთა დაუშრტობელთა;

უკანის გამომოყვანეს ხასთა მათ ნინამდგომელთა;

გამოსლისათუის ზეიმი შექმნეს ინდოეთს მფობელთა,

და შორს მომეგებნეს, მაკოცეს პატივით ვითა მშობელთა.

პ-სთან (სტრ. 330) შედარებით, პროექტში ცვლილება არ არის.

ი. გიგინეიშვილი: ბ-ში უკანის (= შემდეგ) კონტექსტის მიხედვით გაუმართლებელია.

უფრო მართებული ჩანს რიგ ხელნაწერში დაცული უკუნით.

ა. ბარამიძე: უკუნით > უკანის მოულოდნელია, სანინალმდეგო პროცესი კი დასაშვებია. A<sup>3</sup>-ში გვაქვს ბნელეთით. ეს კარგი მონიშნა იმისა, თუ როგორ ხდებოდა აღნიშნული სიტყვების გააზრინება: უკანის > უკუნით > ბნელეთით.

ე. მეტრეველი: უკუნით ფორმას უნდა მივცეთ უპირატესობა, რადგან უკანის სხვაგან არ დასტურდება „ეტ“-ში.

გ. კარტოზია: უკანის ისევე ნაწარმოები, როგორც წინას (= ძვ. ქართ. წინას), რომელიც „ეტ“-ში ხშირად იხმარება.

ც. კიკვიძე: უკანის ფორმა ძველ ტექსტებში საკმაოდ დასტურდება.

ს. ცაიშვილი: უკანის (= შემდეგ) ამ კონტექსტში საესებით შესაფერია: ტარიელი მამის გლოვის შემდეგ გამოიყვანეს ხასებმა.

დაადგინეს: დარჩეს ნაკითხვა უკანის (წინააღმდეგნი: ი. გიგინეიშვილი, ე. მეტრეველი).

ი. გიგინეიშვილი: ბ-ში უნდა იყოს „ხასთა და წინამდგომელთა“ („ხასთა მათ წინამდგომელთა“-ს ნაცვლად). ხასი დიდებულს, მეფესთან დაახლოებულ პირს ნიშნავდა, წინამდგომელები კი დაბალი სოციალური წრის წარმომადგენლები იყვნენ. წინამდგომელი ხასი შეუძლებელი გამოთქმა იყო.

მთ. რედაქციის წევრებმა არ გაიზიარეს ეს ვარაუდი. ტექსტში დარჩა ნაკითხვა ხასთა მათ წინამდგომელთა (= წინამდგომელმა ხასებმა).

ს. შ.: ავენთე (ცეცხლი მომედო), დაშნვა მამის (სიკვდილით გამოწვეულმა) ჩაურთობელმა ცეცხლმა; შემდეგ გამოიყვანეს იმ წინამდგომელმა დიდებულებმა; (ჩემი) გამოსვლის გამო ზეიმი შექნეს ინდოეთის მფლობელებმა; შორს მომეგებნენ, პატივით მაკოცეს როგორც მშობლებმა.

## 1974. 27. XII

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ს. ცაიშვილი.

განიხილეს: სტროფები: 335,1–336,4 (პროექტი მოამზადა III ჯგუფმა); 336,5–337 (პროექტი მოამზადა I ჯგუფმა).

335,1 თუალთა ჩემთა ცხელი ცრემლი აწინდლისა უფრო დიან;  
წლისა ჭამა გარდვიჯადე, სიმძიმოლსა მოთხრობდიან  
ასრე გაეკე, ჩემი ჯარი: «არ დარჩების»- იტყოდიან:

და ზოგნი ტირან მამისათუის, ზოგნი ჩემთუის ტიროდიან.

x 456-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: გ გაეკე (გავკხე). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ჩემი თვალებიდან ცხელი ცრემლები ახლანდელზე უფრო დიოდა; წლისთავი გადავიხადე, მწუხარებაზე შესაუბრებოდნენ: ისე გაეხდი, რომ ჩემი მოლაპქრეები ამბობდნენ: „არ გადარჩებაო“; ზოგიერთი მამაჩემის გამო ტიროდა, ზოგიერთი კი – ჩემ გამო.

336 მათ საეჯდომთა ახლოს დამსუეს, პატიეს მცემდეს ძისა დარად,  
მის ჯელისა საურავი მათ ორთავე მოთხრეს წყნარად;  
ურჩ ვექმენ და მისულთა წესთა ქცევა მიწნდა ზარად.  
და არ მომეშუნეს, დაემორჩილდი, თაყუანის-ევც ამირბარად.

u 331-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: დ თაყუანის-ევც (თაყვანის-მცეს).

ც. კიკვიძე: პროექტის მომზადებულმა ჯგუფმა თაყუნანის-ვეც ორჩია, რადგან ამით უფროს-უმცროსობის ნესი, ეტიკეტი დაცულია. რედაქციის წევრებმა ყურადღება მიაქციეს აგრეთვე იმასაც, რომ ტაეპში დავემორჩილდი ზმნასთან თაყუნანის-ვეც უფრო ბუნებრივია ვიდრე თაყუნანის-მცეს.

პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ტახტის ახლოს დამსვენს, პატრიკს მცემდნენ შვილის მსგავსად, იმ თანამდებობის შესრულება შემომთავაზებს მშვიდად; უარი ვუთხარი, - მისი (=სარიდანის) მოვალეობის შესრულება ზარდამცემად მიმაჩნდა. არ მომეშენენ, დავემორჩილე, თაყვანი ვეცი როგორც ამირბარამ.

**337** თავადობა ინდოთა და მრავალთაცა მქონდა სხუათა;  
ენაპირობდი, თუ ვინ იყვის მანებელი ჩემთა სპათა.  
ხალეად ვჯედი და ვიხარებდი, ზემი შვექნი მღერა-სპათა;  
და სპათა ემოსდი, ენადირობდი, ქება თქუიან ჩემთა ქნათა.

პროექტით, პ-ს მსგავსად, სტროფი ჩანართად არის ჩათვლილი. X 458-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ა თავადობა (პატრონობა) ინდოთა (პინდოთა), გ ზემი (ზამი). პროექტი მიღებულ იქნა. რედაქციამ შემდგომში (1980. 17. X) კვლავ განიხილა სტროფი და ძირითადად ჩათვალა იგი.

ს. შ.: ინდოთა ტომისა და მრავალი სხვის უფროსობა მქონდა; ვლაშქრავდი მოსაზღვრებს, თუ ვინმე იქნებოდა ჩემი ლაშქრის მანებელი. ლალად ვიყავი და ეხარობდი, ელხინობდი; მოლაშქრეებს ემოსავდი, ენადირობდი, აქებდნენ ჩემს ნამოქმედარს.

**337,1** აეთანდილ ყურსა უპყრობდა ამბავსა საამებელსა,  
ეტყუის, თუ: „ლომო, ნეტარძი ყოველსა შენსა მზლებელსა!  
მე გაეახარო, რა ვპყადრო ჩემთა საჭილითა მდებელსა;  
და ღმერთი არ მამკლავს, მგონია, თქვენზედ ვალდაუდებელსა“.

X 458<sup>1</sup> - თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ბ-ის ბოლოს ნერტილის ნაცველად ძახილის ნიშანია. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: აეთანდილი ყურს უგდებდა საამო ამბავს, ეუბნება: „ლომო, ნეტავი ყველა შენს მზლებელს! მე გაეახარებ ჩემი ცეცხლის მომიკიდებელს, როცა ვუამბობ (შენს ამბავს); ვფიქრობ, ღმერთი არ მამკლავს, რომ თქვენი ვალი არ დაგადოთ (სამსახური არ გაგინიოთ)“.

**337,2** რალა იგი სიცოცხლე, ვინ არ ა შენდა ყოფილი  
ღვარი გამრაველდა ცრემლისა, ბალს არ ა შენდა ყოფილი;  
გულსა ქვაქნილსა დანისა ვით არა შენდა ყოფილი;  
და შვიდთა მნათობთა სინათლე გაქუს არა შენ დაყოფილი.

X 458<sup>2</sup>-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: გ ქვა-ქნილსა (ქვა-ქნილსა), დ შენ დაყოფილი (შენდა ყოფილი). პროექტი მიღებულ იქნა.

რედაქციას მიჯამათა აზრი ასე ესმის: ა) ვინც არ არის შენთვის გაჩენილი; ბ) ბაღში არ ა შენდა გამყოფი, ზღუდე, ჯებირი; გ) ყოფილი=შეყოფილი; დ) დაყოფილი = დაბნელებული, დავსებული.

ს. შ.: რალა ის სიცოცხლე, ვინც არ არის შენთვის გაჩენილი ცრემლის ღვარი გამრაველდა, ბაღში (=პირისახეზე) არ ა შენდა გამყოფი (ზღუდე, ჯებირი) (=პირისახე

ცრემლით დაიფარა); ქვად ქვეულ გულში დანა როგორ არა გაქვს შეყოფილი (დასობილი); შიდი მნათობის სინათლე შენ არა გაქვს ბნელად ქვეული (დავსებული).

**337,3** კულაე ასმათჲ ჰკადრა: „ვიციმცა, გული ცეცხლთაგან შურია, მაგრამ სრულუქმენ აშბანი, ესე ყმა მონასურია; ამასცა სჭირან პატიუნი, ვერ არის აქა მდგმურია; და ადრე ნაიდეს, გარგოს რა, უნას საქმე მოძმურია.“

x 458<sup>3</sup>-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ა-ს ბოლოს მძიმეა (ნერტილ-მძიმის ნაცვლად). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ისე ასმათმა უთხრა: „ვიცი, რომ გული ცეცხლისაგან დამწვარია, მაგრამ დაუსრულე ამბავი, ეს მოყმე (ამისი) მსურველია; ესეც იტანჯება, აქ ვერ დადგება; მალე ნაიდეს, რაიმე გარგოს, ძმურად იმოქმედოს“.

**337,4** ტარიელ დენად ცრემლისა კულაე გაამრავლა მილები, რა მოაგონდის მოყურაე და დღენი ნაჯდომილები; ვარდსა ასველებს, ინდოთა რაზმი ჩანს უნდომილები; და ვერევე შენ ხარ, სიცოცხლე, გული რაზომცა მილები.

x 458<sup>4</sup>-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. რედაქციამ გ-ის ბოლოს ნერტილ-მძიმის ნაცვლად ნერტილი დასვა; დ, როგორც ტარიელის სიტყვები, ბრჭყალებში ჩაისვა; ამავე ტაეში მძიმე ამოღებულ იქნა ხარ ზმნის შემდეგ (ვერევე შენ ხარ სიცოცხლე...).

ს. შ.: ტარიელმა ცრემლის საღერელად კვლავ მრავალი მილი დაიდო თვალზე (=ბევრი ცრემლი ღვარა), როცა მოაგონდებოდა სატრფო და ნასული დღეები; ვარდს (=პირისახეს) ასველებს, ინდოთა რაზმი (=ნამწამები) ჩანს უსარგებლოდ. „მანინც შენა ხარ სიცოცხლე, გული რამდენადაც უნდა დამილურჯო“.

**337,5** ტარიელს თუალნი სისხლისა ცრემლითა დაღამებინ, თქვა „ნახვისაცა უღირსსა ვისგან საჯმილნი მდებინ, უმისოდ ძმანი რად მძმობენ, ანუ რად დანი მდებინს და აწყა ვაჯსენებ დღესა მას, ოდითგან ცეცხლი მდებინ.

x 459-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: დ ოდითგან (ოდიდგან). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ტარიელს თვალები სისხლიანი ცრემლით ამოღამებია, თქვა: „ვისგანაც ცეცხლი მომდებია, (მისი) ნახვის უღირსს, მის გარეშე ძმები რატომ მძმობენ, ან დები რატომ მიწევენ დობას? ახალა ვაჯსენებ იმ დღეს, როდინდანაც ცეცხლი მომდებია.“

**337,6** აჰა, ძმაო, რადგან მკითხე, ცხელი ცეცხლი მიახლია; ჩემთა ჭირთა მაქარეებლად მისი მზრდელი მიახლია; მუდმით მწუვედის ცეცხლი ცხელი, მეტად ველარ ვიახლია, და შენად შეყრად არ მომკუდარვარ, ჭირი ასრე ვიახლია.

x 460-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: გ ვიახლია (ვეახლია), ჭირი (ჭირნი). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: აჰა, ძმაო, რადგანაც მკითხე, ცხელი ცეცხლი გამიახლებია; ჩემი ჭირის გამაქარეველად მისი გამზრდელი მიახლებია; მუდამ მწევედა ცხელი ცეცხლი, მეტად ველარ ვაჯსენებ, არ მომკუდარვარ, რომ შენ შეგყროდი, ჭირი ასე ვიახლებ.

**337,7** ღმერთისა კაცთა სიყუარული ჩუენზედ ოდეს გამოჩნდების, ჩუენ სიკუდილი ღმერთად მოგუცეს, შემოქმედსა რა აკლდების. ზოგთა შეპყრავს წამისყოფად, ზოგნი ცაღმდე ამაღლდების.

და მით ერთითა შეგუბრალოს, წყალობანი ჩუენ მოგუბუდების”.

x 461-თან შედარებით პროექტი ცვლილება: ა ღმერთისა (ღმერთსა), ოდეს (ოდის), გ წამისყოფად (წამის ყოფად), დ წყალობანი (წყალობითა), მოგუბუდების (მოგუბუდების).

რედაქციამ ა-ს ბოლოს დასვა კითხვის ნიშანი, ბ-ის ბოლოს – ძახილის ნიშანი.

ს. შ.: ღმერთის სიყვარული კაცისადმი ჩვენზე როდის გამოჩნდება? ჩვენ სიკვდილი შევბად მოგვცეს, ღმერთს რა დააკლდება! ზოგს წამსვე შეპყრავს, ზოგი ცაღდე ამაღლდება. ერთი მათგანით შეგუბრალოს, ეს ჩვენთვის წყალობა იქნება”.

**337,8** აღარა ვიცი, დამეინყდეს, თუცა დიადი წელია;

გიაგზო ჩემი ამბავი, განა რაზომცა ძნელია!

ცრუ და მუხთალი სოფელი მიწყე ავისა მქმნელია,

და მისთა ნაკუნესთა წინწალი დამეცა ხანგრძლად მწუელია”.

ა-ს მსგავსად, (332), პროექტით სტროფი ძირითადად არის ჩათვლილი. პროექტში ცვლილება არ არის.

რედაქციის წერებს განსხვავებული აზრი აქვთ სტროფის ნამდვილობის თაობაზე. განსხვავებულად ესმით ა-ს შინაარსიც.

დაადგინეს: რედაქციის თითოეულმა წევრმა წერილობით წარმოადგინოს თავისი მოსაზრებანი ამ სტროფზე.

ხელმოკრედ განხილვისას (1980. 17. X) რედაქციამ სტროფი ჩანართად ჩათვალა.

ს. შ.: აღარ ვიცი, დამეინყდა, თუმცა ბერი წელია (გასული); გიაგზო ჩემს ამბავს, რაოდენ ძნელიც უნდა იყოს! ცრუ და მუხთალი წუთისოფელი მუდამ ავის მქნელია, დამეცა მისი ნაკვესი ცეცხლის ხანგრძლივად მწველი ნაპერწკალი”.

## 1975. 17. I

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, შ. ძიძიგური.

რედაქციის წევრები დაუბრუნდნენ 317-ის („ასმათ, მითხრობდი, რაცა სცნა ჩემგან ამბობა ცილისა“) განხილვას (იხ. 1974.15.XI-ის ოქმი).

რედაქციამ სტროფი შეიტანა ძირითად ტექსტში (მომზრენი: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, ე. მეტრეველი, შ. ძიძიგური; წინააღმდეგნი: გ. კარტოზია, ც. კიკვიძე). ბ-ში შევიქმენ შეიცვალა შევიქმენ ფორმით; ა-ს ბოლოს წერტილის ნაცვლად დაისვა ძახილის ნიშანი.

ს. შ.: ასმათ, მითხარი ხოლმე, რასაც გაიგებ ჩემგან სიცრუეს (საცილობელს). ხუთი წლისა გაშლილი ვარდის მსგავსი გაუხდი, არ მიძნელდებოდა (არ მიჭირდა) ლომის მოკვლა, ისევე როგორც ხელიკისა. არაფრად მიაჩნდა (არ ენალვლებოდა) ფარსადანს შვილის უყოლობა.

შემდეგ განიხილეს: 338–342 (პროექტი მოამზადა I ვერსიამ).

**338** კულა დაიწყო თქმა ამბისა მან, რა ხანი მოიტორა:

„ღღესა ერთსა მე და მეფე მოვიდოდით, გუნადირა;



მიბრძანა, თუ: «ქალი ვნახოთ», კვლავ ველსა დამიჭირა.

და მის ფაშისა მჭსენებელი მე სულდგმული არ გიკვირა?!

უ 333-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის, იმის გარდა, რომ სტროფის ბოლოს კითხვის ნიშნის ნაცვლად კითხვისა და ძახილის ნიშნებია დასმული. პროექტი მიღებულ იქნა. გ-ში შეცვალა პუნქტუაცია: „ქალი ვნახოთ!“ - ველი ველსა დამიჭირა.

ს. შ.: კვლავ დაინყო ამბის თხრობა, (ერთი) ხანი რომ მოიჭირა: „ერთ დღეს მე და მეფე ნადირობიდან მოვდიოდით, მითხრა: „ქალი ვინახულოთ!“ ხელზე ხელი მომკიდა. იმ დროს რომ ვინსენებ და ცოცხალი ვარ, არ გიკვირს?!

338,1 ველს გავედით ნადირობად, უცხო რამე ქარი ქროდა;  
მეფე ბრძანებს: „ვინადიროთ“, ჯარი გარე ეხუოდა;  
ჩვენ ვიარეთ, ქვეითებსა ჭალა გარე მოესწროდა,

და რა ესე თქვა, ყმა ატირდა, ცრემლი ცხელი ჩამოსწოდა.

უ 464-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ა ნადირობად (სანადიროთ); გ არ არის ჩასმული კუთხოვან ბრჭყალებში. რედაქციამ ბ-ში („ვინადიროთ“, ჯარი გარე ეხუოდა) შეცვალა პუნქტუაცია; „ვინადიროთ!“ – ჯარი გარე ეხუოდა; გ-ის ბოლოს დაიხურა ჩვეულებრივი ბრჭყალები და დაისვა ნერტილი.

ს.შ.: ველზე გავედით სანადიროდ, საუცხოო ქარი ქროდა; მეფე ამბობს: „ვინადიროთ!“ – გარემო ჯარი ეხვეოდა; ჩვენ ვიარეთ, ქვეითებს გარემო ჭალა ერტყა“. ეს რომ თქვა, მოყმე ატირდა, ცხელი ცრემლი ჩამოსდოდა.

339 მეფემან ახმა დურაჯთა მოხზრა მიტანად ქალისა,  
გამოუხუტუნ და ნავედით ჩემად სადებლად აღისა;  
მაშინ დაინყე გარდაჯდა მე სანუთროსა ვალისა.

და აღმასისა წამს ლახუარა ლახურად გულის სალისა!

უ 334-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ბ გამოუხუტუნ (გამოუხუტვენ). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მეფემ ქალისთვის მისატანად დურაჯების აღება მიბრძანა, გამოვართვი და ნავედით ჩემთვის აღის მოსადებად; მაშინ დაინყე წუთისოფლის ვალის გადახდა. სალი გულის დასაჭრელად აღმასის ლავარია საჭირო!

340 ბაღა ენახე უტურფესი ყოელისავე სალხინოსა;  
მფრინველთაგან ჳმა ისმოდა უამესი სირინოსა;  
მრავლად იყო სარაჯები ვარდის წყლისა აბანოსა.

და კარსა ზედა მოაფარვიდა ფარდაგები ოქსინოსა.

უ 335-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

გ.კარტოხიამ შენიშნა, რომ არ არის სწორი ლიტერატურაში ბოლო ხანებში გამოითქმული ვარაუდი, თითქოს სირინოსა = სირინოსსა (ე.ი. ს დაკლებული იყოს რითმისათვის). სირინოსა ნათესაობითი ბრუნვაა სირინო სახელისა, რომელიც ძველი ქართული მწერლობის ძეგლებში დადასტურებულია.

ს. შ.: ყველა სალხინო ადგილზე უფრო ლამაზი ბაღა ენახე: ფრინველთაგან სირინოზზე უამესი ხმა ისმოდა; ვარდის წყლის აბანოს აუზები ბლომად იყო. კარებზე ოქსინოს (ძვირფასი ხვევრდის) ფარდაგები ეფარა.

340,1 ზღუდედ მოვიღია ზურმუხტი, ხე ალვა დარიგებითა;  
მეფე გარდაჯდა მუნ, სადა კოშკი დგა ფაზარგებითა;

შიგნით შევდიოთ, სრა დაგუბუნდა, მოცული ფარდაგებითა

და მაშინ ნასობთა ლახუართა, სულნო, ვით დაუდგებოთა!

x 467-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ბ კომპი დგა ფაზარგებითა (კომპად ფაზარი გებით ა), გ მოცული (მოცუელი). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ზღუდედ ზურმუხტი შემოვლებოდა, ალვის ხეები (პქონდა) ჩამორიგებულნი; მეფე იქ ჩამოსდა, სადაც ფაზარით აგებული კომპი იდგა, შიგ შევედით, ფარდაგებით მოფენილი სასახლე დაგვხვდა. სულო, მაშინ დასობილ ლახვარს როგორ უძღვებ!

341 ვიცოდი, სნადა არვისგან ნახვა მის შვისა დარისა,  
მე გარე ვდეგ და მეფემან შევლო ფარდაგი კარისა;  
ვერას ვხედვედი, ოდენ ჳმა მესმოდა საუბარისა.

და ასმათს უბრძანა გამოსხმა ღურაჯთა ამირბარისა.

u 336-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ვიცოდი, რომ არ უნდოდა ვინმეს ენახა ის მზის დარი (ნესტანი), მე გარეთ დავდექი და მეფემ კარის ფარდაგი განვლო; ვერაფერს ვხედავდი, მხოლოდ საუბრის ხმა მესმოდა. ასმათს უბრძანა ამირბარისათვის ღურაჯების გამორთმევა.

342 ასმათ ფარდაგსა აზიდნა, გარეთ ვდეგ მოფარდაგულსა;  
ქალსა შეხედენ, ლახუარი მეცა ცნობასა და გულსა.  
მოვიდა, მივსცენ ღურაჯნი, მთხოვა ცეცხლითა დაგულსა.

და ვამე, მას აქეთ საქმილსა დაუნთაე ნიადაგულსა!

u 337-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ა გარეთ(გარე), გ მივსცენ (მივსცენ), დ დაუნთაე (დაუნთაე).

რედაქციამ ა-ში აღადგინა გარე. დ-ში ვამე შეიცვალა ვამე ფორმით.

ს. შ.: ასმათმა ფარდაგი ასნია, მოფარდაგებულის (ფარდაგით შემოზღუდული არის) გარეთ ვიდექი; ქალს (ნესტანს) შეხედე, ლახვარი მეცა გულსა და გონებაში. მოვიდა, ცეცხლითა დადაგულს მთხოვა ღურაჯები, მივეცი. ვაიმე, მას შემდეგ დაუნთავიარ მუდმივ ცეცხლს!

342,1 ქალი მოდგა ღურაჯთათუის, ტანად სარო, ლამაზენა,  
მადლო პკადრა ჳელმნიფესა: «სახლი შენი ააშენა!»  
ჳელთა მივსცენ ნასახმელად, ააყბედა ტკბილი ენა:  
და «მადლი მისსა შემოქმედსა, ვინ შენებრი დააშენა!»

x 470-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ა ღურჯთათუის (ღურჯთათუის), სარო, ლამაზენა (სარო ლამაზენი), ბ ჳელმნიფესა (ხელმნიფემან), ააშენა (ააშენი), გ ნასახმელად (ნასახმელად), ააყბედა (ააყბედნა), ტკბილი (ტკბილად), ენა (ენი), დ დააშენა (დააშენი); ა-ს ბოლოს ნურტილ-მძიმის ნაცვლად დასმულია მძიმე, ბ-ის – ნურტილის ნაცვლად ძახილის ნიშანი; გ-ის ბოლოს – ნურტილ-მძიმის ნაცვლად ორნურტილი. დ ჩასმულია კუთხოვან ბრჭყალებში და ბოლოს ნურტილის ნაცვლად დასმულია ძახილის ნიშანი.

პროექტი მიღებულ იქნა.

რედაქციის წევრებს განსხვავებულად ესმით ა-ს სარითმო სიტყვის მნიშვნელობა.

ი. გიგინეიშვილი: ლამაზენა კომპოზიტი უნდა იყოს. (=ენალამაზი). ამგვარი წარმოება რუსთველისათვის დამახასიათებელია.

გ. კარტოზია: ენა სარიტომოდ გ-ში გამოყენებული, ამიტომ ა-ში მისი არსებობა საეჭვოა. ლამაზენა ხელოვნური ფორმა ჩანს (=ლამაზი). საყურადღებოა, რომ ხელნაწერებში იგი ყველგან ერთ სიტყვად არის ჩათვლილი.

ს. შ.: ღურაჯებისათვის მოვიდა ქალი, ტანად სარო, ტკბილმოუბარი, ხელმწიფეს მადლობა მოახსენა: „ღმერთმა შენი სახლი ააშენა!“ ხელში მივეცი (ღურაჯები) წასაღებად, ტკბილად ალაპარაკდა; „მადლობა შემოქმედს (ღმერთს), ვინც შენებრი გააჩინა!“.

343 ან ნაჭდეს იგი ნათელი, შვისაცა მონუნარენი!  
მისი ვერ გასძლო წაენება, დაზნდა და სულთქუნა მწარენი;  
ყმა და ასმათი ტიროდეს, წმას სცემდეს იგი არენი,

და ჭმუნვით თქუეს: „მკლავნი ცუდ ქმნილან, ვაჰ, გმირთა მემუქარენი!“

U 338-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: დ ვაჰ (ვა). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ახლა დაიკარგა ის ნათელი, მზის დამზაგრაჲი! მის ხსენებას ვერ გაუძლო, გული ნაუედა და მწარედ ამოიოხრა; მოყმე (აუთანდლილი) და ასმათი ტიროდენ, ებმანებოდა ის არემარე. ჭმუნვით თქუეს: „ვა, გაცუდებულან მკლავები, რომლებიც გამირებს ემუქრებოდენ!“

344 ასმათმან წყალი დაასხა, ცნობად მოვიდა ტარია,  
დიდხან ვერა თქუა, სევედამან გული შეუპყრა, დარია;  
დაჯდა და მწარედ სულთითქუნა, ცრემლი მინასა გარია,  
და თქუა: „ჩემგან მისი წაენება, ვაიმე, რა დიდი ზარია!

U 339-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა; დ ვაიმე (ვაიმე). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ასმათმა წყალი დაასხა, ტარიელი გონს მოვიდა, დიდხანს ვერაფერი თქვა: სევედამ გული შეუპყრო, მოერია; დაჯდა და მწარედ ამოიოხრა, ცრემლი მინას გაურია, თქვა. „ჩემგან მისი ხსენება, ვაიმე, რა დიდი საშინელებაა!“

## 1975. 31. I

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს: 345—351 (პროექტი მოამზადა II ჯგუფმა).

345 მიმდღონი საწუთროსანი მისთა ნიეთთაგან რჩებთან,  
იშუებენ, მაგრა უმუხთლოდ ბოლოდ ვერ მოურჩებთან;  
ვაქებ ჭკუასა ბრძენთასა, რომელნი უურჩებთან.

და ისმენდი ჩემთა ამბავთა, თუ სულნი შელა-მრჩებთან.

U 340-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ისინი, ვინც წუთისოფელს მიენდობიან, მისივე ნიეთებით (მატერიალური სიკეთით) არსებობენ, ხარობენ, მაგრამ საბოლოოდ (საწუთროს) მუხთლობის გარეშე ვერ გადარჩებიან; ვაქებ (იშ) ბრძენთა ჭკუას, რომლები (წუთისოფელს) უურჩებიან. მოისმინე ჩემი ამბავი, თულა შემრჩება სულნი.

345,1 ..... რო მნათი .....  
გამოპკრთის მუნით სინათლე ..... შურას[ა],

ეს ქვე ძეს მისთვის უცნობო, იგი ტახტ[ზე] ზის ზე რასა,  
და ნიგნა უკითხვენ, სნამლობენ, სინჯვენ მაჯისა ძგერასა.

სტროფი არის მხოლოდ B<sup>2</sup> ნუსხაში (მინერლია არშიაზე). დაბეჭდილია ნიგნში: „ვარიანტიბი“, IV, 1963, 1227. ჩქ დაბეჭდილ ტექსტთან შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: ა...რო მნათი... ([იგი უებ]რო მნათი რა იეს სარ...), გ ტახტ[ზე] (ტახტ[სა]), დ უკითხვენ (იკითხვენ).

პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ... იქიდან სინათლე გამოკრთის ...ეს (ტარიელი) მის (ნესტანის) გამო უგონოდ აგდია, იგი (ნესტანი) ტახტზე რატომ ზის! ნიგნს უკითხავენ, ნამლობენ, მაჯის ცემას სინჯავენ.

345,2 .....

.....

იგ ზაფრან ..... ლალ .....

და მიერდაცე ..... ვის რას მიიკვალ .....

სტროფი არის მხოლოდ B<sup>2</sup> ნუსხაში (არშიაზეა მინერლი). დაბეჭდილია ნიგნში: „ვარიანტიბი“, IV, 1963, 1228. ჩქ დაბეჭდილ ტექსტთან შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: ბ-ის დასაწყისში „ვარიანტიბი“ კითხულობს დიდნი სიტყვას: გ-ში ლალ-ის წინ კი - . . . სრბებენ-ს. პროექტი მიღებულ იქნა.

346 დურაჯნი მისცენ, გავილე სხუა ვერა გზალა თავისა,  
დაეცი, დაეზნი, ნამიჯდა ძალი მჭართა და მკლავისა,  
რა სულად მოვე, შემესმა ჯმა ტირილისა და ვისა:

და გარე მომრტყმოდეს ჯალაბნი, ვითა ჩამსხდომნი ნავისა.

უ 341-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: დურაჯები მიეცი, სხვა ველარაფერი მოვახერხე, დაეცი, გული ნამივიდა, მზარ-მკლავის ძალა დაეკარგე, რომ მოვსულიერდი, ტირილისა და ვაების ხმა შემომესმა; გარს შემომრტყმოდა ჯალაბი (სასახლეში მყოფნი), როგორც ხომალდში ჩამსხდომნი.

347 შიგან ვნეე დიდთა დარბაზთა ტურუთა საგებელითა,  
ზედ დამტიროდეს მეფენი ცრემლითა უშრობელითა,  
პირსა იხოკდეს ჯელითა, ლანუისა გამპობელითა.

და მუყრნი მოახსნეს, სენითა მოქუეს გამაბელზებელითა.

უ 342-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: დიდ დარბაზში ვინეტი მშვენიერ ქვეშავებზე, ზედ დამტიროდნენ მეფეები შეუშრობელი ცრემლით, ხელით პირს იხოკადნენ და ლანუებს იკანრადნენ. მუყრნი (მოლები) მოიყვანეს, (მათ) ეშმაკული სენით (შეპყრობილი) ვეგონე.

348 მე რა მნახა თუალახმული, მეფე ყელსა მომეხუთა,  
ცრემლით მითხრა: «შვილო, შვილო, ცოცხალ ხარ-ლა? სიტყუა თქუია!»  
მე პასუხი ვერა გავეცე, ვითა შმაგი შეეკრთი დია,

და კულა დაეცი დაბნდილი, გულსა სისხლი გარდმეთხა.

უ 343-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მე რომ თვალგახელილი დამინახა, მეფე ყელზე მომეხუთა, ტირილით მითხრა: „შვილო, შვილო, ცოცხალი ხარ? სიტყუა თქუი! – მე ვერაფერი ვუპასუხე, შმაგივით შეეკრთი, კვლავ გულშემოყრილი დაეცი, გულზე სისხლი გადაამესხა.

349 სრულნი მუყრნი და მულიწნი მე გარე შემომცვიდიან;  
მათ ჳელთა პქონდა მუსაფო, ყოველნი იკითხვიდიან;  
მტერდაცემული ვეგონე, არ ვიცი, რას ჩმახიდივან.

და სამ დღემის ვიყავ უსულოდ, ცეცხლნი უშრეტნი მწწოდიან.

უ 344-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

შ.ს.: ყველა მუყრი (=მოლა) და მულიმი (=მაჰმადიანური რჯულის მოძღვარი) მე გარს შემომტყმოდა; მათ ხელში ყურანი პქონდათ, ყველა კითხულობდა; ბნედამორუელი ვეგონე, არ ვიცი, რას ჩმახავდნენ. სამი დღე უსულოდ ვიყავი, უშრეტნი ცეცხლი მწწავდა.

350 აქიწნიცა იკურევებდეს: «ესე სენი რაგუარია?

სამკურნალო არა სჭირს რა, სევედა რამე შემოპყრია».

ზოგჯერ შმაგად ნამოფტყრი, სიტყუა მცთარი ნამურია.

და დედოფალი, ზღვასა შეიქს, მას რომ ცრემლი დაულურია.

უ 345-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: დ შეიქს (შეიქსს).

ა.ბარამიძე: სწორია, რომ დ-ში (დედოფალი, ზღვასა შეიქს) დედოფალი სასენნი ნიწნით არის გამოყოფილი მომდევნო ფრაზისაგან. ვუკ: ბერიძე მართებულად მოუთითებდა, რომ არ ვარგა გამოთქმა „დედოფალი ზღვასა შეიქსს“.

შ.ძიძიგური: ვუკ. ბერიძე აღნიშნული სიტყვის შემდეგ ძახილის ნიშნის სევამდა და ეს უფრო მართებულია, ვიდრე მძიმე.

დაადგინეს: დარჩეს მძიმე. პროექტი დამტკიცდეს.

ს. შ.: ექიმებიც კვირობდნენ: „ეს როგორი სენია? სამკურნალო არაფერი სჭირს, რალაც სევედა შეყრია“. ზოგჯერ შმაგივით ნამოფტყრებოდი, უაზრო სიტყვებს ვურევიდი. დედოფალს რომ ცრემლი დაულურია, (ის) ზღვას შექმნის.

351 საშსა დღესა დარბაზს ვიყავ არ ცოცხალი, არცა მკუდარი;

მერმე ცნობა მომივიდა, მივხუდი რასმე მოუმხუდარი;

ვთქუი, თუ «ჰაჰ-ჰაჰ, რამიგან ვარ მე სიცოცხლეგარდამჯდარი!»

და თომბა ვსთხოვე შემოქმედსა, ვჰადრე სიტყუა საშუდარი.

უ 346-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ბ ჰაჰ-ჰაჰ(ჰაი). პროექტი მიღებულ იქნა. მოგვიანებით ჰაჰჰაჰ დაინერა უდეფოსოთ.

ს. შ.: სამი დღე დარბაზში ვიყავი არც ცოცხალი, არც მკუდარი; მერმე გონება დამიბრუნდა, (აქამდე)მოუმხუდარი რალაცას მივხუდი; ვთქვი, „ჰაიჰაი, რა ამბავში ვარ მე, სიცოცხლემოთავებული! – ღმერთს მოთმინება ვთხოვე, სახვენარი სიტყვები შევებდე.

352 ვთქუი, თუ: «ღმერთო, ნუ გამწირავ, აჯა ჩემი შისმინე,

მომეც ძალი დათმობისა, ცოტად ვთა აღმადგინე,

აქა ყოფა გამამულავენებს, სახლსა ჩემსა მიმანვიენ!»

და მანვე ქნა და მო-რე-ვეგობდი, გული წაღული გაეარკონე.

უ 347-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ი. გიგინეიშვილი: გ-ის სარიტომო სიტყვად მიმანვიენ-ს ნაცვლად უნდა მივიღოთ მიმანინე (=მიმანნი), რომელიც შინაარსობრივად უფრო უხდება კონტექსტს. ამ ნაკითხვასთან ახლოს დგას A<sup>3</sup>-ის მომანინე და B<sup>11</sup>-ის მიმინე. ძველ ქართულში ევ-სუფიქსიანი ზმნები აორისტის მრავლობითში ზოგჯერ ორ ნარს ნარმოაჩენდნენ: მიანინნა. ლიტერატურაში (ი.იშნაიშვილი) ორი ნ-ს არსებობა ახსნილია მრავლობითობის ნ სუფიქსთან ევ-სუფიქსისუელი ვ თანხმონის ასიმილაციით. როგორც უნდა აიხსნას ასეთი ფორმების მიღება, ორნარი ფორმები საკმაოდ დასტურდება ძველ ქართულში.

მრავლობითში ორი ნარის არსებობა ქმნიდა საფუძველს, რომ მხოლოდობითშიც გადასულიყო ნ, როგორც ზმნის სუფიქსისეული ელემენტი. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ პოემის ერთ ჩანართ სტროფში მთელი რიგი ხელნაწერი კითხულობს მოგანინა ფორმას მოგანინა-ს მნიშვნელობით: „ნუ დაგვხოცო, მისსა ძალსა, ვინც აქა მოგანინა“ (1612z. სათვალავი 1937 წლის საოუბილეო გამოცემის მიხედვით).

გ. კარტოზია: მრავლობითის ნ სუფიქსის ნარმოჩენა მხოლოდობითის ფორმაში მოულოდნელია. ქართულში ანალოგური ფორმების არარსებობა აძნელებს ამ ნაკითხვის (მიმანიწე) გაზიარებას. ერთადერთი პარალელი ჩანართი სტროფიდან, ვფიქრობ, საკმარისი არ არის. ამასთან მიმანწე ამ კონტექსტში საესებით დამაკმაყოფილებელი სიტყვაა.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს ნაკითხვა მიმანიწე.

ს. შ.: ვთქვი: „ღმერთო, ნუ გამწირავ, ჩემი თხოვნა შეისმინე, მოთმინების ძალა მომეცი, როგორმე ნამომაყენე, აქ ყოფნა გამამყლავნებს, ჩემს სახლამდე მიმალწეინე!“ მანვე („ღმერთმა) ქნა და ცოტა მოვეჯობინდი, დანყლულეული გული გავიმავრე.

353 ზე ნამოვეე, მეფისასა კაცი ღია მოვიღოდა.

ახარებდეს: „ნამოვედაო“, დედოფალი გამორბოდა;

მეფე მორბის თავშიშველი, არ იცოდა, რას იქმოდა,

და იგი ღმერთსა ადიდებდა, სხვა უწეღაი უწუმოდა.

უ 348-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

რედაქციამ ა-ს ბოლოს წერტილის ნაცვლად მძიმე დასვა.

გ. კარტოზია: დ-ის სართომო სიტყვა უწუმოდა (სხვა ყწეღაი უწუმოდა) ლიტერატურაში, ჩვეულებრივ, გაგებულია სასხვისო ქვევის ფორმად (უწუმოდა ის მას). სინამდვილეში აქ უნდა გვექნდეს უწუმო სიტყვიდან ნანარმოები ერთპირიანი ზმნა. შდრ. მსგაესი ნარმოება „ვტ“-ში უმწნეო – უმწნეოდა, უდიდო – უდიდოდა, მიდამო – მიდამოდა.

ი. გიგინეიშვილი: ნასახელარ ზმნათა ამგვარი ნარმოება სათანადო პარალელებით არ არის შემგარებული. უწუმოდა, ისევე როგორც უმწნეოდა, უდიდოდა, მიდამოდა, შეიძლება გავიგოთ, როგორც შედგენილი შემასმენელი: უწუმოდ ა (ასევე, უმწნეოდ ა, უდიდოდ ა, მიდამოდ ა).

გ. კარტოზია: ნასახელარი ზმნის ამგვარივე ნარმოება უნდა გვექნდეს თანხმომეწიან ფუძიან ევ სახელისგან ნარმოქმნილ ევჯდა ზმნაშიც (მის მოყმისა წესი იყო, მეტსა თურე არა ევჯდა).

ს. შ.: ნამოვეევი, მეფისას ბევრი ხალხი მოდიოდა, ახარებდნენ: „ნამოვედაო“, დედოფალი მორბოდა; მეფე თავშიშველი მორბის, არ იცოდა, რას შერებოდა. ის ღმერთს ადიდებდა, სხვა ყწეღა ჩემად იყო.

354 იქით და აქათ მომისხდეს, მახურიტეს სახურეტელია;

მე მოვახსენე: „პატრონო, გული ან უფრო მრთელია;

ცხენსა შვეჯდომა მწადიან, ენახენ წყალნი და ევლია“.

და ცხენი მომგვარეს, შეცაჟეე, მეფე ჩემთანა მელელია.

უ 349-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: იქიდან და აქედან მომისხდნენ, წენიანი მახურიპეს; მე ვუთხარი: „პატრონო, ახლა გული უკეთ მაქვს; ცხენზე შვეჯდომა მწადია, წყალი და ევლი ენახო“. ცხენი მომგვარეს, შევეევი კიდევ, მეფე ჩემთან ერთად მოდიოდა.

სდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი.

განიხილეს, სტროფები 355–360 (პროექტი მოამზადა III ჯგუფმა), 361–366 (პროექტი მოამზადა I ჯგუფმა).

355 გამოვედით, მოვიარეთ მოედანს და წყლისა პირსა;  
ჩემსა მივე, დავაბრუნე, მეფე მომყვა სახლთა ძირსა.  
შინა მოვე, უარ გავეკე, სხუა დაამართო ჭირი ჭირსა;  
და ეთქუ, თუ: „მოკვდე, ბედი ჩემი ამის მეტსა რასლა ღირსა-ა!“

უ 350-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: დ რასლა (არას).

ი. გიგინეიშვილის აზრით, გ-ში (შინა მოვე) მოვე-ს ნაცვლად უნდა იყოს მივე.

რედაქციამ პროექტი მიიღო უცვლელად.

ს. შ.: გამოვედით, მოვიარეთ მოედანი და მდინარის ნაპირი, ჩემსა მივედით, მეფე სახლამდე მომყვა, დავაბრუნე. შინ მოვედი, უარესად გაეხედი, ჭირზე სხვა ჭირი დაამართო; ეთქუ: „მოკვდე, ჩემი ბედი ამის მეტის რისილა ღირსა!“.

355,1 ფარსადან ღმერთსა შესწირა, რაც აქუს მოგებულა;  
ყოველნი მადლსა შესწირვენ, მცირე და დიდებულა;  
დედოფალი ტირს, ცხელითა ცრემლითა მიღგებულა.  
და ნამწამ მოიღის, მნახვიდის ტან-საროდ აგებულა.

x 484-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: დ ტან-საროდ (ტან-სარო).

დ-ში ნამწამ დაინერა დეფისით (ნამ-წამ) და ტან-საროდ – ერთად (ტანსაროდ).

ს. შ.: ფარსადანმა ღმერთს შესწირა მთელი ქონება; ყველა მადლობას სწირავს, მდაბიო და დიდებული; დედოფალი ტირის, ცხელი ცრემლის მდენელი. ნამდაუნუმ მოდიოდა, მნახულობდა აგებულებით ტანსარო.

356 ზაფრანის ფერად შეცვალა ბროლი ცრემლისა ბანამან,  
გული უფრორე დამიჭრა ათათასმან დანამან.  
სანოლის მეკრე შემოდგა, მოლარე გაიყვანა მან;

და ეთქუ, თუ: „რა იცის ამბავი, ნეტარ, ან იმან, ან ამან?“

უ 351-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ზაფრანისფერად შეცვალა ბროლი (=პირისახე) ცრემლის დენამ, გული უფრო დამიჭრა ათი ათასმა დანამ. სანოლის მეკარე შემოვიდა, მოლარე (=მსახური) გაიყვანა; ეთქუ: „ნეტავი, რა ამბავი იცის ან იმან, ან ამან?“

356,1 ქალი მოვიდა, იკითხა ამბავი რა ზმთა მფრენისა,  
ტანად ალვა და ლომგული, პირად მზე შინა რენისა;  
მისთა შუქთაგან მთუარესა არ ძალაქუ გარდახუნენისა;  
და მიწმეს, მიბრძანეს ამბავი, მე მივეგებე, მე წისა.

x 486-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: დ მე მივეგებე, მე წისა (მე მივეგებე მენისა).

ბ-ში მზე-ს შემდეგ (პირად მზე შინა რენისა) დაინერა მძიმე. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ქალი მოვიდა, უთხრა რაზმების დამლენის, ტანად ალვისა და ლომგულის შესახებდავად მზისა და მინანქრის ამბავი; მთვარეს არ შეუძლია მის შუქს მოსცილდეს. დამიძახეს, მითხრეს ამბავი, მე მივეგებე წინ.

357 «მონაო ასმათისი». «რა იცისო, – ვარქუი, – კითხე».  
შემოვიდა, საამიკო წიგნი მომცა, წავიკითხე;  
გამიკურდა, სხუად ვითამცა ვქმენ გულისა მწუელთა სითხე?  
და მისგან ვქუი არა მქონდა, სეფად მანვა გულსა მით ხე.

უ 352-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: „ასმათის მონაო“. ვუთხარი: „კითხე, რა იცის-თუ“ (ასმათის მონა) შემოვიდა, სატრფიალო (საამიკო) წერილი მომცა, წავიკითხე; გამიკვირდა, სხვას როგორ გაუქუარეო გულის დამწველი (ცეცხლი)? მისგან (=ნესტანისგან) არ ევლოდი (თანაგრძობას), ამიტომ ხესაეთი (=მორივით) მანვა გულზე სეფად.

357,1 წიგნი მომცა ასმათისი: «გული შენი ნუ დაბნდების;  
ენახოთ, ამა მუხთალთაგან ჩუენსა თავსა რა მოჯდების!  
მას მიჯნური არა პქუიან, ვინცა დღისა წინ მოკუდების;  
და რასთუის უშობ, რასთუის ბნდები, სული რასთუის ამოჯდების?»

x 488-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ბ ენახოთ, ამა (ენახოთ ამა). მოჯდების (მოჰხდების). გ პქუიან, ვინცა (პქუიან ვინცა), მოკუდების; (მოჰკუდების), დ ამოჯდების (ამოგხდების). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ასმათის წერილი მომცა: „შენი გული ნუ დაიბნიდება; ენახოთ, ამ მუხთლებისაგან (?) ჩვენს თავზე რა მოხდება (=რა მოგვიყვია)! მას მიჯნური არ პქუია, ვინც დროზე ადრე მოკვდება; რატომ ოხრავ, რატომ იბნიდები, სული რატომ გხდება?“

358 მე გამიკურდა: «სით უყუარ ანუ ვით მკადრებს თხრობასა?  
მოყულობა არ ვარგა, დამწამებს უზრახობასა,  
ჩემგან იმედსა გარდასწყუედს, მერმე დამიწყებს გმობასა».  
და დაენერე, რაც პასუხად მართებდა ამიკობასა.

უ 353-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ა უყუარ (უყუყუარ). პროექტი მიღებულ იქნა. მოგვიანებით ა-ში ანუ-ს წინ დაისვა მძიმე.

ს. შ.: მე გამიკვირდა: „საიდან შეუყუყუარდი, ან თქმას როგორ მიბედავს? (მის სურვილს) რომ არ დავეყვე, არ ვარგა, უბრობას (უბძრახობას) დამწამებს, ჩემს იმედს დაკარგავს, მერმე გმობას დამიწყებს“. დაენერე, რაც ტრფიალებას (ამიკობას) შეჰყუეროდა პასუხად.

359 დღენი გამოჯდეს. მე გული უფრორე დამწუეს კულავ ალთა,  
ველარ უჭურეტდი ლამქართა, მინდორს თამამად მავალთა;  
დარბაზს ვერ მიეე; მკურნალთა დაიწყეს მოსლვა მრავალთა,  
და მაშინ დაეიწყე გარდაჯდა სოფლისა ლხინთა და ვალთა.

უ 354-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ბ უჭურეტდი (უჭურეტდი). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: დღეები გავიდა, მე გული აღმა კვლავ უფრო დამწეა, ველარ უყუყუარებდი მინდორში სავარჯიშოდ გასულ ლამქარს; დარბაზში (=სამეფო კარზე) ვერ მივედი; მრავალი მკურნალი მოდიოდა, მაშინ მოვთავიე ამქვეყნური ლხინი და დაეიწყე წუთისოფლის ვალის გადახდა.



**360** მათ ვერა მარგეს, მე გულსა ბინდი დამეცა ბნელისა,  
სხუამან ვერაინ შემატყო დება ცეცხლისა ცხელისა;  
სისხლი დაშნაშეს; მეფემან ბრძანა გაქსნევა ჴელისა,  
და გაიქსენ ფარეად პატოეთა, არვისგან საეჭუელისა.

უ 355-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მათ (მკურნალებმა) ვერაფერი მარგეს, გული დამიბნელდა (=გულზე დარდი შემომანება), სხეამ ვერაინ შემატყო ცხელი ცეცხლის მოდება; სისხლის სიტარბე ეგონათ; მეფემ ბრძანა (ჩემთვის) სისხლი გამოეშვათ. სისხლი გამოვამებინე, რათა დამეფარა ტანევა, რაზეც არეინ ეჭვობდა.

**361** ჴელგაქსნილი, სედიანი, სანოლს ვიყავ თავის წინა;  
ჩემი მონა შემოვიდა, შეხედენ, თუ თქუას რა-ძინა?  
«მონააო ასმათისი». შემოიყვანა უთხარ შინა.

და გულსა შინა დაუზრახე: «რა მპოვაო ანუ ვინა?!»

უ 356-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ბ თქუას რა-ძინა? (თქვას, რა მინა.), გ უთხარ (უთხარ), და დაუზრახე (დაუზრახე).

ი. გიგინეიშვილი: ბ-ში – ძინა არის – ძი ნანილაკის პარალელური ფორმა, რომელიც ხშირია ქართულში. რაძინა ერთად უნდა დაინეროს.

რედაქციამ მიიღო ეს შესწორება.

გარდა ამისა, რედაქციამ გ-ში „მონააო ასმათისი“-ს წინ დასევა ტირე, ბოლოს კი – მძიმე. მოგვიანებით დ-ში ანუ-ს წინ დაისევა მძიმე.

ს. შ.: სისხლგამოშვებული, სედიანი სანოლში ვიყავი მარტო; ჩემი მონა შემოვიდა, შეხედე, ენახოთ, რას იტყვის. „ასმათის მონააო“. შინ შემოიყვანე-მეთქი, უთხარო, გულში დავგმე: „რა მნახა ან ვინ არის-მეთქი?!“

**362** მონამან წიგნი მომართუა, მე ნავიკითხე ნებასა;  
წიგნსა შევატყუე, ლამობდა შეყრისა მოსწრაფებასა;  
პასუხად გავეცე: «ფაშა, მართალ ხარ გაკუთრებასა;

და მოვალ, თუ მიქმობ, მე წუ მეჭეჭ მოსლეისა დაზარებასა».

უ 357-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მონამ წერილი მომართევა, ნება-ნება ნავიკითხე; წერილით შევატყვე, რომ ლამობდა შეხედრის დაჩქარებას, პასუხად შევუთვალე: „დროა (შეხედრისა), მართალი ხარ, რომ გიკვირს (ჩემი თავშეკავებულობა); მოვალ, თუ მიხმობ, არ გეგონოს, რომ მოსელას დაუზარებ“.

**363** გულსა ვარქუი, თუ: «ლახუარნი ვერე ვით დაგაღონებენ?  
ამირბარი ვარ, ჴელმწიფე, სრულად ინდონი მმონებენ;  
აზრად შეიქმან, საქმესა ათასჯერ შეწონებენ,

და თუ შეიგებენ, მე მათთა არეთა არ მარონებენ».

უ 358-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: გულს უთხარი: „(სიყვარულის) ლახვარი ვერე როგორ დაგაძაბუნებს? ამირბარი ვარ, ხელმწიფე, სრულიად ინდოეთი მემორჩილება; იაზრებენ (ეჭვს აიღებენ), საქმეს ათასჯერ გასწავიან, თუ შეიტყობენ, თავიანთ არემარეზე არ გამატარებენ“.

**364** კაცი მოვიდა მეუისა: «სნადსო ამბისა სმინება».  
მოყვანა უთხარ, ებრძანა: «ქმნაცა სისხლისა დინება?»

მე ვაქადრე: «წელი გაივსენ, დაძინყო მოჯობინება,  
და წინაშე მოვალ, ამისთვის კულა უფრო მმართვეს ლხინება».

პ 359-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ზ უთხარ (წუთხარ).

ა. ბარამიძე: ზ-ში („ქმნაცა სისხლისა დინება?“ ქმნაცა კი არა, ქმნაა უნდა იყოს.

ს. ცაიშვილი: -ცა აქ განა-ს მნიშვნელობით არის ნახმარი და ეს ნაკითხვა უნდა დარჩეს.

ი. გიგინეიშვილი, ქმნაა კონიექტურაა, მაგრამ მისაღები ჩანს.

ც. კიკვიძე: ეგებ მოხერხდეს ქმნაცა ფორმის გააზრება სხვაგვარად. დაეტოვოს ეს ნაკითხვა, რადგან ყველა ხელნაწერში ასეა.

ე. მეტრეველი: უნდა დაზუსტდეს -ცა-ს მნიშვნელობა.

დაადგინეს: დარჩეს ქმნაცა: დაზუსტდეს —ცა-ს მნიშვნელობა. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მეფის კაცი მოვიდა: „(ფარსადანს) ამბის გაგება სნადიარა“. შემოვყავინინე; (მეფეს) დაეხარებინა: „სისხლი გამოაშვებინაო?“ მე მოვახსენე: „სისხლი გამოვაშვებინე, მომჯობინება დაეინყე, გეახლებით, ამისთვის კიდევ უფრო სიხარული მმართვეს“.

365 დარბაზს მივე. მეფე ბრძანებს: «ამის მეტსა ნუ იქ აბა!»

ცხენსა შემსუა უკაპარჭო, ნელთა არა არ შემბაა,

შეჯდა, ქორნი მოუტიენა, დურაჯები დაინაბა,

და მშვილდოსანნი გასაგანა, იტყოდან: «შაბა, შაბა!»

პ 360-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ა იქ, (იქმ).

ა. ბარამიძე: უნდა იყოს: შაბაშ, შაბა.

ი. გიგინეიშვილი: სხვაგან გვაქვს შაბაშ, ამიტომ აქაც უნდა მივიღოთ ეს ნაკითხვა.

მიღებულ იქნა ნაკითხვა: შაბაშ, შაბა!

ს. შ.: დარბაზში (სამეფო კარზე) მივედი. მეფემ თქვა: «აბა, ამის მეტს ნუ იზამ!» ცხენზე უკაპარჭო შემსვა, ნელზე არაფერი შემომარტყა, (ცხენზე) შეჯდა, ქორები მოუტია, დურაჯები დაინაბენ, მშვილდოსნები სასოლოად მოუშვა, ამბობდნენ: „შაბაშ, შაბაშ! (ყოჩად, ყოჩად!)“.

366 შინა დაესხედით ნადიმად მას დღესა მინდორს რებულნი;

მომღერალნი და მუტრიბნი არ იყენეს სულდაღებულნი;

მეფემან გასცნა მრავალნი თუალნი, ღარიბად ქებულნი.

და აუესებელნი არ დარჩეს მას დღესა მათნი ზღებულნი.

პ 361-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: იმ დღეს მინდორში ნავალნი შინ სანადიმოდ დაესხედით; მომღერლები და მუტრიბნი (მემუსიკენი) არ იყენენ გაჩუმებულნი; მეფემ მრავალი იშვიათობით (გამორჩეულობით) ქებული თვალი გასცა (საჩუქრად). იმ დღეს უხვად დაუსაჩუქრებელი არ დარჩა იქ მყოფი.

## 1975. 28. II

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი.

განიხილეს: 366,1—271 (პროექტი მოამზადა I ვჯგუფმა).

366,1 მეფემან გასცა მას დღესა მრავალნი საქურჭლენია,  
ლაშქართა მისცა ურიცხუი ჯოგი, რემა და ცხენია;  
თავსა ეპკრძალედი სირცხულიად, ვიახელ შენარცხენია;  
და ლმურთსამცა რად დაებადა მათებრნი ჳელმწიფენია.

x 498-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ა-ს ბოლოს ნერტილ-მძიმის ნაცვლად მძიმეა დასმული, გ-ის ბოლოს – ნერტილის ნაცვლად ნერტილ-მძიმე. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: იმ დღეს მეფემ მრავალი საგანძური გასცა, მოლაშქრეებს მისცა ურიცხვი ჯოგი, რემა და ცხენი; სირცხვილის გამო თავს ვარიდებდი, ვეახელი შერცხვენილი; ღმერთი რატომ დაბადებს მათ მსგავს ხელმწიფეს.

367 ვეცდებოდი, არა მცალდა სევდისაგან თავის კრძალვად;  
ვიგონებდი, ცეცხლი უფრო მედებოდა გულსა ალვად;  
ჩემნი სწორნი ნაეიტანენ, ჩემსა დავეუ, მთქუთა ალვად,  
და შეექმენ სმა და ნადიმობა პატყეთა და ჭირთა მალვად.

u 362-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ვცდილობდი, მაგრამ არ შემიძლო სევდისათვის თავის არიდება; ვიგონებდი (ნესტანს), ცეცხლი უფრო მედებოდა გულზე ალად; ჩემი სწორები ნაეიყოლე, ჩემსას დავეუქე, ალვა არისო, – ამბობდნენ (ჩემს შესახებ), დაეინყე სმა და ნადიმობა ტანჯვისა და ჭირთა დასაფარავად.

368 მოლარემან შინაურმან ყურსა მითხრა ნაუბარი:  
«ქალი ვინჲ იკითხავსო: «ინახვისმცა ამირბარი?»  
ზენართა მოუბურავს პირი, ბრძენთა საქებარი»;  
და ვარქუი: «სანოლს ნაიყვანე, ჩემგან არის ნაწმობარი».

u 363-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა. შ ინახვისმცა (ინახვისცა).

რედაქციამ ააღდგინა ნაკითხვა ინახვისცა; გ-ის ბოლოს ნერტილ-მძიმის ნაცვლად დაისვა ნერტილი.

ს. შ.: შინაურმა მოლარემ (=მსახურმა) ყურში მითხრა: „ვილაც ქალი კითხულობს: „ამირბარის ნახვა შეიძლებაო?“ საბურავით დაუფარავს ბრძენთა საქებარი პირისახე“. ეუთხარი: „სანოლში ნაიყვანე, ჩემ მიერ არის ნახმობი“.

369 ავედეგ, მსხდომნი ნადიმობად აეშხადნეს ასაყრელად;  
შართი უთხარ: «ნუ ასდგებით, მოვალ ხანსა დაუზმულად»;  
გამოვე და სანოლს შეუე, მონა მოდგა კარსა მცველად.  
და გული მივეც თმობა-ქმნათა აუგისა საკრძალველად.

u 364-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: შ უთხარ (უუთხარ).

რედაქციამ შ-ში (შართი უთხარ: „ნუ ასდგებით...“) შართი შეცვალა შარდი ფორმით, რომელსაც მხარს უჭერს ხელნაწერთა აბსოლუტური უმრავლესობა.

ს. შ.: ავედეკი, ნადიმად მსხდომნი მოემზადნენ ასაშლელად; პირობა მივეცი: „ნუ ადგებთ, მოვალ, დიდხანს არ დაეყოვნებთ“; გამოვედი და სანოლში შევედი, მონა კარებზე დადგა მცველად. მოთმინებით აღვიჭურვე სირცხვილისათვის თავის ასარიდებლად.

370 კარსა შევედეგ, ქალი ნინა მომეგება, თაყუნის-მცა;

მითხრა: «მოსლვა თქვენს წინაშე კურთხეულ არს, ვინცა ღირსმცა!»  
გამიკვირდა, მიჯნურისა თაყუანება ექმნა ვისმცა?

და ვთქუი: «არ იცის აშოკობა; თუმც იცოდა, წყნარად ზისმცა!»

უ 365-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა. ოლონდ სტროფის ბოლოს ძახილის ნიშნის ნაცვლად დაისვა ნერტილი.

ს. შ.: კარგები შევედი, ქალი ნონ მომეგება, თაყვანი მცა; მითხრა: „კურთხეულია თქვენთან მოსვლა, ვინც ამისი ღირსი იქნება!“ გამიკვირდა, მიჯნურს ვინ ეთაყვანება? ვთქუი: „არ იცის აშოკობა, რომ სცოდნობა, წყნარად იჯდება“.

371 შევე, დავეუ ტახტსა ზედა, ქალი მოდგა ნობთა პირსა,  
ჩემსა ახლოს დასაჯდომლად თავი მისი არ აღირსა;  
ვარქუი: «მანდა რად ზი შენ, თუ სიყვარული ჩემი გჭირსა?»

და მან პასუხი არა მითხრა, ჩემთვის ჰგვანდა სიტყვატვირსა.

უ 366-თან შედარებით შედარებით პროექტში ცვლილებაა: ა-ში (ცეზურასთან) მძიმეა დასმული ნერტილ-მძიმის ნაცვლად. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: შევედი, ტახტზე დავეუქე, ქალი ნობის კიდეს მოადგა, ჩემს ახლოს დასაჯდომლად თავი ღირსად არ ჩათვალა; ვუთხარი: „მანდ რატომ ზიხარ, თუკი გიყვარვარ?“ მან არაფერი მიპასუხა, თითქოს ჩემთან სიტყვაძვირი იყო.

372 მითხრა: «დღე გვე სირცხვილად, მედების გულსა ალობა:  
გგონია ჩემგან წინაშე მაგისტის მომავლობა,  
მაგრამ ან მიდებს იმედსა შენგან ცდისალა მალობა.

და ამას თუ ღირს ვარ, ვერ ვიტყვი, მაკლია ღმრთისა წყალობა».

უ 367-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მითხრა: „გე დღე (ჩემი) შემარცხვენელია, გულზე ალი მედება: გგონია, რომ მაგისტის მოვედი შენთან, მაგრამ ახლა იმედს მაძლევს შენი მტველობის სიჩქარე. თუ მაგის ღირსი ვარ, ვერ ვიტყვი, რომ ღვთის წყალობა მაკლია“.

## 1975. 14. II

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი.

განიხილეს: 373–377 (პროექტი მოამზადა II).

373 ადგა, მითხრა: «თქვენს კრძალვასა ჩემთვის ცნობა უზნეურია;  
ნუ მეჭუ, რაცა პატრონისა ბრძანებასა უთქმევია;  
ეზომ დიდსა შემართებლად გულსა მისსა უზნეურია,

და ამა წიგნმან გაგაგონოს, ჩემთვის ვისცა უქნეურია».

უ 368-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: დ ამან (ამან). რედაქციამ ს. ცაიშვილისა და ივ. გიგინეიშვილის წინადადებით დ-ში უქნეურისა ნაცვლად მიიღო უმცნეურია, რომელიც დაცულია  $A^3B^{12}$ -ში.

რედაქციამ შეცვალა აგრეთვე სასვენი ნიშნები: ბ-ის ბოლოს დაინერა მძიმე, ხოლო გ-ის ბოლოს ნერტილ-მძიმე.

ს. შ.: ადგა, მითხრა: „თქვენდამი კრძალვას ჩემთვის გონება დაუფანტავს; ჩემზე ნუ იფიქრებ (იბას), რაც პატრონის ბრძანებას უთქმევინებია (ჩემთვის), ასე დიდი რამის

გაბედა მის (=ნესტანის) გულს უნებებია; ამ წერილმა გაგაგებინოს, ჩემთვის ვისაც უბრძანებია.

373,1 მიბრძანა, მოთხრა ამბავი, იცოდა ჩემს ნებისა;

ყურსა მიამბო საბარი ჩემისა გახარებისა;

«შეგყარნე ბოლოდ, ვისიცა შეხედვა გენატრებისა!»

და წიგნი მომართა, გაეპკაზე, კმა უთხარ მიბრუნებისა.

x 506-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ბ მიამბო (მიანბო), გ შეგყარნე ბოლოდ, ვისიცა (შეგყარნა, ბოლოდ ვისიცა); გ ჩასმულია ბრწყყალებში (ტაეპის ბოლოს ტირე ამოღებულია. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: (ასმათმა) მოთხრა ამბავი, იცოდა ჩემი სურვილი; ყურში მოთხრა ჩემი გასახარელი ამბავი: «საბოლოოდ შეგყრი იმას, ვისი შეხედვაც გენატრება!» წერილი მომართვა, გაეამზადე (ნასასვლელად), ეუთხარი წასულიყო.

373,2 გამიკურდა, შემეზარნეს: «ესე რამან ათქმევინა?!

ონ მოვოაო სადაურმან, სადით მიცნობს იგ მე ვინა?!

მის მგონესა ყოფა ჩემი ერთობ სრულად დამკარგვინა;

და წუ ყოს ღმერთმან, მისად ნაცვლად მზეცა მომზუნდეს, მინდა მინა!»

x 507-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ა შემეზარნეს: «ესე (შემეზარნეს, ესე); ა-ს ბოლოს წერტილ-მძიმის ნაცვლად დასმულია კოთხვისა და ძახილის ნიშანი, ბ-ის ბოლოს ძახილის ნიშანს წინ მიენერა კოთხვის ნიშანიც; გ-ის ბოლოს მძიმის ნაცვლად წერტილ-მძიმეა; დ-ის ბოლოს წერტილის ნაცვლად დასმულია ძახილის ნიშანი და დახურულია ბრწყყალები.

რედაქციამ დ-ში მინდა-ს ნაცვლად მიიღო გინდა. პროექტი ამ ცვლილებით მიღებულ იქნა. მოგვიანებით ბ-ის მეორე ნახევარი (სადით მიცნობს იგ მე ვინა?! ასე შეიცვალა: სადით მიცნობს იგ მე, ვინ-ა.

ს. შ.: გამიკურდა, შემზარა: «ეს რამ ათქმევინა?! სადაურმა ვინ მიპოვა, ის მე საიდან მიცნობს, ვინა?! მასზე (=ნესტანზე) მოფიქრალს თავი სრულად დამკარგვინა; ღმერთმა წუ ქნას, მის ნაცვლად მზეც რომ მერგოს, გინდა მინანქარი.

374 წიგნი ვნახე, მისი იყო, ვისი მდაგავს ცეცხლი გულსა;

მოენერა მზისა შუქსა: «წუ დაიჩენ, ლომო, წყლულსა!

მე შენი ვარ, წუ მოპკუდები, მაგრა ბნედა ცული მძულსა,

და ან ასმათი მოგასწენებს ყველაკასა ჩემგან თქმულსა.

u 369-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ბ-ის ბოლოს წერტილ-მძიმის ნაცვლად დასმულია ძახილის ნიშანი. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: წერილი ვნახე, იმისი იყო, ვისი ცეცხლიც გულს მიდაგავს; მოენერა მზის შუქს (=ნესტანს): «ლომო, წყლულს წუ დაიჩენ! მე შენი ვარ, წუ კედები, მაგრამ ამაო დაბნედა მძულს. ახლა ასმათი მოგასწენებს ყველაფერს, ჩემს ნათქვამს.

374,1 ასმათ დგას ჩემთვის მისისა წიგნისა წასაკითხავად;

თქვა: «ძოდან შენი ამბავი მოთხრიან, ვისცა ეპკოთხ, ავად.

გიბრძანებს: მესმის, მოვლენო ლაშქარნი შენად შკოთხავად.

და ლომსა მით მართებს ვაგლახი, თუ მისი თავი ითხა ვად».

x 509-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ბ თქვა: «ძოდან (თქვა: ძოდან), ეპკოთხ, ავად (ეკოთხ ავად), გ გიბრძანებს: მესმის, მოვლენო ლაშქარნი (გიბრძანებს, –

მესმის მოვლენო, ლაშქარნი); დ-ის ბოლოს დახურულია ბრჭყალები. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ასმათი დგას ჩემთვის მისი (=ნესტანის) წერილის წასაკითხად: თქვა: „ამას წინათ ვისაც ვკითხე შენი ამბავი, მოთხრეს, ცუდადდაო, გიბრძანებს: მესმის, შენს საკითხავად მოლაშქრეები მოდიანო. ლომს იმიტომ მართებს ვაგლახი, რომ თავისი თავი გაითხავა (თხად აქცია)“.

375 ბედითი ბნედა, სიკვდილი რა მიჯნურობა გგონია?

სჯობს, საყუარელსა უჩუენუნე საქმენი საგმირონია!  
ხატაეთს მყოფნი ყოველნი ჩუენნი სახარაჯონია,

და ან მათნი ჯაფრნი ჩუენზედა ჩუენგან არ დასათმონია!

უ 370-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ამო დაბნედა და სიკვდილი რა მიჯნურობა გგონია? უმჯობესია, სატრფოს საგმირო საქმეები უჩვენო! ხატაეთში მყოფნი ყველანი ჩენი მოხარკენი არიან, ახლა მათი ჯაფრი ჩვენ მიერ მოსათმენი არ არის!

375,1 ზედ მოსდგომია ასმათი ტარ. . . . .ლსა;

ნიგნი მორათვა იგ მისი, შზე ვერ უდარებს რომელსა;

ხატაეთის წასულა ებრძანა პირსა ელვათა მკროთობელსა;

და გულსა დაედვა იმედი მას ლომსა ველხებურ მტომელსა.

x 509<sup>1</sup>-თან შედარებით არის მხოლოდ B<sup>2</sup>-ში (მინერილია არშიაზე). პროექტში შემდეგი ცვლილებაა: გ-ის ბოლოს ნერტილ-მძიმეა მძიმის ნაცვლად; ა-ს მეორე ნახევარი X-ში ასე იკითხება: ტარ[იელს იქა მჯდომელ]სა.

პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ზედ მოსდგომია ასმათი ტარიელს [...] მორათვა იმისი წერილი, რომელსაც შზე ვერ შეედრება; ხატაეთს წასულა ებრძანებინა ელვის გამომკროთომელ პირს (=ნესტანს); ეფეხივით მტომელ ლომს გულში იმედი ჩაუდგა.

375,2 ... ების აჯოლა ამბავიც . . . . .

...შეგრთაო, ყმისათვის ამას რა შეედრებ[ა]?

ლაშქართა წვეენა უბრძანა საომრად წაყენება.

და ან ნახეთ მისი სიქუელე ანუ ჯელ-ფერჯთა ჯმარება!

არის მხოლოდ B<sup>2</sup>-ში (მინერილია არშიაზე) x 510<sup>1</sup>-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა. გ-ის ბოლოს ნერტილი ზის მძიმის ნაცვლად; დ-ში მძიმე ამოღებულია: სიქუელე ანუ (სიქველე, ანუ). X-ში ა ასე იკითხება: [მასა შეხვდ]ების აჯილა, ამბავიც მოაქეს ზ[არება]; ბ-ის დასაწყისში კითხულობს: [მტერსა]. პროექტი მიღებულ იქნა.

376 შენგან ჩემისა ქმრობისა წინასცა ვიყავ მნდომია,

მაგრა აქამდის საუბრად, კულა ეამი არ მომხუნდომია,

ძოდან ხელქმნილსა გიჭურტდი კუბოსა შიგან მჯდომია,

და მანდა ყუელაჲ მასშია, რაცა შენ გარდაგჯდომია.

უ 371-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: გ მომხუნდომია (მომხდომია).

პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: შენი ქმრობის სურვილი ადრეც მქონდა, მაგრამ აქამდე სასაუბროდ დრო (შემთხვევა) არ მომცემია, ამას წინათ გახელებულს გიყურებდი ტახტრევანში მჯდომი, მანდაური (ამბავი) ყველაფერი გამიგია, რაც შენ თავს გადაგხდომია.

376,1 ამა ამბისა მოსმენა ტარიელს მოალხინებდა,  
მას მოუვიდა ამბავი, რასაცა გულით ინებდა;  
თვალთა, მტირალად ჩვეულთა, ცრემლს აღარ დაადინებდა;  
და ცნობა მიეცა, ჭკუას მიხვდა, ზაგესა გააღიმებდა.

x 511<sup>1</sup>-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ბ თვალთა, მტირალად ჩვეულთა, ცრემლს (თვალთა მტირალად ჩვეულსა, ცრემლს). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ამ ამბის მოსმენამ ტარიელი გაახარა, მას (ის) ამბავი მოუვიდა, რაც გულში სურდა; ტირილს დაჩვეულ თვალებს ცრემლს აღარ ადენდა; გონზე მოვიდა, ჭკუას მოეგო, იღიმებოდა.

377 მართლად გითხრობ, მომისმინე ესე, რაცა მოგაჯენე:  
ნა, შეები ხატელთა, თაუ კარგად გამაჩუნენ!  
გიჟობს, ცუდად ნულარა სტირ, ვარდი კულამცა რად დასტენე?  
და მზემან მეტი რალა გიყოს, ამა ბნელი გაგითენე!»

u 372-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ბ-ის ბოლოს ნერტილ-მძიმის ნაცვლად დასებულია ძახილის ნიშანი. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მართლა გუბნები, მომისმინე, რაც გითხარი: ნადი, ხატაელებს შეებრძოლე, თაუ კარგად მაჩვენე! გორჩენია, ამაოდ ნულარ ტირი, ვარდს (=პირისახეს) ისევ რატომ დაასველებ? მზემ მეტი რალა გიყოს, ამა, ბნელი გაგინათე!»

378 ასმათი მეუბნებოდა უშიშრად, არ მეკრძალოდა;  
ჩემი რა გითხრა, რა ვიყავ, ლხინი რა დამეთუალყოდა!  
გული მი და მო მიარდა, კრთებოდა და მემალყოდა;  
და მით პირი ჩემი გაბროლდა და ღანუი გაილალოდა!»

u 373-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: გ მემალყოდა (მელალოვოდა), დ გაილალოვოდა (გამელალოვოდა).

რედაქციამ დ-ში აღადგინა ნაკითხვა გამელალოვოდა. პროექტი ამ ცვლილებით მიღებულ იქნა.

ს. შ.: ასმათი უშიშრად მეუბნებოდა, არ მერიდებოდა; ჩემზე რა გითხრა, რა ვიყავი, რა ლხინი დამეთვლებოდა (=იმდენი ლხინი მქონდა, რომ არ დაითვლებოდა)! გული მიმდი – მომდიოდა, კრთოდა და მემალებოდა; ამიტომ ჩემი სახე ბროლად იქცა (=გათეთრდა) და ღანვი კი – ლალად (=განითლდა).

379 თვალთა დავიდევე უსტარი მე მისგან მონანურია,  
პასუხად ესწერდი: «მთუარეო, შენმცა მზე ვით მოგერია?  
მე ღმერთმან იგი ნუ მომცეს, რაც არა შენი ფერია!  
და სიზმრად მგონია, დარჩომა ჩემი ვერ დამიჯერია».

u 374-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: თვალზე დავიდევი მისგან მონანური ბარათი. პასუხად ვწერდი: „მთვარეე, შენ მზე როგორ დაგჯაბნის? მე ღმერთმა ის ნუ მომცეს, რაც შენი მსგავსი არ არის! თითქოს სიზმარია, ჩემი გადარჩენა ვერ დამიჯერებია“.

380 ასმათს უთხარ: «მე პასუსხა ამის მეტსა ვერ მიეხუდები,  
ესე ჰკადრე: «რათაგან, მზეო, ჩემთვის ნათლად აღმოქნებდი,  
ამა, მკუდარი გამაცოცხლე, ამას იქით აღარ ვხედვები,  
და რასაცალა სამსახურსა, ვტყუვი, თულა ვერიდები».

უ 375-თან შედარებით პროექტში ცვლილება: ა უთხარ (ვუთხარ), დ ვტყუო (ვტყუო). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ასმათს ვუთხარი: „მე ამის მეტს პასუხს ვერ მოვახერხებ; ეს მოახსენე: „მზუო, რადგან ჩემთვის სინათლედ ამოდინარ, აჰა, მკვდარი გამაცოცხლე, ამას იქით აღარ დადებინდები, ვტყუოდე, თუ რამე სამსახურს მოვერიდო“.

**381** ასმათ მითხრა: „მე მიბრძანა, ესე ექმნათო, ესე სჯობდეს: ვინცა ვნახოს, ჩემგან მისსა საუბარსა ვერა სცნობდეს, ჩემად ნახვად მოვიდოდეს, შენ ვითამცა გამოიკობდეს; და და-ცა-მვედრა: „ამირბარსა უთხარ, ასრე ნამუსობდეს“.

უ 376-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. გიგინეიშვილის აზრით, დ-ში და-ცა-მვედრა-ს ნაცვლად უფრო მართებულია ნაკითხვა და-ცა-მვედრე.

პროექტი მიღებულ იქნა უცვლელად.

ს. შ.: ასმათმა მითხრა: „მე მიბრძანა, ეს გაეაკეთოთ, ეს აჯობებსო: ვინც ვნახავს, ჩემს მასთან საუბარს ნუ გაიგებს, ჩემს სანახავად ისე იაროს, თითქოს შენ გეტრფიადობდეს“; ამირბარს უთხარი, საიდუმლო ასე შეინახოს!

**382** მეკეთა ესე თათბირი, სიბრძნე გულისა მისისა, მისი, მუხსაცა რიდება უქონდის ნახვისა ვისისა; მისგან მომეცა მოსმენა არ საუბრისა მქისისა, და ვისთა შუქთაგან უკუნსა ჰგევანდის სინათლე დღისისა.

უ 377-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა. შინაარსი: მომენონა ეს რჩევა, მისი გულის სიბრძნე, მისი, ვისი ნახვის რიდი მუხსაც უქონდა; იმისგან მოვისმინე არამკვახე (სასიამოვნო) სიტყვები, ვისი შუქისგან დღის სინათლე უკუნს ჰგავდა.

**383** ასმათს მოვართუი რჩეული თუალი ოქროსა ჯამითა; მან მითხრა: „არა არ მინდა, ვარ გამძლარი ამითა“. ერთი აილო ბეჭედი, მართ ანონილი დრამითა: და „ესე კმა ნიშნად, საესე ვარ სხუად ჯელის შესაბამითა“.

უ 378-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. რედაქციამ ბ-ში შეიტანა ცვლილება: „არა, არ მინდა (არა არ მინდა). ამ ცვლილებით პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ასმათს ოქროს ჯამით რჩეული თვლები მივართვი; მან მითხრა: „არა, არ მინდა, ამით გამძლარი ვარ“. ერთი ბეჭედი აილო, დრამის ნონისა (და მითხრა): „ეს საკმარისია სახსოვრად, სხვაფრივ საესე ვარ ხელზე გასაკეთებელი სამკაულებით“.

## 1975. 28. II

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს: 384–387 (პროექტი მოამზადა III ჯგუფმა); 388–390 (პროექტი მოამზადა I ჯგუფმა).



384 ქალი ადგა, წამოვიდა; მე ლახუართა გულსა შრიდეს, ლხინმან ბნელი განმინათლა, დამრტეს, ცეცხლნი რომე მწუტიდეს; შევე, დავეუ ნადიმადვე, ჩემნი სწორნი სადა სმიდეს.

და მზიარულმან საბოძეარი გავეცე, ზამი გაადიდეს.

უ 379-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

რედაქციამ ა-ში წამოვიდას შემდეგ, ნაცვლად ნერტილ-მიძისა, დანერა მიძი; მიძიე დასვა აგრეთვე გ-ის ბოლოს ნერტილის ნაცვლად.

პროექტი ამ ცვლილებით მიღებულ იქნა.

ს. შ.: ქალი ადგა, წავიდა, მე გულს ლახვარი ამცდა, სიხარულმა ბნელი გამინათლა, ჩაქრა ის ცეცხლი, მე რომ მწავდა; შევედი, ისევ სანადიმოდ დავეჯექი, სადაც ჩემი სწორები სვამდნენ, მზიარულმა საჩუქრები გავეცი, ზეიმი გააძლიერეს.

384,1 რა პურობა გარდვიხადე, დარბაზს მიველ მზიარული;  
მეფემ ტკბილად შემომიქცა, დიდი აქენდა სიყვარული;

ნება უსთხოვე, ხატაეთზედ რაზმით მენყო სიარული,

და პბრძანა: „შვილო, აგრე მსჯობსო, შეანანო საქმე მტრული“.

x 519'-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: გ უსთხოვე, ხატაეთზედ რაზმით (უკსთხოვე ხატაეთზედ, რაზმით). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: პურობა რომ გადავიხადე, სამეფო კარზე მივედი მზიარული; მეფემ ტკბილად შემომიქცა, ჩემი სიყვარული დიდი აქონდა; ნება ვთხოვე, ხატაეთზე რაზმით გამელაშქრა, ბრძანა: „შვილო, ასე სჯობს, რომ მტრული საქმე ანანო“.

384,2 კაცი იქმო გასაგზავნად, ეუბნების, უბრძანებსა;

უთხრა: «იცნობ, ვინცა უწინ ჩუენთუის ჳრმალი მისცეს ნებსა?

რად შესცვლიან ქჳუა-ცნობა, ვარდის ნაცვლად ძეძუს რად ჳკრებსა?

და ჩუენი ბაგი დაიკიდოს, მოიღებდეს ჩუენს წინ ძღუენებსა“.

x 520-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ა გასაგზავნად (გასაგზავნლად), ბ ჳრმალი მისცეს (ჳრმალი მისცენს); დ ძღუენებსა (ზღუენებსა). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: (ტარიელმა) კაცი იხმო (ხატაეთში) გასაგზავნად, ეუბნება, უბრძანებს; უთხრა: „იცნობ (იმას), ვინც ხმაღს მოჳკიდა ხელი ჩუენთან საბრძოლველად? რატომ შესცვლია ქჳუა-გონება, ვარდის ნაცვლად ძეძუს რატომ კრეფს? ჩუენი ხარკი იკისროს, ძღუენი მოგვიტანოს ხოლმე“.

385 გავგზავნე კაცი ხატაეთს და წიგნი ჩემმაგიერი;

მივსწერე: «მეფე ინდოთა არისმცა ლმროულუბარ ძლიერიი

მათი ერთგული გაძღების ყოველი სული მშიერი,

და ვინცა ურჩ ექმნას, იქმნების თავისა არმადლიერი.

უ 380-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ხატაეთში გავგზავნე კაცი და ჩემი წერილი; მივწერე: „ინდოელების მეფე ლეთაებრივად ძლიერიი მისი ერთგული ყოველი მშიერი კაცი გაძღება, ვინც ურჩობას გაუწევს, თავისი თავის მადლიერი არ იქნება.“

386 ჩუენნო ძმანო და პატრონნო, თქუენგან არ გავიშნარებით;

ესე რა ნახთო ბრძანება, აქამცა მოიარებით.

თქუენ თუ არ მოხუალთ, ჩუენ მოვალთ, ზედა არ მოგეპარებით.

და სჯობს, რომე გუნახნეთ, თავისა სისხლთა წუ ეზიარებით».

U 381-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ა. ბარამიძისა და ი. გიგინეიშვილის აზრით, ა-ში ჩუენნო აქ პატრონო-ს განსაზღვრებაცაა. ტარიელი ზრდილობიანად, დიპლომატიურად მიმართავს რამაზ მეფეს.

ს. ცაიშვილსა და ც. კიკვიძეს კი მიაჩნიათ, რომ ჩუენნო აქ მხოლოდ ძმანო-ს განსაზღვრებაა. ტარიელის პატრონი არ იყო რამაზ მეფე და ჩუენნო პატრონო=ო არც მიმართავდა.

პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ჩვენო ძმო და პატრონო, წუ გაგვარისებთ; ამ ბრძანებას რომ ნახავთ, აქ მოდით. თქვენ თუ არ მოხვალთ, ჩვენ მოვალთ, არ მოგუპარებით. სჯობია, რომ გენახოთ. საკუთარი სისხლის (დაღვრის) მონანილე წუ იქნებით!

387 კაცნი გაგზაენენ, მე გულსა უფრო მომეცა ლხინები,  
დარბაზს ვიშუბდი, დამეცო ცეცხლი წუად მოუთმინები;  
მამინ სოფელმან საწუთრო მოუხუის, რაცა ვინები,  
და ან ხელ-მქმნა, რომე საახლოდ მქეცთაცა მოვეწყინები.

U 382-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ა. ბარამიძე: გ-ში (მამინ სოფელმან საწუთრო მოუხუის, რაცა ვინები) საჭიროა კონიექტურა: სოფელმან საწუთრომ მოუხუის, როგორც ეს არის ზოგიერთ გამოცემაში.

პროექტი მიღებულ იქნა უცვლელად.

ს. შ.: კაცები გაგზაენენ, გული უფრო გამიმზიარულდა, დარბაზში (=სამეფო კარზე) ვიშუბდი (ვილხენდი), ჩამიქრა მოუთმინელი ცეცხლი; მამინ წუთისოფელი ამქვეყნიურ სიამოვნებას, რასაც ვინებები, უხვად მაძლევედა, ახლა (ისე) შმაგად მაქცია, რომ მხეცებისთვისაც მოსანყენია ჩემს სიახლოვეს ყოფნა.

388 პირველ გაჭრისა პირება, მერმე დანყნარდეს ცნობანი;  
ჩემთა სწორთაგან იყნიან ჩემს წინა ნადიმობანი,  
მავრა დაშლიდეს ლხინთაგან სურვილთა დიადობანი;  
და ზოგჯერ შემციიან სეუდათა, ეთქუნი საწუთროს ვგობანი.

U 383-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. რედაქციამ ა-ში პირება-ს შემდეგ დასვა წერტილ-მძიმე (პირველ გაჭრისა პირება;) და პროექტი ამ ცვლილებით მიღებულ იქნა.

ს. შ.: პირველად (ველად) გაჭრა დავაპირე; შემდეგ გონება დამინყნარდა; ჩემი სწორები ჩემთან ნადიმობდნენ, მავრამ ძლიერი სიყვარულისაგან ლხინის თავი არა მქონდა; ზოგჯერ სევედა მომიცავედა, საწუთროს ვგობდი”.

389 დღესა ერთსა საწოლს მოვე მეფისა სრით ნამოსრული,  
ვეუ და მასვე ვიგონებდი, არ მიეცა თუალთა რული;  
წინეი მქონდა საიმიედო, ამაღ ვიყავ მზიარული;

და კარის მცველმან მონა იწმო, უთხრა საქმე დაფარული.

U 384-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: დ იწმო (უხმო).

რედაქციამ აღადგინა უწმო. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ერთ დღეს მეფის სასახლიდან ნამოსრული საწოლში მივედი, ვიჯექი და მასზევე (=ნესტანზევე) ვფიქრობდი, თვალებს რული არ მოეკიდა; საიმიედო წერილი მქონდა, ამიტომ მზიარული ვიყავი; კარის მცველმა მონას უხმო, (რალაც) საიდუმლო უთხრა.

390 «მონაო ასმათისი», სანოლს უთხარ შემოყვანა.  
მოენრა: «გიბრძანებსო», ეისი მესუა გულსა დანა.  
ლხინმან ბნელი განმინათლა, ამიფოლხვა ჯაჭუთა მანა,  
და ნავე, მონა ნავიტანე, რამცა უთხარ ამისთანა!

U 385-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ა და დ უთხარ (=ეუთხარ).  
რედაქციამ ა-ს დასაწყისში დასვა ტირე, ხოლო გ-ის ბოლოს – ნერტილი.

ს. შ.: – „ასმათის მონაო“, ეუთხარი, რომ სანოლში შემოყვანა. მოენრა (ასმათის):  
„გინობსო“ (ის), ვისი დანაც გულს მესვა. სიხარულმა ბნელი გამინათლა, რკინის პალო  
ამიფოლხვა (=გულზე მომეშვა). ნავედი, მონა ნავიყოლე, რას ვეტყოდი ამის შესაფერის  
პასუხად!

## 1975. II. IV

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი,  
ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს: 391–399 (პროექტი მოამზადა I ჯგუფმა).

391 ბაღა შეველე, არა დამზუნდა კაცი ჩემი მოუბნარი;  
ქალი ნინა მომეგება მზიარული, მოცინარი,  
მოთხრა: „ეაშად ამოგილე, არ გასუთა გულსა ნარი,  
და მოდი, ნახე ვარდი შენი უფრჭენელი და დაუმჭნარი“.

U 386-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.  
მოგვიანებით დ-ის ბოლოს ნერტილის ნაცვლად დაისვა ძახილის ნიშანი.

შ. ძიძიგური: გ-ში ვაშად ამოგილე ფრაზეოლოგოური შესიტყვება ჩანს. ტაეპში ნარის  
ამოღებაზე არ უნდა იყოს ლაპარაკი.

ს. ცაიშვილი: ამოღება, ამოკრეფა-ს მსგავსად (მდრ. არ ამოკრეფე კიტრად ბერად,  
არ ამოკრეფდი გამყოფთა), შესაძლოა პირდაპირი მნიშვნელობით არ იხმარებოდეს.

ა. ბარამიძე: ამოღება აქ პირდაპირი მნიშვნელობით უნდა გავიგოთ. ასმათი კარგ  
გუნებაზეა და მზიარულად მიმართავს ტარცილს; ამოგილე ეკალი, გულში არ გასკივო.

რედაქცია შემდგომში დაუბრუნდება შეველე ზმნაში ფუძისეული ვ თანხმოვნის ნინ  
S<sub>1</sub> ვ-ის ხმარების საკითხს (იხ. 1974.13.XII-ის ოქმი, სტრ. 332).

ს. შ.: ბაღაში შევედი, ჩემი ხმის გამცემი კაცი არ დამზუნდა; ქალი (ასმათი) ნინ  
მომეგება მზიარული, მოცინარი, მოთხრა: „ბედნიერად ამოგილე, გულში ეკალი არ გასკივო,  
მოდი, ნახე შენი ვარდი გაუფურჩქენელი და დაუმჭნარი!“

392 ამიგდო ქალმან ფარდაგი მძიმე თავისა ძალითა,  
სადა დგა კუბო შემკული ბალახშითა და ლალითა;  
შიგან ჯდა იგი პირითა მზისაებრ ელვამკრთალითა,  
და მე შემომხედნის ლამაზად მის მელნის ტბისა თუჯლითა.

U 387-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ქალმა (ასმათმა) მძიმე ფარდაგი თვითონ (თავისი ძალით) ასწია, სადაც იდგა  
ბადახშითა და ლალით შემკული ტახტრეკანი; ის (ნესტანი) მზესავით შუქის მკრთომელი  
სახით შიგ იჯდა, მე შემომხედავდა ხოლმე ლამაზად იმ მელნის ტბისებრი თვალებით.

393 დიდხანს ვდეგ და არა მითხრა სიტყუა მისსა მონასურსა,  
ოდენ ტკბილად შემომხედნის ვითაშცა რა შინაურსა;  
ასმათ უქმო, მოოუბნეს; ქალი მოდგა, მითხრა ყურსა:

და «ან წადიო, ვერას ვითხრობს», მე კულა მიშცა აღშან მურსა.

უ 388-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: დიდხანს ვიდექი და არაფერი მითხრა მე, მის (ნესტანის) მონატრებულს, მხოლოდ ტკბილად შემომხედავდა ხოლმე, როგორც შინაურს; ასმათი იხმო, მოისაუბრეს; ქალი (ასმათი) მომიახლოვდა, ყურში მითხრა: „ახლა წადი, ვერაფერს გეტყვისო“, მე კვლავ ძლიერი ცეცხლი მომეღო.

394 ასმათი გამომყევა, ნამოვე, ფარდაგი გამოვიარე,  
ვთქუი: «სანუთორო, ვის წელან გული დარმანთა მიარე,  
მაშინ მოგეცა იმედი, ლხინი რად გამიზიარე?»

და გულშან გაყრისა სიძნელე კულა უფრო დამიტარე!

უ 389-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

შ.ძიძიგური: ძველ ქართულში დატევეა||დატევენა ზმნას „ტიკირთვის“, „ატანის“, „დათმენის“ მნიშვნელობა ჰქონდა (იხ. ილ.აბულაძე 1973, 125). ამიტომ დ-ის აზრი, შეიძლება ასე გავიგოთ: გულშან გაყრის სიძნელე კიდევ უფრო იტიკირთა, გაყრის სიძნელე კიდევ უფრო დაუძიმდა გულს.

ს. შ.: ასმათი გამომყევა, ნამოვედი, ფარდაგი გამოვიარე, ვთქვი: „სანუთორო, ვისაც წელან გული მინამლე, მაშინ მოგეცა იმედი, ლხინი რატომ გამიყავი (გამინახვერე)?“ გულს გაყრის სიძნელე კიდევ უფრო დაუძიმდა.

395 ასმათ ლხინსა მიქადებდა, ჩავიარეთ შიგან ბალი;  
მითხრა: «ეგრე წასლისათუის ნუ გაჩნია გულსა დალი,  
სიძიძილთა ერდო დაქაშ, სიხარულის კარი ალი;

და სირცხული აქუს საუბრისა, მერმე თაესა ჰკრძალავს ლალი».

უ 390-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა. მოგვიანებით გ-ის ბოლოს ნერტილ-შიძმე შეიცვალა ძახილის ნიშნით.

ს. შ.: ასმათი ლხინს მიჰრდებოდა, ბალი ჩავიარეთ; მითხრა: „ეგრე წასვლის გამო გულს ნუ დაიდალავ, მწუხარების ერდო დახურე, სიხარულის კარი გააღე! (ნესტანს) საუბრისა რცხვენია, მერმე თაეს იკაეებს ლალი“.

396 მე უთხარ: «დაო, შენგან ვეჭუ ამა გულისა ნამალსა;  
ზენაარ, სულთა ნუ გამყრი, ამბითა შრეტდი ამ აღსა,  
ჩემთანა ნიგნსა ნუ გასწყუდ შენ ზედა-ზედა მავალსა;

და თუ რას სცნობ ჩემოთის, არა ვეჭუ მე შენგან, არ, დანამალსა».

უ 391-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ა უთხარ (ვუთხარ). პროექტი მიღებულ იქნა. მოგვიანებით გ-ის ბოლოს ნერტილ-შიძმე შეიცვალა ძახილის ნიშნით.

ს. შ.: მე ვუთხარი (ასმათს): „დაო, შენგან ვფიქრობ ამ გულის ნამლის მიღებას (=გულის განკურნებას); გაფიცებ, სულს ნუ გამყრი (=ნუ მომკლავ), (ნესტანის) ამბით დამიშრიტე ხოლმე ეს ალი, ჩემთან ნერიღს ნუ განყევტ, ზედიზედ გამომიგზანე! თუ ჩემთვის რემეს გაიგებ, არა მგონია, რომ დამიშალო“.

397 შევეჯე, ნამოვე, მდიოდა ნაკადი ცრემლთა მლისა;  
სანოლს შემოვე, ხელქმნილსა ღონე არ მქონდა ძილისა,

ბროლი და ლალი შევიქმენ მე ულურჯესი ლილისა;

და ღამე მერჩია, მენადა არგათენება დილისა“.

ს 392-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: (ცხენზე) შევეჯექი, წამოვედი, ცრემლის ნაკადი მდიოდა; სანოლში შემოვედი, გახელებულს ძილის ღონე არა მქონდა, ბროლ-ლალისებრი (სახის მქონე) ლილაზე ულურჯები გავხდი; ღამე მერჩია, დილის არგათენება მენადა“.

398 „ხატათოს მყოფნი მოვიდეს, მათგან მოსლვისა დრონია,  
სიტყუანი შემოეთვალნეს ლაღნი და უკადრონია:

„არც რამე ჩუნენ ვართ ჯაბანნი, არც ციხუმაგრონია,

და ვინ არის თქუენი ჭელმნიფე? ჩუნენზედა რა პატრონია?!“

ს 393-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: დ-ის ბოლოს კითხვის ნიშანს მინერილი აქვს ძახილის ნიშანი. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: „ხატათუმი მყოფნი მოვიდნენ, მათი მოსვლის დროც იყო, თამამი და უკადრისი სიტყვები შემოეთვალა (რამაზს). „არც ჩუნენ ვართ ვილაც ჯაბანნი, არც ციხეგაუმავრებელნი, ვინ არის თქუენი ხელმნიფე? რა ჩუენი პატრონია?!“

399 მოენერა: „რამაზ მეფე ნიგნსა გინერ ტარიელსა.

გამიკურდა, რა ენერა ნიგნსა შენგან მონანერსა!

რაგუარა თუ მანდა გეჭმე, ვინ ეპატრონობ ბუერსა ურსა?

და ამის მეტსა ნუმცა ენახე კულალა ნიგნსა შენმიერსა“.

ს 394-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ა ტარიელსა (ტარიერსა).

რედაქციამ რთიმის საჭიროებისა და ხელნაწერთა ჩვენების საფუძველზე აღადგინა ნაკითხვა ტარიერსა. მოგვიანებით დ-ის ბოლოს ნერტილის ნაცვლად დაისვა ძახილის ნიშანი.

ს. შ.: მოენერა: „რამაზ მეფე ნერილს გნერ ტარიელს. გამიკვირდა, რა ენერა შენს მონანერ ნერილში! როგორ თუ მან გეხმე, ვინც ბუერი ღამქერი პატრონი ვარ? ამის მეტი კიდევ არ ენახო შენი ნერილი!“

## 1975. 25. IV

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს: 400–406 (პროექტი მოამზადა ი. ჯგუფმა).

400 უბრძანე წუეეა ღამქართა, გავეზანენ მარზაპანია,  
იგი ვარსკულათა ურიცხუნი მოკრბეს ინდოთა სპანია,  
შორით და ახლოთ ყუელაი მართ ჩემკენ მონასხპანია,  
და ერთობ ღამქართა აიგხო მინდორი, კლდე, კაპანია...

ს 395-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ა უბრძანე (უბრძანე), ბ ურიცხუნი (ურიცხვი), გ ჩემკენ (ჩემკე).

ა. ბარამიძე: ბ-ში ურიცხვ სიტყვის მრავლობითს ხელნაწერთა ჩვენება მზარს არ უჭერს.

გ. კარტოზია: ამ სიტყვის მრავლობითის ფორმა, რომელსაც მხოლოდ 2 ხელნაწერი და ნ. ნათაძის გამოცემა წარმოადგენს, პირვანდელი ჩანს. ურიცხვი მსაზღვრელია სპანი

სიტყვისა და მასთან რიცხვში უნდა იყოს შეთანხმებული, თანახმად „ვტ“-ის ენის ნორმებისა.

ი. გიგინეიშვილი: ტაეპში გვაქვს წინადადების თავისებური კონსტრუქცია: მსაზღვრელი და საზღვრული უშუალო მეზობლობაში არ არიან ერთმანეთთან. ამიტომ შესაძლოა მსაზღვრელი არ ყოფილიყო შეთანხმებული (რიცხვში) საზღვრულთან.

გ. კარტოზია: საფიქრებელია, რომ ამ თავისებურმა კონსტრუქციამ (და ურიცხვ სიტყვის იგი ნაცვალსახელთან მეზობლობამ) შეაპირობა ხელნაწერთა უმრავლესობაში მრავლობითის შეცვლა მხოლოდითად.

დაადგინეს: აღდგენილ იქნეს ნაკითხვა ურიცხვი (წინააღმდეგნი: გ.კარტოზია და ს. ცაიშვილი).

ს. შ.: ვბრძანე ლაშქრის შეყრა, გავგზავნე მარზპანი. შეიკრიბა ვარსკვლავებზე ურიცხვი ინდოთა ლაშქარი, შორიდან და ახლოდან ყველა ჩემკენ გამოიშურა. მთლად ლაშქრით აივოს მინდორი, კლდე, ვინროები.

401 ფიცხლა მოვიდეს, არ ექმნა მათ შინა ხანდაზმულობა;  
აღლუმი ვნახე, მეკეთა ლაშქართა მოკაზმულობა,  
სიჩაუქე და სიკეთე, კეკლუცად დარაზმულობა,  
და ტაიჭთა მათთა სიმაღე, აბჯრისა ხუარაზმულობა.

უ 396-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: დ აბჯრისა (აბჯართა). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ფიცხლად მოვიდნენ, შინ ხანი არ დაუყოვნებიათ; აღლუმი ვნახე, მომენონა ლაშქრის აღჭურვილობა, სიჩაუქე და სიკეთე, მოხდენილად დარაზმულობა, მათი ტაიჭების სისწრაფე, აბჯრის ხვარაზმული ნაკეთობა.

402 ავმართე დროშა მეფისა აღმისა წითელ-შავითა,  
დილასა ვბრძანე გამართვა ლაშქრითა უშუალავითა,  
თავსა ვტიროდი, ვიტყუდი ბედითა მეტად ავითა:  
და „მზე თუ არ ვნახო, არ ვიცი, ვიარო ვითა და ვითა!“

უ 397-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა ა მეფისა აღმითა (მეფისა, აღმითა). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ავმართე მეფის დროშა წითელ-შავი აღმით, დილისათვის ვბრძანე უთვალავი ლაშქრით გასელა, საკუთარ თავს ვტიროდი, ავი ბედის პატრონად მიმარჩნდა თავი: „მზე (=ნესტანი) თუ არ ვნახე, არ ვიცი, როგორ ვიარო, როგორ!“

403 შინა მოვე, დაღრუჯილსა გულსა სევედა მიიფედა,  
თუალთათ, ვითა საგუბარი, ცხელი ცრემლი გარდმოშქეფდა.  
„ბედი ჩემი უბედური, – ვთქუი, თუ, – ჯეროცა ვერ გამეფდა!  
და ხელმან ვარდი რად იჯელთა, რათგან ასრე ვერ მოპკრეფდა?“

უ 398-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ბ საგუბარი (საგუბარით).

მსჯელობის საგანი გახდა ნაკითხვა ბ-ის (თუალთათ, ვითა საგუბარი, ცხელი ცრემლი გარდმოშქეფდა). რედაქციამ აღადგინა ფორმა საგუბარით (წინააღმდეგნი: გ.კარტოზია და ც.კიციძე). ამასთან ი.გიგინეიშვილსა და ც.კიციძეს მიაჩნიათ, რომ ამავე ტაეპის სანყის სიტყვად უნდა იკითხებოდეს თუალთა.

ს. შ.: შინ მივედი, დაღონებულს გულში სევედა გამიმრავლდა, თვლებიდან, როგორც საგუბრიდან, ცხელი ცრემლები გადმოშქეფდა, ვთქვი: „ჩემი უბედური ბედი ჯერაც ვერ“

გამეფდა (=ჩემმა უბედურმა ბედმა ჯერ ვერ გაიმარჯვა)! შმაგმა ვარდი რატომ მოიხელთა, თუ მაინც ვერ მოკრეფდა?"

403,1 შინა მოველ სვედიანი, არ ნადიმად ღვინოს ესმიდი;  
ნამ წაივდი სოფლისაგან, მადლსა ღმერთსა შეესწირვიდი;  
ვერცა ვიჯდი, ვერცა ვივდი, არა ვიცო, რასა ვხმიდი;  
და თობა ვსთხოვე შემოქმედსა, შეუისაქნ ნა-ცა-ვიდი.

x 540-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ბ მადლსა (მადლი), გ ვხმიდი (ვხმბიდი). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: სვედიანი შინ მივედი, არ ვნადიმობდი (ნადიმზე ღვინოს არ ვსვამდი); ნამდაუნუმ გული მიმდოდა, ღმერთს მადლობას ვწირავდი; ვერ ვეჯდებოდი, ვერც ვივდიქ, არ ვიცო, რას ვაკეთებდი; ღმერთს გამძლეობა ვთხოვე, შეუფსთან მივედიოდი ხოლმე.

404 მონა შემოდგა, მივეცი საქმესა გაქორვებულსა;  
ასმათის წიგნი მომართუა მე, მეტად შეჭირვებულსა,  
ენერა: „გიკმობს შენი შზე შენ, მისთვის მოსურვებულსა,  
და მოდი, სჯობს მანდა ტირილსა, საქმესა ბედით ვეპულსა“.

u 399-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მონა შემოვიდა, მე გამოვიკირდა (გაკვირვებას მივეცი); ასმათის წერილი მომართუა მე, მეტად შეწუხებულს, ენერა: „შენი შზე (=ნესტანი) გიხმობს შენ, მის მონატრულს, მოდი, მანდა ტირილსა (და) უსარგებლო ვაებას (ეს) სჯობს“.

404,1 მიამა, უფრო გაეხელდი საქმისა მოუმზადარია,  
მადლი შეკადრე უფალსა, ვააჟე ზენაარია;  
მზესა ევშაპი შეიპყრობს, მე მისად მსგავსად ვარია.  
და დაეაგდე სრისა ადგილი, ბალისა ულაჯე არია.

x 542-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა ბ ზენაარია (ზენენარია), დ ადგილი (ალაგი). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მიამა, უფრო გაემშაგდი საქმის მოუმზადარი, ღმერთს მადლობა შევწირე, მფარველობა ვთხოვე; მზეს რომ ვეშაპი შეიპყრობს, ისე ვიყავი. დაეტოვე სასახლე, (ნესტანის) ბალში მივედი.

405 ვითა მმართებდა, ეგ ზომი რამცა ვით გავიხარეო!  
შელამდა, ნავე, ბალისა მე კარი შევიარეო;  
სად ასმათ პირველ მენახა, მუნვე ჩნდა მდგომიარეო,  
და სიცილით მითხრა: „ნამოველე, მოგელის ლომსა მთუარეო“.

u 400-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ი. გიგინეიშვილის წინადადებით, ა-ში ორპირიანი მმართებდა ზმნის ნაცვლად მიღებულ იქნა ერთპირიანი მართებდა.

ი. გიგინეიშვილისა და ე. მეტრეველის აზრით, დ-ში უნდა იკითხებოდეს მიგელის. რედაქციამ დატოვა მოგელის ფორმა.

ს. შ.: როგორც შესაფერი იყო, იმდენს როგორ გავიხარებდი! შელამდა, ნავედი, ბალის კარი შევიარე; სადაც პირველად მენახა ასმათი, იქვე მდგომი ჩანდა, სიცილით მითხრა: „ნამოდი, ლომს მთვარე (=ნესტანი) მოგელისო“.

406 შემაველო სახლი, ნაგები კეკლუცად ბანისბანითა;

გამოჩნდა მთარე ნათლითა გარე შექმონავენითა,  
ფარდაგსა შიგან მჯდომარე შესამოსლითა მწუნითა,  
და საკრძალავი და ღარიბი, უცხო პირითა, ტანითა.

u 401-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა. დ პირითა, ტანითა (პირით და ტანითა). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: შემოყენა ლამაზად ნაგებ ბანებიან სახლში: გამოჩნდა გარედან ნათლით შექმონავენი (საესე) მთარე (=ნესტანი), ფარდაგს შიგნით მწუნე შესამოსლით მჯდომი, მოსარიდებელი და სწორუპოვარი, საუცხოო სახითა (და) ტანით.

## 1975. 16. V

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს: სტროფები: 407; 408 (პროექტი მოამზადა II ჯგუფმა); 409-412 (პროექტი მოამზადა III ჯგუფმა).

407 შეე, ნავედგ ნოხთა პირსა, მე დამინყო ცეცხლმან შრეტად,  
გულსა ბნელი გამინათლდა, ზედა ლხინი ადგა სუეტად.  
მას ბალიში შემოეგდო, მზისა შუქსა სჯობდა მეტად,  
და ჩემგან პირსა იფარეიდა, აიხედნის ნამის ჭურეტად.

u 402-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ბ გამინათლდა (განმინათლდა). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: შეედი, ნოხის პირას ნავედექი, ცეცხლი ნელ-ნელა ჩამიქრა, გულში ბნელი გამინათლდა, სიხარული სვეტად დაადგა. მას ბალიში შემოეგდო, (ნესტანი) მზის შუქს ბევრად სჯობდა, ჩემგან სახეს იფარავდა, წამით თუ შემომხედავდა ხოლმე.

408 უბრძანა, თუ: „მოაწუნე, ასმათ, დაჯდეს, ამირბარსა!“  
მან ბალიში დამართებით დადგა მას შზედ საქებარსა.  
დავეე, მივეც გულსა ლხინი, საწუთროსა დამემოზარსა;  
და მიკურის, სულნი რაღა მოდგან, ვიტყუო, მისგან ნაუბარსა!

u 403-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: (ნესტანმა) უბრძანა (ასმათს): „ასმათ, უთხარი ამირბარს, დაჯდეს! ასმათმა შზედ საქებარის (ნესტანის) პირდაპირ დადო ბალიში. დავეეცი, საწუთროს დამემოზარ გულს ლხინი მივეცი (=გავიხარე). მიკურის, სული რატომღა მოდგას, მის ნათქვამს (რომ) ვამბობ.

409 მიბრძანა: „ძოღან გენყინა გაშუება უუბარისა,  
მზემან გაყრითა დაგაჭნე, უთა ყუაილი ბარისა;  
დაგსჯიდა დენა ცრემლისა, ნარგისთათ ნაგუბარისა,  
და მაგრა წაშს ჩემგან სირცხული და რიდი ამირბარისა.

u 404-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ა. ბარამიძე: ა-ს გაშუება – სიტყვას ხელნაწერებში აქვს ვარიანტი გაგზავნა. საფიქრებელია, ეს იყოს პირველადი ნაკითხვა.

ც. კიკვიძე: გაგზავნა რაღაც მიზნით გაშუებას ნიშნავს, რაც კონტექსტით შეუფერებელია.



ი. გიგინეიშვილი: გაგზავნას ძველად, როგორც ჩანს, გაშვების მნიშვნელობაც უკონდა.

გ. კარტოზია: „უტ“შივე გვაქვს ამის მაგალითები: რამაზს უბრძანეს: „იცილი, გაგზავნით შეწყალეხვალს...“ 163გ და სხვ.

ა. ბარამიძე: მასადაძმე, ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ტიპში ადრე ეკვონდა გაგზავნა და შემდეგ გადაკეთდა გაშუება ფორმით.

ე. მჭერეველი: პროცესი შეიძლება სხვაგვარადაც აიხსნას, პოემის გადამწერებისთვისაც გაგზავნა-ს მნიშვნელობა ორივე მომენტს შეიცავდა (უბრალოდ გაშუება და რალაც მიზნით გაშუება) და, ალბათ, ამან განაპირობა გაშუების გადაკეთება გაგზავნად.

დაადგინეს: დარჩეს ნაკითხვა – გაშუება (წინააღმდეგინი: ა.ბარამიძე, ი.გიგინეიშვილი, შ.ძიდიგური.

ს. შ.: მითხრა: „ამას წინათ გენყინა უბრად გაშუება, მზემ (ე.ი. მე) გაყრით როგორც ბარის ყვავილი დაგაჭანე, დაგსჯიდა ნარგიზებიდან (=თვალეზებიდან) დანაგუბები ცრემლის დენა, მაგრამ ჯერ არს ჩემგან ამირბარის მიმართ მორცხვობა და მორიდება.“

410 თუცა მართებს დედაკაცსა მამაცისა დიდი კრძალვა,  
მაგრა მეტად უარუა არათქმა და ჭირთა მალვა;  
მე თუ ზუპირ მიცინია, ქვექვე მითქვამს იღუმალ ვა;  
და ძოღან ქალი გამოვგზავნე, ექმენ მართლისა შემოთუალვა.

უ 405-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

რედაქციამ დაადგინა, შერწყმულად (დეფისის გარეშე) დაინეროს ზეპირ.

ა. ბარამიძეს და ც. კიკვიძეს მიაჩნიათ, რომ ზეპირ, როგორც გამოხატვისი, უნდა დაინეროს დეფისით, რომ არ აიროს ზეპირ (=ახ.ქართ. ზეპირად) სიტყვაში. გიგინეიშვილის აზრით, გ-ის ბოლოში უნდა დაინეროს ვაჰ, რედაქციამ უცვლელად დატოვა ამ სარითმო სიტყვის დაწერილობა.

ს. შ.: თუმცა ქალს კაცის დიდი მორიდება მართებს, მაგრამ უფრო უარესია უთქმელობა და ჭირის დამალვა: მე თუ გარეგნულად (დასანახავად) მიცინია, გულში ვი მითქვამს; ამას წინათ ქალი გამოვგზავნე, სიმართლე შეგატყობინე.

411 ერთმანერთისა, მას აქათ, რაცა ორთავე ვიცითა,  
ანცა მიცოლი საშუნოდ მითვე პირითა მტკიცითა;  
ამას შესჯერდი დოღითა ზენაართ და ფიცითა.  
და გეცრუო, ლმერთმან მონა მქნას, ნუმცა ცხრითავე ვზი ცითა!

უ 406-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: გ შესჯერდი (შესჯერდი).

რედაქციის ნევრებმა აღნიშნეს, რომ გ-ში შესჯერდი ფორმა, რომელიც ეჭიჭინადის გამოცემიდან დამკვიდრდა პოემის ტექსტში, კონიექტურაა. ყველა ხელნაწერსა და ადრინდელ გამოცემებში ეს ზნა იკითხება პირველი პირის ფორმით. რედაქციის ნევრებს სარწმუნოდ მიაჩნიათ ი.გიგინეიშვილის მოსაზრება, რომ ტექსტში უნდა აღდგეს შესჯერდი, რომელიც აქ წინააღმდეგ: „ვირწმუნე, გადაწყვიტე“.

გ. კარტოზია: გ-ში ნაცვლად ზენაართ ფორმისა უნდა მივიღოთ ზენართა, როგორც რედაქციათა უმრავლესობაშია და ბოლო ხანებამდე (1966 წლამდე) იბეჭდებოდა გამოცემებში. პოემის ტექსტზე დაკვირვება საშუალებას იძლევა გარკვეული კანონზომიერება დავადგინოთ ზენად და ზენარ ფუძეთა ხმარებაში. ნათესაობით, მოქმედებით და ვითარებით ბრუნებები (ე.ი. იმ ბრუნებში, სადაც ფუძის კუმშვა ხდება)

გვაქვს „უსრული“ ზენარ ფუძე: ზენარისა, ზენარითა, ზენარად (შდრ. აგრ. ზენარობით), ხოლო იმ ბრუნვებში, რომლებშიც კუმშვა საერთოდ არ ხდება, მუდამ „სრული“ ფუძეა: ზენარ, ზენარი, ზენარსა. ამის გათვალისწინებით უნდა გასწორდეს ერთი სხვა ტაეპი: შენ არ გატყნა კარგი გჭირს ზენარისა, ფიცისა, 697. ზოგიერთი ხელნაწერის ჩვენების მიხედვით უნდა ნაეიკითხოთ: ზენარისა და ფიცისა.

შ. ძიძიგური: 410-ში ზენარითა უნდა, უეჭველია. ემფატიკური ხმოვანი მოქმედებით ბრუნვასთან აქ აუცილებელია.

ი. გიგინეიშვილი: ამ ტაეპში ზენარითა ფორმის უპირატესობა, მართლაც, ეჭვს არ იწვევს. ზენარ და ზენარ ფუძეთა ხმარებაში შენიშნული კანონზომიერების არსებობა დამაჯერებელი არ ჩანს და ყველგან მის მიხედვით ვერ გავმართავთ ტექსტს. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა მივიღოთ ის ფორმა, რომელსაც მოითხოვს ლექსი.

დაადგინეს: გ-ში მიღებულ იქნეს ნაკითხვა – ზენარითა და ფიცითა.

ს. ცაიშვილი: დ-ში ნაცვლად ნაკითხვისა ცხრითავე უნდა მივიღოთ შეიდათვე, როგორც ეს გვაქვს ერთადერთ ხელნაწერში. როგორც ცნობილია, რუსთველი ცხრა ცა-ს არ იცნობს, მასთან ჩვეულებრივ შვიდი ცა გვხვდება.

ა. ბარამიძე: ცხრა ცა ჩვეულებრივია შუასაუკუნეების მწერალთა წარმოდგენაში (შდრ. დანტე და სხვ.).

ი. გიგინეიშვილი, შეიდათვე ფორმა გრამატიკულად მოულებელია: შეიდათვე ცითა შეუძლებელი გამოთქმაა.

დაადგინეს: დარჩეს ნაკითხვა – ცხრითავე.

ს. შ.: მას აქეთ, რაც ორივემ ერთმანეთისა ვიცით, ახლაც საშენოდ მიგულე იმავე მტკიცე პირობით, ეს გადაწყვიტე დიდი ფიცით. თუ მოგატყუო, ღმერთმა მინად მაქციოს, ცხრა ცათაგან ნურც ერთში ნუ დაფუძები (=ცხრავე ცა ჩემთვის დახშული იყოს)!

412    ნა, შეები ხატაელთა, ილაშქრე და ინაპირე;  
          ღმერთმან ქმნას და გაგიმარჯუდეს, მორჭმულიმცა ჩემ კერძ ირე!  
          მაგრამ რა ექმნა, კულაცა ნახვა მომხუდებოდეს შენი ვირე?  
          და გული მომეც გაუყრელად, ჩემი შენთვის დაიჭირე!”

უ 407-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

გ. კარტოზია: ბ-ში ირე ზმნასთან სუბიექტი მოთხრობითში უნდა დაისვას; მორჭმულმანმცა ჩემ კერძ ირე! ასევე მოთხრობითში უნდა შეენყოს სუბიექტი იროს ზმნასაც: მერმე მანცა ჩემ კერძ იროს, 873z.

ი. გიგინეიშვილი: მართალია, ირე გარდამავალი ზმნაა და, ამდენად ქვემდებარე მოთხრობითში უნდა შეენყოს, მაგრამ, რადგანაც პირდაპირი ობიექტი დაკარგული აქვს, ქვემდებარის დასმა სახელობით ბრუნვაში მოულოდნელი არ არის. შდრ. დიალექტური (გურული) კაცი გაიარა.

დაადგინეს: დარჩეს ნაკითხვა: მორჭმულიმცა ჩემ კერძ ირე.

ს. შ.: ნადი, შეებრძოლე ხატაელებს, ილაშქრე და ინაპირე [=მოსაზღვრე ქვეყანა (ხატაეთი) დალაშქრე], ღმერთმა ქმნას, გაიმარჯვო, ძღვევამოსილი წამოხვიდე ჩემკენ! მაგრამ რა ექნა, ვიდრე შენი ნახვა კიდევ მელირსებოდეს? გული მომეცი განუშორებლად, (ხოლო) ჩემი კი შენ გქონდეს!”

სდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განხილეს სტროფები: 413-418 (პროექტი მოამზადა III ჯგუფმა); 418,1-426 (პროექტი მოამზადა I ჯგუფმა).

413 მოუაჯსენე: „არ მენყალვის თაეი შენთუის დასანუელად, მაგრა რათგან დამარჩინე, არ გამოსჩნდი ჩემად მკლელად, შენ სინათლედ თუალთა ჩემთა მიჩნდე, მზეებერ სანახველად, და ან შევება ხატაელთა, მუნ გამოეჩნდე ლომი ქველად.“

u 408-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

რედაქციამ გ-ში მძიმე წინ გადმოსვა: შენ სინათლედ თუალთა ჩემთა, მიჩნდე მზეებერ სანახველად.

ს. შ.: უთხარი: „შენ გამო თაეი დასანუეად არ მებრალება, მაგრამ, რადგან გადამარჩინე (სიკვიდის), ჩემ მკლელად არ იქეცი, შენ მიგინევე ჩემ თვალთა სინათლედ, მზესაკით სანახუეად. ახლა შეეებრძოლები ხატაელებს, იქ გამოეჩნდები ლომი ქველად (მამაცად).“

413,1 მიბრძანეთ, მიჯმეთ, გაახელ, ბალსა ერგო მარგალიტები“.

ტურფამან წარბი ახარა: „ტარიელ, რას იჭურიტები?“

წელს ვარდი ძირად მოსურულა, შენგან არ მოეჩნყოტები“.

და თაფლისა ნაცულად ნაელემან გულსა შემიკრა ფიტები.

x 552-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: დ ნაელემან (ნალველმან); გ-ის ბოლოს მძიმის ნაცულად დასმულია კუთხოვანი ბრჭყალები და წერტილი. დ-ის თვისა და ბოლოში მოშლილია კუთხოვანი ბრჭყალები. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: „მიბრძანეთ, მიხმეთ, (მეც) გეახელით, რომ ბალში მარგალიტები დავრგო“ . ტურფამ (=ნესტანმა) წარბი აზიდა: „ტარიელ რას იჭურიტები? წელს ვარდი ცოტა მოსულა, შენი მოსანყვეტი არა ვარ“ . ნალველმა გულზე თაფლის ნაცულად ფიტი (=თაფლის ნაჩენჩი) შემიკრა.

413,2 ხატაელმან წიგნი მკადრა და პასუხი მართებს ვითა!

ლაყბიანი, საუკადრო, დანერილი ილაითთა:

„მეფე შენ სადათ გუიცილობს, რად გარისხდა ჩუენთუის, ვითა?“

და კულავ სოფელი ლხინთა ნაცულად ბოლოდ მოაკრეფს სიავითა.

x 553-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ბ ლაყბიანი, საუკადრო, დანერილი (ლაყბიანი საუკადრო დანერილი). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: „ხატაელმა (=მეფე რამაზმა) წერილი გამომიგზავნა და შესაფერისი პასუხი ეკუთვნის! სალაყბო, უკადრისი, ეშმაკურად დანერილი: „შენი მეფე საიდან გეიცილობს, რატომ და როგორ გაგვირისხდა?“ წუთისოფელი ლხინის ნაცულად ბოლოს ისევ სიავეს კრეფს.“

414 ან რასაცა მე მაღირსებ, ჯორციელი არა ღირს-ა;

მონყალება იქითა, ღმრთისა აჰად არა მჭურისა;

შენთა შექთა შემომადგამ, ბნელსა გულსა ზედა მჭურისა,

და შენი ვიყო, სადამღისცა დამიყოფდეს შინა პირსა.

U 409-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა; მოგვიანებით ა-ში ღირსა დაინერა უდფისოდ.

ს. შ.: ახლა რასაც მაღირსებ, ხორციელს არ ღირსებია; (ღეთის მოწყალეა უეცარია, ამიტომ ღეთისაგან არ მიკვირს; შენს შუქს მომაფენ, ბნელ გულზე სხივად მადგას (=ბნელ გულს მინათებს). შენი ვიქნები, სანამ მინა პირს მიყოფდეს (შთანთქმავდეს)".

415 ზედა წიგნსა საფიცარსა შეეპოცე და შემომფიცა,  
მისგან ჩემი სიყვარული ამით უფრო დაამტკიცა:  
„უშუროსა მოწონება ვისიმცაო გულსა მცია,  
და ღმერთი მომკლავს, ამას იქით თავსა ვეტყუი, ამას ესწუროცა“.

U 410-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს.შ: საფიცარ წიგნზე შეეფიცე და შემომფიცა, ამით უფრო დაამტკიცა თავისი სიყვარული ჩემდამი. „შენ გარდა ვისიმე მოწონება გულში თუ მექნება (=თუ შენ გარდა სხვას ვისმე მოწონებ), ღმერთი მომკლავს, ამიერიდან ამას ვეუბნები ჩემს თავს, ამას ვასწავლი კიდევ“.

416 დავეყავ ხანი მას წინაშე, ერთმანერთსა ვეუბნით,  
ვჭამეთ ამო ხილი რაშე, სიტყუანცა ტკბილი ვთქუენით,  
მერმე ავდეგ წამოსავლად ტირილით და ცრემლთა დენით.  
და მისთა შუქთა შუენებანი ნათლად მადგეს გულსა ფენით.

U 411-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

გ. კარტოზია: ა-ში საყურადღებოა C<sup>5</sup>-ის ნაკითხვა ვეუბნებით. ამ ძველი ფორმის წარმოჩენა ის ნუსხაში, რომლის გადაშენი დიდი მნიშვნელობით არ გამოირჩევა, მის პირველადობას უნდა მოწმობდეს.

შ. ძიძიგური, ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი წინააღმდეგი არიან ტექსტში არქაული ფორმის აღდგენისა.

დაადგინეს: დარჩეს ნაკითხვა – ვეუბნით.

ს.შ: მასთან (=ნესტანთან) ხანი დავეყავი, ერთმანეთს ვესაუბრეთ, გემრიელი ხილი ვჭამეთ, სიტყვებიც ტკბილი ვთქვით, მერმე ავდექი წამოსასვლელად ტირილით და ცრემლების დენით. მისი შუქის მშვენება გულზე ნათლად მეფინებოდა.

417 მემწელეზოდა სიმორე მისი, ბროლ-ბაღაშ-მინისა,  
მე გამიახლდა სოფელი, მქონდა სიმრავლე ლხინისა;  
ჩემად ჩნდა იგი სინათლე ვთერთ მზედ ნაჩინისა,  
და ან მიკვირს, მისსა გამყრელსა გული მოც კლდისა ტინისა.

U 412 პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მისი, ბროლ-ბაღაშ-მინის (=ნესტანის) სიმორე მიწნელეზოდა. ამქვეყნიური ცხოვრება გამიახლდა, მომემატა სიხარული; ეთერიდან მზედ გამოჩენილი სინათლე ჩემთვის ჩანდა (ანათებდა). ახლა მიკვირს, მისგან განშორებულს ტინი კლდის გული მაქვს!“

418 დილასა შევევე, უბრძანე: „ჰკარით ბუქსა და ნობასა!“  
სრულთა სპათასა ვერ გითბრობ არ შესახდომლად შობასა,  
ლომმან მივმართე ხატეთს, ვერეონ მიზრახავს ჯრდლობასა,  
და უგზოსა ვლიდეს ლაშქარნი, არ გაივლიდეს გზობასა.

u 413-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა. ა უბრძანე (უბრძანე). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: „დილით (ცხენზე) შევეჯექი, უბრძანე: „დაუკარით ბუკი და საყვირი (=სალაშქროდ მზადყოფნის ნიშანი მიეცით)!“ ვერ გეტყვი, რომ მთელი ლაშქარი მზად არ იყო ასამბდრებლად (=მთელი ჯარი მზად იყო სალაშქროდ). ლომი (=მე) გავემართე ხატათს, ვერაწინ მისაყვედურებს დედლობას, უგზო [ადგილებში] მიდიოდა ლაშქარი, გზას არ მიპყვებოდა.

ი. გიგინეიშვილის აზრით, გ-ში ნაცვლად ნაკითხვია – არ შესასხდომლად მზობასა – უნდა: არ შესხდომისა მზობასა, როგორც ეს C<sup>4</sup>-სა და ზ-ში გვაქვს.

418,1 მათ ლაშქართა სიმრავლითა მთა და ბარი აღლუღების;

სავაზროდ შეიჯარნეს, მოციწარედ ეუბნების:

„ჩვენ ნუ ვიტყვით სიტყვას მკუხასა, შემოქმედსა ეწყინების,

და ბარი კლდედ და კლდე მინდორად მისით თქმითა შეიქნების“.

x 559-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მოლაშქრეთა სიმრავლით მთა და ბარი დულს; სათათბიროდ შეგროვდნენ, გაცინებული ეუბნება: „ჩვენ უკმეხ სიტყვას ნუ ვიტყვით, ღმერთს ეწყინება, მისი თქმით ბარი კლდედ იქცევა, კლდე კი – მინდვრად“.

419 დაეაგდე ზღვარი ინდოთა, შევლო პაშტაი ხანია;

რამაზის კაცი მემთხუთა, ვინ ხატათის ხანია,

მან მითხრა მოციქულობა გულისა მოსაფხანია:

და ჩვენთა შევლთაცა დასჭამენ თქვენნი, ინდოთა, თხანია.

u 414-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: დ თქვენნი, ინდოთა, თხანია (თქვენნი, ინდოთა თხანია). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ინდოეთის საზღვარი დაეტოვე, საკმაო ხანი მევლო; რამაზის, ხატათის ხანის, კაცი შემომხვდა, მან გულის მოსაფხანი დანაბარები მითხრა: „ჩვენს მგლებსაც დაჭამენ თქვენი, ინდოელების, თხები“.

420 მე შემომძღუნეს რამაზისგან ძღუნად საჭურჭლე საშინელი,

მითხრეს, გაადრებს: „ნუ ამოგუნყუნედ, არის შენგან არსაქმნელი,

ზენაარი გამოგუილე, მით გუამბია ყელსა წუნლო,

და მოურბევლად მოგაქსენთ თაენი, შეილნი, საჭონელი.

u 415-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ბ მითხრეს, „გკადრებს (გითხრობს, გაადრებს).

ი. გიგინეიშვილი: დ-ში ნაცვლად მოურბევლად ფორმისა საჭიროა მივიღოთ რიგ ხელნაწერში დაცული მაურვებლად. ტაეპის აზრი ასე უნდა გავიგოთ: საპატრონოდ მოგართმევთ ჩვენს თავს, შეილებს, საჭონელს.

ს. ცაიშვილი: აქ ნათელი სურათია: რამაზი უთვლის ტარიელს: ნუ დაგვარბევთ და ისე მოგართმევთ. სამი რედაქცია მოურბევლად-ს უჭერს მხარს. მაურვებლად მხოლოდ C რედაქციის ნუსხების სიახლეა. გ. კარტოზია: მაურვებლად აქ შინაარსობრივად შეუფერებელია. ტაეპში საპატრონოდ მორთმევაზე რომ იყოს ლაპარაკი, უნდა გვექონოდა საურვებლად.

დაადგინეს: დარჩეს ნაკითხვა – მოურბევლად მოგახსენნეთ.

ს. შ.: მე რამაზისგან ძღვნად მომართვეს დიდი განძი, მითხრეს: „მოგახსენებს: „ნუ ამოგენყვეტ, არ არის შენი საკადრისი საქმე, ფიცი ჩამოგვევართვი, ამიტომ გვაბია ყელზე წნელი (=მორჩილების ნიშანი), დაურბევლად ჩაგაბარებთ თავს, შვილებს, საქონელს.

421 რაცა შეგცოდეთ, შეგუინდევ, თუთი ჩუენვე შეგუინანია;  
თუ ღმრთულეზრ შეგუინყალეზრდეთ, აქა ნუ მოვლენ სჰანია;  
ქუეყანა ჩუენი არ ასწყდეს, რისხვით არ დაგუტყდენ ცანია;  
და შენ მოგცეთ ციხე-ქალაქი, მოგყენენ ცოტანი ყმანია».

უ 416-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

გ. კარტოზია: დ-ში გვიანდელი მოგყვენ ფორმის ნაცვლად უნდა მივიღოთ უფრო მართებული მოგყვენ, რომელიც რიგ ხელნაწერია დაცული.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს ნაკითხვა – მოგყვენ. მოგვიანებით დ=ს ბოლოს წერტილი შეიცვალა ძახილის ნიშნით.

ს. შ.: რაც შეგცოდეთ, შეგვიინდე, თვით ჩვენვე მოგვიინანიებია; თუ ღვთაებრივად შეგვიინყალეზრ, აქ ნუ მოვა ლაშქარი; ჩვენი ქუეყანა არ ამწყდეს, რისხვით ცანი არ დაგვატყდენ თავზე; შენ მოგცემთ ციხე-ქალაქებს, ცოტა მოყმეები მოგყვენ!

422 გუერდსა დავისხენ ვაზირნი, ვიუბნეთ, გავიზრახენით;  
მითხრეს, თუ: ესარო ყმანული, ბერნი მით გადრებთ, გლახ, ენით:  
არიან მეტად მუხთალნი, – ჩუენ ერთხელ კულაცა ენახენით, –  
და არამცა მოგკლეს ღალატად, არამცა ვივაგლახენით!

უ 417-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: გვერდით მოვიყვი ვეზირები, ვისაუბრეთ, ვითაობირეთ; მითხრეს; „ყმანული ხარ, მოხუცები ამიტომ მოგახსენებთო;“, მეტად მუხთალნი არიან (ხატაელები), – ჩვენ ერთხელ კიდევ ენახეთ (=გამოცეადეთ), – ღალატით არ მოგკლან, არ ვივაგლახოთ!

423 ჩუენ ამას ვარჩევთ, ნახუიდე კარგითა შართ მამაციითა,  
ღაშქარნი ახლოს გეკიდნენ, სცნობდენ ამბავსა კაცითა;  
გულმართლად იყენენ, მიენდე, აფიცე ღმრთითა და ცითა,  
და არ დაგმორჩილდენ, შერისხდი რისხვითა კულა და კულაცითა».

უ 418-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა. ოღონდ დ-ის ბოლოს კულადაკულაცითა დაინერა ერთად. მოგვიანებით დ-ის ბოლოს წერტილი შეიცვალა ძახილის ნიშნით.

ს. შ.: ჩვენ ამას ვარჩევთ, მართლაც კარგი ვაყვაცებით ნახვიდე, ღაშქარი ახლოს მოგდედე, (შენს) ამბავს (მეკავშირე) კაცით იგებდნენ; თუ გულმართლად იყენენ (ხატაელები), მიენდე, ღმერთი და ზეცა აფიცე, (თუ) არ დაგმორჩილდებიან, შერისხე ზედიზედი რისხვით!”

424 მეკეთა ესე თათბირი, ვაზირთა ნავაზირები;  
შუესთჲალე: რამაზ მეფეო, ვცან შენი დანაპირები;  
სიკუდილსა გიჯობს სიცოცხლე, დაგუიდგამს ვერ ქუიტკორები;  
და ღაშქართა დაჯერი, ცოტათა ნამოვალ, შენ კერძ ვირებო.

უ 419-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მომენონა ეს რჩევა, მრჩეველთა მიერ შემოთავაზებული; შევუთვალე: „რამაზ მეფე, შევიტყვე შენი პრობა; სიკვდილს სიცოცხლე გირჩენია, ქუითკირის (ციხეები) ვერ დაგვიდგება; ღაშქარს დაეტოვებ, მცირე რაზმით ნამოვალ, შენკენ ვივლი“ .

- 425 მათ ლაშქართაგან სამასნი კარგნი მოყმენი, ქველანი, თანა ნამომყვეს, ნა-ცა-ვე, დაეყარენ სპანი ყველანი, დაეკედრუ: «სადა მე მევლოს, ვლენით იგივე ველანი, და ახლოს მომდევდით, მიშუველეთ, გიჭმობ, თუ მინდენ შუელანი».

უ 420-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა. მოგვიანებით დ-ის ბოლოს ნერტილის ნაცვლად დაისვა ძახილის ნიშანი.

ს. შ.: იმ ლაშქრიდან სამასი კარგი, გულადი მოყმე თან ნამომყევა და ნავედით, მთელი ლაშქარი (კ) დაეტოვე, დაუბარა: «სადაც მე მევლოს, იმავე ველებზე იარეთ, ახლოს მომდით, მიშუველეთ, თუ შევლა დამჭირდება, გიხმობთ!»

- 426 სამ დღე ვიარე, მემთხუია სხუა კაცი მისვე ხანისა. კულა ეძღუნა უცხო მრავალი შესამოსელი ტანისა, ებრძანა: „მნადსო სიხსლე შენ ლალისა და ჯანისა, და რა შეგეყარო, მაშინ სცნა კულა ძღუნობა ამისთანისა“.

უ 421-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: სამი დღე ვიარე, იმავე ხანის (რამაზის) სხუა კაცი შემომხვდა. კიდევ მოეძღვნა მრავალი საუცხოო ტანსაცმელი, ეთქვა: „შენთან, ამაყთან და ძლიერთან, ახლოს ყოფნა მინდაო, რომ შეგეყრები, მაშინ ნახავ, კიდევ ამისთანა ძღვენს [რამდენს მოგართმევ]“.

## 1975. 13. VI

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს: 427-428 (პროექტი მოამზადა I ჯგუფმა); 428,1-436 (პროექტი მოამზადა II ჯგუფმა).

- 427 კულაცა ეთქვა: «მართალია აზომ ჩემი მონაწესნი, მე თუთი წინა მოგეგებუ, შესწრაფების ნახუა შენი». მოვაწესენე: «ღია, ღმერთო, ბრძანება ექმენ მეცა თქვენე, და ტკბილად ვნახოთ ერთმანერთი, ვიყენეთ ვითა მამა-ძენი».

უ 422-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა. მოგვიანებით ბ-ში დღია ღმერთო-ს შგნით მძიმე მოიშალა (იხ. 1979.18.V-ის ოქმი, 11594). დ-ის ბოლოს ნერტილი შეიცვალა ძახილის ნიშნით.

ს. შ.: კიდევ ეთქვა: „ნამდვილია ასე ჩემი ნათქვამი, მე თვითონ წინ მოგეგებები, შენი ნახუა მეჩქარება“. ვუთხარი, „ღიახ, შევასრულე თქვენი ნათქვამი, ტკბილად ვნახოთ ერთმანეთი, ვიყუთ როგორც მამა-შვილი!“

- 428 მუნთი ნასრული ჩამოვექ ტვერისა რასმე კიდესა; კულა მოციქულნი მოვიდეს, სალაშად არ დამრიდესა; წინა ტურფათა ტაოჭთა ძღუნად ჩემოუსი მოზიდიდესა; და «შენსა ნახუასა მეფენი, თქუეს, მართლად ინატრიდესა».

უ 423-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: იქიდან ნასული ჩამოხვდი ხშირი ტყის პირას; ისევე მოვიდნენ მოციქულები, მომქალმნენ (მოსასალმებლად არ მომერიდნენ); წინ მშვენიერი ტაიჭები მოჰყავდათ ჩემთვის საძღვნოდ, თქვეს: „შენს ნახუას მეფე მართლა ნატრობდა“.

428,1 კულა ცენა მოციქულთა მოსლვა, ნინა გავგება;  
გარდაჯდეს და თაყუანისცეს, სხუანით სხუათა ჰკადრეს ქება:  
«კაცმან ვითმცა შეგიშალოს, რაცა გინდეს თქუენი ნება,  
და რად გუნიყრებით შეუცოდრად, ევე საქმე ვით ეგება?»

x 570-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ბ გარდაჯდეს (გარდაჰხდეს). პროექტი მიღებულ იქნა, ოღონდ გ-ში მძიმე დაისვა გინდეს ზმნის შემდეგ: «კაცმან ვითმცა შეგიშალოს, რაცა გინდეს, თქუენი ნება. მოგვიანებით გ-ის თავში და დ-ის ბოლოს კუთხოვანი ბრჭყალებით შეიცვალა ჩვეულებრივით.

ს. შ.: კვლავ შეეტყო მოციქულთა მოსვლა, ნინ მიეგება; (ცხენიდან) ჩამოხდნენ და თაყუანი სცეს, შეაქეს: «კაცი როგორ შეგაცვლევინებთ თქვენს ნებას, რატომ გვინყრებით შეუცოდებლად, ეგ საქმე როგორ იქნება?»

428,2 გაგუხარნეს ესე თქმანი, ეიხარეთ და ვინადირეთ,  
ქორითა და ავაზითა უცხო სული დავიჭირეთ;  
მჯეცი მოესრენ მანუილითა, ჩუენნი მბრძოლნი ავატირეთ,  
და ვლალობდით და ვთამაშობდით, სწრაფად მისლვა დავაპირეთ.

x 571-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ა გაგუხარნეს (გაგუეხარდეს), ბ ავაზითა უცხო სული (ავაზითა, უცხო სულნი). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: გაგუეხარდა ეს ნათქვამი, გავიხარეთ და ვინადირეთ, ქორითა და ავაზით საუცხოო ფრინველი და ნადირი დავიჭირეთ: მხეცები დაცხოცე მახვილით, ჩვენი მონინალმდეგენი ავატირეთ, ვლალობდით და ვთამაშობდით, [რამაზთან] სწრაფად მისვლა დავაპირეთ.

429 მითხრეს: «მეფე მოგაჰსენებს, მეცა შენ კერძ ეიარებო,  
სახლით ჩემით ნამოსრული ხელე ადრე შეგეყრები».  
მოციქულნი დავაყენენ, ხარგა დავედგი, არ მაზრები,  
და მეტად ამოდ უალერსე, ერთგან დანვეს ვით მაყრები.

u 424-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: დ უალერსე (უვალერსე). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მითხრეს: „მეფე მოგახსენებთ, მეც შენკენ მოვიდვიარ, ჩემი სახლიდან ნამოსული ხელ ადრე შეგეყრები“. მოციქულები დავაბინავე, ხარგა (=ნაბდის კარაი) დავედგი [და] არა მაზრები (=უხეში ქსოვილის კარები), მეტად საამოდ მოვეფერე, ერთად დანვენ, როგორც მაყრები.

430 კარგი საქმე კაცსა ზედა აზომ თურე არ ნაჯდების;  
ერთი კაცი უკმორე-სწყად, მოდგა, მალეთი მუხუბების:  
«დიდი მაცო თქუენი ვალი, ჩემგან ძნელად გარდიჯდების,  
და განირვა და დაფინყება ჩემგან თქუენი არ იქნების.

u 425-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: კარგი საქმე თურმე კაცს ასე არ დაეკარგება: ერთი კაცი ოდნავ ჩამოშორდა (მათ), მოვიდა (და) ჩუმად მითხრა: „თქუენი დიდი ვალი მაქვს, ჩემგან ძნელად გადაიხდება, თქუენი განწირვა და დაფინყება ჩემგან არ იქნება.

430,1 ეს ვინმე კაცი ათხილოზს ტარიელს ღალატისა[გან]:  
ეგ არ იქნების აროდეს, ლომი შემინდეს თხისა[გან]



მე კარგად გამოჩვენო, გაგ[ზავ]ნილია შვისა[გან],

და მოყმე მენე, ლალი, უებრო [აქ არ შვირცხვე ვისაგან].

არის მხოლოდ B<sup>2</sup>-ში (მინერილია არშიაზე). x573<sup>1</sup>-თან შედარებით პროექტში ცვლილება: ა ათხილობს (ა[ფ]თხილობს); დ-ის მეორე ნახევარი, რომელიც ხელნაწერში დღეს არ იკითხება, X-ში ასეა წარმოდგენილი: [აქ არ შვირცხვე ვისაგან]. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ეს ვლაც კაცი აფრთხილებს ტარიელს ლალატის თაობაზე: ეს არასოდეს მოხდება, რომ ლომს თხისა შეეშინდეს, ჩემ წინაშე თავი კარგად გამოიჩინეო, შვის (=ნესტანის) მიერ არის გაგზავნილი, მხნე, ამაყი, უებრო მოყმე [აქ ვინმესგან არ შვირცხვე].

431 მე მამისა თქუენისაგან ვარ ცოტაი განაზარდი.  
თქუენი მესმა სალაღატო, საცნობელად გამოვეარდი;  
მკუდარი მიძიმე სანახავად ტანი მჭეერი, პირი ვარდი,

და ყულასავე მოგაქსნებ, გამიგონე, დამიწყნარდი.

u 426-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა. მოგვიანებით დ-ის ბოლოს ნურტილის ნაცვლად დაისვა ძახილის ნიშანი.

ს. შ.: მე პატარაობისას (ბავშვობისას) მამათქუენის გაზრდილი ვარ. თქუენი ლალატის ამბავი გავიგე, შესატყობინებლად გამოვეარდი; მიძიმე, მკუდარი განაბო ტანურნეტი და პირეარდი, ყველაფერს მოგახსენებ, გამიგონე, მშვიდად მომიხმინე!

431,1 შემიგნია, იგი კაცნი შენტოის კარგსა არ არჩევენ,  
მოციქულთა მოგზავნიან, სალაღატოდ შეგიჩუვევენ;  
ილათითა მიგიყვანენ, უკან სპათა მოგანევენ,

და სასიკუდილოდ მონდომისარ, აგრე ფიცხლად მით განუევენ.

x 575-თან შედარებით პროექტში ცვლილება: ბ მოგზავნიან, სალაღატოდ (მოგზავნითა სალაღატოდ). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: შემიტყვია, რომ ის ხალხი შენტოის კარგს არ ფიქრობს, მოციქულებს გამოგზავნიან, სალაღატოდ შეგიჩუვევენ, ხრიკებით მიგიყვანენ, უკან ლაშქარს დაგანევენ, შენი სიკუდილი უნდათ, ასე სასწრაფოდ იმიტომ გინევენ.

432 რომე ცულად არ მოლორდე, ისი კაცნი გლაღატობენ,  
ერთგან შენტოის დამალულნი სპანი ასეჯერ ათასობენ;  
კულა სხუაგან გითქს სამი ბერი, ასრე ფიცხლად მით გიქმობენ,

და ანვე თაესა არ ენევი, ფათურასა შეგასწრობენ.

u 427-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: რომ ტყუილებრალოდ არ მოტყუედე, [იცოდე, რომ] ის ხალხი გლაღატობს, შენს წინააღმდეგ ჩასაფრებული მეომრები ერთად ასი ათასია; სხუაგან კიდევ ოცდაათი ათასი გყავს (ჩასაფრებული), ასე სასწრაფოდ იმიტომ გინევენ, ახლავე თუ თავს არ უშველი, ფათურას გადაგყრიან.

433 მფეე ცოტათა გეგებვის, ვის მჭურეტნი ვერ გელევიან;  
მალეით ჩაიცმენ აბჯარსა, მიენდო, მით გეთნევიან;  
კუამლსა შეიქმან, ლაშქარნი ყოველგნით მოგებუევიან.

და რა ერთსა გცემდენ ათასნი, ეგრეცა მოგერევიან.

u 428-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ა. ბარამიძე: სტროფის პირველი ნახევარტაეპის ნაკითხვა – მეფე ცოტათა გეგებვის, რომელიც მხოლოდ ერთ ხელნაწერშია ( $A^2$ ) წარმოდგენილი, უნდა შეიცვალოს სხვა ხელნაწერთა ჩვენების მიხედვით; მეფე ცოტათ მოგეგებვის. ზმნის პრევერბიანი ფორმისათვის შდრ. მე თუთი ნინა მოგეგებვი (427<sub>2</sub>).

ს. ცაიშვილი: სტროფი დაბალი შირითაა დაწერილი. ნახევარტაეპის ამგვარი ნაკითხვა კი (მეფე ცოტათ მოგეგებვის) რიტმს არღვევს. ამიტომ  $A^2$ -ის ნაკითხვა ანგარიშგასაწევია.

დაადგინეს: დარჩეს ნაკითხვა – მეფე ცოტათა გეგებვის.

ს. შ.: მეფე მცირერიცხოვანი ლაშქრით მოგეგებება (შენ), ვისაც მჭერეტელნი ვერ გელევიან; მალულად აბჯარს ჩაიცვამენ, რომ მიენდო, იმიტომ გეფერებინ: კვამლს აუშვებენ (=ნიშანს მისცემენ), ყოველი მხრიდან შემოგებევა ლაშქარი. როდესაც ერთს ათასი შეგებრძოლება, მაინც მოგერევიან”.

434 მას კაცსა ამოდ ვუბუნ და მადლსა გარდეიწდიდა:

«რომე არ მოეკუდე, შემოგზლო, შენ ამას ინატრიდა;

ან ამხანაგთა არ გიგრძნან, ნადი მათთანა მიდია,

და თუ დაგივიწყო, უთუოდ მემცა ეარ განაკიდა!»

უ 429-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: იმ კაცს ტყბილად ვესაუბრე და მადლობა გადავიხადე: «რომ არ მოვეკდე, შენ ეს ინატრე, გადავიხდი; ახლა ამხანაგებმა არ გაგიგონ, ნადი, მათთან მიდი, თუ დაგივიწყო, მე ვიყო (კაცთაგან) განაპირებულო!»

434,1 მას კაცსა კარგად ვუბუნ, არა ექნ სიტყუამცდარობა,

სიგლითა მივეც მამული, – არ მახლდა მოუმზადარობა,–

ინდოეთს– ციხე მაგარი, ყარაყუმს– მთა და ბარობა;

და დავსწერე, ჳელი ჩაურთე, ინდოთა ამიღბარობა.

x 578<sup>1</sup>-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ა ექენ (ექენ), სიტყუამცდარობა (სიტყვა მცდარობა); გ-ში დასმულია ტირეები და ტაეპის ბოლოს მიძიმა ნერტილმძიმის ნაცვლად (სიგლითა მივეც მამული, – არ მახლდა მოუმზადარობა, –); გ ყარაყუმს (ყარაყუმთა); გ-ში დასმულია სასეენი ნიშნები (ინდოეთს – ციხე მაგარი, ყარაყუმს – მთა და ბარობა; დ ჩაურთე, ინდოთა (ჩაურთე – ინდოეთს)). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: იმ კაცს კარგად ველაპარაკე, სიტყვა არ შემშლია, სიგლით მივეცი ადგილ-მამული, – მოხვედრელი არ ვიყავი, – ინდოეთში – მაგარი ციხე, ყარაყუმში – მთა და ბარი; დაენერე (სიგელი), ხელი მოვანერე როგორც ინდოთა ამირბარმა.

435 არვის გავანდე სულდგმულსა, დავმაღე ვითა ჭორია.

რაცა იქნების, იქნების, ყოელი თათბორი სწორია

მაგრა სპათაკენ გავგზაუნე კაცი, გზა თუცა შორია,

და შევსთაღე: «ფიცხლად წამოდით, მოგრაგნეთ მთა და გორია!»

უ 430-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: გ სპათაკენ (სპათაკე); დ-ის ბოლოს ძახილის ნიშანი და ბრჭყალებია (ბრჭყალებისა და წერტილის ნაცვლად). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: სულდგმულს არავის გავანდე, ჭორივით დავმაღე. რაც იქნება, იქნება, ყველა თანაბარია! მაგრამ ლაშქრისკენ გავაგზაუნე კაცი, თუმცა შორი გზაა, შევეუთავლე: „სწრაფად წამოდით, გადმოლახეთ მთა და გორები!“

436 მე დილასა მოციქულთა სიტყვა ტკბილი შეუთუალე:  
„რამაზს სკადრეთ: მოგეგებუი, მოდი, მოვალ მეცა მალე“.  
ნახევარ დღე სხუა, ვიარე, ჭირსა თაჳი არ ვაკრძალე.  
და განგებაა დღესცა მომკლავს, ქუემცა სადა დავიმალე?!

u 431-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ა შეუთუალე (შეუთვალე). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: დილას მოციქულებს ტკბილი სიტყვა შეუთვალე: „რამაზს მოახსენეთ: მოგეგებები, მოდი, მეც მალე მოვალ“ . ნახევარი დღე კიდევ ვიარე, ჭირს თაჳი არ მოვარიდე. [თუ] განგებაა (ღვთის ნებაა), დღესვე მომკლავს, სად დავიმალეები?!

## 1975. 26. IX

სდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მებრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგურა.

განიხილეს: 437 (პროექტი მოამზადა IIჯგუფმა); 438-444 (პროექტი მოამზადა III ჯგუფმა).

437 ქედს რასმე გარდავადეგ, მინდორს მტურეი დაჳინახე;  
ვთქუი, თუ: „მოვა რამაზ მეფე, ჩემთვის უდგამს თუცა მახე,  
ჩემი გააკუეთს ჴორცსა მათსა ჴრმალი ბასრი, შუბი ახე“.

და მაშინ უთხარ სპათა ჩემთა, სახე დიდი დაუსახე.

u 432-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა. ლ უთხარ (ვუთხარ), დაუსახე (დადუსახე). ბ-ში ცეზურასთან, ნერტილ-მძიმის ნაცვლად დასმულია მძიმე. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ერთ ქედს გადავადექი, მინდორში მტვერი დაჳინახე; ვთქვი: „რამაზ მეფე მოდის, თუმცა ჩემთვის მახე დაუდგამს, ჩემი ბასრი ხმალი და ახე (ნამახული) შუბი გაკვეთს მათს ხორცს“ . მაშინ ვუთხარი ჩემს მეზრძოლებს, დიდი გეგმა დაუუსახე.

438 ვთქუი, თუ: „მძანო, ისინი კაცნი ჩუნ ლალატსა გუოდგებთან,  
მკლავთა თქუნთა სიმაგრენი ამისთვისცა რად დალბიან?  
ვინცა მოკუდეს მეფეთათის, სულნი მათნი ჴეცას რბიან“.

და ან შევებნუთ ხატაელთა, ჴრმალი ცუდად რას გუაბიან?„

u 433-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ვთქვი: „მებო, ის ხალხი ჩვენ გელალატობს, თქვენი მკლავების სიმაგრე ამის გამო რატომ დარბილდება (ამის გამო თქვენ მკლავი რატომ მოგიდუნდებათ)? ვინც მეფისათვის მოკვდება, მისი სული ჴეცისკენ მიისწრაფის. ახლა შეგებრძოლოთ ხატაელებს, ხმლები ტყუილბრალოდ რას გეარტყია?“

439 უბრძანე ჩაცმა აზრისა ლალმან სიტყუითა ჴაფითა;  
დაეკაზმენით საომრად ჯაჭუითა, ჯაემან-ქაფითა,  
რანში დაეანყე, მიემართე, ნავე დიდითა სწრაფითა,  
და მას დღესა ჩემი მეზრძოლი ჩემმანვე ჴრმალმან დაფითა.

u434-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ლაღმა მჭექარე ხმით უბრძანე აბჯრის ჩაცმა; საომრად გამოეწყვეთ ჯაჭვის პურანგით, ჯავნითა და სამკლავებით, რაზმი დაეანყე, გაუმართე, ნაუდი დიდი სისწრაფით; იმ დღეს ჩემი მოწინააღმდეგე ჩემმავე ხმაღმა დაფლითა.

440 მივეახლენით, შეგუატყუეს მათ ტანსა აბჯარცულობა;  
კაცი მოვიდა, მომართუა მეფისა მოციქულობა;  
ეთქუა, თუ: «ყამად გუაჩნია ჩუნ თქუენი არორგულობა,  
და აბჯრითა გხედავთ, შეგუტქმინა ან ამაღ გულნაკლულობა».

უ 435-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მიუვასლოვდით, მათ შეგუატყვეს, რომ ტანზე აბჯარი გვეცვა; კაცი მოვიდა, მაცნობა მეფის (რამაზის) შემონათვალი; [რამაზს] ეთქვა: «ამყამად [ხომ] თქვენდამი ერთგულებას ვიჩენთ, აბჯრით გხედავთ, ამიტომ ახლა გულნაკლული ვართ».

441 შეესთაღე, თუ: «მეცა ვიცი რაცა ჩემთვის გაგიგია;  
თქუენ რასაცა სთათბირობდით, არ იქმნების, არ, იგია  
ბრძანეთ, მოდით, შემებენით, ეთა წესი და რიგია,  
და მეცა თქუნად დასაჯოცლად ჳელი ჳრმაღსა დამიგია».

უ 436-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა. მოგვიანებით გ-ის ბოლოს მძიმის ნაცვლად დაისვა ძახილის ნიშანი.

ს. შ.: შეუუთავალე: «მეც ვიცი, რაც ჩემთვის განგიზრახავთ; თქვენ რასაც ბჭობდით, ის არ იქნება, არა! მობრძანდით, მოდით, შემებრძოლეთ, როგორც წესი და რიგია, მეც თქვენს დასახოცად ხელი მომიკიდია ხმლისთვის».

442 რა მივიდა მოციქული, კულამცა რადღა გამოგ ზაენეს!  
კუამლი შექმნეს ლაშქართათუის, დამალული გაამულაენეს;  
სამალავით გამოვიდეს, თაენი ორგნით აქარაენეს,  
და შექმნეს რაზმი მრავალკეცი, თუცა, ლმერთო, ვერა მავნეს.

უ 437-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მოციქული რომ მივიდა, კვლავ რატომღა გამოგ ზავნიდნენ! კვამლი აუშვეს ლაშქრისათვის (სანიშნოდ), საიდუმლო გაამულაენეს; სამალავიდან გამოვიდნენ, ორი მხრიდან გამოემართენ, მრავალ მწკრივად დაირაზმნენ, თუმცა, ლმერთმანი, ვერაფერი მავნეს.

443 შუბი ესთხოვე, ჳელი ჩაეყა მუზარადის დასარქმელად;  
საომრად ატეხილი ეიყავ მათად გამტეხელად;  
ერთსა ნაესწყდი უტევანსა, ნავგრძელდი და ნავე გრძელად.  
და მათ ურიცხუი რაზმი ენყო, წყნარად დგეს და აუშულელად.

უ 438-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

რედაქციის წევრებმა იმსჯელეს გ-ის ნაკითხვისა და გაგების შესახებ. პირველი ნახევარტაეპის აზრი მათ ერთნაირად ესმით: ტარიელი დანიზურდა და ერთ უტევანზე დამორდა თავის რაზმს. ტაეპის მეორე ნახევრის მნიშვნელობა რედაქციის წევრებს სხვადასხვაგვარად ესმით: ს. ცაიშვილის აზრით, აქ პლასტიკურ-სკულპტურულადაა გამოხატული ტარიელის საბრძოლო მდგომარეობა – შემართულად, «ნავგრძელებულად» მიდის; ც. კიკვიძის აზრით, ნავგრძელდი და ნავე გრძელად ნიშნავს, ნავინე, წინ ნავედი.

ს. შ.: შუბი ვთხოვე (მეაზერეს), ხელით დაწვდი მუზარადს დასახურად; საომრად ვიყავი ატეხილი, რომ ისინი გამეტება; ერთ უტევაზე (=143 ნაბოჯზე) დაეშორდი (ჩემს რაზმს), შემართულად, გრძლად წავედი (სწრაფად წინ მავინიე).

444 ახლოს მივე, შემომხედნეს, «შმაგაო», ესე თქუნეს.  
მუნ მომართე მკლავმაგარმან, სად უფროსი ჯარი დგესა;  
კაცსა შევეც, ცხენი დავეც, მართ ორნივე მოაქედეს შზესა,  
და შუბი გატყდა, ჴელი ჩავეყა, ვაქებ, ჴრმალო, ვინცა გლესა!

ს 439-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: გ კაცსა შევეც (კაცს შუბი ვქკარ); ბოლოში მძიმის ნაცვლად დაისვა ნურტილი-მძიმე. პროექტი ამ ცვლილებით მიღებულ იქნა. მოგვიანებით, გ.კარტოზიას წინადადებით, შეიცვალა დ-ის (შუბი გატყდა, ჴელი ჩავეყა, ვაქებ, ჴრმალო, ვინცა გლესა!) ბუნქტუაცია: შუბი გატყდა, ჴელი ჩავეყა: «ვაქებ, ჴრმალო, ვინცა გლესა!» (იხ. 1976. 10. IX-ის ოქმი, 466-ე).

ს. შ.: ახლოს მივედი, შემომხედეს, თქვენს: „შმაგაო“. იქით გავემართე მკლავმაგარი, სადაც უფრო მეტი ჯარი იდგა; კაცს (შუბი) ჩავეცი, ცხენი დავაგდე, ორივე მოშორდა შზეს (=ორივენი დაიხოცნენ); შუბი გატყდა, ხელი ჩავეყავი (ხმლის ამოსალებად და ვთქვი): „ვაქებ ხმალო, ვინცა გავლესა!“ .

## 1975. 24. X

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, ც. კიკვიძე, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს: 445-449 (პროექტი მოამზადა III ვკუფმა); 450-451 (პროექტი მოამზადა I ვკუფმა)

445 შიგან ასრე გავერიე, გნოლის ჯოგსა ვითა ქორი,  
კაცი კაცსა შემოვსტყორცი, ცხენ-კაცისა დაედგი გორი;  
კაცი, ჩემგან განატყორცი, ბრუნავს ვითა ტანაჯორი,  
და ერთობ სრულად ამოეწყუოდე წინა კერძი რაზმი ორი.

ს 440-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.  
აღ. ბარამიძისა და ივ. გიგინეიშვილის წინადადებით რედაქციამ ა-ში გნოლის ფორმის ნაცვლად მიიღო გლონის (შდრ. ტომონიმი გლონისთავი).

ივ. გიგინეიშვილი: ბ-ში უფრო მართებული ნაკითხევაა შემოვსტყორციე.

რედაქციამ არ გაციზარა ეს შესწორება და დარჩა შემოვსტყორცი.

ს.შ: შიგ (=მტრის ლაშქარში) ისე გავერიე, როგორც გნოლის გუნდში ქორი, კაცს კაცს შემოვსტყორციდი, ცხენ-კაცის გორას ვდგამდი; ჩემგან გატყორცილი კაცი ბზრიალასავით ბრუნავს. სულ მთლიანად ამოეწყვიტე ორი წინა რაზმი.

446 ერთობილნი მომეხუენეს, მგრგულეო შეიქმნა ომი დიდი;  
ეკრი რასაცა, ვერ დამიდგნის, სისხლსა მჭეტფრსა ამოვღურდი;  
ცხენსა კაცი გაკუთილი მანდიკურად გარდაეკიდი.  
და სითცა ვიყვი, გამეტქიან, მათ შექმნია ჩემი რიდი.

ს 441-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს.შ.: ყველანი მომეხვიენენ, ირგვლივ დიდი ომი შეიქნა; რასაც ვკრავდი (ხმაღს), ვერ მიძლებდა, მჩქეფარე სისხლს ვაღვრევიანებდი; გაკვეთილ კაცს ცხენზე ზურჯინივით გადააკიდებდი. სადაც ვიყავი, გამირბოდნენ, მერიდებოდნენ.

**447** სალამოჟამ დაიზახნა ქედით მათმან დარაჯამან:  
«ნულარა სდგათ, ნადითო, კულა მოგუნედნა რისხეთ ცამან:  
მოვა მტვერი საშინელი, შეგუაშინნა ამაღ ამან,  
და ნუთუ სრულად ამოგუნყუნდნეს უთვალაემან, ბევრმან სპამან!»

U 442-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: სალამოჟამ მათმა (=ხატაელებმა) გუმაგმა ქედდან დაიძახა: „ნულარ დგახართ, ნადით, ცამ ისევე რისხეთ მოგვზედა: საშინელი მტვერი გამოჩნდა, ამიტომ შევშინდით, ვართუ მთლიანად ამოგუნყვიტოს უთვალაემა, ბევრმა ლაშქარმა!“

**448** ჩემნი ლაშქარნი, რომელნი ნამომეტანნეს მე არა,  
რა ეცნა, ნამოსრულიყვენს, ლამენამორთით ვარა;  
ვერ დაიტევდა მინდორი და არე მთათა ვარა,  
და გამოჩნდეს, სცემდეს ტაბლასა, ბუკმან წმა გააზვარა.

U 443-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ივ. გიგინეიშვილი: გ-ში (ვერ დაიტევდა მინდორი და არე მთათა ვარა) დაიტევდა-ს შემდეგ მძიმე უნდა დაინეროს: ტაუპის შინაარსი ასე უნდა გაეგოთ: იმდენი იყვნენ ისინი, მინდორი და მთა არედ რომ ქცეულიყო, ვერ დაიტევდა.

ს. ცაიშვილი: მძიმე, ჩემი აზრით, საჭირო არ არის. ტაუპის შინაარსი კი ასე უნდა გაეგოთ: ვერ დაიტევდა მინდორი და მთაც რომ არედ (მინდვრად) ქცეულიყო.

დაადგინეს: პროექტი მიღებულ იქნეს უცვლელად.

რედაქციის წევრებს განსხვავებულად ესმით დ-ში ბუკმან წმა გააზვარა-ს:  
ივ. გიგინეიშვილი – ბუკის ხმა ზე ავიდა; ა. ბარამიძე – გააზვარა – გააძლიერა;  
ს. ცაიშვილი, ც. კიციანი – ბუკის ხმა შეუერთდა ტაბლასი ხმას;

ს. შ.: ჩემს მოლაშქრეებს, რომლებიც მე არ ნამიყვანია, რომ გაეგოთ, ნამოსულიყვენს, ლამითაც ევლოთ: ვერ იტევდა მინდორი და მთები დაეფარათ; გამოჩნდნენ, ტაბლას (= დოლს) უკრავდნენ. ბუკმა ხმა აამაღლა.

**449** იგი ნახეს, გასაქცეულად გაემართნეს, შეუპოვლენით;  
ველნი, ჩუნგან ნაომარნი, ომითავე გარდაველენით.  
რამაზ მეფე ჩამოვაგდე, ერთმანეროსა გავეკრძლენით,  
და მისნი სპანი ყუელაკანი დავიპყრენით, არ მოვკლენით.

U 444-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ისინი დანახეს (ხატაელებმა), გასაქცეულად გაემართნენ, შეუპოვლეთ; ჩვენი ნაომარი ველები ომითვე გადავიარეთო. რამაზ მეფე ჩამოვაგდე (ცხენიდან, ერთმანეთს ხმლით შევებით, მისი (რამაზის) მოლაშქრეები ყველანი შევიპყარით, არ დაეხოცეთ).

**450** უკანანიცა ლაშქარნი მოესწრნეს მათ გაქცეულთა,  
დაუნყეს პყრობა, ჩამოყრა შეშინებულთა, ძლეულთა;  
ძილისა მიხუდა ნაცვალი ძილმკრთალთა, ლამეთუელთა,  
და ტყუთა მართელთაცა არ აკლდა, კუნესა, მართ ჟთა სნეულთა.

U 445-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა. ოლონდ გ-ის ბოლოს მძიმის ნაცვლად დაისვა ნერტილ-მძიმე.

ს. შ.: უკან მომდინარება ლაშქარმაც მოუსწრო გაქცეულებს, დაუნყეს შეპყრობა, (ცხენებიდან) ჩამოყრა შუშინებულებს, დამარცხებულებს; ძილის საზღაური ხვდათ ნილად ძილგამკრთალებს, ლამენტით (ჩემს მოლაშქრებს); სალად გადარჩენილი ტყვეებიც ისე კენებდნენ, როგორც სნეულები.

451 მას ადგილსა ნაომარსა გარდაეჭდით მოსუენებად,  
ჯელსა ჯრმლითა დავეყოდე, წყლულად მიჩნდა, არნალებად;  
ჩემნი სპანი მოვიდიან საქურეტლად და ჩემად ქებად,  
და ვერ იტყვიან, ვერ მიმზუდარან ქებასაცა მოჭსენებად.

U 446-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. რედაქციის ნევრებს განსხვავებულად ესმით გ-ის წყლულად მიჩნდა, არნალებად. ც.კიკვიძე: ჭრილობა მქონდა, მაგრამ სისხლით შეღებილი (მოსურილი) არ ვყოფილვარ; ალ. ბარამიძე, ს. ცაიშვილი: ნალები – სისხლის გალება. სამკურნალო მიზნით გაკეთებული ჭრილობა კი არ იყოს; შ.ძიძიგური: არნალებად – არა ღია ჭრილობად; ი. გიგინეიშვილი: არნალები შეიძლება იყოს მსახვრელი წყლულისა და აქ დაპირისპირება არ უნდა გვეკონდეს: არნალები წყლული. თუ ასე გავიგებთ, მძიმე არ არის საჭირო მიჩნდა-ს შემდეგ.

პროექტი მიღებულ იქნა, ოღონდ ბ-ში მიჩნდა-ს შემდეგ მძიმე მოიშალა.

ს. შ.: ნაომარ ადგილსა მოსასვენებლად ჩამოვქვეითდით; ხელში ხმლით დავეჭერი (ხატაელებს), არნალებ (მსუბუქ?) ჭრილობად მიმარჩნდა; ჩემი მოლაშქრეები მოდიოდნენ ჩემ საცქერლად და საქებად; ვერ ამბობდნენ, ვერ ახერხებდნენ ქების თქმასაც. (არნალებს შესახებ იხ. ალ. ვეაბარია, გაზ. „ამაჟული“, 1993, №22; აგრ. „ნარკვევები...“ II, 2001).

## 1975. 31. X

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური, თ. ცქიტიშვილი.

განიხილეს: 452-460 (პროექტი მოამზადა I ვაგუფმა).

452 ერთსა კაცსა ეყოფოდეს, დიდებანი რომე მჭირდეს;  
ზოგთა შორით დამლოციან, ზოგნი კოცნად გამიპირდეს;  
რომელთაცა გავეზარდე, დიდებულნი ამიტორდეს,  
და ჩემგან ჯრმლითა განაკუთონი ნახნეს, მეტად გაუკუირდეს.

U 447-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ივ. გიგინეიშვილი: ბ-ში (ზოგთა შორით დამლოციან) შორის შეიძლება უფრო მართებული ნაკითხვა იყოს: ძველი ფორმა ჩანს (ადგილის ნათესაობითი).

ს. ცაიშვილი: შორის მხოლოდ ორ ხელნაწერშია. სხვაგან „ვტ“-ში შორის არ გვხვდება ამ მნიშვნელობით.

პროექტი მიღებულ იქნა უცვლელად.

ს. შ.: ერთ კაცს ეყოფოდა, რაც დიდება მხვდა ნილად; ზოგი შორიდან მლოცავდა, ზოგმა კოცნა დამიპირა; დიდებულები, რომლებსაც ვავეზარდე, ატორდნენ, ჩემ მიერ ხმლით გაკვეთილნი რომ ნახეს, მეტად გაუკუირდათ.

453 გავეზაენენ ყოულგან ლაშქარნი, ალაფი ავალებიენი,

ერთობ საესენი მოვიდეს, თავიცა ვალალებინე;  
სისხლსა მებრძოლთა ჩემთასა მინდორი შევალეზინე,

და არ ეპბრძოლე, კარი ქალაქთა უომრად გავალეზინე.

უ 448-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ბ თავიცა ვალალებინე (თავი ავალალებინე), გ სისხლსა (სისხლთა), ბ-ის ბოლოს მძიმე შეცვლილია ნურტილ-მძიმით.

ი.გიგინეიშვილი: ხელნაწერებში ბ აშკარად დამახინჯებულია. ხელნაწერებში გვაქვს ვალალებინე. -ცა ნანილაკი (თავიცა) აქ შინაარსობრივად გაუმართლებელი ჩანს, მარცვალთა რაოდენობისათვის უნდა იყოს დამატებული გვიან.

ალ. ბარამიძე: -ცა აქ მოულოდნელი არ უნდა იყოს. ლაპარაკია, რომ ალაფი ავალეზინე და თავიცა ვალალებინე.

ს. ცაიშვილი: თავი ვალალებინე შეიძლება თავიცა ვალალებინე-დან მოდიოდეს.

ც. კიკვიძე: თავი ავალალებინე ხელოვნურია და ამავე დროს კონიექტურაა. თავიცა ვალალებინე ხელნაწერებში დასტურდება, თუმცა შეიძლება ესეც არ იყოს რუსთველისეული და ხელნაწერთა კონიექტურა იყოს, მაგრამ მაინც, ვფიქრობ, უნდა აღვადგინოთ ნაკითხვა თავიცა ვალალებინე.

პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ყველგან ვაგვზაუნე ლაშქარი, ალაფი ავალეზინე, (ნადავლით) ერთობ საესენე მოვიდნენ, (ისინი) გავალაღე; ჩემი მონინააღმდეგეების სისხლს მინდორი შევალეზინე, არ ეებრძოლე, ქალაქების კარი უომრად გავალეზინე.

454 რამაზს ვარქუე: «შემიგნია საქმე შენი სამუხთაღე,  
ან ეგრეცა შეპყრობილმან თავი გამოიმართაღე,  
სიმაგრეთა ნუ ამავგრებ, ყუელა ჳელთა მომათუაღე,

და თუარა შენი შეცოდება მემცა ზედა რად ნავსთუაღე?»

უ 449-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: რამაზს ვუთხარი: „შემიტყვია შენი სამუხთაღე, ახლა შეპყრობილმა მაინცა იმართლე თავი, სიმაგრეებს ნუ ამავგრებ, ყველა ჩამაბარე, თორემ რატომ ჩავთვლი, რომ შენი დანაშაული არაფრად ჩასაგდება იყოს?“

455 რამაზს მითხრა: «ალარ არის ამის მეტი ჩემი ღონე,  
ერთი ჩემი დიდებული მომეც, ზედა მაპატრონე,  
ციხოვანთა გაუგზავნო, საუბარი გამიგონე,

და ჳელთა მოგცემ ყუელაკასა, განაღამცა შენ გაქონე!»

უ 450-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: გ გაუგზავნო (გაუგზავნო). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: რამაზმა მითხრა: „ამის მეტი საშუალება აღარა მაქვს, ჩემი ერთი დიდებული მომეცი, მასზე მაპატრონე (მაუფროსე), ციხოვანთ (=ციხესიმაგრეთა მფლობელებს)გაუგზავნი (მას), ნათქვამი გამიგონე, ყველას ჩავაბარებ, ნამდვილად შენ მოგცემ!“

456 მივეც ერთი დიდებული, თანა სპანი ნაეატანენ,  
ციხოვანნი ერთობილნი ჩემს ნინაშე მოვიყვანენ,  
ჳელთა მომცუნეს სიმაგრენი, ომნი ასრე შევანანენ,

და საქურჭლენი სიპრავლითა რასმცა ვითა დავავანანენ!

უ 451-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.



ს. შ.: ერთი დიდებული მივეცი, მოლაშქრეები გავატანე, ყველა ციხოვანი ჩემს წინაშე მოყოფიან, სიმაგრეები ჩამაბარეს, ომი ასე შევანანე. საგანძური სიმრავლით რას შევადარო (როგორ მივამსგავსო რამეს)!

- 457 მაშინლა შევე ხატეთს მოელად და მოსათუღავედ;  
კლიტინი საჭურჭლეთანი მომართუნეს დაუმაღავედ;  
ქუყანა ჩახსი, უბრძანე: «იყვნით თქვენ უკრძალავედ,  
და მზემან არ დაგწუნეს, იცოდით, დაგყარენ გაუგებლავედ».

უ 452-თან შედარებით პროექტში ცვლილება: გ უბრძანე (უბრძანე). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მაშინლა შევედი ხატეთში, რომ დამეველო და ჩამებარებინა (მიმელო); საგანძურთა კლიტეები უკლებლად მომართეს: აყრილი მოსახლეობა უკანვე დაეაბრუნე, ეუთხარი: „უშიშრად იყავით, იცოდეთ, მზემ (=მე) არ დაგწვით, დაგტოვეთ დაუგვალავი“.

- 458 საჭურჭლენი გარდაენახენ თავის-თავის, კიდისკიდე;  
უცხო ფერთა საჭურჭლეთა, დაუბურები, თუ მოესთაღლიდე;  
ერთგან ენახენ საკუირველნი ყაბაჩა და ერთი რიდე,  
და თუმცა ნახენ, სახელისა ცოდნასაცა ინატრიდე!”

უ 453-თან შედარებით პროექტში ცვლილება: ნ ენახენ საკუირველნი (ენახე საკუირველი), დ ნახენ (ნახე), ა-ს ბოლოს წერტილის ნაცვლად დასმულია წერტილი-მძიმე.

ი. გიგინეიშვილი: აზრობრივი შეთანხმება რიცხვში შემასმენლისა შეიძლება, მაგრამ მსაზღვრელისა – არა. ამიტომ არ არის სწორი გ-ში „საკუირველნი ყაბაჩა და ერთი რიდე“, უნდა: „საკუირველი ყაბაჩა და ერთი რიდე“.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს გ-ის ნაკითხვად: ერთგან ენახენ საკუირველი ყაბაჩა და ერთი რიდე. ბ-ში უცხოფერთა დაინერა ერთად.

ს. შ.: განძეულობა სათითოოდ დავათვალიერე კიდიდან კიდემდე; (იმ) იშვიათი განძეულობის ჩამოთვლა რომ დავინყო, დავიღლები; ერთად ენახე საკუირველი ერთი ყაბაჩა (ქალის მოკლე კაბა) და თავსაბურავი, რომ გენახა, (მათი) სახელის ცოდნას ინატრებდი!

- 459 ერა შევიგენ, რა იყო ანუ ნაქმარი რაულად!  
ვისცა უჩუენი, უკუირდის, ღმრთისაგან თქუის სასნაულად;  
არცა ლარულად ჰგდებოდა მას ქსელი, არ ორხაულად;  
და სიმტკიცე ჰგანდა ნაჭედსა, ვთქუი ცეცხლთა შენართაულად.

უ 454-თან შედარებით პროექტში ცვლილება: ბ უჩუენი (უჩუენი), გ ჰგდებოდა (ჰგებოდა), არ (არც). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ვერ გავიგე, რა იყო ან როგორი ნახელავი (ნაკეთები) | ვისაც უჩუენებდი, უკუირდა, ღმრთის სასნაული ეგონა; არც ქსოვილივით ჰქონდა ქსელი განყოფილი და არც ხალიჩის მსგავსად; (მისი) სიმტკიცე ნაჭედისას ჰგავდა, ცეცხლში ნანართობი მეგონა.

- 460 იგი საძღუნოდ მისად დაესხენ ვისი შუქი მანათობდა;  
მეფისათვის დაეარჩიე, საარმაღნოდ რაცა სჯობდა;  
ჯორ-აქლები ათვერ ასი, – ყუელაკაი წივიმავრობდა, –  
და დატუირთული გაუგზავნე, ამბავსაცა კარგსა სცნობდა“.

უ 455-თან შედარებით პროექტში ცვლილება: დ-ში გაუგზავნე (გაუგზავნე).

ა. ბარამიძე: ბევრს კარგ ხელნაწერში დ-ში იკითხება ატირითული, რომელიც პოეტურადაც უკეთესია, ვიდრე დატირითული.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს ნაკითხვა ატირითული.

ი. გიგინეიშვილი: დ-ში უნდა იყოს: ამბავსამცა კარგსა სცნობდა; კონიექტურაა, მაგრამ შინაარსის შესაფერისი.

დაადგინეს: დარჩეს ნაკითხვა ამბავსამცა.

ს. შ.: ისინი მის საწუქრად გადაედევო, ვისი შუქც მანათებდა; მეფისათვის შევარჩიე, საწუქრად რაც საუკეთესო იყო, ათასი ჯორ-აქლემი, – ყველა წვივმაგარი, – დატირითული გავუგზავნე, კარგ ამბავსაც გაიგებდა<sup>1</sup>.

## 1975. 14. XI

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური. განიხილეს: 461 (პროექტი მოამზადა I ჯგუფმა); 462–469 (პროექტი მოამზადა II ჯგუფმა).

461 ნიგინი დავნურე: «მეფეო, სუემცაა თქუნი სუიანად!  
მე ხატაელთა მიმუხთლეს, – თუცა მათ ეცა ზიანად, –  
ჩემი ამბავი დასტური ამდ გაცნობე გუიანად;  
და მეფე შევიპყარ, მოგივალ მე ალაფიან-ტყუიანად».

უ 456-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ნერილი დავნურე: „მეფევ, თქვენი ბედი სვიანი იყოს (=სვებედნიერი იყავ)! მე ხატაელებმა მიმუხთლეს, – თუმცა მათ მოუბრუნდათ საზიანოდ, – ჩემი ნამდვილი ამბავი ამიტომ გვიან შეგატყობინე; მეფე (რამაზი) შევიპყარი, შენთან მოვალ ალაფითა და ტყვეებით“.

462 რა ყუბელი დავიორე, ხატაეთით გავემგზავრე,  
ნამოვიხუნე საჭურჭლენი, საჯულმწიფო დავიავრე,  
ვერ მოვეყავ აქლემითა, აზაერები ვააზაერე,  
და მოვირჭუნე და მოვივლინე, რაცა მნადდა, აგრე ვყაურე.

უ 457-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: როცა ყველაფერი მოვავგარე (გავარიგე), ხატაეთიდან გავემგზავრე, ნამოვილე განძი (სიმდიდრე), სახელმწიფო აღწერით ჩავიბარე, ვერ აუუცედი (ვერ გავენვდი) აქლემით (=აქლემები არ მეყო), აზაერები (საკიდარი, ტვირთის საზიდი ხარები) გამოვიყენე, გავიხარე და სიკეთით ავივსე, როგორც მინდოდა, ისე (რაც მინდოდა, ის) გავაკეთე.

462,1 ხატაეთის გამარჯვებული ჯელწამობმული ტარია;  
რამაზ მომგუარა მეფესა, ჯელწუნდით შენაკარია;  
მას საიმედო ფიცა აქუს, ხელობამ ველარ დარია;  
და პირდაპირ შხესა დაუსმენ, ლხინი არა აქუს მწარია.

x 606<sup>1</sup>-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ა და ბ-ის ბოლოს ნერტილ-მძიმეა მძიმის ნაცვლად. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ხატაეთში გამარჯვებული ხელჩამოკიდებული ტარიელი; ხელბორკილით შეკრული რამაზი მოპგვარა (ფარსადანი) მეფეს; მას საიმედო ფიცი აქვს (ნესტანისაგან), სიმშაგე ველარ მოურია; მზეს (=ნესტანს) პირდაპირ უსვამენ, ლხინი არა აქვს გამწარებული.

462,2 ეს საჯილდოოდ ეყოფის, აქ უზმენ ერთა ჭამასა;  
მულოცვენ და აქებენ, თავსა აყრიან დრამასა,  
პირისპირ უზის საღვინოდ, მისთვის რა დღე სჯობს ამასა?  
და ცეცხლი დაესია დაწველი, გული აღარა დანასა.

x 610<sup>1</sup>-თან შედარებით პროექტში სტროფი ადგილგადანაცვლებულია; მიჰყვება 462,1 (= 606<sup>1</sup>) სტროფს, ორივე ეს სტროფი არის მხოლოდ B<sup>2</sup> -ში (მინერილია არშიაზე). პროექტი მიღებულ იქნა, ოღონდ ა-ში ერთა ჭამასა დაინერა შეერთებულად (ერთაჭამასა). ა. ბარამიძემ და ი. გივინიშვილმა აღნიშნეს, რომ ერთაჭამა ცოცხალი სიტყვა XVII-XVIII სს. ქართული მწერლობის ძეგლებში.

ს. შ.: ეს (=ნესტანის პირდაპირ ჯდომა) ჯილდოდ ეყოფა (ტარიელს) ახლა უმართავენ პურობას; ულოცავენ და აქებან, თავზე აყრიან დრამას (=ვერცხლის ფულს), პირისპირ უზის (ტარიელს ნესტანი) საღვინად, მისთვის (=ტარიელისთვის) რომელი დღე სჯობს ამას? მწველი ცეცხლი ჩაჰკრობია გული აღარ ანუხებს (აღარ მისდის).

463 ხატაეთისა ჯელმნიფე მომყვანდა შეპყრობილია.  
ინდოეთს მივე, მეგება ჩემი გამზრდელი ტკბილია;  
რა ქება მითხრა, არ ითქმის, ჩემგან სათქმელად წბილია!  
და ჯელი გამიჭსნა, შემომკრა მან სახუეველი ლბილია.

u 458-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა. ოღონდ გ-ის ბოლოს ძახილის ნიშნის ნაცვლად დაისვა ნერტილი.

ს. შ.: ხატაეთის ხელმწიფე შეპყრობილი მომყავდა. ინდოეთში მივედი, შემომეგება ჩემი ტკბილი გამზრდელი (=ფარსადანი); რა ქებაც მითხრა, არ ითქმება, ჩემგან [ამის] თქმა უხერხულია. (მეხვეული) ხელი გამიხსნა, შემომახვია რბილი სახუევი.

464 ედგნეს ტურფანი კარავნი მოედანს ჩამოდგომილსა,  
საუბრისა და ჭურეტისა ჩემისა მას მონდომილსა.  
მას დღესა ედვა ნადიმი მას შიგან გარდაჯდომილსა;  
და მიაღერსებდა, მიჭურეტდა წინამუ ახლოს ჯდომილსა.

u 459-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ა.ბარამიძე: დ-ში (მიაღერსებდა, მიჭურეტდა წინამუ ახლოს ჯდომილსა) მიჭურეტდა-ს ნაცვლად რიგი ხელნაწერი კითხულობს მაჭმევედა-ს, რაც უფრო სწორი ჩანს. ტარიელისადმი განსაკუთრებული პატივი იმით გამოიჩინა მეფემ, რომ უაღერსებდა ბეშვიეთ და აჭმევედა (=უმასპინძლდებოდა, სთავაზობდა).

ი. გივინიშვილს, ე. მეტრეველს, შ. ძიძიგურს აგრეთვე მიაჩნიათ, რომ დ-ში ჭმევის, გამასპინძლების აღმნიშვნელი სიტყვა უფროა სავარაუდებელი.

გ. კარტოზიამ, ც. კიკვიძემ, ს. ცაიშვილმა აღნიშნეს, რომ დ-ში მიჭურეტდა-ს არსებობას ამართლებს ბ, სადაც მეფეზე ნათქვამია, რომ იგი ტარიელის ჭურეტას მონატრებულია (საუბრისა და ჭურეტისა ჩემისა მას მონდომილსა).

დაადგინეს: მიღებულ იქნეს ნაკითხვა: მიაღერსებდა, მაჭმევედა.

ს. შ.: ედგა ლამაზი კარები მოედანზე მოსულ („ჩამომდგარ“) მეფეს, ჩემთან საუბრისა და ჩემი ჭკრეტის მონატრებულს. იმ დღეს ლხინი ჰქონდა იქ (კარავში) მყოფს; მიაღერებდა, საჭმელს მთავაზობდა პირდაპირ ახლოს მჯდომს.

465 მას ლამით ვსხედით ნადიმად, მუნ ამოდ გაეიხარენით,  
დილასა ქალაქს შეეედით, მოედნით ავიყარენით;  
მეფემან ბრძანა: „ლაშქარნი უკმენით, შემოყარენით,  
და დღეს ხატაელი მიჩვენეთ, ტყუნიცა შემომგჰარენით!“

უ 460-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: იმ ღამეს ვინადიმეთ, იქ საამოდ გაეიხარეთ, დილას მოედნიდან ავიყარეთ, ქალაქში შეეედით, მეფემ ბრძანა: „ლაშქარს უხმეთ, შეყარეთ, დღეს ხატაელი (მეფე) მიჩვენეთ, ტყვეებიც შემომიყვანეთ (სასახლეში)!“

466 რამაზ მეფე მას წინაშე შეპყრობილი მოვიყვანე ;  
ტკბილად ნახა ჳელმწიფემან, ვთა შვილი სააკუნე,  
ორგული და მოღალატე ნამსახურსა დავაგვანე,  
და ესე არის მამაციას მეტისმეტი სიგულევანი!

უ 461-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: რამაზ მეფე მის წინ შეპყრობილი მოვიყვანე; ტკბილად შეხედა მეფე, როგორც ჩველ შვილს, ორგული და მოღალატე (რამაზი) ნამსახურს დავამსგავსე, ეს არის მამაკაცის უდიდესი გულადობა!

467 მას მეფესა ხატაელსა უმასპინძლა, უაღერსა,  
ფამიერად უბრძანებდის საუბარსა მათსა ფერსა.  
ცისკრად მიხმეს, მიბრძანებდეს მე სიტყუასა ლმობიერსა:  
და „შუნდობო ხატაელსა, მას აქამდის შენამტერსა.“

უ 462-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: დ-ის ბოლოს დასმულია ბრჭყალები და ნერტილი კითხვის ნიშნისა და ბრჭყალების ნაცვლად, ე.ი. შუნდობო (=შეუუნდობო) ჩათვლილია პირველი (და არა მეორე) პირის ფორმად.

ა. ბარამიძე: მე წინააღმდეგი ვარ დ-ის ამგვარი ნაკითხვისა და გაგებისა. მეფესა და ტარიელს შორის არ იყო ისეთი ურთიერთობა, რომ ტარიელის უკითხვად, მასთან შეუთანხმებლად, ეპატიებინა მოღალატე რამაზისათვის. დ-ში აუცილებლად ზმნის მეორე პირის ფორმა უნდა ვივარაუდოთ, მთელი წინადადება კი კითხვითად უნდა გაეიგოთ.

რედაქციის დანარჩენი ნევრები მზარს უჭერენ პროექტის ნაკითხვას. მათ სარწმუნოდ მაიწინათ ამ ნაკითხვის დასაბუთება, მოცემული ი. გიგინეიშვილის მიერ (იხ. ი. გიგინეიშვილი 1975, 258–259).

დაადგინეს: მიღებულ იქნეს ნაკითხვა „შუნდობო ხატაელსა, მას აქამდის შენამტერსა“.

ს. შ.: ხატაელ მეფეს უმასპინძლა, მოეფერა, დროულად ესაუბრებოდა თავის შესაფერისად (როგორც მეფეს შეეფერებოდა). გათენებისას მიხმო (მეფემ), ლმობიერად მითხრა: „შეუუნდობო ხატაელ მეფეს, მას, რომელიც აქამდის მტერი იყო“.

468 მე ეპკადრე: «ღმერთი ვინათგან შუნდობს შეცოდებულსა,  
უყავით თქუცა წყალობა მას ღონეჯაცუდებულსა».  
რამაზს უბრძანეს: «იცოდი, გაგ ზანით შეწყალებულსა,  
და მაგრა ნუ განახათ კულამცალა ჩუნენს წინა განიღებულსა!»

u 463-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: დ კულამცალა (კვლაცალა).

ი. გიგინეიშვილი: გ-ში გაგვ ზავნით ფორმის ნაცვლად უნდა მივიღოთ რიგ ხელნაწერსა და გამოცემაში წარმოდგენილი გაგვ ზავნი. მხოლოდითი რიცხვის ფორმის გადაკეთება მრავლობითად შეპირობებული უნდა იყოს ამავე სტროფში ნახმარ სხვა ზმნათა მრავლობითი ფორმებით: უბრძანეს, გნახავთ.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს ნაკითხვა: გაგვ ზავნი. ამ ცვლილებით პროექტი დამტკიცდა.

ს. შ.: მე ვუთხარი: „რადგან ღმერთი შემცოდეს შეუნდობს ხოლმე (ცოდვას, დანაშაულს), თქვენც უყავით წყალობა გამოუვალ მდგომარეობაში მყოფს (ხელმოცარულს)“. რამაზს უთხრა (მეფემ): „იცოდე, გაგიშვებ შეწყალებულს, ოღონდ კვლავ ნუ გნახავთ ჩვენს წინაშე შერცხვენილს!“

469 ხარაჯა დასდევს, შეპკუთუს დრაპკანი ასჯერ ასია,  
კულა ხატაური ათასი, სხუა სტავრა, სხუა ატლასია.  
მერმე ყულაი დამოსა, იგი და მისი ხასია,

და შეწყალებული გაგ ზავნა, უყო რისხვისა ფასია.

u 464-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ხარკი დააკისრეს, დაუნესეს (გადაუნესეთეს) ათი ათასი დრაპკანი (ოქროს ფული), კიდევ ათასი ჩინური ქაოვილი, აგრეთვე ფარჩა და ატლასი. მერე ყველა შემოსა, ის (რამაზ) და მისი დიდებულები, შეწყალებული გაუშვა, რისხვის სამაგიერო უყო (=რისხვის მაგიერად შეინყალა).

## 1975. 28. XI

სხდომას დაესრუნენ: ა. ბრამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს: 470—473 (პროექტი მოამზადა I ჯგუფმა), 474—576 (პროექტი მოამზადა III ჯგუფმა).

470 ხატელმან დაუმაღლა, დადრკა, მდაბლად ეთაყუნა,  
მოაქსენა: «ორგულობა თქუენი ღმერთმან შემანანა.  
თულა ოდეს შელაგცოდო, მაშინ მომკალ შეცა განა!»

და წავიდა და ყულაკაი მისი თანა წაიტანა.

u 465-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ხატელმა (მეფემ) მაღლობა მოახსენა, წელში მოიხარა, მდაბლად თაყვანი სცა, მოახსენა: „თქვენი ორგულობა ღმერთმა შემანანა. თუ კიდევ როდისმე შეგცოდო, მაშინ წამდგულად მომკალი!“ წავიდა და ყველა თავისიანი თან წაიყოლა.

471 მოვიდა კაცი მეფისა, ცისკრობს, არ დანალამია;  
ებრძანა: «რა შენ გაგყრივარ, მას აქათ თუეო საშია,  
მინდორს მოკლული ისრითა ნადირი არ მიჭაშია,

და არ დამაშურალხარ, წავიდეთ, თუცა დაშრომის ფამია».

u 466-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: დ დაშრომის (დაშვრომის).

გ. კარტოზიამ განმარტა ამ ცვლილების მიზეზი: შუერ — შურ — ფუძიდან -ომ სუფიქსით ნაწარმოებ სიტყვებში (დაშრომია, საშრომელი...) უ-ს დაკარგვა ძველ

ქართულშივე ფართოდ გავრცელებული პროცესია. უ-დაკარგულ ფორმას წარმოგიდგენს პოემის ყველა ხელნაწერიც. ამდენად უ-ს აღდგენა ამ სიტყვაში (დამშრომა) საჭირო არ არის.

პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მეფის კაცი მოვიდა, გარიერაჟია, არ ბნელა; შემოეთადა: „რაც შენ დაგპორდი, მას შემდეგ სამი თვე იქნებაო. მინდორში ისრით მოკლული ნადირი არ მიჭამია, თუ არ დადლილხარ, ნავიდეთ, თუმცა დადლილი უნდა იყო“.

472 შევეკაზმე, დარბაზს მივე, დამბუდა ჯარი ავაზისა,  
შეარდნითა საესე იყო სრულად არე დარბაზისა,  
მეფე ქუე ჯდა შაკაზმული, შუენებითა შგაესი შვისა;  
და გაუხარნეს მისლვა ჩემი, ტურფისა და ლამაზისა

უ 467-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: გამოვენყევე, სასახლეში მივედი, დამბუდა ავაზების ჯგრო, შევარდნით იყო საესე სულ სასახლის მიდამო, მეფე იჯდა მოკაზმული (გამონყობილი), მშვენებით შვის შგაესი, გაუხარდა ჩემი, ტურფისა და ლამაზის, მისვლა.

473 იდუმალ ცოლსა ეუბნა, მართ ჩემგან უცოდნელია:  
«ომით მოსრული ტარიელ საქურეტლად სასურველია,  
მან გაანათლოს მჭურეტელთა გული, რაზომცა ბნელია;  
და რაცა დაგედრო საქმელად, ქმენ, არა საზოზნელთა.

უ 468-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: გ გაანათლოს (განანათლოს), დ საზოზნელია (საზოზნელია).

გ. კარტოზია: ხელნაწერთა აბსოლუტურ უმრავლესობაში საზოზნელია იკითხება (საზოზნელია შოლოდ A<sup>2</sup> -შია) და ეს უნდა იყოს კიდევ სწორი ფორმა. მისთვის ამოსავალია ზოზნა (=ზოზინი, ზლაზენა), რომელიც არჩილთან და დ. გურამიშვილთან დასტურდება.

პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მალულად ცოლს უთხრა, მე ნამდვილად არ ვიცოდი: „ომიდან დაბრუნებული ტარიელი საქურეტლად სანატრელია, ის გაანათლებს მაყურებელთა გულს, რაც უნდა ბნელი იყოს. რასაც გთხოვ გასაკეთებლად (რის გაკეთებასაც დაგიბარებ), გააკეთე, არ არის საზოზინო.

474 ან მითქვამს საქმე უშენოდ, შენცა ცან ესე მცნებული:  
რათგან ქალია სამეფოდ ჩუენგანევე სახელდებული,  
ვინცალა ნახავს, ან ნახოს, აჰა ხე, ედემს ხებული,  
და გუერდას დაისუი, ორნივე სრას დამბუდით, მოვალ შუებელი».

უ 469-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ახლა უშენოდ ნათქვამი ამბავი შენც გაიგე: რადგან ჩვენ მიერ ქალია სამეფოდ სახელდებული, ვინც ნახავს, აჰა, ახლა ნახოს ხე, ედემში გაზრდილი (ე.ი. ნესტანი), გვერდით დაისვი, ორივე სასახლეში დამბუდით [მეც] მოვალ დალხინებული.

475 მოვინადირეთ მინდორი, ძირი მთისა და გორისა;  
იყო სიმრავლე ძაღლისა, შევარდნისა და ჭორისა.  
ადრე დაებრუნდით, ვიარეთ არ უფი გზისა შორისა.  
და აღარ იბურთეს, დაშლა ქმნეს თამაშობისა ორისა.

U 470-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

რედაქციას მაჩნია, რომ თამაშობისა ორისა გულისხმობს ორის (=მეფისა და ტარიელის) თამაშობას.

ს. შ.: მოვინადირეთ მინდორი, მთისა და გორის ძირი; მრავლად იყო ძაღლები, შავარდნები და ქორები. მალე დაებრუნდით, დიდი მანძილი არ გაგვივლია (=შორს არ წაუსულფართ). (მეფე) აღარ იბურთავა, დაშალა ორივე თამაშობა (ასპარეზობა და ბურთაობა [?]).

476 ჩემთა მჭურეტელთა მოეცვა ქალაქი, შუკა და ბანი.

ომგარდაწილისა მშუენოდეს მე ენიანი კაბანა;  
ფერმიწდილგურად უშუენოდი ვარდი, ცრემლითა ნაბანი,  
და ვინცა მიჭურეტდის, ბნდებოდის, – მართლად არს, არ კატაბანი.

U 471-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ჩემს მნახველებს გაეცხოთ ქალაქი, ქუჩა და სახლების ბანი. ომგადახდილს მშუენოდა ენიანი კაბა (ტანსაცმელი); ოდნაე ფერმიხდილი, მშუენიერი ვიყავი ცრემლით ნაბანი ვარდი. ვინც მიყურებდა, იბნიდებოდა, – მართალია, არა სიცრუე.

## 1975. 12. XII

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს: 477–480 (პროექტი მოამზადა III ჯგუფმა) .

477 რიდენი რომე მეშოენეს ქალაქსა ხატაელთასა,  
იგი მეხუენეს, მშუენოდეს, ვახულებ გულსა ხელთასა.  
მეფე გარდაწდა, დარბაზსა შეედით ჩემთა მზრდელთასა,  
და შეეხედენ, დაეპრთი ელასა ლანუთასა მზებრ ნათელთასა.

U 472-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა. დ ლანუთასა მზებრ (ლანუთა მზებრ).

ც. კიკვიძე: სტროფი დაბალი შაირით არის ნაწერი, დ-ის მეორე ნახევარი კი ხელნაწერთა და გამოცემათა დიდ ნაწილში მაღალი შაირითაა განწყობილი (ლანუთა მზებრ ნათელთასა). რიტმის ამგვარი დარღვევის თავიდან ასაცილებლად გამოცემებში სხვადასხვა კონიექტურაა მოშველიებული. პ.ინგოროყვა (09) ასწორებს: ლანუთასა მზებრ ნათელთასა , s-ში ვეაქეს, ლანუთა მათ მზებრ ნათელთასა. ჩვენ პირველი კონიექტურა ვარჩიეთ, როგორც უფრო დაახლოებული ხელნაწერთა ნაკითხვასთან (ზედმეტი სიტყვა არ არის დამატებული).

ა. ბარამიძე: ლანუთასა-ს მეც ვუჭერ მხარს. B<sup>1</sup> -ში იკითხება მასთან მეტად ახლო მდგომი ფორმა ლანუთაა (ლანუთაა მზებრ ნათელთასა).

ი. გიგინეიშვილი: მე გამიჭირდებოდა ამ კონიექტურის (ლანუთასა) დაცვა, უფრო მისაღებად მიმაჩნია მეორე კონიექტურა: ლანუთა მათ.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს ნაკითხვა: ლანუთასა მზებრ ნათელთასა.

ს. შ.: ხატაელთა ქალაქში რომ რიდე ვიშოვე, ის მეხვია, მშუენოდა, [ჩემგან] გამშაგებულების გულსს [უფრო] ვამშაგებდი. მეფე [ცხენიდან] ჩამოხდა, შეეედით ჩემი

გამზრდელების დარბაზში, [ნესტანს] შევხედე, [მისი] შხესავით ნათელი ღანვების ელვამ შემაკროო.

478 მას შხესა ტანსა ემოსნეს ნარინჯისფერნი ჯუზანი,  
ზურგით უთეს ჯარი ხაღუმთა, დას-დასად, უბან-უბანი;  
სრულად ნათლითა ავესო სახლი, შუკა და უბანი,  
და მუნ ვარდასა შუა შუენოდეს ძონ-მარგალიტნი ტყუბანი.

U 473-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა;

ს. შ.: იმ შხეს (ნესტანს) ტანს ეცვა ნარინჯისფერი კაბა, ზურგს უკან ედგა მსახურთა ჯარი გუნდ-გუნდად, ჯგუფ-ჯგუფად; მთლად ნათლით ავესებულყო სახლი, ქუჩა და უბანი, ბაგეებს შუა შეენობა ტყუპი ძონ-მარგალიტი [ბაგეებს შუა შეენოდა (მშენიერობდა) ნყვილ-წყვილი ღრძილი და კბილი].

479 ნაომარსა, დაკოდისა ჯელი ყელსა ჩამოშება.  
დედოფალი საჯდომთაგან ადგა, წინა მოშეგება,  
ეთა შვილი გარდამკოცნა, ღანუი ვარდი დამილება,  
და მითხრა: „ნუ ეჭუ ამას იქით, თულა მტერი შულაგება“.

U 474-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

გ. კარტოზია: დ გასნორებას საჭიროებს. ნუ ეჭუ, თულა შე-ღა-გება უხერხული ფრაზაა. თავი რომ დაეანებოთ ორი -ლა ნანილაკის ერთად ხმარებას, ბოლო ზმნა ნყეტილის ნაცვლად მყოფადმი უნდა იდგეს ან მეორე კავშირებითში. სწორი ნაკითხვა დაცულია D<sup>1</sup> -ში, სადაც თულა-ს ნაცვლად თუმცა გვაქვს (ასეა S -შიც). ამავე ნაკითხვას უჭერს მხარს თუცა(A<sup>12</sup> D<sup>2</sup> q).

ი. გიგინიშვილი: ტაეპში მეორე -ლა ნანილაკიც უადგილოა. გაუგებარია მისი ჩართვა შეგება ზმნაში. საყურადღებოა რიგი ხელნაწერის (A<sup>4</sup> A<sup>9</sup> A<sup>10</sup> B<sup>1</sup> B<sup>2</sup> B<sup>7</sup> B<sup>8</sup>) ნაკითხვა: შემოგება. შემობმა შებმის, შებრძოლების მნიშვნელობით ჩვეულებრივი სიტყვა რუსთველის დროინდელ ძეგლებში (მაგ., ქართლის ცხოვრებაში“).

დაადგინეს: მიღებულ იქნეს ნაკითხვა: მითხრა: „ნუ ეჭუ ამას იქით, თუმცა მტერი შემოგება“.

ს. შ.: ნაომარს, დაჭრილს ხელი ყელზე მქონდა ჩამოკიდებული. დედოფალი ადგა ტახტიდან, წინ მოშეგება, შვილივით გადამკოცნა; ვარდივით ღანვი დამილურჯა, მითხრა: „ამას იქით ეჭვი ნუ გაქვს (ნუ გეშინია), რომ მტერი შეგებას“.

480 ახლოს დამისუეს ადგილსა, მუნ, სადა მუამებოდა.  
პირისპირ მიჯდა იგი მზე, გული ვისთვისცა კუდებოდა.  
მალვით უჭურეტდი, მიჭურეტდა, სხუად არად მუუბნებოდა;  
და თულანი მოესწყუინდი, სიცოცხლე ამითა მუარმებოდა.

U 475-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: გ უჭურეტდი (უჭურეტდი). ი. გიგინიშვილის წინადადებით გ-ში მიღებულ იქნა ნაკითხვა: სხუად არას მუუბნებოდა.

ს. შ.: ახლოს დამისვეს იქ (იმ ადგილას), სადაც მესიამოვნებოდა. პირისპირ მიჯდა ის მზე (ნესტანი), ვისთვისაც გული მიკედებოდა. მალულად უჭურეტდი, მიჭურეტდა, ლაპარაკით კი არაფერს მუუბნებოდა; თვალს [რომ] მოვეპოვებდი, სიცოცხლე არმად მიმანდა.



სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ციაშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს: 481-485 (პროექტი მოამზადა III ვგუფმა); 486; 487 (პროექტი მოამზადა I ვგუფმა).

481 შეიქმნა სმა და პურობა, მსგავსი მათისა ძალისა; სხვა გახარება ასეთი არს უნახავი თუალისა! ჯამი და ჭიჭა - ყუელაი ფეროზისა და ლალისა.

და არვისი ბრძანა მეფემან არცა გაშუება მთრუალისა.

უ 476-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: გამართა სმა და პურობა, მათი შესაფერი; ასეთი სხვა სიხარული თვალით უნახავია! ჯამი და ჭიჭა - ერთიანად ფირუზისა და ლალისა [იყო]. მეფემ ბრძანა, არვინ გაეშუათ, მთრუალეზიკი კი.

482 მე მუნა მყოფი მივეცი შუებასა მეტისმეტასა. რა შემომხედნის, შეეხედნი, ცეცხლმან დამინყოს შრეტასა; კაცთა კრძალვასა ვაწუვედი გულსა შმაგსა და რეტასა.

და რა უაშუა პირისპირ საყვარელისა ჭურეტასა!

უ 477-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მე, იქ მყოფი, მეტისმეტ სიხარულს მივეცი. რომ შემომხედავდა [ნესტანი], [მეც] შეეხედავდი და ცეცხლი მინელდებოდა; გაშმაგებულ და რეტდასხმულ გულს მოუხმობდი, მორიდებოდა ადამიანებს. რა სჯობს საყვარლის პირისპირ ჭურეტას!

483 დაადდეს მღერა მუტრიბთა, «სულეთო!» თავი ხარიან; მიბრძანეს: «შვილო ტარიელ, ვით გითხრათ, ვით გუიხარიან?! ნეტარბი გუაჭქუსო, მებრძოლნი მით ჩუენნი ვაგლახ არიან;

და მართლან შენნი მჭურეტელნი, არ ცუდად იმტუენხარიან.

უ 478-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მუსიკოსებმა შეწყვიტეს დაკვრა, „გაჩუმდითო!“, [თანხმობის ნიშნად] თავი დახარეს. მიბრძანეს: „შვილო ტარიელ, როგორ გითხრათ (გამოთქვავთ), [თუ] როგორ გვიხარია?! ჩვენ ენეტარებთ (ვილხენთ), ამიტომ ჩვენი მონინაალმდეგენი ვაებენ; მართალი არიან შენი მნახველები, ამაოდ არ იკეხნიან.

484 ან თუცა გუმართებს შემოსა, ვის მორჭმით მოგივლენიან, არ შეგმოსთ, მაგა კაბათა არ აგხდით, ტურუდად გმუენიან; ან გქონდეს ასი საჭურჭლე, ვის შუქნი მოგივენიან,

და თუთი შუიკერე, რაცა გნაღს, ჩუენგან ნულარა გრცხუენიან».

უ 479-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა. მოგვიანებით დ-ის ბოლოში ნერტილი შუიკვალა ძახილის ნიშნით.

ს. შ.: ახლა თუმცა გემართებს [შენი] შემოსევა, ვინც დიდებით გაძლიერებულხარ, არ შეგმოსავთ, მაგ სამოსს არ აგხდით, ძალიან გშენის; ახლა გქონდეს ასი საგანძური [შენ], ვისაც შუქი მოგივენია, თუთონ შუიკერე, რაც გინდა, ჩვენი ნუ გეროდება!

485 მომართუნეს ასნი კლიტენი ასთავე საჭურჭლეთანი;

თაყუანის-ვეც და დაელოცენ დაელანი მათა სუეთანი;  
მაკოცეს ადგეს ორნივე, თუთი იგი მზენი მზეთანი,

და რა გასცეს, ზომნი ვით გითხრნე ლაშქართა სისაესეთანი!

უ 480-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა, ოღონდ გ-ის ბოლოს მძიმის ნაცვლად დაისვა ნერტილმძიმი.

ს. შ.: მომართვეს ასივე საგანძურის ასი გასალები; თაყვანი ვეცი და დაელოცე მათი ბედის სიდიადე; მაკოცეს, ორივენი ადგნენ, თვითონ ის მზეთა მზენი; როგორ გითხრა, თუ რას გასცეს (რა წყალობა გაიღეს), თუ როგორ აავსეს ლაშქარი!

486 კულაცა დაჯდა მზიარული, მოიმატა სმა და მღერა;  
კულა გაგრძელდა ნადიმობა, ბარბითი და ჩანგთა უღერა.  
დედოფალი წამოვიდა, შეეყარა მზუხრსა დღე რა.

და ძილპირამდის სისხარულსა სისხარული მგვანდა ვერა.

უ 481-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: კვლავ დაჯდა (მეფე) მზიარული და უმატა სმასა და მოღბენას, ისევე გაგრძელდა ნადიმობა, ბარბითის დაკვრა და ჩანგთა უღერა. დედოფალი წავიდა, როცა შებინდა. დაძინებამდე ისეთი მზიარულება იყო, რომ მას ეერავითარი მზიარულება ვერ შეედრებოდა.

487 ავიყარენით, მიგუჭირდა სმა დოსტაქნისა მეტისა.  
სანოლს შემოვე, შემექმნა ცნობა მარტ ვიჭა რეტისა,  
ძალი არ მქონდა ტყუუქმნილსა მე ამა ცეცხლთა შრეტისა,

და მეგონებოდის, მალხენდის გონება მისგან ჭურეტისა.

უ 482-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ავიშალენით, გაგვიჭირდა დიდი თასებით სმა. სანოლში შემოვბრუნდი, გონება ისე გამიხდა, როგორც რეტდასხულს, ძალი არ მქონდა [სიყვარულით] დატყვევებულს ამ ცეცხლის ჩაქრობისა, მაგონდებოდა ხოლმე და მახარებდა მისი ჭურეტის (შემოხედვის) გახსენება“.

## 1976. 16. I

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გოგინიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი.

განიხილეს: 488—494 (პროექტი მოამზადა I ჯგუფმა).

488 მონა მოვიდა, მაამბო ამბავი მან მართალა:  
«თქუენსა ამბავსა იკითხავს აჯილოსანი ქალია».  
მაშინვე ვიკან, ავიჭერ, ჩქარ-ჩქარად გულგამკრთალა;

და მოვიდა, ენახე ასმათი ჩემთანა მომავალია.

უ 483-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: „მონა მოვიდა და მითხრა ნამდვილი ამბავი: „თქვენს ამბავს კითხულობს აჯილოსანი (წამოსასხამიანი) ქალი“. მაშინვე მივხვდი, ნამოვხტი გულაჩქარებული; შემოვიდა და დავინახე ჩემთან მომავალი ასმათი.

489 მე ვისთვის ეკუდები, მეამა ასმათის ნახვა მე მისად.  
ალარ მოუშუი, ვაკოცე, ქმნაღლა თაყუანის-ცემისად;

ჯული მოუკიდე, დავისუი ახლოს ტახტისა ჩემისად,  
და ეპითხე, თუ: «ნეტარ, მისრულა მორჩი ალვისა ხე მისად?

უ 484-თან შედარებით პროექტში ცვლილება: ბ მიუშუი (მიუშუი). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მე ვისთვისაც ვკვებები, მის (ე.ი. ნესტანის) გამო გამიხარდა ასმათის ნახვა. ვაკოცე, ნება არ მივეცი, რომ თავყვანი ევა; ხელი მოკვიდე და ჩემი ტახტის ახლოს დავსვი, ვკითხე: „ნეტავ, მორჩი ხე (ნესტანი) მივიდა შინ?

490 მიაგბე მისი ამბავი, სხუად ნურას მუბნებია»  
მითხრა, თუ: «გადრებ მართალსა, ან ჩემგან არსათნებია,  
დღეს ერთმანეთი გინახავს და ტურფად მოგწონებია,  
და ან კულაცა ცნობა ამბისა მას ჩემგან უბრძანებია».

უ 485-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მისი (ნესტანის) ამბავი მითხარი, სხვას ნურაფერს მეტყვი“ მითხრა: „მართალს მოგახსენებ, ახლა პირმოთნეობა საჭირო არ არის, დღეს თქვენ ერთმანეთი გინახავთ და ძალიან მოგწონებიათ [ერთმანეთი], ახლა კვლავ მას ჩემგან (ჩემი საშუალებით) ამბის გაგება მოუსურვებია”.

491 ნიგნი მომართუა, ჩაეხედენ, პირისა თემთა მთენისა.  
ენერა: «ენახე სიტურფე წყალჯეაგარისა შენისა.  
ომგარდახდილი შუნელი, შენატევები ცხენისა,  
და არავი მიჩანს მიზეზი ჩემისა ცრემლთა დენისა.

486-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

გ. კარტოზია: ა და ბ ერთმანეთთან შინაარსობრივ-გრამატიკულად დაკავშირებულია (ფრაზაში სიტყვათა ჩვეულებრივი წყობისას გვექნებოდა: ნიგნი მომართუა პირისა თემთა მთენისა, ჩაეხედენ, ენერა...). ამიტომ ა-ს ბოლოს ნერტილის ნაცვლად მიიმე უნდა დაისვას.

რედაქციამ მიიღო ეს წინადადება.

ს. შ.: ნერილი გადმომცა მისი, ფისი სახეც ქვეყნის მანათობელია, ჩაეხედე, ენერა: „ენახე შენი მოხდენილობის სიტურფე. მშვენიერი იყავი ომგადახდილი, ცხენით ნაბრძოლი, ჩემი ცრემლის დენის მიზეზი ცუდად არ მიმანია».

492 ღმერთმან თუ მცა ენა ჩემი ქებად შენდა უშენოსა,  
შენთვის მკუდარი, აღარ ვიტყუი, მაშა მომკლავ უშენოსა,  
მზემან ლომსა ვარდ-გიშერი ბაღჩას ბაღად უშენოსა,  
და შენმან მზემან, თავი ჩემი არვის მართებს უშენოსა!

უ 487-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

დაადგინეს: რედაქციის წევრებმა წერილობით წარმოადგინონ თავიანთი მოსაზრებანი მაჯამათა შნიშენელობაზე.

ს. შ.: ღმერთმა თუ (=რაკი) მომცა ჩემი ენა შენს საქებად უშენოდ მყოფს, (მე), შენ გამო მკვდარი, აღარ ვიტყვი, (რომ) მკლავ უშენებელს (გაუხარებელს, უნაყოფოს), მზემ (ე.ი. მე, ნესტანმა) ლომს (ე.ი. შენ, ტარიელს) ვარდ-გიშერი (=სახე და თმები) ბაღჩა-ბაღად გაუშენოს (გაუხაროს), შენს მზეს ვფიცავ, ჩემი თავი შენ გარდა არავის ერგება!

493 თუცა მიგდის ღწარი ცრემლთა, მაგრა ცუდად არ იდენო,  
ამას იქით ნულარ იდენ, გულსა ჭირნი არიდენო;

შენი მჭურვლი ჩემთა მჭურვლითა აკანებენ, არ იდენო;

და რომე წელან მოგებუენეს, იგი ჩემთვის არიდენო.

უ 488-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: თუმცა ცრემლთა ღვარი გდის, მაგრამ ამაოდ როდი იდენ, დღეიდან წულარ იდენ (ცრემლებს), გულს მოარიდე ჭირი; შენი მნახელები ჩემს მნახელებს აუგად იხსენიებენ, დად არ იხდიან; წელან რომ მოხვეული გქონდა, ის რიდე გამომიგზანენ.

494 იგი მე მომცენ რიდენი, რომელნი წელან გშენოდეს,

რა მნახო, შენცა გეამოს, შენულითა მშენოდეს;

ესე სამკლავე შეიბი, თუ ჩემი გა-ლა-გვლენოდეს,

და ერთი ასეთი ცოცხალსა სხვა ღამე არ გაგთენოდეს».

უ 489-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

გ. კარტოზია: ბ-ში გაუგებარია შესიტყვება შენულითა მშენოდეს. ეს ორი სიტყვა ერთმანეთისაგან მიმით უნდა გამოიყოს: რა მნახო, შენც გეამოს, შენულითა, მშენოდეს. ვერაუდობთ, რომ ტაეპში სიტყვათა თავისებურ ნყობასთან გვაქვს საქმე. ტაეპის აზრია: რა მნახო შენულითა (რიდითა), შენცა გეამოს, (რომ) მშენოდეს.

რედაქციამ არ მიიღო ეს წინადადება, თუმცა ბ-ის შინაარსი ასე გადმოიცა: „როდესაც მნახავ შენულით (შენული რიდით), შენც გეამება, რომ დამშენდება“. პროექტი უცვლელად დამტკიცდა.

ს. შ.: ის რიდე მე მომეცი, რომელიც წელან გიხდებოდა, როდესაც მნახავ (შენული რიდით), შენც გეამება, რომ დამშენდება; ეს სამკლავე შეიბი, თუ კიდევ ჩემი ხათრი გქონდეს, სხვა ასეთი ღამე ცოცხალს არ გაგთენებოდეს (ე.ი. მეორე შემთხვევა არ გქონდეს, რომ ამის მსგავსი საჩუქარი – ცოლობის ნიშანი – მიგელოს)“.

## 1976. 23. I

სხდომას დაეწარნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი.

განიხილეს: 495–497 (პროექტი მოამზადა III ფეფუმა).

495 აქა მვეცქმნილი ტარიელ ტირს, ჭირი ვათასების;

თქვა: „მე მაქვს სამჯრე, რომელი კულა წინას მკლავსა მას ებს“.

იგი შეიქსნა, მოილო, თუაღით არ დაიფასების,

და პირსა დაიდეა, და-ცა-ზნდა, ქვე მჭედართა დაედასების.

უ 490-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ი. გიგინეიშვილისა და ე. მეტრეველის აზრით, გ-ში ნაცვლად ფორმისა თუაღით უნდა ნავიკითხოთ თუაღით.

რედაქციამ უცვლელად დატოვა პროექტის ნაკითხვა: თუაღით (=ანგარიშით).

ს. შ.: გამშავებული ტარიელი ტირის (და) ტანჯვა უათასეცდება: თქვა: „მე მაქვს ის სამხრე (სამკლავე სამკაული), რომელსაც უნინ ის (ნესტანი) ატარებდა“. ის (სამხრე) შეიქსნა, ხელში აიღო, თვლით (ანგარიშით) არ დაფასდება, პირზე დაიდო, კიდევ გული შეულონდა, მკედარს დაემსგავსა.

496 ასრე წვა, რომე არ ჰგვანდა მკუდარი სამარის კარისა, ორგნით ჩანს ლები მჯილისა, მართ გულსა გარდნაკარისა; ასმათს სდის ღუარი სისხლისა, ღანუთაგან ნახოკარისა, და კულა წყალსა ასხამს, უშუელის, ჳმა ისმის მუნ წკანწკარისა.

უ 491-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ე. მტრეველი: ა-ს შინაარსი (დაბნედილ ტარიელს მკედარიც კი არ ჰგავდა) გაუგებარია და საეჭვო.

ა. ბარამიძე: ტაეპის აზრია: დაბნედილი ტარიელი სამარის პირზე მიმდგარ მკედარზე უარესად გამოიყურებოდა.

ი. გიგინეიშვილი, ც. კიკიძეს და ს. ცაიშვილს მიაჩნიათ, რომ ამგვარი გაგება საესებით მისაღებია, სულაც არ არის სახამუშო.

გ. კარტოზია: ნაკითხვას, მართლაც, ახლავს აზრობრივი უხერხულობა. ამიტომ იწებ კონიექტურა მოგვეშეულებინა და ტაეპი ასე გაგვემართა: ასრე წვა, რომე, არს, ჰგვანდა, მკუდარი სამარის კარისა (=ისე ინვა, თითქოს მკედარი ყოფილიყო). შდრ. მსგავსი კონსტრუქცია: "დღე, ჰგვანდა, არს აღვსებისა," 545z.

დაადგინეს: ტაეპის ნაკითხვა უცვლელად დარჩეს: ასრე წვა, რომე არ ჰგვანდა მკუდარი სამარის კარისა.

ი. გიგინეიშვილი: საყურადღებოა  $A^4 A^{10}$  წესხათა ჩვენება, რომლებიც დ-ის ბოლოს მუნ წკანწკარისა -ს ნაცვლად კითხულობენ ერთ სიტყვას; მონანწკარისა ( $A^4$ ), მონანწკარისა ( $A^{10}$ ). ამგვარი ნაკითხვა უფრო ძველი უნდა იყოს.

გ. კარტოზია: მონანწკარისა მეორეული ნაკითხვაა და უნდა აიხსნას ცალკეულ გადაშერთა სურვილით – მოეშორებინათ „ზედმეტი“ მუნ ზმნიზედა. შდრ. ასევე „ზედმეტი“ მე ნაცვალსახელის მოშორების მსგავსი შემთხვევა: მე ღიმილისა (286a) > გაღიმილისა ( $A^3$ ).

დაადგინეს: დარჩეს ნაკითხვა: მუნ წკანწკარისა.

ი. გიგინეიშვილი: წკანწკარისა-ს ნაცვლად უნდა მივიღოთ წკარწკარისა, როგორც ეს  $A^2$  წესხასა და S გამოცემაშია, რაეიანი ფორმისათვის შდრ. წყაროსაებრ ისმნეს წკარნი, 1090.

ც. კიკიძე: წკანწკარი, რასაკვირველია, წკარ-ის რედუპლიკაციით მიღებული ფორმაა, მაგრამ ჩვენ არ ვიცით, რუსთველის დროისათვის უცვლელად იყო თუ არა დაცული ამოსავალი ფორმა. „ვტ“-ის ხელნაწერები კი ყველა ( $A^2$ -ის გარდა) წარიან ფორმას იცაეს: წკანწკარისა, წანწკარისა.

დაადგინეს: ჯერჯერობით დარჩეს წკანწკარისა. შევისწავლოთ წკანწკარ/ წკარწკარ ფორმათა ხმარების საკითხი ქართულში და შემდგომ კვლავ დაუთბრუნდეთ ამ სიტყვის დაწერილობას ტექსტში.

ს. შ.: ისე ინვა, რომ სამარის პირზე მიმდგარი მკედარი არ ჰგავდა (ე.ი. სამარის პირას მდებარე მკედარზე უარესად გამოიყურებოდა), ორ ალაგას აჩნია მკერდზე დარტყმული მჯილის ჩალურჯებული ნაკვალევი; ასმათს ჩამოხოკილი ღანუებიდან მოსდის სისხლის ნაკვადი, ისევე წყალს ასხამს, [ასმათი ტარიელს] შველის, ისმის [წყლის წვეთების] წკანწკარის ხმა.

497 აეთანდილცა სულთქუნა შწარედ, დაბნედილსა შემოსჭურიტნა; ასმათ ვანი გაამრავლნა, ცრემლმან მისმან ქვანი ჳურიტნა; მერმე სულად მოაქცია, ცეცხლნი წყლითა დაუშრიტნა; და თქა: „ცოცხალ ვარ? საწუთრომან ანცა ჩემნი სისხლნი ხურიტნა!“

უ 492-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ავთანდილმაც მწარედ ამოიხრა, გულნასულს შემოხედა; ასმათმა მოთქმა გაახშირა, მისმა ცრემლმა ქვები გახვრიტა; მერმე მოასულიერა, ცეცხლი წყლით ჩაუქრო; [ტარიელმა] თქვა: „ცოცხალი ვარ? სანუთრომ ჩემი სისხლი ახლაც შეესა!“

## 1976. 20. II

სხდომას დაესრუნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს: 498–504 (პროექტი მოამზადა II ეგუფმა).

498 ზე წამოყვდა ფერმიწდილი, აყოლებდა თვალით რეტად. ვარდი სრულად შექმნილიყო ზაფრანად და ვითა სპეტად. დიდხან მათად არა სცალდა საუბრად და არცა ჭურუტად, და დარჩომა და არსიკუდილი მას უმძიმდა მეტისმეტად.

უ 493-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ჩამოყვდა ფერდაკარგული, უაზროდ აცეცებდა თვალებს. ვარდი მთლად ზაფრანად და სპეტაც (ფერ-უმარულა ყვავილად) გადატკეულიყო (=ნითელი პირისახე გაყვითლებულიყო და გათეთრებულიყო). დიდხანს არ შეეძლო მათთან (ავთანდილთან და ასმათთან) საუბარი და არც [მათი] ყურება, მას ძლიერ უმძიმდა გადარჩენა და სიცოცხლე.

499 ავთანდილს უთხრა: „ისმენდი, ცნობა მიც თუცა ხელისა, გითხრა ამბავი ჩემი და ჩემისა დამმარხველისა: ლხინად მიჩნს შეყრა მოყურისა მის შენგან შეუყრელისა. და მე მიკურის ჩემი სიცოცხლე, ასრე დარჩომა მრთელისა!“

უ 494-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: გ მიჩნს (მიჩნს), მოყურისა მის (მოყურისა, მის).

რედაქციამ აღადგინა გ-ში მძიმე და ამ ცვლილებით პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ავთანდილს უთხრა: „ისმინე, თუმცა შმაგის გონება მაქვს, [მინც] გეტყვი ჩემსა და ჩემი დამმარხველის (ნესტანის) ამბავს: შეუბად მიმარჩია, რომ შეყვრები სატრფოს, რომელსაც შენ (ჯერ) არ შეყყრიხარ. მე მიკვირს, რომ ცოცხალი ვარ, ასე უვნებელი გადავრჩი!“

499,1 მოეგონა საყურელი, მისი მზე და მისი მთვარე, თქვა: „ვიგონებ დაკარგულსა, სიცოცხლე მაქვს ვისთვის მწარე; სამჭრე მისი მომივიდა, შემოვიბი მკლავსა გარე; და რომ მმართვედა სიხარული, ეგზომიცა ვით ვიხარე?“

უ 643<sup>1</sup>-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ბ-ის ბოლოს მძიმის ნაცვლად დასმულია ნურტილმძიმე, პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მოაგონდა სატრფო, თავისი მზე და მთვარე, თქვა: „ვიგონებ დაკარგულს, ვის გამოც სიცოცხლე გამწარებული მაქვს; მისი სამჭრე მომივიდა, მკლავზე გავიკეთე; როგორც უნდა გამხარებოდა, იმზომად როგორ გავიხარებდი?“

500 ასმათის ნახვა შევამ, ჩემგან დად საესესისა.  
ნიგნი რა ენახე, მომართუა ესე საბამი მკლავისა.  
მკლავსა შეიბი მაშინვე, მოვიწყენ რიდე თაისა,  
და იგი უცხო და ღარიბი, მტკიცისა რასმე შაისა.

უ 495-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: შევამ ჩემთვის დასავით საიმედო ასმათის ნახვა. წერილი რომ ენახე (=ნავიკითხე), მომართუა ეს მკლავსაბამი, მაშინვე მკლავზე გავიკეთე, მოვიხსენი თავსაბურავი, საუცხოო და იშვიათი რალაც შავი მტკიცე ქსოვილისა.

500,1 რიდენი და ყაბაჩანი რომე მესხნეს საძღუნოდ მისად,  
ერთგან შეეკრენ, გაუგზავნენ, მზესა აკლდა ოდენ მისად,  
ასმათ დიდხან არ გაუშვი მე იმედად სულთა დგმისად,  
და მისგან კიდე მომეცალა საუბრადმცა სხუადლა ვისად.

x 645-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ბ შეეკრენ (შეეკრენ), ოდენ (ოდნად), დ კიდე (კიდევ), ვისად (რისად). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: რიდე და ყაბაჩა რომ მქონდა მისთვის მისართმევეად, ერთად შეეკარი, გაუგზავნე, მზეს (ნესტანს) მხოლოდ [ეს] აკლდა თავისთვის. სიცოცხლის საიმედოდ ასმათი დიდხანს არ გაუშვი, მის გარდა სხვასთან ვილასთან მოვიცლიდი სასაუბროდ?

501 მოუნერე: აშუო, შუქი შენი, შენგან მონაფენი,  
გულსა მეცა, გამიცოდდეს სიჩაუქე-სიალფენი;  
ხელმან შენნი გაეიცადენ სინატიფე-სიტურფენი,  
და სულთა ნაცვლად სამსახურნი რამცა ვითა გიმუქენი?!

უ 496-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ა მოუნერე (მიუნერე). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მიუნერე: „აშუო, შენგან მოფენილი შუქი გულზე დამეცა და ნამიხდა სიმარჯვე და ვეკაცობა; შვაგმა ვიხილე სინაზე და სილამაზე, სიცოცხლის ნაცვლად რა სამსახური გავინიო (რით და როგორ გადავიხადო სიცოცხლის შენარჩუნების სამაგიერო)?“

502 მაშინ, ოდეს დამარჩინე, სულთა სრულად არ გამყარე,  
ანცა ჩემთვის ესე ფამი მასეე ფაშა დავადარე;  
სამჭრე შენი მომივიდა, შემოვიბი მკლავსა გარე,  
და რომე მართებს სიხარული, ვგზომიმცა რა ეხიარე?!

უ 497-პროექტში ცვლილებაა: დ მართებს (მმართებს). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მაშინ, როცა გადამარჩინე (მაცოცხლე), სული სრულად არ ამომხადე, ახლა ჩემთვის ეს დრო იმ დროს დავამსგავსე; შენი სამხრე მომივიდა, მკლავზე შევიბი, როგორც ჯერარს სიხარული, იშვომად რას გავიხარებ (როგორ შევძლებს, რომ გავიხარო)?!

503 განალამცა ვინინამე, აჰა რიდე, რომე მოხოვე;  
ყაბაჩაცა ასეთიფე, ამისებრი ვერა ეპოვე;  
დაბნედოლსა ნუ დამაგდებ, მოშუელე რა, მარგე, მოვე;  
და სოფელსა მყოფსა უშნოსა კაცსა ვისმცა შევეპოვე!\*

უ 498-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: რა თქმა უნდა, გამოგიგზავნი, აჰა რიდე (თავსაბურავი), რომ მოხოვე; ასეთივე ყაბაჩაც (მოკლე ქათობი), ამის მსგავსი [სხვა] ვერაფერი ენახე; გონდაკარგულს ნუ

დამტოვებ, რამე მიშველე, მარგე, მოდი; ამქვეყნად მყოფს შენ გარდა ვის შევეწყობი (შვევესუბი)!”

**504** ქალი ადგა, გამეყარა. დაწვე, ამოდ დამეძინა,  
მაგრა შეეკრთი, საყურარელი ჩემი ენახე ძილსა შინა;  
გამელუძია, აღარა მცვა, სულდგმულობა მომეწყინა,  
და ღამე ასრე გავათენე, მისი წმაცა არ შესმინა.

უ 499-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ქალი (ასმითი) ადგა, გამშორდა, დაწვეტი, მშვიდად დამეძინა, მაგრამ შეეკრთი, ძილში ჩემი სატრფო ვისილე; გამელუძია, აღარ მყავდა, სიცოცხლე მომწყინდა, ღამე ისე გავათენე, მისი (ნესტანის) ხმაც არ მომისმენია (იგულისხმება: ძილში, სიზმრად).

### 1976. 12. III

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს: 505–507 (პროექტი მოამზად II ჯგუფმა); 508–512 (პროექტი მოამზადა III ჯგუფმა).

**505** დილასა ადრე სრას მივმეს, დღე რა ქნა მწიხრმან ფაშითა;  
აუდეგ, ეცნა მათი ამბავი, წასლეა ვქმენ მითუე წამითა;  
ენახე, ორნივე ერთგან სხდეს ხასითა ოდენ სამითა;  
და რა მივე, მითხრეს დაჯდომა, წინაშე დავეე სკამითა.

უ 500-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: გ-ს ბოლოს მძიმის ნაცვლად დასმულია ნერტილ-მძიმე. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: დილას ადრე, როცა თავის დროზე გათენდა (ბნელი დღედ იქცა), სასახლეში მიხმეს; აუდეტი, მაშინვე წავედი, რომ გამეგო მათი (-შევის) ამბავი; ენახე, რომ ორივე (-შეფე-დედოფალი) ერთად ისხდნენ მხოლოდ სამი დიდებულთი; რომ მივედი, დაჯდომა შემომთავაზეს. მათ წინ დავეცი სკამზე.

**506** გუიბრძანეს, თუ: «ღმერთმან ასრე დაგუბებრნა, და-ცა-გულაი;  
ფაში გუახლავს სიბერისა, სიყმანულიე გარდგუივლია,  
ყმა არ მოგუცა, ქალი გუივის, ვისგან შუქი არ გუაკლია,  
და ყმისა არსმა არა გუგავა, ამაღ ზედა ნაგუითულია.

უ 501-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: გეითხრეს: «ღმერთმა ასე დაგვაბერა და კიდევ დაგვაუძღურა; სიბერის დრო დაგვიდგა, ახალგაზრდობა გაგვივლია; ვაფი არ მოგუცა ღმერთმა, ქალი გვყავს, ვისგანაც შუქი არ გვაკლია, ვაფის უყლობა არ გვანაღვლებს, ამიტომ არაფრად ჩაგვითვლია.

**507** ან ქალისა ჩუენისათუის ქმარი გუინდა, სად მოვნახოთ,  
რომე მივსცეთ ტახტი ჩუენი, სახედ ჩუენად გამოვსახოთ,  
საშეფოსა ვაპატრონოთ, საჯელმწიფო შევანახოთ,  
და არ ამოვსწყდეთ, მტერთა ჩუენთა ჳრმალი ჩუენთუის არ ვამახოთ».

უ 502-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: დ ამოვსწყდეთ (ამოწყდეთ).



გ. კარტოზია: ა-ში სად, ჩვეულებრივ, ესმით როგორც კითხვითი ზმნიზედა. სინამდვილეში აქ სად = სადმე -ს. ტაეპის აზრია: ახლა გვინდა ჩვენი ქალისათვის სადმე ქმარი მოვებნოთ.

ი. გიგინეიშვილი: სად ზმნიზედის ამგვარი კვალიფიკაცია მართებულია. ამიტომაც მის წინ მძიმის დასმა საჭირო არ არის, უნდა მოიშალოს.

დაადგინეს: ტაეპის შიგნით მძიმე მოიშალოს.

ი. გიგინეიშვილი: გ-ში ხელნაწერთა უმრავლესობა შევანახოთ ფორმის ნაცვლად კითხულობს შევინახოთ-ს. ეს უფრო მართებული ნაკითხვა ჩანს. ტაეპის აზრია: სიძე სამეფოს პატრონად გაეხადოთ, ამით სახელმწიფო შევინახოთ.

ც. კიკვიძე და გ. კარტოზიას მიაჩნიათ, რომ ტექსტში უნდა დარჩეს კაუზატივის ფორმა შევანახოთ.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს: საჯელმწიფო შევინახოთ.

გ. კარტოზია: დ-ში ამოვსნყდეთ ზმნაში ს არის დამატებული ძველი, რუსთველისდროინდელი ნორმის შესაბამისად. ასევე საჭიროა ეს პრეფიქსი ამოვსნყუიდე ზმნაშიც 444.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს დ-ში ამოვსნყდეთ. 444-ში ამოვსნყუიდე შეიცვალოს ამოვსნყუიდე ფორმით.

ს. შ.: ახლა ჩვენი ქალისთვის გვინდა სადმე ქმარი მოვებნოთ, რომ მას მივცეთ ჩვენი ტახტი და ჩვენი მსგავსი გაეხადოთ (სამეფოს პატრონად, მფლობელად გაეხადოთ), ამით სახელმწიფო შევინახოთ (დავიცვათ), არ ამოვსნყდეთ, ჩვენს მტრებს ხმალი ჩვენზე არ ეაღვსონოთ.

508 ვთქუთ: «თქვენნი ძისა არასმა გულსა ვით მიეფარების, მაგრა კმა ჩუნად იმედად, ვინ მზესა დაედარების; ვისცა სთხოვთ შვილსა სასიძოდ, მას დიდად გაეხარების, და სხუამცა რა გაადრეთ! თუთი იცით, მაგას რა მოგვუარების».

u 503-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ა ვთქუი (ვთქვით). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ვთქვი: თქვენნი ვაჟის არყოლა როგორ დაგვაინყებდა (რა დასავინყებელია), მაგრამ ჩვენს იმედად საკმარისია ის, ვინც მზეს ედარება; ვისაც სთხოვთ შვილს სასიძოდ, მას ძალიან გაუხარდება, სხვა რაღა გაადროთ (მოგახსენოთ)! თავად იცით, ეგ საქმე როგორ უნდა მოგვარდეს."

508,1 აქ მეფე არჩევს, ვაზირობს, არ ვიცი, რა მოჰქედბისა; ხუარაზმმა მოჰყავს სასიძოდ, არა ჰგავს, არა ჰქედბისა; იგი უცხო ვინმე საწყალი მოყმე უბრალო კუდებისა, და ნესტან-დარეუჯანს ტარიელს ჰყრის, მაგრა არ ეყრებისა.

x 654-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: დ ნესტან-დარეუჯანს (ნესტან-დარეუჯან), ჰყრის (ყრის). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: აქ მეფე ბჭობს, თათბირობს, არ ვიცი, რა მოხდება; ხუარაზმმაჰი მოჰყავს სასიძოდ, არ შეჰყურის, არ უხდება; ის უცხო საწყალი, უდანაშაულო მოყმე კვდება, ნესტან-დარეუჯანს ტარიელს გაჰყრის, მაგრამ არ ეყრება.

509 დაიწყეთ რჩევა საქმისა, გული მიც, თუცა მელია; ვთქუთ: «ჩემგან დაშლა ამისი არ ითქმის, არსაქმნელია!»

მეფემან ბრძანა: «ხვარაზმმა, კელმნიფე ხვარაზმელია,  
და თუ მოგუცემს შვილსა საჩუნოდ, მისებრი არრომელია».

უ 504-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: დ საჩუნოდ (სასიძოდ). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: დაიწყეთ ბჭობა, გული თუმცა მელეოდა, ვიმაგრებდი (გულს); ვთქვი (ვიფიქრე): „ჩემგან ამის დაშლა არ ითქმის, არ არის საქნელი (შეუძლებელია)“ მეფემ ბრძანა: „ხვარაზმმაჰი, ხვარაზმელი ხელმნიფე, თუ მოგუცემს შულს საჩუნოდ (ზედსიძედ), მისებრი არავინაა.

510 რომე პირველვე დაესკუნა, მათ ესე შეეცყუებოდა;  
ერთმანერთსაცა უჭურეტდეს, სიტყუაცა აგრე სნებოდა.  
ჩემგან დაშლისა კადრება მართ აზბად არ ეგებოდა,  
და ოდენ დაემინდი, დავნაცრდი, გული მი და მო კრთებოდა.

უ 505-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: რომ თავიდანვე (ნინასნარ) გადაენყვითათ (ეს საქმე), მათ ეს ეტყობოდათ; ერთმანეთს უცქერდნენ, თქმაც ერიდებოდათ. მართლაც, დაშლის შებედვა შეუფერებელი (შეუძლებელი) იქნებოდა ჩემგან; მხოლოდ დაემინდი, დავნაცრდი, გული იქით და აქეთ მიცემდა.

511 დედოფალმან თქვა: «ხვარაზმმა მეფეა მორჭმით მჯდომელი,  
მათსამცა შვილსა სასიძოდ ჩუნთუის სხვა სჯობდა რომელი»,  
შევიღებამცა ვინ ჰკადრა, რათგან თუით იყო მწდომელი!  
და მონმოზა დავრთე, დაესკუნა დღე ჩემი სულთა მწდომელი.

უ 506-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: დედოფალმა თქვა: „ხვარაზმმაჰი დიდებული მბრძანებელი მეფეა, მათ შვილს ჩვენს სასიძოდ სხვა ვინ უნდა სჯობდეს!“ შედაეებას ვინ გაუბედავდა, რადგან თუითონ (ამის) მოსურნე იყო! დაუუდასტურე, (ამით) დამთავრდა (ეს) ჩემი სულის ამომხდელი დღე.

512 გაგზავნეს კაცი ხვარაზმმას ნინა შვილისა მთხოვლი;  
შესთუალეს: «გაჯდა უმკუიდროდ სამეფო ჩენი ყოელი;  
არს ერთი ქალი საძეო, არ კიდევასათხოვლი,  
და თუ მოგუცემ შვილსა სამისოდ, სხუასა ნულარას მოელი».

უ 507-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: გაგზავნეს კაცი ხვარაზმმასთან შვილის სათხოვნელად; შეუთვალეს: „მთელი ჩენი სამეფო უმეკვიდროდ დარჩა; გვყავს ერთი სამემკვიდრო ქალი, შინიდან არ გასაყვანი (გარეთ არ გასათხოვებელი), თუ შვილს საიმისოდ მოგუცემ, მეტს ჩვენგან ნულარაფერს მოელი“.

### 1976. 26. III

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს ზოგიერთი საკითხი, რომელთა შესახებ მსჯელობა ნინა სხდომებზე გადაიდო საპეციალური შესწავლისა და დამატებითი მასალის მოძიებისათვის.

1. განიხილეს 169-ში მომწერედ/მემწერედ (იხ. 1974.11. I-ის ოქმი). როგორც კომისიის სალექსიკონო მასალა მონაშობს, მემწერე გვხვდება ძველ ძეგლებში („აგრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, „ვაჰაჰანის ქვაბთა განგება“...), მომწერე კი უფრო გვიანდელ ტექსტებში დასტურდება. რედაქციის ნევრები იზიარებენ ი. გიგინეიშვილის ვარაუდს „ვტ“-ის ტექსტში მემწერე ფორმის პირვანდლობის თაობაზე.

ე. მეტრეველი: მემწერე უფრო ძველი ფორმაა. ძველი ხელნაწერებიც ( $A^2 B^1 \dots$ ) მას უჭერენ მხარს;

ა. ბარამიძე: მემწერე-ს გადაკეთება მომწერედ-დ გასაგები პროცესია, პირიქით ვერ ვივარაუდებთ. ს. ცაიშვილი:  $A^2 B^1$  და ზოგი სხვა ისეთი ხელნაწერებია, რომლებიც ტექსტს არ აარქაულებენ. ამიტომ, ვფიქრობ, მემწერედ უფრო ძველი ნაკითხვა უნდა იყოს.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს 169-ში მემწერედ (აქა მემწერედ არეინ მინა).

2. განიხილეს თინათინა, არავენა და მათი მსგავსი შედგენილი შემასმენლების დანერილობის საკითხი (იხ. 1974. 11. I და 1974. 14. VI-ის ოქმები).

ი. გიგინეიშვილი: არს მუშველი ზმნის გაცვეთა შედგენილ შემასმენლებში ძველსავე ქართულს ახასიათებს. შდრ., მაგ., ოთხთავის უადვილესა. ამავე რიგისაა დიალექტებში (იბრულში, გურულში) და აქედან ზოგიერთი მწერლის ენაში დადასტურებული ღირსა/ღირსა (ვინ ღირსა? ვინ ღირსა?). როცა ამგვარი შედგენილი შემასმენლების დანერილობაზე ვიშჯელებთ, მხედველობაში უნდა გვექონდეს შემასმენლის მრავლობითისა და ნაწილაკდართული ფორმების დანერილობაც. მაგ., თუკი მართალან ერთად დაინერება, ერთად (შერწყმულად, უდფისოდ) უნდა ვწეროთ მართალან-ც, ან პირიქით, თუ ცოცხალა-ს დეფისით დავწეროთ, დეფისით უნდა დავწეროთ სხვათა სიტყვის – ო ნაწილაკდართული ცოცხალაო ფორმაც, რაც, ვფიქრობ, უხერხულობას გამოიწვევს. შედგენილი შემასმენლის ზმნური ნაწილი ა < არს სახელურ ნაწილთან შერწყმულად უნდა ვწეროთ „ვტ“-შიც, ისევე როგორც ეს ხდება ძველი ქართული ენის ძეგლების გამოცემისას შდრ. ზემოაღნიშნული უადვილესა და სხვ.

ც. კიკვიძეს და ს. ცაიშვილსაც მიაჩნიათ, რომ „ვტ“-ის ორთოგრაფია ამ შემთხვევაში არ უნდა განსხვავდებოდეს სხვა ძეგლთა ორთოგრაფიისაგან.

შ. ძიძიგური: ხელნაწერთა ტრადიციაც ერთად დანერილობას უჭერს მხარს.

ა. ბარამიძე: ამან შეიძლება ზოგჯერ გაუგებრობა გამოიწვიოს. მაგ., ჩვენს სტროფში შერწყმულად დანერილი თინათინა შეიძლება ა-ფუძიან სახლად იქნეს გაგებული.

ი. გიგინეიშვილი: ზოგ შემთხვევაში შეიძლება კომპრომისზე ნავიდეთ და გაუგებრობის ასაცილებლად დეფისი დავსვათ.

შ. ძიძიგურმა და გ. კარტოზიამ აღნიშნეს, რომ დადგენილი წესიდან გადახვევა, კომპრომისული ნაკითხვის დაშვება, არ არის მიზანშეწონილი.

დაადგინეს: შედგენილი შემასმენლები დაინეროს შერწყმულად (უდფისოდ): თინათინა (=თინათინ არს), არავენა (=არავენ არს)...

3. რედაქციამ განიხილა 171,1-ის („ღმერთი, ლომო, შენად ნაცვლად...“) ნამდვილობის საკითხი (იხ. 1974. 8.II-ის ოქმი) და დაადგინა: სტროფი ჩაითვალოს ჩანართად (წინააღმდეგნი – ა.ბარამიძე და შ.ძიძიგური).

4. რედაქციამ იშჯელა 187,1-ის „თავს უთხრა: მოკუნე, გიჯობსო...“ შესახებაც (იხ. 1974. 7. III-ის ოქმი) და ჩანართად მიიჩნია იგი.

5. განიხილეს 239-ში პარალელური ფორმები დაინყო/დაუნყო (იხ. 1974 წ. 17 მისის ოქმი). დააგინეს: დარჩეს ნაკითხვა დაინყო.

6. რედაქციამ განიხილა ტყუემქმენ (247კ), უჩინოქმენ (260კ) და მსგავსი რთული ზმნების დანეროლობის საკითხი (იხ. 1974წ. 17 მაისისა და 14 ივნისის ოქმები).

შ. ძიძიგური: მე მინდა შეეხებო საერთო რთულ სიტყვათა დანეროლობის საკითხს. რა მდგომარეობა გექონდა ძველ ქართულში და შემდგომ? ძველ ხელნაწერებში საკმაოდ ჭრელი სურათია. ადგილის ეკონომიისათვის ზოგჯერ ერთადაა დანეროლი ორი სიტყვა, ზოგჯერ კი პირიქით – ერთი სიტყვაა გაყოფილი. მაგ., ნ. მარი მოუთითებს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ ასეთ დანეროლობაზე: შატ ბერდი.

ე. მეტრეველი: სიტყვათა გაყოფის მაგალითები ძალიან ხშირია, შეერთებისა კი არა.

შ. ძიძიგური: დიახ, მეც იმის თქმა მინდა, რომ ე.წ. რთული სიტყვები ძველ ხელნაწერებში ცალ-ცალკე იწერება, თუ ადგილის ეკონომიით გამოწვეულ იშვიათ შემთხვევებს არ მივიღებთ მხედველობაში. კომპოზიტები, რაც აქეთ და აქეთ მოვდივართ, ქართულში მრავლდება. ეს გასაგებიცაა. ბევრია კომპოზიტი „ვტ“-ში. „ვტ“-ის ხელნაწერებში, ვახტანგის გამოცემაშიც კომპოზიტები ცალ-ცალკე იწერება.

ე. მეტრეველი: ანტონ კათალიკოსამდე ეს წესი იყო გაბატონებული.

შ. ძიძიგური: ვახტანგის მომდევნო გამოცემებში ნაირ-ნაირი ფორმებია გამოყენებული. ნ. მარმა დაამკვიდრა რთული სიტყვების დეფისებით წერა, რაც „ვტ“-ის ტექსტსაც შეეხო. დღეს განსხვავებულ ორთოგრაფიას ვიყენებთ ძველი და თანამედროვე ტექსტების გამოცემისას. ძველ ტექსტებში როგორც ორცნებიან, ისე ერთცნებიან კომპოზიტებსაც დეფისით ვწერთ, ახალში ერთცნებიანებს შერწყმულად ვწერთ, ორ – და მრავალცნებიანებს – დეფისით. თუ გვინდა, რომ ბოლომდე თანმიმდევრული ვიყოთ, ძველი ტექსტების (და მათ შორის „ვტ“-ის) გამოცემისას უნდა დავიცვათ ძველი ხელნაწერების ორთოგრაფიული ტრადიცია კომპოზიტების დანეროლობისა, ისევე როგორც ვიცავთ მათს სხვა ორთოგრაფიულ ტრადიციებს (მ.ჭ.ტ.მ ასოთა ხმარებას). ბოლომდის პრინციპული რომ ვიყოთ, რთული სიტყვები ცალ-ცალკე უნდა დავწეროთ, მაგრამ შესაძლებლად მიმაჩნია კომპოზიციური წინადადების ნაშთიყენება: კომპოზიტები, ორცნებიანები იქნება თუ ერთცნებიანი, ვწერთ დეფისით.

ი. გიგინეიშვილი: ძველ ხელნაწერებში კომპოზიტების დანეროლობის მდგომარეობა ზუსტად ისეთია, როგორც ბატონმა შოთამ ბრძანა, მაგრამ ძველი ტექსტების გამოცემისას ძველ ხელნაწერთა ორთოგრაფიის დაცვა გაუმართლებელი იქნება. კომპოზიტების დანეროლობა ორთოგრაფიის საკითხია. დღევანდელი ქართული ორთოგრაფია გერმანულ-რუსულ სისტემას მისდევს, რაც ერთცნებიან კომპოზიტთა შერწყმულად დანერას გულისხმობს. ვფიქრობ, შერწყმულად უნდა დაინეროს რთული ზმნებიც.

დაადგინეს: რთული ზმნები, ისევე როგორც ერთცნებიანი კომპოზიტები და შედგენილი შემასმენლები, დაინეროს შერწყმულად.

7. რედაქციის წევრები დაუბრუნდნენ 308წ-ის ნაკითხვას: მამაჩემი ჯდა მეშუიდედ. შ. ძიძიგურმა აღნიშნა, რომ მამაჩემი რუსთველის დროისათვის არ შეიძლება კომპოზიტად ჩაითვალოს, ი. გიგინეიშვილსაც მიაჩნია, რომ მამა ჩემი ისევე არ არის კომპოზიტი, როგორც ბიძა ჩემი. შდრ. თუთი ბიძასა ჩემსა მიხუდა.

დაადგინეს: მამა ჩემი დაინეროს ორ სიტყვად.

8. რედაქციამ იმსჯელა S<sup>1</sup> ვ-ის ხმარების შესახებ ფუძისეული ვ-ს წინ (იხ. 1974. 13. XII-ის ოქმი, სტრ. 332) და დაადგინა: უკვე ძველსავე ქართულში გვაქვს S<sup>1</sup> ვ-ს ხმარების მაგალითები ფუძისეული ვ-ს წინ (მაშინ როცა უ-ს წინ ვ-ს ხმარება არ დასტურდება), ამიტომ „ვტ“-ის ტექსტში პირთა აღრევის ასაცილებლად პირველი პირის ფორმებში დაინეროს პირის ნიშანი. 332კ-ში ვაებდის -ს ნაცვლად მიღებულ იქნეს ნაკითხვა ვვაებდი.

513 კაცი მოვიდა, ავესო ჯუბაჩითა და რიდიოთა,  
გახარებოდა ხუარაზშმას სისარულითა დიდიოთა;  
ებრძანა: „მოგუზუნდა ღმრთისაგან, ჩუენ რომე ვინატრიდიოთა!  
და თუთი მაგისებრსა შეილმსაცა ჩუენ ჭელსა რასა ვჭდიდიოთა!“  
უ 508-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.  
ს. შ.: კაცი დაბრუნდა, (ხუარაზშმასს) ავესო (უხვად დაესაჩუქრებინა) ტანსაცმლითა  
და რიდით, ხუარაზშმასს მეტად გახარებოდა; ეთქვა: „ღმერთმა მოგვცა, რასაც ჩვენ  
ვინატრობდითი შეილს მაგისთანას ჩვენ რას ვარგებდითი“

514 კულა გაგზავნეს სხუანი კაცნი სასიძოსა მოყვანებად,  
დავედრეს, თუ: „ნუ აყოვნებთ, მოდით ჩუენად ნაბრძანებად“.  
მე მაშურალი, ნაბურთალი სანოლს შევე მოსუენებად,  
და გულს სევდა შემეყარა, ვინყე ჭირთა მოპოვნებად.  
უ 509-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.  
ს. შ.: კიდევ გაგზავნეს სხვა კაცები სასიძოს მოსაყვანად, დააბარეს: „ნუ  
დააყოვნებთ, მოდით, როგორც ჩვენ გიბრძანეთ“. მე დაღლილი, ნაბურთალი სანოლში  
შევედი მოსასვენებლად, გულს სევდა შემომანვა, დაიწყო ჩემი უბედურება.

## 1976. 9. IV

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე,  
ს. ციაშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს: 515–518 (პროექტი მოამზადა III ჯგუფმა); 519–520 (პროექტი  
მოამზადა II ჯგუფმა).

515 მეტმან სევდამან მიმწურა გულსა დაცემად დანისად.  
ასმათის მონა შემოდგა, მე ვეჯე ლალი და ჯანი სად,  
ნიგნი მომართვა, ეწერა: „ვინ სჩან ალვისა ტანისად,  
და ადრე მოდიო, გიბრძანებს, დაუყოვნებლად ხანისად“.  
უ 510-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.  
ს. შ.: ზედმეტმა სევდამ მიმიყვანა (მიმიახლოვა) ისეთ მდგომარეობამდე, რომ მზად  
ვიყავი გულში დანა დამეცა. ასმათის მონა შემოვიდა, სადაც მე ვიჯექი, ლალი და ძლიერი,  
ნერილი მომართვა, შიგ ეწერა: „ვინც სჩანხარ ტანად ალვისებრი, გიბრძანებს, ადრე  
დაუყოვნებლივ მოდიო.“

515,1 აქ სანოლს მჯდომი ტარიელ შექრუშვით, სევდიანადო,  
სასიძოს მოყვანისათვის გულს ლახუარი სჭრის დანადო;  
მონა მოვიდა საჭმობლად, იგ მისთვის ნასაყუანადო,  
და იგ გაუნყრების, რომელი ვერ მზუა იმისთანადო.  
x 661-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: აქ სანაოლში მჯდომი, სევდიანად მოქუფრულ ტარიელს სასიძოს მოყვანის გამო გულში ლახვარი ესობა; მოვიდა მონა მის დასაძახებლად და ნასაყვანად, ის გაუნყრება, რომლის მსგავსი მზეც ვერაა.

**516** შევევ, ნავე, ბაღჩას მივე, ვითა სცნობდე ლხინთა ზომით!  
ბაღჩა შეველე, კოშკი დამზუნდა, ასმათ ენახე ძირსა დგომით;  
ენახე, ვსჭურვტი ნატირებად, ცრემლი აწნდა ლანთა ნაოზით;  
და დამიძიმდა, არა უკითხე, ჩემი სჭირდა მისლვა ნდომით.

U 511-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ი.გიგინეიშვილი: დ-ში უნდა მივიღოთ ზოგიერთ ნუსხაში ( $A^4 A^{10}$  დაკული ნაკითხვა: რა უმძიმდა, არა უკითხე. ტაეპის აზრი: რა უმძიმდა (ასმათს), არ ვკითხე, ეტყობოდა, რომ ჩემი მისვლა უნდოდა.

ც.კიკვიძემ და გ.კარტოზიამ შენიშნეს, რომ რა უმძიმდა ნარედაქციევ ნუსხებში გვხვდება, თანაც მათ მხარს არ უჭერენ მათივე ბუდის სხვა ხელნაწერები ( $A^3 A^9$ ). ნახევარტაეპის აზრი შეიძლება ასე გავიგოთ: შევწუხდი, მაგრამ არაფერი ვკითხე.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს ნაკითხვა: რა უმძიმდა, არა უკითხე.

ს. შ.: ცხენზე შევევქ, ნავედი, ბაღჩაში მივედი. როგორ გაიგებ ჩემი სიხარულის ზომას! ბაღჩა გავიარე, ენახე, კოშკის ძირას იდგა ასმათი; ვუყურებდი და ვხედავდი, რომ ნამტირალევი იყო, ლოყაზე აწნდა ჩამონანვეთი ცრემლები. არ ვკითხე, რა ანუხებდა, ეტყობოდა, რომ ძალიან უნდოდა ჩემი მისვლა.

**517** იგი ენახე დაღრვევილი, ესე მეტად დამიძიმდა,  
ვითა წინას შემომცინის, აღარ ვგრე გამილიმდა.  
ყოლა სიტყვა არ მომიგო, ოდენ ცრემლთა გარდმოსწეიმდა,  
და ამით უფრო დამანყლულა, არა ნყლულთა მაიქიმდა.

U 512-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ის ენახე დაღრნებული, ეს მეტად სამძიმო შეიქნა ჩემთვის. წინათ რომ შემომცინებდა ხოლმე, ისე აღარ გამილიმა. სიტყვაც არ მითხრა, მხოლოდ ცრემლებს წვიმასავით აფრქევევდა, ამით უფრო დამანყლულა, ნყლული არ გამიკურნა.

**518** ჩემნი ერთნი გონებანი მეტად შორად გამიკიდნა,  
შინა კოშკად შემიყვანა, ფარდაგსაცა ამიზიდნა.  
შვეე, ენახე იგი მთვარე; ჭირმან ყოვლმან უკუმრიდნა,  
და გულსა შუენი შემომადგნა, მაგრა გული არ დამიდნა.

U 513-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ჩემი ერთადერთი საფიქრალი მომამორა (ჩემს ერთადერთ საფიქრალს მომწყვიტა), შიგ კოშკში შემიყვანა, ფარდაც ამიზინა. შევედი, ენახე ის მთვარე (ნესტანი), ყოველი ჭირი მომცილდა, გულს სინათლე შემომადგა, მაგრამ გული არ გამილხვა (გულზე მწუხარება არ გადამეყარა).

**519** იყო არნათლად ნათელი, ფარდაგსა შემომდგომელი;  
ებურა მოშლით პიროქრო, მე მივეც რიდე რომელი;  
მითვე მწუნითა უებრო მონოლით ტახტსა მჯდომელი,  
და ცრემლისა ლუარსა მოეცვა პირი, ელვათა მკრთომელი.

U 514-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ი.გიგინეიშვილი: გ-ში ზოგი ხელნაწერი ( $A^4 A^9 A^{10}$ ) კითხულობს: მითვე მწუანითა მოსილი, მონოლით ტახტსა მჯდომელი. ეს ნაკითხვა უფრო მართებული ჩანს.

გ.კარტოზია და ც.კიკვიძე აღნიშნეს, რომ მოსილი იკითხება ნარედაქციე წესებში; ა.ბარამიძის აზრით, უებროს გადაკეთება მოსილი ფორმით გასაგებია (მწუანითა მოსილი), მოსილი > უებრო კი გაუგებარი პროცესია.

რედაქციამ დატოვა ნაკითხვა უებრო, ოლონდ, შ.ძიძგურის წინადადებით, ეს სიტყვა მძიმეებით გამოიყო.

ი.გიგინეიშვილი: რადგან პიროქრო რიდე-ს მსაზღვრელია, ბ-ში სიტყვები უნდა გადაისვას: ებურა მოშლით პიროქრო რიდე, მე მივეც რომელი ასეა რიგ ხელნაწერსა და გამოცემაში.

გ.კარტოზია: ასეთი გადასმის შემთხვევაში მძიმე ცენზურიდან მეორე მარცვლის შემდეგ უნდა დაისვას, რაც დაბალი შაირისათვის ბუნებრივი არ არის.

დაადგინეს: დარჩეს პროექტის ნაკითხვა.

ს.შ: ფარდაგს შემომდგარი ნათელი (ნესტანისა) არ იყო ნათლად (– ნესტანი გამწყალი იყო); მე რომ მივეცი, ის ოქროსაპირიანი თავსაფარი ებურა უნესრიგოდ (დაუდევრად); იმავე მწანე ტანსაცმლით ტახტზე იყო მინოლილი უებრო, ცრემლის ღვარს დაეფარა მისი ელვარე სახე.

520 ქვე წვა, ეთ კლდისა ნაპრალსა ვეფხი პირგამეხებული,  
არცა შუე ჰგანდა, არც მთვარე, ხე ალვა, ედემს ხებული;  
ასამთამან დაშუა, შორსგუარად გულსა მე ლახუარხებული;  
და მერმე ნამოჯდა ნარბეგრქმით, გამწყალი, გარისხებული.

უ 515-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ინვა, როგორც კლდის ნაპრალში გამძინვარებული ვეფხი, ედემში გაზრდილი ალვა (კოპაროზი), რომელსაც არც შუე შეედრებოდა, არც მთვარე; ასამთამა მოშორებით დაშუა მე, გულდაჭრილი; მერმე ნამოჯდა ნარბეგრული, გამწყალი, განრისხებული (ნესტანი).

## 1976.16.IV

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ს. ცაიშვილი, შ. ძიძგური.

განიხილეს: 521–528 (პროექტი მოამზადა, ჯგუფმა).

521 მიბრძანა: «მიქუირს, რად მოხუე მშლელი პირისა მტკიცისა,  
გაწირავი და მუხთალი, შენ, გამტეხელი ფიცისა?!  
მგრა ნაცვალსა პატისა მიგცემსო ზენა, მო, ცისა!»  
და ეკადრე: «რა გაადრო პასუხი მის ჩემგან მე უიცისა?»

უ 516-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ი.გიგინეიშვილი: ყურადღებას იქცევს დ-ს მეორე ნახევარი, რომელიც ხელნაწერებსა და გამოცემებში სხვადასხვა ნაკითხვით არის წარმოდგენილი. კერძოდ, სარიტმო სიტყვა იძლევა ასეთ ვარიანტებს: უიცისა, უუიცისა, უიიცისა... ამ ტაეპის ნაკითხვის დადგენისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ურთი სხვა ტაეპიც, სადაც სარიტმოდ გვხვდება ჩვენთვის საინტერესო სიტყვა: ძებნა ნამლისა მისისა, ცოდნა ხამს მართ უიცისა (706 =

ძებნა ნამლისა მისისა და ცოდნა ხაზს უიციას, u 697ჲ). ორსავე სტროფში სარიტმო სიტყვაა უიციისა, რომელიც უიცი ზედსართავის უფროობითი ხარისხის ფორმას წარმოადგენს. ხელნაწერებში უიციისა, ჩვეულებრივ, დამახინჯებულად (მარცვალნაკულად) არის წარმოდგენილი. ტაეში მარცვალთა რაოდენობის დაცვის მიზნით გადამწერები უმატებენ ერთმარცვლიან მე, და, მართ სიტყვებს, რაც ზოგჯერ უაზროს ხდის ტაეჲს. განსახილველი სტროფის დ ასე უნდა წავიკითხოთ: ეჰკადრე: «რა გაადრო პასუხი მის ჩემგან უიციისა?», 706ჲ კი ასე: ძებნა ნამლისა მისისა, ცოდნა ხაზს უიციისა.

გ.კარტოზია: პროექტში წარმოდგენილი ნაკითხვა ტაეჲისა შინაარსობრივად საესებით დამაკმაყოფილებელია. მოუღებელია მოსაზრება, თითქოს ტაეჲში მე ნაცვალსახელი მარცვალთა რაოდენობისათვის იყოს ჩამატებული და ამით ფრაზა უაზრო გამოდოდეს. რუსთველის ენის თავისებურებების გათვალისწინებით, მე ნაცვალსახელის ასე «უადგილო ადგილას» ხმარება სრულიადაც არ არის სახამუშო და გაუგებარი. ახლა რაც შეეხება ანალოგიურ ნაკითხვას კიდევ ერთ სტროფში. 697ჲ-ში თუნდაც რომ მივიღოთ ნაკითხვა უიციისა, არ არის აუცილებელი, რომ 521ჲ-შიც იგივე ფორმა აღვადგინოთ. საესებით დასაშვებია, რომ რუსთველს ტექსტში ერთგან ზედსართავის ერთი ფორმა ეხმარა (დადებითი ხარისხი) – უიციისა, მეორეგან კი – მეორე (უფროობითი) – უიციისა. მით უმეტეს, რომ ხელნაწერები საესებით განსხვავებულ ჩვენებას იძლევიან: თუ 697-ე სტროფში უიციისა-ს რამდენიმე ხელნაწერი კითხულობს, 521-ეში ეს სიტყვა კონიექტურაა, ხელნაწერები მას არ იცნობენ.

ც.კიკვიძე: მე სარწმუნოდ მიმანია, რომ ავტორს შეეძლო ზედსართავის სხვადასხვა ფორმა ეხმარა სხვადასხვა სტროფში. ნიშანდობლივად მიმანია ხელნაწერთა განსხვავებული ჩვენებაც, კერძოდ, ის, რომ 521-ე სტროფში უიციისა არც ერთ წუსხაში არ დასტურდება. ეს გარკვეულად უარყოფად განგვანყობს კონიექტურის მიმართ.

ი.გიგინეიშვილი: იმას წუ მოვიმიზეზებთ, რადგან კონიექტურაა, ამიტომ წუ გვინდაო.

ც.კიკვიძე: სწორედ ამიტომ! თუ ხელნაწერთა ნაკითხვა გასაგებია, კონიექტურა არ უნდა მივიღოთ.

ს. ცაიშვილი: მე საინტერესოდ მეჩვენება ბატონ ივანეს მოსაზრება, მით უფრო, რომ 697-ე სტროფში რამდენიმე ხელნაწერი უიციისა-ს კითხულობს, მაგრამ ჩვენი პრინციპული პოზიციის გამო არ შემოიღია დაეთანხმდე კონიექტურის მიღებას.

ა.ბარამიძესა და შ.ძიძიგურს აგრეთვე მიანიათ, რომ უნდა დარჩეს პროექტის ნაკითხვა.

დაადგინეს: პროექტის ნაკითხვა უცვლელად დარჩეს.

ს. შ.: მითხრა: „მიკვირს, რატომ მოხვედი მტკიცე პირობის დამრღვევი, შენ, გამწირავი და მოღალატე, ფიცის გამტეხი?! მაგრამ სამაგიერო ტანჯვას მიცემს ცის განგება!“ მე ვუთხარი: „რა პასუხი გითხრა იმისა, რაც ჩემთვის უცნობია?“

522 ვთქუი: «პასუხსა ვერას გაადრებ, თუ არა ესცნობ მე მართალსა: რა შეგცოდე, რა მიქნია უცნობოსა, ფერნამკრთალსა?»

კულაცა მითხრა: «რას გუზნო მტყუანსა და შენ მუხთალსა?»

და დიაცურად რად მოულორდი? მე დაუნწაე ამით აღსა.

u 517-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: გ გუზნო (გუზნა), დ დაუნწაე (დაუწაე).



გ. კარტოზია: ცვლილება შეეხო გეუბნა ზმნას. როგორც ჩვენი კარტოთეკა მონმობს, ამ ზმნის II კავშირებითი ა-სუფიქსიანი ფორმები ო-სუფიქსიანებზე გვიან ჩნდება. შესაბამისად ნყვეტილში ადრინდელია ე-სუფიქსიანი ნარმოება (ვეუბნე), უსუფიქსო (ვეუბენ) კი – უფრო გვიანდელი. ამიტომ ტექსტი სხვაგანაც უნდა გასწორდეს: მას კაცსა ამოდ ვეუბნე, 434; (ნაცვლად ვეუბენ ფორმისა). ანალოგიურია შემეტენება – ზმნისაგან ნანარმოებ ფორმათა ისტორია. აქაც ადრინდელია ნყვეტილის სუფიქსიანი ნარმოება შემეტენე, უსუფიქსო (შემეტენენ) კი გვიანდელია.

ი. გიგინეიშვილი: ჩემი აზრით, საკმაო საფუძველი გეუბნა-ს გეუბნოთი შესაცვლელად არ არის. ჩემთვის გეუბნა უფრო ძველია, ვიდრე გეუბნო (ისევე როგორც გეუბენ უფრო ძველია, ვიდრე გეუბნე). კარტოთეკაზე დაყრდნობა ძნელია. გასწორებისაგან თავი უნდა შევიკავოთ.

ც. კიკვიძე: როგორც მოხმობილი საილუსტრაციო მასალა მონმობს, ო-სუფიქსიანი ნარმოება უფრო ძველია და იგი XVIII ს-ის ბოლომდე (ბესიკამდე) იხმარება. ამიტომ უპირატესობა მას უნდა მივცეთ.

გ. კარტოზია: ახალ ქართულში შეინიშნება უსუფიქსო ნყვეტილის შეცვლა სუფიქსიანით (მაგ., შევიყარა> შევიყარე, გაეასნარ > გასაენარე...), მაგრამ გეუბნე, შემეტენე ზმნების შემთხვევაში ამგვარი რამ სავარაუდებელი არ არის. აქ სუფიქსიანი ნყვეტილი ძველი ნარმოებისაა.

მ. შიშიგურმა და ს. ცაიშვილმა აღნიშნეს: ვინაიდან გეუბნო უფრო ადრინდელი ნარმოება ჩანს, თანაც ხელნაწერებში ეს ნაკითხვა კარგად არის დაცული (სამი რედაქციის 13 ხელნაწერში დასტურდება), სარწმუნოა ამ ფორმის პირვანდელობა.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს ნაკითხვა გეუბნო.

ს. შ.: ვთქვ: „პასუხს ვერაფერს მოგახსენებ, თუ არ გავიგებ სიმართლეს: რა დაგოპავე, რა ვქენი გონდაკარგულმა, ფერმკრთალმა?“ კვლავ მითხრა: „რა გელაპარაკო შენ, მტყუანსა და მუხთალს? ქალურად ქალის ნესისამებრ რატომ მოვტყუედი? ამიტომ დაუნეავარ აღს.“

523 შენ არ იცი ხუარაზმმასი საქმროდ ჩემად მოყენება?!

შენ ჯდომილხარ სავაზიროდ, შენი რთულა ამას ნება,

შენ გასტებე ფიცი ჩემი, სიმტკიცე და იგი მცნება,

და ლმერთმან ქნა და დაგორჩინა ცუდად შენი ჯელოვნება!

უ 518-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: შენ არ იცი, რომ ჩემ საქმროდ ხუარაზმმასი მოჰყავთ?! შენ მჯდარხარ სათათბიროდ (მრჩეველად), შენ დაგირთავს ნება ამაზე, შენ გატებე (ჩემთვის მოცემული) ფიცი, პირობა და მცნება (აღთქმა), მაგრამ ლმერთმა ინება და ამაოდ შეგერჩა შენი მოხერხება (ემშაკობა)!

524 გაჭსოვს, ოდეს ჰამაჰ-ზმიდი, ცრემლნი შენი ველთა ჰმანდეს,

მკურნალნი და დასტაქარნი ნამალსა-ყე მოგიტანდეს?

მამაცისა სიცრუესა, ნეტარ, სხუანი რამცა ჰგვანდეს!

და რადგან დამომე, შეცა დატომობ, ვინძი უფრო დაზიანდეს!

უ 519-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ა ჰამაჰ-ზმიდი („ჰაის“ ზმიდი), ბ ნამალსა-ყე (ნამალთა-ყე), გ სიცრუესა (სიცრუეთა).

პროექტი მიღებულ იქნა, ოღონდ წამალსაყვე, ი.გიგინეიშვილის წინადადებით, დაიწერა შერწყმულად. მანვე აღნიშნა, რომ ყვე ნაწილაკი აქ ხოლმეობითობას უნდა ანიჭებდეს ზმნას (მოგიტანდეს). შდრ. მონანიყე მიათამიდეს (75კ).

ს. შ.: გახსოვს, როდესაც ოხრავედი, შენი ცრემლები ველებს რეცხავდნენ, ექიმებსა და დასტაქრებს (ქირურგებს) შენთვის ნამალი მოჰქონდათ? მამაკაცის სიცრუეს, ნეტავი, სხვა რა შეედრება (მამაკაცის სიცრუის მსგავსი, ნეტავი, სხვა რა არის!) რადგანაც გამწირე, მეც გაგწირავ, ენახოთ, ვინ უფრო დაზიანდება!

525 ამას ებრძანებ: ვინცა გინდა ეპატრონოს ინდოეთსა, ვგრეც მე მაქუწს პატრონობა, უგზოს ელოდენ, თუნდა გზეთსა! ეგე აგრე არ იქმნებოს, ნა, მომცეთარხარ მოსაცეთსა, და აზრნი შენნი შენვე გგვანან, მტყუანსა და შენ ავეთსა!

უ 520-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ამას ვამბობ: ვინც უნდა იყოს ინდოეთის მფლობელი (= ვინც უნდა იყოს ჩემი ქმარი), სწორი გზით ივლის თუ მრუდით, მაინც მე ვარ მეფე! ეს (საქმე, რაც შენ განვიზრახავს) ასე არ მოხდება, ნადი, გამეცალე, მომცდარხარ მოსაცდომელს (დიდად შემცდარხარ), შენი აზრები შენვე გგვანან, მტყუანს და შენ ასეთს!

526 ცოცხალ ვიყო, შენ ინდოეთს, ღმერთო, ხანი ვერა დაჰყო! თუ უცადო დაჰყოფასა, ჯორცთა შენთა სული გაჰყო! სხუა ჩემებრი ვერა ჰყოვ, ცათამდისცა ჴელი აჰყო!»

და ესე სიტყუა დაასრულა, ყრმა ატირდა, სულთქუნა, აჰყო.

უ 521-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: სანამ ცოცხალი ვიქნები, ღმერთს ვფიცავ, ინდოეთში არ დავაყენებ! თუ შეეცდები დარჩენას (ინდოეთში ყოფნას), დაილუკები (შენს სხეულს სულს დაამორებ)! ჩემისთანას სხვას ვერაეის იპოვი, ცამდისაც რომ მიანედინო ხელი!" ეს სიტყვა დაასრულა და მოყმე (ტარიელი) ატირდა, ამოიოხრა, „აჰ“ თქვა.

527 თქუა: „რა მესმა ესე მისგან, შეიშედა მეტისმეტად, კულა მიეცა თუალთა ძალი მის ნათლისა ვგრე ჴურეტად. ან დაეკარგე; რად არ გიქუირს, რად ცოცხალ ვარ, რად ვარ რეტად? და ვაჲ, სოფელო უხანო, რად ზი სისხლთა ჩემთა ხურეტად?

უ 522-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: დ ვაჲ ( ვა). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: თქვა (ტარიელმა): „ეს რომ მისგან გავიგონე, დიდი იმედი მომეცა, (ჩემს) თვალებს ისევე მიეცათ ძალა, რომ ეჭერიტათ (ემზირათ) იმ სინათლისათვის (ნესტანისათვის). ახლა დაეკარგე; რატომ არ გიქუირს, რატომ ვარ ცოცხალი, რატომ ვარ (შხოლოდ) გონდაკარგული? ვაჰ, სწრაფმავალო წუთისოფელო, რატომ სევამ (ხერეჰ) ჩემს სისხლს?!“

528 შეეხედენ, ენახე სასთუნალ მუსაფი გაშლით მდებარე, ავდეგ, ავიღე, ღმრთისა და მერმე მე მათი მქებარე, ეჰადრე, თუ : «შხო, დაგინუაჲ, ჩემიცა დანუი შხე ბარე! და რათგან არ მომკალ, პასუხი ერთაი გჰადრო მე ბარე.

უ 523-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ბ ავდეგ, ავიღე, ღმრთისა და მერმე მე (ავიღე, ავდეგ მე ღმრთისა და მერმე); გ-ს ბოლოს მძიმის ნაცვლად ძახილის ნიშანია. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: შევხედე, ენახე სასთუმალთან გაშლილად დადებული ყურანი, ავდექი, ავიღე, ჯერ ღმერთი ვაქე (ვადიდე), შემდეგ კი ის (ნესტანი), ვუთხარი: „მზუო, დაგინვაჲვარ, ბარემ ჩემი მზუე (სიცოცხლე) დანვი! რადგან არ მომკალი, ბარემ ერთ სიტყვას მოგახსენებ.“

## 1976 .7. V

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს: 529; 530 (პროექტი მოამზადა II ჯგუფმა), 531-538 (პროექტი მოამზადა III ჯგუფმა).

**529** რომე გაადრებ, ესე სიტყუა ან თუ ცუდად ნალიქნია, ცამცა პრისხავს, მზისა შუქნი ყოლა ჩემთუის ნუ შუქნია! თუ მალირსებ გაკოთხეასა, ავი არა არ მიქნია».

და მან მიბრძანა: «რაცა იცი, თქუიო», თავი დამიქნია.

უ 524-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: გ. გაკოთხეასა (განკოთხეასა). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ეს სიტყვა, რომელსაც გუუბნები, თუ საპირფეროდ არის თქმული, ცამ შემრისხოს, მზის სხივები ჩემთუის სრულიად ნუ იშუქებენ! თუ მალირსებ განსჯას (თუ მოსმენის ღირსად გამხდო), (იცოდე, რომ) ცუდი არაფერი მიქნია». მან მითხრა: „რაც იცი, თქუო“, თავი დამიქნია.

**530** კულაცა ეპკადრე: „მე თუ, მზუო, თქუნთუის ფიცი გამეტხვოს, ღმერთმან ანუე რისხვა მისი ზეციით ჩემთუის გაამეხვოს! ღისი გინდა უშენოსა პირი მემზოს, ტანი მემზოს,

და მამა მაშინ რაგვარ დავრჩე, რა ლახუარი გულსა მემზოს?

უ 525-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ი.გიგინეიშვილი: ა-ში თქუნთუის ფორმის ნაცვლად უფრო მართებულია რიგ ხელნაწერსა და გამოცემაში დადასტურებული შენთუის,მდრ. გ-ში უშენოსა.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს ნაკითხვა შენთუის.

ს. შ.: კვლავ ვუთხარი: მზუო, მე თუ შენთუის ფიცი გამეტხვოს, ღმერთმა თავისი რისხვა ახლავე დამატხვოს მეხივით ზეციდან! შენ გარდა ვისი უნდა მიმანდეს პირისახე მზუედ, ტანი კი ხედ? მამ მაშინ როგორ ვიცოცხლებ, როცა გულში ლახვარი მომხვდება (თუ გულში ლახვარი მომხვდა)?

**531** მე მეფეთა დარბაზს მიქმეს, შექმნეს დიდი ვაზირობა.

მათ ნინასეუ დაეპირა იმა ყმისა შენი ქმრობა.

დამეშალა, ვერ დავშლიდი, დამრჩებოდა უმეცრობა;

და თავსა უთხარ: «მიემონმე, ფამად გიჯობს გულშავრობა».

უ 526-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: დ უთხარ (ვეუთხარ). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მე მეფეებმა სასახლეში მიხმეს (მიმინვიეს), გამართეს დიდი ბჭობა. მათ ნინდანინვე გადაეწყვიტათ, რომ ის მოყმე შენი ქმარი გამხდარიყო. რომ დამეშალა, ვერ

დავუშლიდი (აკერძალაუდი), უმეცრებად ჩამეთვლებოდა; თავს ეუთხარი: „დაემონმე (დაეთანხმე), დროებით გიჯობს გამაგრდე“.

532 მემცა დაშლა ეთა ეკადრე, რადგან იგი ვერ მიმზდარა?

არ იცის, თუ ინდოეთი უპატრონოდ არ გამქდარა?

ტირიულ არს მემამულე, სხუასა მართებს არად არა,

და ვის მოიყვანს, არა ვიცი, ანუ იგი ვინ მომცდარა?

U 527-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

რედაქციამ ა-ს ბოლოს კითხვითი ნაცვლად ძახილის ნიშანი დასვა, გ-ს ბოლოს – მძიმის ნაცვლად ნერტილ-მძიმე.

ს. შ.: მე როგორ გამებედა დაშლა, თუკი ის (თვითონ მევე) ვერ მიმზდარა! არ იცის, რომ ინდოეთი უპატრონოდ არ დარჩენილა? ტირიელია მემკვიდრე, სხვას არაფერი ესაქმება; არ ვიცი, ვის მოიყვანს, ან ვინ გარჯილა ამაოდ?

533 ვთქუი: „ამითა ველარას ეიქ, ღონე სხუა რა მოვიგუარო“;

თავსა უთხარ: „ნუ მოგიცავე, გონებაო მრავალგუარო!“

მედვა გული მვეცისაებრ, ათასჯერცა მინდორს ვარო,

და ვისმცა მივევ თაფი შენი, შენვე რად მე არ ნამგუარო?!»

U 528-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ა ვიქ (ვიქმ), ბ უთხარ (უუთხარ) .

რედაქციამ დ-ში რად მე შეცვალა რადმე ნაკითხვით.

ს. შ.: ვთქუი: „ამით ველარაფერს ვიზამ, სხვა რამ უნდა ვიღონო“; გავიფიქრე: „ნუ მოგიცავარ მრავალნაირო ფიქრო!“ გული მბეცივით მქონდა (გული გამიმხეცდა), მრავალჯერ მინდოდა გავჭრილიყავი ველად, შენს თავს ვის მივეცემ, თუ რაიმე მიზნის გამო თვითონ შენ არ ნამართმევ?!»

534 სულთა ვეყიდდი გულისათვის, კოშკი აჰად გამეზაზრა;

იგი ნუიმა და-რე-ნელდა, რომე პირველ ვარდი აზრა;

ენახე, ძონსა მარგალიტი გარე ტურფად მოეზაზრა.

და მიბრძანა, თუ: „ეგე საქმე მემცა მართლად რად მეაზრა?!

U 529-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ი.გიგინეიშვილი: გ-ს სარითმო სიტყვა მოემაზრა ნანარმოები ჩანს მაზარი (=მასარი/მესერი) სიტყვიდან (შდრ. საბა: მასარი არს წვრილის ძელით ყეროს მსგავსად შემოზლუდვილი).

რედაქციას სტროფის შინაარსი ასე ესმის: სულს ვყიდდი გულისათვის (ნესტანისათვის), ამიტომ კოშკი ბაზრად მექცა; ის ნუიმა ოდნავ შენელდა, რომელმაც თავიდან ვარდი დააზრო; ენახე, ძონს (ბაგეებს) მარგალიტი (კბილები) ლამაზად შემოეზლუდა (ნესტანმა გაიღიმა). მითხრა: ეგ საქმე (აშბავი) მე სიმართლედ რატომ მომეჩვენა?!

535 არ დავიჯერებ მე შენსა ლალატსა, ორგულობასა,

უარის ქმნასა ღმრთისასა, ამისთვის არ მადლობასა;

იაჯედი თავსა ჩემსა და მორქმით ინდოეთს ფლობასა!

და მე და შენ დავსხდეთ ჯელშნოფედ, სჯობს ყოვლსა სიძე სძლობასა».

U 530-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ე. მეტრეველი: აზ ტაეპების შინაარსი ასე უნდა გავიგოთ: არ დავიჯერებ შენს ლალატს, ორგულობას, ღვთის უარყოფას და ამიტომ – უმადურობას. შესაბამისად, შ-ის მეორე ნახევარში ტირე უნდა დავსვათ, თანაც არმადლობასა ერთად დაინეროს.

დაადგინეს: ზ-ში მიღებულ იქნას ნაკითხვა: ამისთვის – არმადლობასა.

ს. შ.: არ დავიჯერებ მე შენს ლალატს, ორგულობას, ღვთის უარყოფას, ამიტომ – უმადურობას; ითხოვე ჩემი თავი და შევებით მეფობა ინდოეთში! მე და შენ დავსხდეთ ხელმწიფეებად. ეს სჯობს ყოველ სიძერძობას”.

536 მოღმობიერდა, მომიტკბა გამწყრალი, გამქსებულო,  
ანუ შუე იყო ქუეყანად, ან მოუარე პირგავსებულო;  
ახლოს დამისუა, მალირსა აქამდის არლირსებულო;  
და მუებნებოდა, დამივისო ცეცხლი ამითა გზებულო.

U 531-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ლმობიერი გახდა (მომიღბა), მომიტკბა გამწყრალი, განრისხებულო, თითქოს ქვეყნად ჩამოსული შუე ან საესე მთვარე იყო; ახლოს დამისუა, მალირსა, რაც აქამდე არ მლირსებია; საუბარი გამიმართა და ამით დამიშრიტა აგზებულო ცეცხლი.

537 მობრძანა, თუ: «გონიერი წაშს აროდეს არ აჩქარდეს,  
რაცა სჯობდეს, მოაგუაროს, სანუთროსა დაუნყნარდეს;  
თუ სასიძო არ მოუშუა, ვაი თუ მეფე გაგიშნარდეს,  
და შენ და იგი ნაიკიდნეთ, ინდოეთი გარდაქარდეს!

U 532-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: გ ვაი(ვა). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მითხრა: „გონიერი არასდროს არ უნდა აჩქარდეს, როგორც უკეთესია, ისე მოაგვაროს საქმე, წუთისოფელს დაუშვიდდეს; სასიძო რომ არ შემოღუშვა, ვაი თუ მეფე გაგირისხდეს, შენ და ის ნაიკიდოთ და ამის გამო ინდოეთი დაილუპოს!

538 კულა თუ სიძე შემოუშუა, მე შემირთოს, იყოს ასდენ,  
ერთმანეთსა გავეყარნეთ, ძონუელნი გავუფლასდენ,  
მათ მორჭმულთა მოიელინონ, ჩუენ პატიენი გავტუასდენ,-  
და ესე აზბად არ ვეების, რომე სპარსნი გავტუიხასდენ».

U 533-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: სიძე რომ შემოუშვა, მე შემირთოს, ასე მოხდეს, ერთმანეთს დავშორდეთ, ძონუელი (სამზიარულო სამოსი) ფლასად (სამგლოუართო) შეგვეცვალოს, ისინი შევებით იყვნენ, ჩვენ კი ტანჯვა გავგიმრავლდეს, – ეს სათქმელადაც არ შეიძლება, რომ სპარსელები გავკიბატონდნენ”.

## 1976. 21.VI

სხლომას დაესრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე,  
ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს: 539–542 (პროექტი მოამზადა III ჯგუფმა), 543 (პროექტი მოამზადა II ჯგუფმა).

539 მე ეკადრე: «ღმერთმან ამოროს მის ყმისა შენი ქმარობა!  
რა შემოვიდენ ინდოეთს, შევიგნა მათი გვარობა,

უჩუენო ჩემი ძალგული და ჩემი შემოპრობა:

და ასრე დავკოცნე, შეეძლოს აღარას არ საჯმარობა!

U 534-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: გ უჩუენო (უჩუენო).

ც.კიკვიძე: ბ-ს სარიტომო სიტყვა გვარობა კონიექტურაა. ხელნაწერთა უმრავლესობაში გმირობა იკითხება, რაც რითმას არღვევს და შინაარსობრივადც შეუსაბამოა. გ.კარტოზიას მიანწია, რომ აქ სარიტომო სიტყვად უნდა გვკონდეს მარობა, რომელიც ამოსავლად გულისხმობს რება ზმნიდან წარმოებულ მარე/მარი მიმღობას.

ი.გიგინეიშვილი: მე პრინციპულად მომხრე ვარ ამნარი გასწორებისა. რება ზმნიდან წარმოებული ფუძეები „ვტ“-ში უხვად გვხვდება და ამგვარი ფორმის არსებობაც საესებით შესაძლებელია.

ა.ბარამიძეც მხარს უჭერს აღნიშნულ კონიექტურას.

დაადგინეს: ბ-ში სარიტომო სიტყვად მიღებულ იქნეს მარობა.

ა.ბარამიძე: დ-ში დავკოცნეს ხელნაწერებში აქვს ვარიანტი დავკადნე (და დავკადო) და სწორედ ეს მიმანდა ადრე ძირითად ნაკითხვად. მაგრამ მთელი ეს ფრაზა აღმოჩნდა „როსტომიანში“. როგორც ჩანს, უკვე XV ს-ში „ვტ“-ის ტექსტში გვკონდა დავკოცნე. ამიტომ ვფიქრობ, რომ იგი უნდა დარჩეს ძირითად ტექსტში.

ი. გიგინეიშვილი: დავკოცნე ამ კონტექსტში შესაბამოა. გამოთქმა – ისე დავხოცავ, რომ არაფრის მატნისნი იქნებიან – უაზრობაა. უნდა: ისე დავკადნე, ე.ი. ისე გავხდი, რომ არაფრის მატნისნი იქნებიან. „შაჰ-ნამეს“ ციტატა კი იმაზე მოუთითებს, რომ მის ავტორს „ვტ“-ის ის ნუსხა ჰქონდა ხელთ, სადაც დავკოცნე ეწერა.

ე. მეტრეველმა და ც. კიკვიძემ აღნიშნეს, რომ „შაჰ-ნამეს“ ჩვენება ანგარიშგასანეცია. ამასთან, „ვტ“-ის ხელნაწერთა უმრავლესობაში სწორედ დავკოცნე იკითხება. ე.მეტრეველმა, კერძოდ, აღნიშნა, რომ დავკოცნე აქ პირდაპირ, სიტყვასიტყვით არ უნდა გავიყოთ.

ს. ციციშვილი: ძველ ხელნაწერებსა და წარწერებში მაგ., ვანის ქვაბის წარწერებში ძველი ნაკითხვები უფროა დაცული. ამ შემთხვევაშიც „შაჰ-ნამეს“ ჩვენება დავკოცნეს სასარგებლოდ უნდა მეტყველებდეს.

დაადგინეს: დარჩეს პროექტის ნაკითხვა: ასრე დავკოცნე.

ს. შ.: მე ვკადრე: „ღმერთმა ამოროს (ნუ ქნას), რომ ის ყმა შენი ქმარი გახდეს! ინდოეთში რომ შემოვლენ და გავიგებ მათს მოსელას, უჩუენებ ჩემს ძალ-ლონეს და ჩემს შემოპრობას: ისე დავხოცავ, რომ აღარაფრის (იარალის) მოხმარება არ შეეძლოს (= ისე დავხოცავ, რომ ხელსაც ვერ გამოიღებენ)“.

540 მიბრძანა, თუ: „წამს დიაცი დიაცურად, საქმედელად, დიდსა სისხლსა ვერ შეგაქნე, ვერ ვიქნები შუა კედლად: რა მოვიდეს სიძე, მოკალ მისთა სპათა აუწყედლად!

და ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქს წველსა ნედლად.

U 535-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: დ შეიქს (შეიქს). პროექტი მიღებულ იქნა, ოღონდ გ-ში, ი.გიგინეიშვილის წინადადებით, მძიმე გადაისვა: რა მოვიდეს, სიძე მოკალ... შემდგომში გ-ს ბოლოს დაისვა ძახილის ნიშანი.

ს. შ.: მიბრძანა: „საჭიროა ქალი ქალურად იქცეოდეს (საქმეს დედაკაცურად წყევტდეს), დიდ სისხლს ვერ დაგაკისრებ, ვერ ვიქნები შუა კედლად (ვერ გავხდები მაგის მიზეზი): როცა მოვა, სიძე მოკალი მისი ჯარის დაუხოცავად! მართალი სამართლის ქმნა ხმელ ხესაც გაანედლებს.“

541 ასრე ქვენ, ჩემო ლომო და მეჯობო ყოველთა გმირთაო, მიპარეთი მოკალ სასიძო, ლაშქართა ნუ მოირთაო, მისთა სპათაცა ნუ დაჰყოც, ზროხათა, ვითა ვირთაო,— და დიაღი სისხლი უბრალო კაცმანმცა ვით იტვირთაო?

უ 536-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: გ დაჰყოც (დახოც). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ასე ქენი, ჩემო ლომო და ყველა გმირის მეჯობო, მაღულად მოკალი სასიძო, ლაშქარს ნუ იახლებ, მის ჯარსაც ნუ დახოცავ, როგორც საქონელსა და ვირებს, უდანაშაულო ბევრი სისხლი ადამიანმა როგორ უნდა იტვირთოს?

542 იგი რა მოჰკლა, ეუბენ პატრონსა, ჩემსა მამასა, ჰკადრე, თუ: «სპარსთა ვერა ვიქ ინდოეთისა ჭამასა, ჩემია მკუთრი მამული, არ მიეცემ არცა დრამასა, და არ დამეწნები, გაგიჭდი ქალაქსა ვითა ტრამასა!»

უ 597-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ბ ვიქ( ვიქმ).

გ. კარტოზია: ა-ში ეუბენ-ის ნაცვლად უნდა მივიღოთ უფრო ადრინდელი ეუბენ-რედაქცია არ დაეთანხმა ამ მოსაზრებას, რადგან ეუბენ არც ერთ ხელნაწერში არ დასტურდება. პროექტი უცვლელად იქნა მიღებული.

ს. შ.: მას რომ მოკლავ, უთხარი პატრონს (მეფეს), ჩემს მამას, ჰკადრე: „ვერ ვიზამ, რომ ინდოეთი სპარსელებს მიეცე საქმელად, მემკვიდრეობით ჩემია მამული, არ მიეცემ არც დრამას (წერილ ფულსაც), თუ არ დამეხსნები, ქალაქს ტრამალად გადაგიტეცე!“

543 ჩემი ყოლა ნურა გინდა სიყვარული ნუცა ნდომა, ამით უფრო მოგეცემის სამართლისა შენ მოწდომა; ქნას მეფემან ყელმოტეხით შემოხუნენა, შემოკუდომა, და ჯელთა მოგეცემ თავსა ჩემსა, შეგუფერობდეს ერთგან სხდომა».

უ 538-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: სრულებით ნუ ახსენებ (გაამხელ) ნურც ჩემს სიყვარულს, ნურც ჩემს ნდომას (სურვილს), ამით უფრო მიალნევე სამართლიანობას; მეფე (თვით) შემოგტევენება ქედმობრილი, გადაგაკედება, მოგეცემს ჩემს თავს და ერთად მეფობა (ტახტზე სხდომა) დაგვეწენება\*.

## 1976. 4. VI

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი.

განიხილეს: 544—553 (პროექტი მოამზადა II ჯგუფმა), 554, 555 (პროექტი მოამზადა III ჯგუფმა).

544 ესე მეტად მომენონა თათბირი და გამორჩევა, ჩემთა მტურთა დაეცადე დასაჯოცლად ჯრმლისა ქნევა; მურმე აუდეგ წამოსავლად, მან დამინყო ქუვეუ წუქევა, და მნადდა, მაგრა ვერ შეემართე შეჭიდება, შემოხუნევა.

უ 539-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ეს რჩევა და გადანყვეტილება ძალიან მომენონა, ჩემი მტრების დასახოცად ხმლის ქნევა დაეყოფნე (გადაყოფიქრე); მერე ნამოსასვლელად აუდექი, მან (ნესტანმა) კვლავ დასაჯდომად მიმიწვია, მსურდა, მაგრამ ვერ გავუბედე ხელის მოკიდება, შემოხვევა.

545 ხანი დავყავ, გავეყარე, მაგრამ გავექე ვითა ხელი.  
ასამთ წინა ჩამომიძღვა, ჩამდოდა ცრემლი ცხელი.  
ჭირი ბევრჯელ ვითასე, ლხინი ჩემი ვართხელი,  
და მერმე ნასლეა არა მნადდა, ამად მივალ არფიცხელი.

U 540-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: გ ვითასე( ვათასი). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ხანი დავყავი, შემდეგ გამოვეთხოვე, მაგრამ შმაგვიით გაქვდი. ასამთი წინ ნამომიძღვა, ცხელი ცრემლი მდიოდა. ჭირი გამითასდა (გამიმრავლდა), ლხინი კი შემიმცირდა (გამიმხოლოვდა), თანაც ნასვლა არ მინდოდა, ამიტომ მივდიოდი ნელა (უჩქარებლად).

545,1 გარე ვაქციე ასამთი, მუნ ჩემი ჩამოყოლილი;  
ლამით უჭურეტი ვარსკლავთა მე სანოლს ვერ დანოლილი;  
გულსა დამესვის ლახუარი, შავთა წამწამთა სროლილი;  
და მისმან შუქმან დამალურჯა, დამალება, დამღვა წყლული.

X 693-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ა-ში და გ-ში (მიგნით) დასმულია მძიმე. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: გავაბრუნე ასამთი, რომელმაც გამომაცილა; სანოლში (ოთახში) რომ ვერ ვწვებოდი, ლამით ვარსკვლავებს ვუჭურეტი; გულზე მესობოდა (ნესტანის) შავი წამწამებისაგან ნასროლი ლახვარი; მისმა შუქმა დამალურჯა, დამალილავა, დამჭრა (დამანყლულა).

546 „მოვიდა კაცი: «სასიძო მოვაო», მოსლვა გუხარა,  
მაგრამ თუ ლმერთი რას უზამს, არა იცოდა, გლახ არა;  
მეფესა მიხუნდა სიამე, არ სიტყუა ივაგლახა რა,  
და მიბრძანა, ახლოს მიმისუა, «მოდიო», თავი დახარა.

U 541-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: დაბრუნდა (გავზავნილი) კაცი (და გვითხრა): „სასიძო მოდისო“, მოსვლა გვახარა, მაგრამ თუ ლმერთი რას უზამდა, ვაგლახ, არ იცოდა; მეფეს გაუხარდა, რამე საეავგლახო სიტყვა არ უთქვამს, დამიძახა, მოდიო, მანიშნა თავის დაქნევით (დახრით), ახლოს დამისვა.

547 მიბრძანა: «ჩემთვის ესე დღე ლხინი და სიხარულია.  
გარდავიჯადოთ ქორნილი, წამს ვითა დასა, სრულია;  
კაცნი გავგზავნეთ, მოვილოთ ყოვლგნით საჭურჭლე სრულია,  
და უზუად გავსცემდეთ, ვავსებდეთ, სიძუნე უმეკრულია».

U 542-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მითხრა: „ეს დღე ჩემთვის ლხინი და სიხარულია. გადავიხადოთ ქორნილი მეფური (სასახლის შესაფერისი), როგორც დას შეეფერება; ხალხი გავგზავნოთ, ყოველი მხრიდან მოვიტანოთ მთელი საგანძური, უზუად გავცეთ (წყალობა), ავაგსოთ(ქონებით ქვეშევრდომები), სიძუნე უგუნურება“.



548 მე გავგზავნენ ყოვლგან კაცნი საქორჭლეთა ნამომხმელნი;  
სასიძოცა მოგუივიდა, იყენეს ხანსა არდამხმელნი;  
შიგნით ჩუენნი გავგებნეს, გარეთ მოდგეს ხუარაზმელნი;  
და მათ ლაშქართა ერთგან მყოფთა ვერ იტყვედეს ვერცა წმელნი.

უ 543-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მე გავგზავნე ყველგან განძეულის ნამომლები ხალხი; სასიძოცო მოგვივიდა, ხანი არ დაუყოვნებიათ; შიგნიდან (ქალაქიდან) ჩვენები გავგებნენ, გარედან ხვარაზმელები მოდგნენ (მოვიდნენ); ერთად მყოფ ლაშქარს ხმელეთიც ვერ იტყვედა.

549 მეფემან ბრძანა: «მოკაზმეთ კარეთა მოედანია,  
გამოისუნუნოს სიძემან, დაყოს ცოტაი ხანია;  
მუნ მისად ნახვად გავიდენ უშენოდ სპანი სხუანია,  
და შენ აქა ნახე, კმარიან აქა ნახვისა კმანია».

უ 544-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: და აქა ნახვისა კმანია (აქა ნახვისად ყმანია).

გ.კარტოზია: დას მუორე ნახევარი მთლიანა I-ის კონიექტურაა. იგი საქირო არ არის, რადგან ხელნაწერთა დიდ ნაწილში დაცული ნაკითხვა – კმარიან აქა ნახვისა კმანია «ეტ»-ის ენისთვის დამახასიათებელ პარონომაზოულ გამოთქმას წარმოადგენს.

პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მეფემ ბრძანა: მოედანზე გააშხადეთ კარავი, მოისვენოს სიძემ, ცოტა ხანი დაყოს; იქ მის სანახავად წავიდეს უშენოდ სხვა ლაშქარი, შენ აქ ნახე, საკმარისია აქ ნახვა».

550 მოედანს დაედგი კარები ნითლისა ატლასებისა.  
მოვიდა სიძე, გარდაჯდა, დღე, ჰგვანდა, არს აღესებისა,  
შუქქმნა გასლვა შიგანთა, ჯარია მუნ ხასებისა,  
და დაინყეს დგომა ლაშქართა თემთემად, დასდასებისა.

უ 545-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მოედანზე დაედგი ნითელი ატლასის კარები. მოვიდა სიძე, ჩამოხდა (დაბანაკდა), თითქოს აღდგომის დღე იყო, შიგნით (ქალაქში) მყოფნი გავიდნენ, დიდებულების ჯარი იყო იქ, ლაშქარი დაენყო თემებად და გუნდ-გუნდად.

551 მე დაეშუერ, ვითა წესია საურავგარდაჯილისა;  
შინა წამოვე, მაშურალსა ქმნა მომნდომოდა ძილისა;  
მონა მოვიდა, მომართუა წიგნი ასმათის ტყილისა:  
და აადრე მოდიო, გიბრძანებს მსგავსი ალვისა ზრდილისა».

უ 546-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მე დავილაღე, როგორც შეეფერება სამსახურმოხდელ (მოვალეობაშესრულებულ) კაცს; შინ დაებრუნდი, დალილს ძილი მომინდა; მონა (მსახური) მოვიდა, მომიტანა საყვარელი (ტყილი) ასმათის წერილი: «მალე მოდიო, გიბრძანებს მსგავსი ტანაყრილი (წესტანი).

551,1 მე შინა წაველ, მმრავლობდეს სევედისა რაზმთა ურვანი,  
მას ვიგონებდი, რომლისა გულსა მიწყლოვდა სურვანი;  
ასმათის მონა წიგნით მხედა, ზე აჩნდა ოფლში ცურვანი;  
და «მალედ მოდიო, გიბრძანებს, ვისი გაქვს სულელები წყურვანი».

x 698<sup>1</sup>-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მე შინ წავედი, გამიხშირდა სვედის რაზმები („სვედის რაზმთა მწუხარება“), იმას ვიგონებდი, ვისი სურვილიც გულს მინწყავდა; ასმათის მონა წერილით დამხვდა, ოფლში ცურავდა: „მალე მოდიო, გიბარებს ის, ვინც სულივით გენატრება“.

552 ცხენისაგან არ გარდაეჭე, წაე ფიცხლად, დაემორჩილიდი;  
ქალი დამხუნდა ნატირები, ეპკითხე: «ცრემლსა რასა მილდი?»  
მითხრა: «შენი შესწრობილო, ტირილსამცა ვით აესცილდი?  
და გაუნწყუნდლად ვით გამართლო? რაგუარადმცა გავეაქილდი?»

უ 547-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ცხენიდან არ ჩამოვსტი, სწრაფად წავედი, დავემორჩილე; ქალი (ასმათი) ნამტირალევი დამხვდა, ვკითხე: ცრემლს რატომ ღვრიდი? მითხრა: შენი შემყურე ტირილს როგორ აეცილდები? განუწყვეტლად როგორ გამართლო? როგორ გავეექილდე?!

553 შეევედი, ენახეთ ბალიშსა ზედა წარბშერქმით მჯდომარე;  
მზე ველარას იქს მის მეტსა, მას გაენათლა რომ არუ,  
წავედეგ, მიბრძანა: «რასა სდგა? დლე მიგინს წინ საომარე!  
და ანუ გამწირე, მიტყუე და კულაცა მოიმცთომარე?»

უ 548-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ბ იქს (იქმს), გაენათლა (განენათლა), გ მიგინს (მიგინს). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: შეევედი (ნესტანთან), ენახეთ ბალიშზე წარბშეკრულად მჯდომი; მზე ვერ გაანათებდა იმაზე მეტად, მას რომ გაენათებინა მიდამო, წინ წავედექი, მითხრა: „რას დგახარ (რატომ ხარ უმოქმედოდ)? საომარი დლე წინ გიძექს! თუ გამწირე, მომატყუე და ისევე იცრუე?!

554 მე მეწყინა, აღარა ვთქვი, ფიცხლად გარე შემოებრუნდი,  
უკუეაყილე: «ან გამოწინდეს, არ მინდოდეს, ვისცა უნდი!  
ქალი ომსა რაგუარ მანუნეს, აგრე ვითა დაეძაბუნდი!»  
და შინა მოვე, მოკლეა მისი დევაპირე, არ დაეყმუნდი.

უ 549-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ბ უნდი (უნდი). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მე მეწყინა, აღარაფერი ვთქვი, სწრაფად გამოებრუნდი. მივაძახე: „ახლა გამოწინდება, თუ არ მინდა (ის), ვისაც უნდივარ! ქალი საომრად როგორ მომიწოდებს, ასე როგორ დაეძაბუნდი!“ შინ მოვედი, მისი (სასიძოს) მოკვლა გადავწყვიტე, არ შევეყმანდი.

555 ასა უბრძანე მონასა: «საომრად დაემზადენით!»  
შეესხედით, გაველეთ ქალაქი, არავის გავეცხადენით.  
კარაესა შევე, იგი ყმა ვითა წვა, ზარმაც თქმად ენით,  
და უსისხლოდ მოკვალ იგი, გლახ, თუცა ჭმდა სისხლისა დენით.

უ 550-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ა უბრძანე (უებრძანე).

ა. ბარამიძისა და ს. ცაიშვილის წინადადებით, დ-ში სისხლისა დენით შეიცვალა ნაკითხვით: სისხლთა დადენით.

ს. შ.: ას მონას (მეომარს) უებრძანე: „საომრად მოემზადეთ!“ აემხედრდით, გაეიარეთ ქალაქი, არავის ვეჩვენეთ (ფარულად გავედით). კარაეში შევედი, ის მოყმე როგორ იწვა, თქმაც მზარავს; უსისხლოდ მოკვალი ის, თუმცა საჭირო იყო სისხლის დაღვრა.

სხდომას დაესწრნენ: ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი.

განიხილეს: 556—559 (პროექტი მოამზადა III ჯგუფმა).

**556** კარვის კალთა ჩახლართული ჩაეჭერ, ჩავაკარბაკე, ყმასა ფერჯთა მოვეკიდე, თავი სუეტსა შეუტაკე.  
წინამწოლთა დიზახხნეს, გლოვა მიხუნდა საარაკე;  
და ცხენსა შეველე, წამოცავე; ჯაჭუი მეცუა საკურტაკე.

უ 551-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ბ შეუტაკე (შეუუტაკე).  
გ წინამწოლთა (წინა მწოლთა). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: კარვის ჩახლართული კალთა ჩაეჭერი, ჩავეკაფე, მოყმეს ფეხებში მოვიდე ხელი, თავი სვეტზე მივახეთქებინე. წინამწოლებმა (მსახურებმა) დაიყვირეს, მათ საარაკო (დიდი) გლოვა ხდათ ნილად; ცხენზე შევეჯექი, წამოვედი; საკურტაკე (კურტაკის ქვეშ ჩასაცმელი) ჯაჭვის პერანგი მეცვა.

**556,1** ან გაუცუდდეს ფარსადანს იგ მისი თათბირობანი;  
აეად მოუქდა ხუარაზშმას ქორნილი, სიძესძლობანი;  
მზე დაუკარგავს ტარიელს, ეწინეს ვარდთა ზრობანი,  
და წესია ამა სოფლისა, გაზაფხულს მოზღვეს სთლობანი.

x 705-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ბ სიძესძლობანი (სიძერძლობანი),  
გ ზრობანი (ძრობანი). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ახლა ფარსადანს უქმად ჩაუარა მისმა თათბირმა; ცუდად მოუხდა (აენო, არ არგო) ხუარაზშმას ქორნილი, სიძერძობა; მზე (ნესტანი) დაუკარგავს ტარიელს, ვარდებს უწია დაზრობამ. ამ სოფლის წესია: გაზაფხულს მოსდევს შემოდგომა.

**557** ჯმა დამივარდა, შეიქმნა ზახილი მოსანეგარი;  
წამოვე, წეენა დამინყეს, დაეხოცე ჩემი მდევარი,  
ქალაქი მქონდა მაგარი, მტერთაგან მოურეგარი,  
და მუნ შიგან შევე მშუიღობით, ამოდ იგივე მე ვარი!

უ 552-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. ი. გიგინეიშვილი: ა-ში მოსანეგარი გაგებულა ზახილის მსაზღვრელად. ძველი ქართული მწერლობის ძეგლებში მოსანეგარი ხმაურის, ყუინის აღმნიშვნელი სიტყვაა. აქაც ამ მნიშვნელობით (ე.ი. ზახილის სინონიმად) უნდა იყოს ნახმარი. ამიტომ ზახილის შემდეგ მძიმე უნდა დაესვათ.

რედაქციამ მიიღო ეს წინადადება.

ს. შ.: გახმურდა ჩემი ამბავი, ატყდა ნიოკობა, განგაში; წამოვედი, დამედევნენ, დაეხოცე ჩემი მდევრები. ქალაქი მქონდა გამაგრებული, მტერთაგან უძლეველი, შიგ შევედი უწებლად, საამოდ (კარგად) ისევ მე ვარ!

**558** კაცნი გავეზავენ, ვაცნობე ყოვლგან ლაშქარსა ყუელასა;  
«აქს მომართეთ, ვინცალა ჩემსა იქმოდეთ შუელასა!»  
არ განყდა მოსლეა მდევართა ლაშქსა დია ბნელასა,  
და ჩემი რა ცნიან, სცივიდიან თავებსა მათსა მრთელასა.

უ 553-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა. შემდგომში ბ-ს ბოლოს ნერტილის ნაცვლად დაისვა ძახილის ნიშანი.

ს. შ.: ხალხი გავგზავნე, ყველგან ვაცნობე მთელ ლაშქარს: "აქეთ გამოემართეთ, ვინც კი აპირებთ ჩემს დახმარებას". მდევრის მოსვლა არ შეწყვეტილა იმ ძალიან ბნელ ღამეს; როცა გაიგებდნენ, რომ ეს მე ვიყავი, თავის გადარჩენას ცდილობდნენ.

559 ცისკრად ავდეგ, შევეკაზმე, რა გათენდა ღამე დილადა, ენახენ სამი დიდებულნი მუფისაგან მოგზავნილად; ებრძანა, თუ: „ღმერთმან იცის, გამზარდე ვითა შვილად, და ჩემი ასრე რად შესცვალე სიხარული სიმძიმოდ?“

უ 554-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა, ოღონდ ა-ში, ცეზურასთან, მძიმის ნაცვლად დისევა ნურტლი-მძიმე.

ს. შ.: ცისკრისას ავდეგი, შევეკაზმე; როცა გათენდა, ენახე, რომ მეფეს გამოგზავნა სამი დიდებული; შემოეთვალა: „ღმერთმა იცის, შვილივით მყავდი გაზრდილი, ჩემი სიხარული ასე რატომ შემიცვალე მწუხარებად?“

## 1976. 2. VII

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი.

განიხილეს: 560–565 (პროექტი მოამზადა III ჯგუფმა); 565,1 (პროექტი მოამზადა I-მა ჯგუფმა).

560 ხვარაზმას სისხლი უბრალო სახლად რად დამადებინე? თუ ჩემი ქალი გინდოდა, რად არა შემაგებინე? მე, ბერსა შენსა გამზრდელსა, სიცოცხლე მაარმებინე. და დღედ სიკუდილამდის შენიცა თავი არ მაახლებინე!»

უ 555-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ხვარაზმას უდანაშაულო სისხლი ჩემს სახლს (გვარს, ოჯახს) რად დააკისრე? თუ ჩემი ასული გინდოდა, რატომ არ გამაგებინე? მე, შენს მოხუც გამზრდელს, სიცოცხლე მომძაჟულე (გამიარმე), სიკვდილის დღემდე შენი თავი ვერ მაახლებინე (ახლოს არ მამყოფებინე)!

561 მე შეუთუალე: „მეფეო, ვარ უმაგრესი რვალისა, თუარა რად მიშლის სიკუდილსა ცეცხლი სირცხულთა აღისა? მაგრა, თუით იცით, ჭელმნიფე ჯამს მქნელი სამართლისა, და მე, თქვენმან მზემან, მაშოროს ნდომა თქვენისა ქალისა!

უ 556-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ა შეუთუალე (შევეთვალე). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მე შევეუთვალე: „მეფეო, რვალზე (სპილენძზე) უმაგრესი ვარ, თორემ რად მიშლის სიკვდილს სირცხვილის ცეცხლი (რად არ ვკვდები სირცხვილის აღის ცეცხლით)? მაგრამ, თავად იცით, ხელმნიფე სამართლიანი უნდა იყოს, მე, თქვენს მზეს ვფიცავ, ღმერთმა მაშოროს თქვენი ასულის ნდომა!

562 იცით, ინდოთა სამეფო რაზომი სრა-საჯდომია! – ერთილა მე ვარ შემკუდრე, – ყუელაი თქვენ მოგჯდომია; ამოწყდა მათი ყუელაი, მამული თქვენ დაგროზია;

და დღესამდის ტახტი უჩემოდ არავის არ მონდობია.

u 557-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა, ოღონდ ა-ს ბოლოს ძახილის ნიშანი შეიცვალა მძიმით, ამონყდა შეიცვალა ამოსწყდა ფორმით.

ს. შ.: იცით, ინდოეთის სამეფო რამდენი სატახტოცაა, – ერთი მელა ვარ მემკვიდრე, – ყველა თქვენ გრგვბათ: სხვების ყველა (მემკვიდრე) ამონყდა, სამკვიდრო თქვენ დაგრნათ; დღემდე ტახტი უჩემოდ არავის უნდა (აზრად არავის მოსვლია).

563 ვერ გათნვე, თქვენმან კეთილმან, ან ეგე არმართალია:

ღმერთმან არ მოგცა ყმა შვილი, გიზის ერთაი ქალია,  
ხუარაზმმა დასვა ჳელმნიფედ, დამრჩების რა ნაცვალაი?

და სხუა მეფე დაჯდეს ინდოეთს, მე მერტყას ჩემი ჳრმალაი?!

u 558-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ვერ გეპირფერები, თქვენმა სიკეთემ (თქვენმა გახარებამ), ახლა ეგ სამართლიანი არ არის: ღმერთმა არ მოგცა ვაჟიშვილი, ერთი ქალი გიზის, ხუარაზმმა (რომ) დასვა ხელმნიფედ, მე სანაცვლო რა დამრჩება? სხვა დაჯდეს მეფედ ინდოეთში, მე კი ჩემი ხმალი მერტყას?!

564 შენი ქალი არად მინდა, გაათხოვე, გამარიდე!

ინდოეთი ჩემი არის, არვის მივცემ ჩემგან კიდე-  
ვინცა ჩემსა დაშეცილოს, მისით მასცა ამოუფხურიდე,

და სხუას მეშუელსა გარეგანსა, მომკალ ვისცა ვინატრიდე!\*

u 559-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: შენი ასული არაფრად მინდა, გაათხოვე, მომპოვრე ინდოეთი ჩემია და ჩემ გარდა არავის მივცემ. ვინც ჩემსაში შემეცილება, მას მისი მამულიდანაც ამოვაგდებ (მოვსპობ), სხვა გარემე დამხმარე თუ ვინატრო ვინემ, მომკალი!”

565 ესე კაცი გამეგ ზაენეს, გონებასა გავეშმაგე,

რომე მისი ვერა მეცნა, ამას უფრო დავედაგე-  
მას ზლუდესა გარდავადეგ, მინდოროთაჲე რომე ვაგე,

და მესმა საქმე საშინელი, თუცა თაჲი ვერ ნავაგე.

u 560-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ეს კაცები გავგზავნე, ფიქრმა გამაშმაგა. მისი (ნესტანის) რომ ვერაფერი გამეგო, ამან უფრო დამდაგა. იმ ზლუდეს გადავადექი, მინდურისკენ რომ მქონდა აგებული, გავიგე საშინელი ამბავი, მაგრამ თაჲი ვერ მოვიკალი.

565,1 შავმან, სანყალმან ასმათმან, ნახეთ, რა ნახა თჳალითა!

ტარიელისკენ იარა დამწუარამა დანავლითა,

უთხრა: „ამ საქმის მნახავი სიკუდილით შემინყალითა;

და მას შენთუის უყრეს ყოველი, შენ ხელქმნა მიავალითა“.

x 715-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ა შავმან, სანყალმან (შავმან სანყალმან), დ ხელქმნა (ხელ-ქმნა); ბ-ს ბოლოს მძიმეა ნურტილ-მძიმის ნაცვლად, გ-ს ბოლოს კი – ნურტილ-მძიმე მძიმის ნაცვლად. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ნახეთ, (თუ) ბედშავმა, სანყალმა ასმათმა რა ნახა (თავისი) თვალით! ტარიელისკენ გასწრა დაფერვლით დამწუარამა, უთხრა: „ამ საქმის (ნესტანის გადაკარგვის)

მნახველს წყალობა მიყავი და მომკალი; მას (ნესტანს) შენ გამო უყვეს ყველაფერი, მიავალე მას შენი გახელება”.

## 1976. 10. IX

სხდომას დაესრუნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს: 566–574 (პროექტი მოამზადა II ჯგუფმა).

566 გამოჩნდეს ორნი ქვეითნი, – მე მივეგებე წინარე, – ქალი ჰყვა ერთსა მონასს, – «უცანმცა, თუ მოღმა ვინ არე».

თავგაგაღვლეილი ასმათი, პირსა სისხლჩამოდინარე!

და აღარ მიყივლა ღომილით, არცალა გამოცინარე.

ს 561-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ა-ში და ბ-ში დამატებულია ტირეები, ამასთან ა-ს ბოლოს წერტილი შეცვლილია მძიმით; ბ-ს მეორე ნახევარი ჩასტულია კუთხოვან ბრჭყალებში, ტაეპის ბოლოს ორწერტილის ნაცვლად დასტულია წერტილი; გ-ს ბოლოს მძიმის ნაცვლად დასტულია ძახილის ნიშანი.

გ. კარტოზია: პროექტში შეტანილი პუნქტუაციური ხასიათის ცვლილებები იმის შედეგია, რომ ბ-ს სართიმო სიტყვა არე სხვაგვარად არის გააზრებული, ვიდრე აქამდე ესმოდათ. აკ. შანიძის აზრით, არე არის ზმნის ხელოვნული ფორმა, რ. პატარიძეს მიაჩნია, რომ ესაა რე-ნაწილაკდართული ა (არს ზმნის ნაშთი). მე ვფიქრობ, აქ გვაქვს სასვებით ჩვეულებრივი წარმოება სიარულის აღმნიშვნელი რ ძირიანი ზმნისა: წყვეტილის მეორე პირის ფორმა: არე (= ატარე) შენ იგი. ნახევარტაეპის („უცანმცა, თუ მოღმა ვინ არე“) აზრია: „გავიგო, აქეთ ვინ ატარე (= გავიგო, აქ ვინ მოგიყვანია)“. ტარიელის შინაგანი მეტყველება მიმართულია მონისადმი, რომელიც შორიდანვე შენიშნა და წინ მიეგება, რათა გაეგო მისი თანმხლები ქალის ვინაობა. შინაგანი მეტყველების ანალოგიური მაგალითია ხატაელებთან ბრძოლის დროს ტარიელის მიმართვა ხმლისადმი: შუბი გატყდა, ჳელი ჩავეყა: „ვაქებ, ჳრმალო, ვინცა გლესა!“ (439ა). ამის გათვალისწინებით უნდა გასწორდეს ამ ტაეპის პუნქტუაცია.

ი. გიგინეიშვილი: არე სიტყვის ყოველგვარი დაკავშირება არის ზმნასთან მიუღებელია. აქ წარმოდგენილი ახსნა ამ ფორმისა საინტერესოდ მეჩვენება. მე მომხრე ვარ ამგვარი ნაკითხვისა და გაგებისა. ოღონდ წინარე (ა-ში) ერთად უნდა დაინეროს.

შ. ძიძიგური: პროექტის ნაკითხვას და ტექსტის გაგებას მეც უჭერ მხარს, მაგრამ მიმაჩნია, რომ ზედმეტია ტირეების დამატება. წუ გავართულებთ პუნქტუაციას!

გ. კარტოზია: ვფიქრობ, ტირეები აუცილებლად საჭიროა, რათა ჩანდეს აბ-ში წინადადებათა თავისებური წყობა და მოქმედების თანმიმდევრობა: გამოჩნდა ორი ქვეითი, (შორიდანვე დავინახე, რომ) ერთ მონას ქალი მოჰყავდა; მე წინ მივეგებე, (გულში მიემართე მონას): გავიგო, აქ ვინ მოგიყვანია.

ა. ბარამიძე და ს. ცაიშვილი აგრეთვე მხარს უჭერენ ტირეების ამოღებას.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს პროექტის ნაკითხვა და გაგება, ოღონდ აბ-ში მოიშალოს ტირეები, წინარე დაინეროს ერთად.

ს. შ.: გამოჩნდა ორი ქვეითი, ერთ მოყმეს ქალი მოჰყავდა; მე წინ მივეგებე, (გულში მიემართე): „გავიგო, აქეთ ვინ მოიყვანე“ (აღმოჩნდა) თმავაგაღვლეილი (საბურავმობხდლი)

ასმათი, რომელსაც პირისახეზე სისხლი ჩამოსდოდა. აღარ დამიძახა ღიმილით, აღარც გამოვიცინა.

**567** იგი ენახე, დაეებნიე, გონებანი გამიშვანა;  
შორით უქმე: «რაშიგან ვართ, ანუ ცეცხლმან რად დაგუდაგანა?»  
მან საბრალოდ შემომგირინა, ძლიე სიტყუანი გამოავანა,  
და მითხრა: «ღმერთმან სიმგრგულე ცისა ჩუენთუის რისხით ნამოგრანა».

U 562-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ბ უქმე (უესმე). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ის (ასმათი) დაეინახე, დაეიბენი, გაეშვადგი (შეეშვოთდი, აეფორიადგი); შორიდან დაუფახე: „რა გეჭირს (რა ამბავია ჩვენს თავს), ან ცეცხლმა რატომ დაგვენა?“ მან საბრალოდ (სანაყალობლად) შემომგირინა, სიტყვა (ენა) ძლიეს ამოიღო, მითხრა: „ღმერთმა ცარგვალი რისხით დაგვატება (თავს)“.

**568** ახლოს მივე, კულაცა ეპკითხე: «რაშიგან ვართ? თქუი მართალი!»  
კულა საბრალოდ ამიტირდა, კულა მოედუა ამით ალი,  
დიდხან სიტყუა ვერა მითხრა, მისთა ჭირთა ნათალი,  
და მკერდსა ნითლად უღებვიდა სისხლი ღანუთა ნანუეთალი.

U 563-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ახლოს მივედი, ისევე ვკითხე: „რა მოხდა (რა ამბავია)? მართალი თქვი!“ ისევე საბრალოდ ატირდა, ამის გამო ისევე მოეკიდა ცეცხლი (მწუხარებისა), დიდხანს ვერაფერი მითხრა, თავისი ჭირის მეთადიცი კი, მკერდს ნითლად უღებავდა ღანუებიდან წვეთ-წვეთად ჩამომდინარე სისხლი.

**569** მერმე მითხრა: «მოგაწენებ, ესე რადმცა დაგიმალე?  
მაგრა ეითა გაგახარებ, შენცა აგრე შემინალებ;  
ნუ მაცოცხლებ, ნუ დამარჩენ, შემოხუნენ, შემობრალე,  
და დამწენ ჩემსა სანუთოსსა, ღმერთსა შენსა მიაველი!»

U 564-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მერმე მითხრა: „გეტყვი, ამას რატომ დაგიმალავ? მაგრამ როგორც (მე) გაგახარებ, შენც ისე დამასაჩუქრე: ნუ მაცოცხლებ, ცოცხალს ნუ დამტოვებ, შეისმინე ჩემი ხვენა, შემობრალე, მომამორე ამ ქვეყანას, ღვთის გულისათვის!“

**570** მიაშბო: «ოდეს სასიძო მოკალ და წმა დაგივარდა,  
მეფესა ესმა, აიჭრა, მართ მისგან გასატკივარდა,  
შენ დაგიზახნა: «მიწმეთო», წმამალად გაწმამივივარდა;  
და მოგნახეს, შინა ვერ გამოეეს, მით მეფე გამოჩივივარდა.

U 565-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა, ოღონდ გ-ში შეიცვალა ბუნტტუაცია: შენ დაგიზახნა, „მიწმეთო“, – წმამალად გაწმამივივარდა.

ს. შ.: მიაშბო: „ოდესაც სასიძო მოკალი და ხმა დაგივარდა (გამელავნდა შენი ამბავი), მეფემ გაიგო, ზე ნამოიჭრა, ამის გამო შენუხდა (ეს ამბავი მისი სატკივარი გახდა), შენ მოგიკითხა, მიხმეთო, – ხმამალა იძახდა; გძებნეს, შინ ვერ გნახეს, ამიტომ მეფე (თავისი ბედის) მოჩივიარი (მოშჩივანი) შეიქმნა.“

**571** კაკარეს: «აქა აღარ არის, კარნი სადმე გაუულიან».

მეფე ბრძანებს: «ვიცი, ვიცი, მეტად კარგად შემოგნან:

მას უფუარდა ქალი ჩემი, სისხლნი ველთა მოულურინა,

და რა ნახიან ერთმანერთი, არშეხედუა ვერ დათმიან.

უ 566-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მოახსენეს: «აქ აღარ არის, (ქალაქის) კარები გაუვლია». მეფემ თქვა: «ვიცი, ვიცი, ძალიან კარგად მესმის (გამიგია): მას (ტარიელს) უფუარდა ჩემი ქალი, (ამიტომაც) დაულურია (ხვარაზმშაპის ძის) სისხლი ველად. როდესაც ნახადენენ ერთმანეთს (ტარიელი და ნესტანი), ვერ ძლებდენ, რომ არ შეეხედათ ერთმანეთისათვის.

572 ან, თაემან ჩემმან, მას მოეკლა, ჩემად დად ვინცა მადესა!

მე ღმრთისა უთხარ, დაუბამს მას ეშმაკისა მადესა!

მათ ბოზ-კუროთა ასეთი რა მისცეს, რა უქადესა?

და თუ დაეარჩინო, ღმერთი ვგმო! მისად პატიყად შხად ესა.

უ 567-თან შედარებით პროექტში ცვლილება: ბ უთხარ (უთხარ). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ახლა, ჩემს თავს ვფიცავ, მოვკლავ ჩემს დას (მოვკლავ მას, ვინც ჩემ დად მიქციეს!) მე ვთხოვე, ღვთის გზაზე დაეყენებინა (ნესტანი), მას კი ეშმაკის ბადეში გაუბამს! იმ გარყვნილებმა (ნესტანმა და ტარიელმა) ისეთი რა მისცეს, რას დაპპირდნენ? თუ ვაცოცხლო (დავარი), ღვთის მგმობელი ვიყო! მის სასჯელად ეს (სიკვდილი) არის გამზადებული.

573 მის მეფისა ნესი იყო: თავი მისი ძწირად ფიცის,

და თუ ფიცის, არ გატეხის, მასვე ნამსა დაამტკიცის.

ესე წყრომა მეფისაგან ვისცა ესმა, ვინცა იცის,

და მან უამბო დავარ ქაჯსა, ვინ გრძნებოთა ცაცა იცის.

უ 568-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: იმ მეფის ჩვეულება იყო: თავის თავს იმითად დაიფიცებდა, და თუ დაიფიცებდა, (ფიცს) არ გატეხდა, მყისვე შეასრულებდა. «მეფის ეს ვანყრომა (განრისხება) ვინც ვაიგონა და იცოდა (მისი ხასიათი), მან უამბო დავარ-ქაჯს, რომელიც გრძნებით (ჯადოქრობით) ცასაც სწედებოდა (ცასაც იმორჩილებდა, ცასაც თავისად გაიხდიდა).

574 დავარს, დასა მეფისასა. უთხრა ვინმე ღმრთისა მტერმან:

«თავი ფიცა ძმამან შენმან, არ დაგარჩენს, იცის ვრმან».

მან აგერ თქვა: «უბრალო ვარ, იცის ღმერთმან სახიურმანი

და ვისგან მოვკუნდე, ვისთვის მოვკუნდე, მიიხუდროს იგი ვერ მან».

უ 569-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: დავარს, მეფის დას, უთხრა ვიღაც უღმერთომ (ღვთის მტერმა): «თავი დაიფიცა შენმა ძმამ (და) ყველამ (ხალხმა) იცის, არ ვაცოცხლებს». მან (დავარმა) ასე თქვა: «უდანაშაულო ვარ, იცის მონყალე ღმერთმა! ვისგანაც მოვკვდები, ვის გამოც მოვკვდები (იგულისხმება ნესტანი), მას ვერ ირგუნებს ის (ტარიელი)».

## 1976. 24. IX

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.



განიხილეს: 575-577 (პროექტი მოამზადა II ჯგუფმა). 578-582 (პროექტი მოამზადა III ჯგუფმა).

**575** პატრონი ჩემი აგრევე იყო, ნამოხუე შენ ოდეს;  
შენუღნივე რიღენი ეზურნეს, ტურფად შუენოდეს.  
დავარ მოსთქმიდა სიტყუათა, რომელნი არა მსმენოდეს:

და იბოზო, შენ ბოზო, რად მომკალი? ვეჭუ, შენცა არა გლხენოდეს!

U 570-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ჩემი პატრონი (ქალბატონი) ისევე იყო, როგორც შენი ნამოსვლისას; შენი (შენი ნაქონი, შენი ნაწუქარი) რიღე ეზურა, ძლიან უხდებოდა. დავარი მოთქმით ამბობდა (ისეთ) სიტყვებს, რომლებიც (მანამდე) არ გამეგონა: "შე ბოზო, ბოზო, რატომ მომკალი? ვუჭრობ, შენც არ გაიხარები!

**576** როსკიპო, ბოზო დიაცო, საქმრო რად მოაკლევინე?  
ანუ სისხლითა მისითა ჩემი რად მოაზღვევინე?  
არ ცუდად მომკლავს ძმა ჩემი, რა გიყავ, რა გაქნევინე?

და ან, ლმერთსა უნდეს ვერ მიხუდე, ვის ესე დააშლევინე!"

U 571-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: როსკიპო, ბოზო დედაკაცო, საქმრო რატომ მოაკლევინე (ტარიელს)? ან მისი სისხლი (სისხლის ფასი) ჩემი სისხლით რატომ გადაახდევინე (მეფეს)? ტყუილბრალოდ არ მომკლავს ჩემი ძმა? რა გიყავი, რა გაქნევინე (მე რა ბრალი მაქვს)? ახლა, თუ ლმერთი ინებებს, ვერ ერგები მას (ტარიელს), ვისაც ეს საქმე (ქორწინება) ჩააშლევინე!"

**577** ჳელი მიპყო, ნამოზინა, თმანი გრძელნი დაუფუშნა,  
დაალუბა, დაალურჯა, მდგრად პირნი მოიქუშნა.

მან პასუხი ვერა გასცა, ოდენ სულთქუნა, ოდენ ლუშნა,

და ქალმან შავმან ვერა არგო, ვერცა წყლულნი დაუშუშნა.

U 572-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის..

ა. ბარამიძე: ხელნაწერთა დიდი ნაწილი ბ-ს სარითმო სიტყვად მოიქუშნა-ს ნაცვლად კითხულობს მოუქუშნა-ს. მე სარწმუნოდ მიმაჩნია ლიტერატურაში (ე.ხინთიბიძე) გამოთქმული მოსაზრება ამ ნაკითხვის პირველადობის შესახებ. ა და ბ-ს ყველა ზმნა სუბიექტად დავარს გულისხმობს, ობიექტად – ნესტანს. ამ ზმნაშიც ეგვევ ვითარებაა საგულებელი (დავარმა მოუქუშნა პირნი ნესტანს).

შ. ძიძიგურიც აგრეთვე მხარს უჭერს ასეთ ნაკითხვას.

რედაქციის სხვა წევრებს (გ. კარტოზიას, ც. კიკვიძეს, ს. ცაიშვილს) მიაჩნიათ, რომ აქ აზრობრივად უფრო გამართლებულია სათაეისო ქვეყის ფორმა: მდგრად პირნი მოიქუშნა (= სასტიკად განრისხდა, სახეზე მრისხანება გამოებატა).

მომდევნო სხდომაზე (1976. 15. X) ი.გიგინეიშვილმა აღნიშნა, რომ აქ პირველადი ნაკითხვა უნდა იყოს მოუქლუშნა, რომელიც B<sup>1</sup> B<sup>7</sup> B<sup>8</sup> ხელნაწერებშია დაცული (მასვე უჭერს მხარს A<sup>4</sup>-ის მოუქლუშნა). შერ საბა: მოქლუშმა ნავლეჯა ჳორცთა. ტაეპის აზრია: ცემით დაალურჯა, სასტიკად დაუქლუშა პირისახე.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს ნაკითხვა: მოუქლუშნა.

რედაქციის წევრებს სხვადასხვაგვარად ესმით გამოთქმა ქალმან შავმან.

ა. ბარამიძისა და გ. კარტოზიას აზრით, ეს ნიშნავს: ბედშავმა ქალმა (ე.ი. ასამთმა); ს. ცაიშვილი ფიქრობს, რომ აქ იგულისხმება ზანგი მომეღელი ქალი.

ს. შ.: ხელი მოჰკიდა, მოსწია, გრძელი თმები დაუფუშა (დაუშალა), დაეცა, დააღურჯა, სასტიკად დაუგლოჯა პირისახე. მან (ნესტანმა) პასუხი არ გასცა, მხოლოდ ამოიოხრა, მხოლოდ დაიკუნესა. ბედშავმა ქალმა ვერაფერი არგო (= მე, ბედშავმა, ვერა ვარგე), ვერც წყლულები დაუშუშა.

**578** რა დავარ გაძღა ცემითა, მისითა დაღურჯებითა,  
ნამოდგეს ორნი მონანი პირითა მით ქაჯებითა,  
მათ კიღობანი მოჰქონდა, ეუბნეს არ აუჯებითა,  
და მას შიგან ჩასუეს იგი შუე, ჰგავს, იქნა დარაჯებითა.

U 573-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: დავარმა გული რომ იჯერა მისი (ნესტანის) ცემითა და დაღურჯებით, ნამოდგა ქაჯური შესახედაობის ორი მონა, მათ კიღობანი მოიტანეს და ხვენწა არ დაუწყიათ, ის შუე კიღობანში ჩასვეს და ეტყობოდა, რომ ტყვედ აქციეს.

**579** მან უთხრა: «ნადით, დაკარგეთ მუნ, სადა ზღუისა ჭიპია;  
წმიდისა წელისა ვერ ნახოს მყინვარე, ვერცა ლიპია».  
მათ გაეხარნეს, წმამალად იყიელეს: «იპი, იპია».

და ესე ენახე და არ მოეკუე, არა მგავს არცა სიპია.

U -სგან განსხვავებით, სტროფი ძირითადად არის ჩათვლილი.

X729-სთან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ა დაკარგეთ (დაჰკარგეთ), წმიდისა (წმინდისა), დ. მოეკუე (მოეპკეე).

ც. კიკვიძემ აღნიშნა, რომ სტროფი არის ყველა დაუზიანებელ ხელნაწერში, არ იცნობს მხოლოდ ვახტანგის გამოცემა, ამიტომ სტროფის ჩანართად ჩათვლის საკმაო საფუძველი არ არის.

რედაქციის წევრები მხარს უჭერენ სტროფის ძირითადად ჩათვლას. ამასთან, აღნიშნა, რომ სტროფს ახალი მხატვრული დეტალები შემოაქვს თხრობაში. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მან (დავარმა) უთხრა: „ნადით და გადაკარგეთ იქ, სადაც შუაგული ზღვაა; ველარ იხილოს წმინდა (მტკნარი) წყალი, ვერც გაყინული და ვერდ დამდნარი სახით“; მათ (ქაჯებს) გაუხარდათ და ხმამალა შესძახეს: „იპი, იპია“. ეს ენახე (ამის მომსწრე ვიყავი) და არ მოეკვიდი, სიპ ქვაზე უმაგრესი აღმოეწინდი.

**580** ზღუითყე გაავლნეს სარკმელნი; მაშინვე გაუჩინარდა.  
დავარ თქვა: «მქმნელი ამისი ვინ არ დამქოლოს, ვინ არ და-  
ვირე მომკლვიდეს, მოეკუდები, სიცოცხლე გასაწყინარდა».

და დანა დაიცა, მოცა-კუნდა, დაეცა, გასისხლმდინარდა.

U 574-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. რედაქციამ ა-ში გაავლნეს შეცვალა გაარნეს ფორმით, რომელიც მთელ რიგ ხელნაწერშია დადასტურებული. რედაქციის წევრებს სარწმუნოდ მიაჩნიათ მოსაზრება იხ. ი.გიგინეიშვილი 1975, 242–244 გაარნეს ფორმის პირველადობის თაობაზე.

ს. შ.: (კიღობანი) ზღვისკენ ფანჯრიდან გაატარეს და მაშინვე გაუჩინარდა (გაქრა). დავარმა თქვა: „ამის ჩამდენს ვინ არ ჩამქოლავს (ამის ჩამდენი ჩასაქოლი ვარ)! ვიდრე მომკლავდეს (ფარსადანი), მე თვით მოვიკლავ თავს, სიცოცხლე მძიმე შეიქნა (სიცოცხლე აღარ ღირს)“. დანა ჩაიცა, კიდევ მოკვდა, დავარდა და სისხლის მდენად იქცა.

**580,1** ნესტან-დარეჯან ქაჯთ მისცა, დავარ ეხვის დანება,

მზის სხივსა და მწვერვალსა უფსკრულსა ჩაიყვანებდა;  
მას უებროსა მნათობსა ნავსა სმენ კიდობანებსა;

და პირსა ბურვენ და უკლუტენ, შუქს ვინღა მოივანებდა?

x 575-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ბ მწვერვალსა (მწვერვალსა).

პროექტი მიღებულ იქნა, ოღონდ გ-ში მძიმე დაისვა: ნავსა სმენ, კიდობანებდა.

ს. შ.: ნესტან-დარეჯანი ქაჯებს მისცა, დავარი ვება დანას (თავს იკლავს), მზის შუქსა და მწვერვალს (ე.ი. ნესტანს) უფსკრულში აგდებს (ჩაიყვანს); იმ შეუდარებელ მნათობს ნავში სვამენ, კიდობანში; კიდობანი დახურეს, დაკეტეს, (მის) შუქს (ამის შემდეგ) ვიღა იხილავს მოვანებულს (ავსებულს)?

581 რად არ მიკურვებ ცოცხალსა, მე ლახვარდაუსობელსა!  
ან იგი მიყავ, რა მმართებს ამისსა მახარობელსა!  
ზენაარ, დამქვენ სიცოცხლე სულთადგმადანთომობელსა!

და საბრალოდ ცრემლსა ადენდა უკლებსა, დაუშრობელსა.

u 575-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: რატომ არ ჰკვირობ, რომ მე ცოცხალსა და ლახვარდაუსობელს (ლახვებით გაუგმირავს) მხედავ! ახლა ის მიყავი, რაც ამის მახარობელს (ასეთი ამბის მომტანს) მეკუთვინის! გაფიცებ, მომამორე სიცოცხლე მე, ვინც სულს ვერ ვთმობ (სიცოცხლეს მონყურებული ვარ)!" (ასმათი) შესაბრალოსად ცრემლს ღვრიდა შეუწერებელსა და დაუშრობელს.

582 მე უთხარ: „დაო, რად მოგკლა, ანუ რა შენი ბრალია?—  
რამცა ექმენ ნაცელად, თუთ რომე მისი ჩემზედა ვალია!—  
ან თავსა მისად საძებრად მივსცემ, სად კლდე და წყალია“.

და სრულად გავქვავდი, შემექმნა გული მართ ვითა სალია.

u 576-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ა უთხარ (ვუთხარ). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მე ვუთხარი: „დაო, რატომ უნდა მოგკლა, ან კი რა შენი ბრალია? — რა უნდა ექნა იმის სანაცვლოდ, რაც მისი (ასმათის) ვალი მადევს! — ამიერიდან მის საძებრად გაეჭვრები იქ, სადაც წყალი და კლდეა (მთელ ქვეყანას მოვივლი)". მთლიანად გავქვავდი (უგარძნობელი გავხდი), გული საღ კლდესავით შემექმნა.

## 1976. 13. X

სხდომას დაესწრნენ: ა.ბარამიძე, ი.გივინიშვილი, გ.კარტოზია, ც.კიკვიძე, ს.ხაიშილი, შ.ძიძიგური.

განიხილეს: 583–588 (პროექტი მოამზადა III ჯგუფმა; 589–591 პროექტი მოამზადა II ჯგუფმა).

583 მეტმან ზარმან გამამშაგა, მომიკიდა ცხრო და თრთოლა;  
გულსა უთხარ: „ანუ მოაკუნდები, არას გარგებს ცული ნოლა,  
გიჯობს გაჭრა ძებნად მისად, გავარდნა და ველთა რბოლა.  
და აპა ფაში, ვისცა გინდა ჩემი თანა წამოყოლა“

u 577-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ბ უთხარ (ვუთხარ).

ი. გიგინეიშვილის წინადადებით ა-ში მიღებულ იქნა ნაკითხვა: მომუკიდა ცხრო და თრთოლა. თანანამოყოლა დაინერა შერწყმულად.

ს. შ.: დიდმა მწუხარებამ (თავზარდამცემმა ამბავმა) შმაგად (გიჟად) მაქცია, ამიტყდა ციხე-ცხელბა და კანკალი; გავიფიქრე: „ნუ მოკედები, უმოქმედობა (ამაო ნოლა) არაფერს გარგებს, უშეჯობესია (შენთვის) გაჭრა მის საძებრად, გავარდნა და ველად რზენა. აჰა, (დადგა) ჟამი, ვისაც ჩემი წამოყოლა გინდათ!“

**584** შვეი, ფიცხლად შევეკაზმე, ცხენსა შევეე შეკაზმული;  
ას სამოცი კარგი მოყმე, ჩემსა თანა ხანდაზმული,  
წამომყვა და წამოვედით კართა გარე დარაზმული,  
და ზღვის პირს მივე, ნავი დამზუდა, მენავემან მნახა ზმული.

უ 578-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ა. ბარამიძე: გ-ში წამომყვა-ს ნაცვლად უნდა მივიღოთ რიგ ხელნაწერში დადასტურებული გამომყვა. თუმცა წამომყვა-ს წა-ს ალიტერაციული განმეორებაც უჭერს მხარს (წამომყვა და წამოვედით).

ი. გიგინეიშვილი: ას სამოცი მოყმე ტარიელს ციხესიმაგრეიდან გამოჰყვა და არა წამომყვა. ამიტომ მართლაც გა-პრევერბიანი ზმნაა საჭირო.

ს. ცაიშვილი: წინამაველ სტროფში ტარიელი მიმართავს თავის მოყმებს: „აჰა ჟამი, ვისცა გინდა ჩემი თანანამოყოლა!“ ბუნებრივია, რომ მომდენო სტროფშიც იმავე წა-პრევერბით იყოს ეს ზმნა წარმოდგენილი. გასწორება საჭირო არ არის.

დაადგინეს: დარჩეს ნაკითხვა: წამომყვა.

ს. შ.: შევედი და მსწრაფლ გავემზადე, შეკაზმული (იარალასხმული) შევეუქეი ცხენზე; ას სამოცი საუკეთესო მოყმე, ჩემთან წამყოფი (გამოცდილი), წამომყვა და რაზმად დანყობილნი გამოვცდით კარებს (ქალაქის ზღუდეს), მივედით ზღვის ნაპირას, (იქ) ნავი დამზუდა და მენავემ შემატყო, რომ ჟქარობდი (ამოქმედებული ვიყავი).

**585** ნახსა შევეე, ზღუასა შეეე, ზღუასა შიგან გაეალაგდი,  
არსით ნავი მომავალი უნახავად არ დაეაგდი;  
მოველოდი, არა მესმა, შმაგი უფრო გა-ვეუშმაგდი,  
და რომე სრულად მომიძულეა, ღმერთსა თურე ასრე ვსძაგდი.

უ 579-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ხომალდში ჩავეუქეი, ზღვაში შევედი და იქ დავიდე ბინა, არც ერთი ხომალდი (საიდანაც უნდა ყოფილიყო მომავალი) უნახავად არ დამიტოვებია; ველოდი, მაგრამ ვერაფერი შევიტყვეე, შმაგი კიდეე უფრო გავეშმაგდი, ღმერთს თურმე ისე ვძაგებვიარ, რომ საესებით მომიძულა.

**586** რომე დავყავ ნელინადი, თუე თორმეტი გამეოცა,  
მაგრა მისი მნახვიცა სიზმრიე კაცი არ მეოცა;  
თანამყოლი ყუელაკაი ამომინყდა, დამეხოცა,

და თქუი, თუე: „ღმერთსა ვერას ეკადრებ, რაცა სწადდეს, აგრე ვყოცა.“

უ 580-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ერთი ნელი რომ დავყავი, ეს თორმეტი თვე ოცად (ოც თვედ) გადამექცა, მაგრამ მისი მნახველი კაცი სიზმარშიც არ მეჩენა; თანამხლები ყველა ამომინყდა, დამეხოცა, ვიფიქრე: „ღმერთს ვერაფერს შევკადრებ, როგორც ინდომებს (რასაც მოისურვებს), მეც ისე ვიზამ.“

**587** ზღვა-ზღვა ცურვა მომენყინა, მით გამოვე ზღუისა პირსა,  
გული სრულად გამიმჯეცდა, არ უსმენდი არც ვაზირსა;  
ყუელაკაი დამეფანტა, დარჩომოდა რაცა ჭირსა.

და კაცსა ღმერთი არ გასწირავს, სოფლისაგან განაწირსა!

უ 581-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ბ უსმენდი (ეუსმენდი), დ გასწირავს, სოფლისაგან განაწირსა (გასწირავს ასრე, მისგან განაწირსა).

ა. ბარამიძე: დ-ს მეორე ნახევარს ხელნაწერთა უმრავლესობა ასე წარმოგვიდგენს: ასრე მისგან განაწირსა. სოფლისაგან განაწირსა ნარედაქცივე ხელნაწერებში გვაქვს. იგი ტაეპის გადაკეთების შედეგი ჩანს. სხვანაირად ვერ ვიმსჯელებთ. სოფლისაგან განაწირსა ისეთი გამჭირვალე შესიტყვებაა, რომ მას შეკეთება არ სჭირდება. ტექსტში უნდა აღდგენს: ასრე მისგან განაწირსა.

ს. ცაიშვილი: მისგან (ასრე მისგან) აქ აღნიშნავს სოფელს და ნაკითხვა ასრე მისგან მეორეული, მიღებულია ცნობილი ტაეპის „მაგრამ ღმერთი არ გასწირავს კაცსა, შენგან განაწირსა“-ს გავლენით.

ი. გიგინეიშვილი: ამ შემთხვევაში მოსალოდნელი იყო დ-ს წინ მაგრა კავშირი გვექონდა (ყველა დამეხოცა, მაგრამ ღმერთი არ განირავს ასე სოფლისგან განაწირულ კაცს).

დაადგინეს: მიღებულ იქნეს ტაეპის ნაკითხვად: კაცსა ღმერთი არ გასწირავს ასრე, მისგან განაწირსა (= მისგან განაწირ კაცს ღმერთი ასე არ განირავს) წინააღმდეგი – ს. ცაიშვილი.

ს. შ.: ზღვა-ზღვა ცურვა მომბეზრდა, ამიტომ გამოვედი ზღვის ნაპირზე, გული სულ მხეცივით გამიხდა, არავის რჩევას აღარ ვუგდებდი ყურს; სულ ყველა დამეფანტა, ვინც კი გასაჭირს გადარჩნოდა. მისგან განაწირ კაცს ღმერთი ასე არ განირავს (როგორც მე განიწირა)!

**588** ერთაი ესე ასმათი და დამრჩეს ორნი მონანი,  
ჩემნი გულისა მღებულნი და ჩემნი შემაგონანი.  
მისნი ეურა ეცნენ ამბაენი ეურცა დრამისა წონანი,

და ტირილი მიწნდის ლხინად და მდინდიან ცრემლთა ფონანი“.

უ 582-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: დამრჩა ერთი ეს ასმათი და ორი მონა, ჩემი გამამხნევებელნი და შემგონებელნი. მისი (ნესტანის) ამბავი იოტის ოდენიც (დრამის წონაც) კი ვერ შევიტყვე ტირილი ლხინად მიმანდა და ცრემლთა ღვარი მდიოდა!“.

**589** „ღამით მევლო, მოვიდოდი, ზღუისა პირსა აწნდეს ბლანი;  
ქგანდა, ქალაქს ვეახლენით, ცალკერძ იყენეს კლდეთა ნაღნი;  
არ მუამოს კაცთა ნახვა, მიდაღვიდეს გულსა დაღნი;

და მუნ გარდაექე მოსწუნებად, დამზუდეს რამე ხენი ლაღნი.

უ 583-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: (მთელი) ღამე ნავალი ვიყავი, მოვიდოდი, ზღვის ნაპირას გამონდა ბაღნი; ეტყობოდა, ქალაქს მიუახლოვდით, ცალ მზარეს გამოქვაბულები იყო; არ მსიამოვნებდა ადამიანთა ნახვა, გულს მიდაღვიდა დაღები (გულს მიწვაკვდა მანთები); ვნახე ლაღად აზრდილი ხეები და იქ ჩამოვხტი (ჩამოვქეითდი) დასასვენებლად.

**590** ხეთა ძირსა მივიძინე, მათ მონათა ჭაპეს პური;  
მერმე აუღვე სეფიანი, მიღამებდა გულსა შური;

ვერა მეცნა ეგ ზომ გრძელად ვერ ქორი და ვერ დასტური,  
და ველთა ცრემლი ასოვლებდა, თუალთა ჩემთა მონაწერი.

U 584-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ხეების ქვეშ მივიძინე, მონებმა პური ჭამეს; მერმე აედექი სევდიანი, გულს მიბნელებდა მური (ჭვარტლი): ამდენ ხანს (ასე დიდი ხნის განმავლობაში) ვერაფერი შემეტყო, ვერც ტყუილი (ქორი) და ვერც ნამდვილი, ეკლს ასეველებდა ჩემი თვალებიდან მონაწერი ცრემლები.

591    ზახილი მესმა. შეხებდენ, მოყმე ამაყად ყიოდა,  
შემოიბრებედა ზღვის პირ-პირ, მას თურე წყლული სტკიოდა;  
ჯრმლისა ნატეხი დასურული აქუს, სისხლი ჩამოსდიოდა,  
და მტერთა ექადდა, წყრებოდა, იგინებოდა, ჩიოდა.

U 585-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ძახილი (ყვირილი) მომესმა. გავიხედე, მოყმე ამაყად გაპყიოდა (იძახდა), ზღვის ნაპირის გასწვრივ მორბოდა (მოაჭენებდა ცხენს), მას თურმე ჭრილობა სტკიოდა; ხმლის ნატეხი (სისხლით) დასვრილი პქონდა, სისხლი ჩამოსდიოდა, მტრებს ეშუქრებოდა, წყრებოდა, ილანძლებოდა, ჩიოდა.

## 1976. 29. X

სხდომას დაეწინა: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე,  
ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს: 591,1-594 პროექტი მოამზადა II ეგვუფმა.

591,1    ფრიდონ, მოყმე დაკოდილი, შავს ზის მოვა ზღუა-ზღუა ცურვით;  
კელთ ჳრმალი აქუს გატეხილი, ბიძაძეთა მწყრომი მდურვით;  
მას ისრები ზედ ასუთა, სისხლი ლუარად, არ მონურვით;  
და მოწდომია მას ლომგულსა იგ დოლბანდი მრუდად ბურვით.

X 744-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ა-ში ფრიდონ, მოყმე დაკოდილი,  
(გამოყოფილია ძიძიმებით). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ფრიდონი, დაჭრილი მოყმე, შავ ცხენზე ზის, ზღვა-ზღვა ცურვით მოდის;  
ხელში გატეხილი ხმალი უჭირავს, ბიძაშვილებზე მდურვით წყრება; მას ისრები ზედ ასუთა,  
სისხლი ლუარად (მოსდის), არა წურვა-წურვით; მას, ლომგულს მრუდად მობურული  
დოლბანდი (თავსაბურავი) შვენის.

592    ზედა ჯდა შავსა ტაიქსა, ან ესე მე მითქა რომელი,  
მართ ვითა ქარი მოქროდა გაფიცებული, მწყრომელი;  
მონა მოესწიე, მისისა შეყრისა ვიყავ მწდომელი;

და შევსთუალე: «დადეგ, მიჩუნე, ლომსა ვინ განყენს, რომელი?»

U 586-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: იჯდა შავ ტაიქზე, რომელიც ამაყად მე მყავს, ქარივით მოქროდა,  
განრისხებული, გამწყრალი; მონა დავანე, მისი შეყრა (შესხვედრა) მინდოდა; შევუთვალე:  
«გაჩრდი, მითხარი, შენ, ლომს, ვინ გერჩის?»

592,1 აქ ტარიელ შეეყრების, მოეგებვის ზღუისა პირსა;  
უცხო უცხოს შეემცნების, ამოართუჟას ისრის პირსა;  
მას უამბობს ლალატსა და იგ მტერთაგან ნანაკოდსა,

და პკითხავს: „ჯინ ხარ, ლომო, გმირო? პირი გიგავს შზისა პირსა“.

x 746-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა, ოღონდ ა-ს ბოლოს ნერტილ-მძიმის ნაცვლად დაისვა მძიმე.

ს. შ.: აქ ტარიელი შეეყრება, ეგებება ზღვის ნაპირას; უცხო უცხოს გაეცნობა, ისრის პირს ამოუღებს; მას (ტარიელს) უამბობს (ფრიდონი) ლალატს და მტრებისაგან ნაკიდებას, ეკითხება: „ჯინ ხარ, ლომო, გმირო? პირი მზეს მიგიგავს“.

593 მას მონასა არა უთხრა, არცა სიტყუა მოუსმინა;  
ფიცხლა შეეჯე, ჩაეეგებე, მე ჩაუსნარ, ჩაეე ნინა,  
უთხარ: „დადეგ, გამაგონე, შენი საქმე მეცა მინა!“

და შემომხედნა, მოვენონე, სიარული დაითმინა.

u 587-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: შ ჩაუსნარ (ჩაეუსნარ), გ უთხარ (ეუთხარ), გამაგონე, შენი საქმე მეცა (გამაგონე შენი საქმე, მეცა). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: იმ მონას არაფერი უთხრა, მისი სიტყვაც არ მოისმინა; სწრაფად შეეჯექი ცხენზე, ჩაეეგებე, ჩაეუსნარი, თავს დაუფარე, ეუთხარი: „გაჩერდი, გამაგებინე (მითხარი), შენი ამბავი მეც მაინტერესებს!“ შემომხედა, მოვენონე, გაჩერდა (სიარული შეწყვიტა).

594 გამიცადა, ღმერთსა ჰკადრა: „შენ ასეთი ხენი ვით ხენი“

მერმე მითხრა: „მოგაქსენებ, ან სიტყუანი რომე მკითხენ,

იგი მტერნი გამილომდეს, აქანამდის რომე ვითხენ,

და უკაზმავსა მილაატეს, საჭურველნი გარ ვერ ვითხენ“.

u 588-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: დ გარ ვერ ვითხენ (ასრე ვითხენ).

გ. კარტოზია: დ-ს ბოლოს პროექტში აღდგენილია გამოცემათა ტრადიციული 1966 წლამდე ნაკითხვა: საჭურველნი გარ ვერ ვითხენ (ასე, ა-ს გარდა, A<sup>2</sup>-ში, შდრ. აგრ. A<sup>4</sup> გარეე ვითხენ). ვითხენ, როგორ მოუთითებენ ლიტურატურაში (თეიმურაზ ბაგრატიონი, დ.წუბინაშვილი, დ. კარიჭაშვილი, ი.ჯავახიშვილი), ნანარმოებია რთხმა ზმნიდან.

ი. გიგინეიშვილი: თუ ასეა, დაწეროთ ვირთხენ. ამასთან, შევცვალათ წინამავალ სიტყვათა რიგი: ვერ გარ ვირთხენ. სიტყვათა ამგვარ წყობას ხელნაწერთა მეტი რიცხვი უჭერს მხარს.

რედაქციის წევრები არ დაეთანხმენ სარითმო სიტყვაში რ-ს ჩართვას, რადგან ვირთხენ, ჯერ ერთი, კონიექტურაა და, მეორეც, რითმას დაარღვევს. რაც შეეხება სიტყვათა რიგის შეცვლას, რედაქციამ მიიღო ეს წინადადება.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს ნაკითხვა: საჭურველნი ვერ გარ ვითხენ.

ს. შ.: შემებდა, ღმერთს შემებდა: „შენ ასეთი ხე როგორ ახარე (= ასეთი ხესავით ტანადი კაცი როგორ გაზარდე)“ მერმე მითხრა; „გეტყვი (იმის პასუხს), ახლა რომ მკითხე: ის მტრები მეტყვენ ლომებად, რომლებიც აქამდე თებდად მყავდა გადაქცეული (დაჯაბნებული მყავდა), შუთიარალებელს დამესხნენ თავს, იარალი ვერ ავისხი“.

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს: 595-600 (პროექტი მოამზადა II ჯგუფმა).

**595** მე უთხარ: „დადევ, დანწარდი, გარდაეცდით ძირსა ხეთასა; არ შეუდრ, ჭების ჭაბუკი კარგი მახულოთა კუთასა“.

თან გამომეყა, ნავედით უტკბოსნი მამა-ძეთასა.

და მე გავეკურრე ჭურეტასა მის ყმისა სინაზეთასა.

ს 589-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ა უთხარ (ვეთხარ). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მე ვუთხარი: „დადექი, დანწარდი, შევისვენოთ ხის ძირში; კარგი მოყმე არ შეუშინდება მახვილით დაჭრას“. თან ნამომეყა, ნავედით მამა-შვილზე უფრო ტკბილად შეთვისებულნი. მე გამააკვირვა იმ მოყმის სიტუარფის ხილვამ.

**596** ერთი მონა დასტაქარი მყა და ნულუნი შეუხუბენა,

ისრის პირნი ამოუხუნა, დაკოდლინი არ ატკინა.

მერმე ვკითხე: „ვინ ხარ ანუ მკლავმან შენმან ვისგან იენა?“

და საამბოზლად დამირიგდა, თავი მისი გააშჩინა.

ს 590-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა. მოგვიანებით გ-ში ხარ-ის შემდეგ დაისვა მძიმე.

რედაქციის ნევრებს განსხვავებულად ესმით გ-ში გამოთქმის – მკლავის ვენების – შინაარსი. ა. ბარამიძეს, ი. გიგინეიშვილს, ც. კიკვიძეს, ე. მეტრეველს მიაჩნიათ, რომ გამოთქმა მხოლოდ მეტაფორულად უნდა გავიგოთ, ე.ი. მკლავის ნება = ძლევა, დაჯახება. გ. კარტოზია, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური ფიქრობენ, რომ მკლავის ვენება ნიშნავს მკლავის დაჭრას (მკლავმან შენმან ვისგან იენა? = მკლავში ვინ დაგჭრა?). შ. ძიძიგურმა, კერძოდ, აღნიშნა, რომ მკლავის ვენება არც „ვტ“ში, არც ძველ ქართულში, არც დიალექტებში დაჯახებას, ძლევას არ ნიშნავს, უნდა გავიგოთ კონკრეტული მნიშვნელობით.

ს. შ.: ერთი დასტაქარი მონა მყავდა და (იმან) ჭრილობები შეუხვია, ისრის პირები ამოულა ისე, რომ ჭრილობები არ ატკინა, მერმე ვკითხე: „ვინა ხარ, ან ვინ გძლია (შენი მკლავი ვისგან დაზიანდა?)“ მბობაზე დამეთანხმა, ჩვილი დაიწყა (მოჩივარი გახდა).

**597** პირველ მითხრა: „არა ვიცი, რა ხარ ანუ რას გამაგავსო?“

ანუ ვგრე რამ დაგლია, ანუ პირველ რამ გაგავსო?

რამან შეგქმნა მოყუითანედ, ვარდ-გიშური რომე რგავსო?

და ღმერთმან მისგან ანთებული სანთელიმცა რად დაგავსო?

ს 591-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. გ-ში შეგქმნა შეიცვალა შექმნა ფორმით. პროექტი ამ ცვლილებით მიღებულ იქნა.

ს. შ.: ჯერ მითხრა: „არ ვიცი, რა ხარ ან რას შეგადარო? ან თავიდან რამ გაგავსო, ან შემდეგ რამ დაგასუსტა ასე? რამ გააყვითლა ის, რვეული ვარდი და გიშური რომაა (=პირისახე)? ღმერთი თავის მიერვე ანთებულ სანთელს რად ჩაგაქრობს?“

**598** მულაზანზარის ქალაქი, ახლოს მე მატქსო რომელი,  
ნურადინ-ფრიდონ სახელ მქეს, მუეუ ვარ მუნა მჯდომელი;

ესე საზღვარი ჩემია, სადა ხარ გარდამჯდომელი,

და ცოტა მატქს, მაგრა ყოველგნით სიკეთემოუნდომელი.



პ-592-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ი. გიგინეიშვილი: ა-ში ახლოს ფორმა შეუფერებელია, მოუხედავად იმისა, რომ მას ხელნაწერთა დიდი უმრავლესობა წარმოგვიდგენს. მულაზანზარი ფრიდონის სამფლობელოა და როგორ შეიძლება მას ამ ქალაქზე ეთქვა: ახლოს მაქვსო ახლოს უნდა შეიცვალოს შინაარსობრივად უფრო შესაფერი ახლა ფორმით. ახლა თუმცა ნუსხებში არ დასტურდება, მაგრამ მას მზარს უჭერს  $B^2$ -ის ნაკითხვა ახლად.

გ. კარტოზია: რადგანაც ტარიელი და ფრიდონი მულაზანზარის გარეთ შეხედნენ ერთმანეთს და არა თვით მულაზანზარში, ფრიდონს შეეძლო ეთქვა თავის ქალაქზე, აქ ახლოს მაქვსო.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს ნაკითხვა: ახლა მე მაქვსო რომელი (წინააღმდეგნი: გ. კარტოზია, ს. ცაიშვილი).

ს. შ.: მულაზანზარის ქალაქი, რომელიც ახლა მე მაქვს; სახელად წურადინ-ფრიდონ მქვია, მეფე ვარ იქ მბრძანებელი; ეს ადგილი, სადაც ჩამომხტარხარ, ჩემი სამფლობელოს საზღვარია. პატარა (სამეფო) მაქვს, მაგრამ ყოველმხრივ კარგი (ისეთი, რომ მის სიკეთეს ენა ვერ გამოთქვამს).

599 მამის ძმა და მამა ჩემი პაპმან ჩემმან გაყვნა ოდეს, ზღუასა შიგან კუნძულია, ჩემად წილად მას იტყოდეს, თუთი ბიძასა ჩემსა მიხუდა, ვისთა შვილთა ან დამკოდეს; და მათე დარჩა სანადირო, არ მიესცემდი, მომერჩოდეს.

პ 593-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ა მამა ჩემი (მამა-ჩემი), პაპმან ჩემმან (პაპა-ჩემმან). ბ-ს მეორე ნახევარი ტირეუბით გამოიყო. პროექტი ამ ცვლილებით მიღებულ იქნა.

ს. შ.: ჩემი მამის ძმა და მამაჩემი როდესაც გაყო პაპაჩემმა, ზღვაში (რომ ერთი) კუნძულია, – ჩემ წილად ითქმოდა, – ბიძაჩემს ერგო, ვისმა შვილებმაც ახლა დამჭრეს; მათე დარჩათ სანადირო ადგილი, მე არ ვანებებდი და შედავებოდნენ (მერჩოდნენ).

600 დღეს გამოვე ნადირობას, ზღუისა პირსა ვინადირო, ქორის დევნა მომნდომოდა, მით მრეკალი არ ეაჯშირე; სპათა უთხარ: «მომიცადეთ, მოვიდოდე მეცა ვირეს!» და ხუთთა ოდენ მაზიურთა მეტი არა დავიჭირე.

პ 594-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: გ უთხარ (უუთხარ).

ბ-ში ქორის დევნა შეიცვალა ნაკითხვით მუნა გასლვა, რომელიც რედაქციითა უმრავლესობაშია წარმოდგენილი.

ს. შ.: დღეს სანადიროდ გამოვედი, ზღვის პირზე ვინადირო, იქ (იმ კუნძულზე) გასელა მინდოდა, ამიტომ ბევრი მარეკი არ გავიყოლე; ლაშქარს უუთხარი: „დამიცადეთ, სანამ მოვიდოდე!“ ხუთი ბაზიერის მეტი არავინ ვიახლე.

## 1976. 12. XI

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი.

განიხილეს: 601–608 (პროექტი მოამზადა III ვაგუფმა).

**601** ნავითა გავუ, ზღუისაგან შტო რამე გამოვიდოდა.  
არ ამოუკრეფდი გამყოფთა, ვთქუი: «ჩემთა რად დავერიდო, და?»  
დამეძაბუნნეს, სიმრავლე მე მათი არ გამოვიდოდა,  
და ენადირობდი და ვიზახდი, ჳმა ჩემი არ უდიდოდა.

უ 595-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ბ ვთქუი: «ჩემთა (ვთქუი, ჩემთა)».  
პროექტი მიღებულ იქნა.

ს.შ.: ხომალდით გავედი, (გადაცურე) ტოტი (სრუტე), ზღვიდან რომ გამოვიდოდა.  
არაფრად ვადგებდი განაყოფებს, ვიფიქრე: „ჩემიანებს რად დავერიდო?“

დაჯაბბებული მყავდნენ (ისინი), მათი სიმრავლე არაფრად მიმარნდა, ენადირობდი  
და (დიდი ხმით) ვიძახდი, ჩემი ხმა არ იყო პატარა.

**602** მართლად იჯავრეს, წუნობა მათი თუ ესე ჳმდა ვითა!  
გამომპარნეს ლაშქარნი, გზანი შემიკრნეს ნავითა,  
თუით ბიძასძენი ჩემნიცა შესხდეს მათითა თავითა,  
და ჩემთა გაუქდეს ლაშქართა ომად თავისა მკლავითა.

უ 596-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: გ ბიძასძენი (ბიძაძენი).

ი. გიგინევილი: ბიძასძენი ეტიმოლოგიური ნაკითხვაა. ტექსტში უნდა დარჩეს  
ბიძაძენი, რომელიც ხელნაწერთა უმრავლესობაშია დაცული.

ც. კიკვიძე: რუსთველის დროსთან უფრო ახლო მდგომ ძეგლებში (XIII–XIV სს.  
საბუთებში) სწორედ ბიძასძე დასტურდება. ბიძაძე უფრო მოგვიანო ხანის (XVII–XVIII  
სს.) ხელნაწერებში გვაქვს.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს ნაკითხვა: ბიძასძენი.

ს. შ.: ნამდვილად გაჯავრდნენ, მათი დაჳაგვრა ასე როგორ შეიძლებოდა! (თავიანთი)  
ლაშქარი გამომპარეს, გზები შემიკრეს ხომალდებით, თვითონ ჩემი ბიძაძეები  
ამხედრდნენ, ჩემს ლაშქარს საომრად შეებნენ გაღმა (ხმელეთზე).

**603** მათი მესმა, დავინახე ზახილი და ჳრმალთა ელევა,  
ნავი ესთხოვე მენავეთა, მით ვიყოლე მე ერთხელ ვა,  
ზღუასაა შევე, მომეგება მეომარი ვითა ლელევა,  
და სნადდა, მაგრა ევლარა ქმნეს ჩემი ზუდა ნამოქლევა.

უ 597-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა,  
ოლონდ, ა. ბარამიძის წინადადებით, ბ-ში ვა ჩაისვა კუთხოვან ბრჭყალებში: მით ვიყოლე  
მე ერთხელ «ვა».

ს. შ.: გავიგონე მათი ყოინა და დავინახე ხმლების ელვარება (პრიალი), ნავი  
(ხომალდი) მოვთხოვე მენავეებს, ამიტომ ერთხელ დავიძახე „ვაი“, ზღვაში შევედი,  
მეომრები (ზღვის) ტალღასავით მომეგებნენ, უნდოდათ, მაგრამ ველარ შეძლეს ჩემი  
გადათელევა.

**604** კულა სხუანი დიდნი ლაშქარნი უკანა მომეწოდეს,  
იქით და აქათ მომიწდეს, ერთგნით ვერ მომერეოდეს,  
არ მომწურეოდეს წინანი, ზურგით მესროდეს მე ოდეს.  
და ჳრმალსა მივეწდე, გამოიჭედა, ისარნი დამელეოდეს.

უ 598-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: უკან კიდევ სხვა დიდი ჯარი მენეოდა, იქიდან და აქედან, ყოველი მხრიდან  
მომეარდნენ (ალყაში მომიწყდიეს), ერთი მხრიდან ვერ მერეოდნენ, წინანი (წინ მყოფნი)

ჯერ არ იყენებ მოახლოებულნი, რომ ზურგიდან უკვე (სხვანი) მესროდნენ; ხმაღს მივინდე, გამიტყდა, ისრები გამომელა.

**605** მომგვარნეს, ველარა ექმენ, ნავით ცხენი გარდვიხლტუნე,  
ზღუა-ზღუა ცურვით ნამოუვე, ჩემი მჭურეტი გავაცხოვენი;  
თანამჟღერნი ყველაკანი დამიჯოცნეს, დამრჩეს მუნევი,  
და ვინცა მდევდა, ვერ შემომშუდა, მოუბრუნდი, მიეაბრუნევი.

u 599-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: დ მოუბრუნდი (მიუბრუნდი).

გ. კარტოზიას წინადადებით დ-ში შემომშუდა შეიცვალა შემომქდა ფორმით. პროექტი ამ ცვლილებით მიღებულ იქნა.

ს. შ.: ყოველმხრივ შემომერტყენ. ველარაფერი ექენი (გავაკეთე), ნავიდან ცხენი გადავახტუნე, ზღუა-ზღუა ცურვით ნამოუვედი, ჩემი შემხედვარე გავაცვიფრე; ყველა თანშლეები დამიხოცეს, იქვე დამრჩნენ, ვინც მომდევდა, ჩემამდე ვერ მოაღწია, მიუბრუნდი, უკუვაქციე.

**606** ან იგი იქმნას, რაცალა ენებოს ღმრთისა ნადილსა  
ეჭუ, ჩემი სისხლი არ შერჩეს, ძალი შესწევდეს ქადილსა  
ოჯრად გაუჭდი ყოფასა მათ საღამოსა და დილსა,  
და უქმობ ყნაფთა და ყორანთა, მათ ზედა ვაქნეუ ხადილსა

u 600-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: გ გაუჭდი (გაუხუხდი), დ უქმობ (უხუხობ).

ი. გიგინეიშვილი: ბ-ში უნდა აღდგეს ხელნაწერთა და გამოცემათა უმრავლესობის ნაკითხვა: ძალი შემწევდეს ქადილსა. ამასთან, ქადილსა უნდა გავიგოთ გარემობად.

ა. ბარამიძეც აგრეთვე მომხრეა შემწევდეს ფორმის მიღებისა.

ც. კიკვიძე და გ. კარტოზია მხარს უჭერენ პროექტის ნაკითხვას. ნახევარტაეპის აზრი ასე უსმით: ჩემს მუქარას ძალაც შეენევა.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს ნაკითხვა: ძალი შემწევდეს ქადილსა.

ი. გიგინეიშვილი: გ-ში საღამოსა და დილსა უნდა განვიხილოთ პირდაპირ ობიექტებად, ისევე როგორც ყოფასა: ოხრად გაუხუხდი მათ ყოფას.

გ. კარტოზიას და ც. კიკვიძეს მიაჩნიათ, რომ მძიმის დასმა საჭირო არ არის, რადგან საღამოსა და დილსა დროის გარემოებებს წარმოადგენს. ტაეპის აზრია: ოხრად გაუხუხდი მათ საღამოთი და დილით (ე.ი. დღისით და ღამით) ყოფას (არსებობას).

დაადგინეს: დაისვას მძიმე ტაეპის შიგნით.

ს. შ.: ახლა მოხდეს ის, რასაც ღმერთი ინებებს! ვუიქრობ, რომ ჩემი სისხლი არ შერჩებათ, ძალა შემწნეს დავიქადნო! ოხრად გაუხუხდი არსებობას (სიცოცხლეს), დღეს და ღამეს (გაუხუხარებ), მოუხუხობ ყვაეებს და ყორნებს, მათზე (ჩემს ბიძაშვილებზე) გაემართვინებ ნადიმს!

**607** ამა ყმამან შემიკუთა, გული მისკენ მიმიბრუნდა.  
მოვაჭსენე: «აქარება შენი ყოლა არა უნდა,  
მეცა თანა ნამოგყვები, დაჯოცნენ იგი მუნ, და-  
და ჩუნენ ორთავე შემომარი განალამცა შეგუძრუნუნდა!»

u 601-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ამ მოყმემ (ფრიდონმა) მიმიზიდა, გული მისკენ მიმიბრუნდა. ვუთხარი: «შენი აქარება სრულიადაც არ არის საჭირო, მეც თან ნამოგყვები, ისინი იქ დაიხოცებიან! ჩვენ ორივეს მონინალმდევე დიალაც შეგვიძრუნუნდება!»

608 ესეცა უთხარ: «ამბავი ჩემი არ გაგეგონების, უფროვე ნუნარად გაამბობ, თუ ფამი ჩუნენ გუეჭონების». მან მოთხრა: «ლხინი საჩემო მაგას არ შეუნონების! და დღედ სიკუდილამდის სიცოცხლე შენ ჩემი დაგემონების». **უ 602-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა:** ა უთხარ (უთხარ). გ. კარტოზიას ნინადადებით გ-ში არ შეიცვალა რა-თი.

ს. შ.: ესეც უთხარი: ჩემი ამბავი შენ გაგონილი არ გექნება, უფრო მშვიდად გაამბობ, თუ საამისო დრო გვექნება (მოგვეცემა). მან მიპასუხა: მაგას ჩემი რა ლხინი შეედრება! სიკუდილის დღემდე ჩემი სიცოცხლე შენ დაგემონება.

## 1976. 19. XI

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიციძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური. განიხილეს 609-612 სტროფები (პროექტი მოამზადა III ჯგუფმა).

609 მივედით მისა ქალაქსა ტურფასა, მაგრა ცოტასა; გამოეგებნეს ლაშქარნი, ისხმოდეს მისთუის ოტასა, პირსა იხოკედეს, გაჰყრიდეს ნახოკსა ვით ნაფოტასა, და ეხუელიან, ჰკოცნიან ჴრმაღსა და სალტე-ყოტასა.

**უ 603-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.** პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მივედით მის ლამაზ, მაგრამ პატარა ქალაქში; გამოეგება ლაშქარი, მისთვის თავზე მტვერს იყრიდნენ, პირს იხოკდნენ, ნახოკს ნაფოტივით ყრიდნენ (ნახოკი ნაფოტივით ცვიოდა), ეხუოდნენ, ჰკოცნიდნენ ხმაღს – ხმლის ვადასა და ქარქაშის სალტეს.

610 კულა მოვენონე, ვეტურფე მე მისი გარდნაკიდარი; შემასხმიდიან ქებასა: «მზეო, შენ ჩუნენთუის იდარი!» მივედით, ენახეთ ქალაქი მისი ტურფა და მდიდარი, და ყუელასა ტანსა ემოსა ზარქაში განაზიდარი.

**უ 604-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.** პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მოვენონე, კარგად (ლამაზად) მოვეჩვენე მე, მისი შენახვედრი; ქებას მასამდინენ: „მზეო, შენ ჩვენთვის იდარე!“ მივედით, ენახეთ მისი ლამაზი და მდიდარი ქალაქი, ყველას ტანს ეცვა ოქროქსოვილი.

611 მოჯობდა, ომი შეეძლო, ვმარება ცხენ-აბჯარისა; დავკაზმეთ ნაფ, კატარლა და რიცხუი სპათა ჯარისა; კაცი ვჭდა, მისთა მჭურეტთათუის ლონეცა ეაჯა რისა! და ან გითხრა ომი მოყმისა, მუბრძოლთა დამაჯარისა.

**უ 605-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.**

გ. კარტოზიას ნინადადებით ნაფ-კატარლა კომპოზიტად დაინერა. პროექტი ამ ცვლილებით მიღებულ იქნა.

ს. შ.: მოკეთდა, ბრძოლა შეეძლო, ცხენ-აბჯრის ხმარება; შევეჭურეთ საბრძოლო ხომალდები და მრავალრიცხოვანი ჯარი; კაცი იყო საჭირო, რომ ფრიდონის

შემდეგველთათვის გაძღვების რაიმე საშუალება გამოეთხოვა ღვთისაგან. ახლა გეტყვი მებრძოლთა დამსჯელი მოყმის ომის ამბავს.

612 მათი შესმა დაპირება, ჩაბლახთა ჩამობურვა;  
ნაფი ნინა მომეგება, არა ვიცი, იყო თუ რვა.  
ფიცხლა ზედა შევეჯაწე, მათ დაინყეს ამოდ ცურვა;  
და ქუსლი ეკარ და დაუქცოე, დიზახნეს დიაცურ ვა!

ს 606-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ბ იყო თუ რვა (შვიდი თუ რვა), დ დაუქცოე (დაუქცოე).

ა. ბარამიძის წინადადებით ბ-ში აღდგენილ იქნა ნაეთხვა: შუიდი თუ რვა (წინააღმდეგი - ც. კიკვიძე).

რედაქციამ გაიზიარა ი. გიგინეიშვილის აზრი, რომ ამოდ გ-ში ნიშნავს: მწყობრად, შეწყობილად.

დ-ში ნაცვლად ნაეთხვისა ქუსლი ეკარ და დაუქცოე მიღებულ იქნა ქუსლი შევეც, დაუქცოე. მოგვიანებით ვა ჩასვა კუთხოვან ბრწყალეებში, ძახილის ნიშანი შეიცვალა ნერტილით.

ს. შ.: გავიგონე მათი (საომრად) მზადება, ჩაფხუტების ჩამობურვა; ხომალდი წინ მომეგება, არ ვიცი, შვიდი იყო თუ რვა. სწრაფად შევეჯახე, მათ დაინყეს მწყობრად (შენწყობილად) ცურვა; ქუსლი ეკარი და დაეაბრუნე, დიაცურად იყვირეს, ვაიო.

## 1976. 26. XI

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს 613-621 სტროფები (პროექტი მოამზადა II ფეფუმმა).

613 კულა სხუასა, მივე, მოვკიდე ჯელი ნაფისა ბაგესა,  
ზღუასა დავანთქენ, დავჯოცენ, ომიმცა რაღა აგესა!  
სხუანი გამექცეს, მიმართეს მათ-მათსა საქულბაგესა;  
და ენცა მიჭურტდეს, უკურდა, მაქბდეს, არ მაძაგესა.

ს 607-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ა სხუასა, მივე, მოვკიდე (სხვასა მივე, მოვკიდე). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მივედი (მიცურე), ისევ მოვკიდე ხელი სხვა ნაფის ქიმს (ნაპირს), (მასში მყოფნი) ზღვაში ჩავხიძრი, დავხოცე, ომს რაღას შეძლებდნენ! სხვები გამექცნენ, თავ-თავიანთ სამალაგებს (სადუქნებებს) მიმართეს; ვინც მიყურებდა, უკვირდა, მაქებდნენ, არ მაძაგებდნენ.

614 ზღუა გავიარეთ, გავედიო, შემოგუიტიეს ცხენია,  
კულა შევბენთო, შეიქმნნეს ომისა სიმარცხენია.  
მუნ მომენონნეს ფრიდონის სიქველესიფიცხენია:  
და იბრძვის ლომი და პირად მზე, იგი აღვისაც ხენია.

ს 608-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ზღვა გავიარეთ, (ხმელთაზე) გავედით, ცხენდაცხენ შემოგვიტიეს, ისევ შევებრძოლეთ ერთმანეთს, ომი გაწელდა. იქ მომენონა ფრიდონის ვაჟკაცობა და სისწრაფე: იბრძვის ლომი, სახით მზისა და (ტანით) ალვის ხის მსგავსი.

**615** თუთი ორნივე ბიძასძენი მისნი ჴრმლითა ჩამოყარანა,  
ჴელნი წმიდად გარდეკუთნეს, იგი ასრე ასაპყარანა,  
მოიყვანანა მჴარდაკრულნი, ერთმან ორნი არ დაყარანა,  
და მათნი ყმანი გაამტირლანა, მისნი სპანი ამაყარანა.

უ 609-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ბ ბიძასძენი (ბიძასძენი), გ მოიყვანანა მჴარდაკრულნი, ერთმან ორნი არ დაყარანა (მოიყვანანა მზარდაკრულნი ერთმან ორნი, არ დაყარანა;) დ სპანი (ყმანი).

ა. ბარამიძის წინადადებით გ-ში მოიყვანანა შეიცვალა ნაკითხვით მოიტანანა. პროექტი ამ ცვლილებით მიღებულ იქნა.

ს. შ.: თავისი ორივე ბიძასძელი ხმლით ჩამოაგდო (ცხენიდან), ხელები მთლიანად მოეკვეთა (მათთვის), ისინი ასე დაასახიჩრა (საპყრად აქცია), მოიყვანა მზარმეკრულები (გათოკილები), ერთმა ორი არ დატოვა, მათი (=ბიძასძელების) ყმები (ვსალეები) აატირა, თავისი მოლაშქრეები მაყრებივით ამზიარულა.

**616** მათნი ლაშქარნი გაგჴუქეს, ვეცენით, გა-ცა-უფანტენით;  
ფიცხლად წაულეთ ქალაქი, არ თაენი გავაზანტენით;  
ქეთა დავლუნეთ წვივები, ჩუნ იგი გავაანტენით.  
და მომკალ, თუ ლარი დალიოთ ან აკოდებით, ან ტენით.

უ 610-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ბ წაულეთ (წაულეთ); ა-ს შიგნით, ცეზურასთან, მძიმეა ნერტილ-მძიმის ნაცვლად, ტაეპის ბოლოს ნერტილ-მძიმეა ნერტილის ნაცვლად.

გ. კარტოზიამ განმარტა, რომ გ-ში გავაანტენით, რომელიც გამოცემებში აკად. გ.წერეთლის წინადადებით იქნა მიღებული, ამოსავლად გულსხმობს სომხურ ანდ „მინა“ სიტყვას და ნიშნავს: „მინად ვაქციეთ“.

რედაქციამ გ-ში სარიტმო სიტყვად მიიღო გავაანტენით (ნატად ვაქციეთ, ტყავივით მოვქენით). აღინიშნა, რომ სომხური ანდ სიტყვის გამოყენების ფაქტი ქართულში სხვაგან არ დასტურდება. რაც შეეხება რითმის იდენტურობის დარღვევას (ნატენით – ანტენით), ამგვარი დარღვევის მაგალითები პოემაში სხვაგანაც შეინიშნება.

ს. შ.: მათი ლაშქარი გაგვექცა, ვეცით, გავფანტეთ კიდევ; სწრაფად წავართვით ქალაქი, სიზანტე არ გამოვიჩინეთ; ქეთი დავლუნეთ წვივები, ჩვენ ისინი ნატებად ვაქციეთ (ტყავივით მოვქენით). მომკალი, თუ (ნადავლი) სიმდიდრე გამოლიოთ ან (საპალნის) აკოდებით, ან (ხურჯინში) ჩატენით.

**617** ფრიდონ ნახნა საჴურჭლენი და ბეჴედნი მისნი დასხნა,  
თუთი ორნივე ბიძასძენი დაპყრობილნი წამოასხნა,  
მისთა წაცვლად სისხლნი მათნი მოღურანა და ველთა ასხნა;  
და ჩემი თქქეს, თუ: «ღმერთსა მადლი, ვინ ალვისა ხენი ასხნა!»

უ 611-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ბ ბიძასძენი (ბიძასძენი); ა და ბ-ს ბოლოს დასმულია მძიმე ნერტილ-მძიმის ნაცვლად. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ფრიდონმა დათვალღერა საგანძურები და თავისი ბეჴედი დაასვა (დაბეჴდა), ორივე ბიძასძელი შეპყრობილი წამოიყვანა, თავისი სისხლის სამაგიეროდ მათი სისხლი დაღვარა და მოასხა ველად; ჩემზე თქვენ: „მადლი ღმერთს, ვინც (ეს) ალვის ხე გაზარდა!“.

618 მივედით, მოქალაქეთა ზარი ჩნდა, რომე ზმიდიან, აჯაბთა მქმენელი მჭურეტელთა გულსა მუნ დაბამიდიან; მე და ნურადინს ყველანი ქებასა შეგუასხმიდიან,

და გუთხრობდეს: «მკლავთა თქუენთაგან ჯერო მათნი სისხლნი მიდიან!»

უ 612-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მივედით (ფრიდონის ქალაქში), ვნახეთ, რომ მოქალაქეები ხმაურობდნენ, ოინბაზები მაყურებლების გულისყურს იპყრობდნენ; მე და ნურადინ-ფრიდონს ყველანი გვაქებდნენ, გვეუბნებოდნენ: „ჯერ კიდევ მიეძინება თქვენი ხელით დაღერილი მათი სისხლი“

619 ლაშქარნი ფრიდონს მეფედ და მიწმობდეს მეფეთმეფობით, თუთი თავსა მათსა – მონად და ჩემსა ყველასა – სეფობით; დაღრუებით ვიყავე, ვერ მპოვეს ვეროდეს ვარდთა მჭრეფობით,

და ჩემი ვერ ცნიან ამბავი, მუნ იყო არიეფობით.

უ 613-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ბ ჩემსა ყველასა – სეფობით (ჩემსა – ყველასა სეფობით). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მოლაშქრეები ფრიდონს მეფეს უწოდებდნენ, მე კი – მეფეთ-მეფეს, თვით თავიანთ თავს – მონას, ჩემს მხლებლებს ყველას – დიდებულებს; მონყენით ვიყავი, ვერასოდეს ვერ მნახეს მზიარულად (ვარდის მკრეფად), ჩემს ამბავს არ იცნობდნენ, არ იყო იქ ადვილსაცნობელი (გასამყლავნებელი).

რედაქციის ზოგიერთ ნევრს განსხვავებულად ესმის დ-ს აზრი.

გ. კარტოზია: ჩემს ამბავს ვერ იგებდნენ, ჩემთვის სასიხარული ცოტა იყო (ვარდი ცოტა იყო) იქ.

ც. კიკვიძე: ჩემი ამბავი ვერ გაეგოთ (არ იცოდნენ), (რადგან) იქ ძვირად (იშვითად) იპოვებოდა.

ს. ცაიშვილი: ჩემს ამბავს ვერ იგებდნენ, (რადგან) იქ არ იყო გამყლავნებელი.

620 დღესა ერთსა მე და ფრიდონ ნადირობას გამოვედით, ზღუასა ზედა ნანურვილსა ქედსა რასმე გარდავდეგით; ფრიდონ მითხრა: «გითხრობ რასმე, – ვთამაშობდით, ცხენსა ვსხედით, – და ერთი რამე საკვირველი მე ვნახეთ ამა ქედით».

უ 614-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ბ გარდავდეგით (გარდავდეგით).

გ. კარტოზია: პროექტში აღნიშნული ცვლილება შეტანილია გ. არაბულის წინადადებით. მან მოუთითა, რომ გარდავდეგით, რომელიც მხოლოდ  $D^1 D^2$  ხელნაწერებში გვაქვს, შინაარსობრივად მიუღებელია: ტარიელს და ფრიდონს ქედი არ გადაუვლიათ, ისინი ქედზე გადადგნენ. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ვედ ფუძე ა-ს სარითმო სიტყვაშია უკვე გამოყენებული.

პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ერთ დღეს მე და ფრიდონი სანადიროდ გამოვედით, ზღვაზე ნანვდილ ქედზე გადავდეგით; ცხენზე ვისხედით და ვთამაშობდით, ფრიდონმა მითხრა: „გვიამბო რაღაცას, ამ ქედიდან ერთი საკვირველი რამე ვნახეო“.

621 მე უკითხვედი, ფრიდონ მეტყუის მართ ამბავსა უსოდენსა: «დღე ერთ მნადდა ნადირობა, შევევე ამა ჩემსა ცხენსა, – ზღუათა შიგან იხუსა პგავს და კმელთა ზედა შავარდენსა, –

და აქა ვღევ და თუალს უგებდი ქორსა, იქით განაფრენსა.

უ 615-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: დ უგებდი (უუგებდი). პროექტის მიღებულ იქნა.

ს. შ.: მე ჩავეციოხე, ფრიდონმა მითხრა ასეთი ამბავი: „ერთ დღეს მომინდა ნადირობა, შევეჯეი ამ ჩემს ცხენზე, – (იგი) ზღვაში იხვს ჰკავს, ხმელეთზე კი – შავარდენს; აქ ვოდეი და გავყურებდი (თვალს ვადევნებდი) იქით გაფრენილ ქორს.

## 1976. 3. XII

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ც. კიკვიძე, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური. განიხილეს: 622-624 სტროფები (პროექტი მოამზადა II ვგუფმა); 625-629 სტროფები (პროექტი მოამზადა III ვგუფმა).

622 ზოგჯერ ზღუთიყე მივიხედნი, ნავსდგომოდი ამა გორსა;  
ზღუასა შიგან ცოტა რამე დავინახე, თუცა შორსა.  
ვგრე ფიცხლა სიარული არას ძალუც მისსა სწორსა,  
და ვერად ვიცან, გონებასა გავეკუორვე ამაღ ორსა.

უ 616-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ა ზღუთიყე (ზღვისკენ).

პროექტი მიღებულ იქნა, ოღონდ ბ-ს ბოლოს წერტილის ნაცვლად დაინერა მძიმე, ხოლო გ-ს ბოლოს მძიმის ნაცვლად – წერტილ-მძიმე.

ს. შ.: ამ გორზე ვადამდგარი ზოგჯერ ზღვისკენ მივიხედავდი ხოლმე; ზღვაში, თუმცა შორს, პატარა რალაცა დავინახე, ასე სწრაფად მოძრაობა მის ტოლს არაფერს შეუძლია; ვერაფერს მივამსგავსე, ამიტომ გაკვირებული ვორჭოფობდი.

623 ვთქუი: «რა არის, რას ვამსგავსო, მფრინველია ანუ შვეცი?»  
ნავი იყო, გარ ეფარა სამოსელი მრავალკეცი;  
ნინა კაცნი მოზიდიდეს; თუალი ამაღ დავაცეცი,  
და მთუარე უჯდა კიდობანსა, ცა მეშუიდე მასმცა ვეცი.

უ 617-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ვთქუი: „რა არის, რას ვამსგავსო, ფრინველია თუ მზეცი?“ ნავი აღმოჩნდა, ეფარა მრავალკეცი ქსოვილი; კაცები მოათრევდნენ ნინ; თვალი იმიტომ დავაცეცი, (რომ) კიდობანში მთუარე (ქალი) უჯდათ, მეშუიდე ცას მივცემდი (ისეთი მშვენიერი იყო).

ს. ცაიშვილს გ-ს შინაარსი სხვაგვარად ესმის: კაცები მოათრევდნენ ნინ, თვალი ამიტომ დავაცეცი (მივაპყარ).

624 ამოძურეს ორნი მონანი, შავნი შართ ფისანი.  
ქალი გარდმოსუეს, სისხონი ენახენ მისისა თმისანი.  
მას რომე ელვა ჰკრთებოდა, ფერნიმცა პგვანდეს რისანი!  
და მან გაანათლა ქუეყანა, გაცუდდეს შუენი შისისანი!

უ 618-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: დ გაანათლა ქუეყანა (განანათლა სამყარო). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ამოძვრა კუმრით (ფისივით) შავი ორი მონა. ქალი გადმოსუეს, ვიხილე მისი ხშირი თმა (ნაწნავეები). მას რომ ელვა გამოჰკრთოდა, რისი ფერი მიემსგავსებოდა! მან განანათლა ქუეყანა, გახუნდა მზის შუქი.



625 სიხარულმან ამაჩქარა, ამათროლა, და-ცა-მღენა,  
იგი ვარდი შემოყვარდა, რომე თოვლსა არ ეხენა;  
დაეპირე შეტევაბა, ვთქუი: «ნაფიდე მათკე მე, ნა-  
და ჩემსა შავსა სულიერი რამცა ვითა გარდებუნა!»

უ 619-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: სიხარულმა ამაჩქარა, ამათროლა, დამღენა კიდევც, იმ ვარდმა მომზიბლა, რომელიც თოვლს არ დაესუსბა; გადაწყვიტე ცენი მიმეშვა, ვიფიქრე: " მოდი, მათკენ ნავალ, ჩემს შავს (ცხენს) რა სულიერი გაექცევა (დაემალება)!"

626 ცენი გაექუსლე, იქმოდა შამბი ჳმასა და ხრიალსა,  
ველარ მოუსნარ, გამესნრნეს, რაზომცა ესცემდი წრტიალსა.  
ზღვის პირსა მივე, შეეხედენ, ჩნდა ოდენ მზისა ტიალსა,  
და გამშორებოდეს, წამსლვოდეს, ამისთუის დავეწუი აღსაა.

უ 620-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: შ მოუსნარ (მიეუსნარ). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ცენი გაეაჭენე, შამბნარი აპრიალდა, ახმაურდა, ველარ მიეუსნარი, გამასნრეს, რამდენსაც ვცემდი დეზებს (ცხენს). ზღვის პირას მივედი, შეეხედე, (ნავი) მხოლოდ ჩასული მზის შუქში ჩანდა, გამშორებოდენ, გამტკეოდენ, ამიტომ ცეცხლს (აღს) დავეწუი.

627 ესე მესმა ფრიდონისგან, მომემატა ცეცხლთა სიცხე,  
ცხენისაგან გარდაეიჭურ, თავი სრულად გაევიცხე,  
ჩემთა ლანთთა დანადენი მე ჩემივე სისხლი ვიცხე.  
და უთხარ: «მომკალ, უჩემოსა ენახამცა ვისცა ისც ხე!»

უ 621-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: დ უთხარ (ვეუთხარ). პროექტი მიღებულ იქნა, ოღონდ დ-ს ბოლოს დაიხვა კითხვისა და ძახილის ნიშნები.

ს. შ.: ეს რომ მოვიხმინე ფრიდონისგან, მწველი ცეცხლი მომემატა, ცხენიდან სწრაფად ჩამოვხტი, ჩემი თავი გაევიცხე, ჩემი ლოყებიდან ჩამონადენი სისხლით შევიღებე. უთხარი: " მომკალი, უჩემოდ (თუ არ მე) ვის უნდა ენახა ის ხე (ნესტანი)?"!

628 ესე ჩემგან გაუკვირდა ფრიდონს, უცხოდ ეუცხოვა,  
მაგრა მეტად შეეებრალე, ტირილითა მესათნოვა;  
თწალთათ ვითა მარგალიტი ცრემლი ცხელი გარდმოთოვა,  
და ვითა შვილი დამადღუმა, მემუდარა, შემეპოვა.

უ 622-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ეს (საქციელი) ჩემგან გაუკვირდა ფრიდონს, ძალზე ეუცხოვა, მაგრამ უფრო შეეებრალე, ტირილით დამიყვავა; თვალებიდან მარგალიტებით ცხელი ცრემლები გადმოყარა, როგორც შვილი დამანყარა, შემეხეენა, თანაგრძნობით მომეკიდა.

629 «ეაგლახ მუო, რა გიამბე ფათერაკად, მცთარმან, შმაგად!»  
მოეაწუნე: «ნურა გაგვა, ნუ ინაველი მაგას მაგად!  
იგი მთუარე ჩემი იყო, მით შედების ცეცხლი მდაგად;  
და ან გიამბობ, რათგან თავი გინდა ჩემად აშხანაგად».

უ 623-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: „ეაი მე, შემცდარმა რა გიამბე ფათერაკად, შმაგად!“ მიუღე: „ამის გამო წუ დარდობ, წუ ინალღეღი! ის ქალი ჩემი იყო, ამიტომ მედება მწველი ცეცხლი; ახლა გიამბობ (ჩემს ამბავს), რადგან გინდა ჩემი ამხანაგი იყო“ .

## 1976. 10. XII

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი.

განიხილეს: 630-636 სტროფები (პროექტი მოამზადა III ჯგუფმა).

630 ფრიდონს უთხარ ყუნლაკაი ჩემი, თავსა გარდასრული;  
მან მითხრა, თუ: «რას ვიტყვდი მოცილობილი, გაბასრული  
შენ, მაღალი ინდოთ მეფე, ჩემსა რადმე ხარ მოსრული,  
და საწელმწიფო საჯდომი და ტახტი გმართებს, სრაცა სრული».

უ 624-თან შედარებით პროექტში ცვლილება: ა უთხარ (ვუთხარ). პროექტი მიღებულ იქნა, ოღონდ ა-ს ბოლოს ნერტილ-მიძიმის ნაცვლად დაინერა ნერტილი.

ს. შ.: ფრიდონს ვუამბე ყოველივე, ჩემს თავს გარდახდილი (ჩემი თავგადასავალი). მან მითხრა: „რას ვამბობდი შემცდარი, შერცხვენილი! შენ, ინდოეთის დიდებული მეფე, ჩემთან (აღბათ) რაღაცის გამო ხარ მოსული, სამეფო საჯდომი და ტახტი გეკუთვნის (შეფერის), ღირსეული (სრული) სასახლეც“ .

631 კულაცა მითხრა: «ვისცა ღმერთი საროს მორჩსა ტანად უხებს,  
მას ლახუარსა მოაშორებს, თუცა პირველ გულსა უხებს,  
იგი მოგუცემს წყალობასა მისსა, ზეცით მოგუიქუხებს,  
და ჭირსა ლხინად შეგვიცვალებს, არაოდეს შეგუანუხებს».

უ 625-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ისევე მითხრა: «ვისცა ღმერთი ახალ ნერგს (მორჩს) ალევასავით ტანადს შექმნის, მას ლახუარს მოაცილებს, თუმცა პირველად გულს გაუგმირავს, ის მოგვანიჭებს თავის წყალობას, ზეციდან ქუხილივით მოგვივლენს, ჭირს ლხინად შეგვიცვლის, არასდროს შეგვანუხებს“ .

632 ნამოვედით ნატირებნი, სრას დაესხედით თავის ნინა;  
ფრიდონს უთხარ: «ჩემი შემწე შენგან კიდე არაინა,  
ვითა ღმერთმან შენი მსგავსი სოფლად არა მოაელინა,  
და მაშა რათგან შეგემეცენ, ამის მეტი რად რა მინა?»

უ 626-თან შედარებით პროექტში ცვლილება: ბ უთხარ (ვუთხარ). პროექტი მიღებულ იქნა, ოღონდ დ-ში მამას-ს შემდეგ დაინერა მიძიმე.

მომდევნო სხდომაზე 1976.17.XII რედაქციამ დ-ში შეგემეცენ შეცვალა შეგემეცნეთი (ნაკითხვისათვის იხ. გ. კარტოზია 1975, 65-67).

მოგვიანებით შეიცვალა ნაკითხვები: ა თავისნინა, ბ არავინ-ა.

ს. შ.: ნამოვედით ნამტირალევი, სასახლეში დაესხედით განმარტოებით; ფრიდონს ვუთხარი: „ჩემი დამხმარე შენ გარდა არაინა, ისევე როგორც ღმერთს შენი მსგავსი (სხვა) ამქვეყნად არავინ მოუვლენია, მაშ, რადგან გაგეცანი, ამის მეტი რად მინდა რამე?“

**633** არ ავი გესწა მოყუარე, ჟამი თუ მომზუნდეს ჟამისად,  
ენა, გონება მაქმარე გამოსარჩეულად ამისად:  
რა მოვაგუარო, რა მოჯობს სალხენლად ჩემად და მისად?  
და თუ ვერას ვარგებ, ექმნები ვერდამყოფელი წამისად».

■ 627-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: არ გეყოლები ცუდი მეგობარი, თუ დამიდგა შესაფერისი ჟამი, ენა, გონება მომხმარე ამის გამოსარჩევად (რჩევა მომეცი): რა მოვაგუარო, რა იქნება უკეთესი ჩემ და მის საშველად? თუ ვერაფერი ვარგე, ერთ ნამსაც ვერ დავეყოფ (ცოცხალი).

**634** მან მითხრა: «ბედი ღმრთისაგან მიჯობსდა ამას რომელი?  
მოსრულხარ ჩემად წყალობად მეფე ინდოეთს მეფლომელი;  
მეშვა რად ვიყავ ამისთვის მადლისა რასმე მნდომელი?  
და ერთი ვარ მონა მონებად წინაშე თქუნესა მდგომელი».

■ 628-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მან მიპასუხა: «მ ბედს ღვთისაგან (ბოძებულნი) რომელია ბედი მიჯობს? ჩემდა წყალობად მოსულხარ მეფე ინდოეთისა; ამიტომ მე რად ვიყო (ვიქნები) სხვა მადლის მსურველი? მე თქვენ წინაშე ვარ (როგორც) ერთი მონათაგანი თქვენდა სამსახურად».

**635** ესე ქალაქი გზა არის ნეთა, ყოველგნით მავლთა,  
შემომკრებელი ამბავთა უცხოთა რათმე მრავალთა;  
აქა მოგესმის წამალი, შენ რომე დაუნჯავ ალთა.

და ნუთუ ქმნას ღმერთმან გარდაჯდა მაგ შენთა ჭირთა და ვალთა!

■ 629-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა, ოღონდ დ-ში მაგ შენთა-ს ნაცვლად რედაქციამ ა. ბარამიძის წინადადებით მიიღო ამაგა.

ს. შ.: ეს ქალაქი ყოველი მხრიდან მომავალი ნაევბის გზაა, სხვადასხვა მრავალი უცხო ამბის შემომკრებელი; აქ შეიტყობ იმ წამალს (იმ ამბავს), შენ რომ ალს დაუნეავხარ. ეგებ ღმერთმა ქნას, (კეთილად) გადაგიხადოს ეგ ჭირი და ვალი!

**636** ჩუნე გავგზავნეთ მენავენი, რომელთაცა კულა უვლია,  
მოგინახონ იგი მთუარე, ვისთვის ჭირი არ გუაკლია;  
მუნამდისცა მოიჭირვე, – გონებამან არ დაგლია».

და ყოლა ჭირი არ ეგების, თუცა ლხინმან არ დასძლია».

■ 630-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ჩვენ გავგზავნეთ მენავეები, რომელთაც ხშირად უმოგზაურიათ, მოგინახონ ის მთუარე (ნესტანი), ვის გამოც გაჭირვება არ გვაკლია; მანამდე მოითმინე, ფიქრი ნუ დაგლევეს, ყოვლად შეუძლებელია (ისეთი) ჭირი, რომელსაც ლხინმა არ დასძლიოს.

## 1976. 17. XII

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი.

განიხილეს: 636,1-640,1 (პროექტი მოამზადა II ჯგუფმა).

**636,1** «კულავ მოგახსენებ, მეფეო, იყავ გულისა ამებად,

თავი ჩემი და ლაშქარი მე თქვენთვის დამიც ნამებად;  
ღმერთი უხვია, გიბოძებს შენსავე ტახტსა დგამებად;

და არ მოიკრიფვის ნაყოფი უდროოდ და უყამებად\*.

x 790,1-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: გ დგამებად (დაგებად),  
დ უდროოდ (უდროვით); გ-ს ბოლოს ნერტილ-მძიმეა მძიმის ნაცვლად.

პროექტი მიღებულ იქნა, ოლონდ, ი. გიგინეიშვილის წინადადებით, დაუყამებად  
დაინერა ერთ სიტყვად (=დაუმნივებლად), მის წინ კი მძიმე დაისვა.

ს. შ.: კვლავ გთხოვ, მეფე, გამზიარულდი (იყავი გულის მაამებლად), ჩემი თავი და  
ლაშქარი მე თქვენთვის სანამებლად (სამსხვერპლოდ) მომიტანია; ღმერთი უხვია, შენსავე  
ტახტს გიბოძებს საჯდომად; ნაყოფი არ მოიკრიფება უდროოდ, შემოუსვლელად  
(დაუმნივებლად)\* .

637 კაცი იქმნა მასვე ნაშა, ესე საქმე დაეორეთ,  
უბრძანა, თუ: «ნაგებითა წადით, ზღუა-ზღუა მოიცურეთ,  
მოგუინახეთ, საყუარელსა მისსა მისთვის მოასურეთ;

და თათა ჭირი უათასეთ, რადმც უშუიღეთ ანუ ურეთ?»

u 631-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ა. ბარამიდის წინადადებით, დ-ს მეორე ნახევარი ასე შეიცვალა: რადმც უშუიღეთ,  
რადმცა ურეთ? პროექტი ამ ცვლილებით მიღებულ იქნა.

ს. შ.: იმავე ნამს იხმო მსახურები, ეს საქმე მოგავგვარეთ, უბრძანა: „ნაგებით წადით,  
ზღვა-ზღვა იცურეთ, მოგვიძებნეთ (ნესტანი) მის შეყვარებულს სურვილი შეუსრულეთ;  
თქვენს თავს ჭირი გაუათასკეცეთ, რად უნდა (მხოლოდ) გაუშვიდეცოთ, რად უნდა  
გაურეკეცოთ?“

637,1 მოასხნა ფრიდონ, გაგზავნა მცოდნენი ყველის ზღვისანი,

უბრძანა: «იციოთ, არა ჰგავს ან ამას საქმე სხვისანი,

მოსულა ინდოთ ჯელმნიფე, გარჯილი შორის გზისანი,

და ან უნდა ზღვასა დაენთქეთ, ან შექნი აპოვით შზისანი!»

x 791,2-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ა ბოლოს მძიმეა ნერტილ-მძიმის  
ნაცვლად. პროექტი მიღებულ იქნა, ოლონდ ბ-ს ბოლოს მძიმის ნაცვლად დაისვა  
ორნერტილი.

ს. შ.: მოიყვანა ფრიდონმა მცოდნენი ყველა ზღვისა და გაავგზავნა, უბრძანა: „იციოთ,  
(რომ) ამას არა ჰგავს სხვისი საქმე: მოსულა ინდოეთის ხელმნიფე, შორ გზაზე გარჯილი,  
ან ზღვაში უნდა დაიღუპოთ, ან უნდა იპოვოთ შზის შექი (ნესტანი)“ .

637,2 სხვანი ნამოდგეს მისისა სპათაგან გამორჩეული:

«ხედავთა ამა საროსა, ჩანს ჭირთა შენარხუელი,

ჩვენ ამის ჭირთა ვენაცულნეთ, მეფე მოყმეა ეული,

და ან წადით, თქვენცა დაყავით საძებრად წელი წლეული!»

x 791,3-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ა ნამოდგეს (ნამოდგენს), ბ ჩანს  
(სჩანს), დ წლეული (წრეული). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: წინ ნამოდგენს მისი (ფრიდონის) მოლაშქრეებიდან გამორჩეული სხვა მოყმეები  
(და მათაც მიმართა ფრიდონმა): „ხომ ხედავთ ამ საროს, რომელიც ჭირისგან შენარხევი  
ჩანს, ჩვენ ამის ჭირს უნდა ვენაცვალოთ, მეფე ეული მოყმეა, ან წადით, თქვენც (ნესტანის)  
ძებნაში დაყავით წლევიანდელი წელი!“

638 აჩინა კაცნი, სადაცა სადგურნი ნათა სჩენოდეს;  
უბრძანა: «ძებნეთ ყოველგან, რაცა ვის მისი გსმენოდეს».  
მოლოდნა მიჩნდა სალხინოდ, პატიუნი მორე-მღვწენოდეს,  
და უმისოდ ლხინი მიწახაეს, ამა დღისათვის მრცხუნოდეს!

U 632-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ი. გიგინეიშვილი: ბ-ში შინაარსობრივ გაუმართლებელია ზმნის მეორე პირის ფორმა გსმენოდეს. გამოდის, რომ ფრიდონი იმით ავზავენის, ვისაც რაღაცა გაუგია ნესტანზე. ეს კი ენაწარმდებება ფაქტობრივ ვითარებას. საჭიროა ზმნა გადაეყვანოს შესაბამის პირში – სმენოდეს, როგორც გვაქვს  $A^4 A^{10} A^{12}$  ნუსხებში. ამ გასწორების შემდეგ ტაეპის აზრი ნათელია: ფრიდონმა უბრძანა გაგზავნილებს: ძებნეთ ყველგან ის, ვისაც კი რაიმე გაეგონოს (სმენოდეს) ნესტანისაო.

გ. კარტოზია: შესაძლოა ტაეპის სხვაგვარი გაგებაც, რაცა აქ მართლაც განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელია (=რამე). ასევე განუსაზღვრელობით ნაცვალსახელად უნდა მივიჩნიოთ ვის (=ვისმე), ზმნის კავშირებითის ფორმას კი შეიძლება მომავლის გაგება ჰქონდეს: გსმენოდეს = გესმას, გაიგოთ. ტაეპის აზრი ასეთია: ეძებეთ ყველგან, (იქნებ) მის შესახებ ვინმემ (რომელიმემ) რამე გაიგოთ. ი. გიგინეიშვილი: გსმენოდეს შესაბამის კავშირებითა და მასში მომავლის გაგებას ვერ ვივარაუდებთ.

ა. ბარამიძე: აზრობრივად სმენოდეს უფრო უდგება კონტექსტს, მაგრამ გაუგებარია ხელნაწერთა უმრავლესობაში მისი გადაკეთების საფუძველი.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს ნაკითხვა სმენოდეს.

გ-ს ბოლოს მძიმის ნაცვლად დაისვა ნერტილი.

ს. შ.: გაგზავნა (გაამწესა) მსახურები ნავსადგურებში (იქ, სადაც ნაევებს ჰქონოდათ სადგურები); უბრძანა: „ეძებეთ ყველგან, ვისაც მისი რაიმე გაეგონოს“. მოლოდინი მიმჩნდა სასიხარულოდ, ტანჯვა შემომსუბუქდა. უმისოდ (უნესტანოდ) მიღებენია (ლხინი მიწახაეს), ამის (ამ დღის) გამო უნდა მრცხუნოდეს!

639 ფრიდონ საჯდომნი დამიდგნა ადგილსა საპატრონოსა,  
მითხრა, თუ: «მცთარვარ აქამდის, ვერ მივხვდი გასაგონოსა;  
ხარ დიდი მეფე ინდოთა, რა ვით ვინ მოგანონოსა!

და ვინ არის კაცი, რომელმან თავი არ დაგამონოსა?!»

U 633-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ფრიდონმა ტახტი დამიდგა სამეფო ადგილას, მითხრა: „აქამდის თურმე ვცდებოდი, ვერ მივხვდი იმას, რაც უნდა გამეგო: ხარ ინდოელთა დიდი მეფე, ვინ რა როგორ მოგანონოს! ვინ არ დაგამონებს თავს?!“

639,1 ზღვათა და წმელთა არ მორჩა, გაგზავნა ყველგან მძებნელი:  
ზღვასა – ნავი და კატარა, თემ-თემად – გზათა მტკეპნელი;  
ამბავს ვიცდიდი შვევული, ახალთა ცეცხლთა მღებნელი,  
და ვისცა ენახოს ნათელად ღრუბლის შეკრული შზე მწელი!

x 793,1-თან შედარებით პროექტში ცვლილება: ა ყველგან (ყოველგნით), ზ ზღვასა (ზღვათა), გ ცეცხლთა მღებნელი (ცრემლთა მდენელი); ა-ს ბოლოს ორწერტილია ნერტილ-მძიმის ნაცვლად, ზ და გ-ში (შიგნით) დასმულია მძიმეები და ტირეები. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ზღვასა და ხმელეთზე არ გამოტოვა (ადგილი), ყველგან გაგზავნა მძებნელი: ზღვაზე – ნავი და კატარა, სოფელ-სოფელ – ქვეითები (გზის მტკეპნელები); ამბავს

წყვიდი ბედში (გულში), ახალცეცხლმოდებული, ვის უნახავს, რომ ღრუბლისგან შეკრული ბნელი მზე იყოს ნათელი!

**640** რას ეაგრძელებდი მოვიდეს ყოვლგნით ამბისა მცნობელნი,  
ცუდნი და ცუდთა ადგილთა თაისა დამაპრობელნი;  
ვერა ვერ ეცნა, ვერ იყენეს ვერას ამბისა მბობელნი,  
და მე უფრო მდინდეს თუალთაგან კულა ცრემლნი შეუმრობელნი.

U 634-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: რალა გაეაგრძელო! დაბრუნდნენ ყოველი მხრიდან ამბის გასაგებად გაგზავნილები, გაცუდებულები და უსარგებლო ადგილებში დამაპერალნი; ვერაფერი ვერ გაეგოთ, ვერავითარი ამბის მბობულები ვერ იყვნენ, მე უფრო მდიოდა თვალებიდან შეუმრობელი ცრემლები.

**640,1** ვთქვი: «რა მაკლდა სახლსა ჩემსა? სპათა ესჭურეტ და ესუამ, იგია;  
მე ვიშუებ და იგი ტყუედა, ზღუათა შიგან ნაშოგია.  
კლდისაგანცა უმაგრესსა ესე ვთა გამიგია?  
და ჭრმალსა ჯელსა ევლარას ეპქდი, ცუდად შიგან რას მიგია?»

X 795-თან შედარებით პროექტში ცვლილება: ა მაკლდა (მქონდა), ბ შიგან (შიგა), დ ეპქდი (უხდი); ა-ში, ცეზურასთან, მძიმის ნაცვლად დასმულია კითხვის ნიშანი, ტაეპის ბოლოს მძიმის ნაცვლად ნერტილ-მძიმეა, სარითმო სიტყვის ნინ დასმულია მძიმე (ესუამ, იგია); ბ-ს ბოლოს ნერტილია მძიმის ნაცვლად, ტაეპის შიგნით მძიმეა დასმული.

ა. ბარამიძე: სტროფი არის ყველა (დუზუნიანებელ) ხელნაწერში. ამასთან, შინაარსობრივად საჭიროა. ამიტომ ძირითად ტექსტში უნდა შევიტანოთ. ადრე (1937 წლის გამოცემის ტექსტზე მუშაობისას) მე განსხვავებული აზრი მქონდა ამ სტროფზე, მაგრამ შემდგომში შევიცვალე შეხედულება.

ი. გიგინეიშვილი: ის ფაქტი, რომ სტროფი ყველა ხელნაწერშია, არ გამოდგება მისი ძირითადობის საბუთად. პოემაში სხვაგანაც საკმაოდ დასტურდება იმის მაგალითები, რომ აშკარად გვიანდელ სტროფს ყველა ხელნაწერი წარმოგვიდგენს.

გ. კარტოზია: სტროფის გვიანდლობას მონიშნავს მისი (განსაკუთრებით ა-ს) სტილისტიური გაუმართაობა. მოუხედავად პუნქტუაციური ცვლილებების შეტანისა, ა-ს შინაარსი მაინც ბუნდოვანი რჩება და მისი გააზრიანება ნაძალადევის შთაბეჭდილებას ტოვებს.

ე. მეტრეველი: სტროფი არც შინაარსობრივად არის საჭირო. ტარიელი ნასელის აუცილებლობაზე ლაპარაკობს 642-ე სტროფში: („მაშა მე მისსა აშბავსა...“).

დაადგინეს: სტროფი დარჩეს ჩანართებში.

ს. შ.: ვთქვი: ჩემს სახლში რა მაკლდა? ლაქარს ვუჭერეტ, ესეამ, (სულ) ესაა; მე უხარობ და ის (ნესტანი) ტყუედ არის, ზღვაში დამიკარგავს. კლდეზე მაგარს ეს როგორ გამიკეთებია? ხმალი ველარაფერში მარგია, ტყუილად შიგ (ქარქაში) რას მიგია?”

## 1976. 24. XII

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი.

განიხილეს: 641-645 (პროექტი მოამზადა II ვჯგუფმა); 646, 647 (პროექტი მოამზადა III ვჯგუფმა).

**641** მე ფრიდონს უთხარ: «ესე დღე ვითა მესაზაროების, ამისად მოწმად ღმერთი მყავს, სათქმელად მუცხოების; უშენოდ მყოფსა ღამე და დღეცა მესალამოების, და დაწსნილვარ ღვინსა ყოველსა, მით გული ჭირსა მოვების.

U 635-თან შედარებით პროექტში ცვლილება: ა უთხარ (უთხარ).

ი. გიგინეიშვილი: დ-ში ერთპირობანი ზმნა დაწსნილვარ ირიბ ობიექტთან (ღვინსა) დაუკავშირებელი გამოდის. უნდა: დაწსნივარ.

გ. კარტოზია: ორიპირობანი გარდაუვალი ზმნების თურმობითთა ორგანული ნარმოება ქართულში გვიანდელი ნარმოებისაა. ამგვარი ფორმები ძველად აღწერილად ინარმოებოდა. „ვტ“-ში ძველი ნარმოება დაცულია. შდრ. ანალოგიური მაგალითი: შუიგენით, მიცემულვარ ჭირსა რასმე თანისთანსა (U 662<sub>4</sub>).

დაადგინეს: დარჩეს დაწსნილვარ ღვინსა ყოველსა.

ს. შ.: მე ფრიდონს უთხარ: „ეს დღე თუ როგორი ზარდამცემია ჩემთვის, ამის მოწმედ ღმერთი მყავს, თქმა მეძნელება; უშენოდ მყოფს ღამე და დღე (ორივე) ბნელად მწვენება, მოვშორებევარ ყოველგვარ სიხარულს, ამიტომაც გული ჭირს უერთდება.“

**642** მამა მე მისსა ამბავსა რათგან აღარას მოველი,  
ველარ ვიქმნებო, გაშიშუო, ვარ ფარმანისა მთხოველი!»  
ფრიდონს რა ესმა, ატირდა, სისხლითა მოიწყო ველი;  
და მითხრა, თუ: «მშაო, დღესითგან ცუდ ჩემი ღვინი ყოველი!»

U 636-თან შედარებით პროექტში ცვლილება: გ-ს ბოლოს მძიმის ნაცვლად დასმულია ნერტილ-მძიმე. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: „რადგან მე მის (ნესტანის) აღარავითარ ამბავს არ მოველი, ველარ დაერჩები, გამიშვი, ვითხოვ ნებართვას!“ ფრიდონმა ეს რომ მოისმინა, ატირდა, სისხლით მოიწყო ველი; მითხრა: „მშაო, დღეიდან ფუჭია (ამაოა) ჩემი ღვინი!“

**643** თუცა ღია მოიჭირვეს, ვერცა ვგრე დამიჭირეს;  
მისთა სპათა მუჯღმოყრილთა თავი მათი ჩემკერძ ირეს,  
მეხუჯოდეს, მაკოცებდეს, ატირდეს და ამატირეს;  
და «ნუ ნახუალო, დაგემონნეთ, სიცოცხლეა ჩუენი ვირეს!»

U 637-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ა. ბარამიძე: დ-ში რიგი ხელნაწერი და გამოცემა ნაცვლად დაგემონნეთ კითხულობს: დაგანამოთ. ჩვენს გამოცემაშიც (S) ეს ფორმა გვაქვს მიღებული. ტაეპის აზრი ასე გვესმის: „სანამ ცოცხალი ვართ, მზად ვართ ვენამოთ, თავი გავწიროთ შენთვის“. როცა ამ ფორმას ვაძლევდით უპირატესობას, იქიდან ამოვიღოდით, რომ გასაგები, ნათელი ფორმა (დაგემონნეთ) არ შეიცვლებოდა რთული, ძნელად გასაგები ფორმით.

რედაქციის წევრებს საეჭვოდ მიაჩნიათ, რომ დაგანამოთ ზმნას ნამების, თავანწირვის შინაარსი ჰქონდეს. ამასთან, სარწმუნოდ მიაჩნიათ ვარაუდი, რომ დაგემონნეთ გვიანდელი სწორების შედეგია.

ი. გიგინეიშვილს შესაძლებლად მიაჩნია დაგანამოთ-ში დაინახოს სწამს ზმნის კუზატორი ფორმა. ტაეპის შინაარსი, მისი აზრით, ასეთია: ნუ ნახვალ, სანამ ცოცხალი ვართ, ამას დაგარწმუნებთ.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს დაგანამოთ.

ს. შ.: თუმცა ბერს უცადნენ, მაინც ვერ დამაკავეს; მისი (ფრიდონის) მოლაპქრენი ჩემკენ მუხლმოყრლინი წამოვიდნენ, მებევოდნენ, მკოცნიდნენ, ატიორდნენ და ამბტირეს: „წუ ნახელო, ამის დარწმუნებამი ვიქნებით, სანამ ცოცხალი ვართ!“

644 ვერე უთხარ: «თქვენი გაყრა მეცა დია მებნელებს, მაგრა ლხინი უმისოსა ჩემგან მნელად გაიძლებს; ჩემსა ტყუესა ვერ გაესწორავ, თქვენცა დია გებრალელებს, და ნუვინ მიშლით, არ დაუდგებთ, არცა ვისგან დამეშლებს».

უ 638-თან შედარებით პროექტში ცვლილება: ა უთხარ (ვუთხარ). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ასე ვუთხარი: „თქვენი განმორება მეც ძლიან მებნელება, მაგრამ ჩემგან, უმისოდ (უნესტანოდ) მყოფისაგან, სიხარული მნელად გაიძლება; ჩემს ტყუეს ვერ მივატოვებ, თქვენც ძლიან გებრალელებათ, ნურავინ დამიშლით (ნასვლას), (მაინც) არ დაფრჩებთ, არც შეიძლება ვინმემ დამიშლოს“ .

644,1 «ღმერთი მყავს მონმად, ეცადად გულისა მობრუნებასა, მაგრამ არ დამყუა სალხინოდ, მეტყუადა ვაგლახ-ვნებასა; ერთხელ დამწვარი პატრუქი ველარ იქს გაბრწყინებასა. და ან წულარა იქთ ჩემისა ნასულთია დაჭმუნებებასა».

x 799,1-თან შედარებით პროექტში ცვლილება: ა მობრუნებებასა (მობრუნებებასა), ბ ვაგლახ-ვნებასა (ვაგლახ ვნებასა), გ გაბრწყინებებასა (გაბრწყინებებასა), დ დაჭმუნებებასა (დაჭმუნებებასა). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: „ღმერთია მონამე, რომ ეცადად გული მომებრუნებინა, მაგრამ არ დამყვა (გული) სამხიარულოდ, მეუბნებოდა ვაგლახსა და ვნებას; ერთხელ დამწვარი პატრუქი (კვლავ) ველარ გაბრწყინდება. ჩემი ნასვლის გამო ან წულარ შენუხდებით!“

645 მერმე ფრიდონ მოიყვანა, მიძლუნა ესე ჩემი ცხენი, მითხრა: «ხედაე პირი მზისა, თქუნ საროსა ეგეც ხენი, ვიცი, მეტი არა გინდა, ძლუნენი რადმცა გაეციცხენი? და თუთი ამანვე მოგანონნეს საწედრობა-სიფიცხენი».

უ 639-თან შედარებით პროექტში ცვლილება: დ მოგანონნეს საწედრობა-სიფიცხენი (მოგანონნოს სახედრობა, სიფიცხენი).

ი. გიგინიშვილი: დ-ში უნდა მივიღოთ საწედრობა, რომელიც ნანარმოებია წედნა (ტარება) ზმნისაგან.

გ. კარტოზია: ძველ ქართულში საწედარი ნიშნავს საჯდომ ცხოველს. „ეტ“-ის ხელნაწერთა უმრავლესობაც საწედრობა-ს უჭერს მხარს.

დაადგინეს: დარჩეს საწედრობა. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მერმე ფრიდონმა მოიყვანა ეს ჩემი ცხენი და მარუქა, მითხრა: „ხედაე შენ, მზისსახიანი, თქვენ, საროს, ეგეც ხე (ხესავით მაღალი, დიდი)! ვიცი, რომ მეტი არაფერი გინდა, ძლევნი რატომ გავაცუდლო (გავანბილო)? თვით ამან (ცხენმა) მოგანონნოს ტარება და სისწრაფე“ .

646 ფრიდონ გამომყვა, ნავედით, ორთავე ცრემლნი ვლუარენით; მუნ ერთმანერთსა ვაკოცეთ, ზახილით გაიყვარენით. სრულად ლაშქარნი მტიროდეს გულითა მართლად, არ ენით. და გაზრდილ-გამზრდელთა გაყრასა ჩუნ თაენი დავადარენით.



პ 640-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ფრიდონი გამოწყვა, წავედით, ორივემ ცრემლები ვღვარეთ; იქ ერთმანეთი გადავკოცნეთ, ხმაბლალი ტორილით გავიყარეთ. მთელი ლაშქარი ალალი გულით მტიროდა, არა ენით. ჩვენი გაყრა გაზრდილ-გამზრდელთა გაყრას დავეადარეთ.

647 ფრიდონისთ ნამოსრულმან, წავე ძებნად, კულა ვიარე,  
რომე არა არ დამირჩა წველთა ზედა, ზღუათა გარე,  
მაგრა მისსა მნახავსაცა კაცსა ეერას შევეყარე;  
და გული სრულად გამიშმაგდა, თავი მწეცთა დავეადარე.

პ 641-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ფრიდონის სამფლობელოდან ნამოსული ნესტანის საქმენულად წავედი, კიდევ (იმდენი) ვიარე, რომ არაფერი არ დამრჩენია ხმელეთზე, ზღვების გარშემო, მაგრამ მის მნახვე კაცსაც ვერავის შევხვდი; გული მთლად გამიშმაგდა, თავი მხეცებს დავამსგავსე (მხეცს დავემსგავსე).

## 1977. 7. I

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ემეტრეველი, ს. ციაშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს: 648-652,1 (პროექტი მოამზადა III ჯგუფმა).

648 ვთქუი, თუ: «ჩემგან აღარა წამს სიარული, ცუდი ცურვა,  
ნუთუ მწეცთა სიახლემან უკუმყაროს გულსა ურვა!»  
მონათა და ამა ასმათს სიტყუა უთხარ შუიდი თუ რვა:  
და «ვიცი, რომე დამირჯიხართ, დია გამართებს ჩემი მღურვა.

პ 642-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ა აღარა წამს (აღარაა), გ უთხარ (უთხარ).

ი. გიგინეიშვილის წინადადებით ა-ში ჩემგან აღარა წამს შეიცვალა ნაკითხვით: ჩემი აღარაა (წინააღმდეგნი – ც. კიკვიძე და შ. ძიძიგური).

ს. შ.: ვთქუი: ჩემი სიარული აღარაა (ზედმეტია), ფუტია ცურვა, ეგებ მხეცებთან სიახლოვემ უკუმყაროს გულის დარდი (მწუხარება)! მონებს და ასმათს შევიდ-რვა (ე. ი. ცოტა) სიტყუა უთხარაი: «ვიცი, რომ მეტად გამირჯიხართ, (ამიტომ) ძალიან უნდა მემღუროდეთ».

649 ან წადით და მე დამაგდეთ, ეტერენით თავთა თქვენთა,  
ნულარ უჭურეტო ცრემლთა ცხელთა, თუალთა ჩემათ მონადენთა!»  
რა ესენი მოისმენდეს საუბართა ესოდენთა,  
და მოთხრეს: «ჰაა, ჰაა, რასა პბრძანებ, ნუ მოასმენ ყურთა ჩუნთა!

პ 643-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: დ ჰაა, ჰაა (ჰაი). პროექტი მიღებულ იქნა, ოღონდ ჰაა ჰაა, ი. გიგინეიშვილის წინადადებით, დაინერა ერთად.

ს. შ.: «ახლა წადით და მე დამტოვეთ, თქვენს თავს უპატრონეთ, ნულარ უცქერთ ჩემს თვალთგან მონადენ ცხელ ცრემლებს!» ამათ რომ ასეთი საუბარი მოისმინეს, მოთხრეს: «ჰაი, რას ბრძანებ, ჩვენს ყურებს (მაგას) ნუ მოასმენინებ (მაგას ნუ გაგვაგონებ)!

650 უშენონა ნუმცა ენახათ ნუ პატრონსა, ნუ უფალსა!  
ნუთუ ლმერთმან არ გაგუყარნეს ცხენთა თქუნთა ნატურფალსა!  
თქვენ გიჭურეტდეთ საჭურეტელსა შუენიორსა, სატურფალსა!  
და თურე ბედი მოაღაფლებს კაცსა ეგ ზომ არღაფალსა.

U 644-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: შენ გარდა (სხვა) ნუ გვენახოს ნურც პატრონი, ნურც ბატონი! ეგებ ლმერთმა არ გაგუყაროს თქვენი ცხენების ნატურფალს! თქვენ გიყურებდეთ ტურფა (და) მშენიერ სანახავს! "თურმე ბედი დააძაბუნებს (ხალისს დაუკარგავს) ასე ხალისიან კაცსაც.

651 ველარ გავე ზაენენ, სიტყუანი მესმნეს მონათა ჩემთანი,  
მაგრა დაფყარენ არენა მე კაცრიელთა თემთანი;  
სახლად საყოფნი მიმანდეს თხათა და მათ ირემთანი.

და გაიჭყერ, სრულად დავტკებნენ ქუე მინდორნი და ზე მთანი.

U 645-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ი. გიგინიშვილი მხარს უჭერს გ-ში სამყოფნი ფორმას.

რედაქციამ უცვლელად მიიღო პროექტის ნაკითხვა.

ს. შ.: ველარ გაუფუი, გაიგონე ჩემი მონების სიტყვა (გაუფონე, დაუფერე ჩემს მონებს), მაგრამ დავტოვე ადამიანთა საცხოვრებელი ადგილები; გარეული თხებისა და ირმების სამყოფი სახლად მიმანდა. გაიჭყერი, მთლად დავტკებნე (მოვიარე) ქვევით მინდვრები და ზევით მთები (მთა და ველი).

652 ესე ქაბანი უკაცური ეპოვენ, დეთა შეეაფნეს,  
შემომებნეს, ამოენყუიდენ, ყოლა ვერას ვერ შექაფნეს,  
მათ მონანი დამიჯოცნეს, ჯაჭუნი ავად მოექაფნეს.

და სანუთრომან დამაღრიჯა, ცქაფნი მისნი კულა მექაფნეს.

U 646-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ი. გიგინიშვილი: ბ-ში ნაცვლად შემომებნეს ფორმისა უნდა მივიღოთ ხელნაწერებისა და გამოცემების უმრავლესობაში ნარმოდგენილი შემოვები. ეს უკანასკნელი ჩვეულებრივი, გავრცელებული ფორმაა ძველ ძეგლებში.

რედაქციამ მიიღო ეს გასწორება. ამავე ტაეპში, გ. კარტოზიას წინადადებით, ამოენყუიდენ შეიცვალა ამოვსწუიდენ ფორმით. ტაეპის ბოლოს მძიმის ნაცვლად დასევა ნერტილ-მძიმე.

რედაქციას ასე ესმის სტროფის შინაარსი: ეს უკაცური გამოქვაბულები ვიპოვე, დევებს (რომ) შეეკაფათ, შევებრძოლე, ამოენყუიციე, ზარდამცემი ყვირილით სრულებით ვერ შემამინეს; მათ მონები დამიხოცეს, ჯაჭვი ცულად გაემარებინათ მონებს ქაფით (შხარ-ილლის საცავი ჯაჭვით). ნუთისოფელმა დამამწუხრა, მისი სიცრუე კვლავ განვიცადე.

ც. კვიციანი, გ. კარტოზიას, ს. ცაიშვილს მიაჩნიათ, რომ გ-ს მეორე ნახევარში ლაპარაკია დევებზე და არა ტარიელის მონებზე: ჯაჭვი არასასიკეთოდ მოიხმარეს დევებმა.

652,1 დეენი დაჯოცნა ტარიელ, შექმნა სისხლისა მდენები;  
ასმათ ილოცავს, ლმერთს წინა გამარჯუებისა მქენები;

ეთ მოწდომია შეკაზმა, ბერი ჯამს ქებად ენობი,

და მკლავისა ძალით დაჯოცნა, არ შეპყაროდა სენები.

X 808-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: დევები დახოცა ტარიელმა, სისხლის მდენად შექმნა ისინი (სისხლი ადინა მათ); ლეთის წინაშე გამარჯვების მახეწარი ასმათი ლოცულობს; როგორ მოხდომია ჩაცმა (მორთვა), (ამის) საქებრად ბევრი ენაა საჭირო, მკლავის ძალით დახოცა, სენი არ შეუყრია.

## 1977. 14. I

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს: 652,2-656 (პროექტი მოამზადა III უჯრუფმა).

652,2 დევთა ყურილი, ზახილი ზე ცამდის აინეოდა;  
მათისა ლახტის ცემითა ქუეყანა შეირყოდა;  
შუე დააბნელეს მტურითა, ალვის შტო შეირხოდა,  
და ასნი ერთკერძო მომიჯდეს, დაფორინე, დაიხეოდა.

X 809-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ა ზე ცამდის (ზეცამდის), დ ერთკერძო (ერთ კერძო). პროექტი მიღებულ იქნა, ოღონდ აღდგენილ იქნა ნაკითხვა ზეცამდის. რედაქცია იზიარებს სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას სტროფის ჩანართობის შესახებ (იხ. ს. ყუბანეიშვილი, 1973, 269-270; ს. ცაიშვილი, 1963,7). ი. გიგინეიშვილმა აღნიშნა, რომ გ-ში ალვის შტო, რომელიც პოემაში ჩვეულებრივ მეტაფორას წარმოადგენს, აქ პირდაპირი მნიშვნელობით ჩანს ნახმარი და სრულიად უადგილოა კონტექსტში. ეს ფაქტიც სტროფის ჩანართობაზე მეტყველებს.

ს. შ.: დევების ყვირილი, საბრძოლო ყოინა ზეცამდის ადიოდა; მათი ლახტის ცემით მინა ირყოდა; მტერთ შუე დააბნელეს, ალვის ტოტი ირხეოდა, ასნი ერთი მხრივ მომეარდნენ, დაფხზრინე, დაიხეოდნენ.

652,3 პირველი რაზმი დაფორინე, შეეღუნე ქუაბის კარები;  
დიდი რამ დევი მომიჯდა, მას ჯელთა პქონდა ფარები;  
რქასა ესტაცე და ვითრივე, არ მოეჯმარე მჯარები;  
და ხანჯლითა გული გაუჟე, რუდ დის სისხლისა ლუარები.

X 810-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: გ და ვითრივე (დავითრივე). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: პირველი რაზმი გავანადგურე, შეეღუნე გამოქვაბულის კარები; ერთი დიდი დევი მომეარდა, მას ხელთ ფარი პქონდა; რქაში ჩაეავლე და დავითრივე, მხარ-მკლავი არ ეახმარებინე; ხანჯლით გაუჟე გული, რუდ მოსდის სისხლის ლვარი.

652,4 დაღამდა, ომი გარდასწყდა, გუმბათსა დაჯდა მთუარეო;  
დაჯოცილითა დევითა აიქსო არემარეო;  
გლახ, მე და ასმათ მარტონი გავპყრიდით ქუაბთა გარეო;  
და ხელსა მიმჭირდა, მას აქათ სულნი ამომჯდენ ბარეო.

X 811-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ა გარდასწყდა (დასწყნარდა); გ-ში გლახ გამოყოფილია მძიმით.

გ. კარტოზია: დ-ში მძიმე უნდა გადაისვას (ხელსა მიმჭირდა მას აქათ, სულნი ამომჯდენ ბარეო). ტაეპის აზრია: მას შემდეგ გახელებულს გამიჭირდა, ბარემ სული ამომხდეს.

ე. მეტრეველი და ი. გიგინიშვილი აგრეთვე მომზრენი არიან მძიმის გადასმისა.

დაადგინეს: მძიმე არ გადაისვას. ტაეპის აზრი ასე გაეიკოთ: გამშაგებულს უფრო გამიჭირდა, მას შემდეგ დაე სული ამოშდეს.

ს. შ.: დაღამდა, ომი დამთავრდა, მთვარე ამოვიდა: დაბოცილი დეგებით აივსო არემარე; მარტო მე და ასმათმა ძლივს გააყარეთ გამოქვაბულს გარეთ (მათი გვამები); გამშაგებულს უფრო გამიჭირდა, მას შემდეგ დაე სული ამოშდეს.

653 აპა, ძმაო, მაშინდითგან აქა ვარ და აქა ვკუდები;  
ხელი მინდოვს გაეიჭრები, ზოგჯერ ვტირ და ზოგჯერ ეზნდები,  
ესე ქალი არ დამაგდებს, – არს მისთუისვე ცეცხლანდები, –  
და ჩემად ღონედ სიკუდილისა მეტსა არას არ ვეკუდები!

პ 647-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ე. მეტრეველი: გ-ში ტირებები საჭირო არ არის.

გ. კარტოზია: ტირე ამოვილოთ გ-ს შიგნიდან და დაესვათ ბ-ს ბოლოს, ე.ი. გ მთლიანად განვიხილოთ, როგორც ჩართული ფრაზა ერთგვაროვანშემასმენლებიან შერწყმულ წინადადებაში.

რედაქციამ მიიღო ეს წინადადება.

ს. შ.: აპა, ძმაო, მას შემდეგ აქ ვარ და აქ ვკუდები; შმაგი მინდვრად გაეიჭრები, ზოგჯერ ვტირი და ზოგჯერ ვიზნიდები, – ეს ქალი არ მტოვებს, (ისიც) მის (ნესტანის) გამოა ცეცხლმოდებული, – ჩემ სამველად სიკვდილის მეტს არაფერს ვცდილობ.

654 რომე ვეფხი შუენიური სახედ მისა დამისახავს,  
ამად მიუჭარს ტყავი მისი, კაბად ჩემად მომინახავს;  
ესე ქალი შემიკერავს, ზოგჯერ სულთქაშს, ზოგჯერ ახავს;  
და რათგან თავი არ მომიკლავს, ჭრმალი ცუდად მომიმახავს.

პ 648-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: რადგან მშუენიური ვეფხი მის სახედ (ხატებად) მომიჩნევია, ამიტომ მიყვარს მისი ტყავი, ჩემს სამოსად ამირჩევია; ეს ქალი მიკერავს, ზოგჯერ კენესის, ზოგჯერ ოხრავს; რადგან თავი არ მომიკლავს, ხმალი ამაოდ გამიღესავს.

655 მისსა ვერ იტყუოს ქებასა ყოველი ბრძენთა ენები;  
მას დაკარგულსა ვიგონებ მე, სიცოცხლისა მომენები;  
მას აქათ ვახლავ ნადირთა, თავსა მათებრვე მწსენები;  
და სხუად არას ვიაჯ ღმრთისაგან, ვარ სიკუდილისა მქენები.”

პ 649-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მის ქებას ვერ იტყვის ყოველი ენა ბრძენისა; იმ დაკარგულს ვიგონებ მე, (ასეთი) სიცოცხლის ამტანი (გამძლები); მას შემდეგ ნადირთა შორის ვარ, ჩემი თავის მათ მსავესადვე მიმჩნეველი; სხვა მხრივ არაფერს ვითხოვ ღმრთისაგან, (მხოლოდ) სიკვდილის მახეუნარი ვარ“.

655,1 „ან ათია წელინადი, ინდოეთით რა წასრულა,  
მის მოჭარისა ჩემგან პოენა ანუ ნახვა გარდასრულა;  
აპა, მიკუირს, აღმასისა გული გასძლებს ამას რულა!“

და ყამამან პირსა წელი იკრა, რა ამბავი დაასრულა.

X 815-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ა ინდოეთით (პინდოეთით), დ პირსა წელი (ხელი პირსა), ამბავი (ამბავნი). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: „ახლა ათი წელიწადია, ინდოეთიდან რომ წასულა, იმ მთვარის (ნესტანის) ჩემგან პოვნის თუ ნახვის დრო გასულია; აი, მიკერს, როგორ უძლებს ამას ალმასის გული!“ მოყმემ სახეში ხელი იკრა, ამბავი რომ დაასრულა.

656 პირსა იცა, გაიხეთქა, ღანჭი, ვარდი აიხენა,  
ლალი ქარვად გარდიქცია, ბროლი სრულად დაილენა;  
ათანდილსცა ცრემლი წასდის წამწამთაგან ერთსახე, წა-;  
და მერმე ქალმან დადუმა, მუჯღმოყრილი შეეხუნენა.

უ 650-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ა ღანჭი, ვარდი (ღანჭი ვარდი).  
რედაქციამ ღანჭი-ს შემდეგ მძიმე მოშალა. აღინიშნა, რომ მეტაფორა ვარდი აქ  
ეპითეტადაა ნახმარი, ისევე როგორც გიმერი (თმა გიმერი), ბროლი (ყელსა ბროლსა).

ა. ბარამიძე: ბ-ში გარდიქცია-ს ნაცვლად ხელნაწერთა მეტი წილი კითხულობს  
გარდაიქცა-ს. თუ ამ ნაკითხვას მივიღებთ, დაილენა ვნებითი გვარის ზმნად უნდა  
გავიგოთ.

ი. გიგინეიშვილი: ტაეში მართლაც ვნებითი გვარის ფორმებია საგულეებელი.  
უფრო მეტიც, ა-ს აიხენა-ც ვნებითი უნდა იყოს.

დაადგინეს: ბ-ში გარდიქცია შეიცვალოს გარდაიქცა ფორმით; ა-ში გაიხეთქა-ს  
შემდეგ მძიმის ნაცვლად დაისვას ორნერტილი.

ს. შ.: სახეში (ხელი) შემოიკრა, გაიხეთქა: ვარდივით ღანჭი დაეკანრა, პირისახე  
გაუყვითლდა, ბროლივით სახე სულ დაებზარა; ათანდილსაც წამწამებიდან უწყვეტი  
ცრემლი სდის; შემდეგ ქალმა (ასმათმა) გააჩუმა, მუხლმოყრილი შეეხუნენა.

## 1977. 28. I

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე,  
ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს: 657-663 (პროექტი მოამზადა II ჯგუფმა).

657 ტარიელ უთხრა ათანდილს, ასმათის დადუმებულმან:  
„შენ ყუელაკაი გაამე მე ვერას ვერ ამებულმან;  
გიამბე ჩემი ამბავი სიცოცხლეგაარმებულმან,  
და ან ნადი, ნახე შენი შზე ნახვისა მოფამებულმან“.

უ 651-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ასმათის მიერ დადუმებულმა ტარიელმა უთხრა ათანდილს: „შენ ყველაფრით  
გაგახარე მე, (თვითონ) ვერაფრით გახარებულმა; სიცოცხლეგამწარებულმა გიამბე ჩემი  
ამბავი, ახლა ნადი, ნახე შენი შზე (სატრფო), მის ნახვას მონატრებულმა“.

658 ათანდილ უთხრა: „მე შენი გაყრა არ მომეთმინების:  
თუ გაგაყრები, თუალთაგან ცრემლიცა დამედინების.  
მართალსა გითხრობ, ამისა კადრება წუ გენყინების,  
და შენ ვისთვის კუდები, მაგითა მას არა არ ელხინების.“

უ 652-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ათანდილმა უთხრა: „მე შენს განშორებას ვერ ავიტან; თუ მოგცილდები,  
თვალთაგან ცრემლიც დამედინება. მართალს გუბნები, ამის თქმას რომ გიბედავ, წუ

გენყინება, შენ ვისთვისაც კვდები, ამით მას არავითარი შეება არ მიეცება (არაფერი ეშველება).

**659** რა აქიში დასწულდეს, რაზომ გინდა საქებარი,  
მან სხუა უქმოს მკურნალი და მჯეასისა შემტყუებარი,  
მას უამბობს, რაცა სჭირდეს სენი, ცეცხლთა მომდებარი:

და სხუთსა სხუამან უკეთ იცის სასარგებლო საუბარი.

უ 653-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

რედაქციის წერილებმა ყურადღება მიამჩვიეს, რომ ბ-ში ნაკითხვა მჯეასისა არც ერთ ხელნაწერში არ დასტურდება. წესებში გვაქვს მჯეაშისა ან მჯეასისაცა.

გ. კარტოზია: ნაკითხვა მჯეასისა მიხილ წერიტელს ეკუთვნის (მ). შემდგომ კი გიორგი წერიტელის წინადადებით იქნა მიღებული 1ა-ში. 1966 წ. საქ. მეცნ. აკადემიის პრეზიდიუმის სხდომაზე ნაკითხულ მოხსენებაში გ. წერიტელი შეეხო მჯეას სიტყვის წარმომავლობას. მან გაარკვია, რომ არაბ. მჯეასს ნაწარმოების ჯასსა (=გასინჯვა) ძირიდან და წინაწეს ადგილს, სადაც სინჯავენ (место прощупывания). ამავე ძირიდან არის ნაწარმოები ჯასუს, საიდანაც შემდეგ მივიღეთ ჯაშუში. მჯეას სიტყვამ ქართულში მოგვცა მჯეაში და მჯეა. ამოსაყალი ფორმა (მჯეასი) იხმარება ხოჯაყოფილის „სააქიმო წიგნში“ და ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის „კარაბადინში“. „ვტ“-ის წესები, რომლებიც ქართული ენის გვიანდელ პერიოდს განეკუთვნებიან, გვიანდელი, შეცვლილი ფორმით წარმოგვიდგენენ ამ სიტყვას ისევე, როგორც გვიანდელი ჯაშუშ ფორმით არის შეცვლილი ადრინდელი ჯასუსი ამავე ხანის სხვა ძეგლებში.

დ. გიგინეიშვილი: აღნიშნული სიტყვის ეტიმოლოგია ეჭვს არ იწვევს. მაგრამ რამდენად გამართლებულია „ვტ“-ის ტექსტში ამოსაყალი მჯეას ფორმის შეტანა? პოემის წესებში ეს ფორმა არ დასტურდება, აქ ქართულ წინადადებას სახეცვლილი მჯეაში გვაქვს. ჯასუს/ჯაშუშ სიტყვის ანალოგიაც მჯეაშ-ის სასარგებლოდ მეტყველებს. ტექსტები, სადაც მჯეასი გვხვდება, თარგმნილი ძეგლებია, თარგმნილ ძეგლში კი შეიძლება ძველი ფორმა გექონდეს აღდგენილი წიგნური გზით.

ა. ბარამიძე: ძველ სამედიცინო ტექსტებში მჯეას ფორმის გვერდით მჯეაში-ც რომ გვხვდება, იმაზე მოუთითებს, რომ ქართულისათვის მჯეაში-ც ძველი ფორმაა.

ც. კიკვიძე: „სააქიმო წიგნი“ და „კარაბადინი“ ნათარგმნი ძეგლებია, ამიტომ საცხებით შესაძლებელია აქ ამოსაყალი ფორმა იყოს დაცული, რომელიც განსხვავდებოდა ქართულ მეტყველებაში გავრცელებული ფორმისაგან. „ვტ“-ის შემთხვევაში ასეთ რამეს ვერ ვივარაუდებთ.

ს. ცაიშვილი: ანალოგიისათვის შეიძლება მიჯნურ სიტყვაზე მიუთითოთ. რუსთველი როდი ხმარობს ამოსაყალ მეჯნუნ ფორმას.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს ნაკითხვა: მჯეაშისა.

ს. შ.: როდესაც დასწულებადი ექიმი, რაგინდ ქებული (იყოს), იგი სხვა მკურნალს და მჯეასს გამსინჯავს მოუხმობს, მას უამბობს, თუ ცეცხლის მომდები რა სენი სჭირს, (რადგანაც) სხვამ უკეთ იცის სხვისი სასარგებლო საუბარი.

**660** რაცა გითხრა, მომისმინე, ბრძენი გეტყუო, არა ხელი:  
ასი გმართებს გაგონება, არ გეყოფის, არ, ერთხელი;  
კარგად ვერას ვერ მოაუღენს კაცი აგრე გულფიცხელი.

და ან მე მონდა ნახუა მისი, ვისგან, დამწუაეს ცეცხლი ცხელი.

უ 654-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ი. გიგინიშვილი: D<sup>1</sup> D<sup>2</sup> წესები გ-ში კითხულობენ: კარგს ვერას ვერ მოაველენს. ვფიქრობ, კარგ სიტყვის მიცემით დასმა უფრო მართებულია.

რედაქციამ დღგოვა ნაკითხვა კარგად, რომელიც შინაარსობრივად საეხებით დამაკმაყოფილებელია, ამასთან, გაითვალისწინა, რომ D<sup>1</sup> D<sup>2</sup> წარუდაქციევი წესებია.

ი. გიგინიშვილი: ამავე ტაეპში ნაცვლად მოაველენს ფორმისა უმჯობესია მივიღოთ მოივლენს, რომელიც აგრეთვე დასტურდება წესებში. რადგან ტაეპში აგრე გულფიცხელ კაცზე ლაპარაკი, მოივლენს სჯობია.

ს. ცაიშვილი: ტაეპში აგრე-ს არსებობა (აგრე გულფიცხელი კაცი) გამოორიცხავს იმას, რომ ეს ფრაზა აფორიზმად ჩათვალოთ. ამიტომ მოივლენს სჯობია.

შ. ძიძიგურიც აგრეთვე მხარს უჭერს მოივლენს ფორმას.

რედაქციის დანარჩენ წევრებს (ა. ბარამიძეს, გ. კარტოზიას, ც. კიკვიძეს) მიაჩნიათ, რომ უნდა დარჩეს მოაველენს, რომელსაც მხარს უჭერს ხელნაწერთა ჩვენება (რედაქციულად განსხვავებული წესები). სხვა მხრივ ამ ზმნის საარვისო და სათავისო ქცევის ფორმები ტოლფასოვანია.

დაადგინეს: დარჩეს ნაკითხვა: ვერ მოაველენს.

ს. შ.: რასაც გეტყვი, მომისმინე, ბრძენი გულებები და არა შმაგი; ასევე გმართებს მოსმენა (ყურისგდება), ერთხელ (მოსმენა) არ გეყოფა; კარგად ვერაფერს ვერ მოაგვარებს ასე გულქარი კაცი. ახლა ის უნდა ვნახო, ვინც ცხელი ცეცხლით მწვავს (= თინათინი).

661 იგი ვნახო, სიყვარული მისი ჩემთვის დაემტკიცო;  
მოაწუნეო, რაცა მეცნას, მეტი საქმე არა მიცო;  
შენ გენუკვე, შემაჯერო, ღმერთი იღმერთო, ცააც იცო,  
და ერთმანეთი არ გაენიროთ, მაფიცო და შემომფიცო.

U 655-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა გ გენუკვე (გენუკვი). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მას (თინათინს) ვნახავ, მის ჩემდამი სიყვარულს გავამტკიცებ (გავამყარებ); ვეტყვი (ვუამბობ), რაც გავიგე, სხვა საქმე არა მაქვს; გემუდარები, გულდაჯერებული გამხადო, ღმერთი და ცა ინამო, ერთმანეთი არ დაგვარგოთ, დამაფიცე და შემომფიცე.

662 რომე აქათ არ ნახუიდე, შენ თუ ამას შემეპირო,  
მეცა ფიცით შეგაჯერებ, არასათუის არ გაგნირო,  
კულა მოვიდე შენად ნახვად, შენთვის მოკუდე, შენთვის ვირო,  
და ღმერთსა უნდეს, ვისთვის კუდეები, მისთვის აგრე არ გატირო".

U 656-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: შ შეგაჯერებ (შეგაჯერო). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: თუ იმას შემპირდები, რომ აქედან არ ნახვალ, მეც ფიცით დაგარნმუნებ, რომ არაფრისთვის არ გაგნირავ, ისეც მოვალ შენს სანახავად, შენთვის მოკვედები, შენთვის ვივლი, თუ ღმერთი ინებებს, ვისთვისაც კედები, მისთვის ასე არ გატირებ.

663 მან მიუგო: „უცხო-სუცხო აგრე ვითა შეგიყვარდი?  
გასაყრელად გეძნელები, იაღონსა ეითა ვარდი;  
რაგუარამცა დაგიინჯე, რაგუარამცა უკუმქარდი  
და ღმერთმა ქმნას და კულაცა ვნახო ალვა მოწი, განაზარდი.

U 657-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ა უცხო-სუცხო (უცხო-სუცხო).

გ. კარტოზია: ტრადიციული ნაკითხვისგან განსხვავებით, ვფიქრობ, აქ უნდა გვექონდეს არა ორი, არამედ ერთი სიტყვა, კომპოზიტი (შდრ. უცხო-სუცხო სარნმუნოება

აქუნდა კაცსა მას თანა ღმერთისასა, გ. მთანმ. ცხ. 164<sup>14</sup>, რომელიც ისევე ნანარმოები, როგორც მეტისმეტი, გულისგული, მისხისმისხი... უცხოსუცხო ნიშნავს სრულიად უცხოს, ძალზე უცხოს. ეს კომპოზიტი (და არა ორი სიტყვა) უნდა გვეკონდეს პოემის სხვა ადგილებშიც. მაგ., ვაჲ, რად დაგუნუნენ, უცხოსუცხო რად მოგუიდეუ ცეცხლებრ აღი!

ი. გიგინეიშვილი: ამგვარი კომპოზიტის არსებობა „ვტ“-ში საცხებით შესაძლებელია. გადანყვეტი რომელიმე ნაკითხვისათვის (უცხოს უცხო თუ უცხოსუცხო) უპირატესობის მინიჭება მიძნელდება. მაგრამ უცხოის-უცხო-ს არსებობის ფაქტი დამაფიქრებელია.

ა. ბარამიძე და ს. ცაიშვილი წინააღმდეგი არიან ნაკითხვის შეცვლისა. მიაჩნიათ, რომ ტაეპში ორივე პერსონაჟია მოხსენიებული უცხო სიტყვით. ამასთან, ს. ცაიშვილი ფიქრობს, რომ უცხოსუცხო-ს მიღებით ირღვევა ის პარალელიზმი, რომელიც ბ-ში გვაქვს: იაღონი – ვარდი.

ც. კიკვიძე: ტაეპში უცხო-ს ერთხელ ხმარება საცხებით საკმარისია და სულაც არ არის აუცილებლობა ორივე პერსონაჟის ამ სიტყვით მოხსენიებისა. ამასთან, უცხოსუცხო-ს მიღებით კიდევ ერთი მაგალითით მდიდრდება „ვტ“-ის სიტყვანარმოება.

დაადგინეს: აღდგენილ იქნეს ნაკითხვა: უცხოს უცხო (წინააღმდეგნი – გ. კარტოზია და ც. კიკვიძე; ი. გიგინეიშვილმა თავი შეიკავა).

ს. შ.: მან (ტარიელმა) მოუგო: „უცნობს უცნობი ასე როგორ შეგვიყვარდი? ჩემი განშორება ისე გიძნელდება, როგორც იაღონს ვარდისა; როგორ დაგივინყებ, როგორ გამიქრები ხსოვნიდან! ღმერთმა ინებოს და კიდევ გნახო ნორჩი, ტანაყრილი ალვა.“

## 1977. 4. II

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს: 664-668 (პროექტი მოამზადა II ჯგუფმა).

664 პირი შენი ნახვად ჩემად თუ მობრუნდეს, ტანი იხოს,  
გული მინდორს არ გაიჭრეს, არ ირმოს და არცა ითხოს;  
თუ გიტყუო, მოგალორო, ღმერთმან რისხით გამიკითხოს!  
და შენმან ქურტა-სიახლემან მომაქაროს სევდა, მითხოს!“

უ 658-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ბ არ ირმოს და არცა (არ იირმოს, არცა).

გ. კარტოზია: პროექტში აღდგენილია ნაკითხვა ირმოს, რომელიც ხელნაწერთა აბსოლუტურ უმრავლესობაში გვაქვს (იირმოს შხოლოდ A<sup>3</sup> B<sup>2</sup>-ში დასტურდება) და გამოცემებშიც მეორედბოდა 1937 წლამდე. ი ხმოვნით დანყებული ფუძიდან ზმნის სათავისო ქვევის ეს თავისებური წარმოება ანალოგიური ჩანს ა ხმოვნით დანყებული ზოგი სახელიდან ზმნათა საარვისო ქვევის წარმოებისა, სადაც მოსალოდნელი ორი ა-ს ნაცვლად ერთი ა გვაქვს. შდრ. მაგ., ალაშნეს (-აალაშნეს).

დაადგინეს: მიღებულ იქნეს ნაკითხვა: არ ირმოს და არცა ითხოს.

ი. გიგინეიშვილი: დ-ში მძიმე უნდა გადაისვას: მომაქაროს, სევდა მითხოს.

რედაქციამ მძიმე დატოვა ძველ ადგილას.

ს. შ.: შენ თუ ჩემ სანახავად მობრუნდები (თუ ჩემ სანახავად შენი პირი მობრუნდება და ტანი ხედ აღიმართება), (ჩემი) გული მინდორში არ გაიჭრება, ირმად და (გარულ)



თხად არ იქცევა; თუ სიტყვა გაეტეხო და მოგატყუო, ღმერთმა მკაცრად გამსაჯოს! შენი ნახე-სიახლოვე სედას გამოქარებს, მომაცლებს!"

665 ამაზედა შეიფიცეს მოყუარენი გულსადაგნი,  
იაგუნდნი ქარვისფერნი, სიტყუაბრძენნი, ცნობაშმაგნი;  
შუუყურადა ერთმანერთი, სწოდეს მიწყეო გულსა დაგნი,  
და მას ლამესა ერთგან იყენეს შუენიერი ამხანაგნი.

U 659-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ამაზე შეიფიცენ გულწრფელი მეგობრები (ტარიელი და ავთანდილი), ქარვისფრად (ყვითლად) შეცვლილი იაგუნდები, ბრძნულად მოუბარნი, გონებაგამაგებულნი; ერთმანეთი შუუყვარდათ, ნიადაგ სწავედათ გულს ცეცხლი, იმ ლამეს ერთად იყენენ მშენიერი ამხანაგები.

666 ავთანდილცა მასვე თანა ტიროდა და ცრემლი ლქარა;  
რა გათენდა, ნამოვიდა, აკოცა და გაეყარა;  
ტარიელს თუ ვით ეწყინა, რა ქმნას, ამას ვერ მიშხუდარა;  
და ავთანდილცა ჩატიროდა, შამბი შიგან ჩაიარა.

U 660-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ავთანდილმაც მასთან ერთად იტირა და ცრემლი ღვარა; რომ გათენდა, აკოცა, გაპორდა და ნამოვიდა; ტარიელს თუ როგორ ეწყინა, ამას ვერ მიშხედარა, როგორ მოიქცეს; ავთანდილიც ტირილით ჩადიოდა, შამბი ჩაიარა.

667 ავთანდილს ასმათ ჩამოჰყვა, ზენარით უბუნებოდა,  
მუჯლთა უყრიდა, ტიროდა, თითითა ებუნებოდა,  
ადრე მოსლევას ედრებდა, მართ ვითა ია ჭუნებოდა;  
და მან უთხრა: „დაო, უთქუნოდ სხუა რამცა მეგონებოდა!

U 661-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ავთანდილს ასმათი ჩამოჰყვა, აფიცებდა, მუხლს უყრიდა, ტიროდა, თითით ებუნებოდა, ადრე მოსვლას სთხოვდა, იასავით ჭკნებოდა; მან (ავთანდილმა) უთხრა: „დაო, თქვენ გარდა სხვა ვისზე ვიფიქრებ!

668 ადრე მოვალ, არ გაგწირავ, არას დაეზამ შინა ხანსა,  
ოღენ სხუაგან არ წავიდეს, ნუსად არებს იმა ტანსა;  
აქთ ორ თუე არ მოვიდე, ვიქ საქმესა დაუგვანსა,  
და შოგენით, მიცემულვარ ჭირსა რასმე თანისთანსა“.

U 662-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: გ ვიქ (ვიქმ). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მალე მოვალ, არ გაგწირავთ, შინ დიდხანს არ დავყოფ, ოლონდ სხვაგან არ წავიდეს, ნურსად ნუ არონინებს ტანს; ამ დროიდან ორ თვეში თუ არ მოვედი, შუუფერებელ (უშსგავსო) საქმეს ჩავიდენ, (მამინ) იცოდეთ, რომ განუწყვეტელ უბედურებაში ჩავვარდნილვარ“.

## 1977. 18. II

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს: 669-677 (პროექტი მოამზადა III ჯგუფმა).

**669** იგი მუნით ნამოსრული სეფდამანცა განა მოკლა!  
პირსა იხოკს, ვარდსა აზრობს, ჴელი მისი გაამზოკლა;  
სისხლსა, მისგან დადენილსა, მწეცი ყოული გაამლოკლა;  
და მისმან ფიცხლა სიარულმან შარა გრძელი შეამოკლა.

უ 663-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ა. ბარამიძე: ხელნაწერთა უმრავლესობა ბ-ში კითხულობს: ვარდსა აპობს, რაც შინაარსითაც უმჯობესია. შდრ. პირსა იხოკდეს ჴელითა, ღანწისა გამპობელითა, 347ვ.

ს. ცაიშვილი: ვარდის გაპობა გალიმება-გაცინებას ნიშნავს, როცა ვარდი ბავის მეტაფორად არის გამოყენებული. ამ კონტექსტში კი ვარდი ღანწს აღნიშნავს და აპობს ზმნაც საესებით გასაგებია.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს ნაკითხვა: ვარდსა აპობს.

ს. შ.: ის (ავთანდილი) იქიდან ნამოსული სეფდამ ხომ მოკლა! სახეს იხოკს, ვარდს (ლოყას) იგლეჯს, თავისი ხელი (სახის) მხოკელი გახადა; ყველა მხეცი მისგან დადენილი სისხლის მლოკველი გახადა; მისმა სწრაფად სიარულმა გრძელი გზა შეამოკლა.

**670** მუნ მივიდა, სადა იგი მისნი სპანი დაეყარნეს.

ნახეს, იცნეს; რაგურაჯა მართებს, აგრე გაეხარნეს.

შერმადინსცა ახარებდეს, ფიცხლა კაცთა თაენი არნეს:

და „მოვიდაო, აქანადის ვისთუის ღხინნი გაგუმნარნეს!“

უ 664-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: იქ მივიდა, სადაც ის თავისი მეომრები დაეტოვებინა. დაინახეს, იცნეს; როგორც შეფერება, ისე გაუხარდათ. შერმადინსცა ახარებდნენ, კაცები სწრაფად ნაეიდნენ (მასთან): „მოვიდაო, ვისთვისაც აქამდე ღხინნი გამნარებული გეკონდა!“

**671** გაეგება, მოეხუია, ზედა დასდვა პირი ჴელსა,

აკოცებდა, სიხარულით ცრემლსა ღურიდა ველთა მრწყელსა;

ეს თქვა თუ: „ნეტარ, ღმერთო, ცხადსა ჴედავ ანუ ბნელსა?“

და მე ვით ღირს ვარ ამას, რომე თუალნი ჩემნი გჭურებდენ შრთელსა!“

უ 665-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: გაეგება (შერმადინი), მოეხუია, ხელზე აკოცა, კოცნიდა, სიხარულით (იმდენ) ცრემლს ღურიდა, ველებს მორწყავდა; ეს თქვა: „ნეტავ, ღმერთო, ცხადს ჴედავ თუ მჭვენება? მე ამის ღირსი როგორ ვარ, რომ ჩემი თვალები უწებელს გხედავენ!“ .

**672** ყმამან მდაბლად მოიკითხა, ზედა დასდვა პირი პირსა;

უბრძანა, თუ: „ღმერთსა ემადლობ, მუნ თუ ჴირად არა გჭირსა!“

დიდებულთა თაყუანისსცეს, აკოცებდეს, ვინცა ღირსა,

და ზარსა სცემდეს, უხაროდა უფროსსა და თუნდა მცირსა.

უ 666-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მოყმემ (ავთანდილმა) მდაბლად მოიკითხა, პირზე აკოცა; უთხრა: „ღმერთს ემადლობ, რომ მუნ არაფერი გიჭირს!“ დიდებულებმა თაყვანი სცეს, კოცნიდნენ, ვინც ამის ღირსი იყო, ზეიმობდნენ, დიდსა თუ მცირეს უხაროდა.

**673** მოვიდეს, სადა საყოფად სახლი დგა მუნ აგებული.

მოვიდა ნახეად ყოველი მის ქალაქისა კრებული.

მაშინვე დაჯდა ნადიმად მორჭმული, ლალი, შუბული.

და ენა მის დღისა შუბებასა ყოლა ვერ იტყვის კლებული.

მ 667-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ი. გიგინეიშვილი: ხელნაწერთა უმრავლესობა ა-ში საყოფ-ის ნაცვლად მაშინან ფორმას (სამყოფად, სამყოფლად) წარმოგვიდგეს. ვფიქრობ, ჩვენც ძირითად ნაკითხვად სამყოფად უნდა მივიღოთ.

ს. ცაიშვილი: ტაეში საყოფად (საცხოვრებლად) აგებულ სახლზეა საუბარი. საყოფი მიმღეობა აქ სუბსტანტივად არ არის ქცეული. ამიტომ ძირითად ტექსტში საყოფად უნდა დარჩეს.

ე. მეტრეველიც მხარს უჭერს საყოფ- ფორმას, როგორც უფრო ძველ წარმოებას სამყოფ-/სამყოფელ-თან შედარებით.

დაადგინეს: დარჩეს ნაკითხვა საყოფად.

ა. ბარამიძე: გ-ში ხელნაწერთა ნაწილი იძლევა ნაკითხვას: მაშინვე დაჯდა ნადიმად მორჭმით ლალი და შუბული. ეს ნაკითხვა უნდა მივიღოთ ძირითადად.

ც. კიკვიძემ და გ. კარტოზიამ აღნიშნეს, რომ პროექტის ნაკითხვას გამოცემათა ტრადიცია უჭერს მხარს (ასეა ყველა გამოცემაში, S-ის გარდა. არც ხელნაწერთა ჩვენება იძლევა საფუძველს ტრადიციული ტექსტის შეცვლისათვის).

ა. ბარამიძის აზრით, შემთხვევითი არ არის, რომ ამ ადგილს ერთნაირად (მორჭმით ლალი და შუბული) კითხულობენ  $A^2$  და  $C^3$  – სხვადასხვა რედაქციის მნიშვნელოვანი ნუსხები.

ი. გიგინეიშვილი: უნდა აღინიშნოს, რომ ტაეპის ამგვარი ნაკითხვა (მაშინვე დაჯდა ნადიმად მორჭმით ლალი და შუბული). ერთგვარ უხერხულობას ქმნის ორი ზმნისართის მიჯრით: ნადიმად მორჭმით.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს ნაკითხვა: მორჭმით ლალი და შუბული (წინააღმდეგნი – გ. კარტოზია, ც. კიკვიძე; ი. გიგინეიშვილმა თავი შეიკავა).

ს. შ.: მოვიდნენ, სადაც საცხოვრებლად სახლი იყო აგებული. (ავთანდილის) სანახავად მოვიდა მთელი ქალაქი. მაშინვე სანადიმოდ დაჯდა მორჭმით (ბედნიერებით აღვსილი) ამაყი და გახარებული. სუსტი ენა უძლურია იმ დღის შვება-ლხენის გადმოსაცემად.

674 შერმადინს უთხრა, უამბო ყოველი მისგან ნახული,  
ანუ ვით პოვა იგი ყმა, მისგანვე მზედ დასახული.  
ავთანდილს ცრემლი უყოფდა, უბნობდა თვალდაფახული;  
და „უმისოდ მყოფსა სწორად მიჩნს ჩემთვის დარბაზი და ხული“ .

მ 668-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: დ მიჩნს (მიჩნს). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: შერმადინს უთხრა, უამბო ყველაფერი, რაც ნახა, ან როგორ იპოვა ის მოყმე, რომელიც მასვე მზედ ჰყავდა მიჩნეული. ავთანდილს ცრემლი (თვალებს) უხუჭავდა, ლაპარაკობდა თვალების ფახურით: „უმისოდ მყოფს თანაბრად მიმაჩნია სასახლე და ხული (ქობი)“ .

675 მუნ ამავე შინაური ყველაკაი მოაქსენა:  
„შენი ნასლეა არვინ იცის, რაცა მითხარ, აგრე ექმენა!“  
მას დღე მუნით არ წაიღია, ინადიმა, გაისუნა,  
და ცისკრად შუჯდა, გაემართა, დღე რა შუმან გაათენა.

u 669-თან შედარებით პროექტში ცვლილება: ა მუნ (მან).

ც. კიკვიძე: სტროფის საწყის სიტყვად მან მხოლოდ B<sup>2</sup>-ში გვაქვს. ხელნაწერთა უმრავლესობა მუნ ზმნიზუნდას კითხულობს და ჩვენც ეს ნაკითხვა აღვადგინეთ.

რედაქციის ნევრებს სარწმუნოდ მიაჩნიათ მან სიტყვის მეორეულობა B<sup>2</sup>-ში. ასევე მეორეულია ზოგიერთი ხელნაწერის (A<sup>3</sup> A<sup>4</sup> A<sup>9</sup> A<sup>10</sup> D<sup>1</sup> D<sup>2</sup>) ნაკითხვა: შერმადინცა შინაური ყულაკაი მოახსენა. რედაქცია იზიარებს ი. გიგინეიშვილის აზრს, რომ მუნ აქ ნიშნავს „ამაზე“ და არა „იქ“.

პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ამაზე (შერმადინმა) შინაური ამბავი ყველაფერი მოახსენა: „მენი ნასულა არავინ იცის, როგორც მითხარი, ისე მოვიქეცი!“ იმ დღეს იქიდან არ წავიდა, ინადიმა, დაისვენა, გათენბისას შეუჯდა ცხენზე, წავიდა, მზემ რომ დღე გაათუნა (მზე რომ ამოვიდა, რომ გათენდა).

- 676 არცალა დაჯდა ნადიმად, არცა ქმნად კულა ხალვათისა;  
შერმადინ მახარობელი წავა მისღვისა მათისა,  
ფიცხლა წავიდა, საეალი სამ დღე ელო დღისა ათისა.  
და მას ლომსა ნახვა უხარის მის შვისა მოკამათისა.

u 670-თან შედარებით პროექტში ცვლილება: ა არცა ქმნად კულა (არცალა ქმნად). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: აღარც სანადიმოდ დაჯდა, არც განმარტოვდა დასასვენებლად; შერმადინი წავა (ავთანდილის) მისღვის მახარობლად, სწრაფად წავიდა, ათი დღის საეალი სამ დღეში გაიარა. ლომს (ავთანდილს) უხარია (სილამაზით) მზის მეტოქის (თინათინის) ნახვა.

- 677 შესთვალა: „მეფე უკადრი ხარმცა მორქმით და დიდობით  
ამა საქმესა ვიკადრებ შიშით, კრძალვით და რიდობით:  
მის ყმისა ვერას ვერ მცნობი უქმობდი თავსა ფლიდობით,  
და ან ეცან და გაცნევე ყუელასა, მოვალ შუებით და მშუიდობით“.

u 671-თან შედარებით პროექტში ცვლილება: გ უქმობდი (უუხმობდი). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: შეუთვალა: „შეუკადრებელი მეფე იყავ მორქმით და დიდი! ამ საქმეს შემოგებდავ შიშით, მოკრძალებით და მორიდებით: იმ მოყმის (ტარიელის) ამბის ვერშემტყობი თავს შერცხვენილად (ფლიდად) ვთელიდი, ახლა გავიგე და ყველაფერს გაცნობებ, მოვდივარ ლალად და მშუიდობით“.

## 1977. 25. II

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი.

განიხილეს: 677–679 (პროექტი მოამზადა III უჯვუფმა); 680–683 (პროექტი მოამზადა II უჯვუფმა).

- 677,1 ფიცხლავ გაგზავნეს მეფისა წინაშე შემტყობელა:  
„სამი წელია ქუეყანა ჩვენთვის უშვოდ ბნელია“ ;  
შესთვალეს ყუელა უკლებლად, რისაცა იყო მქნელია:

და „უპოვნია და მოსულა, არ ავი საძებნელია“.

x 837,1-თან შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: ბ უმზოდ ბნელია (უმზუო, ბნელია), გ იყო (იყოს); პირველი და მესამე ტაეპის შემდეგ მძიმისა და ნურტილ-მძიმის ნაცვლად დასმულია ორნერტილი, მეორე ტაეპის ბოლოს მძიმე შეცვლილია ნურტილ-მძიმით. პროექტი მიღებულ იქნა, ოღონდ ა-ში მეფისა შეიცვალა ნაკითხვით: მეფესა.

ს. შ.: სწრაფად გაგზავნეს მეფის წინაშე მაცნე: „სამი წელია ჩვენთვის ქვეყანა უმზოდ (უეთანდილოდ) ბნელია“ ; შეუთვალეს უკლებლივ ყველაფერი, რისი გამკეთებელიც იყო: „უპოვია (ტარელი) და მოსულა, კარგი საძებნელი არის“ .

678 როსტევიან – მეფე უკადრი, მორჭმული, შუუპოველი  
შერმადინ მოციქულობა თუით მოაწესნა ყოველი:  
„ეთანდილ მოვა წინაშე, მის ყმისა ვისზე მოოველი“.

და ბრძანა: „ვცან ჩემი ღმრთისაგან სააჯო და სათხოველი“.

u 672-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა, ოღონდ ი. გიგინიშვილის წინადადებით, პირველი ტაეპის ბოლოს ძახილის წინაშის ნაცვლად დაისვა ნურტილი (წინააღმდეგი – ა. ბარამიძე).

ს. შ.: როსტევიანი – ამაყი, წარმატებული, შუუპოვარი მეფე. შერმადინმა ყოველივე დანაბარები თვითონ მოახსენა: „ეთანდილი მოდის თქვენ წინაშე, იმ ვილაც მოყმის მოოვნელი“ . როსტევიანმა თქვა: „გავიგე, რაც ღვთისადმი სავედრებელი და სათხოვნელი მქონდა“ .

678,1 რა მოისმინა მეფემან სიტყუანი არასწყინისა,  
ბრძანა, თუ: „ღმერთმა კულა მოგცა ჩვენ დამართება ღმრთისა“  
მივეგებნეთო, შესხდომა თქუეს ცისკრად განათინისა.

და შუიტყო, რომე ნაქნარი იყო ეს თინათინისა.

x 838,1-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ა არასწყინისა (არ საწყინისა), ბ კულა (კვლავ), მოგუცა (მოგვეცეს), გ განათინისა (განათიადისა). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მეფემ რომ მოისმინა არასაწყენი (გასახარელი) სიტყვები, თქვა: „ღმერთმა კვლავ საღბინო საქმე დაგვმართა!“ მივეგებოთო, დათქვეს ამხედრებულყვენ ცისკრად გათენებისას. გაიგო, რომ ეს იყო თინათინის ნამოქმედარი.

679 თინათინს უკადრა შერმადინ, ნათელსა მას უღამოსა:  
„ეთანდილ მოვა წინაშე, გაადრებს ამბავსა ამოსა“.

იგი მით აკრთობს ელვასა, შხისაცა უთამამოსა,

და მას საბოძვარი უბოძა, მისი ყუელი და მოსა.

u 673-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ი. გიგინიშვილი: ა-ში უფრო მართებული ნაკითხვაა ნათელსა დაუღამოსა, რომელიც ზოგიერთ ხელნაწერშია ( $A^4 A^{10} D^1 D^2$ ) დაცული. დაუღამებელი ნათელი ჩვეულებრივ გამოითქმება ძველ ქართულ კიმნოგრაფებთან მაშინ, როცა უღამო ნათელი მათთან არსად არ გვხვდება. დაუღამო კი რუსთველური ვარიანტია დაუღამებელისა.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს ნაკითხვა: ნათელსა დაუღამოსა.

ს. შ.: თინათინს, დაუღამებელ ნათელს, უთხრა შერმადინმა: „ეთანდილი მოდის თქვენ წინაშე, სამო ამბავს მოგახსენებთ“ . ის (თინათინი) ამის გამო აფრქვევს ელვარებას, მზეზე უთამამესს (უფრო სრულს), მას (შერმადინს) საჩუქარი უბოძა, მისი ყველა (შეღებელი) დამოსა.

680 მეფე შეეცადა, გაეგება ყმასა, მუნით მომავალსა;  
ამას პირმზე მეფისაგან ივალებდა ეითა ვალსა.  
მეგება, მოეგება მხიარული გულმწურვალსა,

და დიდებულთა ჯარისაგან ზოგი ჰგვანდა ეითა მორეალსა.

უ 674-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მეფე აზებდრდა, შეეგება იქიდან მომავალ მოყმეს; ამას პირმზე (ავთანდილი) მეფისაგან ისე ილებდა, როგორც ვალს (დიდ პატივად მიიწინედა). მხიარული (როსტევეანი) და გულმზურვალე (ავთანდილი) შეეგებნენ ერთმანეთს, დიდებულთა კრებულისაგან ზოგი მთვრალს ჰგავდა.

680,1 მოვიდა პირმზე ავთანდილ, მოქნელი ტარიელისა;  
მეფე ეხუეის გულტკილიად, ცრემლი აღარა დენისა;  
გამზრდელ-გაზრდილთა საქებრად წმარება უნდა ენისა.

და ამით უამბობს ამბავსა, მის მზისა ნახვასც ელისა.

უ 841-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ბ აღარა (აღარ ა); ა-ს შიგნით (ცეზურასთან) დასებულია მძიმე, გ-ს ბოლოს მძიმის ნაცვლად დასებულია ნერტილი.

რედაქციამ ბ-ს ბოლოს ნერტილი-მძიმე შეცვალა ნერტილით, გ-ს ბოლოს ნერტილის ნაცვლად დასვა ძახილის ნიშანი. პროექტი ამ ცვლილებით მიღებულ იქნა.

ს. შ.: მოვიდა ტარიელის მპოვნელი პირმზე ავთანდილი; მეფე ეხუეია ტკილიად, ცრემლი აღარ სდის. გამზრდელ-გაზრდილის საქებრად ენას უნდა მოხმარება! ამით (მეფეს და დიდებულებს) უამბობს (ტარიელის) ამბავს, იმ მზის (თინათინის) ნახვასაც ელის (ავთანდილი).

681 რა მიეახლა, გარდაჲდა ყმა, თაყუნისსცა მეფესა;  
აკოცა როსტან, მიმზრდარმან ნიშატთა სიოფესა;  
გულმხიარულნი, შუებულნი მივლენ დარბაზსა სეფესა;  
და მის ყმისა მოსლვა უხარის ყოველსა მუნ მეკრეფესა.

უ 675-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ი. გიგინიშვილი: დ-ს მეორე ნახევარი ზოგ ხელნაწერში ( $D^1 D^2$ ) უფრო მართებული ფორმით უნდა იყოს წარმოდგენილი: ყოველსა მუნ შემომკრეფესა.

ა. ბარამიძე: უმჯობესია ნაკითხვა ყოველსა შემომკრეფესა, რომელიც უფრო მეტ ხელნაწერშია დადასტურებული ( $B^5 B^6 B^{10} B^{11} B^{13} D^3 D^4 D^5$ ).

გ. კარტოზია: ყველა დასახელებული ხელნაწერი ძლიერ წარედაქციეოდა. საეჭვოა მათი ნაკითხვების პირენადელობა. ამასთან არ არის საუფუძველი მეკრეფე ფორმის დასწინებისათვის.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს ნაკითხვა: ყოველსა შემომკრეფესა (წინააღმდეგი – გ. კარტოზია).

ს. შ.: მოყმე (ავთანდილი) რომ მოუახლოვდა, (ცხენიდან) ჩამოხტა, თაყვანი სცა მეფეს; გახარებულმა როსტევეანმა, რომელსაც ერგო სიხარულის სიუხვე, აკოცა; გულგახარებულები, გალაღებულები მიდიან სამეფო დარბაზში; იმ მოყმის მოსვლა უხარია ყველა (იქ) შემოკრებილს.

682 მას ავთანდილ თაყუნისსცა, ლომთა ლომმან შუეთა მზესა.

მუნ ბროლი და ვარდ-გიშური გაეტურფა სინაზესა.

პირი მისი უნათლვა სინათლესა ზესთაზესა,

და სახლ-საყოფი არა მართებს, ცამცა გაიდარბაზესა!

u 676-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ა-ში ლომთალომმან და მზეთამზესა დაინერა შერწყმულად. პროექტი ამ ცვლილებით მიღებულ იქნა.

ი. გიგინეიშვილის აზრით, დ-ში მართებს ერთპირიანი ზმნაა. სახლ-საყოფი არა მართებს = სახლ-სადგომი არ არის შესაფერი (არ არის საკმაო).

გ. კარტოზიას აზრით, მართებს ორპირიანი ზმნაა. ნახევარტაეპის აზრია: სახლ-სადგომი არ შეეფერებათ.

ს. შ.: მას (თინათინს) – მზეთამზეს თაყვანი სცა ლომთალომმა ავთანდილმა. ბროლი და ვარდ-გიორგი (= თინათინი) სინაზეს გაემშენიერებინა. მისი (თინათინის) სახე ზეციურ სინათლეზე უფრო ნათელია, სახლ-სადგომი მათთვის უქმარია, ცა უნდა გაიხადონ დარბაზად!

683 მას დღე დასხდეს ნადიმობად, გაამრავლეს სმა და ჭამა;  
ყმასა მუფე ასრე უჭურეტს, ვითა შვილსა ტკბილი მამა.  
მათ ორთავე აშენებდა, ფიფქა – თოვნა, ვარდსა – ნამა,  
და უხუად გასცეს საბოძეარი, მარგალიტი, ვითა დრამა.

u 677-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: იმ დღეს დასხდენ სანადიმოდ, პურობა გაახანგრძლივეს; მუფე ისე უყურებს მოყმეს (ავთანდილს), როგორც შვილს ტკბილი მამა. ორივეს ამშვენებდა სიხარულის ცრემლი (თოვნა, ნამა) – როსტევაზის ჭალარასაც (ფიფქა) და ავთანდილის ლანვებსაც (ვარდს). უხუად გასცეს საჩუქარი, მარგალიტი, როგორც დრამა (წერილი ფული).

## 1977. 4. III

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი.

განიხილეს: 684–788 (პროექტი მოამზადა II ჯგუფმა).

684 სმა გარდაჯდა, თავის-თავის გაიყარნეს მამელნი შინა;  
დიდებულნი არ გაუბუნეს, ყმა დაისტეს ახლოს წინა;  
მუფე ჰკითხავს, იგი ჰკადრებს, რაცა ჭირი დაეთმინა,  
და მერმე მისი, უცნობოსა, რა ენახა, რა ესმინა.

u 678-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: სმა დასრულდა, თავთავისთვის წავიდნენ შინ მონადიმენი; დიდებულები არ გაუშვა (მუფემ), მოყმე (ავთანდილი) წინ დაისვა; მუფე ეკითხება, ის მოახსენებს, რა ჭირიც გადაუტანია, მერმე იმ გონდაკარგულისა (ტარიელისა), რაც ჰქონდა ნანახი და მოსმენილი.

685 „მას ვაჭსენებდე, ნუ გიკურს, თქმა მჭირდეს მინყო ახისა!  
მზე თუ ვთქუა მსგავსი მისი და ანუ მისისა სახისა,  
ვინ უნახავემნის გონება ყოველთა კაცთა მნახისა;  
და ვარდი დამჭნარი ეკალთა შუა შორს მყოფი, ახ, ისა!“

u 679-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა. მოგვიანებით დ-ში ისა დაინერა დღეისით: ის-ა.

ს. შ.: „როცა მას ვახსენებ, წუ გაიკვირებთ, რომ მუდამ ვიხსენებ (ახს“ ვამბობდე)! მზე თუ იქნება მისი მსგავსი ან მისი სახის მქონე, ვინც უნახავს ხდის (აცვიფრებს) ყველას (ყველა კაცის) მნახველის გონებას: ახ, ის არის ეკალთა შორის (მოქცეული), შორს მყოფი დამტკნარი ვარდი!“

686 რა ჭირი კაცსა სოფელმან მოუთმოს მოუთმინამან,  
ქაქუი ლერნამან, ზაფრანა იმსგავსოს ფერად მინამან.  
ავთანდილ, მისმან მესენემან, ღანუი ცრემლითა მინამან,  
და წერილად უამბო ამბავი მან, მისმან მონასმინამან:

u 680-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: შ-ს ბოლოს მძიმის ნაცვლად ნერტილია.

ი. გიგინეივილი: გ-ს სარიტომო სიტყვად ზმნა იგულისხმება (მინამა ავთანდილმა ღანუი ცრემლით), ამიტომ ბოლოკიდური ნ აქ ყოვლად გაუმართლებელია. ის აქ გაჩენილი ჩანს სხვა ტაქების სარიტომო სიტყვათა ანალოგიით, სადაც ბოლოკიდური ნ მოთხრობითი ბრუნვის ნიშანია. საფიქრებელია, რომ ბოლოკიდური ნ არც ამ სიტყვებში (მოთხრობითი ბრუნვის ფორმებში) უნდა გეკონოდა იმთავითვე. როგორც ცნობილია, „ვტ“ -ში იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება მოთხრობითის გვიანდელი (ნ-მოკვეცილი) ნარმოება. სტროფის სარიტომო სიტყვებში ბოლოკიდური ნ ყველგან უნდა მოიპალოს, როგორც ეს ი. აბულაძის (g) და პ. ინგოროყვას (o r y) გამოცემებშია.

ა. ბარამიძე: საყურადღებოა, რომ სტროფის სარიტომო სიტყვები ბოლოკიდური ნ-ს გარეშე არც ერთ ხელნაწერში არ დასტურდება. გ-ს მინამან უნდა განვიხილოთ როგორც რითმის საჭიროებით შექმნილი ხელოვნური ფორმა, რომლის მსგავსი შრავლად დაიძებნება გვიანდელი ხანის ძეგლებში („შპ-ნამეს“, თეიმურაზ I-ის თხზულებები...).

გ. კარტოზია: გ-ს მინამან შეიძლება გავიგოთ როგორც ორი სიტყვა: ზმნა (მინა = მინად აქცია) + ნაცვალსახელი (მან). ტაქტის აზრი იქნება: მან, ავთანდილმა, მისმა (ტარიელის) მხსენებელმა, ღანუი ცრემლით მინად აქცია. ამგვარი ნაკითხვა არ ენადაღმდეგება რუსთველის ენის ნორმებს, ოღონდ საკითხავია, რამდენად მისაღებია მხატვრული სახე – ცრემლით ღანუის მინაქრად ქცევა.

რედაქციის წევრებმა მხარი დაუჭირეს გ-ს სარიტომო სიტყვის ორ სიტყვად გაყოფას, ამასთან აღნიშნეს, რომ მინად ქცევა აქ შეიძლება ნიშნავდეს გაფერმკრთალებას, გაუფერულებას. მინა = დამინა, გააფერმკრთალა, გააუფერულა.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს: ღანუი ცრემლითა მინა მან.

ს. შ.: როდესაც გაუძლებელი სოფელი კაცს ჭირს მოათმენინებს, ლერნამი ქაცვს, მინანქარი კი ზაფრანას დაემსგავსება (გაყვითლდება). ავთანდილმა, მისმა (ტარიელის) მხსენებელმა, ღანუი ცრემლით დამინა (გააფერმკრთალა, გააუფერულა), დანვრილებით უამბო (მეფესა და დიდებულებს) ამბავი მან, მისმა (ტარიელის) მომსმენმა:

687 „ქუბანი ოპითა ნაუხმან, სახლად აქუს დევთა სახლები,  
საყურელისა მისისა ქალი ჰყავს თუთი ნახლები,  
ვეფხისა ტყავი აქუთა, ცუდად უწნს სტავრა-ნახლები,  
და აღარა ნახავს სოფელსა, ცეცხლი სწუჯავს ახალახლები“.

u 681-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: გ უწნს (უწს).

ი. გიგინეივილი: გ-ში რიგი ხელნაწერი და გამოცემა კითხულობს: ცუდად უც (ე. ი. უქმად აქცს) სტავრა-ნახლები. ეს უფრო სწორი ნაკითხვა უნდა იყოს.



ა. ბარამიძე: ვფიქრობ, არა გვაქვს საფუძველი უარყოთ უჩინს/უჩინ ფორმა, რომელიც ყველა რედაქციის ხელნაწერებშია წარმოდგენილი და გამოცემათა ტრადიციაც მხარს უჭერს. ცუდად უჩინს = უქმად, ამაღ მიაჩნია.

დაადგინეს: დარჩეს ნაკითხვა: ცუდად უჩინს.

ს. შ.: „გამოქვაბულები ომით ნურთმეგია დევებისათვის, სახლად მათი სახლი აქვს, თავისი სატრფოს მოახლე თვით უახლებია, ვეფხის ტყავი აცვია, არაფრად მიაჩნია სტავრა და ნახლი (ძვირფასი ქსოვილები), ზურგი შეაქცია წუთისოფელს, ახალ-ახალი ცეცხლი წვას“.

688 რა დაასრულა ამბავი. საქმე მისისა ჭორისა,  
ნახვა მის მზისა ნათლისა, მის თუნაღად არ დუხჭორისა,  
ეამა ქება ვარდისა, ბროლისა განაჭურისა:

და ევე კმა სიმჴნე სიმჴნისად, რაღლა ხარ მომხუჭური რისა!  
u 682-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ბ-ში ი. გიგინეიშვილის წინადადებით მეორე მის სიტყვის შემდეგ დაისვა მძიმე (წინააღმდეგი – გ. კარტოზია), ა. ბარამიძის წინადადებით არდუხჭურისა დაინერა შერწყმულად.

რედაქციის წევრებმა იმსჯელეს გ-ს სხვადასხვაგვარი ნაკითხვისა და გაგებით თაობაზე, კერძოდ, ა. შანიძის კონიექტურაზე: ეამა ქება ვადისა, ხელით მძლედ დანამჭორისა. აღინიშნა, რომ ეს ნაკითხვა, გარდა იმისა, რომ კონიექტურას (ვადისა, ხელით) შეიცავს, ხელნაწერებში დაცული სხვადასხვა ნაკითხვის კომბინირებითაა მიღებული. რადგან რედაქციას პრინციპად აქვს, მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში მიმართოს კონიექტურას, ამიტომ იგი იღებს პროექტის ნაკითხვას და გაგებას. ქება ვარდისა, ბროლისა განაჭურისა = ვარდისა და გამომჭვირვალე ბროლის (ე. ი. თინათინის) ქება.

ი. გიგინეიშვილის წინადადებით გ-ში ეამა შეიცვალა იამა ფორმით. იამა ქება = სასიამოვნოდ მოისმინა ქება.

ს. შ.: როდესაც დაასრულა თავისი გაჭირვების თხრობა, როგორც ნახა ის ნათელი მზე (ტარიელი), შესახედავად ლამაზი, სასიამოვნოდ მოისმინა ვარდისა და გამომჭვირვალე ბროლის (თინათინის) ქება: „ეგ სიმამაცე საკმარისია (გეყოფა) მამაცობად, რაღად გინდა (სხვა) რამის შოვნა (შეძენა)!“

### 1977. 11. III

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს: 689; 690 (პროექტი მოამზადა II ეგუფმა).

689 გამზიარულდა თინათინ ამა ამბისა სმენითა.  
მას დღე იხარებს სმისა და ჭამისა არმონწყენითა,  
ქულა სანოლს დახუნდა მის მზისა მონა სიტყუთა ბრტენითა:

და მისლვა ებრძანა, ეამა, თქმა არ ეგეზის ენითა.

u 683-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: თინათინი ამ ამბის მოსმენით გამზიარულდა. (ავთანდილი) იმ დღეს ხარობდა ნადიმობით, ხოლო სანოლში (მოსასვენებელ აპარტამენტში) დაუბედა იმ მზის (თინათინის) მონა ბრძნული სიტყვებით: მისელა ებრძანა, (ისე) გაუხარდა, ენით არ ითქმის.

690 ყმა ნაჲიდა მზიარული, ლმობიერი, არ გამწყრალი,  
ლომი მინდორს ლომთა თანა მოარული, ფერნამკრთალი,  
ყმა სოფლისა ხასიათი, ჯგვარსრული, მრავალწყალა,  
და მაგრა პქონდა გულისათუის გული გულსა განაცვალა.

უ 684-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

მთავარმა რედაქციამ ბ-ში მოარული შეცვალა გამოთქმით მინდორს რული, რადგან: ა) მოარული მინაარსობრივად შეუსაბამოა (კონტექსტი ნამყოს მიმღობას მოითხოვს და არა ანმყოსას); ბ) მოარული არ არის რუსთველური წარმოება (რება ზმნიდან ასეთი მიმღობა პოემაში სხვაგან არ ინარმოება); გ) ხელნაწერებში, რომლებშიც მოარული გვხვდება, ეს ნაკითხვა აშკარად ნარედაქციეია ( $A^{12} D^1 D^2 D^3 D^4 D^5$ ).

ამასთან რედაქცია აღნიშნავს გარკვეულ უზერხულობას, რასაც მინდორს სიტყვის ტაქტოლოგიური ხმარება იწვევს: ლომი მინდორს ლომთა თანა მინდორს რული.

ს. შ.: მოყმე ნაჲიდა გახარებული, დამშვიდებული, არა გამწყრალი, ლომი მინდორში ლომებთან მინდორში ნაჲალი, გაფერმკრთალებული, მოყმე – ქვეყნის მშვენება, მოხდენილი, ელვარებით საესე, მაგრა ამ პქონდა (ტარიელის) გულისათვის (თაჲისი) გული (მის) გულში გაცვლილი.

## 1977. 25. III

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს: 691 (პროექტი მოამზადა II ჯგუფმა).

691 მზე უჲადრი ტახტსა ზედა ზის მორჭმული, არნადფერი,  
წყლად ეფრატსა უზუად ერწყო ედემს რგული ალვა მჭვერი;  
ბროლ-ბადახშსა აშუენებდა თმა გიბერი, ნარბი ტეფრი,  
და მე ვინ ვაქებ? ათენს ბრძენთა, ჴამს, აქებდეს ენა ბეფრი!

უ 685-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

რედაქციამ ბ-ს ბოლოს ნურტილ-მძიმის ნაცვლად დასვა მძიმე, გ-ს ბოლოს – მძიმის ნაცვლად ნურტილი. პროექტი ამ ცვლილებით მიღებულ იქნა.

ს. შ.: ამაჲი მზე (თინათინი) ტახტზე ზის განდიდებულ-ალმატიებული, დაურაგრაჲი, ეფრატს უზუად მოერწყო ედემში დარგული სწორი ალვა, ბროლ-ბადახშს (=პირისახეს) ამშვენებდა გიბრის თმა და ტეფრივით წარბები (ხშირი წარბები). მე ვინა ვარ, რომ ვაქებ? საჭიროა, ათენს მყოფ ბრძენთა ბეფრი ენა აქებდეს!

## 1977. 1. IV

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს: 692 (პროექტი მოამზადა II ვაგუფმა); 693-697 (პროექტი მოამზადა III ვაგუფმა).

692 ყმა შიარული წინაშე დასტა სკამითა მისითა;  
სხენან საესენი ლხინითა, ორთავე შესატყუისითა;  
უზნობენ ლაღნი, წყლიანნი არა სიტყუითა მჭისითა;  
და უთხრა: „შპოვეა, პატეინი ნახენ თებნითა ვისითა?“

U 686-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მზიარული მოყმე თავისი სკამით წინ დაისვა; სხედან აღესილნი ლხენით, ორივეს შესაფერიტ; საუბრობენ მზიარულნი, ენაწყლიანნი არა მკვახე სიტყუით: უთხრა: „იპოვე ის, ვისი ძებნითად დაიტანავე?“

693 ჰკადრა: „რა კაცსა სოფელმან მისცეს ნადილი გულისა,  
წსოვნა არა წაშს ჭირისა, ვით დღისა გარდასრულისა.  
ვაოვე ხე, ტანი ალვისა, სოფლისა წყლითა რწყულისა,  
და მუნ პირი, მსგავსი ვარდისა, მაგრა ან ფერნაკლულისა.“

U 687-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: უთხრა: „წუთისოფელი კაცს რომ გულის ნადილს აუხსრულებს, (ისევე) არ უნდა გაიხსენოს (გარდახდელი) ჭირი, როგორც განვლილი დღე. ვიპოვე ხე, ალვის ტანი, ქვეყნის წყლით (უხვად) მორწყებული (ტიანადი და მშვენიერი ტარიელი), ვარდის მსგავსი პირი, მაგრამ ახლა ფერდაკარგული.“

694 მუნ სარო, მსგავსი ვარდისა, ენახე, მისჭირდა, მო; ნები;  
იტყუნს: „დაეკარგე ბროლი და სადა რთავს ბროლსა მინები“. მით ვიწუი, რათგან ჩემებრვე ცეცხლი სწუაეს მოუთმინები“.  
და მერმე კულა ჰკადრა აშბაეი მან, მისგან მონასმინები.

U 688-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: იქ ვარდის მსგავსი სარო (ტარიელი) ენახე, მოშლოდა ნებისყოფა; ამბობს: „დაეკარგე ბროლი (ნესტანი) და სადაც ბროლს მინაქარი აქვს შერთული“. იმიტომ ვიწუი, რომ ჩემსავით მოუთმენელი ცეცხლი წვაეს“. შემდეგ ისევე (მეორედ) უამბო მან (ავთანდილმა) მისგან (ტარიელისგან) მონასმენი ამბავი:.

695 სიარულსა მისგან თებნად, სრულ პატეითა მოსთულის, ჭირსა;  
მერმე ჰკადრა, საწადლისა ლმერთმა პოვნა ვით აღირსა:  
„საწუთრო და სოფელს ყოფა, კაცი უწნსო, ვით ნადირსა,  
და ოდენ ხელი მჭეტთა თანა იარების მინდორს, ტირსა.“

U 689-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: გ უწნსო (უწსო). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: (ტარიელის) საძებრად მის სიარულს, ყველა ტანჯევსა და ჭირს ჩამოთვლის (ავთანდილი); შემდეგ უთხრა (თინათინს), ლმერთმა როგორ აღირსა საწადლის პოვნა: „წუთისოფელი, ამქვეყნად ყოფნა და ადამიანი ისე მიანწია, როგორც ნადირს, შმაგი მხოლოდ მხეცებთან დადის მინდორში და ტირის.“

695,1 ვგონების მისი მკულელი, იარების ცრემლთა მფრქუნელი;  
არ შესჯერდეს შემოქმედსა, ზღუადცა მისცეს საჭონელი;  
ცულად შურების, იარების, გამოჭირლა ინდოელი,

და მიწიერ უღებს ცეცხლსა ცხელსა მასვე მისი დამდაგველი.  
x 857-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: გ ინდოელი (ჰინდოელი). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: აგონდება მისი მკვლეელი, დადის ცრემლების მფრქვეველი; არ დაუჯერებს შემოქმედს (ღმერთს), ზღვადაც რომ მისცეს ქონება; ამაოდ შერება, დადის, გამოჭრილა ინდოელი, მუდამ ცხელ ცეცხლს უღებს მასვე მისი დამწველი.

696 ნუ მკითხავ, ქება რა გაადრო, ჩემგან რა გაგვეგონების?  
მისა მნახავსა ნახული აღარა მოეწონების;  
თვალი მჭვრეტელი, ვით მზისა ციაგსა, დაელონების;  
და ვარდი შექმნილა ზაფრანად, ან ია შუიკონების!"

u 690-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ნუ მკითხავ, რა ქება გაგიბედო, მე უძლური ვარ (მისი ქება) გაგაგებინო. მის მნახველს ნახული აღარაფერი მოეწონება; (მისი) მჭვრეტელი თვალი, როგორც მზის ციაგს (ვერ გაუძლებს), დაიხრება (დაიხუჭება); ვარდი ზაფრანად ქვეულა (მისი ღანწები გაყვითლებულა), ახლა (მისგან) ია შუიკონება (გალურჯებულა)!"

697 წურილად ჰკადრა, რა იცოდა, რა ნახულად, რა ნასმენად:  
„ვითა ვეფხსა ნაყარნა და ქუბი აქუსო სახლად, მენად;  
ქალი ახლავს სასურველად, სულთა დგმად და ჭირთა თმენად“ .  
და ვაჰ, სოფელმან სოფელს მყოფი ყოელი დასუა ცრემლთა დენად!  
u 691-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: დ ვაი (ვა).

ი. გიგინეიშვილი: ა-ს მეორე ნახევარში (რა ნახულად, რა ნასმენად) რა მიმართებითი ნაცვალსახელი (რაც) კი არ არის, არამედ მართებელი თუ კავშირის ფუნქციით არის ნახმარი. ამიტომ საჭიროა ეს მონაკვეთი გამოიყოს წინამავალი ნახევარტეაქსისაგან: მის წინ დაისვას ორწერტილი ან ტირე.

დაადგინეს: ა-ში ცეზურასთან შიშვე შეიცვალოს ტირეით.

ა. ბარამიძე: გ-ში რიგი ხელნაწერი ( $A^3 A^4 A^9 A^{10} A^{12}$ ) და h გამოცემა კითხულობს: ქალი ახლავს საყუარლისა. ეს უფრო მართებული ნაკითხვაა.

ი. გიგინეიშვილი: გარდა იმისა, რომ სასურველად შინაარსობრივად მოუღებელია, ამგვარი ნაკითხვის შემთხვევაში ქალი მსაზღვრელი სიტყვის გარეშე რჩება და გაუგებარია, რომელ ქალზეა საუბარი.

ც. კიკვიძე და გ. კარტოზია აღნიშნეს, რომ სასურველად აუცილებლად ინტიმურ ურთიერთობას არ გულისხმობს (მდრ. ტრადიციული გაგება ამ სიტყვისა: საწუგემოდ). ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ საყუარლისა მხოლოდ ნარედაქციევ ნუსხებში გვაქვს: სასურველად რომ გადაკეთებულიყო საყუარლისად, გასაგებია, სამინალმდეგო პროცესი კი ძნელი ასახსნელია.

ს. ცაიშვილი: სასურველად მე პირადად სულაც არ მიმანია საჩოთიროდ, მაგრამ შეიძლება გაუგებრობა გამოიწვიოს და ტექსტის არასწორი ინტერპრეტაციის მიზეზი გახდეს.

ა. ბარამიძე: გამოითქვა კიდევ სათანადო მოსაზრება, რაც ძირფესვიანად ეწინააღმდეგება პოემამი წარმოდგენილ ფაქტობრივ ვითარებას.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს ნაკითხვა: ქალი ახლავს საყუარლისა სულთა დგმად და ჭირთა თმენად (წინააღმდეგნი: გ. კარტოზია, ც. კიკვიძე).

ს. შ.: დანერღებით მოახსენა, რაც იცოდა – ნახული თუ მოსმენილი: „ვეფხივით წავარნა (მღვიმე, ნაპრალი) და გამოქვაბული აქვს სახლად, მენად (=არაბ.სახლი); (თავისი) მოგწერის ქალი ახლავს სულის ჩამდგმელად და ჭირის მოსათმენად“. ვაი, წუთისოფელმა ამქვეყნად მყოფი ყველა დასვა ცრემლის საფრქვევლად (ყველას ცრემლი ადინა).

## 1977. 8. IV

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს: 698–702 (პროექტი მოამზადა III ჯგუფმა).

698 ქალმა რა ესმა ამბავი, მიხუდა წადილი ნებისა,  
განათლდა პირი მთუარისა, ვით ნათლად წავენებისა;  
იტყვის: „რა უთხრა პასუხი მას სათნებლისა თნებისა,  
და რაა ნამალი მისისა წყლულისა განკურნებისა?“

უ 692-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: გ უთხრა (უთხრა). პროექტი მიღებულ იქნა.

ი. გიგინეიშვილმა აღნიშნა, რომ რა კავშირი საერთოა ა-ს ორივე ზმნა შემასმენლისათვის (ესმა, მიხუდა). ა მთლიანად წარმოადგენს შერწყმულ წინადადებას, რომელიც ქვენწყობის წესით დაკავშირებულია მთავარ წინადადებასთან (განათლდა პირი მთუარისა). ეს ფაქტი სათანადოდ უნდა აისახოს სტროფის თარგმანში.

რედაქციის წევრებმა გაიზიარეს ეს მოსაზრება; სტროფის შინაარსი მათ ასე ესმით: ქალმა რომ ეს ამბავი მოისმინა და აუსრულდა გულის წადილი, განათდა მთვარის (თინათინის) პირი, როგორც ნათლად ამოსული მთვარისა; ამბობს (თინათინი): „რა უთხრა მას (ტარიელს) ამ სიამოვნების მონიჭების პასუხად, რაა მისი (ტარიელის) წყლულის განკურნების წამალი?“

699 ყმა იტყვის: „ვის აქუს მინდობა კაცისა მომცქაფავისა?  
მან ჩემთვის დანუა თავისა დადვა, არდასანუავისა;  
დრო დამიც ჩემგან მისლვისა, მოტუაჲს დადვა თავისა,  
და მზე შემოფიცავს თავისა, ჩემგან მზედ სახედავისა.“

უ 693-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

რედაქციის წევრებმა ყურადღება მიაქციეს ბ-ში უჩვეულო ფრაზას: მან დანუა თავისა დადვა, რომელიც დადვა ზმნა თავ-სიტყვასთან კი არ ქმნის შესიტყვებას, როგორც მოსალოდნელი იყო, არამედ დანუა მასდართან გამოდის დაკავშირებული, რაც შინაარსობრივად მთლად ნათელი არ არის. ზ-ის კონიექტურა – მასდარის ვითარებით ბრუნვაში დასმა დანუად – საქმეს არ შევლის, რადგან ამ შემთხვევაში გაუგებარია თავ-სიტყვის ნათესაობითი. უნდა გვექონოდა მან დადვა დანუად თავი და არა თავისა. უფრო საფიქრებელია, რომ დადვა ზმნა ამ შემთხვევაში მოდალური მნიშვნელობით იხმარება: მან თავისა დანუა დადვა = მან თავი დანუა.

გ. კარტოზიამ აღნიშნა, რომ დ-ში თავისა კუთვნილებითი ნაცვალსახელი კი არ არის, არამედ ნათესაობითი ბრუნვა თავ-სიტყვისა, რომელიც უკუქცევით ნაცვალსახელად გამოიყენება. ტაეპის აზრია: მზე შემოფიცავს იმისი (და არა: ჩემი მზე შემოფიცავს), ვინც მზედ მიმჩინა. თავისა-ს კუთვნილებით ნაცვალსახელად გაგების

შემთხვევაში გაუგებარია განკერძოებული განსაზღვრების (ჩემგან მზედ სახედავისა) ნათესაობითი ბრუნვა. უნდა გვექნოდნა სახელობითი.

ი. გიგინიშვილსაც უკუტყვევით ნაცვალსახელად მიაჩნია თავისა.

ც. კიცივი და ს. ცაიშვილი ფიქრობენ, რომ თავისა კუთვნილებითი ნაცვალსახელია, სახედავისა კი პოეტური ლიცენციაა, რითმის საჭიროებით შეპირობებული. უნდა გვექნოდნა: მზე შემიფიცავს თავისა, ჩემგან მზედ სახედავი (= ჩემი მზე შემიფიცავს, მე რომ მზედ ვხედავ).

რედაქციას სტროფის შინაარსი ასე ესმის: მოყმე (აეთანდილი) ეუბნება: „მატყუარა (ცრუ) კაცის მინდობა ვისა აქვს? მან ჩემთვის დანვა არდასანუავი თავი; ჩემი მისელის დრო დამინიშნავს, თავის დადება აღმოთქვამს, შემიფიცავს მზე იმისი (თინათინისა), მე რომ მზედ ვხედავ (მიმჩინია).“

რედაქციის ზოგ ნევრს (გ. კარტოზიას, შ. ძიძიგურს) მიაჩნია, რომ დამიჯ ზმნას გ-ში ანმყოფს გაგება აქვს და არა თურმეობითისა. დრო დამიჯ ჩემგან მისლვისა = ჩემი მისლვის დროა (დრო მაქვს).

699,1 ყამან ჰკადრა: „ვინ მიენდოს კაცსა ცრუსა, დაუნდობელს!  
იმა ლომმან ჩემთვის თავი დაჰსდვა ბუთსა დასადნობელს;  
მუნ აღმოთქვამს მისლვა ჩემი რგებად მისსა ფიცით მშობობელს,  
და მზე მიფიცავს მისი, ვისთვის ვლერი სისხლის ცრემლს შეუშრობელს“.

სტროფი არის S 473 ხელნაწერში (მინერილია არშიაზე, 61r). x-ში შეტანილია 860<sup>1</sup> ნომრით. პროექტში სტროფი ადგილგადანაცვლებულია; სხვა ცვლილებები არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მოყმემ მოახსენა: „ვინ მიენდობა ცრუსა და დაუნდობელ კაცს! იმ ლომმა (ტარიელმა) ჩემთვის დადო თავი დასადნობელ ბუთზე (ოქრო-ვერცხლის სადნობ ხელსაწყოზე); ფიცით მოლაპარაკეს აღმოთქვამს იქ მის (ტარიელის) დასახმარებლად მისვლა, იმის მზე დამიფიცავს, ვისთვისაც ვლერი შეუშრობელი სისხლის ცრემლს“.

700 ჯამს მოყურარე მოყურისათვის თავი ჭირსა არ დამრიდად,  
გული მისცეს გულისათვის, სიყურარული გზად და ჯიდად;  
კულა მოჯნურსა მოჯნურისა ჭირი უჩნდეს ჭირად დიდად,  
და აჰა, მაქვსმცა უმისოსა ლხინი არმად, თავი ფლიდად!“

u 694-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: გ უჩნდეს (უჩნდეს). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მეგობარმა მეგობრისათვის გასაჭირს თავი არ უნდა არიდოს, გული მისცეს გულის სანაცვლოდ, სიყვარული (კი) – გზად და ხიდად; ასევე მოჯნურს მოჯნურის გაჭირება (საკუთარ) დიდ გაჭირებად უნდა მიაჩნდეს, აჰა, უმისოდ მყოფს ლხინი არმად მექნება და ფლიდი ვიქნები!“

701 მზე ეტყვის: „მომხუდა ყოველი ჩემი ნადილი გულისა:  
პირველ, შენ მოხუტე მშვიდობით, მპოვნელი დაკარგულისა,  
მერმე, ზრდა სიყურარულია გაქვს, ჩემგან დანერგულისა,  
და ეპოვე ნამალი გულისა, აქამდე დადაგულისა!“

u 695-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მზე (თინათინი) ეუბნება: „ამისრულდა ყოველი ჩემი გულის ნადილი: ჯერ ერთი, შენ მოხუციდი მშვიდობით, დაკარგულის (ტარიელის) მპოვნელი, მეროც, ჩემგან დანერგილი სიყვარული მოგმატებია, ვიპოვე აქამდე დადაგული გულის ნამალი.“

702 სანუთრო კაცსა ყოველსა ვითა ტაროსი უზუდების:  
ზოგჯერ მზუა და ოდესმე ცა რისხვით მოუქუხსებოს.  
აქამდის ჭირი ჩემზედა, ან ესე ლხინი უზუდების,  
და რათგან შუება აქეს სოფელსა, თუთ რად ვინ შეუნუხდების?

უ 696-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ნუთისოფელი ყოველ ადამიანს ამინდივით შეხედება (ყოველი ადამიანისათვის ამინდივით ცვალებადია): ზოგჯერ მზუა და ზოგჯერაც ცა რისხვით მოუქუხდება (განურისხდება). აქამდე ჭირი (იყო) ჩემზე, ახლა ეს ლხინი მრავლდება, რადგანაც შუება აქეს ნუთისოფელს, თვითონ რატომ შეუნუხდება ვინმე?

## 1977. 15. IV

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, შ. ძიძიგური.

განიხილეს: 703-704 (პროექტი მოამზადა III ჯგუფმა); 705-706,2 (პროექტი მოამზადა II ჯგუფმა).

703 შენ არგატება კარგი გჭირს ზენაარისა, ფიცისა.  
ჯამს გასრულება მოყურისა სიყუარულისა მტკიცისა,  
ძებნა ნამლისა მისისა და ცოდნა ჯამს უიცისა,  
და ჩემი თქუი, რა ვქმნა ბნელქმნილმან, მზე მიმეფაროს, მო, ცისა?"

უ 697-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ი. გიგინეიშვილი: ზოგიერთი ხელნაწერის ჩვენების საფუძველზე გ ასე უნდა შესწორდეს: ძებნა ნამლისა მისისა, ცოდნა ჯამს უიცისა. ტაეპის მეორე ნახევრის აზრია: საჭიროა ცოდნა სრულიად უცნობისა.

რედაქციის წევრებმა აღნიშნეს, რომ პროექტის ნაკითხვა (ძებნა ნამლისა მისისა და ცოდნა ჯამს უიცისა), რომელსაც რიგი ხელნაწერი უჭერს მხარს, ენობრივად და შინაარსობრივად დამაკმაყოფილებელია. დაადგინეს: პროექტი მიღებულ იქნეს უცვლელად.

ს. შ.: შენ ალთქმის, ფიცის არგატება კარგი გჩვევია. საჭიროა მეგობრის მტკიცე სიყვარულის სრულყოფა, საჭიროა მისი ნამლის ძებნა და უცნობის ცოდნა (გაგება), ჩემი თქუი, რა ვქნა დაბნელებულმა, ცის მზე (ავთანდილი) (რომ) მიმეფარება (თვალთაგან)?"

704 ყმაძან პკადრა: „სიახლითა შერთე ჭირი შუიღსა მე რვა,  
ცული არის დამზრალისა გასათბობლად წყლისა ბერვა,  
ცული არის სიყუარული, ქუთით კოცნა, მზისა წერევა,  
და თუ გეახლო, ერთხელ ვაი და, რა მოგმორდე, ათასჯერ ვა!

უ 698-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მოყემ (ავთანდილმა) მოახსენა: „შენთან ყოფნით ჭირი მოვიმატე (შვიდ ჭირს მერვე დაერთე), ამათა დამზრალის გასათბობად (ცეცხლის მაგიერ) წყლისათვის შებერვა, ფუჭთა სიყვარული, ქვემოდან კოცნა და მზის წერევა (მზის ვერმინედენა), თუ შენთან ვიქნები, მწუხარებაა ჩემთვის, თუ დაგმორდი, მწუხარება გაათასკვედება!

**705** ვაი თუ გავიჭრე, გაჭრილსა სადა, გლახ, დამწუავს სამალი  
გული ძეს საგნად ისრისა, მესრის საკრავად სამალი;  
დრო სიცოცხლისა ჩემისა დღესითგან ჩანს ნასამალი;  
და მალეა მწადს, მაგრამ გარდაჯდა ფაში პატიოთა სამალი  
u 699-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ა ვაი (ვა), ბ მესრის საკრავად  
(მესრის საკლავად).

ა. ბარამიდის წინადადებით ა-ში სარიტმო სიტყვა ორ სიტყვად გაიყო: სამ ალი. სამ  
გაგებულია ნაწილაკად (=მამ).

რედაქციის ნევრებს სარწმუნოდ არ მიაჩნიათ სამალი (სამ-ალი) სიტყვის არსებობა  
ცხელი ქარის, ქარცეცხლის მნიშვნელობით და მისი დაკავშირება სამუმთან. რედაქციის  
ნევრები ასევე არ იზიარებენ ი. გიგინეიშვილის მოსაზრებას სარიტმო სიტყვად ამალი-ს  
(=სურვილი) მიღების თაობაზე.

ი. გიგინეიშვილის წინადადებით გ-ში დღესითგან შეიცვალა დღისალა ფორმით.

ი. გიგინეიშვილი ფიქრობს, რომ ბ-ში მესრის ფორმის ნაცვლად უნდა მიღებულ  
იქნეს მესვრის. რედაქციამ ტექსტში დატოვა მესრის.

ს. შ.: ვაი თუ გავიჭრა, გაჭრილს სადმე, ვაგლახ, დამწუავს, მამ, ალი გული დევს  
ისრის სამიზნედ, მესვრის დასაჭრელად მშვილდი (არბალეტი); ჩემი სიცოცხლის დრო  
დღის მესამედილა დარჩა; მინდა დავმალო, მაგრამ გავიდა ტანჯვის დამალვის დრო.

**706** მესმა თქვენი ნუბარი, გაეიგონე, რაცა პბრძანე  
ვარდასა ქაცუი მოაპოვნებს, ეკლთამცა რად ვუხანე!  
მაგრა, მზეო, თავი მზესა ჩემთვის სრულად დააგვანე,  
და სიცოცხლისა საიმედო ნიშანი რამ ნამატანე!"

u 700-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: გ-ს ბოლოს ძახილის ნიშნის ნაცვლად  
დასმულია მძიმე. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მოვისმინე თქვენი ნათქვამი, გაეიგონე, რაც ბრძანეთი ვარდს ქაცვი  
მოგვაპოვებინებს (უქაცვოდ ვარდს ვერ მოიპოვებ), ეკლებს რად ვუხანუო? მაგრამ, მზეო,  
ჩემთვის სავსებით მზედ იქეცი (სავსებით მზეს დაამსგავსე თავი), სიცოცხლის იმედად  
რაიმე ნიშანი გამატანე!"

**706,1** მონა სელს უდგამს აეთანდილს, პირდაპირ მზისა ჯდებოდა,  
უჭერებდა მისსა ხელქმენლსა, ცეცხლი აღარ ზდებოდა,  
ტკბილად უამბობს ამბავსა, იგ არ თუ ავად ყბედობდა.

და ქალი უქებდა სიმწენსა, შეყრასა უიმედებდა.

x 869-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ა-ს ბოლოს ნერტილის ნაცვლად  
დასმულია მძიმე, გ-ს ბოლოს – მძიმის ნაცვლად ნერტილი. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მონა სელს უდგამს აეთანდილს, (ისიც) მზის (თინათინის) პირდაპირ დაჯდა,  
უჭერებდა თავის გამხლებელს, ცეცხლი აღარ ედებოდა, ტკბილად უამბობს (ტარიელის)  
ამბავს, ცუდად კი არ ყბედობდა. ქალი უქებდა ვაეკაცობას, შეუღლების იმედს აძლევდა.

**706,2** „წოთუ ვარგო რა მას ხელსა" , – კულავ ნასულად ეთხოებოდა;  
იგ სიცოცხლისა ნიშანი მას მისგან ეთხოებოდა;  
მან მარგალიტი შეისნა, რომელი მკლავსა ებოდა,  
და კულავცა უმტკიცებს ქრობასა, სხუას არვის ეთხოებოდა.

x 870-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ა-ს ნახევარი ბრჭყალებშია ჩასმული  
და ტირეთი გამოყოფილია. პროექტი მიღებულ იქნა.



ს. შ.: „ჩვენ რაიმე ვარგო იმ შშავს (= ტარიელს)“, – ისევ წასასვლელად ეთხოვებოდა (ავთანდილი თინათინს); სიცოცხლის ნიშანს მას სთხოვდა; მან (თინათინმა) მარგალიტი (სამკაული) მოიხსნა, რომელიც მკლავზე ება. ისევ პირდება, რომ ქმრად გაიხდის, სხვას არავის მისთხოვდება.

## 1977. 22. IV

სხდომას დაეწინა: ა. ბარამიძე, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს: 707–712 (პროექტი მოამზადა II ვერსიამ).

707 ყმა ტკბილი და ტკბილქართული, სიკეთისა ჯელის მწველი; ამაზედა უფუნების, ვით გაზრდილსა ამო შზრდელი; ქალმან მისცა მარგალიტნი, სრულქმნა მისი სანადელი, და ღმერთმან ქნას და გაუსრულდეს ლხინი ესე აწინდელი!

უ 701-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ტკბილი და ტკბილად მოსაუბრე (ტკბილი ქართულის მოსაუბრე), ღირსეული („ღირსებით მოსარგებლე“, „რომელიც ღირსებით სარგებლობს“) მოყმე (ავთანდილი) ამაზე (ისე) ულაპარაკება (თინათინს), როგორც ტკბილი გამზრდელი გაზრდილს; ქალმა მისცა მარგალიტის მძივი, ასრულა მისი ნადელი; ღმერთმა ქნას და კარგი ბოლო ექნეს მათს ახლანდელ ლხენას (სიხარულს)!

708 რა სჯობს, რა კაცმან გიშერი ბროლ-ლალსა თანა ახოს, ანუ ბალს ალვა საროსა ახლოს რგოს, მორწყოს, ახოს, მისსა მჭურეტელსა ალხინოს, ვერმჭურეტსა ავაგლახინოს! და ვა მოყურისა გაყრილსა, ახი ოს ეყოს, ახი ოს!

უ 702-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: დ ვა მოყურისა (ვაი მოყურისა). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: რა სჯობს (იმას), რომ კაცმა გიშერი (=ნარბ-ნაშნამი) ბროლსა და ლალს (=ლანვებს) შეახოს, ან ბალში ალვა საროს (კვიპაროზის) ახლოს დარგოს, მორწყოს, გაახაროს (ხედ აქციოს), მისი მჭურეტი გაახაროს, ვერმჭურეტი კი დაალონოს! ვაი სატრფოსთან დამორებულს, როცა ოხვრა (ახის თქმა) მოუნეცს!

708,1 ყმა მზიარული, წყლიანი დაიქნეს არ სიმძიმოლსა; მისნი კბილნი და ბაგენი დაიშუნენუნენ ლიმილსა; რა მომორვა მოყურა, თუალთაგან დასდებდის მილსა, და მუნით ადენდის წყაროსა, სოფლისა დასაწიმილსა.

უ 873-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ბ დაიშუნენუნენ (დაიშვენებდეს), გ მომორვა (მოიშორო), დასდებდის (დასდებდი), დ ადენდის (ადენდი); გ-ს ბოლოს ნერტილ-მძიმის ნაცვლად მძიმეა. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მზიარული, ენაწყლიანი მოყმე არ იმწნევეს მწუხარებას; მისი კბილები და ბაგეები ღიმილს იმშვენებენ; როდესაც სატრფო მოშორდა, თვალებიდან (ცრემლის) ნაკადს იდენდა, იქიდან ადენდა ქვეყნის დასაწიმილებელ წყაროს.

709 მათ მიხრდა ლხინი ყოველი ერთმანერთისა ჭურეტითა. ყმა წამოვიდა გაყრილი, მივა გულითა რეტითა.

მზე ტირის სისხლისა ცრემლითა, ზღუისაცა მეტისმეტითა.

და იტყვის: „ვერ გაძღა სოფელი, ვაჲ, სისხლთა ჩემთა ხურეგითა!“

U 703-თან შედარებით პროექტში ცვლილება: დ ვაჲ (ვა). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მათ დიდი („სრული“) სიხარული ხვდათ ერთმანეთის ქვრეგით. მოყმე გამოემშვიდობა და ნავიდა, მიდის დარეგტიანებული. მზე (თინათინი) ტირის ზღუაზე უფრო უხვი სისხლიანი ცრემლით. ამბობს: „ვაი, ვერ გაძღა წუთისოფელი (ქვეყანა) ჩემი სისხლის ხურეგით!“

710 ყმა ნავიდა სევდიანი, მკერდსა იცემს, ამაღ ილებს,  
რომე კაცსა მიჯნურობა ატირებს და გააფრდილებს;  
რა ღრუბელი მიეფარვის, მზე ქმელეთსა დააჩრდილებს,  
და მის მოყურისა მოშორება კულა აბინდებს, არ ადილებს.

U 704-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მოყმე ნავიდა სევდიანი, იმიტომ იცემს მკერდში (ხელს და) ილურჯებს, რომ სიყვარული კაცს ატირებს და ტანჯავს (აუბედურებს, ასანყლებს); როცა ღრუბელი გადაეფარება, მზე ხმელეთს აჩრდილებს; სატრფოს დაშორებაც აგრეთვე (დღეს) ბინდად აქცევს, არა დილად.

711 სისხლმან და ცრემლმან გარეეთ ღანჭი ქმნის ღარად და ღარად;  
იტყვის: „მზე ჩემგან თავისა კმა დასადებლად აღარად;  
მიკუირს, თუ გული აღმასი შევან ნაშნამან დაღა რად!  
და ვირე ენახვიდე, სოფელი, მიწი სალხინოდ აღარად!

U 705-თან შედარებით პროექტში ცვლილება: შ თავისა (თავისად). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: (ერთმანეთში) არეული სისხლი და ცრემლი ღანჭს ღარავდა (ღარებად აქცევდა); ამბობს: „მზე (თინათინი) ჩემგან თავის დასადებლად აღარ კმარა (თინათინისთვის ჩემგან თავის დადება აღარ კმარა); მიკვირს, ჩემი აღმასის გული (თინათინის) შევმა ნაშნამა რად დადაღა! ვიდრე ენახვ, საწუთროვ (ქვეყანავ), ვერ გამახარებ! (სასიხარულოდ აღარ მიწინდისარ!)

712 ვინ უწინ ედემს ნაზარდი ალვა მრგო და მრწყო, მახია,  
დღეს საწუთრომან ღახუარსა მომცა, დანასა მახია,  
დღეს გული ცეცხლსა უშრეტსა დაბმითა დაამახია.  
და აწყა ვცან, საქმე სოფლისა ზღაპარია და ჩამახია!“

U 706-თან შედარებით პროექტში ცვლილება: ა მრგო და მრწყო (მრგო, მომრწყო), გ დაბმითა დაამახია (დაბმით დამიბა, მახია).

გ. კარტოხია: ა-ში ტრადიციული ნაკითხვა მომრწყო კონიექტურაა. ხელნაწერთა დიდ ნაწილში იკითხება მრწყო, დამრგო, რაც შინაარსობრივად შეუსაბამოა. D<sup>2</sup>-ში გვაქვს მრგო დამრწყო, რაც, ფიქრობ, ყველაზე უკეთ ასახავს პირვანდელ ნაკითხვას.

რედაქციის ნეერებმა აღნიშნეს, რომ მრწყო, დამრგო ლექსთწყობის თვალსაზრისით უმჯობესია. რაც შეეხება შინაარსობრივ უხერხულობას (ჯერ რწყვა და შემდეგ დარგვა), იგი სერიოზულ დაბრკოლებას არ წარმოადგენს. რუსთველის პოეტური ენისათვის უცხო არ არის მოქმედების თანმიმდევრობის დარღვევა.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს ნაკითხვა: ალვა მრწყო, დამრგო, მახია.

გ-ში აღდგენილ იქნა ნაკითხვა – დაბმით დამიბა, მახია. რედაქციის ნეერებს არ ეეჭვებათ პარონომაზიული გამოთქმის დაბმით დამიბა-ს რუსთველურობა. რაც შეეხება

მახია ფორმას, იგი შეიძლება განვიხილოთ, როგორც ხელოვნური ფორმა (ისევე როგორც დამახია).

ს. შ.: სანუთრომ, რომელმაც (მე) ადრე ედემში გაზრდილი ალვა მომრწყო, დამრგო, გამახარა (ხედ მაქცია), დღეს ლახვით დამჭრა (ლახვარს მიმცა), დანა დამცა (დანას შემახო), დღეს ჩემი გული უშრეტ (ჩაუქრობელ) ცეცხლზე დამიბა, მახეში მომიქცია. ახლავა გავიგე, რომ ნუთისოფლის საქმე ზღაპარია და მოჩმახულია!"

#### 1977. 29. IV

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ს. ცაიშვილი, შ. ძიძგური.

განიხილეს: 713–716 (პროექტი მოამზადა II ჯგუფმა); 717 (პროექტი მოამზადა III ჯგუფმა).

713 ამას მოსთქვამს, ცრემლსა აფრქვევს, ათრთოლებს და ანანწარებს, გულამოსკუნით, ოხრვა-სულთქმით მიხრის ტანსა, მიანწარებს.

საყუარლსა სიახლესა მოშორებდა გაამწარებს,  
და ვაჰ, სანუთრო ბოლოდ თავსა ასუდარებს, აზენწარებს!

უ 707-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: დ ვაჰ (ვა).

გ. კარტოზია: სწორია ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომ ანანწარებს ნიშნავს: „აკანკალებს“. ნანწარ – ფუძე დღესაც ცოცხალია ქართულში (მდრ. კახურში: ნანწარი – ნელ-ნელა ტოკება, რყევა, რხევა. იხ. ა. მარტიროსოვი, გ. იმნაიშვილი 1956, 185).

პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ამას მოსთქვამს, ცრემლს აფრქვევს, თრთის და კანკალებს, გულამოსკენით, ოხრვა-კენით მიდის, ტანს (კოხტად) მიარწევს. სატრფოს სიახლოვეს (სიხარულს) მოშორება გაამწარებს, ვაი, სანუთრო (კაცისათვის) ბოლოს სუდარად, ზენწარად იქცევა!

714 ყმა მივიდა, სანოლს დაჯდა, ზოგჯერ ტირის და ზოგჯერ ბნდების, მაგრამ ახლავს გონებითა საყუარელსა, არ მოსწყდების; ვით მწუნევილსა თრთვილისაგან, პირსა ფერი მოაკლდების.

და ხედავთ, ვარდსა უშვებოდა რაგუარ ადრე დააჩნდების!

უ 708-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: დ რაგუარ (როგორ). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მოყმე შინ მივიდა, სანოლში დაჯდა, ზოგჯერ ტირის და ზოგჯერ გული მისდის, მაგრამ ფიქრით სატრფოსთან არის, (მას) არ სცილდება; როგორც თრთვილისაგან ბალახს, (ისე) სახე უფერმკრთალდება. ხედავთ, ვარდს უშვებოდა როგორ მალე დაეტყობა!

714,1 სანოლს მჯდომწან პირსა ცემით ბროლი ბლუჯოს, ვარდი კონოს; გულსა იღებს, იტყვის: „კაცმან ჭირი ლხინსა შეაწონოს; ლხინმან სძლიოს, გაძლება ჯაშს, ჭირი სთმოს და ფამთა მონოს.

და ვინ ქონება არ იმადლოს, მას სხუა ღმერთმან რა აქონოს!"

x 880-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: სანოლში მგდომი სახემ ხელის ცემით ბროლს დაბლუჯავს, ვარდს შეკონავს (=სახეს იკანრავს); გულს იმაგრებს, ამბობს: „კაცმა ჭირი ლხინს უნდა გაუთანაბროს (გაუტოლოს); ლხინმა უნდა სძლიოს, გაძლება მართებს, ჭირი უნდა მოითმინოს და დროს დაემორჩილოს. ვინც არ დააფასებს (დაიმაღლებს) იმას, რაც აქვს, მას სხვა რა უნდა მისცეს ღმერთმა!“

**715** „გული კრულია კაცისა, ხარბი და გაუძლომელი,  
გული – ფამამად ყოველთა ჭირთა მთხო, ლხინთა მწდომელი,  
გული – ბრმა, ურჩი ხედვისა, თუთი ვერას ვერ გაშზომელი,  
და ვერცა პატრონობს სიკუდილი, ვერცა პატრონი რომელი!“

უ 709-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: „კაცის გული დანყველილია, ხარბია და გაუმაძლარი, გული – დროდადრო ყველა გასაჭირის მომთმენი, სისარულის მწდომელი, გული – ბრმა, რომელიც ხედავს არ ემორჩილება, თვითონ კი ვერაფერს ვერ გაზომავს, ვერც სიკვდილი მბრძანებლობს, ვერც ვერავითარი სხვა პატრონი!“

**715,1** ამ სოფელსა კარგად ყოფით კეისარი იყო ვითა;  
რა მოკუდების, წარიყუნანონ, მძიმედ შეკრან ბორკილითა,  
მიაბარონ გენიას, დაწუნ მისით სიბნელითა;  
და ეს სოფელი ამას გიზამს, კარგსა წუეინ მოელითა!

x 882-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ბ-ს ბოლოს მძიმეა წერტილ-მძიმის ნაცვლად, გ-ს ბოლოს – წერტილ-მძიმე მძიმის ნაცვლად; დ-ს ბოლოს ძახილის ნიშანია წერტილის ნაცვლად. პროექტი მიღებულ იქნა, ოღონდ ა-ს ბოლოს წერტილ-მძიმის ნაცვლად დაისვა ძახილის ნიშანი.

ს. შ.: ამქვეყნად კარგად ყოფნით კეისარიც როგორ იქნება როცა მოკედება, წაასვენებენ, მძიმედ შეკრავენ ბორკილით, მიაბარებენ გენიას, დაწვენენ მისი სიბნელით; ეს წუთისოფელი ამას გიზამთ, კარგს წურავინ მოელით!

**716** რა გულსა უთხრა გულისა, სიტყუანი საგულისონი,  
მან მარგალიტნი მოიხუნა მის შზისა სამეყუისონი,  
მის შზისა მკლავსა ნაბამნი, მათ კბილთა შესატყუისონი,  
და პირსა დაიდვა, აკოცა, ცრემლი სდის, ვითა ბისონი.

უ 710-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: დ პირსა დაიდვა, აკოცა (პირი დასდვა და აკოცა). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: როდესაც გულს უთხრა გულის შესაფერი სიტყვები, მან (ავთანდილმა) აიღო იმ შზის (თინათინის) ნაქონი მარგალიტის სამკაული, იმ შზის მკლავზე ნაბამი, (მისი) კბილების მსგავსი, პირზე დაიდო, აკოცა, ცრემლი სდის, როგორც ფისონი (ედემის მდინარე).

**717** რა გათენდა, კაცი მოვა მომკითხავი, დარბაზს მჭუმობი.  
ყმა წაივდა ლალი, ნაზი, ნაღუიქები, ძილნაკრთობი.  
ერთმანერთსა ეჯარვიან, დგას მჭურეტელთა ჯარი მწნრობი;  
და მუფე მინდორს ეკაზმოდა, მოუმზადა დაბდაბ-ნობი.

უ 711-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: როცა გათენდა, მოდის (ავთანდილის) მომკითხველი, დარბაზს მზომბელი კაცი. მოყმე წაივდა ამაყი, გრაციოზული, განალვიქები, ძილგამკრთალი. ერთმანეთს აწყდებიან,

(ავთანდილის) მჭერეტელთა (მთელი) ჯარი დგას, ერთმანეთს ასწრებენ (მის დანახვას); მეფე (როსტვენი) მინდორში გასასვლელად იკაზმებოდა, დაფდაფ-საყვირი მოეშადადებინა.

## 1977. 6. V

სდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, ც. კიკვიძე, ს. ცაიშვილი, მ. ძიძიგური.

განიხილეს: 718–723 (პროექტი მოამზადა III ეტაპზე).

**718** მეფე მეფდა, მაშინდელი ზარი ანძვა ვით ითქმოდა!  
ქოს-დაბდაბთა ცემისაგან ყურთა სიტყუა არ ისმოდა,  
მზესა ქორნი აბნელებდეს, ძალთა რბოლა მოდამოდა;  
და მას დღე მათგან დანალუარი სისხლი ველთა მოესხმოდა!  
უ 712-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ც. კიკვიძე: გ-ს მიდამოდა პროექტის ავტორებს ზმნურ ფორმად მიაჩნიათ, იზიარებენ რა სამეცნიერო ლიტერატურაში (დ. კარიჭაშვილი, ა. შანიძე, გ. კარტოზია) გამოთქმულ მოსაზრებას.

ი. გიგინეიშვილი: მიდამოდა-ს ზმნურ ფორმად ჩათვლა გაჭირდება. უფრო სწორი ჩანს მისი მიჩნევა შედგენილ შემასმენლად (=მიდამოდ ა).

პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მეფე ამხედრდა, მაშინდელი ზარ-ზეიმის (ამბავი) ახლა როგორ შეიძლება ითქვას! დოლ-დაფდაფთა ხმისაგან სიტყვა არ ისმოდა (ყურთა სმენა არ იყო), ქორთა სიმრავლისაგან მზე დაბნელებულიყო, ძალები აქეთ-იქით აწყდებოდნენ; იმ დღეს მათ მიერ დანალუარი სისხლი ველებს მოესხმებოდა (რწყავდა).

**719** ინადირეს, შემოიქცეს მზიარულნი, მინდორს რულნი;  
შეიტანნეს დიდებულნი, თავადნი და საპანი სრულნი;  
დაჯდა, დახდეს მოკაზმულნი საჯდომნი და სრანი სრულნი,  
და წმას სცემს ჩანგი ჩალანასა, მომღერალნი იყვნეს რულნი!

უ 713-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ინადირეს, შემობრუნდნენ მზიარულები, მინდორში ნასიარულენი; თან შეიყოლეს (დარბაზში) დიდებულები, ჯარის უფროსები, მთელი ჯარი; დაჯდა (მეფე), (საზეიმოდ) მორთული დახვდა ტახტი და დიდებული სასახლე, ხმას აძლევს ჩანგი ჩალანას, როგორნი იყვნენ მომღერლები!

**720** ყმა ახლოს უჯდა მეფესა, კეთიხვიდა, ეუბნებოდა;  
ბაგეთა გასჭურის ბროლ-ლალი და კბილთათ ელვა ჰკრთებოდა.  
ახლოს სხდეს ღირსნი, ისმენდეს, შორს ჯარი დიოჯრებოდა,  
და უტარეოლად წსენება არვისგან იკადრებოდა.

უ 714-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ი. გიგინეიშვილი: ბ-ში უმჯობესია ნაკითხვა – კბილთა ელვა ჰკრთებოდა, ე. ი. კბილებს ჰკრთებოდა ელვა.

ს. ცაიშვილი: „ვტ“ -ში გვექვს გამოჰკრთების კბილთათ, მაგრამ ჰკრთებოდა კბილთა. გარდა ამისა, კბილთა ელვა ჰკრთებოდა უკეთესი პოეტური სახეა.

ც. კიკვიძე: ხელნაწერებში ორივე ფორმა გვხვდება, მაგრამ კბილათ ჰკრთებოდა უფრო რუსთველისეული ნაკითხვა ჩანს, რომელიც შემდგომში (გვიან) გადაკეთებულა კბილათა ჰკრთებოდა.

შ. ძიძიგური: „ვტ“ -ში გვაქვს ნაკითხვა – კბილათგან ელვა ჰკრთებოდა, (1324). ამიტომ უფრო მართებულ ნაკითხვად მიმაჩნია კბილათთ ელვა ჰკრთებოდა.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს პროექტის ნაკითხვა.

ა. ბარამიძის წინადადებით ბ-ში ნაცვლად ბაგეთა ფორმისა მიღებულ იქნა ბაგეთათ (მდრ. ამავე ტაეპში კბილათთ).

ი. გიგინეიშვილი: დ-ში უნდა მივიღოთ ნაკითხვა: უტარიელო ვსენება. უტარიელოდ შეიძლება ასე გაიგოს კაცმა: თუ არა ტარიელისგან. სინამდვილეში კი აქ მსაზღვრელი უნდა გვეკონდეს.

რედაქციის წევრებმა არ გაიზიარეს ეს შესწორება.

ს. შ.: მოყმე ახლოს უყვდა მეფეს, ეკითხებოდა, ელაპარაკებოდა; ბაგეთაგან გამოჩანდა ბროლ-ლალი (თეთრი კბილები და ლალისფერი წუნები) და კბილებისაგან გამოუკრთოდა ელვა. ახლოს ისხდნენი ღირსეულები (ღიდებულები), ისმენდნენ (მათს საუბარს), შორს ხალხი შეეჯგუფულიყო, ტარიელის მოუხსენებლად ვერაინ ბედავდა ლაპარაკს.

721 ყმა მან რაცა არვის უთხრის, კითხვად ვინმეა გამოჰპირდა?

მართალა, თუ საუბარსა აჭირებდა, ძვირად ღირდა;

სმა გარდაჭდა, გაიყარნეს, ყმა ნაჲიდა, მოცა-სჭირდა,

და ველარ გასძლო, გული მისი აუჩიუქდა, აუტირდა.

X 888-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ბ მართალა (მართალ ა). ს. ცაიშვილი: პროექტით სტროფი მიჩნეულია ჩანართად, მაგრამ, ვფიქრობ, ძირითად ტექსტში უნდა შევიტანოთ. ამისი მიზანშეწონილობა დასაბუთებულია გ. არაბულის ნერილში (იხ. „მაცნე“, 1966, #5).

ა. ბარამიძე: სტროფი უსათუოდ უნდა შევიდეს ძირითად ტექსტში. მის გარეშე შინაარსობრივი ხარვეზი იქმნება. მოულოდნელია მომდევნო სტროფზე გადასვლა (ყმა მიჲიდა გულმოკლული). ამ ხარვეზს კი კარგად ავსებს ეს სტროფი (სმა გარდაჭდა, გაიყარნეს, ყმა ნაჲიდა), ამასთან, სტროფი ყველა (დაუზიანებელ) ხელნაწერშია წარმოდგენილი, ენობრივადაც გამართულია.

დაადგინეს: სტროფი ჩაითვალოს ძირითადი ტექსტის კუთვნილებად.

ი. გიგინეიშვილის წინადადებით ა-ში გამოჰპირდა შეიცვალა გაუპირდა ფორმით.

ს. შ.: მოყმე (ავთანდილი) რასმე ვინმეს თუ არ ეტყოდა, კითხვას ვინ გაუბედავდა? მართალია, იშვიათად საუბრობდა, (მაგრამ) ძვირად ღირდა (ეს საუბარი); სმა დამთავრდა, დაიმაღნენ, მოყმე ნაჲიდა, ერთობ უჭირდა, ველარ გასძლო, გული აუჩიუქდა, აუტირდა.

721,1 თქვა: „ამა ფაშა ნუხელის მე დილა გამთენებოდა;

მუნ ვიყავ, სადა სამყაროს ღანთაგან ელვა ჰკრთებოდა;

ან სიმორისა მომლოდე გულიმცა მისთვის კუდებოდა,

და შებმან რად მისცა სინათლე, თუ მთუარე გაეყრებოდა?“

X 889-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა, ოღონდ გ-ის ბოლოს მძიმის ნაცვლად დაისვა წერტილი.

ს. შ.: თქვა: „ნუხელ ამ დროს მე დილა გამთენებოდა; იქ ვიყავი, სადაც სამყაროს (თინათინის) ღანვებიდან გამომკრთალი ელვა ეფინებოდა; ახლა სიმორის მომლოდინე

გული მისთვის მოკვდება. მზემ (თინათინმა) რატომ მისცა სინათლე, თუ მთვარე (აეთანდილი) გაეყრებოდა?"

722 ყმა მივიდა გულმოკლული, ცრემლი ველთა მოედინა.  
მართ მისივე სიყვარული უარებდის თქალთა წინა...  
ზოგჯერ ადგის, ზოგჯერ დანის, ხელსა რადმცა დაეძინა!  
და რაცა აჯა დათმობისა გულმან ვისმცა მოუსმინა!

უ 715-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ი. გიგინეიშვილი: დ-ში რაცა უნდა გავიგოთ შედგენილ შემასმენლად (=რაც არის). ტაეის შინაარსიც ამის მიხედვით უნდა შეიცვალოს პროექტთან შედარებით.

შ. ძიძიგური: დ რთული ქვენყობილი წინადადებაა. მისი შინაარსი ასე უნდა გავიგოთ: რაც კი თხოვნაა მოთმინებისა, გული ვის მოუსმენს! შესაბამისად, დათმობისა-ს შემდეგ მძიმე უნდა დაიწეროს.

ც. კიკვიძე: რაცა ამ შემთხვევაში უნდა გავიგოთ როგორც რა (=რამე); -ცა უფუნქციოა. შდრ. რაცა საქმე უსამართლო ღმერთმან ვისმცა შეარჩინა (7664) და სხვ. ამიტომ უნდა დარჩეს პროექტის ნაკითხვა და გაგება: მოთმინების რა ხევენას მოუსმენს ვინმეს გული!

დაადგინეს: რაცა გაგებულ იქნეს შედგენილ შემასმენლად (=რაც-ა), დ-ს შიგნით ცეზურასთან დაისვას მძიმე (წინააღმდეგი – ც. კიკვიძე).

ს. შ.: მოყმე (შინ) მივიდა გულმოკლული, ველები ცრემლით მოერწყო. მისივე (თინათინისავე) სიყვარული თვალწინ ეხატებოდა. ხან ადგებოდა, ხან დანებოდა, გამშავებულს როგორ დაეძინებოდა! მოთმინების რაც ხევენა არსებობს, გული ვის მოუსმენს!

723 წევს, იტყვის: „გულსა საღიზინო რამცაღა დაუსახეო?  
მოგშორდი, ედემს ნაზარდო ტანო ლერწამო და ხეო,  
შენთა მჭურეტელთა ნიშატო, ვერმჭურეტთა სავაგლახეო,  
და ცხადად ნახვასა არ ღირს ვარ, ნეტარმცა სიზმრიე გნახეო!“

უ 716-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ა დაუსახეო (დაფუსახეო). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: წევს, ამბობს: „გულს სასიხარულო რალა უნდა დაფუსახეო? მოგშორდი, ედემს გაზრდილო ლერწმის ტანო და ხეო (იგულისხმება თინათინი), შენი მჭურეტელების სიხარულო, ვერმჭურეტელთა სავაღალაოვ, ცხადში (შენი) ნახვის ღირსი არა ვარ, ნეტავ სიზმარში გნახოო!“

### 1977.1.3. V

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ს. ცაიშვილი.

განიხილეს: 724–729 (პროექტი მოამზადა III ჯგუფმა).

724 ამას მოსთქმოდის ტირილით ცრემლისა დასაღწაროთა;  
ქულა გულსა ეტყვის: „დათმობა შეგანდეს სიბრძნისა წყაროთა.  
არ დაეთმოთ, რა ექმნათ, სევდასა, მითხარ, რა მოუგუაროთა?“

და თუ ლხინი გუნდა ღმრთისაგან, ჭირიცა შეუწყნაროთა“.

u 717-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: გ მოუგუაროთა (მოუგუაროთა). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ამას მოთქვამდა ცრემლის დასალერელი (ცრემლის გამომწვევი) ტირილით; ისევე გულს უზუნბოდა: „მოთმინება ჰგავდეს სიბრძნის წყაროს (მოთმინება ბრძნულია). თუ არ მოვითმინებ, მითხარი, სევედას რა მოუგუაროთ? თუ ლხინი (შეება) გვინდა ღმრთისაგან, ჭირსაც უნდა შეუერიდეთ“.

725 კულა იტყვის: „გულო, რაზომცა გაქუს სიკუდილისა ნადება, სჯობს სიცოცხლისა გაძლება, მისთვის თავისა დადება, მაგრამ დამალე, არ გარნდეს შენი ცეცხლისა კულა დება, და ავად შეპყვრობს მოჯნურსა მოჯნურობისა ცხადება!“

u 718-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: რაზომცა (რასდენცა). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ისევე ამბობს: „გულო, რამდენადაც სიკუდილის (დიდი) სურვილი გაქეს, (მანც) სჯობს სიცოცხლის გაძლება, მისთვის თავის დადება, მაგრამ დამალე, არ გეტყობოდეს ცეცხლის ისევე მოდება (სიყვარული), ცუდად ახასიათებს (არ შეპყვრის) მოჯნურობის გამყვანება!“

726 რა გათენდა, შეეკაზმა, ყმა გავიდა ადრე გარე; იტყვის: „ნეტარ, მიჯნურობა არ დამაჩნდეს, დამცა-უფარე!“ დათმობასა ეაჯების გულსა: „შენ რა მოუგუარე!“

და ცხენსა შეეჯდა, ნამოვიდა ვაზირისა სახლსა მთუარე.

u 719-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: რომ გათენდა, მოყმე მოიკაზმა, ადრინადა გავიდა გარეთ (მინიდან); ამბობს: „ნეტავ, მიჯნურობა არ დამეტყოს, დეფარო!“ გულს მოთმინებას სთხოვს: „შენ რამე მოუგუარე (სიყვარულს)!“ ცხენზე შეეჯდა, ვეზირის სახლში ნამოვიდა მთუარე (ავთანდილი).

727 ვაზირმან ცნა, გაეგება: „ჩემსა მზეა ამოსრული, ამას თურე მახარებდა დღეს ნიშანი სახარული!“ მიეგება, თაყუანისცა, ჰკადრა სრულსა ქება სრული, და ჭამს სტუმარი სასურველი, მასპინძელი მზიარული.

u 720-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ი. გიგინეიშვილი: ვფიქრობ, მართებულად იქცევიან ზოგიერთი გამოცემის რედაქტორები, როდესაც დ-ს ვაზირის ნათქვამად მიიჩნევენ, რის გამოც გ-ს ბოლოს ორნერტილს სვამენ, დ კი ბრჭყალებში აქვთ ჩასმული.

დაადგინეს: გ-ს ბოლოს მძიმის ნაცვლად დაინეროს ორნერტილი, დ ჩაისვას ბრჭყალებში; ამასთან, ბოლოში ნერტილის ნაცვლად დაისვას ძახილის ნიშანი.

ს. შ.: ვეზირმა შეიტყო (ავთანდილის მოსვლა), გაეგება: „ჩემსას მზეა ამოსული, თურმე ამას მახარებდა დღეს სასიხარულო ნიშანი!“ მიეგება, მდაბლად მიესალმა, სრულყოფილს (ავთანდილს) სრულყოფილი ქება მოახსენა: „სტუმარი უნდა სასურველი, მასპინძელი კი მზიარული!“

728 ყმა გარდასუა მასპინძელმან, არ ლფალმან, ავმან, უქმან; ფერკოთა ქვეზე ხატაურსა უფენენ და მინად უქმან. ყმამან სახლი გაანათლა, ვით სამყარო მზისა შექმან;



და თქვენს: „სურნელი სული ვარდთა დღეს მოგუბერა ქუნა ბუქმან“ .

u 721-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: გ გაანათლა (განანათლა). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ხალისიანმა, კარგმა, საქებარმა მასპინძელმა მოყმე შინ მიიწვია; ფეხებზე ხატაურს (ქვირფას აბრეშუმის ქსოვილს) უფენენ და სავალად (მინად) უქმნიან. მოყმემ სახლი გაანათლა, როგორც სამყარო მზის შუქმა; თქვეს: „დღეს ვარდთა სურნელოვანი სუნი მოგებერა ქუნა ქარმა“ .

729 დაჯდა, მისთა შემხედველთა გული მათი მართლად ხელეს, მისთა მჭურეტთა მისთვის ბნედა თავისათვის ისახელეს, სულთქმა ბევრი აათასეს, აღარა თუ აერთხელეს.

და გაყრა ბრძანეს, გაიყარნეს, ჯალაბობა გაათხელეს.

u 722-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: დაჯდა, მისმა მნახველებმა გული მართლა გააშმაგეს, მისმა მჭერეტელებმა მისთვის გულყრა (დაბნედა) საკუთარ საქმედ მიიჩნიეს, ხშირი ოხერა გაათასკვეცეს (გამარავლეს), არა თუ გააერთხელეს (გააიშვიათეს). ბრძანეს სახლეულნი განმორებოდნენ, განმორდნენ, ჯალაბობა შეთხელდა.

## 1977. 20. V

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს: 730–735 (პროექტი მოამზადა II ჯგუფმა).

730 რა ჯალაბი გაიყარა, ყმა ეაზირსა ეუბნების, ეტყვის: „შენი დამალული დარბაზს არა არ იქმნების;

რაცა გნადდეს საურაეი, მეფე იქს და შენ გეთნების,

და გააგონენ ჭირნი ჩემი, მკურნე, რაცა შეკურნების.

u 723-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: გ იქს (იქმს), დ გააგონენ ჭირნი ჩემი (გაიგონე ჭირი ჩემი). პროექტი მიღებულ იქნა. მოგვიანებით დ-ს ბოლოს წერტილის ნაცვლად დაისვა ძახილის ნიშანი.

ს. შ.: როდესაც სახლეული გავიდნენ, მოყმემ ვეზირს საუბარი დაუნყო, ეუბნება: „შენთვის დაფარული სასახლეში არაფერი არ იქნება; რა (საქმის) მოგვარებასაც მოინდომებ, მეფე იმას აკეთებს და შენ გასიამოვნებს, გააგონე ჩემი გასაჭირი, გამიკურნე ის, რისი განკურნებაც შეიძლება.“

ს. ცაიშვილს და შ. ძიძიგურს ბოლო ნახევარტაეპის აზრი ასე ესმით: გამიკურნე ის, რაც სამკურნალო მაქვს (რა სატკივარიც მაქვს).

731 მის ყმისა ცეცხლი მედების, ნუა მჭირს მისისა მწუელისა; მკლავს სურვილი და ვერნახვა ჩემისა სასურველისა; მას ჩემთვის სულნი არ შურდეს, შეზღვა წამს შეუზღველისა; და წამს სიყვარული მოყურისა უზუნისა, უშურველისა.

u 724-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: იმ მომენტის (ტარიელის) ცეცხლი მედება, მისი მწველი (ცეცხლი) მწვავს; ჩემი სასურველის (სანატრიელის) სურვილი და უნახაობა მკლავს; მან (ტარიელმა) ჩემთვის სულიც არ დაიშურა, საჭიროა გადავუხადო სამაგიერო, რომლის გადახდა შეუძლებელია; საჭიროა უხვი, უშურველი მეგობრის სიყვარული.

**732** მისი ნახვა გულსა ჩემსა ვითა ბადე დაებადა,  
მუნვე დარჩა, დათმობაცა მასთანავე დაება, და;  
რათგან დანსწავს მოახლეთა, ღმერთსა მზედცა დაებადა,  
და მერმე ასმათ ჩემთვის დისა მართ დად უფრო დაებადა.

უ 725-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: დ დაებადა (და ეებადა).

ღ-ს ბოლოს მძიმის ნაცვლად დაისვა ძახილის ნიშანი.

რედაქციის წევრები სხვადასხვაგვარად კითხულობენ ღ-ს დაბოლოებას. ა. ბარამიძე: დაებადა ნაწარმოებია სახელისაგან და. ტაუპის აზრია: ასმათი (კი) ჩემთვის ნამდვილად (ყოველ) დაზე უფრო დად გახდა.

გ. კარტოზია: გ და ღ-ს სარიტომო სიტყვად ერთი და იგივე დაებადა ზმნა გვაქვს. გ-ში დაებადა = შეექმნა (ღმერთს მზედ შეექმნა); დ-ში დაებადა = დაიბადა (ასმათი ჩემთვის დაზე უფრო საყვარელ დად დაიბადა).

ი. გიგინეიშვილი: ღ-ს დაებადა შეიძლება ორ სიტყვად მივიჩნიოთ: ა) დაებადა ა = დად არის; ბ) და ეებადა = და აბადია. გადაწყვეტით რისამე თქმა, რომელიმესთვის უპირატესობის მინიჭება ძნელია.

ს. ცაიშვილი: ღ-ს დაებადა ნაწარმოები ჩანს სიტყვიდან ბადედა – ქონება, ყოლა. ტაუპის აზრია: მერმე კი (ღმერთმა) ასმათი ჩემთვის მართლაც დაზე უფრო დად მომივლინა.

ს. შ.: მისი ნახვა ჩემს გულს როგორ ბადე, ისე შემოეხვია (დაებადა), იქვე (ბადეში) დარჩა (გული), მასთანვე გაება (ჩემი) გამძლეობაც; რადგან ახლო მყოფებს წევს (ტარიელი), ღმერთს მზედ შეექმნა მერმე ასმათი ჩემთვის დაზე უფრო (საყვარელ) დად დაიბადა.

**733** ოდეს ნამოვე, შევფიციე ფიცითა საშინელითა:  
«კულა მოვალ, გნახავ პირითა არ მტერთა საწუნელითა;  
შენსა მე ვეძებ ნათელსა, შენ ხარ გულითა ბნელითა»;  
და უამია ჩემგან ნასლეისა, მით მწუავს ცეცხლითა წელითა.

უ 726-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: როდესაც ნამოვედი, (ტარიელს) მტკიცე (დიდი) ფიცი მივეცი: „ისევე მოვალ, გნახავ მტერთაგან დაუნუნარი (მშვენიერი) სახით; შენს ნათელს (სატრფოს) მე ვეძებნი, შენ გულდაბნელებული ხარ“ ; ჩემი ნასვლის დროა, ამიტომ მწვავს წელი ცეცხლით (ამაზე ფიქრი).

**734** ყოველსავე მართლად გითხრობ, არ სიტყუასა საკუბელსა.  
მიმელის და ვერ მისრულვარ, ესე მიდებს ცეცხლსა ცხელსა;  
ვერ გაუტებს ზენაარსა, ვერ გაეცნორავ ხელი ხელსა,  
და რამცა სადა გაუმარჯულდა კაცსა, ფიცთა გამტეხელსა!

უ 727-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: გ გაუტებს (გაუტებს). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ყველაფერს სწორად გეტყვი, არა საკვებ სიტყვას (გეტყვი). (ტარიელი) მულოდება, მე კი ვერ მივსულვარ, ეს მიდებს ცხელ ცეცხლს; აღთქმას ვერ გაუტეხ, ვერ გაწირავ ხელი (შმაგი) ხელს (შმაგს), ფიცის გამტეხ კაცს სად რა გაუმარჯვდება!

**735** რაცა გითხრა, ჩემ მაგიერ როსტანს ჰკადრე, მიოდ სრასა;  
თაემან მისმან, ფიცით გეტყუი შენ, ვაზირსა, ოსტასრასა:  
არ შემოპყრობს, არ დაედგები, თუ შემოპყრობს, მაქნევს რასა?  
და მიშუელე რა, გული ცეცხლმან არ დამიჭრას, არცა სრასა!

უ 728-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ი. გიგინეიშვილი: ბ-ს ფიცის ფორმულა (თაემან მისმან) გ-სთან არის დაკავშირებული: თაემან მისმან, (თუ) არ შემოპყრობს, არ დაედგები. ბ-ს დანარჩენი მონაკვეთი (ფიცით გეტყუი შენ, ვაზირსა ოსტასრასა) ამ ფრაზაში ჩართულია; ამიტომ ან ტირებთ უნდა გამოიყოს, ან ფრჩხილებით.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს ნაკითხვა: თაემან მისმან, – ფიცით გეტყუი შენ, ვაზირსა, ოსტასრასა, – არ შემოპყრობს...

ს. შ.: რასაც გეტყვი, ჩემ მაგივრად როსტევეანს მოახსენე, მიდი სასახლეში; ფიცით გუბნები შენ, ვაზირს, სახლთუხუცესს, მის თავს გეფიცები, თუ არ შემოპყრობს, არ გაეჭრებები, თუ შემოპყრობს, რას მაქნევს (რამე გამოვადგები)? რამე მიშველე, გული ცეცხლმა არ დამიჭრას, არც გამინადგუროს!

## 1977. 27. V

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ს. ცაიშვილი, შ. ძიძგური.

განიხილეს: 736–741 (პროექტი მოამზადა II ჯგუფმა); 742; 743 (პროექტი მოამზადა III ჯგუფმა).

**736** ჰკადრე: «ვინ გაქოს ყოველმან პირმან არმუზრახემან!  
ვითა ვიშიში, გაცნობოს ღმერთმან, ნათელთა სახემან!  
მაგრა მან ყმაზან ცეცხლთა დამწუა, ალვისა სახემან,  
და გული ნამსავე ნამილო, – ვერათ ვერ შევიწახე, – მან.

უ 729-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: გ დამწუა, ალვისა სახემან (დამწუაო, ალვისა ხემან).

რედაქციის წევრებმა აღნიშნეს, რომ გ-ის ალვისა ხემან, რომელიც ზოგ გამოცემაში გვხვდება, კონიექტურაა. ყველა ხელნაწერში ალვისა სახემან იკითხება. რედაქციის წევრებს შესაძლებლად მიაჩნიათ ბ და გ-ში სარიტმოდ ერთი და იმავე სიტყვის (სახემან) დატოვება, რადგან იგი სტროფში სხვადასხვა მნიშვნელობითაა ნახმარი. ბ-ში სახე = ხატი, გ – ში სახე = მსგავსი.

ა. ბარამიძის აზრით, გ-ში უნდა მივიღოთ წ-ის ნაკითხვა: დამწუა, და–, ალვისა ხემან.

დაადგინეს: გ-ს ნაკითხვა მიღებულ იქნეს უცვლელად.

დ-ში ვერათ ვერ შევიწახე მიძიებთან ერთად ტირებთააც გამოიყო.

ს. შ.: მოახსენე: „ვინ, რა მეტყველი შეძლებს შენს ქებას! თუ როგორ ვშიშობ, გაგაგებინოს ღმერთმა, ნათლის ხატმა! მაგრამ დაძნეა იმ მოყვემ, ალვის მსგავსმა, გული ერთბაშად წამართვა მან, ევრაფრით ვერ შევინახე (დაუცავი).“

737 ან, მეფეო, უმისობა ჩემგან ყოლა არ ეგების;  
გული მას აქუს, უგულოსა აქა ჯელი რა მეწდების?  
თუ რას ვარგებ, პირველ ხუალზე თუთი სახელი თქვენ მოგზუდების;  
და ვერას ვარგებ, გულსა დავსდებ, ჩემი ფიცი არ გატყდების.

U 730-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ახლა, მეფეო, უმისოდ (უტარიელოდ) ყოფნა ჩემთვის სრულიად შეუძლებელია; (ჩემი) გული მას აქუს, უგულო (კი) აქ რამი გამოვდგები? თუ რამეს ვარგებ (ტარიელს), უპირველეს თქვენი სახელი იქნება (სახელი თქვენ ვერგებათ). თუ ვერაფერს ვარგებ, დაემშვიდდები მაინც, რომ ჩემი ფიცი არ გატყდება.

738 წასლვა ჩემი გულსა თქვენსა არ ეწყინოს, არ დაქმუნდეს;  
თავსა ჩემსა გაგებული იქმნას, რაცა ღმერთსა უნდეს;  
მანვე ქმნას და გამიმარჯუდეს, თქვენი თქვენც და-უბრუნდეს.  
და არ მოვბრუნდე, თქვენმცა სუფევთ, მტერი თქვენი დაძაბუნდეს!\*

U 731-თან შედარებით პროექტში ცვლილება: გ გამიმარჯუდეს (გაგიმარჯუდეს), დ მოვბრუნდე (მობრუნდეს). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ჩემი წასლვა თქვენს გულს არ ეწყინოს, არ დანალელიანდეს; მოხდეს, რაც ჩემთვის გადაწყვეტილია (დადგენილია), რასაც ღმერთი ინებებს; თუ იგი (ღმერთი) იზამს და გავიმარჯვებ, თქვენი თქვენთანვე დაბრუნდება (= მე თქვენთანვე დავბრუნდები). თუ არ მოვბრუნდე, თქვენ ბრძანდებოდეთ მეფურად, თქვენი მტერი დაძაბუნდეს (დაუძლურდეს)!\*

739 კულა პირმზე ეტყუოს ვაზირსა: „მე სიტყვა შევამცირეო,  
ნა, ესე ჰკადრე მეფესა, შე-ვიწი-ვილოდეს ვირეო;  
მაიჯე ამოდ გაშუება და თაუ გაიგმირეო,  
და ასი ათასი წითელი შენ ქრთამად შეინირეო“.

U 732-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: პირმზე (ავთანდილი) ისევ ეუბნება ვეზირს: „მე საუბარი შევამოკლე; წადი, ეს მოახსენე მეფეს, სანამ ვინმე შევიდოდეს (მასთან); გამომიტხოვე ტკბილად გაშვება, თაუ გმირად გაიხადე (ეაგუაცობა გამოიჩინე), ძღვენად ასი ათასი წითელი (ოქრო) მიიღეო“.

740 ვაზირმან უთხრა სიცილით: „ქრთამი შენ გქონდეს შენია!  
შენგან კმა ჩემად წყალობად, რომე გზა გაგჩინია.  
მაგას რა ეჰკადრებ მეფესა, რაცა ან თქვენგან მშენია,  
და ვიცი, უცილოდ ამავსებს, შოება არსანყენია.“

U 733-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ვეზირმა სიცილით უთხრა: „შენი ძღვენი შენ გქონდეს! შენგან ჩემ წყალობად ისიც კმარა, რა გზაც გამოიჩინე (რის გაკეთებასაც მთხოვე); მაგას რომ მოვახსენებ მეფეს, რაც თქვენგან მოვისმინე, ვიცი, უთუოდ ამავსებს (დამასარეუკრებს), შოენა სანყენი არ არის.“

741 თავმან მისმან, მუნეე მომკლავს, ვუჭუ, წამიცა არ წამაროს!

შენი ოქრო შენვე დაგარჩეს, მე, გლახს, მინა შესამაროს;  
მომკალ, კაცსა სიცოცხლისა სწორად რაცა მოეჭმაროს!

და არ ითქმის და ვერცა ვიტყუი, რა გინდა ჟინ მისაგმაროს.

უ 734-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მის თავს ვფიცავ, იქვე მომკლავს, ვფიქრობ, ნამსაც არ მბატარებს (ცოცხალს)!  
შენი ოქრო შენვე დაგარჩება, მე (კი), ვაგლახს, მინა მექცევა სამარედ; მომკალი, თუ კაცს  
სიცოცხლის დარად სხვა რამ გამოადგეს არ ითქმის და ვერც ვიტყვი, რაც უნდა დამიგმოს  
ენიმემ (უთქმელობა).

742 გზა არ ნავე თავსა წინა, სიცოცხლე, გლახს, ვით გათნიო?  
ამიკლებს და ანუ მომკლავს: «ეგე სიტყვა ვითა სიტყუიო?  
რად არ მუნვე გაიგონე, რად ხარ შმაგი აგეთიო?»

და სჯობს სიკუდილი აკლებასა, ამას თავსა აწვე ესწურთიო.

უ 735-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: გზა ვერ გაუსწრებს თავის თავს (= მოვლენებს ვერ დავაჩქარებთ), სიცოცხლე  
როგორ შემოგწინრო? ამიკლებს ან მომკლავს: «ეგ სიტყვა როგორ თქვიო? იქვე (მაშინვე)  
რატომ არ გაიხზრე, რატომ ხარ ასეთი შმაგიო?!» სიკუდილი სჯობს აკლებას, ამას ახლავ  
შეგაგონებ თავს.

743 თუ მეფეცა გაგიშუბდეს, თუთი ლაშქარნი რად მოლორდენი  
რად გაგიშუან, რად დალორდენ, ანუ შხესა რად მოშორდენ?  
შენ ნახუიდე, მტერნი ჩუენნი დაგუთამამდენ, გაგუისწორდენ.

და ეგე ასრე არ იქმნების, ვითა ჩიტნი არ გაჭორდენ”.

უ 736-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ბ დალორდენ (დალონდენ).

ც. კიკვიძემ აღნიშნა, რომ ბ-ში დალონდენ მხოლოდ B<sup>1</sup>-სა და ვახტანგის გამოცემაში  
გვაქვს. ხელნაწერთა უმრავლესობაში იკითხება დალორდენ (//მოლორდენ] ან  
შინაარსობრივად მსგავსი მოტყუედენ.

პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მეფეცა რომ გაგიშვას, თვით ჯარი რატომ მოტყუედება რატომ გაგიშვან,  
რატომ მოტყუედენ, ან მზეს (ე. ი. შენ) რატომ მოშორდენ? შენ (რომ) ნახვიდე, ჩვენი  
მტრები გაგუთამამდებიან, გაგვიტოლდებიან. ეგ ასე არ მოხდება, როგორც ჩიტები არ  
გაჭორდებიან”.

### 1977. 3. VI

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე,  
ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს: 744–749 (პროექტი მოამზადა III ჯგუფმა).

744 ყმა ატორდა, ცრემლით უთხრა: „წამს, თუ დანა გულსა ვიცი;  
შე ვაზირო, შეგეტყუების, სიყვარული არ თურ იცი,  
ანუ სხუაცა არ გინახავს მოყურობა და არცა ფიცი,  
და თუ გინახავს, უმისოსა ჩემი ლხინი ვით ამტკიცი?!

უ 737-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

რედაქციამ ბ-ში, ცეზურასთან, დასვა მძიმე, ტაეპის ბოლოს მძიმე შეიცვალა ნერტილ-მძიმით; გ-ს ბოლოს მძიმის ნაცვლად დაინერა კითხვის ნიშანი, მოგვიანებით ბ-ში პეს-ს შემდეგ დაისვა მძიმე.

ს. შ.: მოყმე ატორდა, თვალცრემლიანმა უთხრა: „გულში დანა უნდა დავიცი; პე, ვეზირო, გეტყობა, რომ სიყვარული თურმე არ გცოდნია; ანდა სხვა მეგობრობა და ფიცი არ გინახავს? თუ გინახავს, ჩემს – უმისოდ მყოფის – ლხინს (შეგებას) როგორ ამტკიცებ?!

745 მზე დაბრუნდა, არ ვიცოდი, მზესა რამცა დააბრუნებეს!  
ან უშუელოთ, გუიჯობს, იგი ნაცვლად დლესა დაგუთოზუნებეს,  
ჩემი ჩემბერ არვინ იცის, რა მამწარებს, რა მატკუნებებს;  
და ცუდთა კაცთა საუბარი კაცსა მეტად დააჭმუნებეს.

უ 738-თან შედარებით პროექტში ცვლილება: ბ უშუელოთ (ვუშუელოთ).

რედაქციამ გ. კარტოზიას ნინადადებით ა-ს ნაკითხვად მიიღო: მზე დაბრუნდა, არა ვიცი, მზესა რა ცა დააბრუნებეს!

ს. შ.: მზე (ტარიელი) დაბრუნდა, არ ვიცი, მზეს რა (რომელი) ცა დააბრუნებეს! სჯობს, ახლა ვუშუელოთ, სამაგიეროდ ის დლეს დაგვიტობობს, ჩემი (საქმე) ჩემსავით არავინ იცის, რა მამწარებს, რა მატკობს (მახარებს); ცუდ (უმაქნის) ადამიანებთან საუბარი კაცს მეტად დაალონებს.

746 მეფე ანუ მისინი სპანი, ნეტარ, ჯელსა რასა მჭდიანს  
ან ვითამცა უცნობსა გაუნყუედლად ცრემლნი მდინან.  
სჯობს ნაიდე, არ გავტუნენ, კაცსა ფიცი გამოსცდიან;  
და ჭირნი, მისგან უნახავნი, და ვისმე გარდუჭდიან?

უ 739-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა. მოგვიანებით გ-ში სჯობს ზმნის შემდეგ დაისვა მძიმე.

ს. შ.: მეფეს ან მის ჯარს ნეტაეი რაში გამოვადგები ახლა, როგორც ცნობდაკარგულს, გაუნყვეტლად ცრემლები მდის. სჯობს ნაიდე, (სიტყვა) არ გავტუნო, კაცს ფიცი გამოსცდის; გაჭირვება, ისეთი, მას (ტარიელს) რომ არ ენახოს, ვინმეს გარდახდომია?

747 ან, ვაზირო, მაგა პირსა გული კრული ვით მოგთმინდეს?  
რკინა, ჩემი მონაცვალე, ჯამს გაცუილდეს, არ გატინდეს;  
ვერ გარდვიჭდი ცრემლთა მისთა, ჯეონიცა თუალთა მდინდეს,  
და მომეჭმარე, ნუთუ ჩემგან მოჭმარება შენცა გინდეს.

უ 740-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ვეზირო, ახლა მაგ გადანყვეტილებას წყული გული როგორ შეურიგდეს? ჩემს ნაცვლად რომ რკინა იყოს, ცვილად უნდა იქცეს და არა ტინად (სალ კლდედ); მის ცრემლებს ვერ გადავიხდი, ჯეონიც (მდ. ამუდარი) რომ მომდიოდეს თვალებიდან (ჩემ გამო ტარიელს იმდენი ცრემლი დაუღვრია, ჯეონიც რომ ცრემლებად მომდიოდეს, სამაგიეროს ვერ მიფუზლავ), მომეჭმარე, იქნებ ჩემგან შენც მოგინდეს (დაგჭირდეს) დახმარება.

748 არ გამოშუებს, გავიპარეი, ნავალ მათგან შეუგებლად;  
ვითა მწუჟეს, ეგრე დაერთო გული ცეცხლთა მოსადებლად.  
ვიცი, ჩემთუის არას გიზამს, თუ არ უნდი გასაძებლად;  
და თქუი, რა გინდა ნაგკიდოს, თავი დადეუ საწამებლად!”

უ 741-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: თუ არ გამოიშვებს, გავიპარები, ნავალ მათ (როსტევენის) გაუგებლად; როგორც მთხვოს (გული), ისე დაედებ გულს ცეცხლის მოსადებლად. ვიცი, ჩემ გამო არაფერს დაგამივებს, თუკი შენი გაძევება არ უნდა; თქვი, რაც უნდა მოგივიდეს, თავი დადევი სანამებლად!"

749 ვაზირმან თქვა: „შენი ცეცხლი მეც ცეცხლად მომედების, ვეღარ უჭურებტ ცრემლთა შენთა, სოფელიცა გაქარდების; ზოგი თქმა სჯობს არათქმასა, ზოგი თქმითა დაშავდების.“

და ვიტყვი, მოკუდი, არა მგამა, ჩემი მზეცა თქვენ მოგხუდების!"

უ 742-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ბ უჭურებტ (უჭურებტ), გ ზოგი თქმა (ზოგჯერ თქმა), ზოგი თქმითა (ზოგჯერ თქმითაც).

რედაქციამ აღადგინა გ-ს ნაკითხვა: ზოგჯერ თქმა სჯობს არათქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების.

ს. შ.: ვეზირმა თქვა: „შენი ცეცხლი მეც ცეცხლად მომედება, შენს ცრემლებს ვეღარ ვუტყერ, ნუთისოფელიც მოისპობა; ზოგჯერ თქმა სჯობს უთქმელობას, ზოგჯერ (კი) თქმითაც დაშავდება. ვამბობ, მოკვდე, არ მენალელება, ჩემი მზეც თქვენი წილი იყოს (ჩემი დღეები თქვენ შევემატოთ)!"

## 1977. 10. VI

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ს. ცაიშვილი.

განხილეს: 750–753 (პროექტი მოამზადა III ჯგუფმა); 754–757 (პროექტი მოამზადა II ჯგუფმა).

750 რა ვაზირმან ესე უთხრა, ადგა, დარბაზს გაემართა.

მეფე დახუდა შეკახული, პირი მზეებრ ენალმართა.

შეუმინდა, სანყენლისა მოჴსენება ვერ შემართა,

და დაყრით დადგა, იგონებდა არ საქმეთა საომართა.

უ 743-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ვაზირმა რომ ეს უთხრა, ადგა, მეფის კარზე წავიდა. მეფე დახედა გამონყობილი, პირი მზესავით ჰქონდა (გაბრწყინებული). შეუმინდა, სანყენის მოხსენება ვერ შეჰბედა, თავჩალუნული დადგა, ფიქრობდა არასაჩხუბარ საქმეებზე.

751 მეფემან ნახა ვაზირი, დაღრჯით, დაყმუნებული,  
უბრძანა: „რა გჭირს, რა იცი, რად მოხუე შეჭირვებული?"

მან ჰკადრა: „არა ვიციო, მართ ვარ თავისა ვებული,

და მართალ ხართ, მომკლათ, რა გესმას ამბავი გაჭირვებული.“

უ 744-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მეფემ ნახა მონყენილი, საგონებელში ჩავარდნილი ვეზირი, ჰკითხა: „რა გჭირს, რა (ამბავი) იცი, დამწუბრებული რატომ მოხვედი?" მან მოახსენა: „არაფერი ვიცი, ნამდვილად თავს ვტირი (ვეაბ), მართალი იქნებით, მომკლათ, რომ გაიგებთ გასაკვირ ამბავს.“

752 ჩემი ქმუნვა ჭირსა ჩემსა არცა მატს და არცა სდილობს;

მეშინიან, თუცა შიშა მოციქული არ დარიდოს.

ან აეთანდღე გეთხოვების, მოაჯეობს, არ ნამკიდოს,

და უმისყმისოდ სოფელსა და საწუთროსა მისთვის ფლიდობს.

უ 745-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ჩემი დარდი ჩემს გაჭირვებას არ აღემატება და არც მასზე დიდია; მეშინია, თუმცა მოციქული შიშს არ უნდა ერიდებოდეს. ახლა აეთანდღე გეთხოვება, შეხვეწება, არ ჩხუბობს, იმ ყმის გარეშე (უტარელოდ) ამ ქვეყანას და ცხოვრებას თავისთვის ფუქად მიიჩნევს“.

753 რაცა იცოდა, ყველაი, ჰკადრა მოშიშრად ენითა,  
კულა მოაწენა: „რამცა სცან სიტყუითა ესოდენითა,  
თუ რაგუარ მყოფი მინახავს, თუ რაგუარ ცრემლთა დენითა!  
და მართალ ხართ, თუმცა რისხვანი ჩემთვის იანაზდენითა“.

უ 746-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: რაც იცოდა, ყველაფერი მოკრძალებით ჰკადრა, ისევ მოახსენა: „რა უნდა გაიგო ამდენი ლაპარაკით, თუ რა დღეში მინახავს, თუ რა ცრემლი სდის! მართალი იქნებით, თუ რისხვას უეცრად დამატებთ თავს“.

754 რა მეფემან მოისმინა, გაგულისდა, გაავცნობდა,  
ფერი ჰკრთა და გასაშორდა, შემედველთა შეამოზბდა;  
შუუზახნა: „რა სთქუი, შმაგო, მაგას სხუამცა ვინ მოთხრობდა!  
და აესა კაცსა ურჩენია, აესამცა რას ადრე სცნობდა!

უ 747-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

რედაქციის ნევრები განსხვავებულად კითხულობენ ა-ს სარითმო სიტყვებს. ი. გიგინეიშვილისა და ს. ცაიშვილის აზრით, ტექსტში უნდა იკითხებოდეს გაუცნობდა, ა. ბარამიძე და გ. კარტოზია იცავენ პროექტის ნაკითხვას (გაავცნობდა).

დაადგინეს: ა-ს სარითმო სიტყვის დანერილობის საკითხი განხილულ იქნეს მორიგ სხდომაზე, როცა რედაქცია სრული შემადგენლობით შეიკრიბება.

1977. 24. VI-ის სხდომაზე რედაქციამ მიიღო პროექტის ნაკითხვა – გაავცნობდა (მომხრენი – ა. ბარამიძე, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, შ. ძიძიგური; წინააღმდეგნი – ი. გიგინეიშვილი, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი).

ს. შ.: როდესაც მეფემ მოისმინა, გაბრაზდა, გაშმაგდა, ფერი ნუფიდა და საზარელი გახდა, (მის) შემხედველებს მოსპობდა (დაახრჩობდა შიშით); შეუყვირა: „რა თქუი, შმაგო, მაგის თქმას სხვა ვინ შემომხედავდა! ცუდ კაცს (ის) ურჩენია, ცუდ რამეს (თუ) ადრე გაიგებს!“

755 ვითამც რამე სახარული საქმე მოთხარ ვითა ადრად.  
მაგის მეტს რა ვინ მიყოს, თუ არ მომკლას მუხთლად, ლადრად!  
შმაგო, ენა ვით იწმარე ან მაგისად ჩემად კადრად!

და აგრე შმაგი არ ვაზირად, არა ვარგხარ არცა სხუად რად!

უ 748-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: დ არა ვარგხარ (არად ვარგხარ). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: თითქოს როგორც სამქაროდ სათქმელი რამე სასიხარულო ამბავი მოთხარი. მაგის მეტს (უარესს) სხვა ვინ მიზამს, თუ არ მომკლავს მუხთლად, ლაღაღით? შმაგო, ენა როგორ მოგიბრუნდა ჩემთვის ამის სათქმელად? ასეთი შმაგი ვეზირად კი არა, სხვა რამედაც არ გამოდგები (არაფრად ვარგხარ)!



გ. კარტოზიას მიზნია, რომ ა-ს აზრია: თითქოს რამე სასიხარულო ამბავი მითხარი ადრინდელად (როგორც ადრე მეტყოდი ხოლმე).

756 ჯამსცა, კაცმან პატრონისა სანყინარსა არ დახედნეს, ოდენ სიტყვა უმეცრული უმეცრულად დაიყუდნეს? მე მაგისად მოსმენამდის რად არ ყურნი შემეჭედნეს!

და შენ თუ მოგკლა, სისხლი შენნი ჩემმან ქედმან მიიქედნეს!"

უ 749-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ი. გიგინეიშვილის აზრით, დ ასე უნდა იკითხებოდეს: შენ თუ მოგკლა, სისხლი შენნი ჩემმან ქედმან მიიქედნეს! შდრ. მოგკვდე, თავი არ მენყალვის, სისხლი ჩემი ჩემსა ქედსა! (8514).

ს. შ.: განა შეიძლება, რომ კაცმა ბატონის სანყენს ანგარიში არ გაუნიოს და მხოლოდ უმეცრული (უვიცური) სიტყვა უმეცრულად (უვიცურად) დაიყუდოს?! მაგის მოსმენამდის რატომ ყურები არ დამეცო? შენ თუ მოგკლა, შენი სისხლი ჩემს კისერზე იყოს!

757 კულა უბრძანა: „თუმცა მისგან ან არ იყავ მოგ ზავნილი, თავმან ჩემმან, თავსა მოგკეთ, არად უნდა ამას ცილი ნა, უკუდეგ, ავი, შმაგი, უმეცარი, შლეგი, ნილი!

და შაბაშ სიტყვა, შაბაშ კაცი, შაბაშ საქმე, მისგან ქნილი!"

უ 750-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ისე უთხრა: „ახლა მისგან (ავთანდილისგან) რომ არ იყო მოგ ზავნილი, ჩემს თავს ვფიცავ, თავს მოგკეთდი, არაფრად უნდა ამას ცილობა ნადი, გაბრუნდი (მომშორდი), შენ, ცუდო, შმაგო, უვიცო, სულელო, შერცხენილო! ვაშა სიტყვას, ვაშა კაცს, ვაშა მის საქმეს!"

## 1977. 17. VI

სხდომას დაენსრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, ც. კვიციანი, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს: 758–764,2 (პროექტი მოამზადა II უკუფშა).

758 დადრკა, სკაში შემოსტყორცნა, ჰკრნა კედელსა, შაულენა;

დააცოუნა, მაგრა მისთუის აალმასნა, არ აძენა:

„ეთ შაბაშე ნასლეა მისი, ვინ ალვისა შორჩი ხე ნა!"

და ვაზირისა ცრემლმან ცხელმან ღანწნი თეთრი აახუნა.

უ 751-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: დაიხარა, სკაში ესროლა, კედელს მოხედა, შეეღენა; დააცილა (ვეზირს), მაგრამ ღონიერად მოუწია და არა რბილად, (უთხრა:) „როგორ მითხარი იმისი ნასელა, ვინც ახალაზრდილ ალვის ხეს ჰგავს!" ვეზირის ცხელმა ცრემლმა თეთრი ღანწები აუქერცლა (დაუხეთქა).

758,1 მფეუ სკაშს ესრის ვაზირსა, კედელსა შაულენებსა;

ნებით არ უშვებს ავთანდილს იგ მისსა შენახუნებსა;

შუთოლის: „თულა მეტყეო, თეთრსა დავიგლეჯ მე ნეერსა!"

და ვერვინ შეიპყრობს ავთანდილს, გაპარვით გარდამხვენელსა.

X 926-თან შედარებით პროექტში ცვლილება: ა ესრის (ეს[ერ]ის); ბ შენახვენება (შენახვენება); გ-ს ბოლოს ნერტილი-მძიმის ნაცვლად დასმულია ძახილის ნიშანი და დახურულია ბრჭყალები; დ-ში, ცეზურასთან, დაწერილია მძიმე, ტაეპის ბოლოს მოშლილია ბრჭყალები.

ც. კიკვიძე: სტროფი, პროექტის მიხედვით, 757-ს მოსდევს. სტროფი სულ ორ ხელნაწერშია: B<sup>2</sup>-ის არშიაზეა მიწერილი, ხოლო C<sup>3</sup>-ში უკვე ძირითად სტროფს მიჰყვება. სტროფში მოკლედ არის გადმოცემული ის ამბები, რომლებიც 757-ის შემდეგ ხდება. სხვა შემთხვევაში ჩვენ ასეთ სტროფებს ვტოვებდით იქ, სადაც ხელნაწერებში იყო. ვფიქრობ პროექტის ავტორები მართებულად მოიქცნენ, როცა ეს სტროფი წარმოადგინეს, როგორც 757,1.

ა. ბარამიძე: ამ სტროფს აქარად ემზნევა 758-ის გავლენა (დადრკა, სკამნი შემოსტყორცნა, ჰკრნა კედელსა, შეაღუნა; შდრ.: მეფე სკამს ესრის ვაზირსა, კედელსა შეაღუნება). ამიტომ მას 758-ის წინ ვერ გავუშვებთ. გარდა ამისა, B<sup>2</sup>-ში ეს სტროფი აშიაზეა მიწერილი, ასე რომ, ჩვენ შევიძლია დაავადგინოთ მისი ადგილი.

რედაქციის წევრებმა გაიზიარეს ა. ბარამიძის ზემოაღნიშნული მოსაზრება და სტროფი გაუშვეს როგორც 758,1. წინააღმდეგი იყო ც. კიკვიძე.

პროექტი ამ ცვლილებით მიღებულ იქნა.

ს. შ.: მეფე ვეზირს სკამს ესრის, კედელს შეაღუნს; ნებთ არ უშვებს მის მახვენარ ავთანდილს; უთვლის: „თუ კიდევ მეტყუო (მოხვო წასვლას), თეთრ წევრს დავიგლეჯ!“ ვერაინ დააკავენს ავთანდილს, რომელსაც გაპარვა გადაუწყვეტია.

759 ვაზირმან, გლახ, გამოიღნა, მართ ვლარას ვერ იძრინებეს;  
გამოძრნა და გამოშელდა, გულსა წყულუსა მოიშტკინებს;  
შეის ხასობს, გაის ქუშობს, ენა ასრე მოაყინებს,  
და მტერი მტერს ვერას აწენს, რომე კაცი თავსა იწენს.

U 752-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ვეზირი გამოიღნა (გაეცალა), ნამდილადა ვერაფერს ამბობს შიშით, გამოიძრნა, მელასავით გამოიპარა, დანყლულულ გულს იტკივებს; შესვლისას თამაში იყო, გამოსვლისას შენუხებულა; ენა ასე შეარცხვენს (კაცს), მტერი მტერს (იმდენ) ვნებას ვერ მოუტანს, რამდენსაც კაცი თავის თავს (აწენს).

760 თქვა: „ცოდებათა ჩემთა მსგავსი ღმერთმან მეტი რა მოჩუნოს?  
რად მოვლორდი, რად დაებნელი, ნეტარ, ვინლა გამოითუნოს!  
ვინცა კაცმან კადნიერად პატრონსა რა მოაქსუნოს,  
და ჩემნი დღენი მასმცა ადგან, რაძი ვითა გაისუნუნოს!“

U 753-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: თქვა: „ჩემი ცოდვების შესაფერისს ღმერთი მეტს რას შემამთხვევს? რატომ მოვტყუვდი, გონება რამ დამიბნელა, ნეტავ ვინლა გამოითუნოს! ვინც კადნიერად პატრონს (მეფეს) რამეს გაუბედავს, მას ჩემი დღე დაადგეს, რარიც მოსვენებული იყოს!“ პროექტით დ-ს შინაარსი ასე იყო წარმოდგენილი: მას ჩემი დღე დაადგება, ვნახოთ, როგორ მოისვენებს!

761 ვაზირი განიღებული მივა ბეღითა შავითა;  
ავთანდილს უთხრა დაღრვევით, პირითა გამქუშავითა:  
„მაღლი რა გკადრო, ან თქვენგან გავხასდი მე მამა ვითა,  
და ვაჟ, კარგი თავი უებრო დავკარგე დავამავითა!“

u 754-თან შედარებით პროექტში ცვლილება: დ ვაჲ (ვა). პროექტით დ-ს შინაარსია: „ვაი, უებრო, კარგი თავი დაველუპე დაშავებით („დავაშავე“-თი)“.

ი. გიგინეიშვილი: დ-ს პროექტისეული გადმოცემა მეტად ხელოვნურია, რაც გამონეველია იმით, რომ მიღებულია გაუგებარი ნაკითხვა დავაშავეითა. B<sup>6</sup> B<sup>10</sup> B<sup>11</sup> B<sup>13</sup> D<sup>1</sup> D<sup>2</sup> ის ნაკითხვა დანაშავეითა შეიძლება თვით ხელნაწერებშივე რედაქტორისეული იყოს, მაგრამ, რადგან ერთადერთი აზრიანი ნაკითხვა ჩანს, უნდა მივიღოთ.

რედაქციის ნეერები დაეთანხმენ ი. გიგინეიშვილს და დ-ში მიღებულ იქნა დანაშავეითა. წინააღმდეგნი – ც. კიკვიძე და ს. ცაიშვილი.

პროექტი ამ ცვლილებით მიღებულ იქნა.

ს. შ.: განბილებული, გაუბედურებული ვეზირი მიდის; ავთანდილს უთხრა დაღონებულმა, გამწყრალმა: „რა მადლობა გითხრა, (ხედავ), თქვენ გამო ახლა როგორი წარჩინებული გავხდი, ვაი, უებრო, კარგი თავი დაველუპე (ჩემი) დანაშაულოთ!“

762 ქრთაშა სთხოვს და აშანაგობს, თუცა ცრემლსა არ იწურევებს: – მიკვირს, რად სცალს წყლიანობად, რად არ გულსა შუიურევებს! – „ვინ არ მისცემს ქადებულსა, მოურავსა მოიმდურევებს, და თქმულა: „ქრთამი საურავსა ჯოჯოხეთისცა დაიურევებს.“

u 755-თან შედარებით პროექტში ცვლილება: ა არ იწურევებს (ვერ იწურევებს). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: საჩუქარს სთხოვს და ხუმრობს, თუმცა ცრემლის ღერას არ წყვეტს: – მიკვირს, სად სცალია ენაწყლიანობისათვის, გულს რატომ არ დაიმწუხრებს (უებნება ავთანდილს:) „ვინც დაპირებულს არ გაიღებს, მზრუნველს მოიმდურებს. ნათქვამია: «საჩუქარი ჯოჯოხეთშიც მოაგვარებს მოსაგვარებელ საქმეს».

763 ვით გამწადა, რა მიბრძანა, არ ეგებოს ჩემგან თხრობა: რა სიავე, რა სირეგუნე, რა შლოობა, რა შმაგობა! მე თუთი კაცად აღარ ვარგვარ, აღარა მოც თავსა ცნობა; და ესე მიკვირს, რად არ მომკლა, მისცა თურე ღმერთმან თობობა.

u 756-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: როგორ გამწადა, რა მითხრა, ჩემგან ამის თქმა შეუძლებელია; (რა არ დამწამა:) სიავე, სირეგუნე, სისულელე და სიგიჟე! მე თვითონ კაცად აღარ ვვარგვარ, გონება დაკარგული მატეს; ეს მიკვირს, რატომ არ მომკლა, ალბათ ღმერთმა მოთმინება მისცა.

764 მეცა ვიცოდი, რაცა ვქმენ, ცთომით არ ნაშკიდებია; ვიაზრე, გამიწყრებოდა, წმუნეა მით გამდიდებია; განგებით ქმნილსა რისხევასა ვერავინ დარიდებია! და შენთვის სიკუდილი ღმერთად მიჩნს, ჭირი არ გამცულებია“.

u 757-თან შედარებით პროექტში ცვლილება: დ მიჩნს (მიჩს). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მეც ვიცოდი, რაც ჩავიდინე, უცოდინარობით არ მომსვლია; ვიაზრე, რომ გამიწყრებოდა, მწუხარება მით უფრო მომმატებია; განგებისგან მოვლენილ რისხევას ვერავინ გაქცევა! შენთვის სიკუდილი ღმერთად მიმანია, ჭირი ამაოდ არ მინახავს“.

764,1 ყმამან უთხრა: „შენი წყრომა მეცა განა დამიძიმდა, მაგრა ქრთამი რადლა გმართებს? – გაიცინნა, გაცალაღმდა, –

შენ ადიმი გავიმეზდა, არ თუ მეში გიადიმდა.

და რა აქიმი დასნულდეს, მისთუის ეინმცა გააქიმდა!

x 934-თან შედარებით პროექტში ცვლილება: ა შენი (შენთვის), მეცა (მემცა), გ არ თუ (ართუ), დ მისათუის (ვისთვის); ბ-ში (კითხვის ნიშნის შემდეგ) და გ-ს დასაწყისში ბრჭყალები მოშლილია; ბ-ს მეორე ნახევარი ტირეებითაა გამოყოფილი; გ-ს ბოლოს მძიმის ნაცვლად ნურტილი ზის, დ-ს ბოლოს კი ნურტილის ნაცვლად – ძახილის ნიშანი. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მოყემე (ავთანდილმა) უთხრა: „მეც ნამდვილად მენყინა (მეფის) შენზე განყრომა, მაგრამ საჩუქარი რილასათის გეკუთვნის? – გაიცინა, გაიღმა, – შენ ადიმი (ძვირფასი ქოვილი) მეშად (დაბალი ღირსების ტყავად) გექცა, არა თუ მეში – ადიმად. ექიმი რომ დასნულდება, მას ვინ უექიმებს!“

764,2 მოაწუნა კულა ვაზირმან: „შე რა გინდა ნამეკიდოს, მოინყრომებს, შე-ცა-მინდობს, ნუთუ გული გაინმიდოს; შენ რასა იქ, ესე მითხარ, ჩემი ჭმუნვა გაიდიდოს!

და ჯაშცა, კაცმან სასიკუდილოდ თავსა არა არ დარიდოს!“

x 935-თან შედარებით პროექტში ცვლილება: ბ გაინმიდოს (გაინმინდოს), დ სასიკუდილოდ (სასიკვდილოდ); გ-ს ბოლოს ნურტილის ნაცვლად ძახილის ნიშანია; დ-ში ჯაშცა-ს შემდეგ დასმულია მძიმე. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ვეზირმა კვლავ უთხრა: „შე რაც უნდა დამემართოს, განყრომა გადაუელის, შემინდობს კიდევ, იქნებ გული გაინმინდოს; ეს მითხარ, შენ რას იზამ, ჩემი მწუნარება გადიდდეს! განა საჭიროა, რომ კაცმა სასიკვდილოდ თავს არაფერი მოარიდოს!“

## 1977. 24. VI

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს: 765 (პროექტი მოამზადა II ვკუფმა); 766–771 (პროექტი მოამზადა III ვკუფმა).

765 ყმაძან უთხრა: „აღარანსლვა არ ეგების ჩემგან არის. იადონი მაშინ მოკუდეს, ოდეს ვარდმან იდამჭნაროს.

ჯაშ, უტებნოს ცუარი წყლისა, მისთუის თაი ყოვლგან არის,

და ვერ უპოვოს, რა ქმნას ანუ გული რითა დაინყნაროს!

u 758-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ა. ბარამიძე: დ-ში რითა-ს ნაცვლად რიგი ხელნაწერი და გამოცემა კითხულობს რათა ფორმას. ვფიქრობ, ჩვენც ეს ნაკითხვა უნდა მივიღოთ.

რედაქციის წევრებმა აღნიშნეს, რომ რითა „ვტ“-ის ენისათვის უჩვეულო ფორმა არ არის. შდრ. რითაში ხმარების შემთხვევები: ავთანდილს უჭურის: „ამბავი ისი თუ ვცნაო მე რითა?! 222, და სხვ.

დაადგინეს: დარჩეს ნაკითხვა – რითა. პროექტი მიღებულ იქნა. მოგვიანებით დ-ში ანუ-ს ნინ დაისვა მძიმე.

ს. შ.: მოყემე (ავთანდილმა) უთხრა: „ნაუსვლელობა ჩემგან სრულიად შეუძლებელია. იადონი მაშინ მოკედება, როცა ვარდი დაჭყნება. (ამიტომ) საჭიროა (იადონმა) მოუტებნოს

(ვარდს) წყლის ცვარი, მისი გულსისთვის ყველგან იაროს (თავი ყველგან ატაროს). თუ ვერ უპოვის, რა ქნას, ან გული რით დაინყნაროს!

766 უმისოდ მყოფი ვერ გაეძღვება ჯდომასა, ვერცა ნოლასა,  
მართ ნადირთაებრ გაჭრასა ეირჩევე, მათთანა რბოლასა;  
ასრე გასრულსა რად მწუკვეს მისთა მებრძოლთა ბრძოლასა?  
და სჯობს უყოლობა კაცისა მომდურავისა ყოლასა.

U 759-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: უმისოდ (უტარვილოდ) მყოფი ვერ გაეძღვება ვერც მჯდომარე და ვერც მწოლარე. ნადირებივით გაჭრას და მათთან ხეტიალს (სირბილს) ვამჯობინებ; ასე გამზდარს (ამ ყოფაში ჩავარდნილს) რატომ მთხოვს (როსტევეანი) მის მტრებს ვებრძოლო? მომდურავი კაცის ყოლას უყოლობა სჯობია.

767 მოვაწესებ ერთხელ კულაცა, ან რაზომცა მეფე წყრების,  
ნუთუ გაბრჭოს, გული ჩემი ვით ინწის და ვით ენთების;  
არ გამიშუებს, გავიპარევი, რა იმედი გარდმინყდების,  
და მე თუ მოვკუდე, ჩემი კერძი სოფელიცა გარდიფხურების!"  
U 760-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

გ. კარტოზია: დ-ში მცა ნაწილაკი ზედმეტიცა. უნდა: სოფელიცა გარდიფხურების. ტაეპის აზრია: როცა მე მოვკვდები, ჩემი წილი ქვეყანა მოისპობა.

ს. ცაიშვილი: სწორია: აეთანდღილს უნდა თქვას, რომ მისი სიკვდილით მხოლოდ მისი წილი ქვეყანა მოისპობა.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს ნაკითხვა – სოფელიცა.

ს. შ.: ერთხელ კიდევ მოვახსენებ, ახლა როგორადაც უნდა წყრებოდეს მეფე, ეგებ განსაჯოს, ჩემი გული როგორ ინწის და როგორ ენთება. თუ არ გამიშუებს, გავიპარები, იმედი რომ გადამინყდება; მე თუ მოვკვდები, ჩემი წილი ქვეყანა გადაიფხურება (მოისპობა)!"

768 მოოზუნეს. ვაზირმან ქმნა ჭამა-სმანი მათი ფერნი,  
უმასპინძლა, ძღუენნი უძღუნნა შუენიერსა შუენიერნი,  
მისნი ყოვლნი აუუაყენა, მოყმენი და თუნდა ბერნი.  
და გაიყარნეს, ყმა ნაყიდა, სახლად ჩადგეს მზისა წუერნი.

U 761-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: გ ყოვლნი (მყოლნი).

გ. კარტოზია: არ არის საფუძველი გ-ში მყოლნი ფორმის ყოვლნი-თ შეცვლისათვის. მყოლნი არც ფორმის, არც შინაარსის თვალსაზრისით არ დაინუნება. ხელნაწერებიც უფრო მას უჭერენ მხარს.

ც. კოკიძე: „ვტ“ -ში მყოლნი მხოლოდ კომპოზიტიში გვაქვს (მაგ., თანამყოლნი), დამოუკიდებლად არ გვხვდება. ამიტომ ვამჯობინებ  $A^2 A^{12} B^7 B^8$ -ს ნაკითხვა ყოვლნი.

ი. გიგინეიშვილიც მხარს უჭერს ყოვლნი ფორმას.

დაადგინეს: აღდგენილ იქნეს ნაკითხვა – მყოლნი.

პროექტი ამ ცვლილებით მიღებულ იქნა.

ს. შ.: მუსაიფი დაასრულეს. ვეზირმა მათი შესაფერისი პურობა გაუმართა, მასპინძლობა გაუნია, მშვენიერს (აეთანდღილს) მშვენიერი ძღვენი მიართვა, მისი მზღებლებიც აავსო (საუჭურებით), ახალგაზრდები თუ მოხუცები. გაიყარნენ, მოყმე ნაყიდა, მზე შევიდა თავის სახლში (=შესაღამოვდა).

რედაქციის წევრებს მაჩინათ, რომ სტროფის ბოლო ფრაზა – სახლად ჩადგეს მზისა წუერი (მზე თავის სახლში შევიდა) – შეიძლება ნიშნავდეს ამასაც: ავთანდილი შინ დაბრუნდა.

769 შეკრა ნითელი ასი ათასი პირად შებან და ტანად სარომან,  
სამასი თავი სტაურა-ატლასი უხუმან, ნიადაგ მოუმცთარომან,  
სამოცი თვალი ლალ-იაგუნდი ფერად მართ ვითა მოუმზადარომან.  
და კაცი გაგ ზაუნა ვაზირისასა, ესე ყწელი მისთვის არო მან.

u 762-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. ა. ბარამიძე: სტროფის ნამდვილობა ეჭვს არ იწვევს. იგი შინაარსობრივად აუცილებელია. არც მისი განსხვავებული ზომა (ოცმარცვლიანობა) არის წარმოუდგენელი თექვსმეტმარცვლიანი მაირით დაწერილ ტექსტში. მდრ. თექვსმეტმარცვლიანი საზომით დაწერილი სტროფების არსებობა ოცმარცვლიანი ჩახრუხულით ნანერ „თამარიანში“.

ი. გიგინეიშვილი: გ-ის მეორე ნახევარი რიგ ხელნაწერსა და გამოცემაში ასე იკითხება: ფერად არ მათმან საუარომან. ეს უნდა იყოს პირვანდელი წაკითხვა. ტაეპის აზრია: სამოცი თვალი ლალ-იაგუნდი შეკრა ავთანდილმა, ფერად მათზე (ლალ-იაგუნდებზე) უარესად (უარედ) არმისაჩნევმა.

რედაქციამ მიიღო ეს მოსაზრება.

ს. შ.: ლამაზმა და ტანადმა (ავთანდილმა) შეკრა ასი ათასი ოქრო, სამასი თავი ძვირფასი ქსოვილი, უხვმა, მუდამ უტყუარმა, სამოცი თვალი ლალ-იაგუნდი ფერად მათზე (ლალ-იაგუნდზე) უარესად არმისაჩნევმა. კაცი გაგ ზაუნა ვეზირისას, ეს ყველაფერი მისთვის გაატანა მან (ავთანდილმა).

770 შესთვალა, თუ: „რაცა გმართებს, ვით მოგცე და ვით გაქონო,  
ვალთა შენთა გარდსაჯდელად რა ნაცვალი მოვიგონო?  
თულა დაფრე, შენთვის მოვკუდე, თაუ ჩემი დაგამონო,  
და სიყუარული სიყუარულსა შეგიცალო, შეგინონო“.

u 763-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: შეუთვალა: „რაც გეკუთენის (შეგეფერება), როგორ მოგცე და როგორ მოგანიჭო, შენი ვალის გადასახდელად რა სამაგიერო მოვიფიქრო? თუ ცოცხალი ვიქნები (გადაურჩები), შენთვის მოვკუდე, თაეს დაგამონებ, (ჩემს) სიყვარულს (შენს) სიყვარულს გავუტოლებ, მივუსადაგებ“.

771 მე ვითა ვთქვა უებრობა, სიკეთე და ქება მისი!  
კაცი იყო საქმისაცა შესაფერი, შესატყუისი;  
ასრე უნდა მოქმარება, გავილოდეს ვისცა ვისი.  
და ოდეს კაცსა დაეჭიროს, მაშინ უნდა ძმა და თვისი.

u 764-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მე როგორ ვთქვა მისი უებრობა (სწორუპოვრობა), სიკეთე და ქება! კაცი იყო საქმის შესაფერისი, შესაბამისი; ასე უნდა მოხმარება, ვისაც ვისიმე (საქმე) ენაღვლება. როდესაც ადამიანს გაუჭირდება, მაშინ სჭირდება ძმა და თავისიანი.

1977. 9. XI

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ს. ცაიშვილი.

განიხილეს: 772-774,1 (პროექტი მოამზადა III ჯგუფმა).

**772 შერმადინს ეტყუის, უბრძანებს პირში, ნათელა მფენელი:**

„ესე დღე არის იმედი, ჩემის გულისა მლხენელი,  
შენგან თავისა შენისა საჩემოდ გამოშენელი“.

და მტკბრად ამბისა მათისა წამს მკითხველი და მსმენელი.

U 765-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

გ. კარტოზიას წინადადებით ბ-ში ჩემის შეიცვალა ჩემი ფორმით.

ს. შ.: შერმადინს ეუბნება პირში, ნათლის მფენელი (ავთანდილი): „ეს დღეა ჩემი იმედი, გულის მლხენელი, ჩემთვის შენგან საკუთარი თავის გამოშენელი“. მათი ამბის მაქებრად უნდა მკითხველი და მსმენელი.

**773 იტყუის: „როსტან არ გამოშუა, არცა სიტყვა მომისმინა;**

მან არ იცის, რათა, ვინა და სულდგმული ვისგან ვინა;

უმისომცა ნუ ცოცხალ ვარ ნუცა გარე, ნუცა შინა

და რაცა საქმე უსამართლო ღმერთმან ვისმცა შეარჩინა!

U 766-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ი. გიგინეიშვილი: ბ-ში ორივე ვინა ერთნაირი აგებულების სიტყვაა (ვინ+ა = ვინ არის). ამიტომ რათა-ს შემდეგ მძიმე საჭირო არ არის.

რათა-ს შემდეგ მძიმე მოიშალა. პროექტი ამ ცვლილებით მიღებულ იქნა. მოგვიანებით ვინ-ა ორივე დაიწერა დეფისით.

ს. შ.: ამბობს: „როსტეევანმა არ გამოშუა, არც სიტყვა მომისმინა; მან არ იცის, ვინ რით არის და ვინ ვისით სულდგმულობს. უმისო (უტარიელო) ცოცხალი ნუ ვიქნები ნურც შინ და ნურც გარეთი ღმერთი ვის შეარჩენს რაიმე უსამართლო საქმეს!)

**774 თუცა მისი არგანირვა ჩემგან მტკიცობს, არ სათუობს,**

გული, მისი უნახავი, ტირის და სულთქუამს, ვაებს, უობს,

ლხინსა არას არ იახლებს, ვრიდების, ჰკრთების, ქსუობს.

და ყოვლი ცრუ და მოღალატე ღმერთსა ჰგმობს და აგრე ცრუობს.

U 767-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ა. ბარამიძე: გ-ის მეორე ნახევარს რიგი ხელნაწერი განსხვავებულად კითხულობს: ჰკრთების, კუმტობს, ვახშობს, უშობს(//ქუშობს). ვახშობს ტაეპში პირვანდელი წაკითხვა ჩანს. იგი ნაწარმოებია სპარსული სიტყვიდან ვახშ „ველური“. ვახტანგის გამოცემაში ვაშობს კორექტურაა, რომელიც ამოსავლად ვახშობს ფორმას გულისხმობს.

რედაქციამ ტაეპის წაკითხვა მიიღო ამ სახით: ლხინსა არას არ იახლებს, ჰკრთების, კუმტობს, ვახშობს, ქსუობს. ამასთან, აღინიშნა, რომ ასეთი წაკითხვა არც ერთ ხელნაწერში არ დასტურდება, იგი ხელნაწერთა სხვადასხვა ჯგუფში წარმოდგენილი წაკითხვების კონტრამინაციით არის მიღებული.

რედაქციის ნეკრებმა ყურადღება მიაქციეს იმას, რომ პროექტით წარმოდგენილი თანმიმდევრობა ტაეპებისა მხოლოდ ორ ხელნაწერში ( $A^3 A^9$ ) დასტურდება. ხელნაწერთა უმრავლესობაში ა და ბ გ რიგია დაცული.

ს. ცაიშვილი: ხელნაწერთა ჩვენებას ანგარიში უნდა გავუწიოთ და ჩვენს გამოცემაშიც ეს რიგი (ა და ბ გ) უნდა მივიღოთ.

ი. გიგინეიშვილი: მაგრამ ა („თუცა მისი არგანირვა...“) შინაარსობრივად სწორედ იმ ტაქტთან არის დაკავშირებული („გული, მისი უნახავი...“), რომელიც ხელნაწერთა დიდ ნაწილში მესამე ადგილზეა. ამ ორი ტაქტის აზრია: თუმცა მისი (ტარიელის) არმიტოკეზა მე მტკიცედ მაქვს გადაწყვეტილი, (მაინც) მისი უნახავი გული ტირის...

გ. კარტოზია: იმისათვის, რომ ეს კავშირი ჩანდეს, ამ ორ ტაქტს შორის გადასასმელი ტაქტი („ყოველი ცრუ და მოლალატი...“) გამოვეყოთ ტირებით.

დაადგინეს: ტაქტები დალაგდეს ა დ ბ გ თანმიმდევრობით. ა და ბ-ის ბოლოს დაინეროს მძიმე და ტირე.

ს. შ.: თუმცა მისი არმიტოკეზა ჩემგან მტკიცედ არის გადაწყვეტილი, არ არის სათუო, – ყოველი ცრუ და მოლალატი (ადამიანი) ღმერთს გმობს და ამგვარად ცრუობს, – მისი უნახავი გული (მაინც) ტირის და ოხრავს, ვისა და უის იძახის, არავითარ სიხარულს არ იკარებს, კრთება, კუშტობს, გაველურებული, გაგარეულებულია.

774,1 ოდეს ბრძენთა გავიგონით გონებითა მითი და გორით,  
მოჯნური და სამოჯნურო ერთმანერთსა შევასწოროთ;  
ერთად ვთქუენით, გაუყრელად, მათი არა გავაოროთ,  
და მოყურებსა მოყურისაგან მოგონება უნდა შორით.

X 946-თან შედარებით პროექტში ცვლილება: ა ბრძენთა გავიგონით (ბრძენმან გაიგონოს). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: როდესაც ზემოდან – მთიდან და გორიდან – გონებით შევიცნობდით ხოლმე ბრძენთა (ნათქვამს), მიჯნურსა და სამიჯნუროს ერთმანეთს ეუთანაბრებდით; მათზე ერთად ვამბობდით, არ გავაცალკევებდით, მეგობარმა მეგობარი შორიდან უნდა მოიგონოს.

ს. ცაიშვილს და ე. მეტრეველს მიაჩნიათ, რომ დ-ის აზრია: მეგობარმა მეგობარი შორიდანაც უნდა მოიგონოს.

## 1977. 16. IX

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს: 775–777 (პროექტი მოამზადა III ჯგუფმა); 778 (პროექტი მოამზადა II ჯგუფმა).

775 სამი არის მოყურისაგან მოყურობისა გამოჩენა:  
პირველ, ნდომა სიახლისა, სიშორისა ვერმითმენა,  
მიცემა და არას შური, ჩუქებისა არმონჯენა,  
და გავლენა და მოჭმარება, მისად რგებად ველთა რბენა.

უ 768-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ: სამი რამ გამოაჩენს მეგობრის მეგობრობას: პირველი – ახლოს ყოფნის სურვილი, სიშორის ვერმითმენა, (მეორე –) მიცემა და არაფრის დაშურება, ჩუქების მოუწყენლობა, (მესამე –) საშხაბურის განევა და მიხმარება, მის სასარგებლოდ ველად რბენა.

775,1 მან გამისრულა ყუელაი ესე ნესი და რიგები;



ან ჩემგან მართებს მუჟაფა, გულომცა, ჭირსა შიგ ები;  
თუ ვერა ვარგო, მას თანა მუცა ნა-სადმეუიგები,

და ხარ რაზომ ფერი, სოფელო, არვისგან არ შეიგები.

x 948-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ბ მართებს (ჰმართებს), გულომცა, ჭირსა შიგ ები (გულომცა ჭირსა შეები), გ მას თანა (მისთანა), ნა-სადმეუიგები (ნასადმევეგები).

ბ-ის მეორე ნახევრის ნაკითხვად მიღებულ იქნა: გულო, ჭირსამცა შიგ ები; დ-ში რაზომფერი დაიწერა ერთად.

ს. შ.: მან ყველა ეს წესი და რიგი (პირობა) შემისრულა; ახლა ჩემგან ეკუთვნის სამაგიეროს მიზლვა, გულო, ჭირში უნდა გაება; თუ ვერაფერს ვარგებ, მასთან (ერთად) მეც სადმე დაიკარგები; თუ როგორი ხარ, წუთისოფელო, ვერაფინ გაიგებს.

776 რადლა ვაგრძელებ სიტყუასა, ჟამია შემოკლებისა

ან გაპარვაა ნამალი ამა გულისა ლებისა.

რასაცა გვედრებ, ისმენდი, ეორე დრო გქონდეს ზღებისა;

და შენ გაამაგრე დაჭირვა ჩემისა ნასნაულებისა.

u 769-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: რატომღა ვაგრძელებ სიტყუას, შემოკლების დროა! ახლა ამ (ჩემი) დაწყულელებული გულის ნამალი გაპარვაა. რასაც გაბარებ, ისმინე, ვიდრე ჩემთან ხარ; შენ მტკიცედ დაიცავი ჩემი ნასნაულები.

777 ან მეფეთა სამსახურად პირველ თავი დააშზადე,

სიკეთე და უკლებლობა შენი ერთობ გააცხადე;

სახლი ჩემი შეინახე, სპათა ჩემთა ვთავადე,

და სამსახური აქამდისი, კულა გავლენა გააკულადე.

u 770-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა. მოგვიანებით დ-ის ბოლოს ნერტილის ნაცვლად დაისვა ძახილის ნიშანი.

ს. შ.: ახლა, უპირველეს ყოვლისა, მეფეების (როსტევანისა და თინათინის) სამსახურისათვის მოემზადე, შენი სიკარგე და უნაკლულობა სრულად გამოაჩინე; ჩემს სახლს (სამკვიდროს) კარგად მოუარე, ჩემს ჯარს უფროსობა გაუნიე, აქამდე განუული სამსახური კვლავ განაგრძე!

778 მტერთა ჩემთა ენაპირე, ძალი წურა მოგაკლდების,

ერთგულათთვის კარგი წუ გმურს, ორგულიმცა შენი კუდების!

შეხოვიქვე, შენი ჩემგან ვალო კარგად გარდიქვდების;

და პატრონისა სამსახური არაოდეს არ წაქვდების".

u 771-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: საზღურები დაიცავი მტრებისაგან, ძალა წუ მოგაკლდება, ერთგულებისათვის კარგს წუ დაიბურებ, შენი ორგული მოკვდეს! თუ დაებრუნდი, შენს ვალს კარგად გადავიხდი; პატრონის სამსახური არასდროს დაიკარგება.

## 1977. 23. IX

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, შ. ძიძიური.

განიხილეს: 779–783 (პროექტი მოამზადა II ფეუფმა).

**779** ესე ესმა, ცრემლი ცხელი შერმადინსა თულა სდინდი;  
მოაწესნა: „მარტოობით ჭირსა რადმცა შეუშინდი!  
მაგრა რა ექნა, უმუნოსა დამეცემის გულსა ბინდი  
და ნამოტანე სამსახურად, მოგეწმარო, რადცა გინდი.

u 772-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ბ შეუშინდი (შეუშინდი). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ეს რომ გაიგონა, შერმადინს თვლებიდან ცხელი ცრემლი წამოუვიდა; უთხრა: „მარტოობის გამო ჭირს რატომ შეუშინდები! მაგრამ რა ექნა, უმუნოდ მყოფს გული რომ დამიბნელდება (გულზე ბინდი დამეცემა)! ნამიყვანე (შენს) მსახურად, რადაც გინდა, გამოგადგები.

**780** ვის ასმია მარტოსაგან ლარიბობა ვგზომ დდილი  
ვის ასმია პატრონისა ჭირსა შიგან ყმისა რიდი  
დაკარგულსა გიგონებდე, რა ვიქმნები აქა ფლიდი?”

და ყმამან უთხრა: „ვერ ნაგიტან, რაზომსაცა ცრემლსა ლწრიდი.

u 773-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ვის გაუგონია მარტო კაცის ასე ხანგრძლივად გადახვეწა! ვის გაუგონია პატრონის გაჭირვებაში ყოფნის დროს ყმის მიერ თავის განრიდება! დაკარგულს (რომ) მოგიგონებ, როგორ ვიქნები აქ პირშავი?” მოყმემ (ავთანდილმა) უთხრა: „ვერ ნაგიყვან, რამდენი ცრემლიც უნდა ღვარო.

**781** შენგან ჩემი სიყუარული ვითამც არა დამეჯერა,  
მაგრა საქმე არ მოჭდების, უამი ასრე დამემტერა!  
ვის მივანდო სახლი ჩემი, შენგან კიდე ვინმც შეურა?!

და გული დადევ, დაიჯერე, ვერ ნაგიტან ვერათ ვერა!

u 774-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: დ ვერ ნაგიტან ვერათ, ვერა! (ვერ ნაგიტან, ვერა, ვერა!).

ა. ბარამიძე: დ-ში უნდა აღდგეს ძველი ნაკითხვა (ვერ ნაგიტან, ვერა, ვერა!) სიტყვათა სპეციფიკური განმეორებით, ეს ნაკითხვა დაცულია კარგ ხელნაწერებში; ვერათ (//ვერად) ვერა ნარედაქციევ ხელნაწერებშია წარმოდგენილი.

ი. გიგინეიშვილი: ვერ ნაგიტან, ვერა, ვერა ლექსთწყობის თვალსაზრისითაც უკეთესი ნაკითხვაა.

გ. კარტოზიას და ც. კიკვიძის აზრით, უფრო სავარაუდებელია ვერათ, ვერა გადასწორებულიყო ვერა, ვერა-დ, ვიდრე პირიქით.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს ნაკითხვა: ვერ ნაგიტან, ვერა, ვერა! (წინააღმდეგნი – გ. კარტოზია, ც. კიკვიძე).

ს. შ.: შენს სიყვარულს როგორ არ დაიფიქრებ, მაგრამ (ეს) საქმე არ მოხდება, დრო ასე გადამემტერა! ვის მივანდო ჩემი სახლი, შენ გარდა ვინ იქნება ჩემი შესაფერი?! დაწყნარდი, დაიჯერე, ვერ ნაგიყვან, ვერა, ვერა!

**782** თუ მიჯნური ვარ, ერთი ევამ ხელი მინდორთა მე რებად;  
არ მარტო უნდა გაჭრილი ცრემლისა სისხლსა ფერებად?  
გაჭრა ჭელია მიჯნურთა, რად სცალს თათისა ბერებად!

და ასრე ესე სოფელი, შესჯერდი კულა შეჯერებად.

u 775-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: თუ მოყვნილი ვარ, მარტოს შემეფერება ვიარო გახელეზულმა მინდვრად; (ველა) გაჭრილი (განა) მარტო არ უნდა იღებავდეს ცრემლს სისხლით? გაჭრა მოყვნილია ნესია, რატომ სცალია თავის დასაბერებლად! (- რატომ უნდა დაბერდეს შინ!) ასეა ეს ქვეყანა, მტკაცედ დარწმუნდი (ირწმუნე კვლავ დასარწმუნებლად)!

783 რა მოგზორდე, მაწუნებდი, სიყვარული ჩემი გჯონდეს;  
არ ვეშოვი მტერთა ჩემთა, თავი მონად მომიმონდეს.  
ჯამს, მამაცი გაგულოვნდეს, ჭირსა შიგან არ დალონდეს.  
და მძულს, რა კაცსა სააუგო საქმე არა არ შესწონდეს.

u 776-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: როდესაც დაგზორდები, ხშირად მახსენე, ჩემი სიყვარული გჯონდეს; არ მეშინია ჩემი მტრებისა, თუ ჩემი თავი მემორჩილება. საჭიროა მამაკაცი გამამაცდეს, ჭირში არ შედრკეს. მძულს, როცა კაცს არავითარი სამარცხვინო საქმე არ ანაღვლებს.

## 1977. 30. IX

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს: 784-789 (პროექტი მოამზადა II ჯგუფმა).

784 მე იგი ვარ, ვინ სოფელსა არ ამოუკრეფ კიტრად ბერად,  
ვის სიკუდილი მოყურისათის თამაშად და მიჩანს მღერად;  
ჩემსა მზესა დავეთხოვე, გაუშვივარ, დაედგე მე რად!

და მას თუ დავსთმობ, სახლსა ჩემსა ველარ დავსთმობ ვისსა ვერად?

u 777-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: გ გაუშვივარ (გაუშვივარ). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მე ის ვარ, ვინც ქვეყანას ბებერ კიტრად არ მივიჩნევ (არაფრად ვაგდებ), ვისაც მეგობრისათვის სიკუდილი გართობად და თამაშად მიმჩნია; ჩემს მზეს (თინათინს) დავეთხოვე, გამიშვა, რატომ დავრჩე! თუ მას დავთმობ, ჩემს სახლს ვერ დავთმობ?

რედაქცია აღნიშნავს, რომ სტროფის დაბოლოება ბუნდოვანია. ვარიანტები საშუალებას არ იძლევა გავიგოთ ტაგის აზრი. კერძოდ, გაუგებარია ვისსა ფორმა.

785 ან ანდერძა ჩემსა მოგცემ, როსტანს წინა დანურილსა;  
შენ შეგვედრებ, დაგიჭიროს, ვითა გმართებს ჩემსა ზრდილსა.  
მოკრუდე, თავსა წუ მოიკლავ, სატანასგან წუ იქ ქმნილსა,  
და ამაზედა იტირებდი, დაიდებდი თუალთა მილსა“ -

u 778-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: გ იქ (იქმ).

ი. გიგინეიშვილის აზრით, ბ-ში ზმნის მეორე პირის ფორმა (გმართებს) უნდა შეიცვალოს ზოგადი მნიშვნელობის მქონე მესამე პირის ფორმით (მართებს). ს. ცაიშვილი მზარს უჭერს ამ მოსაზრებას.

რედაქციის სხვა წევრებს მიაჩნიათ, რომ ანგარიში უნდა გაენიოს ხელნაწერთა უმრავლესობის ჩვენებას და დარჩეს გმართებს ფორმა, რომელიც ამ კონტექსტში საკუთებით გასაგებია.

დაადგინეს: დარჩეს ნაკითხვა გმართებს (წინააღმდეგნი – ი. გიგინეიშვილი და ს. ცაიშვილი.

მოგვიანებით დ-ს ბოლოს ბრწყალებისა და ნერტილის ნაცვლად დაინერა ძახილის ნიშანი და ბრწყალები.

ს. შ.: ახლა ჩემს ანდერძს მოგცემ, როსტევეანთან მიწერილს; შენს თავს მას ჩავაბარებ, (ისე) მიგიღოს, როგორც ჩემს გაზრდილს შეგფერება. თუ მოკვდე, თავს ნუ მოიკლავ, სატანის (ეშმაკის) საქმეს ნუ იზამ, ამაზე იტირე, თვალეზე მილი დაიდევ (ცრემლები ღვარე)!"

785,1 საწოლს ზის პირმზე ავთანდილ, გავს ანდერძისა მწერებად;  
თუალნი მელნისა ნაშნითურთ, წარბი გიშრისა ფერებად;  
ახლა აშლია უღვაში, ია ეხვევის წვერებად;  
და არაბეთს როსტევეანისთუს მზე ლამის დანაწერებად.

x 959-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: პირმზე ავთანდილი საწოლში ზის, ანდერძის მწერალი ჩანს; თვალეები მელნის(ფერი) ნაშნამებითურთ (და) წარბები გიშრის მოუგავს; უღვაში ახლად აშლია, წვერებად ია ეხვევა (ხუჭუჭი წვერი აქვს); არაბეთში როსტევეანისთუს მზე ჩასვლას ლამობს.

786 დაჯდა წერად ანდერძისა, საბრალოსა საუბრისადა;  
„შე მეფუო, გავიპარე ძებნად ჩემგან საძებრისადა;  
ვარ დავდგები შუაურულად ჩემთა ცეცხლთა მომდებრისადა;  
და შემიწიდე და ნამატანე მონყალება ღმრთაებრისადა.

u 779-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ანდერძისა (ანდერძისად).

გ. კარტოზია: პროექტში, ხელნაწერთა უმრავლესობის ჩვენების თანახმად, აღდგენილია ნანათესაობითარი ვითარებითის შეუთახნმებელი (უღონო) ფორმა (ანდერძისა), რომელიც ჩვეულებრივია როგორც ძველი, ისე მომდევნო ხანის ქართულისათვის.

ი. გიგინეიშვილი: ვფიქრობ, ასევე უნდა მოვიქცეთ სარიტმო სიტყვათა შემთხვევამიც (საუბრისა, საძებრისა, მომდებრისა, ღმრთაებრისა). ჩემთვის, კერძოდ, გაუგებარია ღმრთაებრისად ფორმა (მონყალება ღმრთაებრისად).

გ. კარტოზია: ბოლოკიდური დ-ს (ვითარებითის ნიშნის) მოშლა ა ბ გ -ში კიდევ შეიძლებოდა, ხელნაწერთა ჩვენება რომ არ გვიშლიდეს ხელს, მაგრამ სწორედ დ-ში არ შეიძლება ბოლოკიდური დ-ს მოშორება. ღმრთაებრისად საზღვრულწავარდნილი მსაზღვრელია და ნანათესაობითარი ვითარებითის სრული დაბოლოება აქ აუცილებელია. ღმრთაებრისად = ღმრთაებრი მონყალებისად, ე. ი. ღმრთაებრი მონყალების მსგავსად. შდრ. სდის ზღვათა შესართავისად (1791, 1241,) = სდის (ცრემლი) ზღვათა შესართავი ცრემლისად, ე. ი. ზღვათა შესართავი ცრემლის მსგავსად. ლიტერატურაში (კ. კეკელიძე) გარკვეულია, რომ ნანათესაობითარ ვითარებითის შექმლო მსგავსების გადმოცემა.

ი. გიგინეიშვილი: ნანათესაობითარი ვითარებითის ფორმები თვითონ მოითხოვენ ახსნას. კერძოდ, გასარკვევია, შესართავისად ნიშნავდა თუ არა შესართავის მსგავსად-ს. დაადგინეს: დარჩეს პროექტის ნაკითხვა.

ი. გიგინეიშვილი: ბ-ში ნაცვლად გავიპარე ფორმისა უფრო მართებულია მთელ რიგ ხელნაწერში დადასტურებული გავიპარვი (= მივიპარები). ხელნაწერთა ნაწილში

გავიპარვის-ს შეცვლა გავიპარეთი იმით უნდა აიხსნებოდეს, რომ გავიპარვი შეცდომით მყოფადად იქნა გავებული.

ა. ბარამიძის და გ. კარტოზიას მიჩნიათ, რომ ნყვეტილის ფორმა (გავიპარე) ტექსტში საესებით შესაძლებელია და გამოცემებში ტრადიციულად ქცეული ნაკითხვის შეცვლა საჭირო არ არის. გ. კარტოზიამ, კერძოდ, აღნიშნა, რომ ასევე ნყვეტილის ფორმებს ხმარობს ავთანდილი თავის წერილში ყმათა მიმართ: „კოტასა ხანსა ვარჩიე გაჭრა სმასა და მღერასა, პურად და საქმლად მივენდეუ ჩემსა მშუილდსა და ცერასა“ , 165კ.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს ნაკითხვა: გავიპარე (წინააღმდეგნი – ა. ბარამიძე, გ. კარტოზია).

მოგვიანებით ბ-ში პე-ს შემდეგ დაისვა მძიმე (იხ. 1978. 26. V-ის ოქმი, სტრ. 956).

ს. შ.: დაჯდა ანდერძის, სიბრაულის აღმძვრელი სათქმელის დასაწერად: აჟე, მეფეე, მივიპარები იმის საძებრად, ვისი ძებნაც მე მმართებს; ვერ დავდეგები (დავრჩები), თუ არ შევეყაე ჩემი ცეცხლის მომდებს (ტარიელს); მაპატიე და წყალობა გამაძაწან ლეთაებრივის (ლეთაებრივი მოწყალების) მსგავსად.

787 ვიცო, ბოლოდ არ დამიგმობ ამა ჩემსა გაზრახულსა.  
კაცი ბრძენი არ გასწირავს მოყუარესა მოყუარულსა;  
მე სიტყუასა ერთსა გაადრებ, პლატონისგან სწავლათქმულსა:  
და „სიცრუე და ორპირობა აენებს ჴორცსა, შერმე სულსა“.

უ 780-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ი. გიგინეიშვილი: გ-ში სწავლათქმულსა ორცნებიანი კომპოზიტიკა (= სწავლა და თქმული). პლატონისგან სწავლა და თქმული უხერხული გამოითქმა. ამ უხერხულობის ასაცილებლად ზოგი ხელნაწერი სწავლებულსა-ს კითხულობს, მ. წერეთელი და პ. ინგოროყვა კი – სწავლად თქმულსა.

გ. კარტოზია: სწავლათქმული შეიძლება ერთცნებიან კომპოზიტად გავიგოთ (= სწავლად თქმული) და შერწყმულად (უდეფისოდ) დავწეროთ.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს ნაკითხვა პლატონისგან სწავლათქმულსა.

ს. შ.: ვიცო, ბოლოს არ დამიგმობ ამ ჩემს განზრახვას. ბრძენი კაცი ვერ განირავს (მიატოკებს) მოყვარულ მეგობარს. მე ერთ სიტყუას მოგახსენებ, პლატონის მიერ სამოძღვროდ (ჭკუის სასწავლებლად) თქმულს: „სიცრუე და ორპირობა ვერ ხორცს აენებს, შემდეგ სულს“ .

788 რათგან თავია სიცრუე ყოვლისა უბადობისა,  
მე რად გავწირო მოყუარე, ძმა უმტკიცესი ძმობისა?  
არა ვიქ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა!  
და მით ვისწავლებით, მოგუწევს შერთვა ზესთ მწყობრთა წყობისა.

უ 781-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: გ ვიქ (ვიქმ). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: რადგან სიცრუეა ყოველგვარი უკეთურობის სათავე (საწყისი), მე რატომ მივატოვო მეგობარი, ძმობაზე უფრო მტკიცე გრძნობით დაკავშირებული ძმა? თუ არ შევასრულებ (განვახორციელებ), რაში გამომადგება ფილოსოფოსთა სიბრძნის ცოდნა! იმიტომ განვიხსნავლებით, რომ მოგვეცეს საშუალება შევეუერთდეთ ზეცოურ წესრიგს (პარმონიას). (დაწერილებით იხ. კომენტარში).

789 ნაკითხავს, სიყუარულსა მოციქულნი რაგუარ წერენ?

ვით იტყუიან, ვით აქებენ? ცან, ცნობანი მოაფერენ.

«სიყვარული აღგვამალღებს», ვით ეუწანნი, ამას უღერენ,

და შენ არ ჯერ ხარ, უსწავლელნი კაცნი ვითმცა შევაჯერენ!

u 782-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ა. ბარამიძე: გ-ს სართიშო სიტყვად ზოგ ხელნაწერსა და a s -ში გვაქვს ჟერენ, რაც უფრო ადრინდელ ფორმად არის მიჩნეული.

ი. გიგინეიშვილი: უღერა, მართლაც, ადრინდელი ჟერა ფორმიდან მომდინარეობს, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ რუსთველის დროისათვის ამ სიტყვაში ლ უკვე განვითარებული ყოფილიყო.

გ. კარტოზია: უღერა ფორმის არსებობას „ვტ“ -ში 4812 მონშობს, რომელშიც სართიშო სიტყვად უღერა-ს მიჩნევას სხვა ტაეპთა სართიშო სიტყვები (მღერა, დღე რა) უჭერენ მხარს.

დაადგინეს: დარჩეს ნაკითხვა უღერენ.

გ-ს ბოლოს მძიმის ნაცვლად დაისვა წერტილი.

ს. შ.: ნავიკითხავს, სიყვარულზე მოციქულები (ქრისტეს მონაფეები) როგორ წერენ? როგორ ამბობენ, როგორ აქებენ? გაიგე და გონება მიაქყარი (გონება შეუხამე). „სიყვარული აღგვამალღებს“ , როგორც ეყვანი ამას უღერენ. შენ არ გჯერა, განუსწავლელნი როგორ დავაჯერო!

## 1977. 7. X

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, შ. ძიძიგური.

განიხილეს: 790-795 (პროექტი მოამზადა III ეჯუფმა).

790 ვინ დამბადა, შეძლებაცა მანვე მომცა ძლევად მტერთად;

ვინ არს ძალი უხილავი შემწედ ყოელთა მინიერთად,

ვინ საზღვარსა დაუსაზღვრებს, ზის უკუდავი ღმერთი ღმერთად,

და იგი გააწდის ნამისყოფით ერთსა ასად, ასსა ერთად.

u 783-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: დ გააწდის (გახდის).

რედაქციის წევრებმა იმსჯელეს იმის შესახებ, თუ როგორია ბგდ-ს შემადგენელ წინადადებათა სინტაქსური ურთიერთობა (რომელია მთავარი და რომელი – დამოკიდებული).

ი. გიგინეიშვილი: აქ მთავარია დ-ში წარმოდგენილი წინადადება, ბ და გ კი დამოკიდებულ წინადადებებს წარმოადგენენ. გ-ში ორი დამოკიდებული წინადადებაა: ვინ საზღვარსა დაუსაზღვრებს, (ვინც) ზის უკუდავი ღმერთი ღმერთად. დამოკიდებული წინადადებების მთავრისაგან გამოსაყოფად გ-ს ბოლოს მძიმის შემდეგ ტირეც უნდა დაინეროს.

შ. ძიძიგური: თუ გ-ს მეორე ნახევარსაც დამოკიდებულ წინადადებად ჩავთვლით, მაშინ გაუგებარია ამ წინადადებაში მეორე ქვემდებარის არსებობა: ვინც ზის უკუდავი ღმერთი ღმერთად.

ი. გიგინეიშვილი: უკუდავი ღმერთი, როგორც დანართი, შეიძლება გამოიყოს მძიმეებით ან ტირეებით.

გ. კარტოზია: პუნქტუაციური ცვლილებები საჭირო არ არის, რადგან რთულ ქვეწყობილ წინადადებას აქ გ ტაეპები წარმოადგენს (მთავარი წინადადებაა გ-ს მეორე ნახევარი), დ კი სინტაქსურად დამოუკიდებელი წინადადებაა.

დაადგინეს: შეიცვალოს პუნქტუაცია გ-ში: ვინ საზღვარსა დაუსაზღვრებს, ზის – უკუდავი ლმერთი – ლმერთად, – იგი გაჰყდის... (წინააღმდეგი – გ. კარტოზია).

ს. შ.: ვინც გამაჩინა, მანვე მომცა ძალა მტრის დასამარცხებლად; ვინც უხილავი ძალა ყველა ამქვეყნიური არსების დამხმარედ, ვინც (ყოველ არსებულს) საზღვარს განუსაზღვრავს, ვინც – უკუდავი (მარადული) ლმერთი – ზის ლმერთად, – ის თვალის დახამხამებაში ერთს მრავლად აქცევს, მრავალს – ერთად.

791 რაცა ლმერთსა არა სნადდეს, არა საქმე არ იქმნებოს.  
შხისა შუქთა ვერმჭურეტელი ია წმების, ვარდი ჭწების;  
თუალთა ტურფა საჭურეტელი უცხოდ რადმე ეშუღინების;  
და მე ვით გაესძლო უმისობა, ან სიცოცხლე ვით შეთნების!

უ 784-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ც. კიკიძე: გ-ს სარიტომო სიტყვა ნაირ-ნაირი ფორმით არის წარმოდგენილი ხელნაწერებში. პროექტში დატოვებულია ბოლოდროინდელი გამოცემების (S I U Y) ნაკითხვა ეშუღინების. იგი ამოსავლად შედენა „მოთმენა, ატანა, შეთვისება“ ზმნას გულისხმობს, რომელიც დღეს ქიზიყურში დასტურდება (იხ. ს. მენთეშაშვილი, 1942; აგრ. ც. კარბელაშვილი, 1966).

ი. გიგინეიშვილი: ეს ზმნა ქიზიყს გარდა სხვაგანაც გვხვდება კახურ კოლოში (მალარო, ველისციხე, თელავი და მისი მიდამოები...) შტვენას-ს სახით: ვერ მაიშტკინა/მაიშტკინა („ვერ იგუა“), ვერ შტვენულობს/ვერ იშტვენს „ვერ იფერებს, ვერ იგუებს“. ქიზიყურისაგან განსხვავებით, აქ ვ გადასმულია და დ შენაცვლებულია მკვეთრი ტ-თი. პოემის ტექსტში ეშუღინების უნდა დარჩეს.

პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: რაც ლმერთს არ სნადს, არავითარი საქმე არ მოხდება. შხის შუქის ვერმეხედველი ია ხმება, ვარდი ჭწნება; ლამაზი სანახავი თვალებს საუცხოოდ ეთვისება (ეგუება); მე როგორ გაეძლო უმისობა (უტარიელობა), ან (უმისოდ) სიცოცხლე როგორ მომენონება!

792 რაზომცა სწყრები, შემინდევ შეცვლა თქვენისა მცნებისა.

ძალი არ მქონდა ტყუეჭქნილსა მე მაგისისა თნებისა;

ან წასლეა იყო წამალი ჩემთა საქმილთა გნებისა,

და სადა ვინდ ვიყო, რა მგამა, ყოფამცა მქონდა ნებისა!

უ 785-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: როგორც უნდა წყრებოდეთ, შემინდეთ თქვენი ბრძანების შეცვლა. (ტარიელით) დატყუეჭქნულს მე მაგის შესრულების ძალა არ მქონდა; ახლა (მხოლოდ) წასულა იყო ჩემი ცეცხლის მოდების (= ტანჯვის) წამალი, სადაც უნდა ვიყო, რა მენაღვლება, (ოლონდ) ჩემს ნებაზე ვიყო.

793 არას გარგებს სიმძიმილი, უსარგებლო ცრემლთა დენა;

არ გარდავა გარდულად მომავალი საქმე ზენა;

წესი არის მამაციის მოჭირება, ჭირთა თმენა,

და არვის ძალუც ჯორციელსა განგებისა გარდავლენა.

უ 786-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: არაფერს გარგებს მწუხარება, ცრემლის უსარგებლო ღერა; მოსახდენი ზეციური საქმე აუცილებლად მოხდება; მამაკაცს მართებს გაუძლოს გასაჭირს, მოითმინოს, ხორციელს არავის შუუძლია განგების (ღვთის ნების) შუცვლა.

794 რაცა ღმერთსა გაუგია თავსა ჩემსა გარდასავლად,  
გარდამვდეს და შემოვიქცე, აღარ დამრჩეს გული ავლად;  
თქვენვე განახნე მზიარულნი დიდებით და დავლამრავლად;  
და მას რა ვარგო, დიდებად და კმარის ესე ჩემად დაულად.

ს 787-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: რაც ღმერთს დაუდგენია ჩემს თავზე მოსახდენად, გადამხდეს და შემოვბრუნდე, აღარ დამრჩეს გული დაფერფლილად; თქვენვე განახოთ მზიარული დიდებით და მდიდრად; თუ მას რაიმეს ვარგებ, ეს საკმარისია ჩემს დიდებად და ბედნიერებად.

795 მეფეო, ესე თათბირი, მომკალ, ვინ დამინუნოსა!  
მეფეო, ნუთუ წასლევამან თქვენ ჩემმან დაგაჭმუნოსა?  
ვერ ვეცრუები, ვერ უზამ საქმესა საძაბუნოსა,  
და პირისპირ მარცხუნეს, ორნივე მივალთ მას საუკუნოსა.

ს 788-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: გ უზამ (უზამ).

ა. ბარამიძისა და ი. გიგინეიშვილის წინადადებით ბ-ს ბოლოს კითხვის ნიშანი შეიცვალა მძიმით.

ი. გიგინეიშვილი: დ-ს  $D^1 D^2$  ხელნაწერები სხვაგვარად წარმოგვიდგენენ: პირისპირ მარცხუნეს, ორნივე მივალთ რა საუკუნოსა ( $A^2$ -ში გვაქვს: რა მივალთ). ეს ნაკითხვა უფრო მართებულია. ტაეპის აზრია: პირისპირ შემარცხუნეს, როდესაც საიქიოში მივალთ ორივე.

შ. ძიძიგური: რა კავშირი არ არის აუცილებელი. ქვენყოილ წინადადებაში წინადადებათა უკავშირო შეერთება „ვტ“-ს ახასიათებს.

ი. გიგინეიშვილი: მაშინ წინადადებათა შორის ორნერტილი მიხეც უნდა დაისვას.

დაადგინეს: შეიცვალოს დ-ში პუნქტუაცია: პირისპირ მარცხუნეს: ორნივე მივალთ მას საუკუნოსა. პროექტი ამ ცვლილებით მიღებულ იქნა.

ს. შ.: მეფე, მომკალი, თუ ვინმემ ეს რჩევა (გადანყვეტილება) დამინუნოს! მეფე, შეიძლება ჩემმა წასვლამ თქვენ დაგამწუხროთ, (მაგრამ) ვერ მოვატყუებ, ლაჩრულად ვერ მოვექცევი (ტარიელს), პირისპირ შემარცხუნეს: ორივე მივალთ სამარადისო სამყოფს (საიქიოს).

## 1977. 14. X

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განხილეს: 796—799 (პროექტი მოამზადა III ვაგუფმა).

796 არდავინყება მოყურისა აროდეს გუზამს ზიანსა;  
ვკვამობ კაცსა აუგანსა, ცრუსა და ღლატანსა!  
ვერ ვეცრუები, ვერ უზამ მას ჳელმნიფესა მზიანსა.  
და რა უარეა მამაცსა სულდიდსა, წასლევამნიანსა!



u 789-თან შედარებით პროექტში ცვლილება: გ-ში უზამ (ვუზამ).

ც. კიკოძე: ბ-ში აუგანასა-ს ნაცვლად, ი. გიგინეიშვილის აზრით, უნდა იყოს უაუგოსა, რაც ხელნაწერთა დიდ ნაწილშია წარმოდგენილი (დანჯივლებით იხ. ი. გიგინეიშვილი, 1975, 73-87). ერთადერთი დაბრკობა ამ ნაკითხვის მიღებისათვის, ვფიქრობ, ისაა, რომ უაუგო ქართულში „ვისრამიანამდე“ არ დასტურდება. აქაც მას მხოლოდ „კარგის“, „უნაკლოს“ მნიშვნელობა აქვს. ასევე ესმით ეს სიტყვა საბას, ვახტანგს. მხოლოდ არჩილთან იხმარება უაუგო ურცხვის, უსირცხვილოს მნიშვნელობით.

ი. გიგინეიშვილი: დაბრკობად ეს არ შეიძლება ჩაითვალოს. უაუგოს თავიდანვე ორივე მნიშვნელობა ჰქონდა: ა) კარგი, უნაკლო და ბ) ურცხვი, უსირცხვილო. ამ უკანასკნელი მნიშვნელობით არჩილამდე რომ არ გვხვდება, შემთხვევითი ჩანს. უაუგოაუგიანი უფრო გასაგებია, ვიდრე აუგიანი>უაუგო.

ს. ცაიშვილი: აუგიანი სასვებით ბუნებრივი ფორმაა. შდრ. „ვტ“-ის ჩანართ სტროფში: თავს უთხრა: „მოკუე, გიგობსო სიცოცხლეს აუგანსა...“ (1881). ამიტომ ტექსტში აუგანსა უნდა დარჩეს.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს ნაკითხვა უაუგოსა (წინააღმდეგი – ს. ცაიშვილი).

ს. შ.: მეგობრის არდავინყება ზიანს არასოდეს მოგიტანს; ვგობ უსირცხვილო, ცრუ და ღალატის ჩამდენ კაცს! ვერ მოვატყუებ, (ასეთ საქმეს) ვერ ვუზამ იმ მზიურ ხელმწიფეს (ტარიელს). რაა გულზვიად (გოროზ), დამგვიანებელ მამაკაცზე უარესი?!

797 რა უარეა მამაცსა ომშიგან პირის მშეჭელსა,  
შემდრკალსა, შემინებულსა და სიკუდილისა მეჭეულსა!  
კაცი ჯაბანი რითა სჯობს დიაცსა ქალისა მბეჭეულსა?  
და სჯობს სახელისა მოხუცა ყოველსა მოსახუცეულსა!

u 790-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

გ. კარტოზია: ბ-ში შემდრკალსა ფორმას მხოლოდ რამდენიმე ხელნაწერი ( $A^2 A^8 A^{12} B^1 B^3 B^{12}$ ) წარმოგვიდგენს, ხელნაწერთა უმრავლესობაში შედრეკილ ან შედრეკით წერია. სწორედ ამ ნაკითხვათაგან უნდა შეირჩეს ძირითადი ვარიანტი.

ი. გიგინეიშვილი: შედრეკით შემინებულსა კარგი ნაკითხვაა.

დაადგინეს: დარჩეს შემდრკალსა (წინააღმდეგი – გ. კარტოზია).

ს. შ.: რაა უარესი ომში (შიშით) პირდაღმეჭილ მამაკაცზე, რომელიც შემდრკალია, შემინებულა და (ნიადაგ) სიკვდილზე ფიქრობს! ლაჩარი კაცი რით სჯობს მქოველ დედაკაცს? ყოველ მოსაპოვებელს სახელის მოპოვება სჯობს!

798 ვერ დაიჭირავს სიკუდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი;  
მისგან ყოველი გასწორდეს, სუსტი და ძალგულოვანი;  
ბოლოდ შეყარნეს მინამან ერთგან მოყმე და მცყოვანი!  
და სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკუდილი სახელოვანი!

u 791-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ა. ბარამიძე: მისგან ყოველი გასწორდეს პროზაიზმია, უკეთესი ნაკითხვაა: მისგან გასწორდეს ყოველი.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს ნაკითხვა: მისგან გასწორდეს ყოველი, რომელიც ხელნაწერთა უმრავლესობაშია წარმოდგენილი.

ს. შ.: სიკვდილს ვერ დაიჭერს ვერც ვიწრო, ვერც კლდოვანი გზა; მისგან (სიკვდილისგან) გათანასწორდება ყველა, სუსტი და ძლიერი; ბოლოს შეყრის ერთად მინა აბალგაზრდასა და მოხუცს. ნაძრახ სიცოცხლეს სახელოვანი სიკვდილი სჯობს!

**799** მერმე ვიშიში, მეფეო, თქუნად კადრებად ამისად:  
სცთების და სცთების, სიკუდილსა ეინ არ მოელის ნამისად,  
მოვა შემყრელი ყოველთა ერთგან დღისა და ღამისად,  
და თუ ვერა გნახე ცოცხალმან, სიცოცხლე გქონდეს ჟამისად.

უ 792-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მერმე ვიშიშო, მეფე, თქვენთვის ამის თქმას: ცდება და ცდება (ის), ვინც სიკვდილს ყოველ ნამს არ მოელის; მოვა ყველას ერთად შემყრელი (სიკვდილი) დღისით თუ ღამით, ცოცხალმა თუ ვერ გნახე, (თქვენ) იცოცხლეთ ხანგრძლივად!

## 1977. 21. X

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ს. ცაიშვილი.

განიხილეს: 800–801,2 (პროექტი მოამზადა III ჯგუფმა); 802–803 (პროექტი მოამზადა II ჯგუფმა).

**800** თუ სანუთრომან დამამჭოს, ყოველთა დამამჭობელმან,  
ლარიბი მოვკუდე ღარიბად, ვერ დამიტროს შშობელმან.  
ველარ შემსუდრონ დაზრდილთა და ვერცა მისანდობელმან,  
და მუნ შემინყალოს თქვენმანვე გულმან მონყალ-ლმობელმან.

უ 793-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: თუ ნუთისოფელმა მომპოს, ყველას გამანადგურებელმა, (თუ) უცხო ქვეყანაში გადახეწილი უცხოეთშივე მოკვდე, მშობელმა (თუ) ვერ დამიტროს, (თუ) დაზრდილებმა და ვერც ერთგულებმა (ვისაც მიენდობი) ველარ შემსუდრონ, – მაშინ შემინყალოს თქვენმა მონყალე და ღმობიერმა გულმა.

**801** მაქეს საჭონელი ურიცხუი, ვერისგან ანანონები,  
მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები,  
შენ დაამდიდრე ყოველი, ობოლი, არას მქონები:  
და მოღუნთან, მომიგონებენ, დამლოცვენ, მოვეგონებ.

უ 794-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მაქეს უთვალავი ქონება, ვერინ რომ ვერ ანონის, დაურიგე ღარიბ-ღატაკებს განძი, გაათავისუფლე მონები, შენ გაამდიდრე ყველა, ობოლი, არაფრის მქონე: იზრუნებენ ჩემთვის, მომიგონებენ, დამლოცავენ, მოვაგონდები.

**801,1** ღმერთსა მედრებდეს მრავალი გლახაკი გულმჭურვალები;  
დამჭსნას ჭორცთა და სოფელსა, ნუმცა რად შევიცვალები;  
კულა ცეცხლი ჯოჯოხეთისა ნუმცა მწუაეს, იგი ალები;  
და მომცეს მკუიდრივე მამული მუნ ჩემი სასურვალები.

უ 976-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

რედაქციამ გ-ს შიგნით მძიმე გადასვა: კულა ცეცხლი ჯოჯოხეთისა, ნუმცა მწუაეს იგი ალები. აბგ-ს ბოლოს ნურტილ-მძიმის ნაცვლად დაისვა მძიმე. პროექტი ამ ცვლილებით მიღებულ იქნა.

მოუხედავად იმისა, რომ 801,1 და მომდევნო 801,2 სტროფები არის ყველა დაუზიანებელ ხელნაწერში, რედაქცია, ისევე როგორც პოემის გამომცემელთა დიდი უმრავლესობა, ამ სტროფებს ჩანართად მიიჩნევს, რადგან: ა) პოეტურად მეტად მდარეა; ბ) აზრობრივად გაუმართავია (კერძოდ, გაუგებარია ბ-ში ნუმცა რად შევიცვალე); გ) სტროფები უბეში იმიტაცია აეთანდლილს ანდერძისა და ნესტანის წერილის ზოგი სტროფისა.

ს. შ.: ღმერთს შემეგდრებს მრავალი გულმზურვალე გლახაკი, გამათავისუფლოს ხორცისა და ნუთისოფლისაგან, სხვა მხრივ ნუ შევიცვლები. აგრეთვე ჯოჯოხეთის ცეცხლი, ის (ჯოჯოხეთის) ალი ნუ დამწვევს, იქ ჩემთვის სასურველი მკვიდრი (სამუდამო) მამული მომცეს.

**801,2** დამწსნას ბნელსა და ნათელი შემშოსოს ზესთა ზენისა;  
მუნ დამოუნჯოს, ნამალი სადა ძეს სულთა ლხენისა;  
ჩემი არ პქონდეს შეტლება სოფლისა მლილთა კბენისა,  
და ფრთენი მომესხნენ და ძალი მომეცეს აღმაფრენისა.

X 977-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ა) ბნელსა (ბნელი); ზესთა ზენისა (ზესთა-ზენისა), ბ) დამოუნჯოს, ნამალი სადა (დამოუნჯოს ნამალი, სადა); გ-ს ბოლოს ნერტილ-მძიმეა მძიმის ნაცვლად. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ბნელისაგან მიხსნას და ზეციური ნათელი შემშოსოს, იქ შემინახოს (მიმიჩინოს ადგილი), სადაც ძეს სულის შვების ნამალი; ჩემი შეჭმა (კბენა) არ შეეძლოს ნუთისოფლის მატლს (ჩრჩილს); ფრთები გამომესხას და აღმაფრენის ძალა მომეცეს.

**802** რაცა თქვენთვის არ ვარგოყოს საჭურჭლესა დასადებლად,  
მიეც ზოგი ხანაგათა, ზოგი ჯიდათა ასაგებლად;  
ნურა ნუ გპურს საჭონელი ჩემი ჩემთვის ნასაგებლად!  
და შენგან კიდე არეინ მივის ცეცხლთა ცხელთა დამაფსებლად.

u.795-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: რაც თქვენთვის საგანძურში შესანახად არ ვარგოდეს, გაეცი ზოგი ხანაგების (დავრდომილთა და მგზავრთა თავშესაფრების), ზოგი კი ხიდების ასაგებად; ჩემს საჭონელს ნურაფერს ნუ დაიპურებ ჩემთვის დასახარჯავად (ჩემი სულის საოხად)! შენ გარდა არეინ მყავს, რომ ჩამიჭრის ცხელი ცეცხლი.

**803** ამას იქით ჩემგან ჩემი ამბავიცა არ გეცნებოს,  
ამად გვედრებ სულსა ჩემსა, ნაგნი გაადრებს, არ გეთნევის,  
არას არგებს, ეშმაკისა საქმეთაგან დაეძლევის,  
და შემინდეუ და შემოედრე, მკუდარსა რაღა გარდმეჭდევის!

u 796-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ამის შემდეგ ჩემგან ჩემი ამბავი არ გეცნობება, ამიტომ გაბარებ ჩემს სულს, ნერილი მოგახსენებს, არ მოგეფერება, (პირფერობა ჩემს სულს) არაფერში გამოადგება, ეშმაკის საქმეები დაძლეეს; შემინდე და მიიბარე ჩემი თავი (უპატრონე ჩემს სულს), მკუდარს რა პასუხი მომეთხოვება!

სხდომას დაეხსენებენ: ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ს. ცაიშვილი.  
განიხილეს: 804-806,1 (პროექტი მოამზადა II უჯგუფმა).

**804** გვედრებ, მეფეო, შერმადინს, მონასა ჩემსა რჩეულსა, -  
ნაკად აქუს ჭირი სამისოდ ამ წელონადსა წლეულსა, -  
ნუგვემინისეც წყალობით, ჩემგან წყალობაჩუქეულსა,  
და ნუ დაადინებ თუალთაგან ცრემლსა, სისხლითა ფრქვეულსა.

უ 797-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მეფეც, გაბარებ შერმადინს, ჩემს რჩეულ მონას (ყმას, ვასალს), - მისთვის  
ქარბად აქუს გასაჭირი წლევეანდელ წელიწადს, - ნუგვემე ცვი წყალობით, ჩემგან წყალობას  
დაჩუქეულს, თვალებიდან ნუ დაადინებ სისხლიან (სისხლთან ერთად დაფრქვეულ)  
ცრემლს.

**805** გასრულდა ჩემი ანდერძი, ჩემგან ნაწერი ჳელითა.  
აჰა, გამზრდელო, მოგშორდი, ნავე გულითა ხელითა.  
ნუ სჭმუნავთ ჩემთვის მეფენი; ნუ ხართ მოსილნი ბნელითა,  
და სუფევითმცა ხართ თავითა, მტერთაგან საკრძალველითა!"

უ 798-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: დამთავრდა ჩემი ანდერძი, ჩემი ხელით დანერილი. აჰა, გამზრდელო,  
მოგშორდი, ნავედი გახელელებული გულით. ნუ წუხხართ ჩემ გამო მეფენი (= როსტეკვანი და  
თინათინი), ნუ იქნებით ბნელით მოცულნი (დამწუხრებულნი), იმეფეთ (იხელმწიფეთ)  
მტრებისთვის მოსარიდებლბმა (სამიშრებმა)!"

**806** მისცა ანდერძი შერმადინს, რა გაათავა წერითა,  
უთხრა: „სკადრო მეფესა საქმითა მეცნიერთა,  
შენ დაგამეტებს ვერაეინ მსახურებითა ვერითა“.  
და მოეხუთა და ატირდა ცრემლითა სისხლითა ფერითა.

უ 799-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.  
ი. გიგინეიშვილსა და ს. ცაიშვილს მიაჩნიათ, რომ გ-ში მსახურებითა უნდა შეცვალოს  
რიგი ხელნაწერის ნაკითხვით - სამსახურითა. მსახურება „ეტ“-ში სხვაგან არ გვხვდება,  
ყველგან სამსახური იხმარება. ამასთან, კეთილზმომავნების თვალსაზრისით სამსახურითა  
ვერითა უკეთესია.

გ. კარტოზია: ხელნაწერთა ჩვენება გადაწყვეტით ვერც ერთი ნაკითხვისათვის ვერ  
მიგვანიჭებინებს უპირატესობას, გამოცემათა ტრადიციის კი მსახურება-ს უჭერს მხარს.  
მსახურება ჩვეულებრივი წარმოებაა ძველ ქართულში. რაც შეეხება კეთილზმომავნებას,  
მსახურებითა ვერითა-ც როდია ურიგო ნაკითხვა (ასონანსური შიდარითმა!).

დაადგინეს: ტაეპის განხილვა გადაიდოს შემდგომი სხდომისათვის.

1977. 4. XI-ის სხდომაზე რედაქციამ იმსჯელა ამ ტაეპის შესახებ. ა. ბარამიძემ,  
კერძოდ, აღნიშნა: რამდენადაც სამსახური ჩვეულებრივი სიტყვაა პოემაში, არ იყო  
მოსალოდნელი მისი გადააკეთება მსახურება ფორმით; პირიქით კი შეიძლება მომზდარიყო.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს ნაკითხვა: სამსახურითა (წინააღმდეგნი - ა. ბარამიძე,  
გ. კარტოზია, ც. კიკვიძე).

ს. შ.: მისცა ანდერძი შერმადინს, წერა რომ დაამთავრა, უთხრა: „მეფეს  
გონივრულად (საქმის ცოდნით) მიართუო, შენ ვერაეინ გაჯობებს ვერაეითარი  
სამსახურითო“. მოხუთა (ავთანდილი შერმადინს) და ატირდა სისხლისფერი ცრემლით.

806,1 ყმა შეეკაზმა წასასვლელად, ცრემლითა მოერწყო ველი.  
მზე წაიფლოდა, დაეცა არაბეთს ბინდი ყოველი;  
ჯამს შეპოვნება მალლისა, ვინცა არს ჭირსა მოველი;  
და მიზგიტას მიეა ღმრთისაგან გამარჯუებისა მთხოველი.

x 983-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

გ-ში რედაქციამ მიიღო ნაკითხვა: ვინცა რას ჭირსა მოელი. ტაეპის ბოლოს დაისვა ორნერტილი.

ს. შ.: მოყმე შეეკაზმა წასასვლელად (გასამგ ზავრებლად), (მისი) ცრემლით მოირწყო ველი. მზე (ავთანდილი) მიდიოდა, არაბეთი სრულმა სიბნელემ მოიცვა (არაბეთს ბინდი დაეცა); საჭირთა უზუნაესის მორიდება, ვინც რა ჭირს უნდა მოელოდეს: მისგითმი (მეჩეთში) მიდის ღვთისათვის გამარჯვების მთხოვნელი.

#### 1977. 4. XI

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს: 807–809 (პროექტი მოამზადა II ჯგუფმა).

807 ილოცავს, იტყუის: „მაღალ ღმერთო უმელთა და ცათაო, ზოგჯერ მომცემო პატიუთა, ზოგჯერ კეთილთა შხათაო, უცნაურო და უთქმელო, უფალო უფლებათაო, და მომცე დათმობა სურვილთა, მფლობელო გულისთქმათაო!

u 800-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ე. მეტრეველი: მაღალი ძველ ქართულში დამოუკიდებლადაც იხმარება და ღმერთის გამოშახველია. ამ სტროფშიც სწორედ ასეთი შემთხვევაა საგულეებელი. ამიტომ მაღალო-ს შემდეგ მძიმე უნდა დაისვას.

გ. კარტოზია და ს. ცაიშვილი მხარს უჭერენ ამ წინადადებას.

რედაქციის სხვა წევრები წინააღმდეგი არიან მაღალო-ს შემდეგ მძიმის დასმისა. მათ მიაჩნიათ, რომ მაღალი აქ ღმერთის მსაზღვრელია. ც. კიკვიძემ, კერძოდ, აღნიშნა, რომ ძველ ქართულ ტექსტებში, ჩვეულებრივ, როცა მაღალი და ღმერთი ერთად იხმარება, მაღალი მსაზღვრელი სახელია და არ არის გასუბსტანტიცებული.

დაადგინეს: დარჩეს ნაკითხვა: მაღალო ღმერთო.

ს. შ.: (ავთანდილი) ლოცულობს, ამბობს: „მინისა და ცის მაღალო ღმერთო, ხან ტანჯვის, ხან კი მზა სიკეთის მომცემო, შეუცნობელო და გამოუთქმელო, უფლებათა უფალო (მეუფეთა მეუფეო), შემაძლებინე სურვილების (ვნებების) მოთმენა, გულისთქმის გამგებელო!

808 ღმერთო, ღმერთო, გააჯეუბი, რომელი აქვლობ ქვენათ ზესა,  
შენ დაჰბადე მოჯნურობა, შენ ანესებ მისსა წესსა,  
მე სოფელმან მომპაშორეა უკეთესსა ჩემსა შხესა,  
და ნუ ამოაფხურო სიყვარულსა, მისგან ჩემთვის დანათესსა!

u 801-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ა ზესა (ზესსა).

პროექტი მიღებულ იქნა. რედაქციას მართებულად მაჩინა ა-ში ზესა-ს აღდგენა. ზესა, რომელიც ზოგიერთ გამოცემაში (S 1 A) გვხვდება, რითმის გამართვისთვის მოხმობილი კონიექტურაა და საჭირო არაა.

ს. შ.: ღმერთო, ღმერთო, გვედრები (შენ), რომელიც ბატონობ (მთელ სამყაროს) ქვესკნელიდან ზესკნელამდე, შენ გააჩინე მოჯნურობა, შენ ადგენ მის წესს, მე წუთისოფელმა მომამორა ჩემს უკეთეს (ყველაზე კარგ) მზეს (თინათინს), ნუ ამოფხვრი მის მიერ ჩემთვის დათესილ სიყვარულს!

**809** ღმერთო, ღმერთო, მონყალო, არეინ მივის შენგან კიდე,  
შენგან ვითხოვ შენვენასა, რაზომსაცა გზასა ველიდე;  
მტერთა ძლევა, ზღვათა ღლევა, ღამით მვენე გამარიდე!  
და თულა დაერჩე, გმსახურებდე, შენდა მსხურაპლსა შეესწირვიდე”.

ს 802-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ი. გიგინიშვილი: ბ-ს ბოლოს ორწერტილი მძიმით უნდა შეიცვალოს. ბ და გ სინტაქსურად არის ერთმანეთთან დაკავშირებული (= რამდენიც უნდა ვიარო, მტერთა ძლევა, ზღვათა ღლევა; ღამით მვენე ამაცილე).

ე. მეტრეველი და შ. ძიძიგური მზარს უჭერენ ამ წინადადებას.

რედაქციის სხვა წერებს მაჩინათ, რომ ბ დამოუკიდებელ წინადადებას წარმოადგენს და მის შემდეგ მძიმის დასმა საჭირო არ არის. ოღონდ ტაეპის ბოლოს ორწერტილის ნაცვლად წერტილ-მძიმე უნდა იყოს.

დაადგინეს: ბ-ს ბოლოს დაისვას წერტილ-მძიმე.

ს. შ.: ღმერთო, მონყალო ღმერთო, შენ გარდა არაეინ მყავს, შენ გთხოვ დახმარებას, რამდენიც უნდა ვიარო (რამდენიც უნდა დაეყო გზაში); ამარიდე მტრებისგან ძლევა, ზღვის ღლევა, ღამით მვენე! თუ გადავრჩი (თუ ცოცხალი დავრჩი), გემსახურები, მსხერაპლს შემოგწირავ ხოლმე”.

## 1977. 11. XI

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს: 810–813 (პროექტი მოამზადა II ჯგუფმა); 814–816 (პროექტი მოამზადა III ჯგუფმა).

**810** რა ილოცა, ცხენსა შევდა, მალეით კარნი გაიარნა,  
შერმადინცა დააბრუნვა, თუცა ვაზნი აღიადნა;  
მონა ტირის და მკურდსა იცემს, საბრალომან ცრემლნი ღწარნა;  
და პატრონისა ვერამჭურებმან ყმამან რამცა გაიხარნა!

ს 803-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ბ თუცა ვაზნი აღიადნა (საბრალომან ცრემლნი ღწარნა), გ საბრალომან ცრემლნი ღწარნა (სისხლმან მისმან კლდენი ღწარნა).

სხდომაზე აღინიშნა, რომ პროექტის ნაკითხვა დაცულია სამი რედაქციის (ABC) ხელნაწერებში; საოუბილეო გამოცემის ნაკითხვა, რომელიც დ. კარიჭაშვილის მეორე გამოცემის (h) შემდეგ დამკვიდრდა პოემის ტექსტში, D რედაქციის ნუსხებში გვაქვს.

ა. ბარამიძეს, გ. კარტოზიას, ც. კიკვიძეს მაჩინათ, რომ D რედაქციის ნუსხათა ნაკითხვა მეორეულია და გამოწვეულია ბ-ში არაზუსტი რითმის გამართვის საჭიროებით.

არაზუსტი (არაიდენტური) რითმის შემთხვევები პოემაში სხვაგანაც გვხვდება. რაც შეეხება შინაარსს, თუცა ვაშნი აღიადნა საესეებით გასაგები, გამართული ფრაზაა. არ არის შემთხვევითი, რომ D რედაქციის ნუსხები უპირისპირდება სხვა რედაქციის ხელნაწერებს. D რედაქციას ძალიან ატყვიან გვიანდელი სწორების კვალი.

ი. გიგინეიშვილი, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური მოითხოვენ საოუბილო გამოცემის ნაკითხვის აღდგენას. მათი აზრით, D რედაქციის ნაკითხვა ბევრად სჯობს დანარჩენი რედაქციების ნაკითხვას როგორც ფორმის (რიტმის), ისე შინაარსის თვალსაზრისით. D რედაქციის ხელნაწერები ხშირად უპირისპირდებიან სხვა რედაქციის ნუსხებს, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ D რედაქციის ცალკეულ ნაკითხვებს ანგარიში არ გაეწიოს. სხვა ხელნაწერებიც არის ნასწორები, მაგრამ D რედაქციის ნუსხებს უფრო ეტყობა რედაქტორ-გადამწერთა აქტიური ჩარევის კვალი.

დაადგინეს: ბ გ-ში აღდგეს ძველი ნაკითხვა: შერმადინცა დააბრუნე, საბრალომან ცრემლნი ლუარნა; მონა ტირს და მკერდსა იცემს, სისხლმან მისმან კლდენი ღარნა (წინააღმდეგნი – ა. ბარამიძე, გ. კარტოზია, ც. კიციანი).

ს. შ.: რომ ილოცა, ცხენზე შეედა, მალულად გაიარა ქალაქის კარი, შერმადინიც დააბრუნე, საბრალომ (აეთანდლიმა) ცრემლები დღევარა; მონა (შერმადინი) ტირის და მკერდში იცემს (ხელს), მისმა სისხლმა კლდეები დაღარა; პატრონის ვერმხედველი ყმა რას გაიხარებს!

**810,1** მოსთქვამს და იტყუის: „ვაი, მზეო, შენი ადგილი ჩრდილდების; შენ მოგეშორე, დაღამდა, ჩემთვის აღარა დილდების! მე მანდით მესრის ისარი, ერთიცა არ ამცილდების,

და გამყარა ლხინსა სოფელმან, ან თუალთა ცრემლი მმილდების“.

X 988-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ა ვაი (ვა), ბ მოგეშორე (მოგეშორე), დაღამდა, ჩემთვის (დაღამდა ჩემთვის), გ მესრის (მეს[ქ]რის), დ მმილდების (მილდების).

ი. გიგინეიშვილის წინადადებით მესრის ისარი შეიცვალა ნაკითხვით: მესრის ისარსა. პროექტი ამ ცვლილებით მიღებულ იქნა.

ს. შ.: მოთქვამს და ამბობს: „ვაი, მზეო, შენი ადგილი ბნელდება; შენ მოგეშორდი, დაღამდა, ჩემთვის არ თენდება; მე მანდედან მესერიან ისრებს, ერთიც არ მცდება, წუთისოფელმა ლხენას მომამშორა, ახლა თვალებიდან ცრემლი ღვარად მდის“.

**811** ან ამბავი სხუა დაეიწყო, – ყმასა ნაეყვე ნამავალსა.  
არ შეექმნა დარბაზობა მას დღე როსტანს გულგამწყრაღლსა;  
რა გათენდა, ქუში ადგა, ჰგავს, რა ადენს პირით ალსა,  
და ვშობა ბრძანა ვაზირისა, მიიყვანდეს მოშით მკრთალსა.

U 804-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა, ოღონდ ა-ს ბოლოს ნერტილის ნაცვლად დაისვა მძიმე და ტირე.

ს. შ.: ახლა სხვა ამბავს დაეიწყო, – მიმავალ მოყმეს (აეთანდილს) ნაეყვი (=მიმავალ მოყმეზე საუბარს შეეყვი), – იმ დღეს გულგამწყრალ როსტევანს დარბაზობა არ ჰქონია; რომ გათენდა, უგუნებო ადგა, თითქოს პირიდან ცეცხლს (ალს) ყრიდა, ვეზირის მოყვანა ბრძანა, მიიყვანეს შემინებული (შეშით შემკრთალი).

**812** რა ვაზირი მონინებით დარბაზს ნასა შემოსრული,  
როსტან უთხრა: „არა მაწყოს გუშინდელი შენგან თქმული.  
მანყინე და გამარისხე, ვერ დავიღე დიდხან სული,  
და აზომ რომე გაგათრე შენ, ვაზირი გულსიგული.“

u 805-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: როდესაც დარბაზში მონივრებით შემოსული ვეზირი დაინახა, როსტევეანმა უთხრა: „გუშინდელი შენი ნათქვამი არაფერი მახსოვს. მანყენინე და გამარისხე, დიდხანს ვერ დაგწყნარდი, ასე რომ გაგვანძლე შენ, უგულითადესი ვეზირი.“

**813** თულა გაჯსოვს, რა უნდოდა, ისრე აეად რად გაგვადე?  
მართლად უთქუამს მეცნიერთა: „წყენაო ჭირთა ბადე“;  
ესეგუარსა ნუოდეს იქ, საქმე ხოლე გაიცადე,  
და ან მითხარ, თუ რას იტყოდი, თქუი და სიტყუა გააკულადე“.

u 806-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: გ იქ (იქმ). პროექტი მიღებულ იქნა. მოგვიანებით დ-ს ბოლოს დაისევა ძახილის ნიშანი და ბრჭყალები.

ს. შ.: თუ გახსოვს, რა უნდოდა (ავთანდილს), ისე ცუდად რატომ მოგვეცევი? სწორად უთქვამთ ბრძენთ: „წყენა არისო ჭირთა ბადე (წყენას ჭირი მოაქვს)“. ამისთანას ნურასოდეს იზამ, საქმე (ქარგად) განჭვრიტე ხოლმე, ახლა მითხარი, რას ამბობდი, თქვი და ნათქვამი გაიმეორე!“

**814** კულა მოაწყენა ვაზირმან სიტყუა ნაგუშინდელევი,  
რა გაიგონა, შესთალა პასუხი არნაგრძელევი:  
„შენ თუ უშმაგო მგონიხარ, ვარმცა ურია მე ლევი  
და კულა შაგის მეტად ნუ მასმენ, თუარა მე სრულად გელევი!“

u 807-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ი. გიგინეიშვილს მიაჩნია, რომ დ-ში უნდა იკითხებოდეს: კულა ამის მეტსა ნუ მასმენ.

ს. შ.: ისეე მოახსენა ვეზირმა გუშინდელი ნათქვამი, (როსტევეანმა) რომ მოისმინა, მოკლე პასუხი შეუთვალა (ავთანდილს): „შენ თუ შმაგი არ მგონიხარ, ურია ლევი ვიყო! ამის მეტად კვლავ ნუ გამაგონებ, თორემ მე სულ დაგთმობ (გაგნირავ)!“

**815** რა გამოვიდა, ვაზირმან ძებნა, ვერ პოვნა მინანი,  
მართ გაპარეასა უთხრობდეს მინანი, ცრემლთა მდინანი.  
მან თქუა: „მე დარბაზს ვერ შევალ, მაწსოვან დღენი ნინანი,  
და ვინცალა ჰკადრებს, მან ჰკადროს; რაცა ვთქუი, მასცა ვინანი“.

u 808-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: რა გამოვიდა, ვეზირმა ძებნა დაუნყო, ვერ ნახა ავთანდილი (მინანქარი), (ავთანდილს) გაპარეას უამბობდნენ თვალცრემლიანი მონები. მან (ვეზირმა) თქვა: „მე დარბაზში ვერ შევალ, მახსოვს ნინა დღეები, ვინც გაბედავს, მან შეპბედოს; რაც ვთქვი, იმასაც ვნანობ“.

**816** რა ვაზირი არ შევიდა, კულა მეფემან კაცი გზავნის;  
კაცმან ცნის და გარეთ დადგის, ნასლეა ვერვინ გაამელენის;  
როსტანს ეჭუი შეუვიდა, ჭმუნვა ამით გაათავნის;  
და თქუა: „უცილოდ გაიპარა, ვინ მარტომან ასთა აენის“.

u 809-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ა. ბარამიძე: გ-ში ეჭუი-ს ნაცვლად უნდა მივიღოთ რიგ ხელნაწერში წარმოდგენილი ეჭუა.



რედაქციამ დატოვა ეჭვი. აღინიშნა, რომ ეჭვი და ეჭვა თანაბრად დასაშვებია ფორმებია (სახელი და მასდარი), მაგრამ ეჭვი ფორმას რედაქციითა უმრავლესობა უჭერს მხარს.

ს. შ.: ვეზირი რომ არ შევიდა, მეფემ კვლავ კაცები აგზავნა; (გაგზავნილი) კაცები იგებდნენ (ავთანდილის გაპარვის ამბავს) და გარეთ დგებოდნენ, (ავთანდილის) ნასვლას ვერაინ ამხელდა; როსტევეანს ეჭვი შეეპარა, ამით მწუხარება გაამრავლა; თქვა: „ნამდვილად გაიპარა (ის), ვინც მარტო ასს ამარცხებდა ხოლმე (=ავთანდილი)“.

ა. ბარამიძის აზრით, გაათავნა (=გაამრავლა) ნაწარმოებია რიცხვითი სახელიდან ათი.

## 1977 .18. XI

სხდომას დაესწრნენ ა.ბარამიძე, ი.გიგინეიშვილი, ც.კიკელიძე, ე.მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ.ძიძიგური.

განიხილეს: 817–823 (პროექტი მოამზადა III ჯგუფმა).

**817** თავდარეკით იგონებდა, გულსა ჰქონდა ჭმუნვა დიდი, უში ქნა და აიხუნა, უბრძანებდა მონას: „მიდი, მოვიდეს და ან მიაშვოს, შემოვიდეს იგი ფლიდი!“

და რა ვაზირი შემობრუნდა, ფერი ჰკრთა და ჰქონდა რიდი.

პ 810-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: თავდაზრილი ფიქრობდა, გულში ჰქონდა დიდი მწუხარება, ამოიოხრა და აიხუნა, უბრძანა მონას: „მიდი (და უთხარი), მოვიდეს და ახლა მიაშვოს, შგემოვიდეს ის ფლიდი (ვეზირი)!“ ვეზირი რომ შემობრუნდა, ფერი ნაუეიდა და მორიდებული იყო.

**818** კულა შევა დარბაზს ვაზირი დაღრეჯით, არმხიარულად; მეფემან ჰკითხა: „ნასრულა შვე დაუდგომლად, მთუარულად?“ მან მოაქსენა ყუელაი, ვით ნასრულიყო და რულად:

და „შვე აღარ მზეობს ჩვენთანა, დარი არ დარობს დარულად!“

პ 811-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ბ დაუდგომლად (დაუდგრომლად).

ც. კიკელიძემ აღნიშნა, რომ ამ სტროფის ანალიზი მოცემული აქვს ი. გიგინეიშვილს. სხვა გასწორებებთან ერთად მასვე აქვს აღნიშნული, რომ უფრო მართებული ნაკითხვაა დაუდგომლად (ი.გიგინეიშვილი 1975, 306–309).

ი. გიგინეიშვილი: დ-ში ჩვენთანა ნაკითხვის ნაცვლად რიგ ხელნაწერში ჩვენზედა იკითხება, რაც გაცილებით უკეთ ეგუება კონტექსტს, ვიდრე ტრადიციული ჩვენთანა.

პროექტი მიღებულ იქნა უცვლელად.

ს. შ.: ისევ შედის დარბაზში ვეზირი მონყენილი, არამხიარულად: მეფემ ჰკითხა: „ნასულა შვე (ავთანდილი) შუჭერებლივ, მთვარის მსგავსად?“ მან (ვეზირმა) მოახსენა ყველაფერი, როგორ ნასულიყო და რანაირად: „შვე აღარ მზეობს ჩვენთან, დარი (კი) არ დარობს დარივით!“

**819** რა მეფემან მოისმინა, დაიხანა მეტისმეტნი; მოსთქვამს, იტყუნს: „ეაჲ, გაზრდილო, ვეღარ განახვენ თუალნი რეტნი—

პირსა ხოკით, წვერსა გლეჯით გააკურენა მისინ მჭურტნი, -

და სად ნაპვე სად დაჰკარგენ სინათლისა ეგ სუტნი?

U 812-თან შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა. ბ ვაი (ვა).

ა. ბარამიძე: ხელნაწერებსა და ზოგიერთ გამოცემაში (KOSY) ამ სტროფის ტაქტთა თანმიმდევრობა სხვაგვარია: ა გ ბ დ; შინაარსობრივ ტაქტების ასეთი თანმიმდევრობა უფრო მისაღებია და ჩვენც თანმიმდევრობით უნდა დავალაგოთ ტაქტები. ამის შესაბამისად ბ და გ-ში მოიშლება ტირეები.

ც. კიკვიძემ აღნიშნა, რომ პროექტს მხარს უჭერს ხელნაწერთა სამი რედაქციის ხელნაწერები. სხვაგვარი წყობა კი მხოლოდ ერთი (A) რედაქციის ხელნაწერებში გვაქვს, რაც ამ ხელნაწერთა რედაქციულ თავისებურებას უნდა წარმოადგენდეს. აქ თხრობა მარტივია, სხვა რედაქციის ხელნაწერებში კი - გათულებული წინადადების თავისებური წყობით, რაც არ არის უცხო „გტ“-ისათვის. მოსალოდნელია, რომ თხრობის გამარტივება შემდგომ მოხდა, პირველ პროცესი ნაკლებ საეარაუდოა.

რედაქციის წევრებმა გაიზიარეს ა. ბარამიძის თვალსაზრისი (წინააღმდეგი - ც.კიკვიძე) და სტროფის ტაქტები დალაგდა ა გ ბ დ თანმიმდევრობით, შესაბამისად ბ და გ-ს ბოლოს მოიშალა ტირეები.

ამ ცვლილებებით პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მეფემ რომ მოისმინა (ეს ამბავი), საშინლად შეჰყვირა; სახის ხოკით, წვერის გლეჯით გააკვირვა მისი მაცქერალნი, მოთქვამს, ამბობს: „ვიამე, გაზრდილო, ველარ განახვენ (მწუხარებით) გარეტებული ჩემი თვალები! სად ნახედი და სად გადაკარგე სინათლის ეგ სვეტი (შენი თავი)?“

819,1 გაზრდილო, ცეცხლი მედების, ლახურით ვარ მე დახეული;  
გაზრდილო, ჩემთვის გამოწნდა ფაში მუხთალო, წყუული;  
გაზრდილო, დიდით სვედითა ძლიელა ცოცხალ ვარ სწუული;  
და გაზრდილო, ადრე მოეკუდები საბრალო დღედალეული.

X 998-თან შედარებით პროექტში მხოლოდ პუნქტუაციური ხასიათის ცვლილებაა. ა და გ-ს ბოლოს, ნაცვლად მძიმისა, დაწერილია ნერტილი-მძიმე, ხოლო დ-ს ბოლოს ძახილის ნიშნის ნაცვლად დაწერილია ნერტილი.

პროექტი მიღებულ იქნა; დ-ში საბრალო-ს შემდეგ დაიწერა მძიმე.

ს. შ.: გაზრდილო, ცეცხლი მედება, ლახურით ვარ დაჭრილი; გაზრდილო, ჩემთვის დადგა მუხთალო, წყუული დრო; გაზრდილო, დიდი სვედით სწული ძლივსლა ვარ ცოცხალი; გაზრდილო, საბრალო, დღემწერული მალე მოკვედები.

820 თუ თავი შენი შენ გახლავს, ღარიბად არ იქნებოი,  
მაგრა მე რა ვქნა, გაზრდილო, ან სახლად მმართებს სენები!  
გამალარიბე, დამავდე, გულსა, გლას, ვისთვის ენები?  
და შენად შეყრამდის პატივთა ჩემთა ვერ იტყვის ენები!

U 813-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: თუ შენ საკუთარი თავი გახლავს, მარტო მყოფად არ ჩაითვლები, მაგრამ მე რა ვქნა, გაზრდილო, ახლა სახლად სენაკი შემეფერება! დამაობლე, დამტოვე, გულს ვისთვის უნდხარ? შენს ნახვამდე ჩემს ტანჯვას ვერაერთარი ენა ვერ იტყვის.

821 ოდეს განახავ შხიარულსა, ნადირობით შემოსრულსა?  
ველარ გიჭურეტ ნაბურთალსა, ტანსა მჭევრსა, ჯავარსრულსა,  
ველარ ვისმენ ვმასა შენსა, სასმენელად მე მას რულსა,

და ან უშნოდ რა, გლახ, უყო საჯდომსა და სრასა სრულსა?

U 814-თან შედარებით პროექტში ცვლილება: დ უყო (ვუყო).

ი. გიგინეიშვილი: ა-ში ოდეს ნაკითხვის ნაცვლად უნდა მივიღოთ ველარ. თხრობაც გაიმართება და კითხვის ნიშანიც მოიშლება ტაეპის ბოლოს. ამ სტროფში რაინდული ზნეობის ნიშნები ჩამოთვლილი: ველარ გნახავ ნადირობიდან შემოსულს, ნაბურთალს და სხვ. A<sup>2</sup>-ის ნაკითხვაზე (სასურსა) დაყრდნობით გ-ში შესაძლებლად მიმართა გაკეთდეს კონიექტურა მოსასურსა.

ც. კიკვიძე ა-ში ველარ ნაკითხვა მხოლოდ A რედაქციის 5 ხელნაწერშია. სხვა ნუსხები კი კითხულობენ ოდეს. შინაარსობრივ პროექტისეული ნაკითხვა უზერხულობას არ იწვევს. უფრო სავარაუდოა, რომ შ და გ ტაეპების გავლენით A რედაქციის რამდენიმე ნუსხაში ოდეს ნაკითხვა შეიცვალა ველარ-ით, ვიდრე პირუკუ.

ს. ცაიშვილი: თხრობის თვალსაზრისით, ვფიქრობ, უფრო გამართლებულია ოდეს. ყველგან ველარ თუ იქნება, თხრობა ძალიან სწორხაზობრივი იქნება და ნაკლებ პოეტური. რედაქციამ გაიანზრა ი. გიგინეიშვილის მოსაზრება და ა-ში მიიღო ნაკითხვა: ველარ გნახავ, ტაეპის ბოლოს დაისვა მძიმე.

ამ ცვლილებით პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ველარ გნახავ მზიარულს, ნადირობიდან დაბრუნებულს, ველარ გავიგონებ შენს ხმას, მოსამენად ჩემკენ წამოსულს, ახლა უშნოდ რა ვუყო სამეფო ტახტსა და ბრწყინვალე სასახლეს?

რედაქციის ზოგიერთ ნევრს (ი. გიგინეიშვილსა და ც.კიკვიძეს) გ-ს შინაარსი განსხვავებულად ესმით: „ველარ გავიგონებ შენს ხმას, სასამენლად მას როგორ მოსასამენს“.

822 ვიცი, არ მოგკლავს შიმშილი, რაზომცა დია ირები;  
შენ შენი მშვილდი დაგარჩენს, შენთა ისართა პირები,  
ნთოუ კულა ღმერთმან წყალობით გაგიადვილოს ჭირები,  
და მაგრამ, თუ მოვკუდე, გაზრდილო, ვსგანლა დავიტირები?“

U 815-თან შედარებით პროექტში ცვლილებები არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ვიცი არ მოგკლავს შიმშილი, რა ბევრიც უნდა იარო: შენ შენი მშვილდი დაგარჩენს (შეგინახავს), შენი ისრები, ეგების ისევე ღმერთმა წყალობით გაგიადვილოს გასაჭირი, მაგრამ თუ მოვკუდე, გაზრდილო, ვსგანლა დავიტირები?“

823 ზარი გაისმა, შემოკრბა ჯარი მრავალი კაცისა,  
დარბაზს ხასთაგან ჯარია ჯელითა წურთა ტაცისა,  
იგლეჯს და იცემს ყუელი, ჯმა ისმის თავსა ტაცისა;  
და თქვეს: „ბნელი გუმართებს დღეკრულთა, რათგან მზე მიგუიდრიკა ცისა“!

U 816-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: გლოვის ზარი დადგა, შეიკრბა მრავალი კაცი, დარბაზში დიდებულების ჯარი ნევრებზე ხელს იტაკებდა, (ნევრს) იგლეჯს და (გულში) იცემს (ხელს) ყველა, თავში ცემის ხმა ისმის; თქვეს: „ბნელში ყოფნა გემართებს დღედანყველილებს, რადგან მზე (აეთანდლილი) ჩენთვის გადისხარა (დაგვმორდა)!“

1977. 23. XI

სდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს: 824-825 (პროექტი მოამზადა III ეტაპზე); 826-831 (პროექტი მოამზადა II ეტაპზე).

824 რა შედეგან დიდებულნი ნახნა, სულთქმით შემოსტირნა,  
უთხრა: „ხედავთ, მზემან ჩუენმან შუენი სრულად დაგუოტირნა  
რა ვანყინეთ, რა შეესცოდეთ, რად დაგუჯარნა, რად გაგუწირნა  
და სპანი, მისგან დაჭირულნი, ვინმცალა ვით დაგუოტირნა?“

U 817-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მეფემ რომ დიდებულები ნახა, ოხვრით შესტირა, უთხრა: „ხედავთ, ჩვენმა მზემ  
(ავთანდილმა) შუეი გაგვიძვირა (მოგვაკლო)! რა ვანყინინეთ, რა შევეოდეთ, რატომ  
დაგვტოვა, რატომ გაგვწირა! მის მორჩილებაში მყოფი ლაშქარი ვინდა დაგვიმორჩილოს  
(ჩვენთვის ვინ ამყოფოს მორჩილებაში)?“

825 ყოვლნი ტიროდეს, მოსთქმიდეს, მერმე დანყნარდეს გუჰანად.  
მეფემონ ბრძანა: „იკითხეთ, მარტო ანუ ყმიანად?“  
მოვიდა მონა შერმადინ მოშიშრად, სიცოცხელიანად,  
და ანდერძი ჰკადრა, ატირდა, სიცოცხლე უწინდა ზიანად.

U 818-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის, პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ყველანი ტიროდნენ, მოთქვამდნენ, მერმე მოგვიანებით დანყნარდნენ. მეფემ  
თქვა: „იკითხეთ, მარტო (ნასული) თუ ყმიანად?“ მოვიდა მონა (მსახური) შერმადინი  
მოშიშრად, მორცხვად, ანდერძი მიართვა, ატირდა, სიცოცხლე მიანდა უბედურებად.

826 მოაწყენა: „სანოლს ეპოვე ესე მისგან დანანური:  
დგეს მონანი ნატირებნი, დაეგლოჯა თმა და წვერი;  
იგი მარტო გაპარულა, ყმა არ ახლავს, არცა ბერი.  
და მე თუ მომკლათ, მემართლებით, სიცოცხლე მჭირს შუეუერი!“

U 819-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ა და ბ-ს ბოლოს წერტილ-მიძიმის ნაცვლად დაისვა მიძიმე, გ-ს ბოლოს წერტილის  
ნაცვლად – წერტილ-მიძიმე. პროექტი ამ ცვლილებით მიღებულ იქნა.

ს. შ.: მოახსენა: „სანოლში ეპოვე ეს მისგან (ავთანდილისგან) დანანური, იდგნენ  
ნამტირალევი მონები, დაეგლოჯათ თმა და წვერი, ის მარტო გაპარულა, არც ახლავაზრდა  
ახლავს, არც მოხუცი; მე თუ მომკლავთ, ჩემთან მართალი იქნებით, სიცოცხლე არ  
შემეფერება (სიცოცხლის ღირსი არა ვარ)!“

827 რა ანდერძი წაიკითხეს, კულა იტირეს დიდი ხანი;  
მერმე ბრძანა: „შხიარულსა წუ ჩაიცვენ ჩემნი სპანი,  
ვამლოცველნით დავრდომილნი, ობოლნი და ქერიენი სხუანი,  
და შევეწინეთ, მშუილობისა წუთუ მისცნეს ლმერთმან გ ზანი!“

U 820-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: როდესაც ანდერძი წაიკითხეს, ისეე დიდხანს იტირეს; მერმე თქვა (მეფემ),  
„სამხიარულოს (ტანსაცმელს) წუ ჩაიცვამენ ჩემი ჯარები, (მისთვის) ვამლოცველოთ  
დავრდომილები, ობლები და ქერიეები, შევეწიოთ (ლოცვით), იქნებ მშუილობის გ ზა მისცეს  
ლმერთმა!“

828 მთურან მზესა მოეშორვოს, მოშორება გაანათლებს,  
რა ეახლოს, შუეი დასწავს, გაეყრების, ვერ იახლებს,

მაგრამ ვარდას უმზეობა გააწმობს და ფერსა აკლებს,

და ჩვენ ვერჭურვება საყურარლისა ჭირსა ძუელსა გაგვიახლებს.

უ 821-თან შედარებით პროექტში ცვლილებები არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მთავარე მზეს რომ მოშორდება, დაშორება სინათლეს შემატებს, რომ მოუახლოვდება (მზის) შუქი დანეავს, (ამიტომ) მოსცილდება, ახლოს ვერ დარჩება, მაგრამ ვარდას უმზეოდ ყოფნა ახმობს და ფერს უკარგავს, (ხოლო) ჩვენ სატრფოს უნახველობა ძველ ჭირს გაგვიახლებს.

829 აწყა დაეინყებ ამბავსა, მის ყმისა ნამაელობასა;

მივა და მიტირს გულმდღღარად, ვერ ვიტყუი ცრემლთა მცრობასა,

ნამნამ მობრუნდის, იაჯდის მისთუის მზისავე შობასა,

და უჭურედდის, თუალი ვერ მოჰქსნის, თუ მოჰქსნის, მოჰქდის ცნობასა.

უ 822-თან შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: დ მოჰქსნის (მობხნის [ორივეგან]), მიჰქდის (მიხდის) პროექტი მიღებულ იქნა.

ი. გიგინეიშვილმა აღნიშნა, რომ მობრუნება აქ ნიშნავს გონზე მოსვლას, გამორკვევას.

შ. ძიძიგურის აზრით ნამ-ნამ ამ კონტექსტში ნიშნავს: დროდადრო.

ს. შ.: ახლა დაეინყებ ამბავს, იმ მოყმის ნასელის ამბავს: მიდის და მიტირს გულმდღღარედ, ვერ ვიტყუი, რომ ცრემლი უმცირიდებოდა, დროდადრო მობრუნდებოდა (გონს მოეგებოდა) ხოლმე, ითხოვდა, მისთვის მზეს რომ მზეობა გაენია, უყურებდა, თვალს ვერ სწყევტდა, თუ მოსწყევტდა, გონებას კარგავდა.

830 რა მიეახლის დაბნედად, ვერ ჴელეყის გაძრეად ენისად,

მაგრამ სდის ცრემლი თუალთაგან მსგავსად დიჯლისა დენისად,

ზოგჯერ დაბრუნდის, იჭურედდის ღონედ პატყთა თმუნისად,

და რა გაეშართის, არ იცის, მას თუ არბედის ცხენი სად.

უ 823-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: როდესაც დაბნებაზე მივიდოდა (დაბნედას მოუახლოვებოდა), ენის დაძვრაც არ შეეძლო, მაგრამ თვალებიდან დიჯლასავით (მდინარე ტიგრისივით) სდიოდა ცრემლი, ზოგჯერ დაბრუნდებოდა, იყურებოდა, რომ ტანჯვათა მოთმენის საშუალება ეპოვა, რომ ნაეიდოდა, არ იცოდა, თუ სად ატარებდა ცხენი.

831 თქვა: „ჩემო, შენი შორს მყოფი კრულია, ვინცა დადუმდეს,

რათგან შენ დაგრჩა გონება, გული შენკენვე დაბრუნდეს,

თუალთა მტირალთა შეხედვა შენივე სნადდეს და უნდეს.

და სჯობს, საყურარელსა მოყურარე რა ზომცა დაუძაბუნდეს!

უ 824-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის, პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: თქვა: „ჩემო შენგან შორს მყოფი ვინც დადუმდება (არ იტირებს, არ იჩივლებს), კრულია (წყულია), რადგან შენთან დარჩა ჩემი გონება, გულიც შენკენ ბრუნდება, მტირალ თვალებს შენი შეხედვა უნდოდეს და ესურვებოდეს. უმჯობესია, სატრფოს მოყვარე (მოყვარული, თავყვანისმცემელი რაც უფრო გაუგულწვილდება (მისდამი მეტ გრძობას გამოიჩენს).

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ს. ცაიშვილი.

განიხილეს: 832–836 (პროექტი მოამზადა III უჯრუფმა).

**832** მე რა ექმნა შენად შეყრამდის, ანუ რას ეუჭუნე ლხენასა?  
თავსა მოვიკლავ, მე თუმცა შენგან არ ეუჭული წყნასა,  
მაგრა შენ განყენ ჩემისა არსიცოცხლისა სმენასა,  
და მოდი და შივსცნე ცოცხალმან თუალნი ცრემლისა დენასა!"

ს 825-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მე რა ვქნა შენ შეხვედრამდე, ან რა ლხენაზე ვფიქრო? თავს მოვიკლავ, შენს წყნინებას რომ არ ვფიქრობდე (რომ არ ვიცოდე, შენ გენყინება), მაგრამ შენ შეგანუბებ (დაგალონებ) იმის ვაგებით, რომ აღარ ვარ ცოცხალი, მოდი და ცოცხალმა თველებს ცრემლი დაეაღვრევიწო!"

**832,1** ტირს, იტყვის: „დადგა კაეშნი ლახუარმან ჩემთუის ათმანო;  
ინდოთა რაზმმან ჩემად კლავდ თქუა: «ესე ტეერი ვიხზათ», – მანო.  
თუალთა გიშერი აშუენებს, სათმან რად მომკლა, სათმანო!  
და ბაგეკბილო და თუალ-ნარბო, მომცემდით პატიყსა, თმანო!"  
პროექტში სტროფი ძირითადად არის მიჩნეული.

x 1012 -თან შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილება: ა ჩემთუის (ჩემთვირ), ბ ინდოთა (ჰინდოთა), რაზმმან (რაზმან), თქუა: «ესე ტეერი ვიხზათ», – მანო (თქვა, ესე ტეერი ვიხზნა თმანო), დ მომცემდით პატიყსა (მომცემდი პატიყთა).

გ. კარტოზია: სტროფი არის ყველა (დაუზიანებელ) ხელნაწერში, აგრეთვე ვახტანგის გამოცემაში. გამომცემლები, ჩანართად რომ მიიჩნევენ, მოუთითებენ სტროფის ენობრივ, მხატვრულ-სტილისტურ გაუმართაობაზე, როგორცაა ა-ს სარიტმო სიტყვა კაეშანი (ასეა დაბეჭდილი ყველა გამოცემაში), ტავტოლოგიური რითმა (ბ და დ-ში თმანო). ხელნაწერთა მონაცემების საფუძველზე შესაძლებელი ხდება ზოგი ადგილის გამართვა. მაგ., ა-ში უპირატესობა მიეცა კაეშნი ფორმას, რომელიც რიგ ხელნაწერში იკითხება და ძველ ქართულშიც დასტურდება (იხ. ილ. აბულაძე 1973, 190); ბ-ში (სარიტმო სიტყვებში) მიღებულია კ.ჭიჭინაძისული ნაკითხვა, რითაც იხსნება ტავტოლოგიური რითმა. ბ-ში ფრაზის კონსტრუქციისათვის შდრ. ანალოგიური შემთხვევა სხვაგან: ავთანდილ, მისმან შესენებმან, ლანუი ცრემლითა მინა მან, 685ა.

ა. ბარამიძე: „უტ“-ში, ჩვეულებრივ, იხმარება კაეშანი, ამიტომ როგორც კეშანი, ისე კაეშნი არ შეიძლება რუსთველისეული იყოს. მე ადრეც აღმინიშნავს, რომ სტროფი ფორმით უხეიროა და შინაარსობრივადაც საყურადღებოს არაფერს იძლევა.

ი. გიგინეიშვილი: ძველ ქართულში კაეშნი ფორმის სპორადულობა (ერთი მაგალითია ცნობილი) დამაფიქრებელია, შესაძლოა აქ ა მექანიკურად იყოს დაკლებული, რაც შეეხება ბ-ს ნაკითხვას (ვიხზათ მანო), ანალოგიისათვის მოხმობილი მინა მან არ გამოდგება, თვით მოითხოვს ახსნას. კერძოდ, ვფიქრობ, ეს უკანასკნელი ერთ სიტყვად უნდა წავიკითხოთ – მინამა დანარჩენ ტაეებშიც სარიტმო სიტყვები ბოლოკიდური ნ-ს გარეშე უნდა წავიკითხოთ. საკმაო საფუძველი არა გვაქვს განსახილველი სტროფის ძირითად ტექსტში შეტანისათვის.

ც. კიკვიძე: კაეშნი ფორმაში ა-ს უქონლობა, მართლაც შეიძლება მექანიკური შეცდომის შედეგი იყოს. სტროფი მხატვრულად მეტად გაუმართავია (შდრ., სათ სიტყვის გამოვრება: სათმან რად მომკლა, სათმანო), ამკარად ჩანართი უნდა იყოს.

ს. ცაიშვილი: ის ფაქტი, რომ სტროფი ყველა ხელნაწერშია, ხელს ვერ შეუძლია მის ჩანართად ჩათვლას. ასევე ვახტანგის გამოცემაში მისი არსებობა არ გამოდგება მის ნამდვილობის უეჭველ საბუთად. ვახტანგმა, როგორც ცნობილია, თავისი შეხედულებისამებრ შეამოკლა პოემის ვრცელი ტექსტი და ზოგი ჩანართი სტროფი მინც დარჩა მის გამოცემაში.

რედაქციის წევრებმა ამასთან აღნიშნეს, რომ ხელნაწერებში არსებული ვარიანტები შესაძლებლობას იძლევა გაიმართოს სტროფის ცალკეული ადგილები.

დაადგინეს: სტროფი მიჩნეულ იქნეს ჩანართად (წინააღმდეგი – გ. კარტოზია). ტექსტის წარმოდგენილი პროექტი დამტკიცდეს.

ს. შ.: ტირის, ამბობს: „სუედა (კეჰანი) შემყარა (ჩემთვის გააჩინა) მრავალმა (ათმა) ლახვარმა; ინდოელების რაზმმა (წაწამებმა) ჩემ მოსაკლავად თქვა: „ეს ტვერი ვწნათო“. თვალებს გიშერი ამშვენებს, სათმა (შაემა ქარვამ) რატომ მომკლა, სათმა! ბაგე-კბილო, თვალ-წარბო და თმებო, დამტანჯეთ (ტანჯვა მომეცით)!“.

**833** იტყვის: „ჰე მზო, ვინ ხატად გთქუნს მზიანისა ღამისად,  
ერთარსებისა ერთისა, მის უფამოსა ფამისად,  
ვის გამორჩილობენ ციურნი ერთის იოტის წამისად,  
და ბედსა ნუ მოქცევ, მიაჯე, შეყრამდის ჩემად და მისად!

უ 826-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ამბობს: „ჰე, მზო, ვისაც გინოდებენ მზიანი ღამის, ერთარსება ერთის, უფამო ფამის ხატს (სახეს), ვისაც გემორჩილებიან ციური სხეულები ყოველ წამს, შემავედრე (ღმერთს), ბედს ნუ შემოცვლი ჩემ და მის შეხედვარად! („მზიანი ღამის“, „ერთარსება ერთის“ და „უფამო ფამის“ შესახებ იხ. კომენტარში).

**834** ვის ხატად ღმრთისად გიტყუიან ფილოსოფოსნი წინანი,  
შენ მიშუელე რა ტყუექმნილსა, ჯაჭუნი მაბიან, რკინანი!  
ბროლ-ბალახშისა მძებნელმან სათნი დაეკარგენ, მიწანი;  
და მაშინ ვერ გაესძელ სიახლე, ან სიშორესა ვინანი“.

უ 827-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ვისაც (მზეს) ღეთის ხატს (სახეს) გინოდებენ ძველი ფილოსოფოსები, შენ მიშველე რამე ტყუექმნილს, ჯაჭვი, რკინა მაბია! ბროლ-ბალახშის (ე.ი. ტარიელის) მძებნელმა სათი და მიწა (ე.ი. თინათინი) დაეკარგე; მაშინ ვერ გაეძელი (თინათინის) სიახლოვე, ახლა სიშორეს ვანაობ“.

**835** ამას მოსთქმოდის, ინოდის, ვითა სანთელი დნებოდის,  
დაყოვნებისა მოშიში ისწრაფდის, იარებოდის;  
რა შეულამდის, ვარსკულაეთა ამოსლვა ეამებოდის,  
და მას ამსგავსებდის, ილხენდის, უჭურეტდის, ეუბნებოდის.

უ 828-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ა ინოდის (ინვოდის), პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ამას მოთქვამდა, ინვოდა, სანთელივით დნებოდა, დავკიანებისა ეწინოდა, ჩქარობდა, შეუყოვნებლივ მიდიოდა; როდესაც დაღამებოდა, ვარსკვლავების ამოსვლა უხაროდა, მას (თინათინს) ამსგავსებდა, ილხენდა, უჭურეტდა, ესაუბრებოდა.

**836** მთუარესა ეტყვის: „ოფიც სახელი ღმრთისა შენისა!  
შენ ხარ მომცემი მიჯნურთა მიჯნურობისა სენისა,

შენ გაქვს ნამალი მისისა მოთმინებისა თქენისა,  
და მიავე შეყრა პირისა, შენ გამო შენებრ მშენისა!"

U 829-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მთვარეს ეუბნებოდა: „გაფიცებ შენს ღმერთს! შენ ხარ მოჯნურებისათვის მოჯნურობის სენის შემყრელი, შენ გაქვს მისი (მოჯნურობის) გაძღების ნამალი, შემავედერ (ღმერთს) შენი წყალობით შენსავით მშვენიერი პირის (თინათინის) ნახვა!"

## 1977 .9. XII

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, გ. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ ძიძიგური.

განიხილეს: 837 (პროექტი მოამზადა II ეგუფმა ); 838–841 (პროექტი მოამზადა III ეგუფმა).

837 ღამე აღხენდის, დღე სვიდის, ელის ჩასლვასა შხისასა;  
რა წყალი ნახის, გარდაჯდის, უჭურეტდის ჭავლსა წყლისასა,  
მას თანართვიდის ნაკადსა სისხლისა ცრემლთა ტბისასა,  
და კულა გაემართოს, ისწრაფდის ნავლასა მისცე გზისასა.

U 830-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ღამე შევებას აძლევდა, დღე ანუხებდა, მზის ჩასვლას ელოდა ხოლმე; მდინარეს რომ ნახავდა, ჩამოხტებოდა ცხენიდან, უჭურეტდა წყლის ლივლივს (ჭავლს), მას ურთავდა სისხლის ცრემლების ტბის ნაკადს, ისე გაემართებოდა, ჩქარობდა იმავე გზის გავლას (ქვაბისაკენ).

838 მარტო მოსთქმიდის, ტიროდის ტანად ალვისა ხიანი,  
მინდორს თხა მოკლის, სადაცა ადგილი დახუდის კლდიანი,  
შუნუის, ჭამის და ნავიდის პირმზე, გულმარხიანი,  
და იტყუის: „დაეყარენ ვარდნი და, აჰა მე, ვაგლახ, იანი!"

U 831-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მარტო მოთქვამდა, ტიროდა ხოლმე ალვის ხის ტანიანი (ავთანდილი), მინდორში თხას მოკლავდა, სადაც კლდიანი ადგილი შეხედებოდა, შეცკავდა, შეჭამდა და ნავილოდა პირმშვენიერი და გულმაგარი (მარხის გულის მქონე), ამბობს: „აჰა მე, ვაგლახ, დავტოვე ვარდები და იები (თინათინი)!"

839 ან ვერ ვიტყუი მაშინდელსა მე მის ყმისა ნაუბარსა.  
მოუბნობდის, რას მოსთქმიდის, რას ტურფასა, რაზომ გუარსა!  
ზოგან თოვლი გაენითლის ვარდსა, ბრჭკლითა ნახოკარსა.  
და ქუაბნი ნახნა, გაესარნეს, ზე გავიდა ქუაბთა კარსა.

U 831-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

რედაქციამ ბ-ში მოუბნობდის შეცვლა ნაკითხვით რას უბნობდის, რომელიც ზოგ ხელნაწერსა და გამოცემაში დასტურდება. ა-ს ბოლოს დაისვა ძიძიმე, ბ-ს ბოლოს – ნერტილი; ბ-ში რაზომგუარსა დაინერა შერწყმულად.



მოგვიანებით გ-ში ბრჭყლითა შეიცვალა ბრჭყლითა ფორმით (იხ. 1978. 24.III-ის ოქმი, სტრ. 908).

ს. შ.: ახლა ვერ ვამბობ იმ მოყმის (ავთანდილის) მაშინდელ ნაუბარს, რას ლაპარაკობდა, რას მოთქვამდა, რა მშვენიერ (სიტყვებს), როგორს. ზოგან თოვლი გაენითლებინა ვარდს (ლოყებს), ფრჩხილით ჩამოხოკოს. გამოქვაბულები დაინახა, გაუბარდა, გამოქვაბულთა კარებს მიადგა.

ბარამიძის, ე. მეტრეველის და შ. ძიძიგურის აზრით, გ-ში თოვლი მეტაფორულად სახეს აღნიშნავს, ც. კიკვიძე, გ. კატოზიას და ს. ცაიშვილს მიაჩნიათ, რომ თოვლი აქ პირდაპირი მნიშვნელობით არის ნახმარი.

840 რა ასმათმან დაინახა, მოეგება, ცრემლი სწუთების,  
ეთ ეამა, სიხარულსა მართ ველარას ვერ მიხვდებობს;  
ყმა გარდაქდა, მოეხუთა, აკოცებს და ეუბნების.

და კაცი კაცსა მოელოდეს, მოსლვა დია ეამების.

უ 833-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ასმათმა რომ დაინახა, მოეგება, ცრემლი სდიოდა, როგორც ეამა (ასმათს), (სხვა ასეთ) ველარავითარ სიხარულს ვერ ენევა; მოყმე ჩამოქვეითდა, მოეხუთა, კოცნის და ესაუბრება. კაცი (რომ) კაცს ელის, (მისი) მოსვლა დიდად ეამება (გაუხარდება).

841 ყმა ქალსა ეტყუნს: „პატრონი, ნეტარ, სად არის და ვითა?“  
ქალი ატირდა ცრემლითა, ზღუათაცა შესართავითა,  
იტყუნს: „რა ნახუე, გაიჭრა, ქუბაბს ყოფნა მისჭირდა ვითა;

და ან მისი არა არ ეიცი არ ნახეთ, არ ამბავითა“.

უ 834-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მოყმე ქალს ეუბნება: „პატრონი (ტარიელი), ნეტავ, სად და როგორ არის?“ ქალი ატირდა (იმდენი) ცრემლით, რომ ზღუასაც შეერთვოდა, ამბობს, „რომ ნახვედი, გაიჭრა, როგორც კი გამოქვაბულში ყოფნა გაუჭირდა; ახლა მისი არაფერი ვიცი, არც მინახავს და არც ამბავი გამიგია“.

## 1977. 17. XII

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს: 842–847 (პროექტი მოამზადა III ჯგუფმა).

842 ყმა დაჭმუნდა, ვითამც რამე უკრეს ლახუარი გულსა შუა;  
ქალსა ეტყუნს: „აჰა, დაო, ეგეთიმცა კაცი ნუა!  
იგი ფიცი ვით გატეხა! არ ვეცრუე, ვით მეცრუა!

და ვერ იქმოდა, რად მიქადა? თუ მიქადა, რად მიტყუა?!

უ 835-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მოყმე დამწუხრდა, თითქოს გულში რაიმე ლახვარი უკრეს. ქალს ეუბნება: აჰა, დაო, ეგეთი კაცი ნურც იქნება (ქვეყანაზე)! ის ფიცი (ჩემთვის მოცემული) როგორ გატეხა! არ მომიტყუებია, როგორ მომატყუა! (თუ) ვერ შეასრულებდა, რატომ დამპირდა! თუ დამპირდა, რად მომატყუა (რატომ არ შემისრულა დაპირება)?!

843 მე უმისოდ სოფლად ყოფა რათგან ჩირად არ მიღირდა,  
რად დავეინყდი, რა მიესცილდი, რად ვერ გასძლო, რა მისჭირდა?  
მან გატეხა ზენარისა რად შემართა, ვით გაპირდა?

და მაგრა ავის ბედისაგან ჩემი რამცა გამიჭირდა!"

U 836-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

გ. კარტოზიას ნინადადებით ბ-ში რა მიესცილდი (=როდესაც მოვმორდი) შეიკვალა ნაკითხვით რად მიესცილდი (=რატომ დავეინყდი).

დ-ს ნაკითხვად მიღებულ იქნა: მაგრა ავი ბედისაგან ჩემი რამცა გამიჭირდა (ნაკითხვისათვის იხ. ი. გიგინეიშვილი 1975, 341-342).

ს. შ.: მე უმისოდ ამქვეყნად ყოფნა რადგან ჩირადაც არ მიღირდა, რატომ დავეინყდი, რატომ ვერ გაძლო, რა გაუჭირდა? მან ფიცის გატეხა რატომ გაბედა, როგორ დააპირა (გადანყვიტა)? მაგრამ ბედისაგან ჩემი ავი რა გამიჭირდება!"

844 კულა ქალი ეტყვის: „მართალ ხარ მაგისა დამძიმებასა,  
მაგრა რა გავებრჭო მართალი, ნუ მეჭუ რასაცა თნებასა:  
არ გული უნდა ფიცის და პირისა გასრულებასა?

და იგი უგულო მოელის მართ დღეთა შემოკლებასა.

U 837-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა, ოღონდ ბ-ში მაგრა-ს შემდეგ დაისვა მძიმე.

ს. შ.: კვლავ ქალი ეუბნება: „მართალი ხარ, ამ ამბავმა რომ დავამძიმე, მაგრამ, სიმართლით რომ განვსჯი (მართალი რომ ვთქვა), ნუ იფიქრებ ჩემზე, რომ ვპირმოთნეობ: (განა) გული არ უნდა ფიცის და დაპირების შესრულებას? ის კი (ტარიელი) უგულო (გულწარმეული) მოელის დღეების შემოკლებას (სიკვდილს).

845 გული, ცნობა და გონება ერთმანერთზედა ჰკიდინა:  
რა გული ნავა, იგიცა ნაველნ და მისკენ მიდიან;  
უგულო კაცი ვერ კაცობს, კაცთაგან განაკიდინა.

და შენ არ გინახვან, არ იცი, მას რომე ცეცხლი ნსუიდიან.

U 838-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

გ. კარტოზიას აზრით, განაკიდინა ხოლმეობითის ფორმაა (=ამოაშორებენ, გააკიდევანებენ), სხვებს მიაჩნიათ, რომ აქ გვაქვს შედგენილი შემასმენელი განაკიდია (=გაკიდევანებულია, მოშორებულია), რომელსაც ბოლოში რითმის საჭიროების გამო მორფოლოგიურად უფუნქციო ნ ერთვის.

ს. ციაშვილის აზრით, კაცთაგან განაკიდინა ნიშნავს: კაცობისგან მოშორებულია, კაცურ ღირსებებს მოკლებულია.

ს. შ.: გული, გონება და ფიქრი ერთმანეთზე და მოკიდებული: გული რომ ნავა, ისინიც ნაველნ მასთან ერთად (იმავე გზას დაადგებინ); უგულო (გულწარმეული) ადამიანი ვერ კაცობს; ადამიანთაგან გაკიდევანებულია (მოშორებულია). შენ არ გინახავს, არ იცი, მას როგორი ცეცხლი წვედა.

846 შენ უმართლეს ხარ, ემდურვი, შენ გაეყარე ძმობილსა,  
მაგრა ვით ითქმის, ვით გაქდა, ვითა ვიამბო ცნობილსა!  
ენა დაშურების, გაცუთების, გულსა შეელმის ღმობილსა,  
და ამას მით ვაზრობ, მინახავს მე უბედურსა შობილსა.

U 839-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ი. გიგინეიშვილი: ბ-ში უფრო მართებულია ზოგიერთი ხელნაწერისა და გამოცემის ( $A^9 D^1 D^2$ ) წაკითხვა ვით გაამბობის (შდრ.  $A^{10}$ -ის გაამბობის). ტაეში მეორე ზმნაც პოტენციალის ფორმითაა წარმოდგენილი (ვით ითქმის). ე. მეტრეველიც მომხრეა ვით გაამბობის ფორმის მიღებისა.

რედაქციის სხვა წევრებმა არ გაიზიარეს ეს წინადადება. პროექტი მიღებულ იქნა უცვლელად.

ს. შ.: შენ მართალზე მართალი ხარ, რომ ემდურები, შენ გამორდი (ვერ შეხვდი) ძმობილს, მაგრამ როგორ ითქმის, თუ როგორი ვახდა (რა დღეში ჩავარდა), რანაირად გაამბო ცნობიერს! ენა დაიღლება, გაცვდება, მტკივნა გულს ეტკინება, ამას იმიტომ ვფიქრობ, რომ მინახავს მე უბედურად დაბადებულს.

847 ვეროთ მისი მსგავსი სასჯელი არცა ვის ამბად სმენია:

არა თუ კაცთა, სასჯელი ქვათაცა შესაძრენია,

დოჯლადცა კმარის, მას რომე თულთაგან ცრემლი სდენია;

და თუთი რაცა პბაძანოთ, მართალ ხართ: სხუა სხუისა ომსა ბრძენია.

უ 840-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ვერ მისი მსგავსი ტანჯვა ამბადაც არავის გაუგონია: (ამგვარი) ტანჯვა არა თუ კაცის, ქვის შესაძრუნებელიცაა, დოჯლად (წყალზე მდინარე ტიგრისად) კმარა, მას რომ თვალებიდან ცრემლი დასდენია, თქვენ რაც უნდა ბრძანოთ, მართალი ხართ (რადგან) სხვა სხვის ომში ბრძენია.

## 1977. 23. XII

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განხილეს: 848; 849 (პროექტი მოაზნადა III ვგუფმა); 850-852 (პროექტი მოაზნადა II ვგუფმა).

848 მას წამავალსა ვკითხვედი, დამწარსა, ცეცხლმოდებულსა:

«მოვიდეს, რა ქნას აეთანდილ? მისსა დამვედრე დებულსა».

მიბრძანა: «მოლა-შნახვიდეს მე, მისთვის გაცუდებულსა.

და ამათ არ დაეპყრი არეთა, არ გაესტეხ მას ქადებულსა.

უ 841-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მიმავალ დამწვარს, ცეცხლმოდებულს (ტარიელს) ვკითხებოდი: «რომ მოვა, რა ქნას აეთანდილმა? დამიბარე მის მიერ დადმიწნულს». მითხრა: «მომნახოს მე, მისთვის უსარგებლო, ამ არემარეს არ დაეტოვებ, იმ შეპირებულ (სიტყვას) არ გაეტეხ.

849 მას ზენაარსა არ გაესტეხ, მას ფიცსა არ ვეცრუები,

მას პაემნამდის მოვიცდი, რაზომცა გამდის რუები;

თუ მკუდარი მნახოს, დამმარხოს, თქუას ვაგლახი და უები,

და ცოცხალი დაეხუდე, უკურდეს, სიცოცხლე არს სათუები».

უ 842-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

გ. კარტოზია: ბ-ს პირველი ნახევრის აზრი, ჩვეულებრივ, ასე ესმით: იმ პაემნამდის მოვიცდი. მაჩნიათ, რომ მოვიცდი ერთპირიანი ზმნაა, მას კი – პაემან – სიტყვის

მსაზღვრელი ნანევარი. სინამდვილეში აქ, ისევე როგორც ადრინდელი ხანის ძველთა ენაში, მოვიცდი ორპირიანი გარდამავალი ზმნაა (მოვიცდი მე მას – მოვიცადე მე იგი). ნახევარტაუპის აზრია: მას (ავთანდილს) პაემნამდის მოუყვდი.

ს. შ.: იმ ფიცს არ გავტეხ, იმ ფიცს არ ვუმტყუნებ, მას (ავთანდილს) პაემნამდის მოუყვდი, რამდენი (ცრემლის) რუც უნდა მდიოდეს: თუ მკვდარი მიპოვოს, დამმარხოს, ვაგლახი და უი თქვას (იგლოვოს), (თუ) ცოცხალი დაეხვდე, გაუყვირდეს, საეტუოა, რომ ცოცხალი დავრჩე“.

850 ჩემთვის გარდახდა მას აქათ გაყრა მზისა და ქედის;  
ოდენ მოდენა ცრემლისა მჭირს, ველთა მოსალბე დისა.  
მსჯეის გამრავლება ხელქმნილსა სულთქმისა ზედა ზედისა,  
და დავეინყებოვარ სიკუდილსა, ნახეთ ნაქმარი ბედისა

ს 843-თან შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: ბ მოსალბე დისა (მოსალბედისა).

ა. ბარამიძე: ტექსტში უნდა აღდგეს ტრადიციული ნაკითხვა: მოსალბედისა, რომელიც ლექსთწყობის თვალსაზრისით უკეთესია.

ც. კიკვიძე: ამ კონტექსტში, სადაც ასმათი თავისი ტირილის შესახებ ლაპარაკობს, ზმნის აბსოლუტური ფორმა (დის) არ არის მოსალოდნელი, უნდა ყოფილიყო მდის (მოსალბე მდისა).

გ. კარტოზია: ნახევარტაუპში სემანტიკის ამგვარი განაწილება (3+3+2) „ეტ“-ში იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება. ლიტერატურაში მითითებულია 19 ამგვარი მაგალითი. რაც შეეხება იმას, რომ ამ კონტექსტში აუცილებლად რელატიური ზმნა უნდა გვქონდეს, პოემაში სხვაგანაც გვხვდება მსგავსი შემთხვევა, როცა მოსალოდნელი რელატიური ფორმის ნაცვლად ზმნის აბსოლუტური ფორმაა წარმოდგენილი. შდრ. მეზაღე მირბის, ისარებს, ოფლნი ქვე მკრდამდის ჩადიან. უნდა იყოს ჩასადიან, რომელიც შინაარსობრივად უფრო მართებულია, მაგრამ ამგვარი ნაკითხვა ლექსთწყობის თვალსაზრისით არის მიუღებელი: რითმა ირღვევა.

ი. გიგინეიშვილი: მე მიჭირს მოსალბედის დაშორება ცრემლ სიტყვისაგან. უფრო ბუნებრივია, განვიხილოთ ისინი საზღვრულ-მსაზღვრელად.

დაადგინეს: აღდგეს ნაკითხვა, მოსალბედისა. ი. გიგინეიშვილის წინადადებით ზედა ზედისა დაინერა შერწყმულად (უდევისოდ).

ს. შ.: ჩემთვის გათავდა მას შემდეგ მზისა და ქედის გაყრა (ე.ი. მზის ამოსვლა) [=მას შემდეგ ჩემთვის აღარ თენდება]; მხოლოდ ველთა დამალბობელ ცრემლს ვლჭრი. გახელეხულს მტანჯავებს განუწყვეტელი ოხვრა (ოხვრის გამრავლება), სიკვდილს დავეინყებოვარ, ნახეთ ბედის ნახელაეი!

ა. ბარამიძის აზრით, ა ასე უნდა გავიგოთ; მას შემდეგ ჩემთვის შეწყდა სიცოცხლე, დროუამის მსვლელობა, მზის ამოსვლა და ჩასვლა.

851 ესე არაკი მართალი ჩინს ქვასა ზედა სწერია,  
«ეინ მოყურაესა არ ეტებს, იგი თავისა მტერია».   
ან ზაფრანია, ვის წინას ვერ ვარდი შვეანდის, ვერ ია;  
და თულა მონახავ, მონახე,ქმენ რაცა შენი ფურია».

ს 844-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ეს მართალი (ქეშმარიტი) არაკი ჩინეთში ქვაზე სწერია: „ვინც მეგობარს არ ეძებს, ის თავის მტერია“. ახლა ზაფრანაა, ვისაც წინათ ვერც ვარდი ჰგავდა და ვერც ია; თუ მონახე, მონახე, (ისე) მოიქეცი, როგორც შეგეფერება“.

**852** ყმაძან უთხრა: „უმართლე ხარ, არ მაშართლო მღურვად მისად, მაგრა გაბრჭე, რა მიქნია სამსახური ტყუესა ტყუისად; გამოჭრილვარ სახლით ჩემით, ვით ირემი ძებნად წყლისად, და მას ეძებ და მას ვიგონებ, ვიარები ველთა ვლისად.“

x 845-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მოყემ (ავთანდილმა) უთხრა: „სასეებით მართალი ხარ, არ გამამართლო მისი სამღურაის გამო, მაგრამ განსაჯე, რა სამსახური გამინვეია ტყვეს ტყვისათვის: შინიდან გამოვჭრილვარ, როგორც ირემი წყლის საძებნელად, მას (ტარიელს) ვეძებ და მას ვიგონებ, დაჯდვიარ ველთა დასაეღელად (დავდივარ, რომ ველები მოვიარო).“

## 1978 . 6 . I

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც .კიკიძე, ე. მტრეველი.

განიხილეს: **852,1–856** (პროექტი მოამზადა II ჯგუფმა ).

**852,1** გამოჭრილვარ საძებარად, ვერვის ძალაქუს ჩემოდნება: უდაბურთა ტყეთა ელაჯე, ჭირი მაქუს და მრავლად ენება; მემცა ვითა დავეურჩე, რა მოვოდეს ღმრთისა ნება, და მისგან კიდე არვის ძალუც ამა ჩემთა ცეცხლთა ესება.

x 1033-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: დ ესება (გზნება).

ც. კიკიძისა და ი. გიგინეიშვილის წინადადებით გ-ში ღმრთისა შეიცვალა ღმრთის ფორმით. პროექტი ამ ცვლილებით მიღებულ იქნა.

ს. შ.: საძებნელად გამოვჭრილვარ, არავის შეუძლია ჩემოდენი: უდაბურ ტყეებს ვლახავ, მრავლად მაქეს ჭირი და ენება; მე როგორ გავეურჩედი, როცა იქნება ღმრთის ნება, მის (ღმრთის) მტეს არავის შეუძლია ჩემი ცეცხლის ჩაქრობა.

**852,2** ვიარები, ღმრთისა სადა ცის კიდენი დაემყაროს; ვადვიკარგი სხუათა გზათა, ვერვინ მნახოს მე აქ აროს; ვენუკე, თუ ტანსა ჩემსა ტკბილი სული ჯერ არ ჰყაროს. და მას ვერ ვნახავ, სიმგრგულე ცისა ჩემთვის რისხვით მოიყაროს.

x 1034-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ბ აროს (მაროს); გ ჯერ არ ჰყაროს (გაყაროს), დ სიმგრგულე (სიმრგვლე), პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: დავდივარ, სადაც ღმრთის ცის კიდე დაემყარებია; სხვა გზებზე გადავიკარგები, ვერავინ ვერასდროს მნახავს აქ; ვევედრები (ღმრთის), რომ ჩემს სხეულს ტკბილი სული ჯერ არ მოაშოროს, (თუ) მას (ტარიელს) ვერ ვნახავ, (მაშინ) ცარგვალნი რისხვით დამატყდეს.

**853** ბროლსადაფნი მარგალიტსა ლალისფერსა სცვენ და პზურვენ, მას მოვშორდი, ვერ ვიახლენ, ვერ ვისურვენ, ვერ ვასურვენ, გამოპარვით ნამოსლვითა ღმრთისა სწორნი მოვიმღურვენ,

და ნაცვლად მათთა წყალობათა მათნი გულნი შეაურვენ.

პ 856-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ბ ვიახლენ (ვეახელ), დ მათნი გულნი (გულნი მათნი)

ა. ბარამიძე: ა-ში ბროლსადაფნის ნაცვლად უმეზობესია პ. ინგოროყვას კონიექტურა: სად სადაფნი. ოლონდ უნდა დარჩეს ლალისფერსა (პ. ინგოროყვა, ლალის ფერად). ნაკითხვისათვის შდრ. სადა ინდონი ბროლ-ვარდსა სარვენ გიშრისა სართთა, მას მოვემორვე... 879-2.

რედაქციის სხვა ნევრები წინააღმდეგი არიან კონიექტური მიღებისა. ტაეპი უცვლელად იქნა მიღებული.

ი. გიგინეიშვილი: ბ-ში ნაცვლად ვიახლენ ფორმისა შინაარსობრივად უფრო მართებულია ვეახელ.

გ. კარტოზია: ვიახლენ, გარდა იმისა, რომ ოთხივე რადაქციის ხელნაწერები უჭერენ მხარს, შინაარსობრივადაც არ არის ურიგო. შდრ. მთუარე მზესა მოემორვოს, მოშორვება გაანათლებს, არ ეახლოს, შუქი დასწუაეს, გაეყრების, ვერ იახლემს, 828-2.

დაადგინეს: აღდგეს ნაკითხვა ვეახელ (წინააღმდეგნი – გ. კარტოზია, ც. კიკვიძე). პროექტი ამ ცვლილებით მიღებულ იქნა.

ს. შ.: ბროლი და სადაფი რომ ლალისფერ მარგალიტს იცავენ და ფარავენ, მას მოეშორდი, მას ვერ ვეახელი, ვერ გაევიხარე, გამოპარვით წამოსვლით ღვთის სწორი (მეფე როსტევეანი) მოვიმდურე, მისი წყალობის სამაგიეროდ მისი (როსტევეანის) გული დაეამწუხრე.

854 პატრონი ჩემი გამზრდელი, ღმრთისაგან დიდად ცხოველი, მშობლური, ტკბილი, მონყალე, ცა წყალობისა მთოველი, მას უორგულე, წამოვე, მართ დავიინწყ ყოველი, და მისი შემცოდე ღმრთისაგან კარგსა აღარას მოველი.

პ 847-თან შედარებით შედარებით პროექტში ცვლილებაა: გ უორგულე (ვორგულე).

ი. გიგინეიშვილი: დ-ში აღარას ფორმის ნაცვლად უმეზობესია ზოგიერთ ხელნაწერში დაცული რასალა, ავთანდილის სიტყვების საერთო ტონს ეს უფრო ეგუება.

რედაქციამ მიიღო ეს წინადადება. ტაეპის ბოლოს დაისევა ძახილის ნიშანი. პროექტი ამ ცვლილებით მიღებულ იქნა.

ს. შ.: ჩემს გამზრდელ პატრონს – ღვთისგან დღეგრძელს, მშობლიურს, ტკბილს, მონყალეს, წყალობის მთოველ ცას – ვულაღტე, წამოვედი, ყველა დავიინწყ, მისი შემცოდე (მასთან დამნაშავე) კარგს რაღას მოველი!

855 ესე ყულაი ასრე მჭირს, დაო, ბედითა მისითა, არ უტყუე და მოსრულეარ, მგზავრი ღამით და დღისითა; ან იგი სადმე წასრულა, ვინუი ცეცხლითა ვისითა, და ცულმაშურალი და მტორალი ქუე ვზი პირითა მჭისითა.

პ 848-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ბ უტყუე (ვუტყუე).

ა. ბარამიძის წინადადებით ბ-ს პირველი ნახევარი ასე შეიცვალა: არა უტყუე, მოსრულეარ.

ს. შ.: ეს ყველაფერი ასე მჭირს, დაო, მის (ტარიელის) გამო, არ ვუტყუენე, მოვედი დღისით და ღამით მოსიარულე; ახლა იგი სადღაც წასულა, ვისი ცეცხლითაც

(სიყვარულით, თანაგრძნობით) ვინეი, ამაოდ გარჯილი და მტირალი ვზივარ შენუხებულ სახით.

**856** დაო, მეტსა საუბარსა აღარ მომცემს ჟამი და დრო,  
არ ვინანი გარდასულსა, ბრძენთა სიტყუა გავადადრო;  
წავალ, ვებნი, ანუ ვკპოვებ, ან სიკუდილი მოვიადრო,  
და თუარა ბედი აზომ თურე მიკუეთს, ღმერთსა რალა ვკადრო!"  
უ 849-თან შედარებით პროექტში (ცვლილება: გ ვკპოვებ (ვკოვებ).

რედაქციას შესაძლებლად მიანია ბ-ს სარიტომო სიტყვად მიღებულ იქნეს ი. ლოლაშვილის კონიექტურა – გავადადრო, რომელიც ნანარმოებია სიტყვისაგან დადარი (=სამართლიანი).

ს. შ.: დაო, მეტის ლაპარაკის საშუალებას არ მძღვეს დრო და ჟამი, არ ვნანობ წარსულს, ბრძენთა ნათქვამს შევასრულებ (გავამართლებ); წავალ, ვებნი, ან ვიპოვი, ან სიკვდილს დავიჩქარებ, თორემ ღმერთს რალა უნდა გავუბედო, ბედს თურმე ასე გადაუნყვეტია ჩემთვის".

## 1978 .13. I

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს: **857–861** (პროექტი მოამზადა II ვჯგუფმა); **862–865** (პროექტი მოამზადა III ვჯგუფმა).

**857** ამის მეტი აღარა თქუა, ატირდა და წამოვიდა,  
ქუაბი ჩავლო, წყალსა გაჯდა, შამბი გავლო, ველს გავიდა;  
ქარი, ველთა მონაქროლი, ლალისფერსა ვარდსა ზრვიდა;  
და „რად მომეცო ამა ჭირსა?“, ბედსა ამას უზრახვიდა.

უ 850-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ამის მეტი არაფერი თქვა, ატირდა და წამოვიდა, ქვაბოვანი ჩაიარა, წყალზე გადავიდა, შამბი გაიარა, ველზე გავიდა; ველზე მქროლავი ქარი ლალისფერ ვარდს (ავთანდილის სახეს) ზრავდა (სუსხავდა, უყინავდა); „რატომ ჩამაგდე ამ ჭირში“, ბედს ამას უსაყვედურებდა.

**858** იტყუოს: „ღმერთო, რა შეგცოდე შენ, უფალსა, არსთა მხედსა,  
რად გამყარე მოყუარეთა, რად შემასწარ ამ ბედსა?  
ერთი ორთა მგონებული ვარ საქმესა წასანყმედსა,  
და მოვკუდე, თავი არ მწყალის, ჩემი სისხლი ჩემსა ქედსა!

უ 851-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: გ წასანყმედსა (წარსანყმედსა); დ ჩემი სისხლი (სისხლი ჩემი).

ა. ბარამიძის წინადადებით დ-ში აღდგენილ იქნა წაკითხვა სისხლი ჩემი. ამ ცვლილებით პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ამბობს: „ღმერთო, რა დაგიშავე შენ, ყველა არსების მხედველ უფალს, რატომ დამაშორე მოყვარეთ (სატრფოს და მეგობარს), რატომ შემასწარ ამ ბედს (რატომ ჩამაგდე

ამ დღემი)? ერთი, ორზე ფიქრით შეპყრობილი, დასალუპავად ვარ განწირული, (რომ მოვედე, თავი არ მებრალება, ჩემი სისხლი ჩემს კისერზე იყოს!

**859** მოყუარემან ვარდის კონა გულსა მკრა და დამიწყულა,  
იგი ფიცი, ჩემგან სრული, მან აღარა გამისრულა;  
მას თუ გამყრი, საწუთროო, ჩემი ღვინი გარდასრულა,  
და სხუა მოყუარე თუაღსა ჩემსა გაკიცხულა, გამასრულა”.

U 852-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მეგობარმა ვარდის კონა გულში მკრა და დამიწყულა (დამჭრა), ის ფიცი, ჩემგან შესრულებული, მან არ შემისრულა; საწუთროვ, თუ მას (ტარიელს) დამაშორებ, ჩემი ღვინა გათავებულა, სხვა მეგობარი ჩემს თვალში გაკიცხულა, შერცხვენილა (=მის გარდა სხვა მეგობარი არ მინდა).“

**860** კულა იტყვის: „მიკუირს ნაველი კაცისა ქუთინისა.  
რა მჭმუნვარებდეს, რას არგებს ნაკადი ცრემლთა ბანისა?  
სჯობს გამორჩევა, აზრობა საქმისა დასაგვანისა,  
და ან მეცა მოჯობს მონახვა მის მზისა, ლერნამტანისა”.

U 853-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ისე ამბობს (ავთანდილი): „მიკუირს ქვიანი კაცის ნაველიანობა. როცა წუხს, რას არგებს ცრემლის ნაკადის ღერა? სჯობს ანონ-დანონა, მოფიქრება შესაფერი საქმისა, ახლა მეც მოჯობს იმ მზის, ლერნამტანის (ლერნმის მსგავსი ტანის მქონის, ე.ი. ტარიელის) მონახვა”.

ს. ცაიშვილს მიაჩნია, რომ დ-ში ლერნამტანად იგულისხმება ნესტანი და არა ტარიელი.

**861** ყმა გაემართა საძებრად მტირალი, ცრემლთა მფრქვეველი,  
ეძებს, უზახის, უყივის, დღეებრ ღამეთა მოვეელი;  
სამ დღემდის მოვლო მრავალი ჯევი, შამხნარი, ტყე, ველი;  
და ვერ პოვა, მივა მჭმუნვარე, ვერას ამბისა მცნეველი.

U 854-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ი. გიგინეიშვილის წინადადებით გ-ში ტყე-ველი დაინერა დეფისით. ამ ცვლილებით პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: საძებრად გაემართა მტირალი, ცრემლის მფრქვეველი მოყმე, ეძებს, უძახის, უყვირის, ღამეებს დღესავით ათენებს; სამ დღეში მოიარა მრავალი ხევი, შამხნარი, ტყე და ველი; ვერ იპოვა, მიდის მწუხარე, ვერავითარი ამბის შემტყობი.

**862** იტყვის: „ღმერთო, რა შეგცოდე, ვგზომ დიდი რა განყინე?  
რად შემასნარ ამ ბედსა, რა სასჯელი მომივლინე!  
გამკითხველო, გამიკითხე, აჯა ჩემი შუისმინე,  
და დაამოკლენ დღენი ჩემნი, ჭირი ამით გამოღვინე!”

U 855-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ამბობს: „ღმერთო, რა შეგცოდე, ასე დიდად რა განყინე? რატომ შემასნარი არ ბედს, რა სასჯელი მომივლინე? განმსჯელო, განმიკითხე, ჩემი ვედრება შუისმინე, შემიმოკლე ჩემი (სიცოცხლის) დღე, ამით ჭირი ღვინად მიტყვი!”

**863** მივიდოდა, მოუბნობდა ყმა მტირალი, ფერშეცვლილი,



ქედსა რასმე გარდაადგა, ველი აჩნდა შზიან-ჩრდილი;  
ნახა, შვი შამბთა პირსა დგა სადავეუკუყრილი;

და თქვა: „უცილოდ იგიაო, არა უნდა ამას ცილი“.

უ 856-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მიდიოდა, მილაპარაკობდა მტირალი, ფერშეცვლილი მოყმე, ერთ ქედს გადაადგა, გამოჩნდა შზიან-ჩრდილიანი ველი, დინახა, შვი (=ტარიელის ცხენი) საშბის პირას იდგა სადავევადაყრილი; თქვა: „უთუოდ იგია, არ უნდაო ამას ცილობა“.

864 რა შეხედნა, ყმასა გულმან გაუფეთქნა, გაუნათდა,  
აქა ლხინი დაღრევილსა უათასდა, არ უათდა;  
ვარდმან ფერი გაანათლა, ბროლი ბროლდა, სათი სათდა,  
და ვით გრიგალმან ჩაირბინა, არ მოსცილდა ჭურუტად მათდა.

უ 857-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: გ გაანათლა (განანათლა). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: რომ შეხედა, მოყმეს გულმა (სიხარულით) ძგერა დაუნყო, (გული) გაუნათდა, დაღონებულს ახლა ლხინი კი არ გაუათკეცდა, გაუათასკეცდა (მეტად გაუმრავლდა); ვარდს (პირისახეს) ფერი მიეცა, ბროლს (პირის კანს) ბროლობა (სითეთრე) დაუბრუნდა, სათს (თვალ-ნარბს) – სათობა (სიშავე), გრიგალივით ჩაირბინა, არ მოიცალა (არ დაყოვნდა) მათ საცქერლად.

865 რა ტარიელ დინახა, განალამცა დაღრეოჯა;  
ახლოს მყოფი სიკუდილისა ჯდა და პირი დაებღიჯა,  
საყლონი გარდუხიუნეს, თაეი სრულად გაეგლიჯა,  
და მას აღარა შეესმოდა, სოფლით გაღმა გაეზიჯა.

უ 858-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ტარიელი რომ დინახა, დაღონდა: სიკუდილს მიახლოებული იჯდა (ტარიელი) და პირი დაღმიჭა, საყლო გადაეხია, თმა მთლად დაეგლიჯა, მას აღარაფერი ესმოდა, ნუთისოფლის გაღმა გასულიყო.

## 1978. 27. I

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე,  
ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს: 865,1–872 (პროექტი მოამზადა III ვგუფმა).

865,1 აქ დაბნედილი ტარიელ ქუე ძეს უსულო მდებარე;  
აეთანდილ საწლით ცრემლსა ჳოცს, ცუცხლი ედების შგზებარე;  
ერთი გაპყრია მთუარესა, ერთს დაუკარგავს შზე ბარე,

და წრმალი ლომ-ვეფხთა მჳოცელი ჳელთა აქუს გაუგდებარე.

x 1048-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა, ოღონდ დ-ში ლომ-ვეფხთა მჳოცელი გამოიყო მძიმეებით.

ს. შ.: აქ დაბნედილი ტარიელი მინაზე დევს უსულო; აეთანდილი სახელოთი ცრემლს სწმენდს, ანთებული ცუცხლი ედება; ერთი მთვარეს გაპყრია, მეორეს კი შზე დაუკარგავს, ლომ-ვეფხთა დამოცველი ხმალი გაუგდებლად ხელთა აქუს.

865, 2 ღანუნი შუქნია ზაფრანად, რომელმან ღალსა უღარა;  
სრულად დაესია სინათლე, ვის მუემან უყვის მუღარა;  
აბეზარქმნილა სოფელსა, მას მისი არა უნდა რა,

და არ მოსწრებოდა აეთანდილ, მოუნდებოდა სუღარა.

x 1049-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის, პროექტი მიღებულ იქნა.

ი. გიგინიშვილმა აღნიშნა, რომ გ-ში აბეზარქმნილა ძველი მნიშვნელობით იხმარება (=განმორება).

ს. შ.: ღანუნი, რომლებიც ღალს ეღარებოდა, ზაფრანად გადაქცევიო (გაპყვითლებია); სრულიად დაესებია სინათლე, ვისაც მუე ემუღარებოდა (ვინც სინათლით მზეს ჩაგრაედა); განმორება ნუთისოფელს, მას მისი არაფერი უნდა, აეთანდილს რომ არ მოესწრო, სუღარა დასჭირდებოდა (მოკედებოდა).

866 ერთკერძ უც ღომი მოკლული და ჳრმალი სისხლმოცხებული,  
კულა სხუაგნით – ვეფხი უსულო, მკუღარი, ქუედანარცხებული;  
მას ნყაროსაებრ თუალთაგან ცრემლი სდის გაფიცხებული.

და მუნ აგრე გულსა უნთებდა ცეცხლი მცხინვარე, ცხებული.

u 859-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ერთ მზარეს უძევს მოკლული ღომი და სისხლმოცხებული ხმალი, მეორე მზარეს კი – უსულო, მკუღარი, ქუედანარცხებული ვეფხი; მას თვალებიდან ნყაროსავით მოსდის ცხარე ცრემლები. იქ ასე უნეავდა გულს მცხუნვარე, მოდებული ცეცხლი.

867 თუალთა ახმადცა ზარეღვა, სრულად მიქწღოდა ცნობასა,  
მიახლებოდა სიკუდილსა, მომორეგებოდა ნობასა.

ემა სახელდებით უფივის, ღამის სიტყუთა კრობასა,

და ველარ ასმინა, გარდიჭრა, ძმა გამაოჩენს ძმობასა!

u 860-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ა მიქწღოდა (მიხღოდა).

ბ-ში ნობასა შეიცვალა ნაკითხვით თმობასა, რედაქციის ნეერებმა აღნიშნეს, რომ ნობა საკრავის მნიშვნელობით აქ შინაარსობრივად შეუსაბამოა; წესის, რიგის აღმნიშვნელად კი „ვტ“ ში ნობათი იხმარება და არა ნობა.

პროექტი ამ ცვლილებებით მიღებულ იქნა.

ს. შ.: თვალის ახელაც ეზარებოდა, სრულიად დაეკარგა გონება, სიკედილს მიახლოებოდა, მოთმინების ძალა გამოლოდა (გამძლეობა დაკარგოდა). მოყმე სახელით უძახის, ცდილობს სიტყვით (მის) გამოფხიზლებას, ველარ გააგონა, (ცხენიდან ) გადაიჭრა, ძმა აელენს ძმობას.

868 ჳელითა ცრემლსა უნურავს, თუალთა აელეზდა საწელსა,  
ახლოს უზის და უზახის მართ სახელდებით სახელსა;  
ეტყუის: „ვერ მიცნობ აეთანდილს, შენთუის გაჭრილსა და ხელსა?“

და მას არა ღია შეესმა რეტსა, თუალდაუფახელსა.

u 861-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ხელით ცრემლს უნმენდს. თვალებს სახელითი უზოცავდა, ახლოს უზის და უძახის სახელს; ეუბნება: „ვერ მიცნობ აეთანდილს, შენთუის (ველად) გაჭრილს და გამშაგებულს?“ მას ბევრი არაფერი ესმის გარეგებულს, თვალგამჭირებულს.

869 ესე ყუელია ასრეა, რაცა ან ჩემგან თხრობილა.

ცრემლნი მოსწურნა თუალთაგან, ცოტადრე მოაცნობილა.

მამონლა იცნა, აკოცა, მოეჭდო, მოემობილა.

და ეიმონმებ ღმერთსა ცხოველსა, მათებრი არეინ შობილა!

ს 862-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ეს ყველაფერი ასეა, რაც ახლა ჩემგან ითქვა. ცრემლები მოსწმინდა თვლებიდან, ცოტათი გონზე მოიყვანა. მამონლა იცნო ტარიელმა, აკოცა, მოხვია, ძმასავით მოეფერა. ცხოველმყოფელ ღმერთს ეიმონმებ, რომ მათი მსგავსი არაეინ დაბადებულა!

870 უთხრა: „ძმაო, არ გიტყუე, გიყავ, რაც შემოგფიცე, გნახე სულთა გაუფრულმან, ფიცი ასრე დაეამტკიცე; ან დამეჭსენ, სიკუდილამდის ვიტყირო და თავსა ვოცე-

და მაგრა გვედრებ დამარხვასა, მვეცთა საქმლად არ მივიცე“.

ს 863-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: უთხრა: „ძმაო, არ გიმტყუნე, შეგისრულე, რაც შემოგფიცე, ცოცხალმა გნახე, ფიცი ისე გაეპართლე; ახლა დამეხსენი, რომ სიკუდილამდის ვიტყირო და თავში (ხელი) ვიცი. მაგრამ გთხოვ დამარხვას, რომ შვეცების საქმელად არ გაეხდე.

871 ყმაძან უთხრა: „რამიგან ხარ, შენ საქმესა რად იქ ავსა? ვინ მიჯნური არ ყოფილა, ვის საწმილი არა სწუაესა? ვის უქნია შენი მსგავსი სხუასა კაცთა ნათესავსა?

და რად სატანას ნაულიხარ, რად მოიკლავ ნებით თავსა?

ს 864-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ა იქ (იქმ). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მოყემ უთხრა: „როგორ იქცევი, ცუდ საქმეს რატომ ჩადიხარ? ვინ არ ყოფილა მიჯნური, ვის არ ნეავს (სიყვარულის) ცეცხლი? სხვას, კაცთაგანს, ვის ჩაუდენია შენი მსგავსი (საქმე)? ეშმაკს რატომ ნაულიხარ, ნებით თავს რატომ იკლავ?

872 თუ ბრძენი ხარ, ყოვლნი ბრძენნი აპირებენ ამა პირსა: წამს მამაკი მამაცური, სჯობს, რაზომცა ნელად ტირსა. ჭირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა, ვით ქვიტიკირსა.

და თავისისა ცნობისაგან ჩაეარდების კაცი ჭირსა.

ს 865-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

გ.კარტოზია: ბს შემდეგ ნერტილის ნაცვლად მძიმე უნდა დაისვას. გ-ში უნდა ორპირიანი ზმნაა (=მართებს, ევალება); ტაეპის აზრია: (კაცს) ჭირში გამაგრება ისევე მართებს, როგორც ქვიტიკირის კედელს. ტრადიციული ნაკითხვის მიხედვით უნდა ერთპირიან ზმნადაა გაგებული (=საჭიროა), მაგრამ ამ შემთხვევაში გაუგებარია ვით ქვიტიკირსა.

რედაქციის ნევრები (ა. ბარამიძე, ც. კიკვიძე, ს. ცაიშვილი) არ დაეთანხმნენ ამ აზრს. დაადგინეს: პროექტი მიღებულ იქნეს უცვლელად.

ს. შ.: თუ ბრძენი ხარ, ყველა ბრძენი ამ აზრისაა: მამაკაცი ვაჟკაცი უნდა იყოს (და) სჯობს, რაც ნაკლებად იტირებს. გაჭირვებაში ქვიტიკირი უნდა გამაგრდეს. თავისი გონებისაგან (თუ გონიერად არ მოიქცევა) ჩაეარდება კაცი განსაცდელში.

1978. 8. 1

სდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ს. ცაიშვილი.

განხილეს: 873 (პროექტი მოამზადა III ჯგუფმა); 874-877 (პროექტი მოამზადა II ჯგუფმა).

873 ბრძენი ხარ და გამორჩევა არა იცი ბრძენთა თქმულებ, მინდორს სტირ და შვეცთა ახლავ, რას ნადილსა აისრულებ? ვისთუის პუღდები, ვერ მიხუდები, თუ სოფელსა მოიძულებ, და თავსა მრთელსა რად შეიკრავ, წყლულსა ახლად რად ინყლულებ?

პ 866-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ბრძენი ხარ და აწონ-დაწონა (საქმისა) არ იცი ბრძენთა ნათქვამის შესაბამისად, მინდორში ტირი და მხეცებთან ხარ, (ასე) რა ნადილს აისრულებ? ვისთვისაც კვდები, ვერ შეეყრები, თუ წუთისოფელს მოიძულებ, მრთელ (საღ) თავს რატომ იკრავ (=აუტკივარ თავს რად იტკივებ), წყლულს ისევ რად ინყლულებ?

874 ვინ არ ყოფილა მიჯნური, ვის არ საწმილნი სდებიან? ვის არ უნახვან პატივნი, ვისთუის ვინ არა ბნდებიან? მითხარ, უსახო რა ქმნილა, სულნი რად მოგვდებიან? და არ იცი, ვარდნი უეკლოდ არავის მოუკრებიან!

პ 867-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ვინ არ ყოფილა მიჯნური, ვის არ მოხდებია (სიყვარულოს) ცეცხლი? ვინ არ ტანჯულა (ტანჯვა ვის არ განუცდია), ვინ არის ვისთვისმე რომ არ დაბნედილიყოს? მითხარი, არაჩვეულებრივი (უმაგალითო) რა მოხდა, სული რატომ გხდება (რატომ კვდები)? არ იცი, უეკლოდ ვარდი არავის მოუკრეფია!

875 ვარდსა ჰკითხეს: «ეგზომ ტურფა რამან შეგქმნა ტანად, პირად? მიკირს, რად ხარ ეკლიანი? პონა შენი რად არს ჭირად?» მან თქვა: «ტკბილსა მწარე ჰპოვებს, სჯობს, იქმნების რაცა ჭირად; და ოდეს ტურფა გაიფდეს, აღარა ღირს არცა ჩირად».

პ 868-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ი. გიგინეიშვილის წინადადებით ბ-ს შიგნით კითხვით ნიშანი შეიცვალა შიშით. პროექტი ამ ცვლილებით მიღებულ იქნა.

ს. შ.: ვარდს ჰკითხეს: „რამ შეგქმნა ტანად და სახით (შესახადავად) ასეთი მშენიერი? მიკირს, ეკლიანი რატომ ხარ, შენი მოპოვება რატომ არის ძნელი?“ მან თქვა: „ტკბილს მწარე მოიპოვებს (ლხინი ჭირის დაძლევით მოიპოვება), უფობესია, რაც იპოვითა; როცა მშენიერი(რამ) გახშირდება, ჩირადაც აღარ ღირს“.

876 რათგან ვარდი ამას იტყუის უსულო და უსაკო, მაშა ლხინსა ვინ მოიმკის პირველ ჭირთა უფუშაკო? უბოროტო ვის ასშია რაცა საქმე საეშაკო, და რად ემდურვი საწუთროსა? რა უქნია უარაკო?!

პ 869-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: გ საქმე (კარგი).

რედაქციამ აღადგინა წაკითხვა: რაცა კარგი საეშაკო.

ს. შ.: რადგან ამას ამბობს უსულო და დღემოკლე ვარდი, მამ ლხინს ვინ მოიმკის წინასწარ ჭირთა გადუხხედი? უბოროტო ვის გაუგონია, რაც საეშაკო რიგისაა, რატომ ემდური წუთისოფელს? რა უქნია უმაგალითო (გაუგონარი)?!

**877** ისმინე ჩემი თხრობილი, შეეჯე, ნავიდეო ნებასა,  
ნუ მიჰყოლიხარ თავისა თათბირსა, გაგონებასა,  
რაცა არ გნადდეს, იგი ქმენ, ნუ სდევ ნადილთა ნებასა,  
და ასრე არ სჯობდეს, არ გეტყუი, რად მეჭუ რასაცა თნებასა!“

უ 870-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა, ოლონდ გ-ს ბოლოს მძიმე შეიცვალა ნერტილ-მძიმით.

ს. შ.: მოისმინე ჩემი ნათქვამი, შეეჯეცი ცხენზე, ნავიდეო ნება-ნება, ნუ აწყვები საკუთარ გადანყვებულებას და აზრს, რაც არ გსურს, ის გააქეთე, ნუ აწყოლიხარ (შხოლოდ თავის) ნება-სურვილს; ასე რომ არ ჯობდეს, არ გეტყუდი, რატომ გგონია, რომ სიცრუეს გუბნები (გეპირფერები)!

## 1978. 10. II

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. ბერეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილდეს: **878 – 882** (პროექტი მოამზადა II ჯგუფმა).

**878** მან უთხრა: „ძმაო, რა გითხრა, ძრეაცა არ ძალშიც ენისა,  
ძალი არა მაქუს ხელქმნილსა შენთა სიტყუათა სმენისა;  
რად ადვილად გიჩნს მოთმენა ჩემთა სასჯელთა თმენისა?  
და ან მოესწურვიერ სიკუდილსა, დრო მომეახლა ღებნისა.“

უ 871-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: გ გიჩნს (გიჩნს). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მან (ტარიელმა) უთხრა: „ძმაო, რა გითხრა, ენის დაძვრაც არ შემიძლია, გაშმაგებულს შენი სიტყუების მოსმენის ძალა არა მაქეს; რატომ მიგაჩნია ადვილად (ჩემგან) ჩემი ტანჯვის მოთმენა? ახლა სიკედილს მივხალოვებვიერ, სიხარულის დრო დამიგდა (მომიახლოვდა).

**879** ამას მოკუდავი ვილოცავ, აროდეს ვითხოვ, არ, ენით:  
აქა გაყრილნი მოჯნურნი მუნამცა შევიყარენით,  
მუნ ერთმანერთი კულა ენახეთ, კულა რამე გავიხარენით,  
და მო, მოყუარეთა დამმარხეთ, მინანი მომყარენით!

უ 872-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.  
გ-ს ბოლოს მძიმე შეიცვალა ნერტილ-მძიმით. პროექტი ამ ცვლილებით მიღებულ იქნა.

ს. შ.: ამას მომაცედავი ელოცულობ, სიტყვით არასოდეს ვითხოვ: აქ გაყრილი მოჯნურები იქ (იმ ქვეყნად) შევიყაროთ, იქ კვლავ ვნახოთ ერთმანეთი, კვლავ გავიხაროთ; მოდით, დამმარხეთ მეგობრებმა, მინა მომყარეთ!

**880** საყუარელმან საყუარელი ვით არ ნახოს, ვით განიროს!  
მისკენ მივალ შხიარული, მერმე იგი ჩემკერძ იროს,  
მივეგებვი, მომეგებოს, ამიტორდეს, ამატიროს.

და პკითხე ასთა, ქმენ გულისა, რა გინდა ვინ გივაზიროს!  
უ 872-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

გ. კარტოზიას აზრით, ბ-ში უმჯობესია ნაკითხვა: მერმე მანცა ჩემკერძ იროს.

ი. გიგინეიშვილის აზრით, დ-ს მეორე ნახევარი ასე უნდა შეიცვალოს: რა გინდ რა ვინ გივაზიროს.

პროექტი მიღებულ იქნა უცვლელად.

ს. შ.: მოჯნური სატრფოს როგორ არ ნახავს, როგორ მიატოვებს! მისკენ მიედვიარ მზიარული, მერმე ისიც ჩემკენ ნამოვა. მიეგვებები, მომეგვებება, ატირდება, ამატირებს. ასს დაეკითხე, (მანც) გულის ნაკარნახევი გააკეთე, რაც უნდა გირჩიოს ვინმემ (ვინც რა უნდა გირჩიოს)!

**881** მართ გარდანყუდით იცოდი, გეტყუი მართალსა პირასა:  
სიკუდილი მახლავს, დამეჭსენ, ხანსალა დაეკყოფ მცირასა;  
არ ცოცხალ ვიყო, რას მაქნევ? რა დაერჩე, ჴელსა მწდი რასა?  
და დამშლიან ჩემნი კავშირნი, შერთევიარ სულთა სირასა.

უ 874-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ნამდვილად (გადანყუეტილად) იცოდე, მართალ სიტყვას გუებნები: სიკუდილი მომდგომია, დამეხსენი, მცირე ხნის სიცოცხლე დამრჩენია (მცირე ხანსლა ვიცოცხლებ); თუ ცოცხალი არ ვიქნები, რად გინდივარ? თუ (ცოცხალი) დაერჩი, რაში გამოგადგები? დამშლიან ჩემი კავშირები (შემადგენელი ელემენტები), შვეერთებივარ სულთა რიგს (წყებას).

**882** რა სთქუი, რას იტყუი, არ მესმის, არც მცალს სმენად ამისად,  
სიკუდილი მახლავს ხელქმნილსა, სიცოცხლე არის ნამისად,  
ან გამიარმდა სიცოცხლე მეტად ყოელისა რამისად,  
და მუნ მეცა მივალ, ცრემლისა მინად სად გამდის ლამო, სად.

უ 875-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ი. გიგინეიშვილის ნინადადებით დ-ში მინად გამოიყო მძიმეებით. პროექტი ამ ცვლილებით მიღებულ იქნა.

ს. შ.: რა თქვი, რას ამბობ, არ მესმის, არც მცალა ამის მოსასმენად, სიკუდილი მომდგომია ხელქმნილს, ერთი ნამის სიცოცხლე დამრჩენია; ახლა ყველა სხვა დროზე მეტად (ახლა უფრო, ვიდრე ოდესმე) გამიმწარდა სიცოცხლე, მეც იქ მიედვიარ, მინაში, სადაც ცრემლის ღვარი მდის.

## 1978. 17. II

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეთრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს: **883–885** (პროექტი მოამზადა II ჯგუფმა.); **886** (პროექტი მოამზადა III ჯგუფმა.).

**883** ბრძენი, ვინ ბრძენი, რა ბრძენი! ხელი ვითა იქს ბრძნობასა!  
ეგ საუბარი მაშინ წამს, თუცალა ვიყო ცნობასა;  
ვარდი ვერ არის უმზოოდ; იყოს, დაინყებს ქნობასა,  
და მანყენ, დამეჭსენ, არა მცალს, არცალა ვახლავ თმობასა“.

უ 876-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ა იქს (იქმს).

ი. გიგინეიშვილი: ხელნაწერთა ნაწილი მ-ში ასეთ ნაკითხვას იცავს: თუმცაღა ვიყავ ცნობასა. მცა ნაწილაკით კავშირებითი კილოს გადმოცემა უფრო ძველი მოვლენაა და პოემის ტექსტშიც ეს ფორმა უნდა აღდგეს. თუმცაღა ვიყავ > თუცაღა ვიყო გასაგები პროცესია, პირიქით კი ვერ ვივარაუდებთ.

ა. ბარამიძე და ე. მეტრეველს აგრეთვე მიაჩნიათ, რომ თუმცაღა ვიყავ პირველადი ნაკითხვაა.

რედაქციის სხვა წევრთა აზრით, თუმცაღა ვიყავ და თუცაღა ვიყო ტოლფასოვანი ნაკითხვებია, მაგრამ რადგან ზმნის კავშირებითის ფორმა უფრო მეტ (რედაქცულად განსხვავებულ) ხელნაწერშია, მას უნდა მიეცეს უპირატესობა. არ არის გამორიცხული, რომ მცა-ნაწილაკიანი წარმოება გვიანდელი სწორების შედეგი იყოს.

დაადგინეს: დარჩეს ნაკითხვა: თუცაღა ვიყო (წინააღმდეგნი: ა.ბარამიძე, ი.გიგინეიშვილი, ე.მეტრეველი).

ს. შ.: ბრძენი, რა ბრძენი, რომელი ბრძენი! გახელბებული როგორ გასწევს ბრძნობას, ეს საუბარი მაშინ იქნებოდა შესაფერისი, გონებაზე რომ ეყოფილიყავი; ვარდი უმზოდ ვერ ძლებს, უმზოდ თუ იქნა, ჭკნობას დაიწყებს; თავს წუ შემანყენ, დამესხენი, დრო არ მაქვს, მოთმენაც არ ძალმიძს.

**884** კულა ეუბნების ავთანდილ სიტყუითა მრავალფერითა,  
ეტყუოს: „რა მოკლე, გურგების სიტყუითა რა ოვერითა?  
წუ იქ, არა სჯობს, საქმითა წუ ხარ თავისა მტერთა!“

და ვერ წაიყვანა, ვერა ქმნა სიტყუითა, ვერა, ვერთა.

ი 877-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: გ წუ იქ, არა სჯობს, საქმითა წუ ხარ (წუ იქმ, არა სჯობს საქმითა, წუ ხარ).

ი. გიგინეიშვილი: არ არის გამორიცხული, რომ დ-ში ვერა ვერთა კომპოზიტი იყოს, და უნდა განვიხილოთ სიტყუითა-ს მსაზღვრელად: ვერა ქმნა სიტყუითა ვერავერითა.

ე. მეტრეველი და შ. ძიძიგური იზიარებენ ამ მოსაზრებას.

რედაქციის დანარჩენი წევრები მზარს უჭერენ პროექტის ნაკითხვას. მიაჩნიათ, რომ აქ გვაქვს რუსთველის ენისათვის დამახასიათებელი განმეორება უარყოფითი ნაცვალსახელისა.

დაადგინეს: დარჩეს ნაკითხვა: ვერა ქმნა სიტყუითა, ვერა, ვერთა (წინააღმდეგნი: ი. გიგინეიშვილი, ე. მეტრეველი, შ. ძიძიგური).

ს. შ.: კვლავ ეუბნება ავთანდილი მრავალგვარ სიტყვას, ეუბნება: „რომ მოკვდე, რას გარგებს ფუჭი სიტყვა? (ამას) წუ შერები, არ ვარგა, წუ ჩადიხარ თავის სამტრო საქმეს!“ ვერ წაიყვანა, სიტყვით ვერაფერი გაანყო (ვერაფერი ქნა ვერაუთარი სიტყვით).

**885** მერმე უთხრა: „აჰა, რათგან არ მომისმენ არას, არა,  
ალარ განყენს ენა ჩემი, აქამდისცა ცუდად მტთარა;  
თუ სიკუდილი გიჯობს, მოკუე, ვარდი დაჭნეს და-ცა-მჭნარა!  
და ერთსა რასმე გვაუჯები, მიყავ!“ – ცრემლი ამღულარა.

ი 878-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ი. გიგინეიშვილი: გ-ში უმჯობესია ნაკითხვა: ალარ განყენ, ენა ჩემი აქამდისცა ცუდად მტთარა.

ა. ბარამიძე: მშენიერი ნაკითხვაა, მაგრამ არაფრით სჯობია პროექტის ტექსტს. თანაც განყენ ხელნაწერთაგან მხოლოდ C<sup>1</sup>-ში გვაქვს. სხვაგან ყველგან განყენს იკითხება.

დაადგინეს: დარჩეს პროექტის ტექსტი (წინააღმდეგნი – ი. გიგინეიშვილი, ე. მეტრეველი).

ს. შ.: მერმე უთხრა: „აჰა, რადგან არაფერს არ მისმენ, აღარ შეგანყენს თავს ჩემი ენა, აქამდისაც ამაოდ გარჯილა; თუ სიკვდილი გირჩენია, მოკვდი, (შენი) ვარდი დაჭყნეს, კიდეც დამჭკნარა! (მხოლოდ) ერთ რამეს გთხოვ (გემუდურები), შემისრულე!“ – (უთხრა და) მდულარე ცრემლები დაღვარა.

**886** „სადა ინდონი ბროლ-ვარდსა სარვენ გიშრისა სარითა,  
მას მოვეშორე, წამოვე სიჩქარით, არ სინყნარითა;  
ვერ დამიჭირა მეფემან მშობლურად საუბარითა,  
და შენ არ შემიყრი, გამიყრი, ან ჩემი ლხინი ეთქუა რითა?

U 879-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

რედაქციის წევრებმა აღნიშნეს, რომ საესეებით გასაგები არ არის ა-ს სადა კავშირის კორელაც სიტყვად ბ-ში მას ნაცვალსახელის ხმარება.

ა. ბარამიძისა და ი. გიგინეიშვილის აზრით, მას გულისხმობს თინათინს, შ. ძიძიგურის აზრით, მას = თინათინის სახეს. აბ-ს აზრია: სადაც ინდონი (წამწამები) სარს ავლებენ თინათინის ბროლ-ვარდს (სახეს), იმ ადგილს მოვეშორდი.

ს. შ.: სადაც ინდოელები (=წამწამები) ბროლ-ვარდს (=თინათინის პირისახეს) გარს ავლებენ (ლობავენ) გიშრის (=შავ) სარებს, მას მოვეშორდი, წამოვედი აჩქარებით (სწრაფად), არა წყნარად; ვერ შემაჩერა მეფემ (როსტივანმა) მამაშვილური საუბრით, შენ არ მიკარებ, მიშორებ, ან როგორ გავიხარო?

## 1978. 24. II

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს: 887–890 (პროექტი მოამზადა III ეგუფმა).

**887** ნუ გამგზავნი გულმოკლულსა, ერთი მოყავ სანადელი,  
ერთხელ შევე, ცხენოსანი გნახო ჩემი სულთა მწველი,  
ნუთუ მაშინ მოვიქარვო სვედა ესე აწინდელი;

და მე წავალ და შენ დაგატობ, იქმნას შენი საქადელი!”

U 880-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა, ოღონდ სულთამხდელი დაინერა შერწყმულად.

ს.შ.: ნუ გამაბრუნებ გულმოკლულს, ერთი სურვილი შემისრულე, ერთხელ შევექვ (ცხენზე), ცხენოსანი დაგინახო ჩემი სულის ამომხდელი, ეგებ მაშინ გავიქარვო ახლანდელი ჩემი სვედა; მე წავალ და შენ დაგატოვებ, ასრულდეს შენი დანაპირები.

**888** ეხუენებოდა: „შევეო“, აჯას ხუენნითა არეებდა,  
იციოდა, რომე შევედომა კავშანს მოაქარებდა,  
ლერწმისა სარსა დასდრეკდა, გიშურსა დააქარებდა.

და დამიშორილა, ეამა, არ ივაგლახა, არ ვებდა.

U 881-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ა. ბარამიძისა და ც. კიკვიძის აზრით, გ აზრობრივად აგრძელებს ბ-ს: აეთანდღიმა იციოდა, რომ ცხენზე შევედომა კავშანს გაუქარებდა ტარიელს და ტარიელი ლერწმის სარს



დადრეკდა, გიმურს დააკარებდა, ე.ი. ტარიელი ამოძრავებოდა, დაწყნარდებოდა, ტარიელს შეწყვეტდა (მას სიციცლის ენერგია დაუბრუნდებოდა).

შ. ძიძიგური: გ გაგრძელებაა ა-სი: ავთანდილი ეხვეწებოდა მინაზე მჯდომ ტარიელს, ცხენზე შეეჯყო, თავის ტანს (ლერნმის სარს) ხრიდა, გიმურს (წამნამებს) აკარებდა.

რედაქციის წევრთა უმრავლესობამ გაიზიარა ეს უკანასკნელი მოსაზრება. გ-ს ბოლოს წერტილის ნაცვლად დაისვა მძიმე, დ-ში პირველი სიტყვის შემდეგ მძიმე შეიცვალა წერტილ-მძიმით.

ს. შ.: ეხვეწებოდა: „შეეჯეთო“, თხოვნას მუდარით ამრავლებდა (თხოვნას რვაგზის იმეორებდა), იცოდა, რომ (ცხენზე შეეჯდომა კაემანს გაუქარებდა, ლერნმის სარს (=ტანს) ხრიდა, გიმურს (=წამნამებს) აკარებდა, დაიმორჩილა (ტარიელი); ეამა, არ ოხრავდა, არ ვაებდა (ტარიელი).

889 ცხადად უთხრა: „შეეჯდებო, მომიყვანე ცხენი წინა“.  
მან მოჰგვარა, წყნარად შესწა, არ სიქარიოთ ააქმინა;  
მინდორთაკენ წაიყვანა, ტანი მჭეერი აძრვევინა,  
და ხანი წაელს, სიარულმან მოჯობება დააჩინა.

უ 882-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: გ მინდორთაკენ (მინდორთაკე).  
ა-ში მომიყვანე-ს ნაცვლად მიღებულ იქნა მომიყენე (ნაკითხვისათვის იხ. ი. გიგინეიშვილი 1975, 264).

გ-ს ბოლოს მძიმის ნაცვლად დაისვა წერტილ-მძიმე.

ს. შ.: გარკვევით უთხრა: „შეეჯდები, ცხენი წინ მომიყენეო“. მან (ავთანდილმა) მოჰგვარა (ცხენი), დინჯად შესვა, აჩქარებით ქმენა არ დაანყებინა (სუნთქვა არ გაუნელა); მინდორებისკენ წაიყვანა, ახოვანი ტანი აამოძრავებინა; ერთხანს იარეს, სიარულმა მოამჯობინა (ტარიელი).

890 შეაქცევს და ეუბნების საუბართა შუნიერთა,  
მისთვის სძრვიდა სასაუბროდ მათ ზაგეთა ძონისფერთა,  
მისი სმენა გააყმობდა მსმენელისა ყურთა ბერთა;  
და მოიშორვა კაემანი, დათმობავე შეაერთა.

უ 883-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ართობს და ტკბილად ესაუბრება, მისთვის (ტარიელისთვის) სასაუბროდ ამოძრავებდა ძონისფერ ზაგეებს, მისი (ავთანდილის) მოსმენა გაახალგაზრდავებდა მსმენელის მოხუც ყურებს (=მოხუცს სმენას დაუბრუნებდა): მოიშორა კაემანი (ტარიელმა), მოთმინებით აღიჭურვა.

### 1978. 3. III

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს: 891–895 (პროექტი მოამზადა III ჯგუფმა).

891 რა შეატყო მოჯობება მან, სევედისა მუფარაახმან,  
განათლა პირო-ვარდი სისიარულმან დაუსახმან,  
ცნობერთა დასტაქარმან, უცნობოთა ოხრვა-ახმან;

და ცნობიერი სიტყვა უთხრა უცნობისა რასმე შრახმანს.

U 884-თან შედარებით პროექტში ცვლილება: ზ გაანათლა (განანათლა).

ბ-ში პირი ვარდი დაინერა ორ სიტყვად, ტაეპის ბოლოს მძიმის ნაცვლად დაისვა ნერტილ-მძიმე. გ-ს ბოლოს სასვენი ნიშანი (ნერტილმძიმე) მოიშალა.

ს. შ.: მოვლობინება რომ შეატყო სევედის გამქარებელმა (ავთანდილმა), უმაგალითო სიხარულმა გაანათა (მისი) ვარდის მსგავსი პირისახე; გონიერთა მკურნალმა, უგონოთა ნუხილმა (შემანუხებელმა), უგუნური რამის დამძრახავმა გონიერი სიტყვა უთხრა.

892 შურასმე-ყვეს საუბარსა, სიტყვა ჰკადრა არმალული:

„ერთსა რასმე მოგაწყნებ, გამოცხადე დაფარული;

ეგე სამწრე მისეული, შენ გაჩნია ვისგან წყლული,

და რაგუარ, გიყუარს, რაგუარ გიღორს? თქვი, დავილო მერმე სული“.

U 885-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: შეწყვენენ საუბარს, (ავთანდილმა) დაუფარავად ჰკითხა. „ერთ რამეს გეტყვი, გამიმელანენ საიდუმლო: ეგ სამწრე მისეული (ნესტარისა), ვისგანაც შენ დაჭრილი ხარ, როგორ გიყვარს, რად გიღორს? თქვი (და) მერმე დაჭრემდები“.

893 მან უთხრა: „სახე რა გითხრა მის უსახოსა სახისაი

ესეა ჩემი სიცოცხლე, ჩემი მომცემი ახისა,

მგობი ყოვლისა სოფლისა, წყლისა, მინისა და ხისა;

და არსასმენლისა მოსმენა არს უმეავესი ნმახისა“.

U 886-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა, ოღონდ გ-ს ბოლოს ნერტილ-მძიმე შეიცვალა ნერტილით.

ს. შ.: მან უთხრა: „რა მაგალითი გითხრა იმ შეუდარებელი (უმაგალითო) ნივთის შესახებ! ეს არის ჩემი სიცოცხლე, ჩემი ოხვრის გამომწვევი, მთელი სამყაროს, წყლის, მინისა და მცენარეულის მგობი (ყველაფერ ამქვეყნიურზე უკეთესი). არმოსასმენი (ყუდი) რამის მოსმენა ნმახზე უმეავესია“.

894 ავთანდილ უთხრა: „ელამოდი მართ მაგისისა თქმევასა;

ან რათგან გითქუაშს, პასუხსა გაადრებ და ნუ მეჭუ თნევასა.

სჯობს ასმათისა არლევა მაგა სამწრისა ლევასა,

და ამაღ არ გიქებ საქმისა უარესისა რჩევასა.

U 887-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

გ. კარტოზიას ნინადადებით ა-ში მაგისისა თქმევასა შეიცვალა ნაკითხვით – მაგისსავე თქმევასა ი. გიგინეიშვილმა თავი შეიკავა.

ი. გიგინეიშვილი: გ-ში უნდა მივიღოთ აკ. მანიძის კონიექტურა: სჯობს ასმათისა არლევა მაგა სამწრის არლევასა. უამისოდ აზრი გაუგებარია.

გ. კარტოზია მხარს უჭერს ამ ნინადადებს.

ს. ცაიშვილი: ტაეპის აზრი ამ შესწორების გარეშეც გასაგებია: სჯობს ასმათს არ შევლიო, სამხრეს კი შევლიო.

ც. კიკვიძე: ნაკითხვა მაგა სამხრის არლევასა ლექსთწყობის თვალსაზრისით მოუღებელია, არლევებს რიტმს.

დაადგინეს: დარჩეს პროექტის ნაკითხვა (ნინააღმდევნი: ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია).

ს. შ.: ავთანდილმა უთხრა: ვცდილობდი მაგისსავე თქმეინებას; ახლა რადგან თქვი, პასუხს გეტყვი და ნუ იფიქრებ, რომ ვპირფერობ: სჯობს ასმათის არ შევლევა მაგ სამხრის

შედეგს (სჯობს ასმათს არ შეეღიო, ვიდრე სამზრეს), ამიტომ არ გიქებ უარესი საქმის არჩევანს.

**895** სამკრე გაბია ოქროსა, ოქრომჭედლისა დნობილი, უასაკო და უსულო, არ სიტყუერი, ცნობილი; აღარად გინდა ასმათი, – ნახე მართალი ბრჭობილი! – და პირველ, გლახ, მისი ნაჭურეტი, თუთ შერმე შენი დობილი.

უ 888-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ა-ს ბოლოს მიძიმა წერტილის ნაცვლად. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ოქროს სამზრე გაბია, ოქრომჭედლის ნადნობი, არაცოცხალი და უსულო, არა მტყველი და გონიერი (ე.ი. უენო და უგონო); აღარაღრად გინდა (მიგანია) ასმათი, – ნახე მართალი განსჯილი! – თავდაპირველად მისი (ნესტანის) ნაჭურეტი (ახლობელი), მერე თვით შენი დობილი.

რედაქციის ზოგ წერს (ა. ბარამიძე, ც. კიკვიძე) მიაჩნია, რომ გ-ს მეორე ნახევარი (ნახე მართალი ბრჭობილი) ირონიით ნათქვამი სიტყვებია (შდრ. მომდევნო სტროფში: „შაბამ მართლისა ბრჭობისა“), ზოგიერთ წერს (ი. გიგინეიშვილს, გ. კარტოზიას) ნახევარტაეუი ასე ესმის: ნახე, გაიგონე მართალი განსჯილი!

### 1978. 10. III

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მტრეველი, ს ცაიშვილი.

განიხილეს: **896; 897** (პროექტი მოამზადა III ჯგუფმა.); **898–900** (პროექტი მოამზადა II ჯგუფმა).

**896** თქვენს შუა ქმნელი საქმისა, შენგან ნაწმობი დობისა, თქვენი შემყრელი, მსახური, შენგან ლისქმნილი წმობისა, მისი გაზრდელი, გაზრდილი, მისთვის მიწელი ცნობისა, და გლახ, დაგადგა, არ ნახავ, შაბამ მართლისა ბრჭობისა!“

უ 889-თან შედარებით შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა; ბ შემყრელი, მსახური (შემყრელი მსახური). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: თქვენს შორის საქმის მომგვარებელი, შენ მიერ დად ნოდებული, თქვენი შემყრელი, მსახური, შენ მიერ (დამზარედ) მოხმობის ღირსად მიჩნეული, მისი (ნესტანის) გაზრდელი, გაზრდილი, მისთვის გონებანართმეული, დაგიტოვებია, არ ნახავ, შაბამ (ამ) სამართლიან მსჯავრს!

ა. ბარამიძის აზრით, გ-ში გაზრდილი=ზრდილი.

**897** მან უბრძანა: „რაცა გითქვამს, უმართლეს ხარ მეტისმეტად: საბრალო ასმათ მისად მგონებლად და ჩემად მჭურეტად; მე სიცოცხლე არ მეგონა, შენ მომესწარ ცეცხლთა შრეტად, და რათგან დავრჩი, გუალე, ენახოთ, თუცავე ეარ ჯეროცა რეტად“.

უ 890-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მან უთხრა: „რაც გითქვამს, მართალზე უმართლესი ხარ: შესაბრალოსა ასმათი, მასზე (ნესტანზე) დიქრით შეპყრობილი და ჩემი შემყურე; მე სიცოცხლეს არ

უფიქრობდი, შენ მომისწარი (ტანჯვის) ცეცხლის ჩასაქრობად, რადგან (ცოცხალი) დაფრწი, მიდი, ენახოთ, თუმცა ჯერაც ისე გაოგნებული ვარ.

**898** დამორჩილდა. გაემართნეს აეთანდილ და ამორბარი.  
ვერ მოგია ქება მათი, ვერა ქება საქებარი:  
კბილი – ვითა მარგალიტნი, ბაგე – ვარდი ნაპობარი.  
და გუელსა წურელით ამოიყვანს ენა ტბილად მოუბარი.

პ 891-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: დაემორჩილა (ტარიელი აეთანდილს). გაემართნენ აეთანდილი და ამორბარი (ტარიელი). ვერ გამოითქვამს (მომხიერებია) მათი ქება, ვერავითარი საქებარი სიტყვა (ქება): კბილები – როგორც მარგალიტები, ბაგეები – გამოხილი ვარდი. გველს ხვრელიდან ამოიყვანს ტბილად მოლაპარაკე ენა.

**899** ამას იტყვის: „შენთვის დაესდებ გონებასა, სულსა, გულსა,  
მაგრამ შენცა ნუ აგრე ხარ , ნუ იწყლულებ ახლად წყლულსა;  
არას გარგებს სწავლულება, თუ არა იქ ბრძენთა თქმულსა:  
და არ იქმარებ, რას ჴელსა ჰქედი საუნჯესა დაფარულსა?

პ 892-თან შედარებით პროექტში ცვლილება: ბ იქ (იქმ), დ ჰქედი (ხედი). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ამას ეუბნება (აეთანდილი): „შენთვის გაენირავ გონებას, სულსა და გულს, მაგრამ შენც ნუ ხარ ასე, ხელახლა ნუ იმიზეზებ ჭრილობას; არაფერში გამოგადგება სწავლა, თუ არ აასრულებ ბრძენთა ნათქვამს: თუ არ მოიხმარ (გამოიყენებ) , რად გინდა დამალული საუნჯე (სიმდიდრე)?

**900** არას გარგებს შეჭირება, რომ სჭმუნეიდე, რა გერგების  
არ თუ იცი, უგანგებოდ არათ კაცი არ მოკუდების?  
მზისა შუქთა მომლოდინე ვარდი სამ დღე არ დაქნების.

და ბედი ცდაა, გამარჯვება, ღმერთსა უნდას, მოცა-გზუდების“.

პ 893-თან შედარებით პროექტში ცვლილება: ბ არათ კაცი (არა კაცი)  
რედაქციამ ბ-ში არ თუ იცი (=განა არ იცი?) შეცვალა ნაკითხვით: არ თურ იცი (=თურმე არ იცი). ტაეპის ბოლოს კითხვითი ნიშნის ნაცვლად დაისვა წერტილი (ნინაალმდენი: გ კარტოზია და ს. ცაიშვილი).

ს. ცაიშვილმა, კერძოდ აღნიშნა, რომ კატეგორიული არ თურ იცი ამ კონტექსტში (ტარიელისადმი მიმართვაში) გაუმართლებელია.

ამავე ტაეპში რედაქციამ აღადგინა ნაკითხვა არა კაცი. ნინაალმდენი: გ.კარტოზია და ც.კიკვიძე.

ც. კიკვიძის აზრით, აქ, ამ კონტექსტში, უფრო მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ თუ არა განგებით, ისე არაფრით მოკედება კაცი, ვიდრე იმის თქმა, რომ უგანგებოდ არაინ კედება.

ა. ბარამიძე და ს. ცაიშვილი ფიქრობენ, რომ დ-ში უნდა აღდგეს გამოცემათა ტრადიციული (1966 წლამდე) ნაკითხვა: ბედი, ცდა და გამარჯვება.

რედაქციამ უცვლელად დატოვა ამ ტაეპის პროექტისეული ნაკითხვა.

ს. შ.: არაფერს გარგებს მწუნარება, რომ იწუხო, რა სარგებლობას პოევს! თურმე არ იცი, უგანგებოდ არაინ არ მოკედება. მზის შუქის მომლოდინე ვარდი სამ დღეს არ ჭქნება. ბედი ცდაა, თუ ღმერთს უნდა, გამარჯვება გერგება კიდევ.

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი; გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს: 901-906 (პროექტი მოამზადა II უკუფმა).

**901** მოაწენა: „ვეგ სწავლა ჩემთვის ყოვლად სოფლად ღირდეს, – გონიერთა მწურთელი უყუარს, უგუნურთა გულსა ჰგმირდეს, – მაგრამ რა ვქნა, რაგურა ვაესძლო, მეტისმეტი რა მიმჭირდეს! და შენცა გჭირან ჭირნი ჩემნი, არ მამართლო, არ მიუწირდეს?“

ს 894-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ი. გიგინეიშვილი: ბ-ში გონიერთა და უგუნურთა უმჯობესია მხოლოდობითი დავსვით (გონიერსა, უგუნურსა), როგორც რიგ ხელნაწერსა და გამოცემაშია. აფორიზმში მხოლოდობითი რიცხვი უფრო გამართლებულია.

ა. ბარამიძე: აფორიზმში მრავლობითის ფორმაც არ არის უცხო. ამასთან ამ ტაბეში ხელნაწერები უფრო მრავლობითის უჭერენ მხარს.

გ. კარტოზია: რედაქციის რიგ ხელნაწერში მრავლობითის მხოლოდობითად ქცევა უყუარს და ჰგმირდეს ზმნათა გავლენას უნდა მიენეროს: უგუნურთა უყუარს > უგუნურსა უყუარს.

ი. გიგინეიშვილი XVII ს-ში მიცემითი დასმული სახელის რიცხვში შეთანხმების ძველი წესი ჯერ კიდევ არ ეროდათ.

ც. კიკვიძე: XVII ს-ისათვის ძველი ნორმა უკვე მოშლილი იყო და ამგვარი დარღვევის მრავალი მაგალითი დასტურდება.

დაადგინეს: დარჩეს სახელის მრავლობითის ფორმები (წინააღმდეგნი – ი. გიგინეიშვილი და ე. მეტრეველი).

ს. შ.: უთხრა (ტარიელმა): „ვე სწავლა ჩემთვის მთელ ქვეყნად ღირს, – გონიერებს დამრიგებელი უყუართ, უგუნურებს გულს გაუგმირავს, – მაგრამ რა ვქნა, როგორ ვაესძლო, მეტისმეტად რომ გამიჭირდება! შენც გჭის ჩემი ჭირი (ე.ი. შენც მიუწირი ხარ), რომ არ მამართლებ, არ უნდა გამიკვირდეს?“

**902** ცულისა ცეცხლის სიმჭურვალე უგავს, ამაღ აენთების, მაგრამ წაღსა არსით ახლავს, თუ ჩაეარდეს, და-ცა-პრტების; რაცა ვისცა საქმე თუთი სჭირს, სხვათათვისცა ევარგების,

და თავიდაღმა რად არ იცი, გული ჩემი რაგურა დნების!“

ს 895-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ცვილს ცეცხლი სიმჭურვალე შეეფერება, ამიტომ ენთება, წაღს კი არაფრით არ ეგუება, თუ ჩაეარდა (წყალში), ჩაქრება; ვისაც რა საქმე სჭირს, სხვებისთვისაც (გვემე საქმე) შესაფერისად მიაჩნია, თავიდანვე რად არ იცი, ჩემი გული როგორ დნება.

**903** „რა ნამეკიდა, ყუელაი წურილად გიამბო ენითა, მერმელა გაბრჭყე მართალი მაგა გულითა ბრძენითა;

შენ მოგვლოდი, მიმჭირდა მოლოდინითა შენითა,

და ქუაბს ელარ ვაესძელ, მინდორთა მოვლა მომიხდა ცხენითა.

ს 896-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: რაც დამემართა (გადაშხდა), ყველაფერს დანერვილებით გიამბობ, მერმელა განსაჯე სიმართლე მაგ ბრძენი გულით; შენ მოგელოდი, შენი ლოდინით შეეწუსდი, გამოქვაბულში ველარ გაეძელი, ცხენით მინდვრების მოვლა მომიხდა.

**904** იმა ქელსა გარდავადეგ, შამზნი ისი მომეარნეს;  
ერთი ლომი, ერთი ფეხი შეკრბეს, ერთად შეიყარნეს,  
პეკანდეს რათმე მოყარულთა, მათი ნახეა გამეზარნეს,  
და მათ რა უყვეს ერთმანერთსა, გამოიკურადეს, შემეზარნეს.

U 897-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ის შამზი მოვიარე, იმ ქელს გადავადექი; ერთი ლომი და ერთი ვეფხი შეეძენენ ერთმანეთს, ერთად შეიყარნენ, შეყვარებულებს პეკანდენ, მათი ნახეა გამიზარდა, მათ ერთმანეთს რაც უყვეს, გამოიკურდა, შემზარდა.

გ. კარტოზიას მიაჩნია, რომ ა-ში მომეარნეს ზმნის შინაარსი თურმეობითის ფორმით უნდა გადმოიცეს: იმ ქელს გადავადექი, ის შამზი მომეველო.

**905 (X1089)** ქელსა გარდავდეგ, ლომ-ვეფხნი მოვიდეს ორგნით რეზულნი, –  
სახედ ვამსგავსენ მოჯნურთა, ცეცხლნი დამეცხნეს დებულნი, –  
შეიყარნეს და შეიბნეს, იბრძოდეს გამზარებულნი,  
და ლომი სდევს, ფეხი მოურბის, იყვეს არ ჩემგან ქებულნი.

პროექტით სტროფი ჩანართად არის ჩათვლილი.

X 1089-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ა ლომ-ვეფხნი (ლომ-ვეფხი), ბ ვამსგავსენ (ვა[შ]სგავსენ).

ა. ბარამიძე: სტროფი უეჭველად ძირითადი ტექსტის კუთვნილებაა. იგი სანიშნუში მაგალითია რუსთველისთვის დამახასიათებელი მხატვრული ხერხისა – ეპიკურ-სოუეტური გამოკრებისა. ადრეც აღმინიშნავს, რომ გამოკრება არ გამოდგება სტროფის ჩანართობის საბუთად.

გ. კარტოზია: მე სარწმუნოდ მიმაჩნია ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებანი სტროფის ჩანართობის შესახებ. სტროფში განმეორებულია წინამავალი და მომდევნო სტროფის ცალკეულ ტაეპთა შინაარსი რაიმე ახალი ნოუანსის დამატების გარეშე.

შ. ძიძიგური: მხოლოდ განმეორება არ შეიძლება ჩანართობის ნიშანი იყოს. თუ აშკარა წინააღმდეგობა არ არის ძირითად ტექსტთან. თუ განსაკუთრებული შემთხვევა არ არის, სტროფის ჩანართად ჩათვლა არ შეიძლება. ნამეტნავი „ანატომოური“ ჩარევა არ შეიძლება, ამით ჩვენ ვავალარიბებთ „ვტ“-ის ტექსტს. ამ კონკრეტულ მაგალითში სტროფის ჩანართობის შესახებ მსჯელობა ჩემთვის დაუჯერებელია. კერძოდ, მე ვერ ვხედავ ფრაზეოლოგიურ განმეორებას, ტაეტოლოგიას.

ი. გიგინიშვილი: „ვტ“ მხატვრული ნაწარმოებია და ეს უნდა იქნეს გათვალისწინებული ტექსტის ანალიზისას. ან შეიძლება მხატვრული ნაწარმოების განხილვა სამეცნიერო ნაშრომის დონეზე. პოემაში 20-ზე მეტი სტროფი მოიძებნება, სადაც მსგავსი შემთხვევაა განმეორებისა: თავდება ამბავი და აეტორი ისევ უბრუნდება მას, მაგრამ ზუსტად კი არ იმეორებს ნათქვამს, არამედ რაღაც ნოუანსებს უმატებს. განმეორება დღევანდელი სასაუბრო მეტყველებისთვისაც დამახასიათებელია, რუსთველს კი ფორტოზობამდე აქვს აყვანილი ეს ხერხი.

ე. მებერეკელი: „ვტ“-ისთვის განმეორება დამახასიათებელია, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში მეტად დამაფიქრებელია, რომ სტროფი აერთებს წინამავალი და მომდევნო სტროფების (904 და 906) მასალას. ამ საში სტროფის ფაქტურა იმდენად მსგავსია, რომ

არ შეიძლება გარკვეული ეჭვი არ აღძრას. თუმცა 905-ე სტროფის ნამდვილობას მეც მხარს ვუჭერ, მაგრამ ვფიქრობ, სტროფის ჩანართობის თაობაზე გამოთქმულ მოსაზრებათა ხელაღებით უარყოფაც არ შეიძლება.

ც. კიკვიძე: განსახილველი სტროფი რაიმე ახალს (შინაარსობრივად) არ იძლევა: იმეორებს მეზობელი სტროფების ცალკეულ მონაცემებს, რაც ინტერპოლაციისათვის არის დამახასიათებელი. რასაკვირველია, სრული დამთხვევა ლექსიკასა და ფრაზოლოგიაში აქ არა გვაქვს, მაგრამ ეს არც სხვა რომელიმე ინტერპოლაციაში დასტურდება.

ს. ცაიშვილი: გარდა იმისა, რომ 905-ე სტროფში შინაარსობრივი და ლექსიკური განმეორებებია, იგი არღვევს თხრობის დინამიკას, დარღვეულია ის სურათი, რაც 904 და 906 სტროფებშია გადმოცემული. შეიცავს წინააღმდეგობასაც. გამოთქმა – „ცეცხლნი დამეცსნეს დებულნი“ – არ ვარგა. ტარიელს, პირიქით, კიდევ უფრო უნდა ანთებოდა ცეცხლი მიჯნურთა ნახვით.

დაადგინეს: სტროფი ჩაითვალოს ძირითადად (წინააღმდეგნი – გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ს. ცაიშვილი).

ი. გიგინეიშვილი: ა-ში უმჯობესია რიგი ხელნაწერისა და გამოცემის ნაკითხვა: მოვიდეს ერთგან რებულნი (=ერთად მოსიარულენი წამოვიდნენ, ე.ი. მომთაბლოვდნენ).

გ. კარტოზია და ს. ცაიშვილმა აღნიშნეს: შეიყარნეს გულისხმობს, რომ ლომი და ვეფხი სხვადასხვა მხრიდან მოვიდნენ. ხელნაწერთა ნაწილში ორგანიტ > ერთგან წინა სტროფის (შეკრებს ერთგან შეიყარნეს) გავლენით უნდა აიხსნას.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს ერთგან (წინააღმდეგნი – გ. კარტოზია და ს. ცაიშვილი).

ს. შ.: ქედს გადავადექი, ერთად მოსიარულე ლომი და ვეფხი წამოვიდნენ, შესახედად მოჯნურებს ვამსგავსე, მოდებული ცეცხლი ჩამიქრა. შეიყარნენ და შეიბნენ, გამწარებულები იბრძოდნენ, ლომი მისდევს, ვეფხი გაურბის, არ იყენენ ჩემგან ქებულნი.

906 პირველ ამოდ ილალობეს, მერმე მედგრად წაიკოდნეს:  
თუთოო ტოტი ერთმანეთსა პკრეს, სიკუდილსა არ დარიდნეს;  
გამორიდა ეფხმან გული, – დედათამცა განა რიდნეს! –  
და ლომი მედგრად გაეკიდა, იგი ვერეინ დაამშვიდნეს.

ს. შ.: თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: გ განა რიდნეს (განარიდნეს).

გ. კარტოზია: პროექტის მიხედვით განა რიდნეს ორ სიტყვად არის გაყოფილი. განა დადასტურებით ნაწილაკად არის გაგებული. ნახვეარტაეპის აზრია: სწორედ ქალები განერიდებიან.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს ნაკითხვა: დედათამცა განა რიდნეს (ი. გიგინეიშვილიმა თავი შეიკავა).

ს. შ.: პირველად საამოდ იალერსეს, მერმე სასტიკად წაიჩხუბნენ: თითო თათი დაპკრეს ერთმანეთს, (ერთმანეთის) სიკუდილს არ მოერიდნენ (ერთმანეთი სასიკუდილოდ გაიმეტეს). ვეფხი გამოერიდა, – სწორედ ქალები გაერიდებიან (ქალების წესია გარიდება) – ლომი მედგრად გაეკიდა, მათ ვერაინ დაამშვიდებდა.

## 1978. 24 . II

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ს. ცაიშვილი.

განიხილეს: 907-910 (პროექტი მოამზადა II ჯგუფმა); 911-915 (პროექტი მოამზადა III ჯგუფმა).

**907** ლომსა დაღუმე ნაქმარი, ვარქუ: „არა ხარ ცნობასა, შენ საყურელსა რად აწყენ? ფუ მაგა მამაცობასა!“  
წრმალგამონდელი გაუქუ, მივეც ლახურათა სობასა,  
და თაესა გარდაუქარ, მოცა-უკალ, დაქსენ სოფლისა თომბასა.

ს 999-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ა დაღუმე (დაღუმე), ბ გაუქუ (გაუქუ), დ დაქსენ (დაქსენ). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ლომს საქციელი დაღუმე, უთხარი: „არა ხარ გონებაზე, შენ შეყვარებულს რატომ აწყენ? ფუ მაგ კაცობას!“ ხმალამონდელი გამოედევენ, ლახარი დაესვი, თაეზე გადაეკარი, მოეკალი კიდეც, წუთისოფელს მოვაშორე (წუთისოფლის თმენისაგან გავათავისუფლე).

**908** წრმალი გაესტყორცე, გარდეჭერ, ვეფხი შვიკყარ ჳელითა;  
მის გამო კოცნა მომინდა, ვინ მწუაეს ცეცხლითა ცხელითა;  
მიღრიწვიდა და მანყენდა ბრჭალითა სისხლთა მღვრელითა,  
და ველარ გაუძელ, გიცა მოეკალ გულითა ხელითა.

ს 900-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: გ ბრჭალითა (ბრჭკალითა), დ გაუძელ (გაუველ).

გ. კარტოზია: პროექტში შეტანილი ცვლილება იმით აიხსნება, რომ ბრჭკალრო ძველი და საშუალი ქართულის ძეგლებში არ დასტურდება. გეაქეს ბრჭალი, რომელსაც გვიან ბრჭყალი ენაცვლება.

ს. შ.: ხმალი გაეტყორცნე, (ცხენიდან) ჩამოგბტი, ვეფხი ხელით დაევიჭირე; კოცნა მომინდა იმის (=ნესტანის) გამო, ვინც ცხელი ცეცხლით მწუავს, მიღრენდა და მკანრავდა (ზიანს მაცუნებდა ) სისხლის მღვრელი ბრჭყალით, ველარ გაუძელი, ისიც მოეკალი გახელებული გულით.

**909** რაზომსაცა ვამშვიდებდი, ვეფხი ვერა დაეამშვიდე,  
გავეგულისდი, მოვიქნიე, ექარ მინასა, დაეანყიდე;  
მომგონა ოდეს ჩემსა საყურელსა ნავეკიდე;  
და სულნი სრულად არ ამომჯდეს, რას გიკვირს, თუ ცრემლსა ვლურიდე!

ს 901-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: დ რას (რად) პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: რამდენსაც ვამშვიდებდი, ვეფხი ვერ დაეამშვიდე, გავეგულისდი, მოვიქნიე, მინას დაეანარცხე, დაეანყიტი; მომაგონდა, როცა ჩემს სტროფს ნავეკიდე; სული მთლად არ ამომხდა (ეს არ გიკვირს და) რას გიკვირს, რომ ცრემლს ვლერი.

**910** აპა, ძმაო, მითხრობია ჭირი ჩემი, რაცა მჭირდა;  
სულთა დგმაცა არა მშართებს, ასრე გასლვა რას გიკვირდა!  
სიცოცხლესა გაეყვარე, სიკუდილიცა დამიძჭირდა“.

და ესე სიტყუა დაასრულა, ყრმამან სულთქუნა, ა-ცა-ჭირდა.  
ს 902-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ბ რას (რად). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: აპა, ძმაო, მითქვამს ჩემი გასაჭირი (რა ჭირიც მჭირს); სიცოცხლე არ შემფერის (ცოცხალიც კი არ უნდა ვიყო), (ჩემი) ასე გახდომა რას გიკვირს! სიცოცხლეს მოვშორდი,



სიკვდილიც დამიძვირდა". ეს სიტყვა დაასრულა, მოყმემ (ტარიელმა) ამოიოხრა და ატირდა.

**911** ავთანდილცა მასთანვე ტიროდა და ცრემლსა ღურიდა; უთხრა: „დათმე, ნუ მოაკუნდები, გულსა სრულად ნუ დასჭრი, და—  
ღმერთი მაგას მონყალობს, თუცა ჭირმან არ გაგრიდა;  
და თუბც უნდოდით გასაყრულად, პირველ ერთად არ შეგყრიდა.

უ 903-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ავთანდილიც მასთან ერთად ტიროდა და ცრემლებს ღვრიდა; უთხრა: „მოითმინე; ნუ მოკედები, გულს მთლად ნუ დაიჭრი! ღმერთი მაგას (მოთმინებას) წყალობით უყურებს, თუმცა გასაჭირმა (თავი) არ მოგარიდა (თავი არ დაგანება); გასაყრულად რომ ნდომოდით, თავიდან ერთად არ შეგყრიდათ.

**912** სდევს მიჯნურსა ფათერკი, საწუთროსა დაანაველებს,  
მაგრამ ბოლოდ ღმინსა მისცემს, ვინცა პირველ ჭირსა გასძღებს;  
მიჯნურობა საჭიროა, მით სიკუდილსა მიგვაახლებს,  
და განანაველულსა გაამბაგებს, უსნაველსა გაასნაველებს“.

უ 904-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მიჯნურს ფათერაკი თან სდევს, წუთისოფელს გაუმწარებს, მაგრამ ბოლოს ღმინს მისცემს (მას), ვინც პირველად გასაჭირს გაუძღებს; მიჯნურობა ჭირის მომგვრელია, ამიტომ სიკვდილს მიგვაახლოებს, ბრძენს გაამბაგებს, უსნაველს ბრძნად აქცევს.

**913** იტირეს და გაემართნეს, ქვაბისაკენ თავნი არნეს;  
რა ასმათმან დაინახა განალაშცა გაეზარნეს!  
მოგება, მოტიროდა, ცრემლმან მისმან კლდენი ღარნეს,  
და აკოცეს და აუცატირდეს, კულა ცნობანი ააჩქარნეს.

უ 905-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: იტირეს და გაემართნენ, ქვაბისკენ წავიდნენ, ასმათმა რომ (ისინი) დაინახა, დიაღაც გაუზარდა! მოგება, მოტიროდა, მისი ცრემლები კლდეებს დაღარავს, აკოცეს და ატირდნენ კიდევ, ისევ აღელდნენ.

**914** ასმათ თქვა: „ღმერთო, რომელი არ ითქმი კაცთა ენითა,  
შენ ხარ საესება ყოველთა, აღგუაესებ მზეუბრ ფენითა;  
გაქო, ვით გაქო, რა გაქო, არსაქებულო სმენითა!  
და დიდება შენდა, არ მომკალ ამათთვის ცრემლთა დენითა!“

უ 906-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ასმათმა თქვა: „ღმერთო, ადამიანთა ენით გამოუთქმელო, შენ ხარ საესება ყოველთა, მზესავით გვაესებ (სრულგეყოფ) მოფენით: გაქო, როგორ გაქო, რა ქება გითხრა, სმენით (სიტყვით) შეუქებულო! დიდება შენდა, არ მომკალი ამათთვის ცრემლების დენით!

გამოთქმისათვის საესება ყოველთა დაწვრილებით იხ. კომენტარში.

**915** ტარიელ ეტყვის: „ჰე დაო, მით ცრემლი აქა მდინა,  
საწუთრო ნაცვლად გუატირებს, რაც ოდენ გაგნოცინია.  
ძუელი წესია, სოფლისა, არ ახლად მოსასმინია.

და ვაჰ შენი ბრალი, და, თუარა სიკუდილი ჩემი ღვინია!

პ 907-თან შედარებით პროექტში ცვლილება: დ ვაჰ შენი ბრალი, და, თუარა (ვა შენი ბრალი და, თუარა).

ი. გიგინეიშვილი: დ-ში უმჯობესია ზოგი ხელნაწერისა და გამოცემის ( $D^2D^4D^5$  (Ilop) ნაკითხვა: ვაჰ შენი ბრალი, თუარადა (იხ. აგრ.  $D^1D^2$  თუარა და,  $A^3$  თუარა და).

გ. კარტოზია: აღუადგინოთ საოუბილო გამოცემის ნაკითხვა, რომელსაც ხელნაწერთა მეტი წილი უჭერს მხარს. ოღონდ მძიმე და-ს წინ დავესვათ: ვაჰ შენი ბრალი, და თუარა. და თუარა=თუარადა.

რედაქციის სხვა წევრები მხარს უჭერენ პროექტის ნაკითხვას. ს. ცაიშვილმა, კერძოდ, აღნიშნა, რომ დ-ში დაე ფორმის არსებობას ამართლებს ა-ს ჰე, დაო.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს პროექტის ნაკითხვა (წინააღმდეგენი ი.გიგინეიშვილი, გ.კარტოზია).

ს. შ.: ტარიელი ეუბნება: „ჰე, დაო, ცრემლი აქ (ამქვეყნად) იმიტომ მდენია, წუთისოფელი სანაცვლოდ (იმდენს) გვატირებს, რამდენიც გაგვიცინია. სოფლის (ცხოვრების) ძველი წესია, ახალი მოსასმენი არ არის. ვაი შენი ბრალი, დაო, თორემ ჩემთვის სიკვდილი სიხარულია.

### 1978. 31. III

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ ძიძიგური.

განიხილეს: 916 – 919 (პროექტი მოამზადა III ჯგუფმა).

916 სწყუროდეს, წყალს ვინ დაღურის კაცი უშმაგო, ცნობილი?  
მე თუალთა ჩემთა მით მიკურის, რად ვარ ცრემლითა ღვინილილი  
უნწყლობა ჰკლავს და წყალი სდის, აროდეს არ გაჭმობილი  
და ვაჰ, ნაჭდა ვარდი პობილი, ვაჰ, მარგალიტი წყობილი!”

პ 908-თან შედარებით პროექტში ცვლილება: დ ვაჰ (ვა).

ა. ბარამიძე: გ-ში უწყლობა უნდა შეიცვალოს უწყლობა-თი და ნახევარტაეუბი ასე გაიმართოს: უწყლობა ჰკლავს, წყალი სდის, როგორც ეს ზოგ ხელნაწერსა და გამოცემაშია.

ი. გიგინეიშვილი: რიგი ხელნაწერი და გამოცემა უწყლობა-ს კითხულობს, რაც უფრო მართებული ჩანს. წყალ-ფუძის უკუმშველობა „ვტ“-ში სხვაგანაც დასტურდება.

ც. კიკვიძე; გ.კარტოზია, ს.ცაიშვილი მხარს უჭერენ პროექტის ნაკითხვას. მათ აღნიშნეს, რომ კუმშვადი ფუძის უკუმშველობა პოემაში, როგორც წესი, სარიტმო სიტყვებში დასტურდება. ამასთან და კავშირი ტაეუბი საჭიროა. დაპირისპირების გამოსახატავად (უწყლობა კლავს და წყალი კი სდის).

დაადგინეს: მიღებულ იქნეს ნაკითხვა: უწყლობა ჰკლავს, წყალი სდის (წინააღმდეგენი – გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ს. ცაიშვილი).

ს. შ.: რომ სწყურია, რომელი არაშმაგი, გონიერი კაცი დაღურის წყალს? ამიტომ მიკურის მე ჩემი თვალებისა, რატომ ვარ ცრემლებით დასველებული! უწყლობა (უნესტანობა) კლავს (მათ) და მაინც ცრემლი სდის, რომელიც არასდროს შემრება! ვაი, დაიკარგა გაპობილი ვარდი (=ნესტანის ბაგეები), ვაი, მისწყობილი მარგალიტი (=ნესტანის კბილები)!

**917** აეთანდოლსცა მოეგონა მისი მზე და საყურარელი;  
იტყვის: „ჩემო, ვით ვეგები მე უშენოდ სულთა მდგმელი?  
შენ არ გახლავ, ჩემი ჩემთვის სიცოცხლეა სანანელი,

და გითხრამცა ვინ, რა მჭირს ანუ რა ცუცხლი მწუაეს, როგორ ცხელი!

u 909-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა, ოლონდ დ -ში როგორ შეიცვალა რაგუარ ფორმით. ა. ბარამიძემ, ი. გიგინეიშვილმა, გ. კარტოზია ალნაშნეს, რომ როგორ გვიანდელი ფორმა და რუსთველის დროისათვის მოულოდნელი. ამასთან, ი. გიგინეიშვილმა მოუთითა, რომ რაგვარ ალიტერაციის თვალსაზრისითაც უკეთესი ნაკითხვაა.

ს. შ.: აეთანდოლსაც მოაგონდა თავისი მზე და სატრფო (თინათინი); ამბობს: „ჩემო, უშენოდ როგორ ვიქნები ცოცხალი? შენთან არა ვარ, ჩემთვის სიცოცხლე სანანებელია, ვის შეუძლია გითხრას, რა მჭირს ან რა და როგორი ცუცხლი მწუაეს!

გ. კარტოზიას აზრით, გითხრამცა ვინ ნიშნავს: ვინმე გეტყოდეს.

**918** ვარდი ამას ვით იაზრებს: მზე მომშორდეს არ დაეჭნეო,  
ანუ ჩვენ, გლახ, რა გუერგების, რა ჩასუნდეს გორსა შუო?

გულო, გიჯობს, გაუმაგრდე, თავი სრულად გაიკლდეო,  
და ნუთუ მოგხბუნეს ნახვა მისი, სულთა სრულად ნუ დალეო“.

u 910-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ვარდი ამას როგორ იფიქრებს: მზე მომშორდება (და) არ დაეჭნებო, ან ჩვენ, ვაგლახ, რა მოგვივა, მზე რომ გორს (იქით) ჩავესენება? გულო, გირჩევნია გაუმაგრდე (გასაქირს), თავი მთლად გაიკლდეო (კლდედ გადაიქცე), ეგების გელირსოს მისი ნახვა, სულს მთლად ნუ დალეე (ნუ მოკედები).

**919** სული დაიღეს, დადუმდეს, ორთავე ცუცხლი სდებოდა;  
ასმათი შეჰყვა, შევიდა, ცუცხლი მათებრვე ჰგზებოდა,  
დაუგო ტყავი ვეფხისა, რომელ კულა მინყო ჰგებოდა,  
და ორივე დასხდეს, უზნობდეს, რაცა მათ ეამებოდა.

u 911-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ზ ცუცხლი მათებრვე (მათებრ სახმილი).

ც. კიკვიძემ განმარტა ცვლილების შეტანის საფუძველი: მათებრ სახმილი მხოლოდ მ რედაქციის ნუსხებში იკითხება.

პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: დამშვიდნენ, დადუმდნენ, ორივეს ცუცხლი პქონდა მოდებული; ასმათი შეჰყვა, შევიდა, ცუცხლი მათებრვე ნაკიდებული პქონდა, დაუგო (მათ) ვეფხის ტყავი, რომელიც მუდამ ეგო (ტარიელს), ორივენი დასხდნენ, საუბრობდნენ, რაც მათ ეამებოდათ.

## 1978. 7. IV

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშივილი, შ. ძიძიგური.

განხილეს: 920 – 922 (პროექტი მოამზადა III ჯგუფმა); 923; 924 (პროექტი მოამზადა II ჯგუფმა).

920 ნუადი შეიწუნეს, შეიქმნა პურობა მსგავსი ჟამისა,  
მუნ უპურობა, პურობა, არსიდადე ჟამისა,

მას შეესუწუნეს: „ჭამეო“, ძალი არ ჰქონდა ჭამისა,  
და გასცოხნის, ლუკმა გასტყორცის, ნონა ძლიე ჩანთის დრამისა.

უ 912-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ზ უპურობა, პურობა (უპურობა პურობა).

ც. კიკვიძე: ზ-ს აზრი ასე უნდა გავიგოთ; იქ ნადიმობა არ იყო, მაგრამ პურის ჭამა იყო, სასმისები ცოტა ჰქონდათ.

ი. გიგინეიშვილი: უპურობა-ს შემდეგ მძიმის დასმა გამართლებულია. არ სიღიადე ცალ-ცალკე უნდა დაინეროს, ტაეპის აზრია: იქ იყო უპურობა, არ იყო ჯამის სიმრავლე, მაგრამ იყო პურობა.

ა. ბარამიძე, უპურობა პურობა უპურო პურობას ნიშნავს.

გ. კარტოზია: უპურობა პურობა ფრანგულოგინში ჩანს (ჰარანამდეილი პურობა).

ე.ი. პურობა იყო კიდევ და არც იყო, სიტყვათა შორის მძიმის ნაცვლად დეფისის დასმა უფრო მართებულია.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს ნაითხვა: მუნ უპურობა, პურობა არ სიღიადე ჯამისა, ტაეპის აზრი ასე გავიგოთ: იქ იყო უპურობა, არ იყო ჯამის სიმრავლე, მაგრამ პურობდნენ (წინააღმდეგი: გ. კარტოზია).

ს. ცაიშვილის აზრით, ტაეპის შინაარსი ასე უნდა გადმოიცეს: პურობა პურობას არ ჰგავდა და არც სასმისთა სიმრავლე იყო.

შ. ძიძიგური და ე. მეტრეველი ტაეპს ასე თარგმნიან: ჭამდნენ, მაგრამ პურს არა, არც სასმელი ჰქონდათ.

ს. შ.: მწავდი შეინვეს, შეიქნა (ამ) დროის შესაფერისი პურობა, იქ იყო უპურობა (პური არ ჰქონდათ), არ იყო ჯამის სიმრავლე, მაგრამ პურობდნენ. მას (ტარიელს) შეეხებენ: „ჭამეო“, ჭამის ძალი არ ჰქონდა, დაღეჭავდა, ლუკმას გადმოაგდებდა, დრამის წონისას (მცირეოდენს) ძლიერს გადაყლაპავდა ხოლმე.

**921** ამაო, რომე კაცი კაცს ამოსა უბნებოდეს!  
მან გაუგონოს, რაცა თქუას, არ ცუდად ნაუჯღებოდეს,  
ცოტად ეგრეცა დაუესებს, ცუცხლი რა ზომცა სდებოდეს.  
და დიდი ლხინია ჭირთა თქმა, თუ კაცსა მოუჯღებოდეს.

უ 913-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: სასიამოვნოა, რომ კაცი კაცს სასიამოვნო რამეს უბნებოდეს! მან დაუფეროს, რაც თქვას, ამაოდ არ ჩაუვლიდეს (ლაპარაკი), ცოტათი მაინც გაუნელეს, რა ცუცხლიც უნდა ჰქონდეს მოდებული. დიდი შეებაა გასაჭირის თქმა, თუ ადამიანს (ამის) შემთხვევა ექნება.

**922** მას ლამესა ერთგან იყენეს იგი ლომნი, იგი გმირნი,  
ოუბნეს და გააცხადნეს თავის-თავის მათნი ჭირნი.  
რა გათენდა, კულა დაინყეს საუბარნი სიტყუაწმირნი;  
და ერთმანერთსა გაუგონნეს ფიცნი პირველ დახაპირნი.

უ 914-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: იმ ლამეს ერთად იყენენ ის ლომები, ის გმირები, ისაუბრეს და გაუმყლანეს თითოეულად თავისი გასაჭირი. რომ გათენდა, ისევე დაინყეს გაბმული საუბარი; ერთმანეთი დააფერეს (დაარწმუნეს) პირველად მოცემულ ფიცში.

**923** ტარიელ ეტყუის: „რად უნდა სიტყუისა თქმა მრავლისა?  
რაცა მუნ ჩემთვის გიქნია, ღმერთი მზღველია ვალისა;  
კმა ზენაარი ზენარად, არ ნაქმარია მორვალისა,

და არდაიწყება, მოყურობა მოყურისა წამავალისა.

უ 915-თან შედარებით პროექტში ცვლილება: დ წამავალისა (წარმავალისა).

რედაქცია ა. ბარამიძის წინადადებით დ-ში არდაიწყება, მოყურობა შეცვალა ნაკითხვით არ დაიწყება მოყურობა. წინააღმდეგნი გ. კარტოზია და ე. მეტრეველი.

ე. მეტრეველმა აღნიშნა, რომ გ და დ ერთმანეთთან გრამატიკულად დაკავშირებულია. ტიპების შინაარსია: რად უნდა ამდენი ფიცი, რომ მთვრალის ნაქმარი არ არის მიმავალი მოყურის არდაიწყება, მოყურობა.

გიგინეიშვილის წინადადებით დ-ში წამავალისა შეიცვალა წარმავალისა ფორმით (წინააღმდეგი გ. კარტოზია).

ს. შ.: ტარიელი უბნება: „რა საჭიროა ბევრი ლაპარაკი (ბევრი სიტყვის თქმა)? რაც შენ ჩემთვის გიქნია, (იმას) ღმერთი გადაგიხდის (გიზღავს ვალს); ფიცი ფიცად ეპარა, მთვრალის ნათქვამი არ არის, არ დაიწყება (ამ ქვეყნიდან) მიმავალი მეგობრის მეგობრობა.

924 ან შემოხუნე, ნუ დამწევე კულა წვითა უცხელესითა;  
შე რომე ცეცხლი მედების, არ ნაგ ზებია კუესითა,  
ვერ დამშრეტ, შენცა დაიწე სოფლოსა ქმნისა წესითა.

და ნადი, დაბრუნდი, შეიქეც მუნითვე, შენი მზე სითა.

უ 916-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ახლა ისმინე ჩემი ვედრება, კიდევ ნუ დამწევე უცხელესი ცეცხლით (წვით); მე რომ ცეცხლი მედება, კეესით დანთებული არ არის. ვერ ჩამიქრობ, შენც დაიწევი სამყაროს წესისამებრ. ნადი, დაბრუნდი, იქითკენვე შეიქეცი, საითაც შენი მზე (თინათინი) არის.

## 1978. 21. IV

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს: 925–932 (პროექტი მოამზადა II ჯგუფმა).

925 ვინ დამზადა, განკურნება ჩემი უჩანს მასცა ძნელად,  
ვისცა გესმის, გაიგონეთ, მით გაჭრილვარ ხელი ველად;  
რაცა მართებს გონიერთა, ერთხელ ვიყავ შეცა მქმნელად,

და ან ნობათი ხელობისა მომზედომია, მით ვარ ხელად.

უ 917-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ვინც შემქმნა, მასაც (ე.ი. ღმერთსაც) საძნელოდ მიაჩნია ჩემი განკურნება, ვისაც გესმით, გაიგეთ, ამიტომ გავეჭრილვარ შმაგი ველად; რაც გონიერთ შეეფერება, (იმას) ერთ დროს მეც ვიქმოდი, ახლა შმაგობის რიგი მომსვლია (მრგებია), ამიტომაც ვარ შმაგად.

926 ავთანდილ ეტყუნის: „რა გითხრა პასუხი მაგა თქმულისა?  
შენვე თქუ, ეგე სიტყუაჲ კაცისა ბრძნად სწავლულისა?!  
ღმერთსამცა ვით არ შეეძლო კულა განკურნება წყლულისა?  
და იგია შზრდელი ყოვლისა დანერგულ-დათესულისა!

u 918-თან შედარებით პროექტში ცვლილება: ზ თქვი, ეგე სიტყვაა. ა (სთქვი ეგე სიტყვაო); ზ-ს ბოლოს ორნერტილის ნაცვლად დასმულია კითხვისა და ძახილის ნიშნები. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: აუთანდლო უბნება: „რა გითხრა მაგ სიტყვების (ნათქვამის) საპასუხოვ? შენ თვითონ თქვი, (განა) ეგ ბრძენი (ბრძნად განსწავლული) კაცის სიტყვაა?! ღმერთს როგორ არ შეუძლია (როგორ არ შეეძლება) წყლის კვლავ განკურნება? ის არის ყოველი ცოცხალის (დანერგულ-დათესილის) მზრდელი.

927 ღმერთსამცა ესე რად ექმნა, ევეთნი დაებადენით, აღარ შეგყარნა, გაგყარნა, ხელი გქმნა ცრემლოთა დადენით! სდევეს ფათერაკი მიჯნურსა, გასჭურითეთ, გაიციადენით, და თქვენ ერთმანერთი არ მოგხუდეს, მე სულნი ამომჟაღენით!

u 919-თან შედარებით პროექტში ცვლილება: გ გასჭურითეთ (გაჭურითეთ). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ღმერთი ამას რად იზამდა, თქვენ ასეთნი გაეჩინეთ, (შემდეგ) აღარ შეეყარეთ, გაეყარეთ, ცრემლის დენით გაეხელებინეთ! მიჯნურს ფათერაკი თან სდევეს, განჭურითეთ, ნახეთ, (თუ) თქვენ ერთმანეთს არ შეხვდეთ, სული ამოხადეთ!

928 ნეტარ, მამაცი სხუა რაა, არ გასძლოს, რაცა ჭირია! ჭირსა გადრეკა რად უნდა, რა სასაუბრო პირია! ნუ გეშის, ღმერთი უხვია, თუცა სოფელი ძჭირია, და რასცა მიწურთიხარ, იწურათ: გკადრო, უწურთელი ვირია.

u 920-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის, პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ნეტავ მამაკაცი სხვა რა არის, თუ არ გაუძლებს, რა ჭირიც უნდა იყოს! ჭირს (გასაჭირს) რად უნდა შეუდრკე (გასაჭირს რად უნდა შეუშინდე), რა სალაპარაკოა ნუ გეშინია, ღმერთი უხვია, თუმცა წუთისოფელი ძენია, რაზეც დამირიგებიხარ, შეისმინე (გაიგონე). გაგიბედავ (და გეტყვი), შეუსმენელი ვირია.

929 თუ რა გესმის, გაიგონე, ესე კმარის სწავლა სწავლად; ჩემსა მზესა დავეთხოვე თქვენს წინაშე წამოსავლად, მოვაჯსენე: „რათგან ჩემი შეუქმნია გული ავლად, და არას ვარგებ, არ დავედგები, სხუა ვოუბნო რალა მრავლად?“

u 921-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის, პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: თუ რამე გესმის, შეისმინე, ეს დარიგება კმარა დარიგებად; ჩემს მზეს (თინათინს) დავეთხოვე, რომ თქვენთან წამოვსულიყავი, მოვახსენე: „რადგან (ტარიელს) ჩემი გული დაუნვაეს (დაუფერვლავს), თუ არაფერს ვარგებ, არ გაჭირდები (ვერ მოვისვენებ), სხვა რალა ვილაპარაკო ზედმეტად?

930 მან მიბრძანა: „მადლიერ ვარ, კარგად ხარ და მამაცურად, შნგან მისსა გაელენასა მე დაფიქნ საშახურად“. მისით კითხვით წამოსრულვარ, არ მთრავალურად, არ მახბურად, და ან შევიტყე, რა უამბო, რად მოვეო ჯაბანჯრდლურად?

u 922-თან შედარებით პროექტში ცვლილება: გ არ მთრავალურად, არ მახბურად (არ-მთრავალი და არ-მახბურად); დ ან შევიტყე, რა უამბო (მიცბრუნდე და რა უეამბო). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მან (თინათინმა) მითხრა: „მადლობელი ვარ, კარგად და ვაჟკაცურად იქცევი, შენგან მის (ტარიელის) დახმარებას მე ჩემს სამსახურად მივიჩნევ“. მისი ნებართვით ნამოვედი და არა სიმთვრალით, ნასმურობით (მახმურად), ახლა რომ მივბრუნდე, რა ეუთხრა, რატომ მოვედი-მეთქი როგორც ჯაბან-მბდალი?

931 მაგ საუბარსა ესე სჯობს, ისმინე ჩემი თხრობილი:  
მქმნელი საქმისა ძნელისა კაციმცა იყო ცნობილი;  
ვერას ვერა იქს ნაყოფსა ეარდი უშუოდ ქნობილი.  
და შენ ვერას ირგებ, მე გარგებ, ძმა ძმისა უნდა ძმობილი

უ 923-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: გ იქს (იქმს). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მაგ ლაპარაკს ის სჯობია, ისმინე ჩემი ნათქვამი: ძნელი საქმის მოქმედი გონზე მყოფი კაცი უნდა იყოს; ვერავითარ ნაყოფს ვერ გამოიღებს უშუოდ დამტყნარი ვარდი. შენ ვერაფერს ირგებ (შენ ვერ უშველი შენს თავს), მე დაგებმარები, ძმა ძმის ძმობილი უნდა იყოს!

932 სადაცა გნადდეს, მუნ იყავ მითვე წესითა მაგითა,  
გნადდეს – გულოთა ბრძენითა, გნადდეს – ცნობითა შმაგითა.  
მაგა ქვევითა ტურფითა, ანაგებითა ნაგითა,  
და ოდენ გამაგრდი, არ მოჰკუდე, არ დასდნე ცეცხლთა დაგითა.

უ 924-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: სადაც გინდოდეს, იქ იყავი იმავე წესით, თუ გინდა – ბრძენი გულით, თუ გინდა – გამამაგებელი გონებით, მაგ მშვენიერი, ნატიფი ქცევით და აგებულებით, მხოლოდ გამაგრდი, არ მოკედე, არ დადნე ცეცხლისაგან (=მწუხარებისაგან).

## 1978. 28. IV

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი

განიხილეს: 933; 933,1; 934 (პროექტი მოამზადა II ჯგუფმა); 935–939 (პროექტი მოამზადა III ჯგუფმა).

933 ამის მეტსა არას გნუევე: წელიწადსა ერთსა მსგეფსსა  
აქავ ქუაბსა მომნახევედი მე, ამბავთა ყოვლგნით მკრეფსა;  
ამა ჟამსა ნიშნად მოგცემ, დროსა ამას ვარდიფსა,  
და ვარდთა ნახვა გაგაკრობოდეს, მართ ვითარცა ძალეი ყვეფსა.

უ 925-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ბ აქავ (აქა). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ამის მეტს არაფერს გთხოვ: ერთი წლის თავზე (ერთი წლის შემდეგ) აქვე, გამოქვებულში მომნახე მე, ყოველი მხრიდან ამბის შემკრები (შემტყობი); ამ დროს, ვარდმრავლობის დროს, სანიშნოდ გაძლეე, ვარდების დანახვა შეგაკრობოდეს (გამოგაფხიზლებდეს), თითქოს ძალეი ყვეფდეს.

933,1 ვორ ვარდი იყოს და მზე ჯდეს კორჩხიბსა და სარატანსა,  
აქავ ქუაბსა მომნახევედი, მოარებდი, ლომო, ტანსა!  
ვერას ეპოვებ, ვერე მოვალ, თუ რას ეპოვებ მოსატანსა,  
და უაქაოდ არ დაედგები, ერანს ვარ თუ ზაულისტანსა.

x 1118-თან შედარებით პროექტში ცვლილება: ა სარატანსა (საროტანსა), ზ აქვე ქუაბსა (აქა ქუაბსვე), გ ვერას ვპოვებ (არას ვპოვებ), დ ზაულისტანსა (ზულისტანსა); ა-ს ბოლო წერტილ-მიძმის ნაცვლად მიძმეა დასმული, ბ-ს ბოლოს – ძახილის ნიშანი.

რედაქციის ნევრებმა ყურადღება მიაქციეს იმას, რომ ა-ს სარიტმო სიტყვად ხელნაწერებში სარატანსა არ გვხვდება. ამ სიტყვის ვარიანტებად წუსებში გვაქვს: სარათანსა, საროტანსა, საროსტანსა, სარიტანსა, სარითანსა...

გ. კარტოზიას აზრით, ზოგიერთი ნაკითხვა (კერძოდ, ა-ხმოვნანი სარათანსა) საფუძველს იძლევა ჩანართ სტროფშიც აღვადგინოთ ამ სიტყვის ადრინდელი (ძირითად ტექსტშიც დადასტურებული) ფორმა – სარატანსა.

ე. მეტრეველი და ს. ცაიშვილი მხარს უჭერენ  $A^2$  -ის ნაკითხვას – საროს ტანსა, როგორც გადამწერის მიერ გააზრებულ შესიტყვებას.

ი. გიგინეიშვილის აზრით, უპირატესობა უნდა მიენიჭოს ხელნაწერთა უმრავლესობაში დაცულ ფორმას – საროტანსა.

დავადგინეს: ძირითად ნაკითხვად მიღებულ იქნეს საროტანსა.

ს. შ.: სანამ ვარდი იქნება და მზე იჯდება კორჩხიბის ეტლზე, სარატანზე, აქვე, გამოქვამულში, მომნახე, მოდი (ატარე ტანი), ლომო! ვერაფერს ვიპოვი, თუ რამე მოსატანს ვიპოვი, მაინც მოვალ, აქაურობის გარეშე არ გაეჩერდები, ერანში ვიქნები თუ ზაულისტანში.

934 ამა დროსა გარდაესცილდე, აქვე ქუაბსა არ მოვიდე,  
ცან, ცოცხალი არ თურე ვარ, ულონიოდ მოკეუე კიდე;  
ეს ამისად ნიშნად ემარის, შენ თუ ჩემთვის ცრემლსა ღწრიდე,  
და მაშინ განადღეს – იხარებდი, გნადღეს – ქმუნვა გაადიდუ.

u 926-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: თუ ამ დროს გადავაცილდე და აქვე, გამოქვამულში არ მოვედი, იცოდე (მიხვდი), რომ ცოცხალი აღარა ვარ, ნამდვილად მოგვედი; ეს (ჩემი მოუსვლელობა) საკმარისი იქნება იმისთვის (იმის ნიშნად იკმარებს), რომ ჩემ გამო ცრემლები დაღვარო, მაშინ, თუ გინდა, იხარე, თუ გინდა, დიდად იწუსე.

935 ან რაცა გკადრე, ამისთვის ნუთუ შენ იყო მქმუნაეი!  
მოგმორდები და არ ვიცი, თუ ცხენი დამცემს, თუ ნავი;  
არ, უთქმელობა არ ვარგა, არ პირუტყვი ვარ მქმუნაეი,  
და არ ვიცი, ღმერთი რას მიზამს, ანუ ცა მწყიე მბრუნაეი”.

u 927-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ახლა რაც გითხარი, ამის გამო ეგების შენ დაშურხრდე! მოგმორდები და არ ვიცი, ცხენი მომკლავს თუ ნავი (ცხენზე მჯდომი მოგვედები თუ ნავით მავალი); არა, უთქმელობა არ ვარგა, პირუტყვი ხომ არა ვარ უენო, არ ვიცი, რას მიზამს ღმერთი ან მარად მბრუნაეი ცა”.

936 მან უბრძანა: „აღარ განყენ, არცა სიტყვა გამეტადდეს,  
არ მომისმენ, რაზომიცა საუბარი მოდიადდეს;  
თუ არ მოგვეს საყუარელი, შენ მას მოაყევ, რაცა სნადდეს,  
და ბოლოდ ყოელი დამალული საქმე ცხადდა გამოცხადდეს.

u 928-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მან (ტარიელმა) უთხრა: „აღარ შეგანყენ, მეტ სიტყვასაც არ გეტყვი, არ მომისმენ, საუბარი რამდენიც უნდა გამიგრძელდეს; თუ მეგობარი არ დაგვეყენ



(დაგიჯეროს), შენ დააკევი (დაუჯერე), რაც უნდოდეს, საბოლოოდ ყოველი დაფარული საქმე ნათლად გამოამკარავდება.

937 არ დაიჯერო, მაშინ სცნა ჩემთა საქმეთა ძნელობა;  
ჩემთვის ყველაი სწორია, გაჭრა და გაუჭრელობა;  
შენ რაცა გითქვამს, მაგას ვიქ, მრჯის რაზომ გინდა ხელობა,  
და უშენოდ მომზედეს, რალა ექმნა, არ დია დღეთა გრძელობა!“

უ 929-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: გ ვიქ (ვიქმ). პროექტი მიღებულ იქნა.  
ს. შ.: თუ არ დაიჯერებ, მაშინ გაიგებ ჩემი საქმის სიძნელეს; ჩემთვის ყველაფერი ერთია, გაჭრა და გაუჭრელობა; შენ რაც გითქვამს, მაგას ვიზამ, სიმშავე რამდენადაც უნდა მტანჯავდეს. მაგრამ რალა ექნა, თუ უშენოდ მოგვედე (ამ მოკლე ხანში) “.

938 საუბარი გარდასწყვიდეს, დააპირეს ესე პირი;  
ცხენსა შესხდეს, მოიარეს, თუთო მოკლეს ველს ნადირი;  
შემოიქცეს, აატირეს გული, კულაცა ანატირო,  
და ხვალ გაყრისა გონებამან სხუა უმატა ჭირსა ჭირი.

უ 930-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.  
ს. შ.: საუბარი დაასრულეს, ამაზე შეთანხმდნენ; ცხენებზე შესხდნენ, მოიარეს ველი და თითო ნადირი მოკლეს, შემობრუნდნენ, აატირეს წინათად ატირებული გულები, ხვალინდელი გაყრის ფიქრმა მათ ჭირზე ჭირი დაუმატა.

939 ლექსთა მკითხველო, შენიმცა თუალი ცრემლისა მღურელია!  
გულმან, გლახ, რა ქნას უგულოდ, თუ გული გულსა ელია?!  
მომორება და მოყურისა გაყრა კაცისა მკვლელია,  
და ვინცა არ იცის, არ ესმის, ესე დღე რაგუარ ძელია!

უ 931-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: დ რაგუარ (როგორ). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ლექსთა მკითხველო, (დაე) შენმა თვალმა ცრემლები დაღვაროსი გულმა, ვაგლახ, რა ქნას უგულოდ, თუ გული გულს შეელია (თუ გულმა გული დათმო)?! მეგობრის მომორება და გაყრა კაცის მკვლეელია, ვინც არ იცის, არ ესმის, ეს (გაყრის) დღე როგორ ძელია!

## 1978. 5. V

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს: 940 – 945 (პროექტი მოამზადა III ჯგუფმა).

940 დილა გათენდა, შესხდეს და მას ქალსა გაესალამნეს.  
ტარიელ, ასმათ, აეთანდილ თუალთაგან ცრემლნი დალამნეს;  
სამთავე ღანთა ალაშნი არღანის ფერად ალაშნეს,  
და მათ ლომთა, მინყიე შვეცქმნილთა, თაფნი მჭეტთავე ალაშნეს.

უ 932-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.  
ს. შ.: დილა გათენდა, (ცხენებზე) შესხდნენ და იმ ქალს (ასმათს) გამოემშვიდობნენ. ტარიელმა, ასმათმა (და) აეთანდილმა თვალებიდან ცრემლები ღვარეს; სამივემ

მონითალო ლანებები არღვენის ფერ (მუქ წითელ) აღმებად აქცია, იმ ლომებმა (ტარიელმა და აეთანდილმა), მარად გამბეცებულებმა (გამმაგებულებმა), თაუ მბეცებსვე დაადარეს (გამბეცდნენ).

941 ქუაბი ჩაელეს და ნავიდეს ზახილით ცრემლთა მდნანი,  
ასმათ ტირს, მოსთქუამს: „ჰე ლომო, ვისნი ვით მოგთქმენ ენანი!  
შუემან დაგწუნა და დაგდაგნა ცისა მნათობნი ზენანი,  
და ვაჲ, ჭირნი ჩემი ეზომი ვაჲ, სიცოცხლისა თემნანი!“

U 933-თან შედარებით პროექტში ცვლილება: დ ვაჲ, ჭირნი (ვა ჭირნი), ვაჲ, სიცოცხლისა (ვა სიცოცხლისა). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: გამოქვაბული ჩაიარეს და ნავიდნენ ხმამალალი ტირილით ცრემლებს მღერელნი, ასმათი ტირის, მოთქუამს: „ჰე, ლომებო, ვის შუედლა მოთქმით დაგტიროთ! მზემ დაგნათ და დაგდაგათ ცის მნათობნი, ვაი, ჭირი ჩემი ამდენი! ვაი, სიცოცხლის მოთმენა!“

942 მათ ყმათა, მუნით ნასრულთა, იგი დღე ერთგან იარეს,  
ზღუის პირს მივიდეს, მუნ დადგეს, არ ჴმელთა არე იარეს,  
არ გაიყარნეს მას ლამე, კულა ცეცხლი გაიზიარეს,  
და ერთმანეთისა შორს ყოფა იტირეს, იმგლოვიარეს.

U 934-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: იქიდან ნასულმა იმ მოყმებმა (ტარიელმა და აეთანდილმა) იმ დღეს ერთად იარეს, ზღვის პირას მივიდნენ, იქ გაჩერდნენ, ხმელეთს არ გაპყვენენ, იმ ლამეს არ გაიყარნენ, ისევე გაუზიარეს ერთმანეთს გულის დარდი, ერთმანეთის დაშორება დაიტირეს, იგლოვეს.

943 ტარიელს ეტყუის აეთანდილ: „რუ გაქმა ცრემლთა დენისა!  
რად მოიშორვე შენ ფრიდონ, მომცემის მაგა ცხენისა?  
მუნით იცნობის ამბავი, ღონე მის მზისა ლხენისა,  
და ან მე მუნ მივალ, მასნაველ გ ზა მმადფიცისა შენისა“.

U 935-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

1978. 2. VI-ის სხდომაზე რედაქციამ გ. კარტოზიას წინადადებით შეცვალა აბ-ს პუნქტუაცია; ტარიელს ეტყუის აეთანდილ, რუ გაქმა ცრემლთა დენისა: „რად მოიშორვე შენ ფრიდონ...“

ს. შ.: ცრემლთა დენის რუ დაშრა (=ტირილი შეწყვიტეს), აეთანდილი ეუბნება ტარიელს: „რად გამოშორდი ფრიდონს, მაგ ცხენის მომცემს? იქიდან (ფრიდონის სამეფოდან) შეიძლება გავიგოთ ამბავი, თუ რა ღონე ვიხმაროთ იმ მზის (ნესტანის) სამეველად, ახლა მე იქ მივდივარ, მასნაველ შენი მმადნაფიცის გ ზა“.

944 ტარიელ სიტყვით ასნაულის მწარსა ფრიდონის გ ზისასა,  
მართ გაავგონა, რაც ოდენ შეედლო ძალსა თქმისასა:  
„აღმოსავლითიკენ ნადიო, პირსა იარე ზღუისასა,  
და თუ ნახო, ჩემი უამბე, გკითხავს ამბავსა ძმისასა“.

U 936-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ტარიელი სიტყვიერად უხსნის ფრიდონისაკენ (მიმავალი) გ ზის მიმართულებას, გაავგებინა, რამდენადაც კი შეეძლო სიტყვის ძალას: „აღმოსავლეთისაკენ ნადიო, ზღვის პირს იარე, თუ ნახო, უამბე ჩემი, გკითხავს ძმის ამბავს“.

945 თხა მოკლეს და მიითრიეს, ცეცხლი შექმნეს ზღუისა პირსა,  
სუნეს და ჭამეს, რაცა ჭამა შეუფერობდა მათსა ჭირსა;  
მას ლამესა ერთად იყენეს, ერთგან მიწვეს ხეთა ძირსა.

და ეკვმობ მუხთალსა სანუთროსა, ზოგჯერ უხუხსა, ზოგჯერ ძვირსა.

უ 937-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: თხა მოკლეს და მიითრიეს, ზღვის პირას ცეცხლი დაანთეს, სუნეს და ჭამეს, რაც მათ ჭირს შეუფერებოდა; იმ ლამეს ერთად იყენენ, ერთად მიწვენენ ხეების ძირას. ვკმობ მუხთალ ნუთისოფელს, ზოგჯერ უხეს, ზოგჯერ (კი) ძუნეს.

## 1978. 12. V

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ს. ციპიშვილი.

განიხილეს: 946 (პროექტი მოამზადა III ვკუფმა); 947–951 (პროექტი მოამზადა II ვკუფმა).

946 ცისკრად ადგეს გასაყრელად, ერთმანეთსა მოეხუინეს;  
მაშინ მათგან ნაუბარნი, დადნეს, ვინცა მოისმინეს;  
თუალათ, ვითა წყაროს თუალი, ცრემლი ველთა მოადინეს,  
და დიდხან დგანან შექედილნი, მკერდი მკერდსა შეარკინეს.

უ 938-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ც. კიკვიძე: სარიტომო სიტყვები ხელნაწერებსა და გამოცემებში სხვადასხვაგვარად არის წარმოდგენილი. კერძოდ, გვაქვს ორნარიანი ფორმები: მოეხუინნეს, მოისმინნეს, მოადინნეს, შეარკინნეს. ორი ნარი დ-ს სარიტომო სიტყვაში გაუმართლებელია. არ არის საჭირო მეორე ნარის დამატება ა და გ-შიც. ამ სამი ტაეპის სარიტომო სიტყვათა გაველნით ერთნარიანი ფორმაა დატოვებული ბ-შიც, სადაც ორი ნარი აუცილებელია; მოისმინეს-მოისმინნეს (მოისმინოს მან იგინი = მოისმინს ის მათ).

ი. გიგინეიშვილი: ბ-ში ნაუბარი მხოლოდობითში გადავიყვანოთ, როგორც ეს რიგ ხელნაწერშია. მაშინ მოისმინეს საესებით სწორი ფორმა იქნება. სხვა ტაეპებში სარიტომო სიტყვები აორისტში დასმული, მეორე ტაეპშიც ეგვეე მწკრივი უნდა მივიღოთ.

გ. კარტოზია: ბ სხვა ტაეპებისაგან განსხვავებით დგას. ად-ში ტარიელისა და ავთანდილის განშორებაზეა საუბარი და აორისტის ფორმებიც მათთვის საერთოა. ბ-ში კი აორისტი შეუფერებელია. აქ ნათქვამია: ვინც მაშინდელ მათ ნათქვამს მოისმინეს, დადნება. კავშირებით-მყოფადის ფორმა აქ საესებით გასაგებია. „ვტ“-ში სხვაგანაც გვხვდება შემთხვევები, როცა ორი ერთნარი თანხმოვნის ნაცვლად რითმის გამო ერთი თანხმოვანია წარმოდგენილი.

დაადგინეს: პროექტი მიღებულ იქნეს.

ს. შ.: ცისკარზე ადგენენ გასაყრელად, ერთმანეთს მოეხვიენენ; დადნება, მაშინდელ მათ ნალაპარაკებს ვინც მოისმინეს; თვალებიდან, როგორც წყარო, ცრემლები ველს მოადინეს, დიდხანს იდგენენ გადახვეულები, მკერდი მკერდს შეანებეს (შეარკინეს).

947 გაიყარნეს ტირილითა, პირსა ხოკით, თმათა გლეჯით,  
ერთი აღმა, ერთი ჩაღმა, უგზოდ მიულენ შამბთა უჯით;

ერე უწნდა ერთმანერთი, იზახდიან პირსა ბღნეჯეთი;  
და იგი ნახნეს დალრჯეილნი, შუე დაიღრჯეს მისით ლრჯეთი.

პ 939-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ა ტირილითა, პირსა (ტირილით და პირსა).

ა. ბარამიძისა და ი. გიგინეიშვილის წინადადებით აღდგენილ იქნა ნაკითხვა: გაიყარნეს ტირილით და პირსა ხოკით...

გ-ს ბოლოს ნურტილ-მიძიმის ნაცვლად დაისევა ნურტილი.

ს. შ.: გაიყარნეს ტირილით და პირსახის ხოკით, თმის გლეჯით, ერთი აღმა (ნავიდა), მეორე – დაღმა, უგ ზოდ მიდიან შამბთა გავლით; სანამ ერთმანეთს ხედვდნენ, იძახდნენ პირის ლმეჭით. ისინი რომ ნახოს მონყენილები, შუეც მოიწყენს მათი მონყენით.

948 ვაჲ, სოფელიო, რაშიგან ხარ, რას გუბარუნებ, რა ზნე გჭირსა!  
ყოული შენი მონდობილი ნიადაგმცა ჩემებრ ტირსა!  
სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფხური სადით ძირსა?!

და მაგრამ ლმერთი არ გასწორავს კაცსა, შენგან განაწილსა.

პ 940-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ა ვაჲ (ვა).

ი. გიგინეიშვილი: სტროფი ბრჭყალებში უნდა ჩაისყოს, რადგან ავთანდილის სიტყვებს წარმოადგენს. პოემაში სხვაგანაც გვხვდება მსგავსი შემთხვევა, როცა პერსონაჟის სიტყვები ავტორისეულად არის მიჩნეული.

დაადგინეს: რედაქციის ერთ-ერთ სხდომაზე სპეციალურად იქნეს განხილული ეს შემთხვევები. ჟურჯურობით კი ბრჭყალებში არ დანიეროს, პროექტი მიღებულ იქნეს უცვლელად.

ს. შ.: ვაჲ, ნუთისოფელიო, რას ჩადი, რას გვაბრუნებ, რა ზნე გაქეს! ყველა შენზე მონდობილი მუდამ ჩემსავით ტიროდეს! სადაურსა სად წაიყვან, საიდან სად აღმოუფხვრი ძირს (დალუპაე)?! მაგრამ ლმერთი არ განიწიავს შენგან განწირულ კაცს.

949 აუთანდილ მისი გაყრილი ტირს, მისწუთობია ვჰმ ცამდის,  
იტყუის, თუ: „ლუარი სისხლისა კულაცა მდენია, კულაცა მდის;

ან აგრე გაყრა ძნელია, ვით მაშინ შეყრა და-ცამდის;

და კაცი არ ყუელა სწორია, დიდი ძეს კაცით კაცამდის“.

პ 941-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ტარიელს მოშორებული ავთანდილი ტირის, (მისი) ხმა ცას მისწვდომია, ამბობს: „სისხლის ღვარი ადრეც მდენია, ახლაც მდის; ახლა განშორება ისევე ძნელია, როგორც მაშინ (ერთად) შეყრა იყო საამო. ყველა კაცი ერთნაირი არ არის, დიდი (მანძილი) ძეს კაციდან კაცამდის (ადამიანები დიდად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან)“.

950 ველს მაშინ მწეცნი ძლებოდეს სისხლითა მუნ ნატირითა;

ვერ დაიყვებდა საწმილსა, ინწის ცეცხლითა წჳირითა;

კულა თინათინის გონება აესებს უფრორე ჭირითა;

და ზაგეთათ ვარდსა ანათობს ბროლი ძონისა ძირითა.

პ 942-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ველზე მაშინ მტეცები ძლებოდნენ იქ ნატირი სისხლიანი ცრემლით, ვერ იქრობდა სახმილს (ცეცხლს), ინწის ძლიერი ცეცხლით; თინათინზე ფიქრიც უფრო უმატებს ჭირს; ზაგებიდან ვარდს (=ლანეებს, პირისახეს) ანათებს ბროლი ძონის ძირით (=კბილები წუნებით).

951 ვარდი ჭნებოდა, ღურებოდა, ალვისა შტო ირხეოდა;  
ბროლი და ლალი გათლილი ლაქუნარდად გარდიქცოდა;  
გამაგრებოდა სიკუდილსა, ამისთვის არ უმხნეოდა;  
და იტყუს თუ: „ზნელი რას მიკურის, რათგან დაგაგდე მზეო, და—!“

უ 943-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ა. ბარამიძისა და ი. გიგინეიშვილის წინადადებით დ-ში დაგაგდე შეიცვალა დამაგდე ფორმით. პროექტი ამ ცვლილებით მიღებულ იქნა.

ს. შ.: ვარდი (=ავთანდილი) ჭნებოდა, ღურებოდა, ალვის შტო (=ავთანდილის ტანი) ირხეოდა; გათლილი ბროლი და ლალი ლაქუნარდად იქცეოდა (ე.ი. ავთანდილის თეთრ-წითელი პირისახე ლურჯდებოდა); სიკუდილს გამაგრებოდა, ამიტომ მხნეობდა (უმხნეოდ არ იყო); ამბობს, „სიბნელე რატომ მიკვირს, რადგანაც მიმატოვე, მზეო!“

## 1978. 19. VI

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშივილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს: 952, 953, 953,1 (პროექტი მოამზადა II უკუფმა.).

952 მზესა ეტყუს: „მზეო, გიტყუი თინათონის ღანთუთა დარად,  
შენ მას ჰგავს და იგი შენ გგავს, თქვენ ანათობთ მთად და ბარად;  
ხელსა მალხენს ნახვა შენი, ამაღ გიჭურუტ არდამცთარად,  
და მაგრა ჩემი რად დააგდეუ გული ცივად, გაუმთბარად?

უ 944-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ი. გიგინეიშვილი: დ-ში ზმნა მხოლოობითში უნდა დაისყვას: დააგდე. ავთანდილის სიტყვები მხოლოდ მზისადმია მიმართული.

ე. მეტრეველი: თინათინი აქ მხოლოდ შესადაარებლად არის მოხმობილი. ამდენად დააგდე უფრო მართებული ფორმაა.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს ნაკითხვა დააგდე.

ს. შ.: მზეს ეუბნება: „მზეო, შენ მიმარნიხარ თინათინის ღანეების სწორად, შენ მას ჰგავხარ და ის შენ გგავს, თქვენ ანათებთ მთასა და ბარში; გახელეულს ლხენას მგერის შენი დანახვა, ამიტომ გიჭურუტ განუწყვეტლად (თვალის მოუშორებლად), მაგრამ რატომ მიატოვე ჩემი გული ცივად, გაუმთბარად?

953 თუ ურთისა მოშორება მზისა ზამთრის გაგნამცვიენებს,  
მე, გლახს, ორნი დამიყრიან, გული ამაღ რად არ იენებს?  
მაგრა კლდესა არა შესწონს, არაოდეს არ ატკიენებს;

და წყლულსა დანა ვერა ჰკურნებს, გაჰკუთს ანუ გააშთიენებს“.

უ 945-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: გ ატკიენებს (იმტკიენებს).

ი. გიგინეიშვილი: გ-ს სარითმო სიტყვად იმტკიენებს უნდა აღდგეს. მიმლეობის მანარმოებელი მ-პრეფიქსი აქ აუცილებლად საჭიროა. იმტკიენებს მტკივან-იდან არის ნანარმოება, ისევე როგორც სხვა სარითმო სიტყვებში მცივან-ი და მსივან-ი მიმლეობებია ზმნებისათვის ამოსავალი. თუ მიმლეობის მ-პრეფიქსს არ აღვადგენთ, გაუგებარი იქნება ნ სუფიქსის არსებობა ზმნაში (ატკიენებს). ქართულში ვერ დავადასტურებთ სხვა მაგალითს, რომ გარდამავალ (კუზატორ) ზმნაში ნ სუფიქსი მიმლეობისეული არ იყოს.

რაც შეეხება ქვეყნის ფორმას, აქ სათავესო ქვეყა უფრო გასაგებია. არა შესწონს ნიშნავს: არაფერს იმჩნევს. ტაების აზრით: კლდე არაფერს იმჩნევს, არასოდეს არაფერს იმტკივნებს.

გ. კარტოზია: ატკივნებს ძველსავე ქართულში რეალურად არსებული და გავრცელებული ფორმაა. შდრ. თვით „ვტ“-ში: რა ჰგავა, თუ მოყურანსა კაცმან გული არ ატკივნოს. „ვტ“-ის ხელნაწერებში ამ ადგილასაც უმთავრესად უმანო ფორმებია, მხოლოდ  $D^3 D^4 D^5$  - შია ამტკივნებს. იმტკივნებს ხელნაწერებში არ გვხვდება. ატკივნებს-ში ნ მიმღობის სუფიქსი არ არის, ისევე როგორც არ არის ტკივნულ-ში. ამგვარი -ნ სუფიქსი, არამიმღობური წარმოშობისა, ქართულ ზმნებში სხვაგანაც დასტურდება (მაგ.: აყივნებს). მიმღობის მ- პრეფიქსის დამატება ზმნაში საჭირო არ არის. სხვა საართომო სიტყვათა ანალოგია გადაწყვეტი მნიშვნელობისა არ არის. არა შესწონს, ვფიქრობ, ამას ნიშნავს: არაფერი ანაღვლებს. ტაების აზრი კი ასე მესმის: კლდეს არაფერი ანაღვლებს, არასოდეს არ ატკენს. საარვისო ქვეყნის ფორმა, რომელიც ხელნაწერთა დიდ ნაწილში გვხვდება, ასეთ გაგებას სავსებით ეფუძება.

ე. მეტრეველი და შ. ძიძიგური მზარს უჭერენ იმტკივნებს ფორმას. ც. კიკვიძე, ა. ბარამიძე, ს. ცაიშვილს მართებულ ნაკითხვად მიაჩნიათ იტკივნებს.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს ნაკითხვა არაოდეს არ იტკივნებს.

ს. შ.: თუ ზამთარში ერთი მზის მოშორების გამო გცივა, მე ვაგლახ, ორი მზე დამიტოვებია, ამიტომ გულს ვნება რატომ არ მოსდის? მაგრამ კლდე არაფერს იმჩნევს, არაფერს იტკივებს. წყლოუს (ჭრილობას) დანა ვერ განკურნავს, გაჭრის (უფრო ღრმად) ან გაასივებს.

953,1 იტყუის თუ: „ჩემი ხელმწიელი, ღმერთო, მზეა და ცად არი, ვინ პირი მსგავსად პირისა შეჰქმენ და შე-ცა-ადარი; უმისოდ სულდგმულობასა, გულო, ვით შეეცადარი! და ვაა, სიცოცხლისა სოფელმან აროდეს არ დამცა დარი!“

x1139-თან შედარებით პროექტში ცვლილება: ა იტყუის, თუ (იტყუის თუ), ხელმწიელი (ხელ-მწიელი), ბ შეჰქმენ (შექმენ), შე-ცა-ადარი (შეცადარი), გ შეეცადარი (შეცადარი), დ ვაა, სიცოცხლისა სოფელმან (ვა სიცოცხლისა, სოფელმან). ა-ს ბოლოს მძიმე დასმული წერტილ-მძიმის ნაცვლად, დ-ს ბოლოს ბრჭყალები დახურულია. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ამბობს: „ღმერთო, ჩემი გამხლებელი მზეა და ცაშია, (ღმერთო), ვინც (მისი, ე.ი. თინათინის) პირისახე (მზის პირისახის) მსგავსად შექმენი და შეადარე; გულო, უმისოდ (უთინათინოდ) სიცოცხლეს (სულდგმულობას) როგორ ცდილობ (როგორ ეცდები)! ვაი, წუთისოფელმა სიცოცხლის ხალისი (დარი) არასოდეს მომცა“.

## 1978. 26. V

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი.

განიხილეს: 953,2-958 (პროექტი მოამზადა II უჯრუმა).

953,2 მისსა მზესა გზა-გზა მოსთქაშს, ჭირს თავს აძლევს ლხინის ფასად, გულსა ეტყუის: „მიაშურე, გაგიპირავს შენ ანა სად;

გარჯისათვის, ეგრე თქმულა, მიხუდებისო ერთი ასად;

და ჭირნი ჩემნი ვამსუბუქო, მკიდაეს სხვათა უმძიმესად“.

x 1139<sup>1</sup>-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ა მზესა გზა-გზა (მზესა, გზა-გზა), გ გარჯისათვის, ეგრე თქმულა, მიხუდებისო ერთი ასად (გარჯისათვის ეგრე თქმულა: „მიხუდებისო ერთი ასად“), ბ და გ-ს ბოლოს მძიმის ნაცვლად დასმულია ნერტილ-მძიმე, დ-ს ბოლოს ნერტილთან ერთად დასმულია ბრჭყალები, პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: თავის მზეზე (თინათინზე) გზა-გზა მოთქვამს, ჭირს ეძლევა ღვინის მაგივრად, გულს უუბნება: „მიაშურე (იქით), საითაც ახლა გადაგინყვეტია (ნასვლა); ასე თქმულა, გარჯისათვის (ადამიანს) ერთიასად მიუზღვებო; ჩემს ჭირს შევიმსუბუქებ, სხვებზე უფრო მძიმედ (მძიმე ბარგად) მკიდა“.

954 მიმავალი ცასა შესტირს, უუბნების, ეტყუნის შხესა;

„აჰა, მზეო, გეაჯეზი შენ, უძმლესთა მძლეთა მძლესა,  
ვინ მდაბალთა გაამალღებ, მეფობასა მისცემ, სუქსა,

და მე ნუ გამყრი საყურარელსა, ნუ შემიცვლი ღამედ დღესა!

u 946-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ი. გიგინეიშვილი: ბ-ში უფრო მართებული ჩანს რიგ ხელნაწერში დაცული ნაკითხვა: შენ უძმლესსა, მძლეთა მძლესა. გ-ის მეორე ნახევარში მძიმე უნდა მოიშალოს: მეფობასა მისცემს სუქსა.

რედაქციამ უცვლელად დატოვა ბ-ს ნაკითხვა, გ-ში კი მძიმე მოშალა.

ს. შ.: მიმავალი ცას შესტირის, მზეს უუბნება: „აჰა, მზეო, გევედრები შენ, უძლიერესთა მძლეველთა მძლეველს, ვინც მდაბალს ამაღლებ, მეფობას ანიჭებ ზედნიერებას, ნუ გამყრი სატრფოს, ნუ შემიცვლი ღამედ დღეს“.

955 მო, ზუალო, მომიმატე ცრემლი ცრემლსა, ჭირი ჭირსა,

გული შავად შემიღებე, სიბნელესა მიმეც წმირსა,  
შემომყარე კაეშნისა ტურიითი მძიმე, ვითა ვირსა,

და მას უთხარ, თუ: „ნუ გასწირავ, შენია და შენთუის ტირისა“.

u 947-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ი.გიგინეიშვილი მხარს უჭერს ზოგიერთ ხელნაწერის ნაკითხვას გ-ში: შემომყარე კაეშანი, ტურიითი მძიმე, ვითა ვირსა.

პროექტი უცვლელად იქნა მიღებული.

ს. შ.: მოდი, ზუალო (სატურნო), დამომატე ცრემლი ცრემლს და ჭირი ჭირს, გული შავად შემიღებე, წყვიდადს მიმეცი, ამკიდე კაეშნის მძიმე ტვირთი, როგორც ვირს (აჰკიდებენ ხოლმე), მას (თინათინს) უთარი: „ნუ გასწირავ, შენია და შენთუის ტირის“.

956 პე, მუშთარო, გეაჯეზი შენ, მართალსა ბრჭყესა, ღმრთულსა,

მო და უყავ სამართალი, გაუბრჭობის გული გულსა;  
ნუ ამრუდებ უმართლესსა, ნუ წაიწყმედ ამით სულსა!

და მართალი ვარ, გამიკითხე რად მანყლულებ მისთუის წყლულსა?

u 948-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

შ. ძიძიგური: პე შორისდებულია, ამიტომ მძიმით უნდა გამოიყოს მომდევნო სიტყვისაგან.

დაადგინეს: დაისვას მძიმე პე-ს შემდეგ. ასევე გამოიყოს პე მძიმით ყველა სხვა შემთხვევაში.

ი. გიგინეიშვილი: ა-ში მძიმე უნდა გადაისვას: შენ, მართალსა, ბრჭქსა ღმრთულსა. ლექსთნეუბის თვალსაზრისით ასე აჯობებს.

დაადგინეს: მძიმე გადაისვას. მიღებულ იქნეს ნაკითხვა: შენ, მართალსა, ბრჭქსა ღმრთულსა.

ი. გიგინეიშვილი: გ-ში ხელნაწერთა დიდი ნაწილი კითხულობს: უმართლესა. უმართლე და უმართლესა თანაბრად დასაშვები ფორმებია „ვტ“-ისათვის. ძველი ქართული მსგავსად, აქ უფროობითი ხარისხის ორივე წარმოება (უუ და უუს) გამოყენებული. ძირითად ტექსტში ხელნაწერთა უმრავლესობის ნაკითხვა უნდა შეიტანოთ – უმართლესა.

გ. კარტოზია: ზედსართავ სახელთა უფროობითი ხარისხის ფორმათა ხმარების შრიც „ვტ“-ში ასეთი კანონზომიერება შეინიშნება: უ – ე წარმოება მაშინ გვაქვს, როცა უფროობითი ხარისხის ფორმა შედგენილი შემასმენელის სახელადი ნაწილია, უუს წარმოება კი მაშინ გვხვდება, როცა ეს ზედსართავი დამოუკიდებლად იხმარება. ამიტომ ტექსტში უპირატესობა უმართლესასა უნდა მიეცეს.

ც. კიკვიძე: „ვტ“-ის ხელნაწერებში რომ ერთი სანის შემცველი ფორმებია უფრო გავრცელებული, გასაგებია: უმართლესა > უმართლესა.

ი. გიგინეიშვილმა და შ. ძიძიგურმა აღნიშნეს, რომ ძველ ქართულ ლიტერატურულ ძეგლებში (განსაკუთრებით ი. პეტრინთან) უფროობითი ხარისხის მოკლე ფორმები შედგენილი შემასმენელის სახელად ნაწილადაც გამოიყენება და დამოუკიდებლადაც. „ვტ“-ში სხვა ძველთა ენისაგან განსხვავებულ სურათს ვერ ვივარაუდებთ.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს ნაკითხვა: ნუ ამრუდებ უმართლესა (ნინაღმდგენი –

გ. კარტოზია, ც. კიკვიძე).

ს. შ.: პე, მუშთარო (ოუბიტერო), გვეჯდრები შენ, სამართლიან, ღეთოურ მსაჯულს, მოდი და სამართალი გუჟინე, (ჩემი) გული (თინათინის) გულს ედავება; ნუ გაამტყუნებ მართალზე მართალს, ამით სულს ნუ წაიწყებ! მართალი ვარ, გამიკითხე! რატომ მანყლულებ მისთვის (=თინათინისთვის) დანყლულებულს?

957 მოდი, მარიხო, უწყალოდ დამჭერ ღმრთობა შენითა,  
მუცა-მღებე და შემსუარე ნითლად სისხლისა დენითა,  
მას უთხრენ ჩემნი პატიჟნი, მას გააგონენ ენითა,  
და რაგუარ გასრულეარ, შენ იცი, გული აღარას ღმრთობა.

უ 949-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: დ გული აღარას ღმრთობა (გულია აღარ ღმრთობა).

პროექტში მიღებულ იქნა, ოღონდ სტროფის ბოლოს შედგენილი შემასმენელი ღმრთობა (=ღმრთობა არის), როგორც გამოწაკლისი, დაწინა დეფისით ღმრთობა).

ს. შ.: მოდი, მარიხო (მარსო), უმონწყალოდ დამჭერი შენი ღმრთობით, ნითლად შემღებე და დამსუარე სისხლის დენით, მას (თინათინს) უთხარი ჩემი ტანჯვა, გააგებინე, (თუ) რა დღეში ჩავვარდნილვარ, შენ იცი, (ჩემს) გულს აღარაფერი ახარებს.

958 მოდი ასპიროზ, მარგე რა, მან დამწუა ცეცხლთა დაგითა,  
ვინ მარგალოტსა გარეშე მოსცავს ძონისა ზაგითა;  
შენ დააშუენებ კეკლუცთა დაშუენებითა მაგითა,  
და ვისმე ჩემებრსა დააგდებ, გააჰჯი ცნობითა შაგითა.

უ 950-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: დ ვისმე ჩემებრსა დააგდებ (ვისმე, გლახ, ჩემებრ დააგდებ), გააჰჯი (გახდი). პროექტი მიღებულ იქნა.



ს. შ.: მოდი, ასპიროზ (ვენერა), მიშველე რამე, იმან დაძმვა ცეცხლით (ცეცხლის დაგვით), ვინც მარგალიტს (=კბილებს) იცავს ძონის ბაგით (ვის კბილებსაც გარშემო შემოვლებული აქვს ძონის ბაგეები); შენ ამშვენებ (ალამაზებ) კეკლუცებს ასეთი მშვენებით, ზოგს ჩემნაირს (კი) დააგდებ (დატოვებ), გააშმაგებ (გაშმაგებული გონებით გახდი).

959 ოტარიდო, შენგან კიდე არეის მიგავს საქმე სხუასა;  
მზე მამბრუნებს, არ გამიშუებს, შემოყრის და მიმცემს ნუასა;  
დაჯე ნურად ჭირთა ჩემთა, მელნად მოგცემ ცრემლთა ტბასა,  
და კალმად გიკრუთ განლობილსა ტანსა, წუროლსა ვითა თმასა.

უ 951-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ოტარიდო (მერკურო), შენ გარდა სხვისას არავისას ჰგავს ჩემი საქმე: მზე (თინათინი) მამბრუნებს, არ გამიშუებს, შემოყრის და ნეას მიმცემს; დაჯექ ჩემი ჭირის დასანერად, მელნად მოგცემ (ჩემს) ცრემლთა ტბას, კალმად გთავაზობ გალულ ტანს, თმასავით წერილს.

## 1978. 2. VI

სხლომას ესწრებოდნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს: 960-964,1 (პროექტი მოამზადა III კვლუშა).

960 მო, მთუარეო, შემობრალე, ვილევო და შენებრ ემჭლდები,  
მზე გამავსებს, მზევე გამლევს, ზოგჯერ ესხუდები, ზოგჯერ ვწულდები.  
მას უამბენ სჯანი ჩემნი, რა მჭირს ანუ რაგჟარ ებნდები,  
და მიდი, უთხარ, ნუ გამწირავს, მისი ვარ და მისთუის ვკრუდები.

უ 952-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მოდი, მთვარევე, შემობრალე, ვილევო და შენსავით მჭლე ეხდები, მზე გამავსებს, მზევე გამლევს, ზოგჯერ ემსვილდები, ზოგჯერ ვწერილდები; მას (თინათინს) უამბე ჩემი ტანჯვა, რა მჭირს ან როგორ ვიბნიდები, მიდი, უთხარი, ნუ გამწირავს, მისი ვარ და მისთუის ვკრუდები.

961 აჰა, მმონშობენ ვარსკულაენი, შუიდივე მემონშებთან:  
მზე, ოტარიდი, მუშთარი და ზუალ ჩემთუის ბნდებთან,  
მთუარე, ასპიროზ, მარიხი მოვლენ და მონშად მყვებთან,  
და მას გააგონენ, რანიცა ცეცხლნი უმრეტნი მდებთან".

უ 953-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: აჰა, მონშებად ვარსკულაევი მყავს, შვიდივე მემონშება: მზე, ოტარიდი (მერკური), მუშთარი (ოუპიტერი) და ზუალი (სატურნი) ჩემთუის იბნიდებთან, მთვარე, ასპიროზი (ვენერა), მარიხი (მარსი) მოდიან და მონშებად მიდგებთან. მას (თინათინს) გააგონონ, რა დაუმრეტელი ცეცხლიც მომდებია.

962 ან გულსა ეტყუის: „ვითამცა გდის ცრემლი, არ გაჯკმობია,  
რას გარგებს მოკლე თავისა? ეშმა ძმად თურე გმშობია;  
მეც ვოცი, ჩემსა ხელმქმნელსა თმად ყორნის ბოლო სთმობია,

და მაგრა თუ ჭირსა არ დასთმობ, ლხინი რა დასათმობია!

უ 954-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ახლა გულს ეუბნება: „როგორ უნდა გდიოდეს ცრემლი, (როგორ) არ შეგშრობია, რას გარგებს თავის მოკვლა? თურმე ეშმაკი გაგინდია ძმად; მეც ვიცი, ჩემს გამშმაგებელს (თინათინს) თმად ყორნის ბოლო გახდომია, მაგრამ თუ გაჭირვებას არ მოითმენ, ლხინს რა გაძლება უნდა!

963 თუ დაერჩეო, ესე მიუჯობს, – სიცოცხლისა იტყვის თუსა, –

ნუთუ მომზუნდეს ნახვა მზისა, ნუ ვიზახი მინყო უსა“.

მიიღერის წმისა ტკბილსა, არ დასწყუდდის ცრემლთა რუსა,

და მისსა წმისა თანა წმაცა ბულბულისა ჰგვანდის ბუსა.

უ 955-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

გ. კარტოზია: ზოგი მკვლევარი სტროფის ბოლო სიტყვას ნანათესაობითარ მიცემითად მიიჩნევს და ცვლის სიტყვის ფორმასაც: ბუსსა, რაც მართებული არ არის. ბუსა მიცემითია. ტაეპის აზრია: ავთანდილის ხმასთან შედარებით ბულბულის ხმაც ბუსს ჰგავდა. „უტ“-ში სხვაგანაც გვხვდება მსგავსი შემთხვევები არა ერთი რიგის მოვლენათა შედარებისა. მაგ., გამზრდელ-გაზრდილთა გაყრასა ჩვენ თავნი დავადარებთ.

პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: თუ (ცოცხალი) დაერჩი, ეს მიუჯობს, – სიცოცხლე სათუოდ მიანნია, – ეგებ მელრსოს მზის ნახვა, ნუ ვიძახი მუდამ „უს“. ტკბილი ხმით მიიღერის, არ წყვეტდა ცრემლთა რუს დენას, მის ხმასთან შედარებით ბულბულის ხმაც კი ბუსს (ხმას) ჰგავდა.

964 რა ესმოდის მღერა ყმისა, სმენად მჭეცნი მოვიდან,

მისვე წმისა სიტკბოსაგან წყლით ქვანოცა გამოხსდიან,

ისმენდიან, გააკუიორდიან, რა ატირდის, ატირდიან;

და იმღერს ლექსთა საბრალთა, ღუარისაებურ ცრემლნი სდიან.

უ 956-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ი. გიგინეიშვილის აზრით, ბ-ში უკეთესია ნაკითხვა: წყლით თვეზნიცა გამოხსდიან, რომელსაც შხარს უჭერს ზოგიერთი ხელნაწერი.

პროექტი მიღებულ იქნა უცვლელად.

ს. შ.: მოყმის სიმღერა რომ ესმოდათ, მოსასმენად მტეცები მოდიოდნენ, მისივე ტკბილი ხმისაგან წყლიდან ქვებიც კი გამოდიოდნენ, ისმენდნენ, უკვირდათ, რომ ატირდებოდა, (ისინიც) ატირდებოდნენ ხოლმე; მღერის სევდიან (სიბრალულის მომგვრელ) ლექსებს, ღვარივით სდის ცრემლები.

964,1 მოვიდიან შესამკობლად ქუეყნით ყოვლნი სულიერნი:

კლდით ნადირნი, წყალშიც თვეზნი, ზღუთი ნიანგნი, ცით მფრინველნი,

ინდო-არაბ-საბერძნეთით, მაშროყით და მალრიბელნი,

და რუსნი, სპარსნი, მოფრანგენი და მისრეთით მეგუბოტელნი.

x 1151-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ა სულიერნი (სურიელნი), გ ინდო- (პინდო-).

ა. ბარამიძემ და ს. ცაიშივილმა აღნიშნეს, რომ სტროფი ნამდვილად ჩანართია და არ არის არავითარი საფუძველი ძირითად ტექსტში მისი შეტანისა. სტროფს არ იცნობს A და D და რედაქციის ხელნაწერები (მცირე გამოხატვის გარდა). ა. ბარამიძემ, კერძოდ, აღნიშნა, რომ სტროფი სუსტია ენობრივადაც. მაგ., წყალშიც თვეზნი (უნდა იყოს: წყლით

თევზნი), ინდო-არაბ-საბერძნეთით, მაშრიყით და მალრიბელნი (უნდა იყოს, მალრიბით), არასწორი ფორმაა მოფრანგე-ც.

დაადგინეს: სტროფი ჩაითვალოს ჩანართად.

ს. შ.: (ავთანდილის) შესაქებად (მთელი) ქვეყნიდან მოდიოდა ყველა სულიერი: კლდიდან ნადირები, წყლიდან თევზები, ზღვიდან ნიანგები, ციდან ფრინველები, ინდოეთ-არაბეთ-საბერძნეთიდან, აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან, რუსები, სპარსელები, ფრანგები (ვეროპელები) და მისრეთიდან (ეგვიპტიდან) ეგვიპტელები.

## 1978. 9. VI

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი.

განიხილეს: 965-970 (პროექტი მოამზადა III უჯგუფმა).

965 ყმა მტირალი სამოცდათ დღე ზღუისა პირსა მია გზასა;  
შორით ნახა, მენაენი მოდიოდეს შიგან ზღუასა;  
მოიცადა, ჰკითხა: „ვინ ხართ, თქვენ ამისა გნუჟე თქმასა,  
და ეს სამეფო ვისი არის, ან მორჩილობს ვისსა ჯმასა?

უ 957-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

გ. კარტოზია: მოიცადა „ვეფხისტყაოსანში“ ორპირიანი გარდამავალი ზმნაა. ამიტომ უფრო სწორია რიგ ხელნაწერში დაცული მოიცადნა, რომელშიც პირდაპირი ობიექტის სიმრავლე კანონზომიერად არის გამოსატული: მოიცადნა ავთანდილმა მენაევნი (=ავთანდილმა მოუცადა მენაევებს).

დაადგინეს: მიღებულ იქნეს ნაკითხვა: მოიცადნა.

ს. შ.: მტირალი მოყმე სამოცდაათი დღე მიდის ზღვის პირას გზაზე; შორიდან დაინახა, მენაევები მოდიოდნენ ზღვაში; მოუცადა, ჰკითხა: „ვინ ხართ, ამის თქმას გთხოვთ, ეს სამეფო ვისია, ან ვის ხმას (ბრძანებას) ემორჩილება?

966 მათ მოაქსენეს: „ტურფაო სახით და ანაგებითა,  
გუუუცხოვე და გუუკეთე, მათ გუუზნებით ქებითა;  
აქამდის ზღვარი თურქთაა, მოზღვრეა ფრიდონ ზღვრებითა;  
და ჩუნცა ვისნი ვართ, გაამბობთ, თუ ჭურვითი არ დავზნდებითა.

უ 958-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ც. კიკვიძე: გ-ში ნაკითხვა მოზღვრეა ფრიდონ ზღვრებითა მხოლოდ  $A^{13}D^3D^4D^5$  ხელნაწერებში დასტურდება. ხელნაწერთა უმრავლესობის ნაკითხვის (მოზღვრე ფრიდონის ზღვრებითა) მიღებას შინაარსობრივი დაბრკოლება ახლავს.

ი. გიგინეიშვილი: უპირატესობა უნდა მიეცეს ზოგ ხელნაწერში დაცულ ნაკითხვას: მოზღვრე ფრიდონის ზღვრებითა. ამასთან ფრიდონის ზღვრებითა-ს მსაზღვრელი კი არ არის, არამედ წინამავალი სიტყვისა (მოზღვრე). შდრ. მომდევნო მსაზღვრელის ოდენ-ნათესაობითში დასმით სხვა მაგალითი: დაუნყეს პყრობა ტაიჭთა ფრიდონის უკეთესებსა.

ა. ბარამიძემ და გ. კარტოზიამ აღნიშნეს, რომ მოზღვრე ზღვრებითა უკეთესი ნაკითხვაა, როგორც რუსთველის ენისათვის დამახასიათებელი ევრბალური ალიტერაციის ნიმუში.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს: მოზღვრე ფრიდონის ზღვრებითა (=საზღვრიო ფრიდონის მოსაზღვრე).

ს. შ.: მათ უთხრეს: „მშენიერო სახითა და აგებულებით, უცხოდ მოგვეყენე და მოგვეწონე, ამიტომ გაქებთ; აქამდის თურქების საზღვარია, საზღვრით ფრიდონის მოსაზღვრე, ჩვენც ვისი (ხალხი) ვართ, გიამბობთ, თუ (მენი) ცქერით გონს არ დაკარგავთ.

967 ნურადინ-ფრიდონ მეფეა ამა ქუეყნისა ჩუენისა,  
მოყმე მწნე, უხუი, ძლიერი, ფიცხლად მომზღვრომი ცხენისა;  
ენება არავის არ ძალუც მის შვისა ოდნად მშუენისა,  
და იგია ჩუენი პატრონი, შავასი ცით შუქთა მუენისა“.

ა 959-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ა ნურადინ-ფრიდონ (ნურადინ ფრიდონ).

ი. გიგინეიშვილი ბ-ში მომზღვრომი-ს ნაცვლად უკეთესი ჩანს ნაკითხვა მამსხლტომი.

დაადგინეს: დარჩეს მომზღვრომი.

ი. გიგინეიშვილის წინადადებით გ-ში დაისვა მძიმე: მის, შვისა ოდნად მშუენისა (წინააღმდეგი გ. კარტოზია).

ს. შ.: ნურადინ-ფრიდონი ამ ჩუენი ქუეყნის მეფეა, მხნე, უხუი, ძლიერი რაინდი, კარგი ცხენოსანი; მისი, შვის სწორად მშუენის, ენება არავის შუქლია, ისაა ჩუენი პატრონი, შვის (ციდან შუქის მომუენის) მსგავსი“.

968 ყმაჰან უთხრა: „ძმანო ჩემო, კარგთა კაცთა გარდგეკიდე;  
მე მეფესა თქუენსა ვეძებ, მასწაულეთ, თუ საით წაიღე,  
რა ვიარო, ოდეს მივალ, ან გზასა აქუს რა სიდიდე?“  
და მენავეთა უწინამძღურეს, არ დაადგეს გზამდის კიდე.

ა 960-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ი. გიგინეიშვილი: დ-ში უპირატესობა უნდა მიეცეს ნაკითხვას: არ დაადგეს ზღუისა კიდე.

რედაქციის სხვა ნევრები მხარს უჭერენ ხელნაწერთა მეტი წილის ნაკითხვას (არ დაადგეს გზამდის კიდე). გ. კარტოზიას აზრით, კიდე = ნაპირი (გზამდის არ დაადგეს ზღვის ნაპირი). სხვების (ც. კიკვიძე, ს. ცაიშვილი) აზრით, კიდე აქ ნაწილაკის ფუნქციით იხმარება. ი. გიგინეიშვილიც მხარს უჭერს კიდე-ს ნაწილაკად გაგებას, თუ მიღებული იქნება პროექტის ნაკითხვა.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს ნაკითხვა. არ დაადგეს გზამდის კიდე (=გზამდევ კი არ მიატოვეს).

ს. შ.: მოყმემ უთხრა: „ჩემო ძმებო, კარგ ადამიანებს გადაგეყარეთ (მეგზვდით), მე თქვენს მეფეს ვეძებ, მასწაულეთ, თუ საით წაიღე, რამდენი ვიარო, როდის მივალ, ან გზა რა სიგრძისაა?“ მენავეები წინ გაუძღვნენ, გზამდევ კი არ მიატოვეს.

969 მოაწანეს: „ესე გზაა მულღაზანზარს მიმავალი,  
მუნ დავხუდების მეფე ჩუენი მშუოლდფიცხელი, მახუილჭრმალი,  
აქადაღმა ათ დღე მიხუალ ნაკუთად სარო, ფერად ლალი;  
და ვაჰ, რად დავუნუნენ, უცხომ უცხო რად მოგუიდევე ცუცხლებრ ალი!“

ა 961-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: დ ვაჰ (ვა).

გ. კარტოზია: დ-ში სწორი ჩანს ზოგი ხელნაწერისა და გამოცემის ნაკითხვა: უცხო სუცხო. ოლონდ ერთ სიტყვად უნდა გაეიგოთ. ტაეპის აზრია: ვაი, რატომ დაგვწვი, რატომ მოგვიდე უცხო სუცხო (=უცხოზე უცხო) ალი!

ა. ბარამიძისა და ს. ცაიშვილის აზრით, მხატვრულად უკეთესია ნაკითხვა უცხო სუცხო. ამასთან ამ ნაკითხვას ენობრივი დაბრკოლებაც არ ელოდება: მოთხრობითი გამარტივებული ფორმები პოემაში სხვაგანაც დასტურდება.

დაადგინეს: დარჩეს პროექტის ნაკითხვა (წინააღმდეგი – გ. კარტოზია).

ს. შ.: უთხრეს: „ეს გზაა, მულღაზანზარში რომ მიდის, იქ დაგხვდება მშვილდმაგარი და ბასრბლანი ჩვენი მეფე, აქედან ათ დღეს ივლი შენ, აღნაგობით სარო (კვიპაროსი) და ფერად ლალი, ვაი, რატომ დაგვწვი, უცხოში ცეცხლივით რატომ მოგვიდე უცხო ალი!“

970 ყმაძან უთხრა: „მიკურს, ძმანო, რად ხართ ჩემთვის გულმოკლულნი, ანუ ეგრე ერთ გავუთნეს ზამთრის ვარდნი ფერნაკულნი!  
თქვენცა მაშინ გენახენით, ლაღნი ესხედით, არ საპყრულნი!  
და ჩვენნი მჭურვტნი დავაშუენნით, ჩვენგან სხდიან მზიარულნი“,

ს. შ.: 962-თან შედარებით პროექტში ცვლილება: გ. ვსხედით (ვდეგით). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მოყმემ უთხრა: „მიკურს, ძმებო, რატომ ხართ ჩემ გამო გულმოკლულები, ან ასე როგორ მოგეწონათ ზამთარში ფერდაკარგული ვარდი (=ჩემი ფერნაკულნი სახე)! თქვენ მაშინ უნდა გენახეთ, როცა გალაღებული ვისხედით, არა დასაპყრებული ჩვენ მჭურვტელებს ვამშვენებდით, ჩვენ გამო მზიარულად იხსდნენ“.

## 1978. 16. VI

სხდომას დაესწრნენ: ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს: 971–973 (პროექტი მოამზადა II უჯრუდმა).

971 იგი ნაოდეს; დაბრუნდა ყმა გზასა თავისწინასა,  
ვისი შგავს ტანი საროსა და ვისი გული – რკინასა;  
მაცურვებს და მოუბნობს, მოსთქუამს მისავე ლხინასა,  
და წარგისნი ქუხან, ცრემლსა სწუიშს, ჩარცხის ბროლსა და მინასა.

ს. შ.: 962-თან შედარებით პროექტში ცვლილება: დ სწუიშს (წვიმს).

გ. კარტოზია: წვიმს ზმნა, რომელიც წარმოშობით უსუბიექტოა, რუსთველის დროისათვის ორპირიან ზმნად არის ქცეული (მდრ. „ვტ“-შივე, აეთანდილ მალვით ცრემლსა სწუიშს, 1241). შესაბამისად, ობიექტის ნიშანიც წარმოდგენილია ხელნაწერთა დიდ ნაწილში.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს ნაკითხვა ცრემლსა სწუიშს (წინააღმდეგი – ი. გიგინეიშვილი).

ს. შ.: ისინი ნაოდენენ; დაბრუნდა თავის (მარტო საველ) გზაზე მოყმე, რომლის ტანი საროს (კვიპაროსს) შგავს და გული – რკინას; ცხენს მაცურვებს (რონინით მიჰყავს) და თან მილაპარაკობს, თავის სიხარულზე (ლხენის მომნიჭებელზე) მოთქვამს, წარგიზები (თვალეები) ქუხან, (აეთანდილი) ცრემლს ღვრის, რეცხავს ბროლსა და მინანქარს (=პირისახეს).

872 ვინცა გზას ნახნის უცხონი, მსახურებდიან კემობდიან,  
მოეხუნენიან საჭურეტლად, მას ზედა სტრფიალობდიან,  
ეძნელეზოდის გაშუება, გაყრასა ძლიე დასთმობდიან,  
და გზის ყოლაუზი მისციან, კკითხის რა, უამობობდიან.

უ 944-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ვისაც ნახავდა გზაზე უცხოებს, ემსახურებოდნენ, ყმად უხდებოდნენ,  
საჭურეტლად შემოეხვეოდნენ, შესტრფოდნენ, ეძნელეზოდით გაშუება, გაყრას ძნელად  
ითმენდნენ, მეგ ზურს (გზის გამყოლს) აძლევენდენ, რასაც კკითხავდა, ეტყოდნენ.

973 მულდაზანზარს მიეახლა, ადრე დალეს გზასა გრძელსა,  
მინდორს ნახა სპა, ლაშქართა და ნადირთა პევანდეს მსურველსა,  
ყოველნით ალყა შემოეკრა, მოსდგომოდეს გარე ველსა,  
და ისრიან და იზახიან, შვეცსა სჭირან ვითა მჭელსა.

უ 965-თან შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: სპა, ლაშქართა (სპა  
ლაშქართა); ისრიან (ისვრიან);

გ. კარტოზიამ აღნიშნა, რომ პროექტში გაზიარებულია ბ-ს ნ. ნათაძისული  
ნაკითხვა და გაგება.

პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მულდაზანზარს მიეახლოვდა, სწრაფად გალია გრძელი გზა; მინდორში  
დაინახა ჯარისკაცები, ლაშქარს (ჯარს) და ნადირთა მხოცველთ პევანდენ  
(=ეტყოზოდით, ბევრნი იყენენ და ნადირობდნენ), ყოველი მზრიდან ალყა შემოეტყათ,  
გარს შემოსდგომოდნენ ველს, ისვრიან (ისრებს) და გაკყოიან, ნადირს ჭრიან (აფენენ)  
ხელეურებივით.

## 1978. 23. VI

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე,  
ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს: 974—979 (პროექტი მოამზადა II ჯგუფმა).

974 კაცი ემთხვია; მას კკითხა ამბავი მის ლაშქარისა,  
უბრძანა: „ისი ვისია ჳმა ზათქისა და ზარისა?“  
მან უთხრა: „ფრიდონ ჳელმნიფე, მეფე მულდაზანზარისა,  
და იგი ნადირობს, შეუკრავს ნაპირი ველ-შამზარისა“.

უ 966-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: კაცი შემთხვავდა; მას კკითხა იმ ლაშქრის ამბავი, უთხრა: „ვისია ის ზათქისა და  
ზარ-ზეიმის ხმა?“ მან უთხრა: „ხელმნიფე ფრიდონი, მულდაზანზარის მეფე, ნადირობს,  
ველ-შამზარისთვის ალყა შემოურტყავს“.

975 მათ ლაშქართაკენ ნავიდა მით უსახოთა ქცევითა,  
გამზიარულდა; შუენება მის ყმისა ვთქუიმცა მე ვითა!  
მისთა გამყრელთა დააზრობს, შემყრელთა დასწუავს შუე ვითა,  
და ნახვა მჭურეტელთა ახელებს, ტანი ლურნამობს რხევითა.

უ 967-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ა ლაშქართაკენ (ლაშქართაკე).

გ. კარტოზია: დ-ში რხევითა მხოლოდ D<sup>2</sup>-ში იკითხება. ხელნაწერთა უმრავლესობაში ხევითა (=ხე ვითა) გვაქვს, რაც მეორედბოდა გამოცემებში 1937 წლამდე. ტანი ლერწამობს ხე ვითა შინაარსობრივად არ ვარგა; ამასთან სტროფში ტაეტოლოგიურ რითმას აქვს ადგილი (მზე ვითა – ხე ვითა).

ი. გიგინეიშვილსაც მიაჩნია, რომ ნაკითხვას – ტანი ლერწამობს ხე ვითა – შინაარსობრივად დაბრკოლება ახლავს.

რედაქციის სხვა წევრები (ა. ბარამიძე, ც. კიკვიძე, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური), ფიქრობენ, რომ ამგვარი ნაკითხვა შინაარსობრივად დამაკმაყოფილებელია. ნახევარტაუპის აზრია: ტანი ირხევა ლერწამით როგორც ხე (ა. ბარამიძე, შ. ძიძიგური) ან: ტანი ლერწამობს (კენარობს) როგორც ხე (ს. ცაიშვილი, ც. კიკვიძე). რაც შეეხება ვითა-ს განმეორებას ტაეპების ბოლოს, ეს ტაეტოლოგიურ რითმად არ ჩაითვლება.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს ნაკითხვა: ტანი ლერწამობს ხე ვითა.

ს. შ.: იმ ლაშქრისკენ წავიდა უმაგალითო (შეუდარებელი) ქცევით, გამზიარულდა; იმ ყმის მშვენიერებას როგორ გამოეთქვამი მისგან განშორებულებს (გაყრილებს) დააზრობს, შეყრილებს (კი) დანევაეს მზესავით; (მისი) ნახვა მჭვრეტელებს ახელებს, ტანი ირხევა ლერწამით, როგორც ხე.

976 მათ ლაშქართა ყოლბსა შუა ორბი სითმე გარდმოფრინდა;

ყმაძან ცხენი შუუტია, გაამაყდა, არ შუშინდა,  
შესტყორცა და ჩამოაგდო, დაეცა და სისხლი სდინდა,

და გარდაჯდა და ფრთენი დასჭრნა, წყნარად შეეჯდა, არ აქშინდა.

უ 968-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: იმ ლაშქრის შუა (ალყის შუაგულში) საიდანღაც ორბი გადმოფრინდა; მოყმემ (აჟთანდილმა) ცხენი შუუტია, ამაყად ნაეიდა, არ შუშინდა, ესროლა (ისარი) და ჩამოაგდო, (ორბი) დაეცა და სისხლი სდინდა, ჩამოხდა (ცხენიდან) და ფრთები დააჭრა, აუქრებულად შეეჯდა, ქმენა არ დაუნყია.

ი. გიგინეიშვილსა და გ. კარტოზიას მიაჩნიათ, რომ ორბი აქ არნივს ნიშნავს და თარგმანში ეს უნდა აისახოს.

ა. ბარამიძე და ს. ცაიშვილი ფიქრობენ, რომ ორბი და არნივი „ვტ“-ში სხვადასხვა ფრინველია.

ი. გიგინეიშვილის აზრით, სისხლი სდინდა = სისხლი გადმოსდინოდა.

977 იგი რა ნახეს, მესროლნი სროლასა მოეშლებოდეს,

ალყა დაშალეს, მოვიდეს, მოხსუნდეს, ბნდებოდეს,  
იქით და აქათ უელიდეს, ზოგნი უკანა ჰყვებოდეს,

და ვერცა ჰკადრებდეს: „ეინ ხარო“, ვერცა რას უუბნებოდეს.

უ 969-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

დ-ში შეიცვალა პუნქტუაცია: ვერცა ჰკადრებდეს, „ეინ ხარო“, პროექტი ამ ცვლილებით მიღებულ იქნა.

ს. შ.: ის რომ დაინახეს, მსროლელებმა (ისრის) სროლა შეწყვიტეს, ალყა მოშალეს, (ახლოს) მოვიდნენ, ეხეოდნენ, იბნიდებოდნენ, გარშემო უელიდნენ, ზოგნი უკან მიჰყვებოდნენ, ვერც (კითხვას) უბედავდნენ. „ეინ ხარო“, ვერც ვერაფერს უუბნებოდნენ.

978 მინდორსა შიგან გორი დგა, ფრიდონ მას ზედა დგებოდა;

ღორსი მას თანა სროლასა ორმოცი კაცი ხლებოდა;

მუნ დაემართა აეთანდილ, მას თანა ყოლბი ჰყვებოდა.

და ფრიდონს უკვირდა: „რა ქნესო“, მისთა საათათუთის წყრებოდა.

უ 970-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ა. ბარამიძისა და ს. ცაიშვილის წინადადებით პირველ ტაეპში შიგან შეიცვალა შუა-თი. დ-ში შეიცვალა პუნქტუაცია: ფრიდონს უკვირდა, „რა ქნესო“...

ს. შ.: მინდერის შუაში (შუაგულში) მალლობი იყო, ფრიდონი მასზე იდგა; მასთან სროლის ღირსი ორმოცი კაცი ახლდა; იქით გაემართა აეთანდილი, მას მოალყენი თან მიჰყვებოდნენ. ფრიდონს უკვირდა, „რა ქნესო“, თავის მოლაშქრებზე წყრებოდა.

979 ფრიდონ მონა გამოგზავნა: „ნა, ნახუნო ისი სპანი, რა ქნეს, ალყა რად დამალეს, სად ნადიან ვითა ბრმანი?“ მონა ფიცხლა მოეგება, ნახა სარო, მორჩი ტანი,

და დადგა, თუალნი გაურეტდეს, დაავიწყდეს სიტყუის თქმანი.

უ 971-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ფრიდონმა მონა გამოგზავნა: „ნადი, ის მოლაშქრენი (შეომრები) ნახეო, რა ქნეს, ალყა რად მოშალეს, სად მიდიან როგორც ბრმები?“ მონა სწრაფად მოეგება (აეთანდილს), იხილა სარო, ახალაყრილი ტანი, დადგა თვალები გაუშტერდა, სიტყუის თქმა დაავიწყდა.

## 1978. 30. VI

სხდომას დაესწრნენ: ი. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც.კიციანი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს: 980–982 (პროექტი მოამზადა II ვგუფმა); 983 (პროექტი მოამზადა III ვგუფმა).

980 აეთანდილ ცნა, თუ: „ისია მოამბედ ჩემად რებული“.

უთხრა: „არქუი შენს პატრონსა ეს ჩემი დავედრებული: ვარ უცხო ვინმე ღარიბი, საყოფთა მოშორებული,

და ძმადფიცი ტარიელისი, თქუნეს ნინა მომგზავრებული“.

უ 972-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: „ისია მოამბედ ჩემად რებული“. უთხრა: „არქუი შენს პატრონსა...“ („ისია მოამბედ ჩემად რებული. – ნა, ჰკადრე შენსა პატრონსა...“).

პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: აეთანდილი მიხვდა, რომ ის (კაცი) მასთან ამბის გასაგებად იყო წამოსული. უთხრა „მოახსენე (უთხარი) შენს პატრონს ეს ჩემი დაბარებული: ვარ უცხო მოგზაური, საცხოვრებელს (სამშობლოს) მოშორებული, ტარიელის ძმადნაფიცი, თქვენთან გამომგზავრებული“.

981 მონა ნაჲიდა ფრიდონის თხრობად ამბისა მისისად,

უთხრა: „მზე ვნახე მოსრული, ჩანს მანათობლად დღისისად;

ვაზრობ, იგიცა დაშმაგდენ, თუ ბრძენთა ნახონ ისი სად;

და „ვარ ძმაო ტარიელისი შეყრად ფრიდონის მქისისად“.

უ 973-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.



ი. გიგინეიშვილი: დ-ში უნდა მივიღოთ ზოგიერთი ხელნაწერის ნაკითხვა: ვარო ძმა ტარიელისი. სხვათა სიტყვის -ო ნაწილაკით საზღვრულისა და მსაზღვრულის გათიშვა (ძმა-ო ტარიელისი) არ არის მოსალოდნელი.

გ. კარტოზია: „ვტ“-ის ენისათვის დამახასიათებელია სხვათა სიტყვის-ო ნაწილაკის „წვეულო“ პოზიციამი დასმა. ამიტომ ძმაო ტარიელისი მოულოდნელი შესიტყვება არ არის. ანგარიში უნდა გაეწიოს ხელნაწერთა ჩვენებასაც.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს ნაკითხვა: ვარო ძმა ტარიელისი (წინააღმდეგი - გ. კარტოზია).

ს. შ.: მონა წავიდა ფრიდონისათვის მისი (ავთანდილის) ამბის სათქმელად, უთხრა: „მზე ვნახე მოსული, დღის მანათობლად ჩანს; ვფიქრობ, ბრძენნიც გამაგადებინ, თუ სადმე ნახავენ მას; ტარიელის ძმა ვარო, მკაცრი ფრიდონის შესახვედრად (მოსული)“.

982 რა „ტარიელ“ მოისმინა, ფრიდონს ჭირი უსუბუქდა,  
თუალთა ცრემლნი გადმოსცუთედეს, გული უფრო აუწუქდა,  
მონაქოლმან ვარდი დაზრა, ნამნამთაგან ბუქი ბუქდა;

და შეიყარნეს, ერთმანეთი მათგან იქო, არ გაუქდა.

უ 974-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ტარიელის სახელი რომ გაიგონა, ფრიდონს ჭირი შეუშუბუქდა, თვალებიდან ცრემლები გადმოსცივდა, გული უფრო აუწუქდა, ნამნამებიდან ბუქი ავარდა, ნამონაქოლმა (ქარმა) ვარდი (=სახე) დააზრო; შეიყარნენ, ერთმანეთი შეაქეს, ერთმანეთი შეუქებელი არ დაუტოვებიათ.

983 ფიცხლა იგი ქედი ჩაელო, ჩაეგება ფრიდონ წინა;  
რა შეხედნა, მან ესე თქვა: „თუ არ მზეო, ისი ვინა?“  
მას მეტობდა, რაცა ქება მონისაგან მოესმინა;

და ერთმანეთსა გარდაუქდესა, ლხინმან ცრემლი აფრქვევინა.

უ 975-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა. (მოგვიანებით ბ-ში ვინ-ა დაინერა დეფისით).

რედაქციის ნევრებმა ყურადღება მიაქციეს იმას, რომ ბ-ს პროექტისეული ნაკითხვა ხელნაწერთა მცირე ჯგუფში (D რედაქციის ნუსხებში) დასტურდება. ხელნაწერთა უმრავლესობაში (აგრეთვე რიგ გამოცემებში) გვაქვს: რა შეხედნა, ესე თქვა: თუ „არ მზეო, ისი ვინა?“ S გამოცემის ნაკითხვა – რა შეხედნა, ესე თქვა, თუ: „თუ არ მზეო, ისი ვინა“ – კონიექტურაა. ასევე კონიექტურას წარმოადგენს ი. გიგინეიშვილის მიერ შემოთავაზებული ნაკითხვა: რა შეხედნა ესე თქვა, თუ: „თუ არ მზეო, ისი ვინა?“.

ს. შ.: ფრიდონმა სწრაფად ჩაიარა ის ქედი, წინ მიეგება; რომ შეხედა, მან (ფრიდონმა) ეს თქვა: „თუ არა მზე, მამ ვინ არის იგი?“ (ავთანდილი) იმას აღემატებოდა, რა ქებაც მონისაგან მოესმინა (ფრიდონს); ერთმანეთის შესახვედრად ცხენებიდან ჩამოხტნენ, სიხარულმა ცრემლები აფრქვევინა (ორივეს).

## 1978. 8. IX

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიციძე, ე. მეტრეველი, შ. ძიძიგური.

განიხილეს: 984–990 (პროექტი მოამზადა III ჯგუფმა).

984 მოგზიუნეს ერთმანერთსა, უცხოობით არ დარიდონ;  
თუთი უსახოდ ფრიდონს ყმა და მოუნონა ყმასა ფრიდონ;  
რა მჭურეტელთა იგი ნახონ, მზე მათთანა გააფლიდონ,  
და მომკალ, ბაზარს სხუა მათებრი ივაჭრონ რა ანუ ყიდონ.

უ 976-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა. მოგვიანებით დ-ში ანუ-ს წინ დაისვა მძიმე.

ს. შ.: ერთმანეთს მოგვივენენ, უცხოობის გამო არ მოერიდებიან; ფრიდონს მეტისმეტად (უმაგალითოდ) მოუნონა მოყმე და მოყმეს – ფრიდონი; მჭურეტელებმა რომ ისინი ნახონ, მზეს მათთან შედარებით არაფრად ჩაადებენ, მომკალი (თუ) ბაზარში სხუა მათი მსგავსი იყიდონ რაზე ან გაყიდონ.

985 ფრიდონისებრი მოყმენი ვინმეცა ვით ვინ ეგებიან!  
მაგრა მას ახლვან ქებანი, მართ მეტნი არ მოხუდებიან;  
მზე უჩინო იქს მნათობთა, რა ახლოს შეიყრებიან,  
და დღისით ვერ ნათობს სანთელი და ღამით შუენი ჰკრთებიან.

უ 877-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: გ იქს (იქმს).

გ. კარტოზია: ა-ში მეორდება ვინ (ვინმეცა... ვინ). ორივე შემთხვევაში კითხვითი ნაცვალსახელის მნიშვნელობით იხმარება. შეუძლებელია ერთ-ერთი მათგანი ზმნისართად (ძვ. ქართ. ვინაჲ = საიდან) გავიგოთ. ამიტომ მეორე ვინ მძიმეებით უნდა გამოიყვით: ვინმეცა ვით, ვინ, ეგებიან!

ი. გიგინეიშვილი: ტაეპში ორივე ვინ მართლაც ერთი და იმავე მნიშვნელობისა ჩანს. ამიტომ ვინ ნაცვალსახელის განმეორება პუნქტუაციით უნდა აისახოს. ოღონდ ორი მძიმე საჭირო არ არის, ერთიც საკმარისია: ვინმეცა ვით, ვინ ეგებიან.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს ნაკითხვა: ვინმეცა ვით, ვინ ეგებიან.

ი. გიგინეიშვილი: დ-ში უნდა მივიღოთ ზმნის ერთპირიანი ფორმა: კრთებიან. ტაეპის აზრია დღისით ვერ ანათებს სანთელი, ღამით კი შუეი კრთის (ჩანს).

ე. მეტრეველსაც უმჯობესად მიაჩნია კრთებიან ფორმა.

ც. კიკვიძემ, ა. ბარამიძემ, გ. კარტოზიამ აღნიშნეს, რომ აქ სანთლის შუეზეა ლაპარაკი და ამიტომ სწორია ორპირიანი ჰკრთებიან.

დაადგინეს: დარჩეს ნაკითხვა ჰკრთებიან. (წინააღმდეგნი – ი. გიგინეიშვილი, ე. მეტრეველი). მოგვიანებით გ-ში უჩინოიქს დაინერა შენწყმულად.

ს. შ.: ფრიდონისთანა მოყმე ვინ და როგორ, ვინ იქნება! მაგრამ მას (ავთანდილს) რომ აქებენ, ამაზე მეტი აღარ შეიძლება; მზე აუჩინარებს მნათობებს, ახლოს რომ შეიყრებიან, დღისით ვერ ანათებს სანთელი, ღამით კი შუეი გამოჰკრთის (მას).

986 ცხენთა შესხდეს, გაემართნეს, ფრიდონისსა მივლენ სრასა.

დაიშალა ნადირობა, მოეშალნეს მვეცთა სრვასა;

ავთანდილის ჭურჭტად სპანი იქით-აქათ იქმან ჯრასა,

და თქუეს: „ასეთი ჯორციელი შუუქმნია, ნეტარ, რასა?“

უ 978-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ი. გიგინეიშვილი: ბ-ს სარითომო სიტყვად ზოგ ხელნაწერშია სურასა, რაც უფრო მართებული ფორმა ჩანს. რითმა ადასტურებს, რომ „ვტ“-ის ენაში დასაშვებია ვ-გადასებული ფორმებიც, ე.ი. უკვე რუსთაველისდროინდელ ქართულში ადგილი ჰქონდა ვ-ს მეტათეზის სწორ თანხმოვნებთან.

ვ. კიკვიძე: „გტ“-ში არაიდენტური რითმის მსგავსი შემთხვევები სხვაც დასტურდება. ამასთან საყურადღებოა, რომ ხელნაწერთა უმრავლესობა ძველ (ვ-გადაუსმელ) ფორმას უჭერს მხარს. ვფიქრობ, გასწორების მიღებისათვის საკმაო საფუძველი არ არსებობს.

ე. მეტრეველი: ზოგიერთი ძველი ხელნაწერის ( $A^2A^B$ ) ჩვენება სურსასა ფორმის სასარგებლოდ მეტყველებს და ეს უთუოდ ანგარიშგასანევი ფაქტია.

გ. კარტოზია: მოუხედავად შედარებითი სიძველისა, ეს ხელნაწერები მაინც გვიანდელი ხანის ენობრივი ნორმების გაუღენას განიცდიან. ამიტომ მათი ჩვენება არგუმენტად არ გამოდგება. მეორე მხრივ, არ არის შემთხვევითი, რომ გვიანდელი ხელნაწერები მაინც ადრინდელ ფორმას იცავენ.

ი. გიგინეიშვილი: არ არის გამორიცხული, რომ ეს ძველი ფორმა მნიგნობარ გადამწერთა მიერ იყოს აღდგენილი. ცნობილია, რომ მე-19 საუკუნეშიც იცავდნენ ძველ ენობრივ ნორმებს და აარქულებდნენ ტექსტს.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს ნაკითხვა სურსასა (წინააღმდეგნი - ვ. კიკვიძე, გ. კარტოზია).

ს. შ.: ცხენებზე შესხდნენ, გაემართნენ, ფრიდონის სასახლეში მიდიან. დაიშალა ნადირობა. თავი დაანებეს მხეცების ხოცვას: ავთანდილის საცქერლად მეომრები იქითა-აქედან ჯგუფ-ჯგუფად მოედინებიან, თქვეს: „ასეთი ხორციელი, ნეტავ, რას შეუქმნია?“

987 ყმა ფრიდონს ეტყუის: „ისწრაფვი, ვიცი, ამბისა თბრობასა,  
გიაშბო, ვინ ვარ, სით მივალ, ვინათვან ლამი ცნობასა,  
ანუ სით ვიცნობ ტარიელს, ანუ რად ვიტყუი ძმობასა,  
და იგი ძმად მიჭმობს, ძმა ხარო, თუცა ძლეუ ღირს ვარ ყმობასა.

უ 979-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მოყმე (ავთანდილი) ფრიდონს უუბნება: „ვიცი, ჩქარობ, რომ ამბავი მოგიხსნო, რადგანაც ცდილობ (ამბის) გაგებას, გიაშბობ, ვინ ვარ, საიდან მოვდივარ, ან საიდან ვიცნობ ტარიელს, ან რატომ ვამბობ (მის) ძმობას, ის ძმას მიწოდებს, ძმა ხარო, თუმცა ძლივსა ვარ (მისი) ყმობის ღირსი.

988 მე ვარ ყმა როსტან მეფისა, მოყმე არაბეთს ზრდილობით,  
დიდი სპასპეტი, სახელად მიჭმობენ ავთანდილობით,  
ძე დიდებულთა დიდგურთა, ზრდილი მეფეთა შვილობით,  
და საურძალავი და უკადრი, მყოფი არვისგან ცილობით.

უ 980-თან შედარებით პროექტი ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მე ვარ როსტევეან მეფის ყმა, არაბეთში გაზრდილი მოყმე, დიდი სარდალი, სახელად ავთანდილს მიწოდებენ, მემკვიდრე დიდგვაროვან დიდებულთა, მეფის შვილივით გაზრდილი, ვარ მოსარიდებელი და ამაყი, ვერაინ მიწვეს წინააღმდეგობას.

989 დღესა ერთსა მეფე შეუგდა, ნადირობას გამოვიდა;  
მინდორს ენახთ ტარიელი, ცრემლთა ღურიდა, ველთა რწყვიდა,  
გაგვიკურდა, გუწუცხოვა, ვანუიეთ და არ მოვიდა,  
და ჩვენ გუწყინა, არ ვიცოდით, მას თუ ცეცხლი რაგურა სწუდა.

უ 981-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ერთ დღეს მეფე შეუგდა (ცხენზე) და გამოვიდა სანადიროდ; მინდორში ენახეთ ტარიელი, ცრემლებს ღვრიდა, ველს რწყავდა (ცრემლებით), გაგვიკვირდა, გუწუცხოვა, მოწყინეთ და არ მოვიდა, ჩვენ გუწყინა, არ ვიცოდით, მას თუ როგორ წავადა ცეცხლი.

**990** მეფემან სპანი შეპყრობად შეუზახნა და წყრებოდა;  
მან უჭირველად დაჯოცნა, ომი არ მისჭირდებოდა,  
ზოგსა მწარ-თედო დალენა და ზოგსა სული ქვდებოდა;  
და მუნლა ცნეს, ეტლი მოუარისა რომე არ დაბრუნდებოდა.

უ 892-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: გ ჰხდებოდა (ხდებოდა).

ი. გიგინეიშვილი: დალენა ორპირიანი ფორმაა. საჭიროა სამპირიანი დაქლენა.

რედაქციის წევრებმა აღნიშნეს, რომ დალენა აქ სამპირიან ზმნად არის გაგებული, მაგრამ **ოვ ჰ** არ არის სონორი ლ თანხმოვნის წინ, ისევე როგოც სხვაგან პოემის ტექსტში.

დაადგინეს: დარჩეს წაკითხვა დალენა (წინააღმდეგი – ი. გიგინეიშვილი).

ს. შ.: მეფემ (მის) შესაპყრობად მეომრები მოუსია და წყრებოდა; მან ადვილად დახოცა (ისინი), ბრძოლა არ უჭირდა, ზოგს მწარ-თედო დაულენა, ზოგს კი სული ხდებოდა; მაშინლა გაიგეს, რომ მთვარის ეტლი არ დაბრუნდებოდა (ბედი არ შეტრიალდებოდა).

## 1978. 15 .IX

სხდომას დაესწრნენ: ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი.  
განიხილეს: 991–993 (პროექტი მოამზადა III უჯრუფმა).

**991** მათ სპათაგან ვერშეპყრობა ცნეს მეფეთა მეტად მწყრალთა,  
თუთი შესხდეს და შეუტყეს ამაყთა და არას მკრთალთა.  
რა ტარიელ მეფე იცნა, მუნლა დაქრთა მათთა წრმალთა,  
და ცხენსა მისცნა სადავენი, დაგუჯარგა წინა თუალთა.

უ 983-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის, პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: იმ მეომრების მიერ (ტარიელის) ვერშეპყრობა გაიგო მეტად გამწყრალმა მეფემ, თვითონ ამხედრდა და შეუტყია ამაყმა და არაფრის მოშიშარმა. ტარიელმა რომ მეფე შეიცნო, მაშინლა გაერიდა მის ხმალს, ცხენს სადავე მოუშვა და თვალთაგან დაგუჯარგა (თვალწინ გაგვიქრა).

**992** ვეძბნეთ და კუალი ვერ ეპოვეთ, დაესნამეთ ეშმეურობა.  
მეფე დაჭმუნდა, დაშალა სმა, ნადიმობა, პურობა.  
მე ველარ გავსტელ მისისა ამბისა არდასტურობა,  
და გამოვიპარე საძებრად: მწუთა ცეცხლი და მურობა.

უ 984-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ვეძბნეთ და კვალი ვერ ვიპოვეთ, დაგნამეთ ავსულობა. მეფე დანადვლიანდა, მიატოვა ლხინი, ნადიმობა, პურობა. მე ველარ მოვითმინე მისი (ტარიელის) ნამდვილი ამბის უცოდინარობა, გამოვიპარე მის საძებრად, მწვედა ცეცხლი და აღმური.

**993** იგი ვეძბნე წელსა სამსა, არ ვიამე არცა ძილი.  
მათ მასნავლეს, ხატაელნი ვნახენ მისგან დაკოდლი;  
ვპოვე ვარდი მოყუთიანო, შექმკრთალი და ფერმიჭდილი.  
და შემიტკბო და შემიყუარა, ვითა ძმა და ვითა შვილი.

უ 985-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

რედაქციის წევრებმა ყურადღება მიაქციეს იმას, რომ ბ-ში რითმის გამო გამათკბილებული ნორმაა დარღვეული: ხატაელნი ვნახენ დაკოდლი (უნდა იყოს.

დაკოდირონ). პროექტი მიღებულ იქნა, ოღონდ გ-ში მოყუთანო შეიცვალა მოყუთანე ფორმით.

ს. შ.: სამ ნელინადს ვებზე ის, ტკბილად არ მიძინია (ძილიც ვერ ვიამე). მისგან დაჭრილი ხატაელები ვნახე და მათ მიმასწავლეს (ტარიელის გზა-კვალი); ვაპოვე მოყვითალო შუქგამკრთალი და ფერმიხდილი ვარდი (=ტარიელი), შემიტკბო და შემიყვარა, როგორც ძმა და როგორც შვილი.

## 1978. 22. IX

სდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ს. ცაიშვილი.

განიხილეს: 994 (პროექტი მოამზადა III ჯგუფმა); 995–998,3 (პროექტი მოამზადა II ჯგუფმა).

**994** ქუბანი ნაუხმენ დევთათუის, სრულად გამესისხლება;  
მუნ ასმათ ახლავს მარტოსა, სხუა არეინ უახლებია;  
მას მუდამ ტუელი ცეცხლი სწუავს, არახალ-არახლებია,  
და ვაჲ მართებს მისა გაყრილსა, შავი ხლა თავსა ხლებია.

II 986-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: გ. არახალ-არახლებია (არ ახალ, არ ახლებია), დ ვაჲ (ვა).

ც. კიკვიძე: გ-ში დატოვებულია ტრადიციული (ხელნაერთა დიდ ნაწილში და ბოლო დროის რიგ გამოცემაში წარმოდგენილი) ნაკითხვა გარკვეული კორექტივით: არახალ-არახლებია კომპოზიტად არის მიჩნეული (შდრ. Z-ის ნაკითხვა: არ ახალ, არ ახლებია). A<sup>4</sup>-ის ნაკითხვა – არა ახალი ხლებია, რომელიც პირვანდელ ნაკითხვად მიაჩნია ი. გიგინეიშვილს, ტექსტის სწორების შედეგი ჩანს, არა ახალი ხლებია მეტად ნათელი, გასაგები ფრაზა და მისი გადაკეთების საფუძველი გაუგებარია.

ი. გიგინეიშვილი: გადაკეთების საფუძველი, ალბათ, ტავტოლოგიური რითმის აცილების სურვილი იყო. დ-ს ხლებია გაგებული პქონდათ, როგორც ახლავს ზმნის ფორმა, მაშინ როცა აქ გვაქვს ხლა (=შავი მანდილი) სახელიდან ნაწარმოები ზმნური ფორმა.

გ. კარტოზია: არახალ-არახლები ისევეა ნაწარმოები, როგორც ახალ-ახლები (ცეცხლი სწუავს ახალ-ახლები, 687<sub>ა</sub>) და სავეებით გასაგები და კონტექსტისათვის შესაფერი სიტყვაა.

ს. ცაიშვილი: პროექტის ნაკითხვა უკეთესია გრადაციის თვალსაზრისითაც: ძველი, არახალ-არახალი ცეცხლი. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ A<sup>4</sup>-ის ნაკითხვა (არა ახალი ხლებია) ტავტოლოგიური რითმის აწენს სტროფში (უახლებია – ხლებია).

ა. ბარამიძე: ტაეპში მართლაც არა ახალ-ახალ ცეცხლზე უნდა იყოს ლაპარაკი. პროექტის ნაკითხვას მხარს ვუჭერ.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს წარმოდგენილი ნაკითხვა (წინააღმდეგი – ი. გიგინეიშვილი).

ს. შ.: გამოქვაბულები წაურთმევი დევებისათვის, მოსისხლედ მოპკიდებია მათ; იქ მარტო მყოფს ასმათი ახლავს, სხვა არეინ უახლებია; მას მუდამ ძველი ცეცხლი წუავს, არა ახალ-ახალი, ვაი მართებს, ვინც მას (ტარიელს) გაეყარა, შავი ხლა (მანდილი) მოხვევია თავზე.

**995** ქალი მარტო ქებასა შიგან ზის მტირალი, ცრემლნანთოში;  
ყმა ნადირსა უნადირებს, ლომის ლეკუსა ვითა ლომი,  
მიაართუამს და აგრე არჩენს იგი ერთგან ვერდამდგომი,  
და მისგან კიდე სანახავად არა უნდა კაცთა ტომი.

უ 987-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს.შ.: ქალი მარტოდმარტო ზის მტირალი, ცრემლნადენი, გამოქებაბულში; მოყმეს ნადირი (ნანადირევი) მიაქვს მისთვის, როგორც ლომს თავისი ლეკვისთვის, მიაართმევს ხოლმე და ასე არჩენს ის, ერთ ადგილზე დაუდგომელი, მის გარდა დასახავად არაიენ უნდა ადამიანის ტომისა.

**996** მე უცხოს უცხო მანატრა მოსმენა სანატრელისა,  
მიოხრა ამბავი მისი და მისისა სასურველისა.  
რა ჭირნი დასთმნა, ვერ იტყვის ან ენა ესე ხელისა,  
და ჰკლავს სურვილი და ვერჭურება მისისა დამმარხველისა.

უ 988-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

გ. კარტოზია: პროექტში ცვლილება არ შეგვიტანია, მაგრამ ვფიქრობ, ა ასე უნდა იკითხებოდეს: მე უცხოს უცხოს მანატრა მოსმენა სანატრელისა (=მე სრულიად უცხოს [უცნობს] მალირსა სანატრელი [ამბის] მოსმენა).

ა. ბარამიძე: არა, აქ უცხო ამბავზეა საუბარი. ამიტომ უცხოს უცხო ორ სიტყვად უნდა ნაიკითხოთ.

ი. გიგინეიშვილის წინადადებით უცხოს, როგორც დანართი, გამოიყო მძიმებით: მე, უცხოს, უცხო მანატრა მოსმენა სანატრელისა.

გ. კარტოზიას აზრით, თუ უცხოს უცხო ორ სიტყვად დარჩება, სტრიქონში საჭირო გახდება დამატებითი პუნქტუაციური ცვლილების შეტანა: მე, უცხოს, უცხო მანატრა – მოსმენა სანატრელისა.

ი. გიგინეიშვილი: ა-ს აზრია: მე, უცხოს, უცხო და სანატრელი (ამბის) მოსმენა მალირსა. უცხო რომ ნათესაობითის ფორმით არ არის წარმოდგენილი, ეს დაბრკოლებად არ ჩაითვლება.

ც. კიკვიძე და ს. ცაიშვილიც ეთანხმებიან ტაეპის ამგვარ გააზრებას.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს ნაიკითხვა: მე, უცხოს, უცხო მანატრა მოსმენა სანატრელისა (=მე, უცხოს [უცნობს], მალირსა უცხო, სანატრელი [ამბის] მოსმენა). წინააღმდეგი – გ. კარტოზია.

ს. შ.: მე, უცხოს (უცნობს), მალირსა უცხო, სანატრელი (ამბის) მოსმენა, მიოხრა თავისი და თავისი მიჯნურის ამბავი, რა ჭირიც მოითმინა, ახლა ვერ იტყვის ეს ენა გახელბულისა (ე.ი. ვერ ვიტყვი მე, გახელბული), კლავს თავისი დამმარხველის (უძვირფასესი ადამიანის) სიყვარული და უნახაობა.

ა. ბარამიძის აზრით, უცხოს = უცხოელს.

**997** ვითა მთუარე დაუდგომლად იარების, არ დადგების;  
მასც ეცხენსა შენულსა ზის, აროდეს გარდაჭდების;  
არას ნახავს პირმეტყუელსა, ვით ნადირი კაცთა ჰკრთების.

და ვამ მე, მისსა მგონებელსა, ვამ მას, ვინცა მისთვის კუდების!

უ 989-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: დ ვამ (ვა [ორგანვე]).

ა. ბარამიძე: ზოგი ხელნაწერი გ-ში ნადირის ნაცვლად პირუტყვეს კითხულობს. ეს უკეთესი ნაკითხვაა. ტაეში ერთმანეთს უპირისპირდება პირმეტყველი და პირუტყვი: არას ნახავს პირმეტყველს, ვით პირუტყვი კაცთა პკრთების.

გ. კარტოზია: პირუტყვი მხოლოდ C რედაქციის ხელნაწერებში გვაქვს. დანარჩენ სამი რედაქციაში ნადირი იკითხება. შინაარსობრივად ნადირი სჯობია. ყველა პირუტყვი არ უკრთის კაცს. შდრ. სანუთო და სოფელს ყოფა, კაცი უწნსო ვით ნადირსა.

ი. გიგინეიშვილი: პირუტყვი უძველესი სიტყვაა და ცხოველის აღმნიშვნელი ზოგადი სახელია. უპირატესობა მას უნდა მიეცეს.

ს. ცაიშვილი: სიმპტომატურია, რომ პოემაში სხვა ადგილას კაცი და ნადირი უპირისპირდება ერთმანეთს (კაცი უწნსო ვით ნადირსა).

ც. კიკიძე: კაცისა და ნადირის ამგვარი დაპირისპირება სხვა ძეგლებშიც დასტურდება (მაგ., „მამათა სწავლანი“ და სხვ.).

ა. ბარამიძე: მით უფრო საგულებელია, რომ, თუ პირვანდელი ნაკითხვა ნადირი იყო, იგი არ გადაკეთდებოდა პირუტყვად.

გ. კარტოზია: ნადირი > პირუტყვი (ერთი ჯგუფის ხელნაწერებში) უქველად მეზობელი სიტყვის – პირმეტყველის – გავლენის შედეგია.

მომდევნო სხდომაზე (ნ. X. 78.) გაგრძელდა ამ ტაეპის განხილვა. შ. ძიძიგურმა აღნიშნა, რომ შინაარსობრივად აქ სწორედ პირუტყვი სჯობს. ცხოველი (გარეულიცა და შინაურიც) უფროხის ადამიანს. ამასთან მხატვრული თვალსაზრისითაც უკეთესია ტაეპში პირმეტყველისა და პირუტყვის მეზობლობა.

ე. მეტრეველის აზრით, საკითხის გარკვევისათვის გადაწყვეტიდა ხელნაწერთა ჩვენება, რაც ნადირ-სიტყვის სასარგებლოდ მეტყველებს.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს პროექტის ნაკითხვა (წინააღმდეგნი – ა. ბარამიძე,

ი. გიგინეიშვილი, შ. ძიძიგური).

ს. შ.: როგორც მთავრე შეუწერებლად მოძრაობს, არ ჩერდება; იმ შენეულ ცხენზევე ზის, არასოდეს ჩამოდის (ცხენიდან); მეტყველს არავის ნახულობს, ადამიანებს ერიდება როგორც ნადირი. ვაი მე, მასზე ფიქრით შეჰყრობილს, ვაი მას, ვინც მისთვის კვდება!

998 მის ყმისა ცეცხლი მედების, დამწუა ცეცხლითა ცხელითა,

შეშებრალნეს და გავშმაგდი, გავწე გულითა ხელითა;

მომინდა მისთა წამალთა ძებნა ზღუითა და წმელითა.

და შევიქცე, ენახენ მეუფნი, მყოფნი გულითა ბნელითა.

უ 990-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ა დამწუა ცეცხლითა (ვტირი ცრემლითა).

გ. კარტოზია: ხელნაწერები და გამოცემები განსხვავებულად წარმოგვიდგენენ სარიტომო სიტყვებს: ABD რედაქციის წესებში და ყველა გამოცემაში, S-ის გარდა, რითმაა ელითა, C რედაქციის ხელნაწერებში და S-ში – ისითა; მისითა, ვისითა/მისითა, ქეშითა, მქისითა. ა-ში ვტირი ცრემლითა მხოლოდ D რედაქციის წესებში გვაქვს. ორივე შემთხვევაში ხელნაწერთა ტრადიციას გაუწიეთ ანგარიში.

ა. ბარამიძე: მეც მხარს ვუჭერ პროექტის ნაკითხვას. რედაქციის ნაკითხვა გ-ისა, ზღვისა და ქეშის დაპირისპირება (ძებნა ზღვითა და ქეშითა), არ ვარგა. აღსანიშნავია, რომ გ-ში ზღვითა და წმელითა-ს კითხულობს C<sup>1</sup> ხელნაწერიც.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს პროექტის ნაკითხვა.

ს. შ.: იმ მოყმის ცეცხლი მედება, ცხელი ცრემლით დაწნა, შემებრაღა და გაეშმაგდი, გულგახელებული გავხდი; მომინდა მისი ნამლის ძებნა ზღუასა და ხმელეთზე; დაებრუნდი, ენახე გულდაბნელებული (მწუხარე) მეფენი (როსტევენი და თინათინი).

**998,1** პირველად ძებნად ნამოსულა მეფეს ეაცნობეთ აროსა,  
მართ მონდომოდა შეტყობა პირმზესა, ტანად საროსა;  
ჭირგადაძდილი შევესნარ ტურფასა შესაყაროსა,  
და ეპოვე, მას ჰგავნდა, რა შუემან ღრუბელი გარდიყაროსა.

x 1185<sup>1</sup>-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ა ეაცნობეთ (ეაცნობე), დ ჰგავნდა (გვანდა), გარდიყაროსა (გაიყაროსა). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: პირველად საძებნელად ნამოსულა მეფისთვის არ გეცნობებია, (ტარიელის ამბის) შეტყობა მონდომოდა პირმზეს, ტანსაროს (=თინათინს); ჭირგადაძდილი შევხვდი ტურფა შესაყარელს (=ტარიელს), ენახე, იმას ჰგავდა, მზე რომ ღრუბელს გადაიყრის.

**998,2** მიებრუნდი, ეპადრე ყოველი ნახული, მონასმენია,  
მიბრძანეს: „ძნელი ადვილად გიჩანან შენ საქმენია“;  
ეპადრე, თუ: „ადრე მიემართებ, ტყუილი არ სათქმენია,  
და დამედრა სიტყვა საბრალო, ცნობათა გარდამხმენია“.

x 1185<sup>2</sup>-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: გ ტყუილი (ტყუილი); გ-ის ბოლოს მოშლილია ბრჭყალები და ნერტილის ნაცვლად დასმულია მძიმე; ბრჭყალები დახურულია დ-ის ბოლოს; დ-ში მძიმე მოშლილია პირველი სიტყვის შემდეგ და დასმულია ცეზურასთან. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მიებრუნდი, მოვახსენე (თინათინს) ყოველი ნანახი და მოსმენილი, მითხრა: „ძნელი საქმეები შენ ადვილად მიგაჩნია (ძნელი საქმეები შენთვის ადვილად დასაძლევი)“. მოვახსენე: „მალე გავემართები მასთან, ტყუილს ვერ ვიტყვი (ტყუილი სათქმელი არ არის). მითხრა (ტარიელმა) საბრალობელი, გონების ნამრთველი სიტყვა“.

**998,3** მეფეთა ღია იამა უცხოთ ამბეთა სმენანი,  
მითხრეს: „ან ვიყუნეთ შენისა მონდომილისა მქენანი“;  
მაგრა შემატყვეს უმისოდ, გლახ, სიცოცხლისა თმენანი;  
და შევატყვე, ჩემგან ეწყინათ ადრე ნასულისა თქმენანი.

x 1185<sup>3</sup>-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ბ მქენანი (მქენანი), გ მაგრა (მაგრამ); ბ და გ-ის ბოლოს მძიმის ნაცვლად დასმულია ნერტილ-მძიმე. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მეფეს (როსტევენს) დიდად ეამა უცხო ამბის მოსმენა, მითხრა: „ახლა იმის მქნელი ვიქნებით, რაც გინდა“; მაგრამ შემატყვო, უმისოდ (უტარიელოდ) სიცოცხლე რომ მიძნელდებოდა; შევატყვე, ეწყინა ჩემგან მალე ნასვლის თქმა.

## 1978. 29. IX

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ს. ცაიშვილი.

განიხილეს: 999 – 1002 (პროექტი მოამზადა II ფეგუმმა).



**999** დავეთხოვე და გამიწყრა, მეფე მიეცა ჭმუნვასა.  
დავეყარენ ჩემნი ლაშქარნი, მით იხახიან მუნ ვასა;  
გამოვიპარე, დავექსენ სისხლისა ცრემლოთ წურვასა,  
და ან ვეძებ მისთა ნამალთა, ექი იქით-აქით ბრუნვასა.

უ 991-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: დ ვიქ (ვიქმ). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: დავეთხოვე და გამიწყრა მეფე, მწუხარებას მიეცა. დავეტოვე ჩემი ლაშქარი, ამიტომ იხახიან იქ ვასი; გამოვიპარე, შევწყვიტე სისხლის ცრემლების წურვა (შევენწყვიტე ტირილი), ახლა ვეძებ მის (ტარიელის) ნამალს, აქეთ-იქით დავდივარ.

**1000** შენი მან მითხრა ამავეი, მისგან ძმობისა შენისა,  
ან მოპოვნიხარ უებრო შენ, საქებელი ენისა;  
გამოშირჩიე, სით მოჯობს ძებნა მის შვისა ზენისა,  
და მისთა მჭურეტელთა ლხინისა, ვერმჭურეტთა ამაზრზენისა“.

უ 992-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მან მომითხრო შენი ამავეი, თუ როგორ გიმშო, ახლა გიპოვნე სწორუპოვარი, საქები (ქების ღირსი); მიირჩიე, ჩემთვის საით სჯობს ძებნა იმ მაღალი შვისა, მისი მჭურეტელების სიხარულისა, ვერმჭურეტელთა შემამძრუნებელისა.

**1001** ან ფრიდონ იწუის სიტყუითა მის ყმისა ნაუბართა;  
ორნივე სწორად მოსთქმიდეს მოთქმითა საქებართა,  
გულამოსკენილი გულითა ტირან ვერდამთმობართა,  
და მუნ ვარდსა წყლითა ცხელითა რწყვენ ტევრთა საგუბართა.

უ 993-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ი. გიგინეიშვილი: დ-ში საგუბართა უნდა შეიცვალოს ზოგ ხელნაწერსა და გამოცემაში წარმოდგენილი ნაგუბართა ფორმით. ტაეპის აზრია: სახეს რწყავენ ტევრში დაგუბებული ცხელი წყლით.

რედაქციის სხვა წევრებს მიაჩნიათ, რომ ანგარიში უნდა გაენიოს ხელნაწერთა უმრავლესობის ჩვენებას და დარჩეს საგუბართა.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს ნაკითხვა – საგუბართა (ნინაალმდეგ – ი. გიგინეიშვილი).

ს. შ.: ახლა ფრიდონი იწვის იმ მოყმის (=აეთანდილის) მონათხრობით (ნათქვამი სიტყვით): ორივენი ერთნაირად მოთქვამდნენ საქები მოთქმით, გულამოსკენილი ტირიან ვერმომთმენი გულით, იქ ვარდს (=პირისახეს) რწყავენ ტევრში (=ნამნამებში) დაგუბებული ცხელი წყლით (=ცრემლებით).

**1002** ლაშქართა შიგან შეიქმნა ჯმა ტირილისა დიდისა,  
ზოგთაგან ხოკა პირისა, ზოგთაგან სრევა რიდისა.  
ფრიდონ ტირის, მოსთქუაშს ჯამაღლადა, გაყრილი წლისა შუიდისა:  
და „უხანოზა და სიცრუე, ეაჲ, სანუთროსა ფლიდისა!“

უ 994-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: დ ვაჲ (ვა). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ლაშქარში გაისმა (შეიქმნა) დიდი ტირილის ხმა, ზოგი პირს იხოკდა, ზოგი რიდეს (თავსაბურავს) იგლეჯდა. (ტარიელისაგან) შუიდი წლის გაყრილი ფრიდონი, ტირის, ხმამაღლა მოთქვამს: „ეაჲ, ფლიდი წუთისოფლის წარმავლობა და სიცრუე!“

ი. გიგინეიშვილისა და ც. კიკვიძის აზრით, უხანოზა აქ ნიშნავს ხანმოკლეობას.

სდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს: 1003—1006 (პროექტი მოამზადა II უკუფმა).

**1003** ფრიდონ მოსთქვაშ: „რა შეგასხათ, ვერსაქებო, ვერსათქმელო! ვშელთა მზუო, სამყაროსა მზისა ეტლთა გარდამშმელო, მოახლეთა სალხინოო, სიცოცხლეო, სულთა მდგმელო, და ცისა ეტლთა სინათლეო, დამწველო და დამანთქმელო! უ 995-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ს. ცაიშვილი: მართებულად მიმანია ლიტერატურაში (მ. კარბელაშვილი) გამოთქმული აზრი, რომ ბ-ის სწორი ნაკითხვა დაცულია  $A^{12}$ -ში: სამყაროსა მზისა შუქთა გარდამთხმელო (=სამყაროსთვის მზისა შუქთა გარდამფენო).

რედაქციამ ბ-ის ნაკითხვა უცვლელად დატოვა. ამასთან გაიზიარა ი. გიგინეიშვილის ვარაუდი, რომ სამყაროსა მზისა ეტლთა გარდამშმელო = სამყაროში მზის გადამადგილებელო ეტლებში (ზოდიაქოებში).

ს. შ.: ფრიდონი მოთქვაშ: „რა ქება შეგასხათ, ვერშესაქებო, ენით უთქმელო! ხმელეთის მზუო, სამყაროში მზის ეტლებში (ზოდიაქოებში) გადამადგილებელო, ახლოს მყოფთა სიხარულო, სიცოცხლე, სული ჩამდგმელო, ცის ეტლების (ზოდიაქოების) სინათლე, დამწველო და დამლექველო!

**1004** რა მოგეგორე, მას აქათ სიცოცხლე მომძულეებთა; თუცა შენ ჩემად არა გცალს, მე შენთვის მომსურეებთა; შენ უჩემობა ლხინად გიჩნს, მე დია მიჭირეებთა, და ოჯერ სიცოცხლე უშენოდ, სოფელი გამარშებთა!“

უ 996-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: გ გიჩნს (გიჩს). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: რაც მოგეგორე, მას შემდეგ სიცოცხლე მოძულეებელი მაცქს; თუმცა შენ ჩემთვის არ გცალია, მე შენ მომნატრებიხარ; შენ უჩემოდ ყოფნა ლხინად (სიხარულად) მიგაჩნია, მე (კი) ძალიან შეჭირეებელი ვარ, უშენოდ ყოფნა ამაოა, წუთისოფელი არმად გადამქცევია“.

**1005** ფრიდონ თქვნა ესე სიტყუანი მოთქმითა შუენიერთთა; სული დაილეს, დადუმდეს, მოვლენ არ თურე მღერითა. ავთანდილ მჭურეტთა აშუნებს ტურფითა აერ-ფერითა, და მელნისა ტბათა მიჯარვით აპურაჟს გიშრისა ჭერითა.

უ 997-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ფრიდონმა თქვა ეს სიტყვები მშვენიერი მოთქმით; დანყარდნენ, დადუმდნენ, სიმღერით არ მიდიან. ავთანდილი მჭურეტებს ამშვენებს ტურფა იერით, მელნის ტბებს (=თვლებს) მიჯრით (მჭიდროდ) ფარაჟს გიშრის ლატნებით (წამნამებით).

**1006** ქალაქ შევიდეს, მუნ დახუდა სრა მოკაზმული სრულითა, საკელმწიფოთა ყოელითა გასაგებლითა სრულითა; მონანი ტურფად მოსილნი წესითა იყენეს რულითა!  
და შეპფრფინიდიან აეთანდილს გულითა სულნასულითა.

უ 998-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ი. გიგინევილის აზრით ბ-ის შიგნით (ცეზურასთან) მძიმე უნდა დაისვას.

პროექტი უცვლელად იქნა მიღებული.

ს. შ.: ქალაქში შევიდნენ, იქ დახვდათ სასახლე, მოკაზმული სასახლის შესაფერისად, სრული მფურერი წესრიგით; ტურფად შემოსილი მონები როგორი წესით იყენენ! შეხაროდნენ აეთანდილს მოუთმენელი გულით.

## 1978. 13. X

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინევილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს: 1007-1012 (პროექტი მორამზადა III ჯგუფმა).

**1007** შევიდეს და დიდი შექმნეს ჯალაბობა, არ ხალვათი: იქით-აქათ დიდებული ნარიგებით ათეჯერ ათი; თუთი ორნივე ერთგან დასხდეს; ვითა ვინ თქვას ქება მათი!  
და ბროლ-ბაღაბშა ამუნებდა ზოგან მინა, ზოგან სათი.

უ 999-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

რედაქციის აზრით, ჯალაბობა ამ კონტექსტში შეკრებილობას ნიშნავს.

ი. გიგინევილი: ა-ს აზრი მე ასე მესმის: შექმნეს დიდი და არა ხალვათი ჯალაბობა. ტაეპში დიდი და ხალვათი უპირისპირდებიან ერთმანეთს!

გ. კარტოზია: „ვტ“-ში ხალვათი მსაზღვრელ სიტყვად არ იხმარება. ხალვათი ამ ტაეპშიც სუბსტანტივია და უპირისპირდება ჯალაბობა-ს: შექმნეს დიდი ჯალაბობა და არა ხალვათი (=ხალვათობა).

ს. შ.: შევიდნენ და შექმნეს დიდი შეკრებილობა, არ განმარტოებულან: იქით-აქეთ ასი (ბევრი) დიდებული რიგის მიხედვით დაჯდა; თვითონ ორიგენი ერთად დასხდნენ; ვინ ან როგორ თქვას მათი ქება! ბროლ-ბაღაბშს (სახეს) ამშვენებდა ზოგან მინანქარი (სითეთრე), ზოგან – გიშერი (სიშავე).

**1008** დასხდეს, შეიქმნა პურობა, გაამრავლებდეს მახალსა, უმასპინძლებდეს აეთანდილს, ვითა მზახალი მზახალსა, მოიღებდიან ჭურჭელსა ტურფასა, ახალ-ახალსა,  
და მაგრა მის ყმისა მჭურეტელთა გული მიეცა, გლახა, აღსა.

უ 1000-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: დასხდნენ, შეიქმნა პურობა, გაამრავლეს სასმისები, აეთანდილს მასპინძლობდნენ, როგორც მძახალი მძახალს, მოჭონდათ ახალ-ახალი ლამაზი ჭურჭელი, მაგრამ იმ მოყმის (ეთანდილის) მჭურეტელთა გული აღმა მოიცვა.

**1009** მას დღეს სუეს, ჭამეს, გარდაჯდა ნადიმი მსმელთა დასისა. გათენდა, ბანებს აეთანდილ, რიცხუი ძეს მუნ ატლასისა,

შენამოსელი შემოსეს დრაჰკნისა ზეურათისისა,

და შვარტყეს ნელთა სარტყელი, დაუდებული ფასისა.

უ 1001-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: იმ დღეს სვეს, ჭამებს, დამთავრდა მსმელთა ნადიმი. გათენდა, ავთანდილი დაბანეს, იქ უამრავი ატლასი (ატლასის ტანსაცმელი) დეკს, მრავალ ათას დრაჰკანად ღირებული ტანსაცმლით შემოსეს, ნელზე ფასდაუდებული სარტყელი შემოარტყეს.

**1010** ყმაძან დაყვნა დღენი რამე, თუცა ყოვნას ვერა სთხოზდა, ფრიდონს თანა ნადირობას გავიდის და თამაშობდა, სწორად პწოცდა შორს და ახლოს, თუ რას ჯელსა მიამყრობდა, და მისი სროლა მშვილდოსანსა ყველაკასა ანბილობდა.

უ 1002-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ბ ნადირობას (ნადირობად), გ პწოცდა (ხოცდა). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მოყმემ (იქ) დაყო რამდენიმე დღე, თუმცა დაყოვნებას ვერ ითმენდა, ფრიდონთან (ერთად) სანადიროდ გადოდა და ერთობოდა, ერთნაირად ხოცავდა შორს და ახლოს, თუ რამეზე ხელს აღმართავდა, მისი სროლა ყველა მშვილდოსანს ანბილებდა.

**1010,1** ქალაქ შევიდეს, ჯმა გაჯდა, მუნ ზათქნი იქნებოდინან; ქალნი და ყმანი დაჯარვით მისად საქურეტლად რაობდინან; იგი ნახიან, დაბნდინან, ცნობასა მიჰქედებოდინან; და ახლოს შეყრისა უღირსთა რამცა ქნეს, იჯრებოდინან.

x 1198-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ა გაჯდა (გაახდა), იქნებოდინან (იქებოდინან) გ ცნობასა (ჭკუასა), დ იჯრებოდინან (ისჯებოდინან).

გ. კარტოზია: დ-ში უფრო მართებული ჩანს ზოგი ხელნაწერის ( $A^2A^4A^8$ ) ნაკითხვა: ახლოს შეყრისა უღირსნი რამცა ქნეს, იჯრებოდინან (= ახლოს შეყრის უღირსნი იჯრებოდნენ, რომ რამე ექნათ, რამე ეღონათ).

რედაქციამ უცვლელად მიიღო პროექტის ნაკითხვა.

ს. შ.: ქალაქში შევიდნენ, ხმა გავარდა, იქ დიდი ხმაური შეიქნა; ქალი და კაცი მის საქურეტლად ჯგუფ-ჯგუფად მორბოდა; მას რომ ნახავდნენ, იბნიდებოდნენ, გონებას კარგავდნენ; ახლოს შეყრის ღირსი ვინც ვერ გახდა, რა ექნათ, ერთმანეთს ესლებოდნენ.

**1011** ყმა ფრიდონს ეტყუის: „გესმოდეს ჩემი ან მონაწესნები: მე შენი გაყრა სიკუდილად მიძინ და მით თავსა ვეწევი, მაგრამ არა მცალს დღეკრულსა, ცეცხლი მწვავს მოუთმენები, და გზა გრძელი, საქმე სასწრაფო მიც, დია დაფეყნებო.

უ 1003-თან შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: მიძინ (მიძს).

რედაქციის ნებრებმა ყურადღება მიაქციეს იმას, რომ ბ-ში ირღვევა იდენტური რითმა, ხოლო დ-ის სარითმო სიტყვა (დავეყენები) I-ის კონიექტურაა. რადგანაც არსებული ხელნაწერები არ იძლევიან ტექსტის უკეთ გამართვის საშუალებას, რედაქციამ უცვლელად მიიღო წარმოდგენილი პროექტი.

ს. შ.: მოყმე (ავთანდილი) ფრიდონს ეუბნება: „გესმოდეს ახლა ჩემი ნათქვამი: მე შენთან გაყრა სიკუდილად მიმარჩნია და ამით ჩემს თავს ვეწევი, მაგრამ დღეკრულს არა მცალია, გაუძლები ცეცხლი მწვავს, გრძელი გზა, სასწრაფო საქმე მაქვს, დიდად ვყოვნდები.

**1012** მართალა, შენი გამყრელი თუალი თუ ცრემლსა ღურიდესა,

დღეს ნაუვალი ვერ ვარ, მით ცეცხლი სხუაცა მწუიღესა;  
დგომა მგზავრისა ცომაა, კარგსა იქს, თავსა სწურთიღესა;  
და სადა გინახავს იგი მზე, ნამომევე ზღუისა კოდესა“.

u 1004-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: გ იქს (იქმს). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მართალი იქნება, შენთან გაშორებული თვალი თუ ცრემლს დაღვრის, დღეს ნაუსვლელი ვერ დაერჩები, ამიტომ სხვა ცეცხლიც დამწვევს; მგზავრის დადგომა (გაჩერება) მოცდენაა, კარგს იხამს, თავს რომ შეაგონებდეს; ნამომევე ზღვის ნაპირას, სადაც გინახავს ის მზე (ნესტანი).

## 1978. 20. X

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს: 1013 –1016,2 (პროექტი მოამზადა III ჯგუფმა).

1013 ფრიდონ უთხრა: „დასაშლელი ჩემგან არა არ გეთხოვრბის;  
ვიცი, რომე აღარა გცალს, შენ ლახუარი სხუა გესობის:  
ნადი, ღმერთი გინინამძღვრებს, შენი მტერი დაემწობის,  
და მაგრა თქუი, თუ უშენობა ჩემგან ვითა დაითმობის?“

u 1005-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა, ოღონდ დ-ის ბოლოს კითხვითის ნაცვლად დაისევა ძახილის ნიშანი.

ს. შ.: ფრიდონმა უთხრა: („ნასვლის) დასაშლელს ვერაფერს გეტყუვი; ვიცი, რომ აღარ გცალაია, შენ სხვა ლახუარი გესობა; ნადი, ღმერთი გინინამძღვრებს, შენი მტერი დაემწობა, მაგრამ ესა თქუი, თუ უშენოდ მე როგორ გაეძღებ!“

1014 ამას გკადრებ, არ ეგების მარტოსაგან ნასლეა შენი;  
თანა ყმათა ნამოგატან, იმსახურენ, იახლენი,  
აბჯარი და საგებელი, ერთი ჯორი, ერთი ცხენი.  
და არ ნაიტან, გაირჯები, ღანუოვარდი, ცრემლთა მდენი“.

u 1006-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ე. მეტრეველი: გ-ში ზმნა-შემასმენელი არა გვაქვს. თუ ბ-ის ბოლოს მძიმეს მოვშლით, იახლენი დაუკაჟირდება ამ ტაეპის სახელებს (იახლენ აბჯარი, საგებელი, ჯორი, ცხენი).

ი. გიგინეიშვილი: ტაეპი გ უზმნო წინადადებას ნარმოადგენს. არ არის საჭირო მისი დაკაჟირება წინა ტაეპის ზმნასთან. ბ-ის ბოლოს წერტილი დასევათ, გ-ის ბოლოს კი – ძახილის ნიშანი.

ა. ბარამიძეს, გ. კარტოზიას, ც. კიკვიძეს მიაჩნიათ, რომ გ აზრობრივად დაკაჟირებულია ბ-სთან და პუნქტუაციური ცვლილებები საჭირო არ არის.

ს. ცაიშვილის და შ. ძიძიგურის აზრით, გ ტირეებით უნდა გამოიყოს მეზობელი ტაეუებისაგან.

დაადგინეს: ბ და გ-ის ბოლოს დაისევა ტირეები; გ-ში ტირეს წინ მძიმის ნაცვლად დაისევა ძახილის ნიშანი.

დ-ში დაწუი ვარდი დაიწერა ცალ-ცალკე ორ სიტყუად.

ს. შ.: ამას მოგახსენებ, არასგზით არ შეიძლება შენი მარტო წასვლა; თან ყმებს წაგაყოლებ, იმსახურე, (თან) იახლე, – აბჯარი და საგებელი, ერთი ჯორი (და) ერთი ცხენი (წაყოლები) – არ წაყოლებ და გაარჯები შენ, ვარდივით ღანვით, ცრემლების მდენელი”.

**1015** მოასხნა ოთხნი მონანი, მისანდობელი გულითა,  
სრული აბჯარი საკაცო ჭაფითა, საბარკულითა,  
სამოცი ლიტრა წითელი აწონით, არწაკლულითა,  
და ერთი ტაიჭი უებრო მით უნაგრითა სრულითა.

u 1007-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ი. გიგინეიშვილი: დ-ში მით უნაგირთა-ს ნაცვლად ზოგი ხელნაწერი ( $A^2A^4A^8$ ) კითხულობს: უნაგირთა (მდრ. აგრ. მით უნაგირითა), რაც უფრო სწორი წაკითხვაა: ქართულში ი ხმოვნის რედუქცია არ ხდება. ამიტომ უნაგირ-ფუძის შეკუმშვა არ იყო მოსალოდნელი. ამ ფუძის შეკუმშული ფორმების ამოსავლად უნაგირ- ფუძე უნდა მივიჩნიოთ. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მით უნაგირთა-ში მით ნანეარი უფუნქციო გამოდის.

უნაგირთა ფორმის მიღებას მხარს უჭერს ე. მეტრეველი. რედაქციის დანარჩენმა წევრებმა აღნიშნეს, რომ უნაგირ- სახელის შეკუმშული ფორმების ხმარება ძველ ქართულშივე დასტურდება. მით ნანეარის ამგვარი (უფუნქციო) ხმარება „ვტ“-ში სხვაგანაც დასტურდება. ანგარიში უნდა გაენიოს პოემის ხელნაწერებისა და გამოცემების ტრადიციას და დარჩეს მით უნაგირთა.

დაადგინეს: დარჩეს წაკითხვა მით უნაგირთა (წინააღმდეგნი – ი. გიგინეიშვილი, ე. მეტრეველი).

ს. შ.: მოიყვანა გულთ მისანდო ოთხი ყმა, (მოიტანა) კაცის შესაჭური სრული აბჯარი სამხრითა და საბარკულით, სამოცი ლიტრა ოქრო აწონით, უკლებად, ერთი საუკეთესო ცხენი უნაგირის სრული განყობილობით.

**1016** ერთსა ჯორსა წუიემაგარსა, საგებელი აუკიდა;  
წაიდა და ფრიდონ შეეჯდა, მასთანვე გამოვიდა.  
ან გაყრისა მომლოდინესა ედებოდა ცეცხლი, სწუიდა,  
და მოსთქვამს: „თუმცა მზე გუეახლა, ჩუენ ზამთარი ვერ დაგუზრვიდა“.

u 1008-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ერთ წუიემაგან ჯორს მისი საგებელი აპკიდა; ფრიდონი წაიდა და ცხენზე შეეჯდა, მასთან (ავთანდილთან) ერთად გამოვიდა. ახლა გაყრის მომლოდინეს ცეცხლი ედებოდა, წაეჯდა, მოსთქვამს: „მზე (ავთანდილი) რომ ჩვენთან ყოფილიყო, ზამთარი ვერ გაგვიცინავდა“.

**1016,1** ფრიდონ მოუძღვა მას გორსა, ახლოს წამდგომსა ზღვისასა,  
„მე აქით ვნახე, რომლისა შუქი არ ჰგვანან სხვისასა“,  
მჯარსა აჩვენებს, ანიშნებს, ნასულასა ქაჯთა გზისასა,  
და ეტყვის, თუ: „რად არ დამქოლავ მნახავს იმა დღისასა?“

x 1204<sup>1</sup>-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: დ ეტყვის, თუ (ეტყვის თუ). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ფრიდონმა მიიყვანა იმ გორასთან, ახლოს რომ გადასდგომოდა ზღვას. „მე აქედან დავინახე (ნესტანი), რომლის შუქი სხვისას არ ჰგავს“. ქაჯეთის გზის მიმართულებას აჩვენებს, ანიშნებს, უუბნება: „რატომ არ დამქოლავ იმ დღის მომსწრეს?“

**1016,2** აეთანდილ უთხრა: „ნალეული არ გმართებს შენ ეგ ზომია, რას ძნელად გიჩანს დაჯოცა და იმა ქაჯთა ომია? ვეგ არ არის, უჯრმლობა განგებით არ მოგჯდომია, და აროდეს ქმნილა საქნელი, რაც არა ღმერთსა ნდომია.

x 1204<sup>2</sup>-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ხელნაწერთა ჩვენების საფუძველზე გ-ში უჯრმლობა შეიცვალა უჯრმობა ფორმით.

ს. შ.: აეთანდილმა უთხრა: „შენ მაგდენი ნალეული არ გმართებს, რა საძნელოდ მიგაჩნია, იმ ქაჯებთან ომი და (მათი) დახოცვა? ასე არ არის, უმოქმედობა განგებით არ გრგებია (ნილად), არასოდეს მომხდარა ის, რაც ღმერთს არ უნდოდა.

### 1978. 3. XI

ხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი.

განიხილეს: 1017; 1018 (პროექტი მოამზადა III ჯგუფმა); 1019–1021 (პროექტი მოამზადა II ჯგუფმა).

**1017** ზარი მის ყმისა ნასლისა გაჯდა, მიეცნეს წუხილსა.

მოატყდეს მოქალაქენი, ღარსა ვინ კყიდდა თუ ხილსა;

ქმა ზახილისა მათისა ჰგევანდა აერთა ქუხილსა,

და იტყოდეს: „მზესა მოეშორდით, მო, თუალნი მიეცნეთ წუხილსა!“

u 1009-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: იმ მოყმის (აეთანდილის) ნასლის ზარი (მწუხარების ხმა) გაისმა, წუხილს მიეცნენ. უამრავი მოქალაქე მოანყდა, ხილსა თუ ძვირფას ქსოვილს რომ ყიდდა; მათი ყვირილის „ხმა ცის ქუხილს ჰგავდა, ამბობდნენ: „მზეს(აეთანდილს) მოეშორდით, მოდით, თვალები დაეიკსოთ!“

**1018** ქალაქი გავლეს, მივიდეს პირსა დიდისა ზღუისასა,

მაშინ ფრიდონის ნახულსა, ნასაჯდომევესა შზისასა,

მუნ დაადენდეს ნაკადსა სისხლისა ცრემლთა ტბისასა,

და ფრიდონ უამბობს ამბავსა მის მნათობისა ტყუისასა.

u 1010-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: დ-ის ბოლოს ორნერტილის ნაცვლად დასმულია ნერტილი. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ქალაქი გათარეს, მივიდნენ დიდი ზღვის ნაპირას, მაშინ ფრიდონმა რომ ნახა, სადაც მზე (ნესტანი) იჯდა, იქ სისხლის ცრემლებით იტირეს, ფრიდონი უამბობს ტყვე მნათობის (ნესტანის) ამბავს.

**1019** „აქა მათ ზანგთა მინათა მზე მოიყვანეს ნავითა,

კბილთეთრი, ზაგებალახში, სახედავითა შავითა;

ცხენი გაექუსლე, გაეაგე ნაგურა ჯრმლითა და მკლავითა,

და შორს მნახეს, ადრე გაექუცეს, ნავი მფრინველი ჩნდთა ვითა“.

u 1011-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: დ მფრინველი (მფრინველე). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: აქ იმ ზანგმა მონებმა მოიყვანეს ნავით მზე (=ნესტანი). კბილთეთრი, ძონისფერბაგებიანი, შავი თვალებით; ცხენი გაექუსლე, გადაწვევით და ძლით და

მკლავით) წართმევა, (მაგრამ) შორს დაძინახეს, სწრაფად გამეჭენენ, ნავი ფრინველით ჩანდა.

**1020** მოხუციენეს ერთმანეთსა, გაამრავლნეს ცრემლთა ღრანო,  
აკოცეს და გაუახლდეს მათ ორთავე მათნი ნუნანი,  
გაიყარნეს გაუყრელნი ძმადფიცნი და ვითა ძმანი,  
და ფრიდონ დადგა, ყმა წავიდა, შემხედველთა მკლველი ტანი.

u 1012-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ერთმანეთს მოხუციენენ, ბევრი ცრემლი დაღვარეს, (ერთმანეთს) აკოცეს და ორივეს თავ-თავისი ტკივილი გაუახლდა, გაიყარნენ, როგორც გაუყრელი ძმადნაფიცები და ძმები, ფრიდონი დარჩა, მოყმე, შემხედველთა მკლველი ტანი (=ათანდილი), წავიდა.

**1020,1** გამოუსალმნეს, აკოცეს ორთავე ცრემლი სდიოდა;  
ყმაძანი გაქუსლა, მართ ოდენ საქმესა ისწრაფიოდა;  
ფრიდონ სიცოცხლეს იგმობდა, სიკუდილსა არად ჩოოდა,  
და ტარიელათანდილისა გაყრილსა გული სტკიოდა.

x 1208<sup>1</sup>-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: დ გაყრილსა (გაყრისა). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: (ერთმანეთს) გამოეთხოვნენ, აკოცეს, ორივეს ცრემლი სდიოდა; მოყმემ (ათანდილმა) გაქუსლა, მხოლოდ საქმეზე ჩქარობდა; ფრიდონი თავის სიცოცხლეს გმობდა (სიცოცხლეს ინყველიდა), სიკვდილს არაფრად თვლიდა, ტარიელთან და ათანდილთან გაყრილს გული სტკიოდა.

**1021** ყმა მიმავალი მოუბნობს, მსგავსი მოუარისა სრულისა.  
არს თინათინის გონება მისად სალხენლად გულისა;  
იტყუნს: „მოგშორდი, სიცრუე, ვაჰ, საწუთროსა კრულისა!  
და შენ გაქვს წამალი ჩემისა მამრთელზელი წყლულისა.

u 1013-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: გ ვაჰ (ვა). პროექტი მიღებულ იქნა.

სტროფის შინაარსი: საესე მთვარის მსგავსი მიმავალი მოყმე (ათანდილი) მილაპარაკობს. თინათინზე ფიქრი არის მისი გულის გამზარებული. ამბობს: „მოგშორდი, ვაი, წყელი წუთისოფლის სიცრუე! შენ გაქვს ჩემი წყლულის გამკურნებელი წამალი.

## 1978. 10, XI

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გვიგინიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი.  
განიხილეს: 1022–1027 (პროექტი მომზადდა II ჯგუფმა).

**1022** რად სიცხე გულსა წადაგ მწუაეს გმირსა საშს ალებსა?  
რად გული კლდისა ტინისა შემქმნია სამ სალებსა?  
არ შუქძლია ლახუარსა დაჩენა საშსა ლებისა,  
და შენ ხან მიზეზი სოფლისა ასრე გასაშსალებსა“.

u 1014-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

რედატციის ნევერებმა აღნიშნეს, რომ ა-ში ნაკითხვა საშს ალებსა (=სამი ალის) გრამატიკულად გაუმართავია. ი. გვიგინიშვილის წინადადებით სარიტმო სიტყვად



მიღებულ იქნა სამსაღებისა. მართალია დ-შიც ამავე საშალა ფუძის შემცველი სიტყვაა რითმოდ, მაგრამ სრულ ტავტოლოგიას მინც არა აქვს ადგილი: ა-ში სახელია, დ-ში – ნაშნარი სახელი. ი. გიგინეიშვილისავე წინადადებით ბ-ში საღებისა ფორმისათვის ამოსავლად მიჩნეულია საღა (სათამაშო ქვა) და არა საღი. ასეთი გაგება ნათელს ხდის ტაეპის აზრს: ერთმანეთს უპირისპირდება ტინის კლდე და საღა (მცირე სათამაშო ქვა).

ა-ს ბოლოს კითხვის ნიშნის ნაცვლად დაისვა მძიმე.

პროექტი ამ ცვლილებით მიღებულ იქნა.

ს. შ.: მუდამ რატომ მინვაე გმირს გულს სამსაღები (სანამლავები), ტინი კლდის გული რატომ გადამტყვევია საღად (მცირე სათამაშო ქვად)? (=ტინის გული რად გამოცედა?) სამ ლახვარს არ შეუძლია ლების (ცვებით დაღურჯებული ადგილის) დაჩენა, მენ (თინათინი) ხარ ნუთისოფლის ასე გამწარების (სამსაღად გადატყვევის) მიზეზი.

1023 აეთანდილ მარტო ზღუის პირსა მივა ოთხითა მონითა,  
ნამალსა ტარიელისსა ეძებს ყოვლითა ღონითა,  
დღისით და ღამით მტირალი იღურების ცრემლთა ფონითა,  
და ჩალად უჩნს ყოვლი ქვეყანა, მისვე ჩალისა ნონითა.

უ 1015-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: დ უჩნს (უჩნს). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: აეთანდილი ოთხი მონით (მსახურით) მარტო მიდის ზღვის ნაპირას, ყველა საშალებით ეძებს ტარიელის ნამალს, დღისით და ღამით მტირალი ცრემლების ნაკადად იღვრება, მთელი ქვეყანა ჩალად (ჩალის ნონისად) მიაჩნია.

1024 სადაცა ნახნის, ეუბნის, მგზავრნი ზღუის პირსა რებულნი,  
ჰკითხის მის შზისა ამბავი; დღენი ვლნა გაასებულნი.  
ქედსა გარდადგა, აქლემნი აუჩნდეს ლარკიდებულნი.  
და მოქარაენენი ზღუის პირსა დაყრით დგეს, დაყმუნებულნი.

უ 1016-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: გ გარდადგა (გარდადგენს). დ დაყმუნებულნი (მეჭირებულნი). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: სადაც ნახავდა ზღვის პირას მავალ მგზავრებს, გამოელაპარაკებოდა, ჰკითხავდა იმ შზის (ნესტანის) ამბავს; ასი დღე იარა. ქედზე გადადგა, დაინახა ლარაკიდებული (ძვირფასი ქსოვილებით დატვირთული) აქლემები. მექარაენეები ზღვის პირას იდგნენ მენუხებულები, გაწუმებულები.

1025 მუნ ქარაენი ურიცხუი იდგა მის ზღუისა კიდესა.  
შეჭირებდეს, ჭმუნვიდეს, ვერცა დგეს, ვერცა ვლიდესა.  
ყმაჲნ საღამი უბრძანა, ქებასა შეასხმიდესა,  
და ჰკითხა, თუ: „უინ ხართ, ვაჭარნო?“ – მათ საუბარი ჰკიდესა.

უ 1017-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.  
ს. შ.: იქ, იმ ზღვის ნაპირას, მრავალრიცხოვანი ქარაენი იდგა. წუხდნენ, დარდობდნენ, ვერც იდგნენ, ვერც მიდიოდნენ. მოყმე მიესაღმა, (მექარაენეებმა) ქება შესახს, (აეთანდილმა) ჰკითხა: „უინ ხართ, ვაჭარნო?“ – მათ საუბარი გაუბეს.

1026 უსამ იყო ქარაენისა უხუცესი, კაცი ბრძენი.  
მოაწუნა ხოტბა სრული, დალოცა და უქნა ზენი.  
ჰკადრეს: „მზეო, სიცოცხლე და შენ ამოჰქე ჩუენი მღზენი,  
და ჩამოქე და მოგაწუნით ამბავი და საქმე ჩუენი“.

U 1018-თან შედარებით პროექტში ცვლილება: გ ამოპვე (ამოხე). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: უსამი იყო ქარაენის უფროსი, ბრძენი კაცი, ღირსეული (შესაფერისი) ხოტბა შესახა, დალოცა და ზნე (ქცევა) შუუქო. (მექარაენებმა) მოახსენეს: „მზო, შენ ამოხვედი ჩვენი სიცოცხლე და გაშხარებელი, ჩამობრძანდი (ცხენიდან) და მოგახსენებთ ჩვენ ამბავსა და საქმეს.

**1027** გარდაჯდა. პკადრეს: „ჩუნ ვართო მობაღდადნი ვაჭარნი, მაჰმადის სჯულის მჭირაენი, აროდეს გუისმან მაჭარნი, ზღუათა მეფის ქალაქსა სავაჭროდ გამონაჭარნი, და საქონელსრულნი, მდიდარნი, არ ლარნი გუქონან ნაჭარნი.

U 1019-თან შედარებით პროექტში ცვლილება: გ გამონაჭარნი (გადმონაჭარნი). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ჩამოქვითდა. მოახსენეს: „ჩენ ვართო ბაღდადეგი ვაჭრები, მაჰმადის რჯულის აღმსრულებლები, არასდროს გვისვამს მაჭარი, ზღუათა მეფის ქალაქში სავაჭროდ ნამოსულები (გამოჭრილები), ბევრი საქონლის მქონენი, მდიდრები, ლარი (ძვირფასი ქსოვილები) ნატაკები როდი გვაქვს.

## 1978. 17. XI

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ს. ცაიშვილი.

განიხილეს: 1028–1030 (პროექტი მოამზადა II ვგუფმა); 1031–1034 (პროექტი მოამზადა III ვგუფმა).

**1028** ჩუნ აქა ეპოვეთ ზღუის პირსა კაცი უსულოდ მდებარე, უშუღეთ, ენა მოეცა სიტყვისა გამოგებარე; ეკითხეთ, თუ: „ვინ ხარ, ლარობო, რასა საქმისა მდებარე? • და გუთხრა: „თუ შეხუალთ, დაგჯოცენ; კიდე ცოცხალ ვარ მე ბარე?!“

U 1020-თან შედარებით პროექტში ცვლილება: ბ უშუღეთ (უშუღეთ), გ მდებარე (მძებარე).

ი. გიგინეიშვილმა აღნიშნა, რომ ზოგი ხელნაწერი ბ-ში კითხულობს: ენა მოექცა (=ენა მოუბრუნდა), რაც შინაარსობრივად საყურადღებოა.

დაადგინეს: ენა მოექცა შესაძლებელი ნაკითხეა, მაგრამ რადგანაც რედაქციათა უმრავლესობა (ABD) და გამოცემათა ტრადიცია მოეცა-ს უჭერს მხარს, დარჩეს პროექტის ნაკითხეა.

ს. შ.: ჩვენ აქ, ზღუის პირას, ენახეთ უსულოდ მდებარე კაცი, უშუღეთ, ენა ამოიდგა (სიტყვის გამომთქმელი ენა მიეცა); ვკითხეთ: „ვინ ხარ, უცნობო (უცხო მოგზაურო), რა საქმე გაქვს (რა საქმის მქონე ხარ)?“ გუთხრა: „თუ (ზღუაში) შეხუალთ, დაგხოცავენ; მე განა კიდევ ცოცხალი ვარ?!“

**1029** თქვა: „ქარაენი ეგუიპტით გამოვემართეთ ერთა, ზღუასა შევედით ტურითულნი ლართა მრავალფერთა, მუნ მეკობრეთა დაგუჯოცენს ძელსაწნისისა წყერთა; და ყულაი ნაჯდა, არ ვიცი, აქა მოსრულვარ მე რითა!•

U 1021-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: გ ძელ-საწნისისა (ძელის საწნისის), პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: თქვა: „მოქარავენები ეგვიპტიდან გამოვემართეთ ჯარით (მცველებით), ზღვაში შევედით მრავალგვარი ძვირფასი საქონლით დატვირთულები. იქ მეკობრეებმა (ავაზაკებმა) დაგებოცეს ძელ-საწნისით (ძელ-საწნისის ნვერით); ყველა დაიღუპა, არ ვიცი, აქ როგორ მოვედი!“

1030 ლომო და მზეო, ესეა მიზეზი აქა დგომისა,  
დაბრუნებითა გუეცემის ზიანი არსაზომისა;  
შევიდეთ, ვაჲ თუ დაგუჭოცენ, ძალი არა გუაქუს ომისა,  
და ვერცა ვდგათ, ვერცა ნასრულვართ, ღონე ნაგუსლვია რრომისა“.

U 1022-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: გ ვაჲ (ვა).

ი. გიგინეიშვილის აზრით, ბ-ში უკეთესია ზოგი ხელნაწერის ნაკითხვა – ზიანი ასსაზომისა. პროექტი მიღებულ იქნა უცვლელად.

ს. შ.: ლომო და მზეო, ეს არის ჩვენი აქ დგომის (შეფერხების) მიზეზი, დაბრუნებით უზომო ზარალი მოგვივა (მოგვეცემა); რომ შევიდეთ (ზღვაში), ვაითუ დაგვბოცონ, ომის თავი არა გვაქვს, ვერც ვდგავართ, ვერც ნავსულვართ, ყოფნის ძალა ნაგვესლვია.

1031 ყმაჲნ უთხრა: „ვინცა ქმუნავს, ცუდია და ცუდად სცთების  
რაცა მოუა საქმე ზენა, მომავალი არ აგუცთობის;  
მე მივინდობ სისხლთა თქვენთა, შემოვისხამ, და-ცა-მწუთებს,  
და ვინცა გებრძვის, ჳრმალი ჩემი მპრძოლთა თქვენთა დააცუთების“.

U 1023-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

რედაქციამ მიიღო ი. გიგინეიშვილის ვარაუდი, რომ გ-ის პირველი ნახევრის აზრია: მე მივინდობ იმ სისხლს, რომელიც თქვენ უნდა დაგვეღვარათ.

ს. შ.: მოყმემ უთხრა: „ვინც ქმუნავს (წუხს), ამაოდ გარჯილა და ტყუილად ცდება; რაც მოდის ზეციური (ზეცაში გადანყვეტილი) საქმე და მოსასვლელია, არ აგვეცდება; მე ვიკისრებ (ჩემს თავზე მივიღებ) იმ სისხლს (რომელიც თქვენ უნდა დაგვეღვარათ), მე შემომესხას, დამენვეთოს. ვინც თქვენ გებრძვით, მათზე გაცდება ჩემი ხმალი“.

1032 მოქარავენნი აიესნეს სიხარულითა დიდითა,  
თქუნეს: „ყმა ვინმეა ქაბუკი, არა ჩუნებრვე რიდითა,  
აქუს თავისაგან იმედი, ვიყენეთ გულითა მშუილითა“.  
და შევიდეს, ჩასხდეს ხომალდსა, გამართეს ზღუისა კიდითა.

U 1024-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მოქარავენები დიდი სიხარულით აიესნენ, თქვეს. „ვილაც რაინდი მოყმეა და არა ჩვენსავით მოშიში (შიშით შეპყრობილი). (თავისი) თავის იმედი აქვს, დამშვიდებული (მშვიდი გულით) ვიყოთ“. ხომალდში ჩასხდნენ, ზღვაში შევიდნენ, ზღვის პირ-პირ გაემართნენ.

1033 სიამონისა დართია იარეს, არ სიძნელითა.  
მათი ბადრაგა აეთანდილ უძღუის გულითა ქველითა.  
გამოჩნდა ნავი მეკობრე დროშითა მეტად გრძელითა,  
და მას ნაფსა ნათა საღუნლად საწნისი პგია ძელითა.

U 1025-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: სასიამოვნო დართო, ადვილად იარეს, მათი ბადრაგა (მცველ-გამყოლი) აუთანდილი მოუძღვის მამაცი გულით, გამოჩნდა მეკობრეთა ნავი (ხომალდი) მეტად გრძელი დროშით, იმ ნაეზე არის ნავების სალენი სახნისიანი ძელი.

**1034** კოდეს და მოდიოდეს, იზახდეს და ბუკსა ჰურესა;  
შუშინდა ქარაენი მათ ლაშქართა სიდიდესა;  
ყმამან უთხრა: „ნუ იშოპით თქვენ იმთსა სიალფესა,  
და ანუ დაეპოვოც იმ ყუელასა, ან სიკუდილი ჩემი დღესა.

უ 1026-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: დ დაეპოვოც (დაეხოც).

ი. გიგინეიშვილმა აღნიშნა, რომ დ-ში ნაკითხვა იმ ყუელასა დიდ ეჭვს იწვევს, რაღაც გაუგებრობის შედეგი უნდა იყოს.

ა. ბარამიძეს და ს. ცაიშვილს დასაშვებად მიაჩნიათ ყველა ნაცვალსახელთან ჩვენებითი იმ ნაცვალსახელის ხმარება.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს პროექტის ნაკითხვა.

ს. შ.: მოდიოდნენ და ყოინას სცემდნენ, იძახდნენ და ბუკი აახმიანეს; იმ ლაშქრის სიდიდემ ქარაენი შეაშინა; მოყმემ (აუთანდილმა) უთხრა: „ნუ გაშინებთ თქვენ მათი გმირობა (ვაეკაცობა), ან ყველას დაეხოცავ, ან დღეს მოეკვდები (ჩემი სიკვდილი იქნება დღეს).

## 1978. 24. XI

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს: 1035–1038 (პროექტი მოამზადა III ვგუფმა).

**1035** უგანგებოდ ვერას მიზმენ, შუცა-მებნენ ჯმელთა საანი;  
განგებაა, არ დაფრჩები, ლახუარნია ჩემთუის შზანი;  
ვერ დამჟსნიან ვერ ციხენი, ვერ მოყუასანი, ვერცა მშანი.  
და ვინცა იცის ესე ასურ, ჩემებრვეა გულუვანი.

უ 1027-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ლეთის ნების გარეშე ვერაფერს მიზამენ, (მთელი) ხმელეთის ლაშქარიც რომ შემებას; (თუ) ლეთის ნებაა, ვერ გადაფრჩები, ჩემთუის ლახვრები გამზადებულია; ვერ მიხსნიან ვერც ციხე-სიმაგრენი, ვერც მეკობრეები, ვერც ძმები. ვინც ეს ამგვარად იცის, ჩემებრვე გულადია.

**1036** თქვენ ვაჭარნი, ჯაბანნი ხართ, ომისაცა უმეცარნი,  
შორს ისრითა არ დაგჯოცნენ, ჩაიწუნით თანა კარნი;  
მარტო მნახეთ, ვით შევება, ვით ვეჭმარნე ლომნი მჭარნი!  
და მეკობრისა ნავისანი სისხლნი ნახნეთ მონალურანი“.

უ 1028-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: თქვენ, ვაჭრები, ლაჩრები ხართ, ომის უკოდინარნი, შორიდან ისრით არ დაგხოცონ, თან ჩაიკეტეთ კარები; მარტო მნახეთ, როგორ შევება, როგორ ვიხმარო ლომებრი მხარ-მკლავი მეკობრეთა დაღვრილ სისხლს ნახათ.

**1037** ჩაიცუა ტანსა აზჯარი ქცევითა ვეფხებრ მკრჩხალითა.

მას ჯელთა კეტი რკინისა ჰქონდა ჯელითა ცალითა;  
ნაეისა თაესა გულითა ნადგა შიშუუვალითა,

და კითა მჭურეტელნი ჭურეთითა, მტერნი დაჯოცნა ჯრმალითა.

უ 1029-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

შ. ძიძიგური: მართებულია ლიტერატურაში გამოთქმული ვარაუდი, რომ მკრჩხალი= მკვირცხლს, ეს ორი სიტყვა ეტიმოლოგიურადაც უკავშირდება ერთმანეთს.

ი. გიგინეიშვილიც მხარს უჭერს ამ ვარაუდს. მისი აზრით, აქ საქმე გვაქვს ცხ/ჩხ კომპლექსების მონაცვლეობასთან, რაც სხვა შემთხვევებშიც დასტურდება.

პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ტანს ჩაიცვა აბჯარი ვეფხისებრი სიმკვირცხლით, მას ცალ ხელში რკინის კეტი ჰქონდა; უშიშარი გულით ნადგა ხომალდის თაემი, მტრები ისე დახოცა ხმლით, როგორც მჭურეტელები ცქერით.

ც. კიკვიძეს და ს. ცაიშვილს მიაჩნიათ, რმ ა-ს შინაარსი ასე უნდა გადმოიციეს: ტანს ჩაიცვა აბჯარი ვეფხევიით მკვირცხლი ქცევით (მოძრაობით).

**1038** კოოდეს იგი ლაშქარნი, ჯმა მათი არ განყდებოდა,  
აძგერეს ძელი, რომელსა ზედა საწნისი ჰგებოდა;  
ყმა ნაეის თაესა უშიშრად ქუე დგა, არ თურე კრთებოდა,  
და კეტი ჰქრა, ძელი მოსტება, სხუთი არათ არ მოსტყდებოდა.

უ 1030-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ი. გიგინეიშვილმა აღნიშნა, რომ დ-ის მეორე ნახევარში უკეთესია ნაკითხვა: ლომს მკლავი არ უდრკებოდა, რომელიც პ. ლარაძისეული ხელნაწერიდან მომდინარეობს. არ არის გამორიცხული, რომ პ. ლარაძეს რომელიმე ძველი ხელნაწერიდან ჰქონდეს აღებული ეს ნაკითხვა.

ა. ბარამიძისა და ს. ცაიშვილის აზრით, აღნიშნული ნაკითხვა ა. ლარაძის კონიექტურაა. პ. ლარაძე ეყრდნობა ვახტანგის გამოცემას. მისგან განსხვავებული ნაკითხვანი არტანუჯული რედაქციის ავტორთა ნახელაჟია, საკუთრივ მისი სიახლეა.

პროექტი მიღებულ იქნა უცვლელად.

ს. შ.: მოლაშქრენი კიოდნენ, მათი ხმა არ წყდებოდა, აძგერეს ძელი, რომელზეც სახნისი იყო ნამოგებული; მოყმე (ავთანდილი) ნაეის თაემი იდგა, (შიშისაგან) როდი კრთოდა, კეტი ჰქრა, ძელი მოსტება, სხვაგვარად არაფრით არ მოსტყდებოდა.

## 1978. 1. XII

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს: 1039 –1042 (პროექტი მოამზადა III ვგუფმა); 1043–1044 (პროექტი მოამზადა II ვგუფმა).

**1039** ძელი მოსტყდა და ავთანდილ დარჩა ნავდალუენელი;  
შეშინდეს იგი ლაშქარნი, გზა ძებნეს გარდასახუენელი;  
ველარ გარდესწრნეს, გარდუხლტა მტერთა მი და მო მლენელი;  
და არ დარჩა კაცი ცოცხალი მუნ მისგან დაუფრენელი.

უ 1031-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ს. ცაიშვილი: სტროფი არ არის A და D რედაქციის რიგ ხელნაწერში, შინაარსობრივად ახალს არაფერს იძლევა, შეიცავს ტავტოლოგიურ რითმას (ნაუდაულებელი – მღენელი). ყველაფერი ეს მოუთითებს მის ჩანართობაზე.

მოუხედავად ამ არგუმენტებისა, რედაქციამ შესაძლებლად მიიჩნია სტროფის ძირითად ტექსტში დატოვება.

დაადგინეს: სტროფი დარჩეს ძირითად ტექსტში (ნინააღმდევი – ს. ცაიშვილი).

პროექტი მიღებულ იქნა.

ი. გიგინეიშვილის აზრით ა, როგი ხელნაწერის ჩვენების მიხედვით, ასე უნდა იკითხებოდეს: ძელი მოსტყება, აეთანდილ დარჩა ნაუდაულებელი.

ს. შ.: ძელი მოსტყდა და აეთანდილი დარჩა ხომალდდაულებელი (დაულებელი გადარჩა ვაჭრების ხომალდი); შემინდნენ მოლაშქრენი, ეძებდნენ გასაქცევ გზას; ვეღარ გადაასწრეს, გადაუხტა მტერთა მიმდინამომლენი (ათანდილი); იქ არ დარჩა ცოცხალი კაცი, მისგან (ათანდილისგან) დაუშავებელი.

**1040** მათ ლაშქართა გულუშობრად ასრე პჯოცდა, ვითა თხასა;  
ზოგი ნავსა შეანარცხის, ზოგსა პჯოცდა შიგან ზღუსა;  
ერთმანერთსა შემოსტყორცის, რვა ცხრასა და ცხრა პკრის რვას;  
და დაკოდლინი მკუდართა შუა იმაღვიან, მალვენ ჳმასა.

უ 1032-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ა პჯოცდა (ხოცდა). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: იმ ლაშქარს გულუშობრად ისე ხოცავდა, როგორც თხებს; ზოგს ხომალდს შეანარცხებდა, ზოგს ზღვაში ყრიდა; ერთმანეთს შემოსტყორცნიდა, რვას ცხრას და ცხრას რვას შემოპკრავდა; დაჭრილები მკედრებს შორის იმაღებიან ხმაგაკმედილინი.

ც. კიკვიძესა და გ. კარტოზიას მიაჩნიათ, რომ დ-ის აზრი ასე უნდა გადმოიკვეს: დაჭრილები მკედრებს შორის იმაღებიან, ხმას კმედენ.

**1041** გაუმარჯუდა ოში მათი, ვითა სნადა მისა გულსა.  
ზოგთა პკადრეს ზენაარი: „ნუ დაგჯოცო, შენსა სჯულსა!“  
არ დაჯოცნა, დაიმონნა, დარჩომოდა რაცა ნულუსა.  
და მართლად იტყუის მოციქული: „შიში შეიქს სიყვარულსა“.

უ 1033-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: დ შეიქს (შეიქს). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: გაიმარჯვა მათთან ომში, როგორც ენადა მის გულს, ზოგიერთებმა შეჰკადრეს დაფიცება: „ნუ დაგვხოცავ, შენს სჯულს გაფიცებთო!“ არ დახოცა, დაიმონა, ვინც ჭროლობას გადარჩნოდა. სწორად ამბობს მოციქული: „შიში ქმნის სიყვარულს“.

**1042** კაცო, ძალსა ნუ იქადი, ნუცა მოჰკუეხ ვითა მთრავლი  
არას გარგებს ძლიერება, თუ არ შეგნეეს ღმრთისა ძალი  
დიდთა ხეთა მოერევის, მცირე დასწავეს ნაბერნკალი,  
და ღმერთი გფარავს, სწორად გაჰკუეთს, შემა ვის პკრა, თუნდა ჳრმალი.

უ 1034-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ადამიანო, ძალას ნუ იქადი, ნურც იკეხნი მთვრალივით! ძლიერება აღარაფერს გარგებს, თუ ღვთის ძალა არ შეგნეეს! დიდ ხეებს მოერევა, დასწავს მცირე ნაბერნკალი, (თუ) ღმერთი გფარავს, ერთნაირად გაკეეთს, ჯოხს პკრავ ვინმეს თუ ხმაღს.

**1043** მუნ აეთანდილ საჭურჭლენი მათუელნი დიდნი ნახნა,

ნაეი ნავსა შუატყუბა, ქარაენსა დაუზახნა.

უსამ ნახა მზიარულმან, – გაუხარნეს, არ იახნა,

და ჰკადრა ხოტბა ქებად მისად, სასახაენი ღიღნი სახნა.

u 1035-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: იქ (მეკობრეთა ხომალდში) ავთანდილმა მათუელი (=მეკობრეებისუელი) დიდი განძი ნახა, ხომალდი ხომალდს შეატყუბა (მოუყენა), ქარაენს (მექარაენეებს) დაუძახა. უსამმა ნახა მზიარულმა, – გაუხარდა, არ იოხრა, ხოტბა მოახსენა მის საქებად, დიდი გამოსახატაეი გამოხატა.

1044 ავთანდილის მატებელთა ათასიმცა ენა ენდა,

ვერცა მათ თქუან, ნაომრობა რაგუარ ტურფად დაუშუენდა;

ქარაენმან იზრილა, თქუეს: „უფალო, მაღლი შენდა!

და მზემან შუქნი შემოგუადგნა, ლამე ბნელი გაგუითენდა“.

u 1036-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ა ათასიმცა (ათასიცა), ბ თქუან (თქუეს). ა-ს ბოლოს ძახილის ნიშნის ნაცვლად დასმულია მძიმე, პროექტი მიღებულ იქნა.

ი. გიგინეიშვილი მზარს უჭერს საიუბილეო გამოცემის ნაკითხვას: ავთანდილის მატებელთა ათასიცა ენა ენდა, ვერცა მათ თქუეს, ნაომრობა რაგუარ ტურფად დაუშუენდა (=ავთანდილის მატებართა ათასი ენა გაენდა, მაგრამ ვერც მათ თქუეს, თუ რა ლამაზად დაშუენდა ნაომრობა).

გ. კარტოზიას აზრით, ათასიმცა ენა ენდა = ათასი ენა რომ ენობდეს (=ლაპარაკობდეს).

ს. შ.: ავთანდილის მატებართა ათასი ენა რომ გაენდეს (=ათასი ენა რომ ლაპარაკობდეს), ვერც ისინი იტყვიან, თუ რა ლამაზად დაშუენდა ნაომრობა; ქარაენმა იხუელა, თქუეს: „მაღლობა შენდა, უფალო! მზემ შუქი მოგვეფინა, ბნელი ლამე გაგუითენდა“.

## 1978. 15. XII

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს: 1045–1049 (პროექტი მოამზადა II ვჯგუფმა).

1045 მოვეგბნეს, აკოცებდეს თაესა, პირსა, ფერჯთა, ჳელსა;

ჰკადრეს ქება უსაზომო მას ტურფასა საქებელსა, –

მისი ჭურგთა გაამმაგებს კაცსა ბრძენსა, ვითა ხელსა, –

და „შენგან დაერჩით ჩუენ ყუელანი ფათერასა ეზომ ძნელსა“.

u 1037-თან პროექტში ცვლილებაა: გ მისი (ვისი); ბ-ის ბოლოს მძიმის შემდეგ დასმულია ტირე, გ-ის ბოლოს ორნერტილის ნაცვლად დასმულია მძიმე და ტირე. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მივეგბნენ, ჰკოცნიდნენ თავზე, პირზე, ფეხზე, ხელზე, უზომო ქება მოახსენეს მშვენიერ საქებელს, – მისი ჭურგთა ხელივით (გითევით) აშმაგებს ბრძენ კაცს, – „შენი წყალობით გადაეურჩით ჩვენ ყველანი ასე ძნელ ფათერას“.

1046 ყამან უთხრა: „მაღლი ლმურთსა, შემოქმედსა, არსთა მზადსა,

ვისგან ძალნი ზეციური გააგებენ აქა ქმნადსა,

იგი იქმან ყუელაკასა, იდუმალსა, ზოგსა ცხადსა;  
და ჯამს ყოვლისა დაჯერება, ბრძენი ჯერა მონვენადსა.

u 1038-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ბ გააგებენ (განაგებენ),  
დ ჯერა (სჯერა).

რედაქციის წევრებს მიაჩნიათ, რომ ა-ს მზადი ნაწარმოებია ხად – („მობზობა,  
დაძახება“) ზმნიდან.

აზრთა სხვაობას იწვევს გ-ის ნაკითხვა და გაგება.

ა.ბარამიძე, გ. კარტოზია, ს. ცაიშვილი იცავენ პროექტის ნაკითხვას და მიაჩნიათ,  
რომ ტაეპის აზრია: ისინი აკეთებენ ყველაფერს, ზოგს იდუმალს, ზოგს ცხადს.

ც. კიკვიძის აზრით, ტაეპი ასე უნდა ნაკითხვით: იგი იქმან ყუელაკასა იდუმალსა,  
ზოგსა ცხადსა (=აკეთებენ ყველაფერ საიდუმლოს, ზოგს კი ცხადს).

ე. მეტრეველი მზარს უჭერს ამგვარ ნაკითხვას და ტაეპის აზრი ასე ესმის: ისინი  
აკეთებენ ყველაფერს იდუმალს, რომელთაგან ზოგი ცხადია.

ი. გიგინეიშვილს საჭიროდ მიაჩნია ტაეპში მძიმის გადასმა: იგი იქმან ყუელაკასა,  
იდუმალსა ზოგსა, ცხადსა.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს პროექტის ნაკითხვა.

ს. შ.: მოყმემ უთხრა: „მადლობა ღმერთს, შემოქმედს, არსთა გამჩენს (არსთა  
შმობელს), ვისგანაც ზეცოური ძალები განაგებენ ამქვეყნად მოსახდენს, ისინი (ზეცოური  
ძალები) არიან ყველაფრის, ზოგის იდუმალის, ზოგის ცხადის, მქმნენი; საჭიროა  
ყველაფრის დაჯერება (საჭიროა ყველაფერს დაჯერდეთ), ბრძენი სჯერდება მოსახდენს.

**1047** ღმერთთან სულსა ეგოდენსა თქვენ გათნია სისხლი თქუენი.

მე, გლახ, რა ვარ? მინა ცუდი; თავით ჩემით რამცა თქუენი?  
ან დაეწოცენ მტერნი თქუენნი, გაეასრულენ, რაცა ვთქუენი;  
და ნავი სრულად საქონლითა მომიღია, ვითა ძღუენი“.

u 1039-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ღმერთმა თქვენ, ამდენ სულს, გაპატიათ თქვენი სისხლი (შეგინარჩუნათ  
სიცოცხლე). მე, ვაგლახ, რა ვარ? ფუჭი მინა; ჩემით რას ვიზამ? ახლა დაეზოცე თქვენი  
მტრები, შეეასრულე, რაც ვთქვი; ნავი მთლიანად საქონლით მომიერთმეგვია, როგორც  
ძღუენი.

**1048** ამოა, კარგსა მოყმესა რა ომი გამარჯუებოდეს,  
აშანაგთათუის ეჯობნოს, ვინცა მას თანახლეობოდეს,  
მოულოცვიდენ, აქებდენ, მათ აგრე მყოფთა სნებოდეს,  
და შუენოდეს დაკოდილობა, ცოტაი რამე ვნებოდეს.

u 1040-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ი. გიგინეიშვილის აზრით, ა-ში უკეთესია ნაკითხვა: ამოა, კარგსა მოყმესა რომ ომი  
გამარჯუებოდეს.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს პროექტის ნაკითხვა (რა ომი გამარჯუებოდეს),  
რომელსაც რედაქციულად განსხვავებული ხელნაწერები უჭერენ მხარს.

ს. შ.: რა საამოა, კარგი მოყმე ომში რომ გაიმარჯვებს, თავის თანხლებს აშანაგებს  
აჯობებს, მოულოცავენ, შეაქებენ, მათ ასე მყოფებს (ნაჯობნებს) შერცხვებათ,  
დამშვენდება დაჭრილობა, მსუბუქად დაჭრილი იყოს.

**1049** იგი ნავი მეკობრეთა მას დღე ნახეს, არ ახვალეს,

მუნ დებულთა საჭურჭლეთა ამარიმცა ვით დათუალეს!



მათს ნახსა გარდმოიღეს, ნაეი სრულად გარდმოცალეს;

და დალენეს და ზოგი დაწუნეს, შუმა დრამად არ გაცვალეს.

u 1041-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მეკობრეების ის ხომალდი (ვაჭრებმა) იმავე დღეს დაათვალიერეს, ხვალისთვის არ გადადეს, იქ დაგროვებულ სიმდიდრეს როგორ დათვლიდნენ! თავიანთ ხომალდში გადმოიტანეს, (მეკობრეთა) ხომალდი მოლიანად დაცალეს, დალენეს და ნაწილი დანვეს, შუმა არ გაუყვიათ (დრამაში არ გაუცვლიათ).

## 1978. 22. XII

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, გ. კარტოზია, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს: 1050 –1053 (პროექტი მოამზადა II ჯგუფი).

1050 ავთანდილს უსამ მოართუა ვაჭართა შემოთულობა:

„შენგან ვართ გამაგრებულნი, ჩუენ ვიცით ჩუენი ფრდილობა;

რაცა გუაქუს, იგი შენია, ამას არ უნდა ცილობა.

და რასაცა მოგუცემ, გუბოძე, გუიქნია აქა ყრილობა“.

u 1042-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ბ ჩუენ ვიცით ჩუენი ფრდილობა (ჩუენცა გუაქუს ამის ზრდილობა).

პროექტი მიღებულ იქნა. რედაქციის ნევერებმა აღნიშნეს, რომ ბ-ის სარითმო სიტყვად ფრდილობა „ვტ“-ის ხელნაწერებში თუმცა არ დასტურდება, მაგრამ კონიექტურის მიღებული აუცილებლობა სარწმუნოდ არის დასაბუთებული ლიტერატურაში (ი. გიგინეიშვილი, ი. ლოლაშვილი).

ს. შ.: უსამმა ავთანდილს გადასცა ვაჭრების შემონათვალი: „შენ მიერ ვართ გამაგრებულნი, ჩუენ ვიცით ჩუენი სისაწყლე (განწირულობა); რაც გუაქუს ის შენია, ეს არაა სადავო, რასაც მოგუცემ, გუბოძე, აქა ვართ შეყრილი“.

1051 ყმაძან შესთვალა: „ჰე, ძმანო, ნელანცა მოგისმენია, ღმერთსა შეესმა, ნაკადი რაცა თქუენ თუალთა გდენია,

მან დაგარჩინა; მე რა ვარ? მე, გლახ, რა მომიღებნია!

და რა გინდა მომცეთ, რას ვაქნე? მე ვარ და ჩემი ცხენია!

u 1043-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ა ჰე, ძმანო (ჰე ძმანო). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მოყმემ შეუთვალა: „ჰე, ძმებო, ნელანაც მოისმინეთ, ღმერთმა გაიგონა, რა ცრემლთა ნაკადიც გდენიათ თვალებიდან, მან (ღმერთმა) გადაგარჩინათ; მე რა ვარ? თქვენთვის რა სიკეთე (რა ლხენა) მომიტანია! რაც უნდა მომცეთ, რად მინდა? მე ვარ და ჩემი ცხენი!

1052 მე თუმცა რაცა მინდოდა საჭურჭლე დასადებელი,

ჩემსაცა მჭონდა ურიცხუო უსახო ლარ-საგებელი;

რას ვაქნე თქუენსა რას გინდა? ოდენ ვარ თანამზღებელი;

და სხუაგან რამე მიც სხუა საქმე თავისა წასაგებელი.

u 1044-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მე რომ მდღომოდა რამე შესანახი სიმდრიდრე, მინაც ბევრი მჭონდა ძვირფასი ქოვილები და ნოხ-საგებელი; რად მინდა თქვენი რამე? მხოლოდ თქვენი მზღებელი ვარ

(მხლებლობა მყოფნის); სხვაგან მაქვს რალაც სხვა თავგასანირავი საქმე (საქმე, რომელსაც შესაძლოა დასჭირდეს თავის განირვა).

**1053** ან რაცა აქა ვიშოვე საჭურჭლე დაუთუალავი,  
რაცა ვის გინდა, ნაილეთ, არვისი ვიყო მლაღავი,  
ერთსა ვიავო, მიაჯეთ სააჯო არსაკრძალავი:  
და საქმე რამე მიც თქვენშიგა თავისა დასამალავი.

u 1045-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: დ თქვენშიგა (თქვენშიგან) პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ახლა რაც აქ ვიშოვე ურაცხელი განძი, ვისაც რა გინდათ, ნაილეთ, არავისი მოშულარი ვარ (არავის გიშლით), ერთს გვებენებით, მათხოვინეთ არმოსარიდი სათხოვარი: რალაც საქმე მაქვს, რაც თქვენს შორის ჩემს დამალვას მოითხოვს.

## 1978. 29. X II

სდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე,

ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს: 1054 (პროექტი მოამზადა II ფგუფმა); 1055-1058 (პროექტი მოამზადა III ფგუფმა).

**1054** ფამამდის ჩემსა ნუ იტყუით არ თქვენსა პატრონობასა,  
თუთი თავადია ჩუენი – თქუა, ნუ მიწმობთ ჭაბუკობასა.  
მე სავაჭროსა დავინყებ, ჩავიცუამ ჯუბაჩობასა;  
და თქვენ შემინახეთ ნამუსი, თქვენსა და ჩემსა ძმობასა!"

u 1046-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა. გ დავინყებ, ჩავიცუამ (ჩავიცუამ, დავინყებ).

გ. კარტოზია: გ-ში ზმნები პროექტში წარმოდგენილი თანმიმდევრობით მხოლოდ  $A^3A^4$  -ში გვხვდება (მე ვაჭრობასა დავინყებ, ჩავიცუამ ჯუბაჩობასა), რაც ძველი წაკითხვა ჩანს. ხელნაწერთა უმრავლესობაში ტაეპის გადაკეთება, ალბათ, სავაჭრო (=ვაჭრობა) სიტყვის ძველი მნიშვნელობის დაზარდილვამ გამოიწვია (ამავე მიზეზით უნდა იყოს გამოწვეული  $A^3A^4$  -ში სხვაგვარი ცვლილებაა: სავაჭროსა > ვაჭრობასა). ტაეპში, რომ ჯუბაჩობის (=ჯუბაჩების) ჩაცმაზეა ლაპარაკი და არა ჯუბაჩობის დანყებაზე, პოემის ტექსტი მოწმობს. შდრ. ავთანდილ ტანსა ჯუბანი ჩაიცუნა, დაჯდა სკამითა, (1057<sub>2</sub> -ობა სუფიქსის გამოყენება მრავლობითის ფორმის ფუნქციის ქართულში სხვაგვანადაც დასტურდება.

პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ჯერჯერობით ნუ იტყუით, რომ თქვენი პატრონი (უფროსი) არა ვარ, თვით ჩენი უფროსია-თქო, ნუ ახსენებთ ჩემს რაინდობას. მე ვაჭრობას დავინყებ, ჩავიცუამ ჯუბაჩებს (ვაჭრულ ტანსაცმელს); თქვენ შემინახეთ საიდუმლო, გაფიცებთ თქვენსა და ჩემს ძმობას!"

**1055** ესე საქმე ქარავანსა გაეხარნეს მეტად ღია;  
მოვიდეს და თაყუანისსცეს, ჰკადრეს: „ჩუენი იმედია,  
რაცა აჯა ჩუენ გუმართებდა, იგი თქვენეუ გაჯავია,

და მას ვემსახუროთ, ვისი პირი მზისა პირად გაგუიციდია“.

u 1047-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ც. კიკიძე: გაიჯდია გრამატიკულად გაუმართავი, უაზრო ფორმა; თანაც სულ რამდენიმე ხელნაწერში იკითხება. ხელნაწერთა უმრავლესობაში წარმოდგენილი გაიჯდია სავსებით დამაკმაყოფილებელი ნაკითხვაა, როგორც ენობრივად, ისე რითმის თვალსაზრისითაც. რითმაა ია და არ არის საჭირო ენობრივი ნორმების დარღვევა რითმის გამდიდრებისათვის.

რედაქციის წევრებმა გაიზიარეს ეს თვალსაზრისი. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ეს საქმე მოქარავენებს ძალიან გაუხარდათ; მივიდნენ და თაყვანი სცეს (ავთანდილს), უთხრეს: „(ჩ)ე ვენი იმედია (სურვილია), რა სათხოვარიც ჩვენ გემართებდა, ის თქვენვე გითხოვათ, მას ვემსახუროთ, ვისი სახეც მზის სახედ მიგვიჩნევია“.

1056 მუნთ ნაიღეს, იარეს, არ თურე ხანსა ზმიდიან;  
მიხუდეს ტაროსსა ამოსა, ნიადგან ამოდ ელიდიან;  
შეჟურფინიდიან აეთანდილს, ქებასა შესხმიდიან,

და მას მარგალიტსა, მას ყმასა, კბილთავე ფერსა, სძლუნდიან.

u 1048-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: იქიდან ნაიღენენ, იარეს, კი არ ყოვნდებოდნენ, კარგი ამინდი შეხვდათ, სულ სააბურად მიდიოდნენ; აეთანდილს შეხაროდნენ, ქებას ასხამდნენ, იმ მოყმეს (ავთანდილს) კბილისფერ მარგალიტებს უძღვნიდნენ.

1057 ზღუა გაიარა აეთანდილ, მივა ტანითა მქვერითა.  
ნახეს ქალაქი, მოცული გარე ბაღისა ტვერითა,  
გუარად უცხონი ყუაიელინი ფერთა ბევრის ბევრითა.

და მის ქუეყანისა სიტურფე რა გაგაგონო მეე რითა!

u 1049-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

გ-ში ბევრისბევრითა დაინერა ერთად. დ-ში მიღებულ იქნა ნაკითხვა: რა გაგაგონო მე რითა! აღინიშნა, რომ მეე | გამოცემის კონიექტურაა და გამოწვეულია რითმის გამართვის საჭიროებით. რედაქციას შესაძლებლად მიაჩნია არაზუსტი რითმის დატოვება.

ს. შ.: ზღუა გაიარა აეთანდილმა, მიდის წერნეტი ტანით. ნახეს ქალაქი, გარემოცული ხშირი ბალებით, უცხო გვარის მრავალფერი ყვაილები. იმ ქვეყნის სილამაზე მე როგორ რა გაგაგებინო!

1058 მათ ბალთა პირსა დააბეს ნავი საბლითა სამითა;  
ავთანდილ ტანსა ჯუბანი ჩაიცუნა, დაჯდა სკამითა;  
მოასხნეს კაცნი მზიდაენი, დამიზღებულნი დრამითა;

და იგი ყმა ვაჭრობს, თავადობს და თავსა მალაეს ამითა.

u 1050-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: იმ ბალის განაპირას დააბეს ნავი სამი თოკით; აეთანდილმა ტანს ჯუბა ჩაიცვა, დაჯდა სკამზე; მოასხეს ფულით დაქირავებული მჭკორთავეები; ის მოყმე (ავთანდილი) ვაჭრობს, უფროსობს (მოქარავენებს) და ამით მალაეს თავის ვინაობას.

1059 მოვიდა მისი მებაღე, ბალსა ეახლნეს რომელსა,  
მას ყმასა უჭურეტს შეფრფინეთ პირსა, ელვათა მკრთომელსა;  
ავთანდილ უჭუო, ეუბნა კაცსა არ სიტყუამკრთომელსა:

და „ვისნი ხართ, ვინ ხართ, რა ქქუიან შეფესა აქა მჯდომელსა?“

u 1051-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

რედაქციამ გაიზიარა ი. გიგინეიშვილის აზრი, რომ გ-ში კაცსა არ სიტყუამცთომელსა ნიშნავს „კაცს, რომელსაც სიტყვა არ დასცდენია“.

ს. შ.: მოვიდა იმ ბალის მებაღე, რომლის ახლოსაც იყვნენ, იმ მოყმეს (ათანადილს) უცქერის ალტაცებით შუქისმომფენ სახეზე; ათანადილმა მოუხმო, უთხრა კაცს, რომელსაც სიტყვა არ დასცდენია: „უისი ხართ, რა პქვია აქჟურ მეფეს?“

## 1978. 5. 1

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკოძე, მ. ძიძიგური.

განიხილეს: 1060-1065 (პროექტი მოამზადა III ჯგუფმა).

**1060** „წერილად მითხარ ყველაკი, —ჟმა მას კაცსა უბნების,— რა ლარია უფრო ძვირად, ან იფად რა იწსნების?“

ჰკადრა: „უხედავ, პირი შენი შხისა პირად შემეცნების;

და რაცა ვიცი, მართლად ჯადრებ, მრუდი არა არ გემცნების.

უ 1052-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: „დანვრილებით მითხარი ყველაფერი, - მოყმე (ათანადილი) იმ კაცს უბნება, - რა ქაოვილია უფრო ძვირად, ან იფად რა იყიდება?“ უთხრა (მებაღემ): „უყურებ და შენი სახე შხის სახედ მესახება; რაც ვიცი, სწორად გეტყვი, ტყეილი არაფერი არ მოგხსნდება.“

**1061** ესეა ზღუათა სამეფო თჳისა ათისა საელითა, თუთი გულანშაროს ქალაქი, საესე ტურეთია მრავლითა;

აქ მოდის ტურეთა ყუბელი ზღუა-ზღუა ნავითა მავლითა;

და მელიქ-სურხავი ჳელმნიფობს, სრული სუთითა და დავლითა.

უ 1053-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: გ ზღუა-ზღუა ნავითა მავლითა (ნავითა ზღვა-ზღვა მავლითა).

ა. ბარამიძე: ბ-ში უფრო სწორია ნაკითხვა გულანშარო ქალაქი, რომელიც რიგ ხელნაწერშია დაცული. ნაკითხვა გულანშაროს ქალაქი გულისხმობს, რომ გულანშარო ქვეყნის სახელია, სინამდვილეში კი ქვეყანას ზღვათა სამეფო ჰქვია, გულანშარო კი ამ სამეფოს ქალაქია.

რედაქციის სხვა ნევრებმა აღნიშნეს, რომ გულანშაროს ქალაქი ისეთივე შესიტყვებაა, როგორც ორპირის ქალაქი, ბაღდადის ქალაქი, და კონსტრუქციის შეცვლა საჭირო არ არის.

დაადგინეს: დარჩეს ნაკითხვა, — გულანშაროს ქალაქი (წინააღმდეგი — ა. ბარამიძე).

გ. კარტოზიას საჭიროდ მიაჩნია აღდგეს ნაკითხვა ნავითა ზღუა-ზღუა მავლითა.

შესიტყვება ზღუა-ზღუა მავლითა სხვა სიტყვით არ უნდა გაიკეთოს, წინააღმდეგ შემთხვევაში აზრი შეიცვლება.

რედაქციის დანარჩენ ნევრებს შესაძლებლად მიაჩნიათ დარჩეს სიტყვათა ამგვარი ნყობა: ზღუა-ზღუა ნავითა მავლითა (=ზღვა — ზღვა მავალი ნავით). დაადგინეს მიღებულ იქნეს პროექტის ნაკითხვა (წინააღმდეგი — გ. კარტოზია).

ი. გიგინეიშვილის წინადადებით, მელიქ-სურხავი დაიწერა დეფისით.

ს. შ.: ესაა ზღვათა სამეფო, ათი თვის საველი სიჭრცით, თუთი გულანშაროს ქალაქი, საესე მრავალგვარი სილამაზით; აქ მოდის ყოველი სიკეთე ზღვა-ზღვა მავალი ნავით; მელიქ-სურხავი მეფობს, აღსაესე ბედნიერებითა და დოვლითით.

**1062** აქა მოსლვითა გაყმდების, კაცოცა იყოს მერები:

სმა, გახარება, თამაში ნიადაგ არს სიმღერები,  
ზამთარ და ზაფხულ სწორად გუაქქს ყუაილი ფერად-ფერები;

და ვინცა გუიცნობენ, გუნატრიან, იგიცა, ვინა მტერები.

u 1054-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: აქ მოსლვით გაყმანვილდება, კაცი მოხუციც რომ იყოს: ნიადაგ არის სმა, გახარება, გართობა, სიმღერა, ზამთარსა და ზაფხულში თანაბრად გვაქვს ფერად-ფერადი ყვავილები; ვინც გვიცნობს, შემოგენატრიან, ისინიც, ვინც (ჩენი) მტრები არიან.

**1063** დიდვაჭარნი სარგებელსა ამისებრსა ვერ კპოვებენ:

იყიდიან, გაჰყიდიან, მოიგებენ, ნაგებენ;

გლახა თუე ერთ გამდიდრდების, საეაჭროსა ყოვლგნით კჳრებენ;

და უჭონელნი წელიწადამდის საქონელსა დაიდებენ.

u 1055-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

შინაარსი: დიდვაჭარნი ამის მსგავს სარგებელს (ვერსად) ვერ ნახულობენ.

ყიდულობენ, ყიდიან, იგებენ, აგებენ, გლახა (ლატაკი) ერთ თვეში გამდიდრდება, საქონელი ყოველი მხრიდან შემოაქვთ; არაფრის მქონენი წლის თავამდე საქონელს დააგროვებენ.

**1064** მე ვარ მებალე უსენის, ვაჭართა უხუცესისა;

ესეცა გჳადრო ამბავი, საქმე მისისა წესისა;

თუთ ესე ბალი მისია, თქუენი სადგომი დღესისა;

და პირველ მას მართებს ჩუენება ყოვლისა უტურფესისა.

u 1056-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ი. გიგინეიშვილი: ბ-ში ამბავი და საქმე სინონიმები ჩანს. ტაეპის აზრია: იმასაც მოგახსენებთ, მისი წესის ამბავი.

გ. კარტოზია: თუ ასეა, უფრო მართებული იქნება ამბავი-ს წინაც დავსვათ მძიმე.

დაადგინეს: დაისვას მძიმე (ესეცა გჳადრო, ამბავი, საქმე მისისა წესისა).

რედაქციის წევრებმა ყურადღება მიაქციეს, რომ ზოგ გამოცემაში (o p r y) ბ და გ ადგილშენაცვლებულია.

ი. გიგინეიშვილი: ტაეპის გადასმას აქვს საფუძველი. გ უშუალოდ აგრძელებს ა-ს აზრს, დ კი – ბ-ისას.

ა. ბარამიძე: ტაეპს ვერ გადაესვამთ: ხელნაწერთა ჩუენება ამას მხარს არ უჭერს.

გ. კარტოზია: იმისათვის, რომ გამოჩნდეს ტაეპთა შორის (განსაკუთრებით ბ-სა და დ-ს შორის) შინაარსობრივი კავშირი, გ ტირებუთ გამოეყოთ.

დაადგინეს: ბ და გ-ის ბოლოს ორნერტილისა და ნერტილ-მძიმის ნაცვლად (ორივეგან) დაისვას მძიმე და ტირე.

ს. შ.: მე ვარ უსენის, ვაჭართა უხუცესის, მებალე; ამასაც მოგახსენებ, მისი წესის ამბავს, – თვით ეს ბალი მისია, თქუენი დღევანდელი სადგომი, – პირველად მას უნდა აჩვენონ ყოველგვარი საუკეთესო საქონელი.

**1065** რა შემოვლენ დიდვაჭარნი, მას ნახვენ და ძღუენსა ძღუნიან,

უჭუნებენ, რაცა კჳონდეს, სხუაგან ლარსა ვერ გაწნიან,

უტურფესთა სეფედ დასხმენ, ფასსა მუნვე დაუთულიან;

და მათ მაშინვე ააზატებს, ვითა სნადდეს, დაჰყიდიან.

u 1057-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

პ-ის ბოლოს მძიმის ნაცვლად დაისვა ნერტილ-მძიმე, გ-ის ბოლოს კი – ნერტილ-მძიმის ნაცვლად – მძიმე. პროექტი ამ ცვლილებით მიღებულ იქნა.

ს. შ.: დიდვაჭრები რომ შემოვლენ (ქალაქში), მას ნახულობენ და ძღვენს მიართმევენ, უჩვენებენ, რაც უნდა პქონდეთ, სხვაგან საქონლს ვერ გახსნიან; ყველაზე ძვირფასს სამეფოდ გადასდებენ, (მის) საფასურს მაშინვე მიუთვლიან, მათ მაშინვე თავის ნებაზე მიუშვებენ, როგორც მოესურვებათ, ისე ივაჭრებენ.

## 1979. 12. I

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, შ. ძიძიგური.

განიხილეს: 1066 (პროექტი მოამზადა III ჯგუფმა); 1067-1071 (პროექტი მოამზადა II ჯგუფმა).

**1066** თქვენებრთა საბატოთა მას მართებს გამოსუენება; დაძუნებულთა უბრძანებს, მართებდეს ვის დაყენება. ან იგი აქა არ არის, რას მარგებს მისი წსენება! და გამოგებვა და ნაყვანა მას მართებს, თქვენი ქენება.

u 1058-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ა საბატოთა (საპატოთა).

ც. კიკვიძე: ტექსტში შეტანილი ცვლილება იმით არის გაპირობებული, რომ საბატოთა ხელნაწერთა უმრავლესობაშია დაცული. ამასთან საშუალი ქართულის ძეგლებში („ველმწიფის კარის გარეგებიდან“ დანყებული) პარალელურად საპატოთა და საბატოთა იხმარება.

შ. ძიძიგური: არ არის გამორიცხული, რომ დისიმილაციური გამქვრების ეს ცნობილი პროცესი წარმოშობით ძველი მოვლენა იყოს.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს პროექტის ნაკითხვა.

ს. შ.: თქვენისთანა საპატოთ (სტუმრების) მასპინძლობა მას ევალება; უბრძანებს მასხურებს, ვისაც ევალება (სტუმრების) დაბინავება. ახლა ის აქ არ არის, რას მარგებს მისი ხსენება! გამოგებება და თქვენი მიწვევა და შეპატოება მას ევალება.

**1067** ფატმან ხათუნ შინა არის, ხათუნი და ცოლი მისი, პურად კარგი მასპინძელი, მხიარული, არ თუ მქისი; მას ვაცნობო მოსლეა თქვენი, ნაგყვანოს ვითა თუისი; და ნინა კაცსა მოგაგებებს, ქალაქს შეხუალ ნათლივ, დღისი“.

u 1059-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ფატმან ხათუნი, მისი (უსენის) ქალბატონი და ცოლი შინ არის, გულუხვი მასპინძელი, მხიარული, არა უფუერი; მას შევატყობინებ თქვენს მოსულას, ნაგყვანს როგორც თავისიანს; ნინ კაცს შემოგაგებებს, ქალაქში ნათლივ, დღისით შეხეალ“.

**1068** აეთანდილ უთხრა: „ნადიო, აგრე ქვენ, რაცა გნადიან“. მებალე მირბის, იხარებს, ოფლნი ქუე მკრდამდის ჩადიან. ხათუნსა უთხრა ამბავი: „მე ესე დამოქადიან, და ყმა მოვა, მისი მჭურეტელთა შუქი მზედ გაიცადიან.

u 1060-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: დ მისი მჭჭრეტელთა შუქი (მისთა მჭჭრეტელთა შუქი).

ა. ბარამიძე: ბ-ში იხარებს უნდა შეიცვალოს ზოგ ხელნაწერსა და m წ-ში ნარმოდგენილი ახარებს ფორმით. შინაარსობრივად ეს უკანასკნელი გამართლებულია. (ფატმანს ახარებს მშენიერი მოყმის მოსვლას). თავად მებაღეს კი რა ჰქონდა გასახარებელი!

გ. კარტოზია: იხარებს, რომელსაც უფრო უჭერს მხარს გამოცემათა ტრადიცია, არც შინაარსობრივად არის ამ კონტექსტში გაუგებარი.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს ნაკითხვა ახარებს.

გ. კარტოზია: დ-ში ორგვარი ცვლილებაა შეტანილი: 1) პირდაპირი ობიექტი (შუქი) მხოლობითმა გადაყვანილი (შუქი); 2) კუთვნილებითი ნაცვალსახელი შუქ- სიტყვის მსაზღვრელად არის ვაგებული და მასთან შეთანხმებული. თუ ასე არ მოვიქცეთ, შუქი მსაზღვრელი სიტყვის გარეშე რჩება და გაუგებარია ფრაზა: შუქი მზუდ გაიცადიან. ტაემში სიტყვათა ამგვარი ინვერსიული ნყობა და ამის შედეგად გადამწერთა მიერ შეტანილი ცვლილებები (გათიშული მსაზღვრელის დაკავშირება უახლოეს სიტყვასთან) პოემში სხვაგანაც დასტურდება.

ა. ბარამიძე: მისი ფორმა ხელნაწერებში არ დასტურდება, ამიტომ კონიექტურისაგან თავი უნდა შევიკავოთ.

ც. კიკიძე: შემოთავაზებული ნაკითხვა კონიექტურა კი არის, მაგრამ სხვა გზა არა გვაქვს, უნდა მივიღოთ. შუქ- სიტყვის უმსაზღვრელოდ დატოვება არ შეიძლება. ფრაზის ასეთი კონსტრუქცია და გადამწერთა მიერ ახლებურად გააზრიანება ტაემის შინაარსისა „ვეფხისტყაოსანში“ ხშირად გვხვდება.

შ. ძიძგურსაც მიაჩნია, რომ ფრაზის კონსტრუქცია რუსთველურია და ხელნაწერებში ტექსტის გადაკეთების საფუძველიც გასაგებია.

დაადგინეს: ტაემის განხილვა გადაიდოს რედაქციის სრული შემადგენლობის შეკრებაამდის. 1979. 26. I-ის სხდომაზე ი. გიგინიშვილმა და ს. ცაიშვილმა მხარი დაუჭირეს ტაემის პროექტისულ ნაკითხვას. პროექტი მიღებულ იქნა.

რედაქციამ იმჯეულა ბ-ის სარიტომო სიტყვის ფორმის შესახებ. აღინიშნა, რომ შინაარსობრივად უკეთესია ზმნის რელატორი ფორმა ჩასდიან (რომელსაც ხელნაწერთა მეტი ნილი უჭერს მხარს), მაგრამ რიტომის საჭიროების გამო დატკებულ იქნა აბსოლუტური ჩადიან.

ს. შ.: აეთანდილმა უთხრა: „ნადი, ისე მოიქეცი, როგორც გსურს“. მებაღე მირბის, ახარებს , ოფლი მკერდამდის ჩადის. ქალბატონს უთხრა (შეატყობინა) ამბავი: „მე ეს დამიქადია, მოყმე მოდის, მის შუქს მჭჭრეტელები მზუდ სახავენ.“

1069 ვაჭარი ვინმე პატრონი არს ქარაენისა დიდისა,  
საროსა მსგავსი ნაზარდი და მთწარე დღისა შუიდიას;  
შუენის ჯუბა და მოხუწეუა ძონელისა რიდიას.  
და მე მიწმომ, მკითხა ამბავი და ნირი ლართა სყიდისა“.

u 1061-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ვილაც ვაჭარი, დიდი ქარაენის პატრონი, საროს (კვიპაროზის) მსგავსად ნაზარდი და შუიდი დღის მთვარე; უხდება ჯუბა და ნითელი თავსაბურავი (თავსაბურავის მოხუწევა). მე მიხმომ, გამომკითხა ამბავი და ლარის (ძვირფასი საქონლის) მახანდა.

1070 ფატმან ხათუნს გაეხარნეს, გააგება მონა ათი,

მოუკაზმნა ქარვანსრანი, დააყენა ბარგი მათი.

შემოვიდა ღანუი ვარდი, ბროლ-ბალახში, მინა-სათი;

და მისთა მჭურეტთა დაუსახეს ვეფხსა ტოტი, ლოშა – თათი.

u 1062-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: გ ღანუი ვარდი (ღანუი-ვარდი).

პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ფატმან ხათუნს გაუხარდა, ათი მონა გააგება, მოუშადა ქარვასლები, ადგილი მოუჩინა მათს ბარგს. შემოვიდა (ქალაქში) ვარდის მსგავსი ღანუი, ბროლ-ბალახში, მინანქარ-სათი (აეთანდლილი); მისმა მჭურეტებმა შეუდარეს მისი ფეხი ვეფხს, ხელი – ლომს.

1071 ზარი გაქდა, შემოაკრბეს, ქალაქისა ერნი სრულად,  
იქით-აქით იჯრებოდეს: „უჭურითოთო ამას რულად!“  
ზოგნი ნდომით შეჰფოფინებდეს, ზოგნი იყენეს სულნასრულად;  
და მათთა ცოლთა მოიძულენეს, ქმარნი დარჩეს გაბასრულად.

u 1063-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ბ უჭურითოთო (უჭურითოთო).

დ მოიძულენეს, ქმარნი დარჩეს (მოიძულენეს ქმარნი, დარჩეს). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ხმა გაეარდა, ქალაქის ხალხი უკლებლად შეიკრბა, იქით-აქით აწყდებოდნენ: „ამას როგორ შევხედოთო!“ ზოგი სურვილით შეჰფოფინებდა, ზოგი სულნასული იყო; ქმრები შეიძულეს თავიანთმა ცოლებმა, (ქმრები) შერცხვენილად დარჩნენ.

## 1979. 19. I

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ს. ცაიშვილი,

შ. ძიძიგური.

განიხილეს: 1072-1077 (პროექტი მოამზადა II ჯგუფმა).

1072 ფატმან, ცოლი უსენისი, გაეგება კართა წინა,  
მხიარულმან უსალამა, სიხარული დაიჩინა;  
ერთმანერთი მოიკითხეს, შევიდეს და დასხდეს შინა;  
და ფატმან ხათუნს მოსლვა მისი, შეუთ-უფაცყუე, არ ეწყინა.

u 1064-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. ცაიშვილმა აღნიშნა, რომ დ-ში აეტორი იყენებს ეპიკური თხრობის თავისებურ ხერხს: ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, თითქოს თვითონაც მონაწილე იყოს აღწერილი ეპიზოდისა.

ს. შ.: ფატმანი, უსენის ცოლი, კართან გაეგება, მხიარული მიესალმა, სიხარული გამოხატა; ერთმანეთი მოიკითხეს, შინ შევიდნენ და დასხდნენ; ფატმან ხათუნს მისი (აეთანდლის) მოსვლა, როგორც შეეატყუე, არ ეწყინა.

1073 ფატმან ხათუნ თულად მარჯუე, არყმანული, მაგრა შუმელი,  
ნაკუთად კარგი, შავგრემანი, პირმსუქანი, არ პირქმელი,  
მეტრობთა და მომღერალთა მოყუარული, ღუნის მსმელი;  
და დია ედევა სასალუქო დასაბურავ-ჩასაცმელი.

u 1065-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.



რედაქციის წევრებმა იმსჯელეს მუტრიბთა და მომღერალთა-ს მნიშვნელობისა და ახალ ქართულზე მის გადმოღების შესახებ.

შ. ძიძიგური: მუტრიბნი და მომღერალნი სინონიმური პარალელიზმია, პენდადისია, რომელც რუსთველამდეც დამკვიდრებული იყო ქართულ ენაში (მღრ. იპოლიტესთან: სანთელი და კეროენი). სინონიმურ სიტყვათა ეს წყვილი ერთი სიტყვით უნდა გადმოიცეს თანამედროვე ქართულში.

დაადგინეს: ტაეპის შინაარსი ასე გადმოიცეს: მუტრიბ-მომღერალთა (მემუსიკეთა, მომღერალთა, მოცეკვავეთა) მოყვარული, ღვინის მსმელი.

ს. შ.: ფატმან ხათუნი – შესახებდავად სასიამოვნო, არცთუ ყმაწილი, მაგრამ მომზიბლავი, აღნაგობით კარგი, შავვკრემანი, პირმსუქანი, არა პირხმელი, მუტრიბ-მომღერალთა (მემუსიკეთა, მომღერალთა, მოცეკვავეთა) მოყვარული, ღვინის მსმელი; ბევრი ჰქონდა საეკლესიო დასახურაე-ჩასაცემელი.

1074 მას ლამესა ფატმან ხათუნ უმასპინძლა მეტად კარგა.  
ყმაძან უძღუნა ძღუნეი ტურფა, მიძღებულთა თქუეს, თუ: „კარგა“.  
ფატმანს მისი მასპინძლობა უღირს, ღმერთო, არ დაკარგა;

და სუეს და ჭამეს, დასანოლად ყმა გავიდა ლამით გარ, გა-

u 1066-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: იმ ლამეს ფატმან ხათუნმა მეტად კარგად უმასპინძლა. მოყმემ ძვირფასი ძღუნეი უძღუნა, ვინც მიიღო, თქვა: „კარგიანო“. ფატმანს მისი (ავთანდილის) მასპინძლობა უღირს (მისთვის სასარგებლოა), ღმერთმანი, არაფერი დაუკარგავს; სევს და ჭამეს, მოყმე ლამით დასანოლად ნავიდა.

1075 დილასა ლარი ყუელია ურუნა, გააჭსნევიან,  
ტურფანი სეფედ გარდასხნეს, ფასიცა დაათულევიან.  
ვაჭართა უთხრა: „ნაილეთ, – აჰკიდა, გააწევიან, –

და თქუნ ვითა გინდა, ვაჭრობდით, ნუ გამამულაენებთ, მე ვინა“.

u 1067-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: გარდასხნეს (გარდასხნა).

პროექტი მიღებულ იქნა. მხოლოდ ს. ცაიშვილს მიაჩნია საჭიროდ გარდასხნა ფორმის აღდგენა. მისი აზრით, სტროფში წარმოდგენილი ყველა ზმნა ავთანდილს გულისხმობს სუბიექტად.

რედაქციის წევრებმა იმსჯელეს სტროფის ბოლო სიტყვის ფორმასა და მნიშვნელობაზე. პროექტის მიხედვით, ვინა = ვინ არის.

ა.ბარამიძეს მიაჩნია, რომ ვინა = ვინაი = სადაური;

ს. ცაიშვილის აზრით, ვინა = ვინ = ვინ ვარ;

გ. კარტოზია შეუძლებლად თვლის ნაცვალსახელთან ემფატიკური ა-ს არსებობას რუსთველის დროისათვის;

ვ. კიკვიძემ აღნიშნა, რომ უხერხულობა სამივე გაგებას ახლავს: „სადაური“ და „ვინ“ უზმნოდ რჩება ფრაზაში, ვინ-ა (ვინ არის) კი უხერხულია მე ნაცვალსახელთან;

შ. ძიძიგურმა აღნიშნა: ვინა „საიდან“, „სადაურის“ მნიშვნელობით „ვეფხისტყაოსნის“ დროს არქაიზმი ჩანს, ვინ ნაცვალსახელზე ემფატიკური ა-ს დართვა ამ დროს ჯერ არ უნდა ყოფილიყო ქართულისათვის დამახასიათებელი.

ს. ცაიშვილის აზრით, ფასიცა დაათულევიან = შეაფასებინა.

ს. შ.: (ავთანდილმა) დილას მთელი საქონელი გაახსნევიან (ვაჭრებს) და ურუნა (ფატმანს), საუკეთესონი მეფისთვის გადადეს, საფასურიც გადაახდევინა. (ავთანდილმა)

ვაჭრებს უთხრა: „ნაიღეთ (საქონელი), – აკიდებინა (ტვირთი), ნააღებინა, – თქვენ, როგორც გინდათ, ივაჭრეთ, მე წუ გამამულავენთ, ვინ ვარ.

**1076** ყმა ვაჭრულად იბოსების, არ ჩაიკუპს არას მისსა.  
ზოგჯერ უქმის ფატმან მისსა, ზოგჯერ იყის ფატმანისსა;  
ერთგან სხდიან, უბნობდიან საუბარსა არა მქისსა;  
და ფატმანს ჰკლვიდეს უმისობა, რამინისა ვითა ვისსა.

უ 1068-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მოყმე ვაჭრულად იბოსება, თავისას არაფერს იკვამს. ზოგჯერ ინვეუდა ფატმანს თავისთან, ზოგჯერ ფატმანთან იყო. ერთად ისხდნენ, სასიამოვნოდ საუბრობდნენ, ფატმანს კლავდა უმისობა (უაეთანდილობა), როგორც ვისსა – ურამინობა.

**1077** სჯობს სიმორე დიაცისა, ვისგან ვითა დათმობის:  
გილიზლებს და შეგიკუთუებს, მიგინდობს და მოგენდობის,  
მართ ანაზდათ გილალატებს, გაპკუეთს, რაცა დაესობის,  
და მოთ დიაცსა სამალაეი არასთანა არ ფხრობის.

უ 1069-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: გ ანაზდათ (ანაზდად). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: უმჯობესია დედაკაცის სიმორე, ვინც როგორ მოითმენს: პირფერად მოგაელერსება და დაგიახლოებს, მიგინდობს და მოგენდობა, უცებ გილალატებს, გაკვეთს (მას), რაც დაესობა, ამიტომ დედაკაცს არავითარი საიდუმლო არ ეთქმის (არ უნდა უთხრა).

## 1979. 26. I

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს: 1078 (პროექტი მოამზადა II ვჯგუფმა); 1079-1083 (პროექტი მოამზადა III ვჯგუფმა).

**1078** ფატმან ხათუნს აეთანდილის გულსა ნდომა შეუვიდა,  
სიყვარული მეტისმეტი მომებატა, ცეცხლებრ სწულიდა.  
დამალვასა ეცდებოდა, მაგრამ ჭირთა ვერ მალვიდა;  
და იტყუის: „რათ ვქმნა, რა მერგებისი“, აწიმიბედა, ცრემლთა ღწირიდა.

უ 1070-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ფატმან ხათუნს აეთანდილის სურვილი გულში ჩაუვარდა, მეტისმეტი სიყვარული მომებატა, ცეცხლივით წაეკვდა. ტანჯვის დაფარვას ცდილობდა, მაგრამ ვერ ფარავდა, ამბობდა: „რა ვქნა, რა მემეველება!“, ცრემლს წვიმასავით აფრქვევდა, ღწირიდა.

**1079** „მომამ უთხრა, ვაჟ თუ განყრეს, შეხედვაცა დამიძირდეს!  
თუ არა ეთქვა, რაგუარ გაესტლო, ცეცხლი უფრო გამისზირდეს.  
ეთქვა და მოკუდუ, ანუ დაურჩე, ერთი რამე გამიძირდეს;  
და მას მკურნალმან რაგუარ ჰკურნოს, თუ არ უთხრას, რაცა სჭირდეს!“

უ 1071-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ა უთხრა (უუთხრა), ვაჟ (ვა).

ი. გიგინეიშვილის წინადადებით ზ-ში თუ არა ვთქვა შეიცვალა ნაკითხვით – თუ არ უთხრა.

ს. შ.: „იქით უთხრა, ვაი თუ გაწყრეს, (მისი) ნახვაც დამიძვირდეს! თუ არ უთხრა, როგორ გავძლო, ცეცხლი უფრო გამიძლიერდება. ვიტყვი და ან მოგვედები, ან გადავრჩები, ერთი რამე გადავინწყდება; მას მკურნალმა როგორ უმკურნალოს, თუ არ ეტყვის, რაც (მას) სჭირს!“

**1080** დანერა წიგნი საბრალო, მის ყმისა მისართმეველი,  
მისისა მოჯნურობისა, მისთა პატიუთა მცნეველი,  
მისთა მსმენელთა გულისა შემძრეველი, შემარხეველი,  
და უსტარი შესანახავი, არ ცუდად დასახეველი.

ა 1072-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ა. ბარამიძე და ი. გიგინეიშვილი გ-ში მხარს უჭერენ შემარხეველ- ფორმას, რომელიც რიგ ხელნაწერშია ( A<sup>7</sup> და C რედაქცია) დაცული.

ს. შ.: დანერა შესაბრალოსი წერილი, იმ მოყმისათვის (აეთანდლისათვის) მისართმევი, თავისი მიჯნურობის, თავის ტანჯვათა შემტყობინებელი, მისი მსმენელების გულის შემძრეველი, შემარხეველი, შესანახი ბარათი, არა ამაოდ დასახევი.

**1080,1** ფატმან არ იცის, აეთანდილ თუ ვისით ცეცხლით მწველია;  
მეფეს მოშორდა გაშზრდელსა, თინათინ ცრემლთა მღვრელია;  
ნესტან-დარეჯანს დაეძებს, ბევრს ჭირთა გარდამწველია;  
და აქა სცნობს მართალს ამბავსა, გაიადვილოს ძნელია.

x 1288 პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ფატმანმა არ იცის, თუ აეთანდილი ვისი ცეცხლით არის დამწვარი; გაშზრდელ მეფეს მოშორდა, თინათინი ცრემლების მღვრელია; ნესტან-დარეჯანს დაეძებს, არის ბევრი ჭირის გადამხდელი; აქ გაიგებს მართალ ამბავს, ძნელს გაიადვილებს.

გ. კარტოზიას და ი. გიგინეიშვილს მიაჩნიათ, რომ გ-ის გადამხდელია-ში ა - პროსოდული ხმოვანია. შესაბამისად, ტაეპის შიგნით მძიმე საჭირო არ არის.

**1081** „პე, მზეო, ლმერთსა ვინათგან მზედ სნადლი დასაბადებლად,  
მით შეგქმნა მოშორებულთა ჭირთა, არ ლხინთა მნადებლად,  
ახლოს შემყრელთა დამწველად, მათად ცეცხლისა მადებლად,  
და მნათობთა, შენი შეხედვა ტკბილად უჩნს, დასაქადებლად.

ა 1073-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ა პე, მზეო (პე მზეო), დ უჩნს (უჩნს). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: „პე, მზეო, ლმერთს ვინაიდან (შენი) მზედ დაბადება უნდოდა, ამიტომ შეგქმნა შენგან დაშორებულთათვის ჭირის და არა ლხინის მოსურნედ, ახლოს მყოფთათვის (კი) - დამწველად, მათთვის ცეცხლის მომდებლად, მნათობებს შენი შეხედვა სასიამოვნოდ, საკეცხნად მიაჩნიათ.

**1082** შენ გტრფიალობენ მჭურეტელნი, შენთვის საბრალოდ ბნდებიან,  
ვარდი ხარ, მიკურის, ბულბულნი რად არ შენზედა კრფებიან!  
შენი შუენება ყუავილთა აჭნობს, ჩეშნიცა ყნებიან,  
და სრულად დამწვარვარ, თუ შვისა შუენი არ მომესწრებიან.

ა 1074-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: შენ გეტყვითან მჭვრეტელნი, შენ გამო შესაბრალოსად იბნიდებიან. ვარდი ხარ, მიკვირს, ბულბულები შენს გარშემო რატომ არ იკრიბებიანი შენი მშვენება ყვაილებს აჭკნობს, ჩემი (ყვაილებიც) ჭკნება, სულ დავიწვები, თუ მზის შუქი არ მომისწრება.

**1083** ღმერთი მყავს მონადა, ვიშიში თქვენსა ამისა თხრობასა,  
მაგრამ რა ვორგო დღეკრულმან, სრულად გაეპყრივარ თობასა!  
გული ვერ გასძლებს ნადაგა შავთა ნაშნაშთა სობასა,  
და თუ რას მენევი, მენი, თუარა მიეპქვები ცნობასა!

U 1075-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: დ მიეპქვები (მიეხდები). პროექტი მიღებულ იქნა.

გ. კარტოზიას აზრით, ბ-ში უფრო მართებულია ნაკითხვა: სრულად გაყრილვარ თობასა.

ს. შ.: ღმერთია მონაშე, ვიშობ, თქვენთვის ამის თქმას, მაგრამ (თავს) რა ვუშველო დღეკრულმა, სრულად დამკარგვია მოთმინება! გული ვერ გაუძლებს მუდამ შავი ნაშნაშების დასობას, თუ რამეს მომეხმარები, მომეხმარე, თორემ გონებას ვკარგავ!

## 1979. 2. II

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს: 1084-1088 (პროექტი მოამზადა III ჯგუფმა).

**1084** მე ვირე ამა წიგნისა პასუხი მომივიდოდეს,  
ვცნობდე, გინდოდე საკლავად, ან ჩემი რა გაგიდოდეს,  
მუნამდის გავსძლო სულთა დგმა, გული რა ზომცა მტკიოდეს,  
და სიცოცხლე ანუ სიკუდილი გარდმინყდეს, ნეტარძი, ოდესი!"

U 1076-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მე ვიდრე ამ წერილის პასუხი მომივიდოდეს, შეეიტყობდე, მოსაკლავად გინდივარ ან ჩემი (ამბავი) გენაღვლება, მანამდე (როგორმე) ვიცოცხლებ, რაც უნდა გული მტკიოდეს, სიცოცხლე ან სიკუდილი ნეტავი როდის გადამინყდება!"

**1085** ფატმან ხათუნ დანერა და გაუგზავნა წიგნი მისი.  
ყმამან ასრე ნაკითხა, და ვინმეა ანუ თუისი;  
თქვა: „არ იცის გული ჩემი, ვინ მაშკობს, ვისსა ვისი,  
და რომე მიმიჩს სამიჯნურო, რათ ვამსგავსო მე მას ისი!"

U 1077-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

დ-ში მიმიჩს შეიცვალა მიმიჩნს ფორმით. ა. ბარამიძე მხარს უჭერს ნაკითხვას სამიჯნუროდ. სხვები – პროექტის ნაკითხვას (სამიჯნურო).

ი. გიგინეიშვილს მიაჩნია, რომ უნდა: რად ვამსგავსო (რატომ და არა როგორ).

ს. ცაიშვილიც, ხელნაწერთა ერთი რიგის ჩვენებაზე დაყრდნობით, მხარს უჭერს რად ფორმას.

რედაქციის დანარჩენი წევრები ფიქრობენ, რომ რათ (=რით, როგორ) ამ კონტექსტში სავსებით ბუნებრივია, თანაც რათ > რად უფრო გასაგები ცვლილებაა, ვიდრე რად > რათ.

დაადგინეს: დარჩეს ნაკითხვა რათ ვამსგავსო.

ს. შ.: ფატმან ხათუნმა დანერა და გაუგზავნა თავისი წერილი. მოყვამ (ავთანდილმა) ისე ნაკითხვა, თითქოს დის ან ნათესავის წერილი იყო; თქვა: „არ იცის ჩემი გულის ამბავი, ვინ მუაშიკება, ვის (ამიკს) ვისი (ამიკი), მე რომ მყავს მიჯნური, როგორ შევადარო მას (=თინათინს) ის (=ფატმანს).“

**1086** თქვა: „ყუაგი ვარდსა რას აქნეს ანუ რა მისი ფერია!  
მაგრა მას ზედა ბულბულსა ჯერო ტკბილად არ უმღერია.

უმსგავსო საქმე ყოველი მოკლეა, მით ოქერია.  
და რა უთქვამს, რა მოუჩმახავს, რა წიგნი მოუწერია!“

უ 1078-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: თქვა: „ყვავს ვარდი რად უნდა ან რა მისი შესაფერია! მაგრამ მასზე ბულბულს ჯერ ტკბილად არ უმღერია. ყველა შეუფერებელი საქმე დღემოკლეა, ამიტომაც ცუდი. რა უთქვამს, რა შეუთხზავს, რა წერილი მოუწერია!“

**1087** ესეგუარი საზრახავი დაუზრახა გულსა შინა;  
მერმე ოცყუის: „ჩემგან კიდე ჩემი შემწე არავინა;  
რასათუისცა გამოუჭრილვარ, მისი ტებნა რათგან მინა,  
და რათამცა ვით ვაპოვებ, მას ვოქ, გულმან სხუამცა რა ისმინა!

უ 1079-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: დ ვიქ (ვიქმ).

ა. ბარამიძის წინადადებით დ-ში რათამცა შეიცვალა რათაცა ფორმით. პროექტი ამ ნაკითხვით მიღებულ იქნა.

ს. შ.: ასეთი საყვედური გულში უთხრა (ფატმანს); მერმე თქვა: „ჩემ გარდა ჩემი დამხმარე არავინა; რისთვისაც გამოუჭრილვარ, მისი ტებნა რადგანაც განმიზრახავს, რითაც და როგორ ვაპოვი, მას ვიზამ, გულმა სხვა რა შეისმინოს!“

**1088** ისი დიაცი აქ ზის, კაცთა მნახავი მრავალთა,  
მოსადგურე და მოყუარე მგზავრთა, ყოველგნით მავალთა;  
მიეყვე, მიამბობს ყუელასა, რაზომცა ცეცხლი მწუაე ალთა,  
და ნუთუ რა მარგოს, მე მისი გარდაჯდა ჩემგან ვცნა ვალთა“.

უ 1080-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

რედაქციის ნეურებმა იმსჯელეს გ-ის ნაკითხვაზე – ცეცხლი მწუაე ალთა.

ი. გიგინეიშვილი მოითხოვს, რომ გასწორდეს: რაზომცა ცეცხლი მწუაეს ალთა.

ც. კიკვიძეს და გ. კარტოზიას გასწორება მოუღებლად მიაჩნიათ, რადგან რითმა ძლიერ ირღვევა. გ. კარტოზიას აზრით, მწუაე (=მწვავს) დიალექტიზმი უნდა იყოს.

ს. ცაიშვილიც მხარს უჭერს მწუაე ფორმას, ოღონდ მიზანშეწონილად მიაჩნია პოემის მასობრივ გამოცემაში ს უფიქსი ფრჩხილებში დაიბეჭდოს: მწვავ(ს) ალთა.

დაადგინეს: დარჩეს პროექტის ნაკითხვა: რაზომცა ცეცხლი მწუაე ალთა.

ს. შ.: ის დედაკაცი აქ ზის, მნახავი მრავალ კაცთა, ყველა მხრიდან მომავალი მგზავრების მასპინძელი და მოყვარული; ცეცხლმა როგორ უნდა დამწვას, (მის ნებას) მიეყვები, მიამბობს ყველაფერს, ეგებ რამე მიშველოს, მისი ვალი ჩემგან გადახდილად ჩავთვალო“.

სხდომას დაეხსრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, ც. კოკიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს: 1089; 1090 (პროექტი მოაშზადა III ჯგუფმა); 1091-1094 (პროექტი მოაშზადა II ჯგუფმა).

**1089** თქვა: „დედაცა ვინცა უყუარს, გაუქვის და მისცემს გულსა, აუგი და მოყენება არად შესწონს ყოლა კრულსა; რაცა იცის, გაუცხადებს, ხუაშიდსა უთხრობს სრულსა, და მოჯობს, მიეპყვე, განლა სადმე ვსცნობს საქმესა დამალულსა“.

უ 1081-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა. სტროფის შინაარსი: თქვა: „დედაკაცს ვინც უყვარს, შეეჩვევა (დაუახლოვდება) და გულს გადაუშლის, აუგი და შერცხვენა სრულებით არაფრად მიაჩნია წყუელს; რაც იცის, გაუმხელს, მთელ გულსინადებს უამბობს, მიეჯობს, მის ნებას მიეყვე, იქნებ შევიტყო საიდუმლო საქმე“.

**1090** კულა იტყვის: „ვერვინ ვერას იქს, თუ ეტლი არ მოსთმინდების; მით რაცა მინდა, არა მაქვს, რაცა მაქვს, არ მომინდების; ბინდის გუარია სოფელი, ესე თურ ამაღ ბინდების, და კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე ნარმოდინდების“.

უ 1082-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: იქს (იქმს). პროექტი მიღებულ იქნა. ს. შ.: კელავ ამბობს: „ვერაინ ვერაფერს იზამს, თუ ბედი უმუხთილებს; ამიტომ, რაც მინდა, არა მაქვს, რაც მაქვს, არ მინდა; ბინდისგვარია წუთისოფელი, თურმე (ყველაფერი) ამიტომ ბინდდება; კოკაში რაც დგას, იგივე გადმოიღვრება“.

**1091** მოუნერა: „ნავიკითხე შენი წიგნი, ჩემი ქება. შენ მომასნარ, თუარა შენგან მე უფრო მჭირს ცეცხლთა დება; შენცა გინდა, მეცა მინდა გაუწყუდელად შენი ხლება, და შეყრა არის პირიანი, ორთავეა რათგან ნება“.

უ 1083-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა. ს. შ.: მისნერა: „ნავიკითხე შენი წერილი, ჩემი ქება. შენ დამასნარი, თორემ შენზე უფრო მე მედება (სიყვარულის) ცეცხლი; შენც გინდა, მეც მინდა მუდმივად ერთად ყოფნა; (ჩვენი) შეყრა სამართლიანია, რადგან ორივეს ნებაა“.

**1092** ფატმანისსა ვერ გაამბობ, მოუმატა რა სიამე! მოუნერა: „კმარის, რაცა უშენომან ცრემლი ვლამე, ან ვიქმნები თავის ნინა, აქს მოვე მარტო სამე, და მომისწრაფე შეყრა შენი, რა შელამდეს, მოდი ლამე“.

უ 1084-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა. ს. შ.: ვერ გეტყვი ფატმანის (ამბავს), რა სიამოვნება მოემატა! მისნერა: „კმარა, რაც უშენოდ მყოფმა ცრემლი ვღვარე, ახლა მარტო ვიქნები, აქ მოპვე სადმე მყოფი, დამიჩქარე შენთან შეხედრა, რომ შელამდება, მოდი ლამით“.

**1093** მას ლამითვე სანუეველი რა მიართუეს წიგნი ყმასა, შელამდა და ნა-ცა-უიდა; სხუა ემთხუთა მონა გზასა; „ამას ლამე ნუ მოხუალო, ვერა მოკვებ შენთვის შხასა“.

და მას ეწყინა, არ დაბრუნდა, თქვა: „პგავესო ევე რასა!“  
u 1085-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.  
ს. შ.: იმვე ღამით მისანვევი წერილი რომ მიართევს მოყმეს, შეღამდა და ნავიდა  
კოდეც. გზაში (ფატმანის) სხვა მონა შეხვდა: „ამალამ ნუ მოხვალ, ვერ მნახავ შენთვის მზად  
მყოფს“. (ავთანდილს) ეწყინა, არ დაბრუნდა, თქვა: „ეს რას პგავესო“.

**1094** წვეული აღარ დაბრუნდა კულა ზევე უკუნევეთა.  
ფატმან ზის წყნით, შევიდა ავთანდილ მარტო ხე ვითა,  
დაცსა წყენა შეატყუა, ნახა შესლეთა, შუ, ვითა,  
და ვერ დაიჩინა შიშითა და მისითავე თნევეთა.

u 1086-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.  
იე. გიგინეიშვილის წინადადებით რედაქციამ მეორე ტაეში მიიღო ალ.  
ჭინჭარაულის წაკითხვა მარტოხე (=ლაღად ნაზარდი ხე). პროექტი ამ ცვლილებით  
მიღებულ იქნა.

ს. შ.: მინეული უკან აღარ გაბრუნდა, (თუმც) ნევეაზე უარი ეთქვა: ფატმანი ნანყენი  
ზის, ავთანდილი შევიდა როგორც მარტოხე (ცალკე ლაღად ნაზარდი ხე), ქალმა შესული  
რომ ნახა, (ავთანდილმა) მას წყენა შეატყო, (მაგრამ) ვერ დაიმჩნია მისივე  
(=ავთანდილისავე) შიშით და სიყვარულით.

## 1979. 16. II

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი,  
ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს: 1095-1999 (პროექტი მოამზადა II ჯგუფმა).

**1095** ერთგან დასხდეს და დაინყეს კოცნა, ლაღობა წყლიანი;  
შემოდგა კარსა ყმა ვინმე კელუცი, ტანნაკუთიანი,  
შემოვლო ახლოს, შემოჰყვა მონა ჯრმალდარაკიანი.  
და დაჰკრთა, რა ნახა ავთანდილ: „პგავესო, თუ გზაა კლდიანი“.

u 1087-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: დ-ის მეორე ნახევარი პრჭყალებშია  
ჩასმული. პროექტი მიღებულ იქნა.

დ-ში ავთანდილ პროექტის მიხედვით სახელობითად არის გაგებული (რა ნახა  
ავთანდილ=ავთანდილი რომ დაინახა). რედაქციამ კი მოთხრობითად მიიჩნია: ავთანდილმა  
რომ დაინახა, შეკრთა (ც. კიკვიძე მხარს უჭერს პროექტისეულ გაგებას).

ს. შ.: ერთად დასხდნენ და დაინყეს კოცნა და საამო აღერსი; კარზე შემოდგა ვიღაც  
მოხდენილი, ტანადი მოყმე, ახლოს მოვიდა, შემოჰყვა ფარხმალისანი მონა, ავთანდილმა  
რომ დაინახა, შეკრთა (იფიქრა), „ეყოზა, გზა კლდიანიო (=სახიფათოოო“).

**1096** ფატმან რა ნახა, შუშინდა, ძრწის და მიეცა ძრწოლასა.  
მან გაკურვებით უჭურიტა მათსა ლაღობა-წოლასა;  
უთხრა: „არ გიშლი, დიაცო, ფერთა მი და მო კრთოლასა,  
და გამთენდების, განანებ მაგა მოყმისა ყოლასა!

u 1088-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ფატმანმა რომ დაინახა, შეშინდა, ძრწოლა დაიწყო. მან (მოყვამ) გაკვირებით უყურა მათ (ფატმანისა და ავთანდილის) ალერსს; უთხრა: „არ გიშლი, დიაცო, ფერების კრომას (ტრფიალს), გამითენდება, განანებ მაგ მოყმის ყოლას!“

**1097** გამკიცხე, ბოზო დიაცო, და დამდევე გასათრეველად, მაგრა სცნობ ხეაღე პასუხსა მაგა საქმისა შზღვეველად, ეარ შენთა შვილთა შენითა კბლითა დამაჭმეველად, და დაეშალო, წურთა ფუ მიყავ, ხელილა ვრბოდე მე ელადა!“

უ 1089-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: შურა/ცხმყავ, ბოზო დიაცო, და სამასხაროდ გამზადე, მაგრამ ხეაღე გაიგებე პასუხს მაგ საქმის საზღვეველად: შენს შვილებს შენივე კბლით დაგაჭმევინებ, თუ არ შევასრულო, წერებზე მომაფურთხე, გახელებული დავრბოდე ელადა!“

**1098** ესე თქვა და კაცმან წურთა მოიზინა, გავლნა კარნი; ფატმან შექმნა თავსა ცემა, ლანწნი ესხნეს ნახოკარნი; ცრემლთა მისთა შეყარნეს, წყაროსაებრ ისმნეს წყარნი; და თქვა: „დამქოლეთ, მოდის, ქეთი, მომადეგით მომაკარნი!“

უ 1090-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: გ შეყარნეს, (მონაღვართა).

პროექტი მიღებულ იქნა. შ-ის ბოლოს ნერტილ-მძიმის ნაცელად დაისვას მძიმე.

ს. შ.: კაცმა ეს თქვა და წერები მოიზინა, კარი გაელო (გავიდა); ფატმანმა დაიწყო თავში ცემა, ლანწნი დაიკანრა, (ლანწებიდან ჩამონადენი სისხლი) მის ცრემლებს შეურთდა, წყაროსავით გაისმა წყანწკარი; თქვა. „მოდით, ქეთი ჩამქოლეთ, გარს მომადეგით (ქვის) დამკვრელები!“

**1099** მოსთქვამს: „მოეკალ, შაჰაჰი, ქმარი, ამოესწყვიდენ წურთა შვილნი, იავარყავ საქონელი, უსახონი თუაღნი თლიღნი, იავეყარე საყარელთა, ეაჰ გამზრდელნი, ეაჰ გაზრდიღნი და ბოლოდ ვექმენ თავსა ჩემსა, სიტყუანთა ჩემნი წიღნი“.

უ 1091-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ა შაჰაჰი (შაი), ამოესწყვიდენ (ამოესწყვიდენ), გ ეაჰ (ეა), დ თავსა (სახლსა).

გ-ში რედაქციამ აღადგინა ნაკითხვა სახლსა (წინააღმდეგი (ც.კიკვიძე). პროექტი ამ ცვლილებით მიღებულ იქნა.

ს. შ.: მოსთქვამს: „შაჰაჰი, მოეკალი ქმარი, ამოესწყვიტე მცირეწლოვანი შვილები, ოხრად ვექციე ქონება, უმაგალითო თლილი თელები (=ძვირფასი ქვები), მოეშორდი მახლობლებს, ეაი, გამზრდელები, ეაი, გაზრდილები! ჩემი ოჯახის დამლაშეველი გაეხდი, ამაოა ჩემი სიტყვები“.

## 1979. 23. II

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს: 1100 – 1102 (პროექტი მოამზადა II ჯგუფმა); 1103 – 1105 (პროექტი მოამზადა III ჯგუფმა).

**1100** ამას ყრელასა ავთანდილ ისმენდა გაცუნევებული;



უბრძანა: „რა გჭირს, რას იტყვი, რასთვის ხარ აგრე ვებული?  
რას დაგვება იგი ყმა, რა ნახა შენგან კლებული?

და დადუმი, მითხარ, ვინ იყო ანუ რად საქმედ რებული?“

1092-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ამას ყველაფერს ავთანდილი გაოგნებული ისმენდა; უთხრა: „რა გჭირს, რას ამბობ, ასე რატომ ვაბ? რას დაგემუქრა, ის მოყმე, რა დაუშავე (რა დააკელი)?  
დაძმვიდდი, მითხარი, ვინ იყო ან რა საქმისთვის (იყო) მოსული?

1101 დიაცმან უთხრა: „ჰე, ლომო, ხელი ვარ ცრემლთა დენითა,  
ნურას ნუ მკითხავ ამბავსა, ვერცა რას გითხრობ ენითა;  
დაჯოცენ შეილინი ჯელითა, მით ვარ აღარას ღსენითა.

და თავი მოვიკალ უთმინოდ სიყვარულითა შენითა.

1093-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ა ჰე, ლომო (ჰე ლომო), პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ქალმა უთხრა: „ჰე, ლომო, გახელებული ვარ ცრემლის დენით, ნურაფერს მკითხავ, ვერც ვერაფერს გეტყვი, შეილები (ჩემივე) ხელით დავბოცე, ამიტომ არაფერი მახარებს. თავი მოვიკალი მოუთმენლად შენი სიყვარულით.

1102 ესეგუარი დია მიხუდეს სიტყუამცთარსა, ენამეტსა,  
ხუამადთა ვერმალაესა, უჭკოსა, შმაგსა, რეტსა;  
ვაგლახითა მენიენით, გეტყვი ყოელსა ჩემსა მჭურეტსა,  
და მკურნალმანცა ვერა მკურნოს თავისისა სისხლის მჭურეტსა.

1094-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ამისთანა (საქმე) ბევრი შეხვდება ყბედს, ენაგრძელს, საიდუმლოს ვერშემნახავს, უჭკოს, შმაგს, რეტიანს; ვაგლახით (წუხილით) დამეხმარეთ (=მითანაგრძნეთ), გუებნებით ყველა ჩემს მჭურეტელს, მკურნალიც ვერ განკურნავს თავისი სისხლის მსმელს.

1103 ორისაგან ერთი ქმენით, ამის მეტსა ნურას ღამით;  
მოვითა-ქლაე იმას კაცსა, ნადი, მოკალ მალვით ღამით,  
მე და სრულად სახლი ჩემი დაჯოცასა დაჯოცენ ამით!

და მოხუალ, გითხრობ ყუნელასა, მოვით-გითხრა ცრემლთა ღამით.

1095-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ორიდან ერთი გააკეთეთ, ამის მეტს ნურაფერს ეცდებით: თუ როგორმე იმ კაცს მოკლავ, ნადი, ღამით მალულად მოკალი, მე და მთელი ჩემი ოჯახი ამით დახოცვას გადაგვარჩინე რომ მოხვალ, ყველაფერს გეტყვი როგორმე ცრემლების ღვრით.

1104 თუარა ღამითვე ტურთები შენი ნაილე ვირითა,  
დააგდე ჩემი მიდამო, სრულად მიკრიფე, მო, რითა.  
ვეჭუ, რომე ჩემთა ცოდვათა შენცა აგავსონ ჭირითა,  
და თუ დარბაზს მივა იგი ყმა, შეილთა დამაჭმევს პირითა“.

1096-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: თუ არა, (მაშინ) ღამითვე შენი ბარგი ნაილე ვირით; დატოვე ჩემი მიდამო, ყველაფერი გაკრიფე, რითაც გინდა. ვფიქრობ, რომ ჩემი ცოდვები შენც აგავსებს ჭირით, თუ სასახლეში (სამეფო კარზე) მივიდა ის მოყმე, შეილებს დამაჭმევინებს“.

**1105** რა ესე ესმა ავთანდილს ლალსა, ზუნებაზიარსა,  
ადგა და ლახტი აიღო, რა ტურფა რამე მწენ არსა!  
„ამა საქმისა ვერცნობა, – თქუა, – ჩემი სიძუნტე არსა“.  
და ნუ ეჭუ სულდგმულსა მისებრსა, სხუა არცა მისებრი არსა!

უ 1097-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ეს რომ გაიგონა ამაყმა და დიდბუნებოვანმა ავთანდილმა, ადგა და ლახტი აიღო, რა ტურფა რამე მწენა! „ამ საქმის ვერშეტყობა, თქვა, – ჩემი უნიათობაა“. ნუ გგონია, რომ მისი მსგავსი ძეხორციელი იყოს, სხვა იმისთანა არავინაა.

## 1979. 2. III

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.  
განიხილეს: 1106-1112 (პროექტი მოამზადა III ვჯგუფმა).

**1106** ფატმანს უთხრა: „კაცი მომეც მასწავლებლად, წინამძღუარად,  
გზასა მართლად წამიყვანოს, თუარა მებულად მინდა არად;  
იმა კაცსა ვერა ეხედავ მეომრად და ჩემად დარად,  
და რაცა უყო, მოგაქსენებ, მომიცადე, იყავ წყნარად“.

უ 1098-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: უყო (უყო).

ა. ბარამიძე გ-ში ნაცვლად წაკითხვისა შემომრად და ჩემად დარად უმჯობესია რიგ ხელნაწერში დაცული წაკითხვა: მეომრად ჩემად დარად. ტაუპის აზრია: ის კაცი ჩემდაგვარ მეომრად არ მიმჩნია.

ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი იზიარებენ ამ მოსაზრებას. ე. მეტრეველის აზრით, მეომრად ჩემად დარად შინაგანი რითმის თვალსაზრისითაც უკეთესი წაკითხვაა. ს. ცაიშვილმა აღნიშნა, რომ ეს უკანასკნელი წაკითხვა ოთხივე რედაქციის ნუსხებში გვაქვს, მაშინ როცა მეორე წაკითხვას მხოლოდ სამი (AB D) რედაქცია იცნობს.

ც. კიკვიძეს მიაჩნია, რომ ანგარიშგასაწევი A და D რედაქციის უძველესი ხელნაწერების ( $A^2 D^1 D^2$ ) ჩვენება, რაც პროექტის წაკითხვას უჭერს მხარს.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს წაკითხვა: მეომრად ჩემად დარად.

ს. შ.: ფატმანს უთხრა: „კაცი მომეცი (გზის) მასწავლებლად, მეგ ზურად, (რომ) სწორ გზაზე წამიყვანოს, თორემ დაშხმარედ არაფრად მინდა; ის კაცი არ მიმჩნია ჩემდაგვარ მეომრად, რასაც ვუზამ, გიამბობ, მომიცადე, მშვიდად იყავი“.

**1107** მას მისცა მონა დიაცმან წინამძღუარად, ნაუცა-მყვანულად,  
კულავე შეჰყილა: „ვინათგან ცეცხლი ან ცხელია წელად,  
თუ მოუთია-ქელა იგი ყმად ჩემად გულისა მგზანულად,  
და ბეჭედი ჩემი აცუთია, მას გვედრებ მოსატანულად“.

უ 1099-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ი. გიგინეიშვილი ბ-ის ცხელია-ში ბოლოკიდური ა (მშველი ზმნა) ცალკე უნდა გამოიყოს: ცეცხლი ან ცხელი ა წელად. ასე აჯობებს როგორც ლექსთწყობის

თვალსაზრისით (ნახევარტაეპში მარცვალთა ბუნებრივ განაწილებას მივიღებთ), ისე შინაარსობრივად (მეშველი ზმნა ნელად სიტყვას დაუკავშირდება).

გ. კარტოზია: მეშველი ზმნის გამოყოფა წინა სიტყვისაგან და მომდევნო სიტყვისთვის მიკუთვნება გაუმართლებლად მიმაჩნია. ტაეპის მეორე ნახევარში მარცვალთა ასეთი განაწილება (3 3 2) პოემში სხვაგანაც დასტურდება. ამასთან პროექტის ნაკითხვა არ გამოორიცხავს მეშველი ზმნის აზრობრივ კავშირს ნელად სიტყვასთან. ცეცხლი ან ცხელია ნელად = ახლა ცხელი ცეცხლი ნელად არის (განელებულია). შდრ. მსგავსი შემთხვევები მეშველი ზმნის სხვა სიტყვასთან ხმარებისა: შენგან ჩვენია მზე ბნელი (12684) = შენგან ჩვენი მზე ბნელია. ჩემი ჩემთვის სიცოცხლეა სანანელი (909) = ჩემთვის ჩემი სიცოცხლე სანანელია.

დაადგინეს: მიღებულ იქნას ნაკითხვა: ცეცხლი ან ცხელი ა ნელად (წინააღმდეგი – გ. კარტოზია).

ი. გიგინეიშვილი: ბ-შივე შეჰყვილას-ს ნაცვლად უფრო მართებული ჩანს რიგი ხელნაწერისა და გამოცემის ნაკითხვა -მიჰყვილა.

დაადგინეს: დარჩეს შეჰყვილა (წინააღმდეგი – ი. გიგინეიშვილი, ე. მეტრეველი).

ს. შ.: მას (ავთანდილს) დედაკაცმა (ფატმანმა) მონა მისცა მეგზურად, წამყვანად, კიდევ მიაძახა: „რადგან ახლა ცხელი ცეცხლი განელებულია, თუ როგორმე მოკლა ის მოყმე ჩემი გულის მოსაფხანად, ჩემი ბეჭედი აცვია (თითზე), მის მოტანას გევედრები.“

1108 ავთანდილ გავლო ქალაქი მით უებროთა ტანითა;  
ზღვის პირსა სახლი ნაგები დგა ქეთია წითელ-შუქანითა,  
ქვეშეთ კენ სრითა ტურფითა, კულა ზედათ ბანისბანითა,  
და დიდროვანითა ტურფითა, მრავლითა თანისთანითა.

უ 1100-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ი. გიგინეიშვილის წინადადებით დ-ში ყველა სიტყვა ერთგვაროვან მსაზღვრელად იქნა გაგებული და დამატებით ორი მძიმე დაისვა: დიდროვანითა, ტურფითა, მრავლითა, თანისთანითა, პროექტი ამ ცვლილებით მიღებულ იქნა.

ს. შ.: უებროდ ტანადმა ავთანდილმა გაიარა ქალაქი, ზღვის პირას იდგა წითელ-მწვანე ქეთი ნაგები სახლი, ქვეშეთ ლამაზი დარბაზით, ზემოთ კი ბანებით, დიდროვანებით, ლამაზებით, მრავლით, ერთმანეთზე მიჯრილ-მინყობილით.

1109 მუნ მიჰყავს პირშზე ავთანდილ მას, მისსა წინამძღომელსა;  
წამდაბლად ჰკადრებს: „ისია სრა მისი, ექებ რომელსა“.  
ურუნებს, ეტყუის: „ხედაო ბანსა ზე და ქუე მდგომელსა?  
და იქი წევს ძილად, იცოდი, ანუ ქუე ჰპოვებ მჯდომელსა“.

უ 1101-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: იქ მიჰყავს პირშზე ავთანდილი მის მეგზურს; ხმადაბლა ეუბნება: „ისაა მისი სასახლე, რომელსაც ექებ“. ურუნებს, ეუბნება: „ხედავო ერთმანეთზე მდგომ ბანებს? მას იქ სძინავს, იცოდე, ან მჯდომარეს ნახაე“.

1110 კარსა წინა დარაჯანი ორნი უწევს მას, გლახ, ყმასა.  
ყმა გავიდა, გაეპარა, დააგდებდეს ვირე წმასა,  
თუთოთ ჳელი ყელსა მიჰყო, მუნვე მისცა სულთა ჳდასა,  
და თავი თავსა შუეტაკა, გაურია ტუნი თმასა.

უ 1102-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: იმ მოყმეს კარის წინ ორი დარაჯი უნვა. მოყმე (ავთანდილი) გავიდა, გაეპარა (დარაჯებს), ვიდრე ხმაურს ატეხდნენ, თითო ხელით ყელში სწვდა (ორივეს), მაშინვე სული ამოხადა, თავი თავს შეუტაკა, ტვინი თმაში გაურია.

1111 იგი ყმა სანოლს მარტო წვა გულითა ჯაფრიანითა;  
წელსისხლიანი ავთანდილ მედგა ტანითა ჯანითა;  
ველარ აესწრა, იდუმალ მოკლა, ვერცა თუ ვცანიოთ,  
და წელი მოჰკიდა, მიწასა დაასკუნა, დაკლა დანითა.

პ 1103-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის, პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ის მოყმე სანოლში მარტო ინვა გულუჯაფრიანი; ჯანლონით საესე ხელსისხლიანი ავთანდილი შევიდა; ველარ აასწრო (მწოლარემ), ჩუმად მოკლა (ავთანდილმა), ვერც კი გავიგეთ, ხელი მოჰკიდა, მიწას დაანყვიტა, დანით დაკლა.

1112 მჭერეტელთა მზე და მებრძოლთა მწეცი და ვითა ზარია.  
ბეჭდიოთურთ თითი მოჰკუნეთა, ქუესკნულს მიწათა გარია,  
ზღვისაკენ სარკმლით გასტყორცა, ზღუისა ქვიშათა დარია,  
და მისთვის არღაცა სამარე, არცა სათხარად ბარია.

პ 1104-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: რედაქციამ გ-ში ზღუისაკენ შეცვალა ზღუათაკენ ფორმით, პროექტი ამ ცვლილებით მიღებულ იქნა.

ს. შ.: (ავთანდილი) მჭერეტელთათვის მზეა და მონინაალმდეგეთათვის – თავზარდამცემი მზეცი. ბეჭდიანი თითი მოჰკვეთა, ქუესკნულს მიწაში გაურია, სარკმლიდან ზღვისკენ გასტყორცნა, ზღვის ქვიშას შეურია, მისთვის აღარც სამარეა, არც (სამარის) სათხრელი ბარი.

### 1979. 16. III

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს: 1112,1-1114,1 (პროექტი მოამზადა III ჯგუფმა); 1115-1118 (პროექტი მოამზადა II ჯგუფმა).

1112,1 უყურეთ ბოხსა დიაცსა და ეშმაკისა ბადესა:  
აქ ქაშნაგირი უბრალოდ მოკლეს, ლახუარსა აგესა,  
დაკარგეს სულით და წორცია, ზღუამიგან გარდააგესა,  
და თითი მოჰკუნეთეს ბეჭდიოთურთ, იგ დანა არ ჩააგესა.

პ 1301-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ბ-ის ბოლოს ნერტილ-მძიმის ნაცვლად მძიმეა დასმული. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: შეხედეთ ბოხ დედაკაცს და ეშმაკის ბადეს: აქ ქაშნაგირი უდანაშაულოდ მოკლეს, ლახვარზე ააგეს, სულხორციანად დაკარგეს, ზღვაში გადააგდეს, თითი მოჰკვეთეს ბეჭდიანად, ის დანა არ ჩააგეს (ქარქაშში).

1113 ჳმა მათისა და წოცისა არ გაისმა არსით არა.  
ნამოვიდა ვარდი ტკბილი, რასამცა ვით გაეშწარა!  
ესე მიკურის, სისხლი მათი ასრე ვითა მოიპარა!  
და რომე წელან ნამოველო, გზა იგივეა ნაიარა.

პ 1105-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მათი დახოცვის ამბავი არავის გაუგია. ნამოვიდა ტკბილი ვარდი (=ავთანდილი), რას უნდა გაემნარებინა! ეს მიკვირს, ასე ჩუმად როგორ დახოცა ისინი! ნელან რომ გამოეცლო იგივე გზა გაიარა.

1114 რა ფატმანისა შევიდა ლომი, მზე, მოყმე წყლიანი,  
ურძანა: „მოვკალ, მან ყმამან დღე ველარ ნახოს მზიანი,  
თუთი მონა შენი მონმად მყავს, ფიცე აფიცე ღმრთიანი,  
და აპა თითი და ბეჭედი, და დანა მატეს სისხლიანი.

u 1106-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ფატმანთან რომ შევიდა ლომი, მზე, მომზობლავი მოყმე (ავთანდილდი), უთხრა: „მოვკალ, ის მოყმე მზიან დღეს ველარ ნახავს, თვით შენი მონა მონმედ მყავს, (თუ გინდა) ღმერთი დააფიცე, აპა თითი და ბეჭედი, დანაც მატეს სისხლიანი.

1114,1 ესე ფატმან მოისმინა, გაუკუირდა მეტად დია,  
ფერჯთა კოცნად ეხევიდა პირსა ტკბილად შემხედია;  
„განალამცა გამისრულე, ლომო, რაცა მიქაღია,  
და ან შექადდეს იგი მოყმე, მკუდარი ზღვათკენ გაგიგდია“.

x 1303<sup>1</sup>-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ბ ეხევიდა პირსა ტკბილად შემხედია (ეხევიდა, პირსა ტკბილად შემხედი ა), გ განალამცა (გალანამცა), დ ზღვათკენ (ზღვისკენ).

რედაქციამ ბ-ში აღადგინა მძიმე. შემხედია ჩათვლილ იქნა შედგენილ შემასმენლად (=შემხედი არის). ც. კიკვიძის აზრით, შემხედია-ში ა პროსოდოული ხმოვანია და, ამდენად, ტაქტის შიგნით მძიმე საჭირო არ არის. სტროფის ბოლოს დაისვა ძახილის ნიშანი. პროექტი ამ ცვლილებით მიღებულ იქნა.

ს. შ.: ეს ფატმანმა მოსმინა, მეტად დიდად გაუკვირდა, ფეხებზე საკოცნელად ეხცევიდა, სახეზე ტკბილად შესცქეროდა; „ნამდვილად შემისრულე, ლომო, რასაც დამპირდი, ახლა დამექადოს ის მოყმე, მკუდარი ზღვისაკენ გადაგიგდია!“

1115 ან მითხარ, თუ: რას იტყოდი, რას გაშმაგდი ისრე რეტად?  
რას გექადდა ისი კაცი? შესწრაფების მეტისმეტად“.

ფატმან ფერჯთა მოესხია: „არ ღირს ვარო პირსა ქურეტად,  
და გამიმთელდა გული წყლული, აწყა დაეჯე ცეცხლთა შრეტად.

u 1107-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ახლა მითხარი: რას ამბობდი, რატომ გაშმაგდი ისე გონდაკარგულივით? რას გეპუქრებოდა ის კაცი? ძალიან ვისწრაფი (გავიგო)“. ფატმანი ფეხებზე მოესხია: „ღირსი არა ვარ სახეზე გიყურო, დაჭრილი გული მომირჩა, ახალა ვერეტ (ტანჯვის) ცეცხლს.

1116 მე და უსენი შეილითურთ ან ახლად დავიბადენით;  
ლომო, ქებანი შენნიმცა ჩუენ ვითა ვადიადენით!  
ვინათგან სისხლთა იმისთა დაღურევა დაეიქადენით,  
და თავითგან გითხრობ ყუელასა, თქუნ სმენად დაეზადენით“.

u 1108-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: გ დაღურევა (დაღურავე). პროექტი მიღებულ იქნა. აღინიშნა, რომ გ-ის ზმნაში (დაეიქადენით) ობიექტის მრავლობითობის გადმოცემა რითმის საჭიროებით არის გამოწვეული.

ს. შ.: მე და უსენი შვილებიანად ახლა ხელახლა დავიბადენით; ლომო, შენი ქება ჩვენ როგორ გაევმრავლოთ! რადგან იმისი სისხლის დაღერა დავიქადეთ, თავიდან გეტყვი ყველაფერს, თქვენ მოსასმენად მოემზადეთ”.

**1116,1** ჩვენი მთელი ანაზღად წყალობა ზეცით ღმრთულები,  
ერთობით გუიხსენ სიკუდილსა, ახლად მიგუიდეგი სულელები;  
მე მიკურის ვგრე სიკეთე, რაზომცა ვიგულგულელები,  
ან წურილად გაადრო ყუელი მე იმა ყმასთან თქმულები.

**x 1305<sup>1</sup>**-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ა ზეცით ღმრთულები (ზეცით, ღმრთულები). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მოულოდნელად ზეციდან მოგვივლინე ღვთიური მონყალება, ყველა დაგვიხსენი სიკუდილისაგან, ახლად ჩავვიდეგი სული; რამდენადაც გულითადი ვიყო, მე მიკვირს (შენი) ასეთი სიკეთე, ახლა დანერვილებით მოგახსენებ ყველაფერს, რაც ვთქვი იმ მოყმესთან.

**1117** „ამა ქალაქსა წესია, დღესა მას ნავროზობასა  
არცა ვინ ვაჭრობს ვაჭარი, არცა ვინ ნაფა გზობასა;  
ყუელანი სწორად დავინყებთ კაზმასა, ლამაზობასა,  
და დიდსა შეიქმან მეფენი პურობა-დარბაზობასა.

**u 1109**-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: გ ყუელანი (ყოველნი). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ამ ქალაქში წესია, რომ ნავროზობის დღეს (მამადიანთა ახალ წელს) ვაჭართაგან არც ვინმე ვაჭრობს, არც ვინმე ნაფა სამგზავროდ; ყველანი ერთნაირად დავინყებს მოკაზმვას, კეკლუცობას, მეფეები დიდ პურობას და დარბაზობას აწყობენ.

**1118** ჩვენ, დიდვაჭართა, ზედაგუაც დარბაზს მიღება ძღვენისა,  
მათ საბოძურისა ბოძება მართებს მსგავსისა ჩვენისა;  
ათ დღემდის ისმის ყოველგნით ჳმა წინწილისა, ებნისა,  
და მოედანს მღერა, ბურთობა, დგრიალი ცხენთა დგენისა.

**u 1110**-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ა ჩვენ, დიდვაჭართა, ზედაგუაც (ჩვენ დიდვაჭართა ზედა-გვაც). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ჩვენ, დიდვაჭრებს, ვალად გვაძეეს სამეფო კარზე ძღვენის მიტანა, მათ (მეფეებს) (კი) ჩვენი ძღვენის შესაფერისი საბოძურის გაცემა მართებთ; ათი დღის განმავლობაში ყოველი მხრიდან ისმის წინწილის (საკრავის) და ებნის (ქნარის) ხმა, მოედანზე თამაში, ბურთაობა, ცხენების ჳენების დგრიალია.

### 1979. 23. III

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს: 1119 –1124 (პროექტი მოამზადა II ფგუფმა).

**1119** ქმარი ჩემი დიდვაჭართა ნაუძღვების, უსენ, წინა,  
მათთა ცოლთა მე ნაფასამ, მანუეველი არად მინა;  
დედოფალსა ძღვენსა უძღუნით, მდიდარი თუ გლახა ვინა,  
და დარბაზს ამოდ გაეიხარებთ, მზარულნი მოვალთ მინა.

U 1111-თან შედარებით პროექტში ცვლილება: გ უძღვნით (უძღვნით). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ჩემი ქმარი, უსენი, დიდვაჭრებს წინ ნაუძღვება, მათს ცოლებს მე ნავიყვან, დამპატივებული არ მინდა; მდიდარია თუ ღარიბი, ყველანი დედოფალს ძღვევს მივართმევთ, სასახლეში სასიამოვნოდ ვატარებთ დროს, მზიარულები ვბრუნდებით შინ.

1120 დღე მოვიდა ნაწროზობა, დედოფალსა ძღვენი ვსძღვნით;  
ჩვენ მივართუთ, მთ გუბობთეს, ავაესენით, ავიესენით;  
ვამიერად მზიარულნი ნამოვედით ნებით ჩვენით,  
და კულა დავსხედით გახარებად, უნებურნი არ ვიყვენით.

U 1112-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ნაწროზობის დღე (ახალი წელი) მოვიდა, დედოფალს ძღვენი ვუძღვენით, ჩვენ მივართვით, მან გვიბოძა, ავაესეთ (საწურებით) და (ჩვენც) ავიესეთ; მზიარულები თავის დროზე ნამოვედით ჩვენივე სურვილით, ისევე დაესხედით სამზიარულოდ, უკმაყოფილო არ ვიყავით.

1121 ბალსა შიგან თამაშობად საღამოსა გავე ვაშსა,  
გავიტანე ხათუნები, – მათი ქმევა ჩემგან წაშსა, –  
მომყებოდეს მომღერალნი, იტყოდინ ტკბილსა წაშსა,  
და ვიბღერდი და ვყმანვილობდი, ვიცვალეზღი რიდეთმასა.

U 1113-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: საღამოვამს ბაღში გასართობად გავედი, გავიყოლე ხათუნები (ქალბატონები), – მათი გამასპინძლება ჩემი ვალია, – მომყებოდნენ მომღერლები, ტკბილ ხმაზე მღეროდნენ, ვმღეროდი და ვყმანვილობდი (ყმანვილივით ვერთობოდი), ვიცვლიდი რიდეს (თავსაბურავს) და თმის ვარცხნილობას.

1122 იქ ბალსა შიგან ტურფანი სახლნი, ნატიფად გებულნი,  
მალაღნი, ყოვლგნით მხედველნი, ზღუას ზედა ნაკიდებულნი,  
მუნ შევიტანენ ხათუნნი იგი, ჩემთანა ხლებულნი,  
და კულა დავიდევით ნადიმი, დავსხედით ამოდ შეუბულნი.

U 1114-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: იქ, ბაღში, ლამაზი, ნატიფად აგებული სახლებია, მალღები, ყოველ მხარეს გამყურე (ე.ი. საიდანაც ყველა მხარე მოჩანს), ზღვაზე გადამდგარნი, იქ შევიყვანე ჩემი მხლებელი ხათუნები (ქალბატონები), კვლავ დავინწყეთ ნადიმობა, დავსხედით განცხრომით მყოფნი.

1123 ვაჭრის ცოლთა მზიარულმან უმასპინძლე ამოდ, დურად;  
სმასა ზედა უმიზეზოდ გააქე რადმე უგებურად,  
რა შემატყუეს, გაიყარა, სხდომილ იყო რაცა პურად,  
და მარტო დავრჩი, სევდა რაბე შემომექცა გულსა მურად.

U 1115-თან შედარებით პროექტში ცვლილება: ა უმასპინძლე (ვუმასპინძლე).

პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ვაჭრის ცოლებს მზიარულმა ვუმასპინძლე საამოდ, დურად (დასავით); ნადიმის დროს უმიზეზოდ რაღაც უგუნებოდ გაეხდი, (ეს) რომ შემატყუეს, დაიშალნენ, ვინც პურობაზე იყვნენ, მარტო დავრჩი, გულზე რაღაც სევდა შემომანვა ალმურივით.

1124 უკმოვაჯუნენ სარკმელნი და შეეატეო პირი გზასა,  
ვიხედვიდი, ვიქარებდი კაეშნისა ჩემგან ზრდასა,  
შორს ამოწნდა ცოტა რამე, მოცურვიდა შიგან ზღუასა,  
და მფრინველად ეოტუნი ანუ მჭეცად, სხუას ეამსგავსე შემცა რასა!

U 1116-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: გაველე სარკმელი და პირი გზისკენ მივაბრუნე, ვიყურებოდი, ვიქარწყლებდი კაეშნის მოძალეხას (კაეშანს ვიქარებდი); შორს პატარა რაღაც შეენიშნე, ზღვაში მოცურავდა, ფრინველად ან მხეცად ჩათვალე, სხვას რას მივამსგავსებდი!

### 1979. 30. III

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი,  
ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს: 1125 -1126,1 (პროექტი მოამზადა II ჯგუფმა); 1127 -1129 (პროექტი მოამზადა III ჯგუფმა).

1125 მაშორვიდა, ვერად ვიციან; მომეახლა, იყო ნავი;  
ორთა კაცთა, ტანად შავთა, თუთი პირიკა ედგა შავი;  
იქითაქათ მოსდგომოდეს, ახლოს უწნდა ოდენ თავი,  
და გამოვიდეს, გამოიკურდა იგი უცხო სანახავი.

U 1117-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ჩემგან შორს იყო, ვერაფერს მივამსგავსე; მომიახლოვდა, (აღმოწნდა, რომ) ნავი იყო; ორ კაცს, ტანად შავს, პირისახეც შავი უქონდა; (ისინი) იქითაქეთ ამოსდგომოდნენ (ნავს), ახლოს მხოლოდ თავი უწანდათ, გამოვიდნენ, გამოიკურდა უცნაური სანახაობა.

1126 გამოზიდეს იგი ნავი, გამოიღეს ბალსა წინა,  
მიიხედნეს, მოიხედნეს, ვინ გუთქურეტსო, სადა ვინა,  
ვერა ნახეს სულიერი, ვერცა რაჰან შეაშინა;  
და მე იდუმალ ვიხედვიდი, სულღებული ვიყავე შინა.

U 1118-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: გამოათრის ის ნავი, გამოიტანეს ბალის წინ, მიიხედ-მოიხედეს, ვინ გვიყურებს, სად ვინ არისო (სამე ვინმე არ იყოსო), სულიერი ვერაეინ ნახეს, ვერც რაიმემ შეაშინა (ისინი); მე ფარულად ვიყურებოდი, სულგანაბული ვიყავე შინ.

1126,1 უსენ ნასულა ქალაქად თვალ-მარგალიტის მწახველად;  
ვაჭარი ვინმე ენახა, მივიდა მისად მსახველად;  
მას ეუბნების: „რა გაქო?“ – თვალს აქუს არად მუხახველად.  
და მან ვერ სცნა ესე ამბავი, ფატმან მივიდა რა ველად.

X 1315<sup>1</sup>-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: უსენი ქალაქში ნასულა თვალ-მარგალიტის სანახავად; ვიღაც ვაჭარი ენახა, მივიდა მის მსახველად; მას ეუბნება: „რა გაქვსო?“ – თვალს არ აფახულებს. მან ვერ გაიგო ეს ამბავი, ფატმანი რომ მივიდა ველად.

1127 მით ნავიდალა მათ რომე გარდმოსუნეს კოდობანითა,



აპჯადეს, ქალი გარდმოვდა უცხოთა რათმე ტანითა,  
თაესა რიდიოთა შავითა, ქვემოთ მოსილი მწუნანითა,

და მზესა სიტურფედ ეყოლის, იყოს მისითა გენანითა.

U 1119-თან შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: აპჯადეს (ახადეს).

ს. ცაიშვილის წინადადების ა-ში მიღებულ იქნა ნაკითხვა: მით ნავიდალმა მათ რამე გარდმოსუტეს კიდობანითა.

რედაქციას შესაძლებლად მიაჩნია კონიექტურის მიღება, მით უმეტეს, რომ, როგორც ც. კიკვიძემ აღნიშნა, „ეფეხისტყაოსნის“ ხელნაწერებში არც ისე იშვიათია რომე და რამე-ს აღრევა.

ს. შ.: იმ ნავიდან მათ რაღაც გადმოსვეს კიდობნით, (თავი) ახადეს, გადმოვიდა უცხო რამ ტანის ქალი, თავზე შავი რიდიო, ქვემოთ მწუნანით შემოსილი, მზეს სილამაზედ ეყოფა, მისი მსგავსი (რომ) იყოს.

1127,1 ავთანდილის გულში შეეძრა ამა სიტყუისა სმენითა,  
ენიშნა ფერი რიდისა ტარიელისგან თქმენითა;

მაგრამ იქმარა სინყნარე, იყო დიდიოთა თმენითა,

და სხვა არა უთხრა, ასტირდა ცრემლით ტბადასადგმენითა.

x 1316<sup>1</sup>-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: დ ტბადასადგმენითა (ტბა დასადგმენითა). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ავთანდილის გული აუძგერდა ამ სიტყვების მოსმენით, რიდის ფერი ენიშნა ტარიელისაგან ნათქვამით; მაგრამ სიმშვიდე ირჩია, დიდი მოთმინებით იყო, სხვა არაფერი უთხრა, (მხოლოდ) ატირდა ტბის დამყენებელი ცრემლით.

1128 რა მობრუნდა ქალი ჩემკენ, შემოადგეს სხიენი კლდესა,  
ღანუთა მისთა ეღვარება ეღვარებდა წმელთ და ზესა;  
ღავინუხენ თუალნი, ყოლა ვერ შეუადგენ, ვითა მზესა,

და უკმოვიკამ კარი, ჩემგან მათი ქტურება ვერა ცნესა.

U 1120-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ა. ბარამიძე: ბ-ში უკეთესია ნაკითხვა: ეღვარებდა წმელთა, ზესა.

შ. ძიდიგური: გასარკვევია, ზესა აქ ზმნიზედაა თუ თანდებული. უფრო თანდებული ჩანს. ამიტომ უფრო მართებულია ნაკითხვა წმელთა ზესა.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს ნაკითხვა: ეღვარებდა წმელთა ზესა.

ს. შ.: ქალი რომ ჩემკენ მობრუნდა, კლდეს სხივები მოეფინა, მისი ღანვების ეღვარება ეღვარებდა მთელ ხმელეთზე; დახუჭე თვალები, სრულიად ვერ გავესწორე, როგორც მზეს, მოვხურე კარი, მე რომ მათ ვუყურებდი, ვერ გაიგეს.

1129 მოვიქმენ ოთხნი მონანი, ჩემსა წინაშე მდგომელნი,  
ურჩენენ: „ხედავთ, ინდოთა ტყუდ ჰყვანან შუქნი რომელნი?  
ჩაუპარენით, ჩაედით, წყნარად, ნუ ჩქარად მზლტომელნი,

და მოგყიდონ, ფასი მიეცით, რასაცა იყენენ მნდომელნი.

U 1121-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ბ ურჩენენ (ურჩენენ). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მოვიხმე ოთხი მონა, ჩემთან მყოფნი, ურჩენენ: „ხედავთ, ზანგებს რომ ტყვედ ჰყავთ, იმ შუქს (=ქალს)? ჩაუპარეთ, ჩუმად ჩადით, ჩქარა ნუ ჩაირბენთ, (თუ) მოგყიდონ, მიეცით, რა ფასსაცა მოგთხოვენ.

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკოძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.  
განიხილეს: 1129,1-1135 (პროექტი მოამზადა III უჯრუმა).

**1129,1** კულავეცა დავედრე სიფრთხილე: „ქაჯნია იგი გრძნეულნი;  
არ მოიშორეთ გულითა სნაულანი ან ჩემუდნი:  
წვებათკენ გზანი მოსტაცეთ, მუნ არ შეცურდენ წყეულნი.  
და აღრე მოგელი, მოაფინოთ ჩემთვის სინათლე შუეულნი“.

x 1318<sup>1</sup>-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ა სიფრთხილე: „ქაჯნია (სიფრთხილე, ქაჯნია); ბ-ის ბოლოს ორწერტილია ნერტილ-მძიმის ნაცვლად. პროექტი მიღებულ იქნა

ს. შ.: კიდევ დავაბარე, ფრთხილად ყოფილიყვენ: „ისინი გრძნეული ქაჯები არიან; არ დაიფინოთ ჩემი ნასწავლები (რაც დაგარიგეთ): ზღვისკენ გზა შუეუარით, იქ არ შეცურდნენ წყეულები. მალე მოგელით, მზის სინათლე მოამაფინეთ (=უცხო ქალი მომიყვანეთ)!“

**1130** თუ არ მოგცენ, ნულარ მისცემთ, ნაპჯარეთ და დაჯოცენით,  
მოიყვანეთ ისი მთუარე, ქმენით კარგად, ეცადენით!“  
ჩემნი ყმანი ზედადალმა ჩაეპარნეს, ვითა ფრენით,  
და დაეეაჭარნეს, არ მოიყიდეს, შავნი ენახენ მეტად წყენით.

u 1122-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: თუ არ მოგცენ (ქალი), ნულარ გაატანთ, ნაართვით და დახოცეთ, მოიყვანეთ ის მთუარე, კარგად გაისარჯეთ, ეცადეთ!“ ჩემი ყმები ზევიდან ჩაეპარნენ, გვეგონებოდათ, ჩაფრინდნენ, არ მოიყიდეს, ენახე, რომ ზანგები მეტად გაუჯრდნენ.

**1131** მე სარკმელთა გარდავადეგ, რა შეიგენ, არ მოიყიდეს,  
შუეზახენ: „დაჯოცენით!“, დაიპყრნეს და თავსა სჭირდეს;  
იგი ზღუასა შეასრიენეს, შემოადგეს ქალსა, სციოდეს;  
და ჩავეგებე, გამოეპჯარე, ზღუის პირს ხანსა არ დაზმიდეს.

u 1123-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ბ შუეზახენ (შეუეზახენ). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მე სარკმელს გადავადეგი. რაკი მივხვდი, არ მოიყიდეს, შეუუტეი: (მონები) „დახოცეთ!“ დაიჭირეს და თავები დასჭრეს; ისინი ზღვაში გადაყარეს, ქალს აქეთ-იქით ამოუდგნენ, შემოერტყნენ; ჩავეგებე, (ქალი) გამოვართვი, ზღვის პირას არ დაყოვნებულან.

**1131,1** ნაართვეს ნესტან-დარეჯან, აქამდის ზღვაში ტყუე არი;  
ფატმან რა ნახა, ჩაგზაენა იგ ორნი ვინმე მწნედ არი;  
ქაჯნი დაჯოცენს, ზღვას მისცეს, არ იყო მათთვის ცხედარი;  
და მოეგება და ებევის: ვინ ნახოს ეგრე შუედარი!

x 1320<sup>1</sup>-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ბ და გ ადგილშენაცვლებულია, დ-ის ბოლოს ნერტილის ნაცვლად დასმულია ძახილის ნიშანი. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ნაართვეს ნესტან-დარეჯანი, აქამდე ზღვაში ტყვედ იყო; ფატმანმა რომ დაინახა, ჩაგზაენა ორი მხენე (მსახური); ქაჯები დახოცეს, ზღვას მისცეს, არ იყო მათთვის სარეცელი (საკაცე); (ფატმანი) მიეგება და ებევა (ნესტანს); ვინ ნახოს ისეთი მზის დარი!

**1132** რა გიაშობო ქება მისი, რა სიტყურფე, რა ნაზობა!  
ვფიცავ, რომე იგი შზეა, არა მართებს შზესა შზობა!  
ვინ გაიცდის შუქთა მისთა, ვინცა ვით ქმნა ნახაზობა!  
და მე თუ დამწუავს, აჰა, შზა ვარ, აღარ უნდა ამას შზობა!"

u 1124-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: დ-ში, აჰა-ს შემდეგ, დასმულია მძიმე. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მისი რა ქება გითხრა, რა სილამაზე, რა სინაზე! ვფიცავ, რომ ის შზეა, (თვითონ) შზეს არ შეეფერება მზეობა! ვინ გაუსწორებს (თვალებს) მის შუქს, ვინ როგორ დახატავს (მას)! მე თუ დამწუავს, აჰა, შზად ვარ აღარ უნდა (ამას) მზაობა.

**1133** ესე სიტყუა დაასრულა, ფატმან იკრნა პირსა ჴელნი;  
ათანდილსცა აეტირნეს, გარდმოყარნა ცრემლნი ცხელნი;  
ერთმანერთი დაეინყდა, მისთვის გაჯდეს ვითა ხელნი;  
და ლუარმან, ზედათ მონადენმან, გაანყალნა ფიფქნი თხელნი.

u 1125-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ეს სიტყვა დაამთავრა, ფატმანმა სახეზე ხელები წაიშინა; აეთანდილსც ცირილი მეორია, ცხელი ცრემლები გადმოყარა; ერთმანეთი დაეინყდათ, მისთვის (ნესტანისათვის) გახელდნენ (გახდნენ როგორც შმაგები), (ცრემლის) ლვარმა, ზემოდან მონადენმა, გაადნო თხელი ფიფქი (სახეებისა) (=ცრემლებმა დაუფარა სახეები).

**1133,1** ფატმან რა ნახა აეთანდილ ტირილით შემჭირებულნი,  
გულსა ეტყუის, თუ: „ეს არის მის შზისა ძებნად რებული;  
ნეტარ, ვითმც ვიყო სამისოდ თავის თავს დამტერებულნი  
და ეს მას წაუდგეს, მე დავრჩე უშისოდ გამწარებულნი.

x 1322<sup>1</sup>-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ბ გულსა (გულს), ეს (ესე), გ თავს (თავ). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ფატმანმა რომ ნახა ტირილით შეჭირებული (შევიწროებული) აეთანდილი, გულში თქვა: „ეს არის იმ შზის (ნესტანის) საქებნელად მოსული; ნეტავ მისი (ნესტანის) გულისთვის ჩემს თავს როგორ დავემტერო! ეს მას მიჰყვეს (მის გზას დაადგეს), მე უშისოდ (უათანდილოდ) დავრჩები გამწარებული.

**1133,2** კითხავს: „გინახავს იგი შზე, ანუ გაქვს მეცნიერობა?  
შენ ეგრე შეგჭირს, გეტყობა, გნადს მისთა მტერთა მტერობა“.  
ათანდილ უთხრა: „შენ სრულქმენ ჯერ ევე სიტყუიერობა,  
და მერმე შენცა პქენ ჩუენისა თქმულისა დანაჯერობა“.

x 1322<sup>2</sup>-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ბ-ის ბოლოს წერტილია მძიმის ნაცვლად. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ეკითხება: „გინახავს ის შზე (ნესტანი), ან იცნობ? შენ ისე ნუხარ (მის ამბავს), გეტყობა, გსურს მისი მტერების მტრობა“. აეთანდილმა უთხრა: „ჯერ დაასრულე ეს თხრობა, მერმე შენც დაიჯერე ჩემი ნათქვამი“.

**1134** მოიტორეს, ყმამან უთხრა: „წლარ გასწყუედ, გაასრულე“.  
ფატმან იტყუის: „მივეგებე, გული მისთვის ვაერთგულე,  
გარდუკოცენ ყოვლი ასო, თავი ამაღ მოეაძულე,  
და ზედა დაესუთ ტახტსა ჩემსა, შეეეკუთოთ, გავესულე.

პ 1126-თან შედარებით პროექტში ცვლილება: გ გარდუკოცნე (გარდუკოცნე), პროექტი მიიღებულ იქნა.

ს. შ.: მოიტყრეს, მოყმემ უთხრა: „წულარ გაწყვეტ (თხრობას), დაამთავრე“. ფაქმანი ამბობს: „მივეგებე, გაფურთგულდი, გადაუკოცნე ყოველი ნაკეთი, თავი ამიტომ მოვატყულე, ჩემს ტახტზე დავსვი, მიეისიყვარულე, შევეტყებე.“

1135 ეკადრე: „მითხარ, ვინ ხარ, მზეო, ანუ შეილი ვისთა ტომთა? იმა ზანგთა სით მიჰყვანდი შენ, პატრონი ცისა ჴომთა?“  
მან პასუხი არა მითხრა მე სიტყუათა ესეზომთა,  
და ასნაკეცი წყარო ენახე ცრემლთა, მისთა მონანთომთა.

პ 1127-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ვკითხე: „მითხარი, ვინ ხარ, მზეო, ან რომელი ტომის შეილი? იმ ზანგებს საიდან მოჰყავდი შენ, ვარსკელათ კრებულის პატრონი?“ მან არაფერი მიპასუხა ამდენ კითხვაზე, მის ჩამონადენ ცრემლთა ასკეცი წყარო ენახე.

## 1979. 13. IV

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს: 1136 –1138 (პროექტი მოამზადა III ჯგუფმა); 1139 –1141 (პროექტი მოამზადა II ჯგუფმა).

1136 რა მივაჭირვე კითხეთა, მეტითა საუბართა,  
გულამოჴუნიწვით ატირდა მით რამე ჴმითა წყნართა;  
ბროლ-ლალსა ლუარი ნარგისთათ მოსდის გიშრისა ლართა;  
და მისი მჭვრეტელი დაეინუი, გავჴე გულითა მკუდართა.

პ 1128-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: რომ შეევანუხე კითხვებით, მეტისმეტი საუბრით, გულამოსკენით ატირდა წყნარი ხმით; ბროლ-ლალს (=ღანვებს) ცრემლებს ლვარი ნარგიზებიდან (=თვალებიდან) ედინება გიშრის ლართ (=წამწამებით); მისი მჭვრეტე დაეინუი, გული მომიკვდა.

1137 მითხრა: „შენ ჩემთვის, დედაო, ხარ უმჯობესი დედისა,  
რას აქნეე ჩემსა ამბავსა, ზღაპარი არის ყბედისა!  
ლარობი ვინმე, შემსწრობი ვარ უბედოსა მედისა;  
და თუ რაცა მკითხო, ძალიმცა გიგმია არსთა მბედისა!“

პ 1129-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მითხრა: „დედაე, შენ ჩემთვის დედაზე უმჯობესი ხარ, რას დაექებ ჩემს ამბავს, ყბედის (მონაწმასხი) ზღაპარია ვინმე გადმობეწნილი, უბედო ბედის შემსწრე ვარ; თუ რამე მკითხო, არსთა მბედის (=ლეთის) ძალის მგმობელი იყო!“

1138 ვთქუი: „უფამოდ არ წესია მოყვანა და მზისა ჴმობა:  
მომყვანელი გაშმაგდების და წაუვა ერთობ ცნობა;  
ჴმობა უნდა ფამიერად, სააჯოსა ყოვლსა თხრობა.  
და რად არ ვიცი ამა მზისა საუბრისა უფამობა?“

პ 1130-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ვთქვი: „ნესი არ არის დრომდე მზის ამოყვანა და ხზობა: ვინც ამას შეეცდება; გამმაგდება და ერთობ წაერთმევა გონება; როგორც მოხზობა, ისე ყოველი სათხოვრის თქმაც დროულად უნდა, რით ვერ გამოგია ამ მზესთან (ნესტანთან) საუბრის უდროობა?“

1139 ავიყვანე იგი პირშუ, ნაქები და ვერ ვთქუი უქი;  
სურვილმან და მზემან მისმან, ძლივ დაემაღლე მისი შუქი,  
ჩამოეკბურე მრავალკეცი სტაფრა მძიმე, არსუბუქი;  
და ცრემლსა სეტყუს და ვარდსა აზრობს, ნამნამთაგან მოქრის შუქი.

ს 1131-თან შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილებაა: პირშუ, ნაქები (პირ-შუე ნაქები). პროექტში მიღებულ იქნა.

ს. შ.: ავიყვანე ის პირშუ, ნაქები და ვერ ვიტყვი, შუუქებელი-მეთქი; ვფიცავე მის სიყვარულსა და მზეს, ძლივს დაეფარე მისი შუქი, ჩამოეკბურე (მას) მრავალკეცი მძიმე, არამსუბუქი ძვირფასი ქსოვილი; ცრემლებს სეტყეასავით ყრის და ვარდს (=პირისახეს) ზრავს, ნამნამებიდან ქარბუქი ქრის.

1140 მოვიყვანე შინა ჩემსა იგი პირშუე ტანით ალვით,  
მოუკაზმე სახლი ერთი, შიგან დაესუი მეტად მალვით;  
არვის უთხარ სულიერსა, შეეინახე ფარვით, კრძალვით,  
და ერთი ზანგი ვამსახურე. მე შევიდი, ენახე ხალვით.

ს 1132-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ბ მოუკაზმე (მოუკაზმე), ბ უთხარ (უთხარ). პროექტში მიღებულ იქნა, ოლონდ დ-ში (შიგნით) ნერტილი შეიცვალა ნერტილ-მძიმით.

ს. შ.: მოვიყვანე შინ ის ალვისტანა პირშუე, მოუკაზმე ერთი დარბაზი, შიგ დაესუი მალულად; სულიერს არავის ვუთხარი, დაეიცავი ფარულად, სიფრთხილით, ერთი ზანგი (მონა) მიუზრინე მსახურად; მე შევიდიოდი, ენახულობდი მარტო (სხვათა დაუსწრებლად).

1141 ვით გაამბო საკურველი მე, გლახ, მისი ყოფაქცევა,  
დღე და ღამე გაუნწყულად ტირი და ცრემლთა ფრქვევა,  
შეეხებენი: „დადუმდიო“, ნამ ერთ პქონდის ჩემი თნევა.

და ან უმისოდ ვით ცოცხალ ვარ, პაჰაჰ ჩემთვის, ვაგლახ მე, ვა!

ს 1133-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: დ პაჰაჰ (პაი). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: როგორ გაამბო მისი საკურველი ყოფაქცევა, დღედაღამ განუწყვეტლად ტირილი და ცრემლების ფრქვევა! ვებევენებოდი: დადუმდი-მეთქი, ერთი ნამით პქონდა ხოლმე ჩემი ხათრი. ახლა უმისოდ როგორა ვარ ცოცხალი, ვაი მე, ვაგლახ!

## 1979. 20. IV

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი,

ს. ცაიშვილი.

განიხილეს: 1142 – 1147 (პროექტი მოამზადა II ჯგუფმა).

1142 შინა შევიდი, მას ნინა ედგის ცრემლისა გუბები,  
შიგან სისხლისა მორევსა ეყრდნის გიჟრისა შუბები,  
მელნისა ტბათათ იღურების სავეს სათისა რუბები,

და შუა ძონსა და აყიყსა სჭუორს მარგალიტი ტყუბები.

U 1134-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა. რედაქცია იზიარებს გ-ის შინაარსის გ. წერეთლისეულ გაგებას (იხ. გ. წერეთელი 1966, 193).

ს. შ.: შინ შევიდოდი, მას წინ ედგა ცრემლის გუბებები, სისხლის მორევი (=სისხლიანი ცრემლით სახე თვალბში) ეყრდნო (ჩასობილი იყო) გიშრის შუბები (=წამწამები), მელნის ტბებიდან (=თვალბებიდან) იღვრებოდა სახეუ სათის (მარჯნის) წვენი (=სისხლიანი ცრემლი). ძონსა (მარჯანსა) და აყიყს (ძვირფასი ქვა, წითელი ფერისა) შუა გამოსჭვუოდა მარგალიტები (=ბაგეებს შორის კბილები უჩანდა).

ა. ბარამიძისა და გ. კარტოზიას აზრით, ტყუბი მარგალიტი ნიშნავს ტყუ-ტყუ მარგალიტს; ს. ცაიშვილის, ე. მეტრეველის, ც.კიკვიძის აზრით – თანანორ, მგავს მარგალიტებს.

მომდევნო სხდომაზე (1979.27.IV) ი. გიგინეიშვილმა აღნიშნა, რომ ამ კონტექსტში რუბი არ უნდა ნიშნავდეს წვენს. მისი აზრით, რუბი აქ იგივეა, რაც რუბი, ჭურჭელი.

**1143** ფაში ვერ ეპოვე კითხვისა ნიადაგ ცრემლთა ღურისაგან,  
თუმცა მეკითხა: „ეინ ხარ და ვგრე ვასრული – რისგან?“  
მჭეფურად სისხლისა ნაკადი მოსდის ალვისა ხისაგან,  
და მას ჭორციელი რა გასძლებს სხუა, კიდევანი ქვისაგან!

U 1135-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ნიადაგ ცრემლის ღურის გამო შეკითხვის დრო ვერ ვიპოვე, რომ მეკითხა: „ეინ ხარ და რისგან ხარ ამ დღეში ჩავარდნილი?“ სისხლის ნაკადი ჩქეფით მოსდის ალვისხისტიანიანს (ნესტიანს), მას (=იმ ტანჯვას) ხორციელი ვინ გაუძლებს, ქვის გარდა, სხუა!

**1144** არად უნდის საბურავი, არცა წოლა საგებლითა.  
მინყი იყვის რიდითა და მოთ ერთითა ყაბაჩითა,  
მკლავი მისი სასთაულად მიიდვის და მინვის მითა,  
და ძლივ ვაჭამი ცოტა რამე ათასითა შეზუნითა.

U 1136-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: არაფრად უნდოდა დასახურავი (საბანი), არც საგებელზე წოლა, მუდამ იყო იმ ერთი რიდითა და ყაბაჩით, თავის მკლავს სასთუმლად მიიდებდა და ისე მიწებოდა, ძლივს შეეაჭმევდი ცოტა რამეს ათასი ხვეწნით.

**1145** სხუა გიამბო საკვირველი რიდისა და ყაბაჩისა;  
ვარ მნახავი ყოვლისავე უცხოსა და ძვირფასისა,  
მაგრამ მისი არა ვიცი, ქმნილი იყო რაგუარ, რისა:  
და სილბო პქონდა ნაქსოვისა და სიმტკიცე – ნაჭედისა.

U 1137-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: სხუა რამ საკვირველს გიამბობ რიდისა და ყაბაჩის შესახებ; ყოველივე საუცხოოსა და ძვირფასის მნახველი ვარ, მაგრამ მისი (=ქსოვილის) არაფერი ვიცი, თუ რისგან და როგორ იყო ნაკეთები: სილბო (სირბილე) ქსოვილისა პქონდა, სიმტკიცე – ნაჭედისა.

**1146** მან ტურფამან სახლსა ჩემსა ვგრე დაყო ხანი დიდი;  
ვერ გავანდევ ქმარსა ჩემსა, შესმენისა მქონდა რიდი;

ეთქუ: „თუ უთხოზ, ვიცი, დარბაზს გამამტლანებს ისი ფლიდი“.

და ესე მეყო საგონებლად, კულა შევიდი, კულა გავიდი.

უ 1138-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: გ უთხოზო (ვუთხოზო).

რედაქციამ იმსჯელა ბოლო ნახევარტაეზე, რომელიც რიგ ხელნაწერში სხვა ვარიანტით არის წარმოდგენილი: შევიდი და გამოვიდი.

ა. ბარამიძე: ნაკითხვა კულა შევიდი, კულა გავიდი იმ ხელნაწერთა ნაკითხვაა, რომლებიდანაც არის აღებული გ-ის რედაქცია. ამდენად მისი მიღებაც ექვს არ უნდა იწვევდეს.

ს. ცაიშვილისა და ც. კიკვიძის აზრით, არ არის აუცილებელი, რომ სტროფის ყველა ნაკითხვა ერთი და იმავე ხელნაწერებიდან ავილოთ. მათ უკეთეს ნაკითხვად მიაჩნიათ, შევიდი თუ გამოვიდი.

ე. მეტრეველიც მხარს უჭერს ამ უკანასკნელ ნაკითხვას. მისი აზრით, ტაეპის შინაარსია: ეს მეყო საგონებლად, შევიდოდი და გამოვიდოდი.

გ. კარტოზია: კულა შევიდი, კულა გავიდი > შევიდი თუ გამოვიდი უფრო საგულვებელია, ვიდრე პირიქით. ტაეპის აზრი ასე უნდა გავიგოთ: ეს გადამეტკა საფიქრებლად, ამიტომ ვყოყმანობდი: შევიდოდი (უსენტან) და გამოვიდოდი.

პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: იმ მშვენიერმა ჩემს სახლში ასე დაყო დიდი ხანი; ვერ გავანდე ჩემს ქმარს, დასმენის შიში მქონდა; ეთქუ: „თუ ვეტყვი, ვიცი, დარბაზში (სამეფო კარზე) გამამტლანებს ის ფლიდი“. ეს გამოხდა საფიქრებლად, (ვყოყმანობდი), შევიდოდი და გამოვიდოდი.

1147 ეთქუ: „თუ არ უთხრა, რა უყო, ჩემგან რა მოეგუარების?

არცა რა ვიცი, რა უნდა, რა ვისგან მოქმარების;

ქმარი რა მიგძნობს, მოცუპკლავს, ველარა მომეფერების;

და ვითა დავმალო ნათელი, ვინ მზესა დავდარების?!

უ 1139-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ა უთხრა (ვუთხრა), უყო (ვუყო).

პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ეთქუ: „თუ არ ვუთხარი, რა ვუყო, რა მოვუხერხო (ნესტანს)? არც არაფერი ვიცი, რა უნდა, ვისგან რა ემველება; ქმარი რა გამიგებს, მომკლავს, ველარაფერი დამიფარავს; როგორ დავმალო ნათელი, რომელიც მზეს ედარება?!

## 1979. 27. IV

სხდომას დაესრუნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე,

ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი.

განიხილეს: 1148–1150 (პროექტი მოამზადა II ჯგუფმა); 1151; 1152 (პროექტი მოამზადა III ჯგუფმა).

1148 მე, გლას, მარტომან რა უყო, მიმატებს ცეცხლთა დებასა!

მო და გავანდო, ნუ შევალ უსენის შეცოდებასა;

არ გამამტლანოს, ვაფიცო, თუ მომცემს იმედებასა,

და სულსა ვერ ნახწყმედს, ვერა იქს ფიცისა გაცულებასა“.

U 1140-თან შედარებით პროექტში ცვლილება: ა უყო (უყო), დ იქს (იქს).

პროექტი მიღებულ იქნა.

რედაქციამ იმსჯელა ბ-ის შინაარსზე.

ა. ბარამიძის აზრით, ნუ შევალ უსენის შეცოდებასა ნიშნავს: ნუ ჩავადენინებ უსენს ცოდვას (იმიტომ, რომ მომკლავს, როდესაც გაიგეს ჩემს საიდუმლოს – უცხო ქალის ყოლას).

ე. მეტრეველი, ი. გიგინიშვილი, ც. კიკვიძე იზიარებენ ამ აზრს. გ. კარტოზიას და ს. ცაიშვილს მიაჩნიათ, რომ ნუ შევალ უსენის შეცოდებასა – ნუ შევცოდებ უსენს.

ს. შ.: მე მართომ რა უყო, ცეცხლის დებას მიმატებს! მოდი და გაეანდობ (უსენს), ცოდვას ნუ ჩავადენინებ უსენს (რომ მომკლავს); ვაფიცებ, რომ არ გამამულავნოს, იმედს თუ მომცემს, სულს ვერ წაიწყებ, ვერ გატეხს ფიცს.

1149 მივე მართო, ქმარსა ჩემსა ველაღობე, ველაციცე,  
მერმე უთხარ: „გიფხრობ რასმე, მაგრა პირველ შემოფიცე,  
არვის უთხრა სულიერსა, საფიცარი მომცე მტკიცე“.

და ფიცი ფიცა საშინელი: „თავიციო კლდეთა ვიცე!“

U 1141-თან შედარებით პროექტში ცვლილება: ბ უთხარ (უუთხარ). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მივედი მართოკა, ჩემს ქმარს მოვესიყვარულე, მოვეფერე, მერმე უუთხარი: „რალაცას გეტყვი, მაგრამ ჯერ შემოფიცე, რომ სულიერს არავის ეტყვი, მტკიცე ფიცი მომეცი“. საშინელი (ძლიერ დიდი) ფიცი მომცა: „თავი კლდეს ვახალოო (თუ ფიცი გავტეხო!)“

1150 რაცა მითხრა, სიკუდილამდის არვის უთხრა სულიერსა,  
არა ბერსა, არა ყმასა, მოყვარესა, არცა მტერსა“.

მერმე უთხარ ყველაკაი უსენს, კაცსა ლმობიერსა:

და „მოდი, მომყევე აქ სადმე, მო, გირჩენებ შვისა ფერსა“.

U 1142-თან შედარებით პროექტში ცვლილება: ა უთხრა (უუთხრა), გ. უთხარ (უუთხარ). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: რასაც მეტყვი, სიკუდილამდე სულიერს არავის გაფუმგლავნებ, არც მოხუცს, არც ახალგაზრდას, არც მოყვარეს, არც მტერს“. მერმე უუთხარი ყველაფერი უსენს, ლმობიერ კაცს: „მოდი, მომყევი აქ, გირჩენებ შვის დარს“.

1151 ადგა, ამყვა და ნავედით, შველენით კარნი სრისანი.

უსენ გაპკურირდა, გა-ცა-კრთა, რა შუქნი ნახნა შვისანი;

თქუა: „რა მიჩვენე, რა ენახე, რანია, ნეტარ, რისანი?!

და თუ ჭორციელი არისმცა, თუაღნიმცა მრისხვენ ლმობისანი!“

U 1143-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ადგა, ნამომყევა და ნავედით, გაფიარეთ დარბაზის კარები. უსენი გაკვირდა, შუქრთა კიდევ, შვის (=ნესტანის) შუქი რომ დაინახა; თქუა: „რა მიჩვენე, რა ენახე, რა არის ნეტავ, რისა?! თუ ხორციელი იყოს, ლმერთმა შემრისხოს (ლეთის თვალებმა მრისხონ!)“

1152 ვთქუი, თუ: „არცა რა მე ვიცი ამისი ჭორციელობა,

რაცა არ გითხარ, მის მეტი არა მაქუნს მეცნიერობა;

მე და შენ ეპითხობთ, ვინ არის, უისგან სჭირს ისი ხელობა,

და ნუთუ რა გუითხრას, ვეაჯნეთ, ქმნას დიდი ლმობიერობა“.

U 1144-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.



ს. შ.: ვთქვ: „არც მე ვიცი რამე იმისა, ხორციელია თუ არა, რაც გითხარი, მის მეტი არაფერი ვიცი. მე და შენ ვკითხოთ, ვინ არის და ვის გამო არის ასე გამშაგებული. ეგებ რამე გვითხრას, შევებენოთ, ლმობიერება გამოიჩინოს (მოლბეს)“.

#### 1979. 4. V

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს: 1153 –1158 (პროექტი მოამზადა III ვჯგუფმა).

1153 მივედით, გუქონდა ორთავე კრძალვა მისისა კრძალისა; ვკადრეთ, თუ: „მზუო, საჭმილო გუედების შენგან აღისა, გუითხარ, რა არის ნაშალი მთუარისა შუქნამკრთალისა? და რას შუექმნიხარ ზაფრანად შენ, ფერად მსგავსი ლალისა?“

უ 1145-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მივედით, ორივეს მისი დიდი რიდი გუქონდა; შევებედეთ: „მზუო, შენგან ცეცხლის ალი გეედება, გუითხარი, რა არის შუქმკრთალი მთუარის ( =შენი მზუბარების) ნაშალი? რას გადაუქცევიხარ ზაფრანად (=რას გაუყვითლებიხარ) შენ, ფერად ლალის მსგავსი?“

1154 რაცა ეკითხეთ, არა ვიცი, ესმა ანუ არ ისმენდა: ვარდი ერთგან შეენება, მარგალიტსა არ აჩენდა; გუელნი მოშლით მოეკეცეს, ბალი შელმა შურა-შენდა, და შუე ვეშაპსა დაებნულა, ზედა რადმცა გაგუითუნდა!

უ 1146-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ი. გიგინეიშვილი: გ-ში უკეთესია ზოგ ხელნაწერში დაცული შურე-შენდა (ოდნობითი რე ნაწილად რა კავშირის ნაცვლად). ტაეპი თანწყობილ წინადადებას წარმოადგენს და არა ქვენწყობილს.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს ნაკითხვა: ბალი შელმა შურე-შენდა. წინააღმდეგნი:

ც. კიკვიძე, გ. კარტოზია. მათი აზრით, ტაეპში ქვენწყობილი წინადადება გვაქვს: გველები (=ნანწავები) უნესრიგოდ მოეკეცა, ბალი (=სახე) რომ ასწია.

გ-ის ბოლოს მძიმის ნაცვლად დაისვა წერტილ-მძიმე.

ს. შ.: რაც ვკითხეთ, არ ვიცი, გაიგონა თუ არ ისმენდა: ვარდი (=ბაგეები) ერთად შეენებებინა, მარგალიტს (=კბილებს) არ აჩენდა; გველები (=ნანწავები) უნესრიგოდ მოეკეცა, ბალი (სახე) ოდნავ აინია; შუე ვეშაპს დაებნულებინა, რად გაგვითენდებოდა!

1155 ვერა დაეკარეთ პასუხი ჩუენ საუბრითა ჩუენითა; ვეფხოვაზა პირქუშად ზის, წყრომა ვერ უგრძენითა. კულა ცა ვანყინეთ, ატირდა შუქურად ცრემლისა დენითა, და „არა ვიციო, მიმშუითი!“ ეს ოდენ გუითხრა ენითა.

უ 1147-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ბ უგრძენითა (ვეგრძენითა). პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: ჩვენი საუბრით პასუხი ვერ დავაცდენინეთ: ვეფხიავაზა პირქუშად იჯდა, წყრომა ვერ შევატყვევეთ. კიდევ შევანყინეთ (კითხვით), ატირდა, ცრემლი მჭექვარედ გადმოლევრა, „არაფერი ვიცი, თავი დამანებეთო“, მხოლოდ ეს გეთხრა.

**1156** დაესხედით და მას თანავე ვიტორეთ და ცრემლი ვლამეთ, რაცა გუთუქუა, შევინანეთ, სხუამცა რალა შევინამეთ! ძლიე ვიჯეთ დადუმება, დაუდუმეთ, დაჯამეთ, და ჩუენ მივართვით ხილი რამე, მაგრა ვერა ვერ ვაჭამეთ.

U 1148-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: დაესხედით და მასთან ერთად ვიტორეთ და ცრემლი ვლარეთ, რაც გვეთქვა (ისიც) ვინანეთ, სხვა რა უნდა გვექნა! მუდართი ძლივს შევძელით დადუმება, გაეაჩუმეთ, დაგამშვიდეთ, ჩვენ ხილი მივართვით, მაგრამ ვერ ვაჭამეთ.

**1157** უსენ იტყვის: „ბევრათასნი ჭირნი ამან ამიჯოცნეს; ესე ლანუნი შხისად ვმანან, კაცთაგანმცა ვით იკოცნეს! უმართლეა, ვერმჭურეტელმან თუ პატიონი იასოცნეს, და მე თუ შეილნი მირჩენიან, ღმერთმან იგი დამიჯოცნეს!

U 1149-თან შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: უსენი ამბობს: „მრავალ ჭირს ეს მომამორებს; ეს ლანუნი მზის შესაფერისია, ადამიანთაგან როგორ დაიკოცნოს! სავსებით მართალი იქნება, თუ მისი ვერმხედველი ტანჯვას გაიმრავლებს; მე თუ შეილები მირჩენია, ღმერთმა დამხოცოს ისინი!“

**1158** მას უჭვრიტეთ დიდი ხანი, წამოვედით სულთქმით, ახით, შეყრა გუიწინდის სიხარულად, გაყრა დიდად ვივალახით. ვაჭრობისა საქმისაგან მოვიცალით, იგი ვნახით, და გულნი ჩუენნი გაუშუებლად დაეტყუენეს მისით მახით.

U 1150-თან შედარებით პროექტში ცვლილებაა: ა უჭვრიტეთ (უჭვრიტეთ).

პროექტი მიღებულ იქნა.

ს. შ.: მას დიდხანს ვეყურეთ, წამოვედით ოხვრით, „ახის“ თქმით, მასთან შეხედვრა (ყოფნა) სიხარულად მიგვაჩნდა, მოშორება დიდად გვამწუხრებდა. ვაჭრობის საქმისაგან რომ ვიცლიდით, მას ენახულობდით, ჩვენი გულები სამუდამოდ დაეტყვევებინა თავისი მახით.

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის**

**სტამბა**

**რუსთაველის გამზ. 52**